

მაიკლ ონდაატჯი

ინგლისელი პაციენტი

დიდი ნიგნი
ბიბლიოთეკა

I

ვილა

ბაღში მოფუსფუსე გოგო წელში სწორდება და სივრცეს უშტერებს თვალს. უკვე უგრძვნია ამინდის მოსალოდნელი ცვლილება. ქარმა ერთხელაც წამოუბერა, ჰაერში თითქოს რაღაცამ გაიშრიალა და აწოწილმა კვიპაროსებმაც წვეტიანი თავები შეარხიეს. გოგო გამობრუნდა, ახლა გორაკზე მდგარი სახლისკენ მიუყვება ბილიკს. დაბალ ყორეზე გადადის, როცა შიშველ მკლავებზე წვიმის პირველი წვეთები ეცემა. ღია აივანს გაივლის და ფეხაჩქარებული შედის სახლში.

სამზარეულოში არ ჩერდება - ჯერ ჩაბნელებულ კიბეს აუყვება, მერე გრძელ დერეფანს გაივლის, რომლის ბოლოშიც გამოღებული კარიდან შემოსული სინათლე ჭიატებს.

ოთახში შედის, სადაც კედლები და ჭერიც კი ხეებითა და ბუჩქნარითაა მოხატული. საწოლზე კაცი წევს. ზეწარი გადაუხდია და შიშველ სხეულზე ნიავი ელამუნება. გოგოს ფეხის ხმა ესმის და ნელ-ნელა მისკენ აბრუნებს თავს.

გოგო ყოველ ოთხ დღეში ერთხელ ბანს კაცს დამწვარ სხეულს და საქმეს მუდამ კანდამსკდარი ტერფებიდან იწყებს ხოლმე. წყლით გაჟღენთილ ტილოს წვივებზე აწურავს, ის კი სიამოვნებისაგან ხვნეშის და იღიმება. ზემოთ, ბარძაყებისკენ, დამწვრობა კიდევ უფრო მეტია, მთლად ძვლებამდე უწევს.

უკვე რამდენიმე თვეა ასე უვლის და ამ სხეულსაც კარგად იცნობს - ზღვის ცხენივით მთვლემარე ასოს, წვრილ, ხმელ თეძოებს... ქრისტესაც ასეთი ექნებოდა, ალბათ. ეს კაცი წმინდანივითაა მისთვის. გულაღმა წევს, თავქვეშ ბალიში არ უდევს. ჭერზე

ნახატ ფოთოლნარს ასცქერის, ტოტების ამ აბლაბუდას და მათ შორის გამოჭყეტილ ლურჯ ცას.

მკერდზე, სადაც დამწვრობა ნაკლებია და შეუძლია ხელითაც კი შეეხოს, მალამოს უსვამს ფრთხილად, ფრთხილად. მხრებს რომ უწევს, კისერში უბერავს სულს და კაციც ნაამები კრუტუნებს, კატასავით.

- რა იყო? - ეკითხება, უცებ ფიქრებიდან გამორკვეული.

კაცი მისკენ აბრუნებს დამწვარ-დაშაშრულ სახეს. ჩამქრალ მზერას უშტერებს ქალს. ის კი ჯიბეში იყოფს ხელს, ერთ ცალ ქლიავს იღებს, წინა კბილებით კვნეტს შუაზე, კურკას აცლის და მერე კაცს უდებს პირში.

ის კი ისევ რაღაცას ჩურჩულებს და მის გვერდით მოფუსფუსე, გულისხმიერ მედდასაც ექაჩება მოგონებების იმ ჯურღმულში, სადაც ნებაყოფლობით რჩებოდა მთელი ის თვეები, სანამ ჯერაც ცოცხალი ეთქმოდა.

ჩუმი ხმით, ხშირად უყვება სხვადასხვა ამბავს, ერთმანეთს რომ ენაცვლება მის ხსოვნაში - უფრო ღამღამობით, როცა მოულოდნელად გამოეღვიძება ხოლმე ყვავილებითა და დიდრონი ხეებით მოხატულ ამ ხელოვნურ ბაღში. ყველაზე ხშირად მაინც მავან ქალთან ერთად ბუნებაში ხეტიალი აგონდება და ისიც, როგორ უკოცნიდა მის ამ ახლა მთლად დამწვარ-დადაგულ სხეულს.

ყვება, როგორ გაუტარებია არაერთი კვირა უდაბნოში ისე, რომ მთვარისთვის ახედვა ერთხელაც არ გახსენებია - სწორედ ისე, როგორც ცოლიანმა კაცმა შეიძლება გაატაროს რამდენიმე დღე და ერთხელაც არ შეხედოს ცოლს სახეში, ოღონდ ამის მიზეზი გულგრილობა კი არა, მოუცლელობაა.

ჯიუტ მზერას არ აშორებს გოგოს სახეს. იმან თუ თავი შეარხია, მისი მზერაც ამ მოძრაობას მიჰყვება. ახლა გოგო მისკენ იხრება.

- მაინც, ეს როგორ მოგივიდა?

გვიანი შუადღეა. კაცი თითებით ზეწარს აწვალებს.

- ცეცხლმოკიდებული ჩამოვვარდი უდაბნოში. ჩემი დანახშირებული სხეულიც იქ იპოვეს, ჯოხებისგან საკაცე შეკრეს და ასე მათრიეს ქვიშებში. ქვიშის ზღვა გვერტყა გარშემო. ხანდახან მდინარის დამშრალ კალაპოტს გადავივლიდით ხოლმე. მომთაბარეები იყვნენ, ბედუინები. ციდან ალმოდებული დავეშვი და თავად ქვიშასაც ცეცხლი მოედო. დამინახეს, როგორ წამოვდექი ცეცხლმოკიდებული. ჩემს ტყავის ჩაფხუტსაც კი ცეცხლი ეკიდა. სახელდახელო საკაცეზე დამაწვინეს. არტახებით დამაბეს ზედ, როგორც ჩვილი აკვანში და სულ სირბილ-სირბილით გაუდგნენ გზას. ყურში იმათი ნაბიჯების ხმა ჩამესმოდა. მარტო ესღა არღვევდა უდაბნოს მდუმარებას. ასეთი ხანძარი ბედუინებს ადრეც ენახათ - 1939 წლის მერე, ვინ იცის, რამდენი ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავი ჩამოვარდნილა უდაბნოში. დამსხვრეული თვითმფრინავებისა და ტანკების ნაწილებისაგან იმათაც იხეირეს და სამზარეულო ნივთების კეთება ისწავლეს. ეს ის დრო იყო, როცა ზეცაშიც კი ომი მძვინვარებდა. წინდაწინვე ატყობდნენ, რომელი თვითმფრინავი იყო უკვე ჩამოსავარდნად განწირული და დაცემის ადგილის წინასწარ გათვლასაც უკვე იოლად ახერხებდნენ. თითოეულ პატარა ჭანჭიკსაც კი ოქროს ფასი ედო მათთვის. ოღონდ მე ალბათ პირველი ვიყავი, ვინც აფეთქებული თვითმფრინავიდან ცოცხალი გამოათრიეს. არადა, თავზეც კი ცეცხლი მეკიდა... იმათ ჩემი სახელი არ იცოდნენ, მე - მათი გვარ-ტომობა.

- და ვინა ხარ?

- არ ვიცი. ტყუილად მეკითხები.

- ადრე მითხარი, ინგლისელი ვარო.

იმდენად ვერ იღლება, ღამღამობით ძილი მოერიოს. გოგოც თავთით უზის და ზედიზედ უკითხავს რაც რამ წიგნს პოულობს ქვედა სართულზე, ბიბლიოთეკაში. სანთლის ალი წიგნის ფურ-

ცელზე და ახალგაზრდა მედდის სახეზე ციმციმებს; სუსტად ანათებს იმ ხეებსა და ბუჩქებს, ოთახის კედლები რომ დაუფარავთ. კაცი მთელი გულისყურით უსმენს, ღრუბელივით ისრუტავს ყოველ სიტყვას.

თუ ცივი ღამე გამოერია, გოგო ფრთხილად უწვება გვერდით, ოღონდ ოდნავადაც არ ეხება - ნებისმიერი ასეთი შეხება ტკივილის მომგვრელი იქნებოდა კაცისთვის.

ზოგჯერ ღამის ორ საათზეც კი არ ძინავს - წევს ასე, თვალდაჭყეტილი, სრულ სიბნელეში.

ოაზისი მანამდე იყნოსა, ვიდრე დაინახავდა. ჰაერში თითქოს ცვარ-ნამი გამოერია. პალმის ფოთლების შრიალიც მოისმა და ცხენის მოსართავის ჟღარუნიც. მერე - ლითონის ჭურჭლის ჩხარაჩხური. რბილი ქსოვილის დიდრონ ნაჭრებზე ზეთი მოასხეს და ეს ჩვრები დამწვარ სხეულს დაუფინეს. ამან ცოტაოდენი შვება მოჰგვარა. მუდმივად გრძნობდა თავის გვერდით ერთ მდუმარე კაცს, იმის ამონასუნთქს ცნობდა, როცა - ყოველ ოცდაოთხ საათში ერთხელ - დაიხრებოდა, საფენებს უცვლიდა და იარებს უსინჯავდა.

როცა აშიშვლებდნენ, საკუთარ თავს ისევ იმ ალმოდებული თვითმფრინავის გვერდით წარმოიდგენდა ხოლმე. მერე მატყლის საბნებში ახვევდნენ და ერთი დღე-ღამით ასე ტოვებდნენ, შემდეგ გადახვევამდე. ვერაფრით გაეგო, მაინც რა ჯურის ხალხში მოხვედრილიყო, რა ქვეყანაში გამოეყვანათ ფინიკის ასეთი რბილი ჯიში, ჯერ მაინც მის გვერდით მჯდომი ის კაცი რომ უღეჭავდა და მერეღა უდებდა პირში. მაშინ, იმ ხალხთან ყოფნისას, ვერაფრით გაიხსენა, საიდან იყო თვითონ. შეიძლება სულაც იმავე ჯილაგისა, ვისაც თავად ებრძოდა...

მოგვიანებით, უკვე პიზის ჰოსპიტალში, მოეჩვენა თითქოს იმ კაცის სახე დალანდა, ყოველ ღამით რომ ეჯდა თავთით, ფინიკს უღეჭავდა, ურბილებდა და მერეღა უდებდა პირში.

იმ პირველი ღამეების განმავლობაში არ არსებობდა არანაირი ფერი, არ ჩაესმოდა არანაირი საუბარი თუ სიმღერა. ხოლო როცა ეღვიძა, ბედუინები შეგნებულად იგუბებდნენ პირში წყალს და კრინტსაც არ სძრავდნენ. ახლაც, როცა უკვე პალატაში გაბმულ ჰამაკში ირწეოდა, წარმოიდგენდა ხოლმე, თითქოს ასობით ბედუინი ეხვია გარს; არადა, ეგებ მხოლოდ ის ორნი იყვნენ - მისი გადამრჩენლები, ალმოდებული ჩაფხუტი რომ ააგლიჯეს თავიდან. იმ ორსაც ხომ მხოლოდ საკაცეაკიდებული ხალხის ნაბიჯების ხმით თუ იცნობდა.

ასე უჯდა გოგო საწოლთან და მოლიცლიცე სანთლის შუქზე წიგნს უკითხავდა. დროდადრო იმ შენობის გრძელი, ახლა გამოცარიელებული დერეფნის გაყოლებაზეც გაურბოდა თვალი, ერთ დროს რომ სამხედრო ჰოსპიტალი გახლდათ და სადაც სხვა მედდებთან ერთად მსახურობდა, ვიდრე ისინი თანდათან არ შემოეფანტნენ, რაკი ომი უკვე ჩრდილოეთისკენ მიიწევდა და ალბათ თავის დასასრულსაც უახლოვდებოდა.

ეს ის დრო იყო მის ცხოვრებაში, როცა წიგნები საკუთარი სენაკიდან გამოსასვლელ ერთადერთ კარად ესახებოდა და სწორედ ეს წიგნები ექცნენ სულ სხვა სამყაროდ: მიუჯდებოდა მაგიდას, გადაშლიდა წიგნს და იმ ინდოელი ბიჭის ცხოვრებით იწყებდა ცხოვრებას, ვისაც მოეხერხებინა და სინზე დალაგებული, ნაირ-ნაირი საგნებისა თუ ძვირფასი თვლების გარჩევა--დამახსოვრება დაესწავლა; მასწავლებლებიც ბლომად გამოეცვალა - ვინ სხვადასხვა კილოკავს აზიარა, ვინ - ენაზე კბილის დაჭერა ასწავლა, ვინ - ჯადო-მჩხიბაობისაგან თავის დაძვრენა...

ახლა წიგნი კალთაში ედო და უცებ მიხვდა, ხუთ წუთზე მეტია, მეჩვიდმეტე გვერდის კუთხეში, სანიშნედ გადანაკეცს დავცქერიო. ხელი გადაუსვა, ფურცელი გაასწორა. რაღაცა გაუკრთა ფიქრში - ზუსტად ისე, თითქოს თაგვმა გაიფხაკუნა სხვენში, ანდა ფარვანა შემოეფეთა განათებულ შუშას. უნებლიეთ, ამჯერადაც

გრძელი დერეფნისკენ გაექცა თვალი, თუმცა ვილა სან--ჯიროლამოში უკვე სხვა აღარავინ ბინადრობდა - მის და მისი ინ-გლისელი პაციენტის გარდა. სახლის ზემოთ, დაბომბილ ბოსტან-ში, სარჩოდ სამყოფი ბოსტნეული დაეთესათ; ხანდახან კი ქალა-ქიდან ერთი კაციც აკითხავდათ, ვინც სამხედრო ჰოსპიტლის დროიდან შემორჩენილ საპონსა თუ თეთრეულში სხვა აუცილე-ბელ რამე-რუმეებს უცვლიდა - ვთქვათ, მუხუდოსა თუ ხორცის კონსერვებს. იმ კაცმა ორი ბოთლი ღვინოც დაუტოვა და ახლა ყოველ ღამე, როცა თავის ინგლისელს მიაძინებდა, დიდის ამბით შეივსებდა ხოლმე შუშის პაწია მენზურას, მერე სანახევროდ მი-ხურულ კართან მიდგმულ მაგიდას მიუჯდებოდა, საკითხავს გა-დაშლიდა და ნება-ნება წრუპავდა სასმელს.

ამიტომაც, უკვე მერე, მეორე დღეს, ინგლისელს შერჩევით უკითხავდა ხოლმე ამბავს, თხრობის ქარგიდან რაღაც-რაღაცებს ტოვებდა და წაკითხულიც თქეშით გადარეცხილ გზას ემსგავსე-ბოდა - თითქოს ჩრჩილს ქსოვილის ხლართი ამოეჭამა ანდა ხში-რი დაბომბვებით მორყეულ კედელს ბათქაში დასცვენოდა...

ისე, მისი და იმ ინგლისელის საცხოვრებლად ქცეული ეს ვი-ლა ახლა უკვე მართლაც გავდა ნაავდრალ-ნაპარტახევს: ზოგ ოთახში საერთოდ ვერც შეხვიდოდი - იმდენი ნაგავი ეყარა შიგ; ერთ ყუმბარას ქვედა სართულზე ბიბლიოთეკის კედელი გაენ-გრია და იქ უკვე დაუბრკოლებლად აღწევდა მთვარის შუქიცა და წვიმაც, თუმცა კუთხეში მაინც ძველებურად იდგა მუდამ წვიმის წყლით დამბალი სავარძელი.

სხვათა შორის, როცა გოგო საკითხავს ასე თავისებურად ამოკლებდა, ინგლისელის აღქმა დიდად არც ანაღვლებდა და აღარც გამოტოვებული გვერდების მოკლე შინაარსის თხრობით იწუხებდა თავს. უბრალოდ, გადმოიღებდა წიგნს და ეტყოდა: გვერდი ესა და ესაო. ასე იწყებდა ხოლმე კითხვას. დროდადრო

კი კაცის ხელს სახესთან მიიტანდა და დაყნოსავდა ხოლმე - აბა თუ ისევ ასდის ავადობის სუნიო.

- ხელის კანი გაგიუხეშდა, - უთხრა ერთხელ კაცმა.

- ბოსტანში თოხის ქნევამ და სარეველას გლეჯამ იცის.

- ფრთხილად იყავი, გოგოს ხელებს გაფრთხილება უნდა.

- ვიცი.

მერე კი კითხვა დაიწყო.

ხელების თაობაზე მამაც ელაპარაკებოდა ხოლმე - ხელებზეც და ძაღლის თათებზეც. როცა შინ მარტო თვითონ და ძაღლი რჩებოდნენ, თურმე მამამისი დაიხრებოდა ხოლმე და თათებს უყნოსავდა; ასე ამბობდა - მაგის სუნი კონიაკის სურნელსაც კი მირჩევნიაო. და რა ამბებს არ გაიგებდი თურმე ამ დროს! სად ყოფილა, სად უწანწალია... ქალიშვილი ვითომ კი უბრაზდებოდა, მაგრამ ძაღლის თათებს თითქოს მართლა არასოდეს ასდიოდა ჭუჭყის სუნი. „აჰა-ა, დღეს ეკლესიაშიც ყოფილა...“ - იტყოდა ხოლმე მამა. - „ამისა და ამის ბაღშიც შეუვლია... მერე მდელოზეც უნავარდია და გვიმრაშიც გამძვრალ-გამომძვრალა!“ მოკლედ, მისხალ-მისხალ შეეძლო ჩამოეთვალა ძაღლის მთელი იმდღევანდელი ნამოგზაურალი.

ჭერში რაღაცამ გაიფხაკუნა თაგვივით და ქალმაც ერთხელ კიდევ აიღო წიგნიდან თავი.

დამწვარი სახიდან მცენარეული ნიღაბი ააცალეს. მზის დაბნელებას მოელოდნენ და იმიტომ. მაინც, სად იყო? რა ხალხში მოხვდა ასეთში, ამინდისა და შუქ-ჩრდილის თუნდაც უმცირეს ცვლილებას წინასწარ რომ ჭვრეტდნენ? ეგებ ელ-აჰმარის ანდა ელ--აბიადის კონცხზე მოხვედრილიყო, რომელიმე ჩრდილო--დასავლური ტომის შვილებში? იმათთან, ვისაც ციდან ჩამოვარდნილი, ალმოდებული კაცის შველა შეეძლოთ - ოაზისის მცენარეული სალბუნით მისი წამლობა. მთელი მისი სხეულიც ხომ დაწნული ბალახის პერანგით შეემოსათ...

მზერა დაძაბა, შეეცადა, რამე მაინც გაერჩია შავად დაბურული მზის შუქზე. იმ დროისათვის უკვე მისთვისაც ესწავლებინათ, როგორ აღეპყრო ხელები და სამყაროსეული ძალა საკუთარ სხეულშიც შეეწოვა - სწორედ ისე, როგორც უდაბნო იზიდავდა და იწოვდა თვითმფრინავებს. აქამდე ტოტებისაგან შეკრული, მატყლის ასალგადაფარებული ტახტრევნით მოიყვანეს და ახლა ხედავდა, როგორ მდორედ გადაიფრინა მზის ნახევრად დაბნელებული დისკოს ფონზე ფლამინგოების გუნდმა.

სახეზე მუდამ ან საფენს გრძნობდა, ანდა - ღამის სიბნელეს. ერთხელაც, დაბინდებულზე, მაღლა ციდან ისეთი ხმა მოესმა, თითქოს ქარი ეჟვნებს აჟღრიალებდა. ცოტა ხანში ხმა მიწყდა და მისი განმეორების მომლოდინეს, ჩაეძინა კიდეც. გულით უნდოდა, ისევ გაეგონა თითქოსდა ჩიტის ან უდაბნოს მელიის იმ ლეკვის ხორხიდან ამომავალი ეს უცნაური ხმიანობა, ერთ-ერთ ბედუინს თავისი გრძელი ხალათის ჯიბეში რომ ეჯდა.

მეორე დღეს, როცა ჯერ ისევ საფენებში გამოხვეული იწვა, კვლავ მოესმა იგივე, ღამეული ბგერები. გამთენიისას, გაპოხილი საფენები შემოაცალეს და უცებ მოეჩვენა, თითქოს მაგიდაზე კაცის თავი მოძრაობდა და მისკენ მოიწევდა. მერეღა მიხვდა, იმ კაცს ვეება უღელი ადგა, რომელზეც, სხვადასხვა სიგრძის ძაფებსა თუ ზონრებზე, ასობით პატარ-პატარა ბოთლი ეკიდა.

უცნობი ყველაზე მეტად იმ მთავარანგელოზების ნახატს აგონებდა, ბავშვობაში რომ ცდილობდა გადაეხატა და თან ვერაფრით აეხსნა, რანაირად შეიძლებოდა მათ პატარა სხეულებში ამოდენა ფრთების დამჭერი კუნთები ჩატეულიყო. კაცი ნელა, ფრთხილად მოიწევდა წინ, ისე რომ ბოთლები ლამის არც ირხეოდნენ. პაწია ბოთლები, მთავარანგელოზი, ამ ბოთლების მზით შემთბარი მალამო - თითქოსდა საგანგებოდ იარების დასაამებლად გამიზნული... მის ზურგსუკან შუქი კრთოდა - ლურჯი და კიდევ სხვა არაერთი ფერი ქვიშიდან ადენილ ხვატში იმცვრეოდა.

შუშის წკრიალის სუსტი ხმა, ერთმანეთში არეული ფერები, უცნობის მეფური სვლა და მისი, კონდახივით ხმელი, გარუჯული სახე.

უფრო ახლოდან, ბოთლები უხეშად ნაჩორკნი და ქვიშით შებურული ჩანდა, თითქოს შუშას თავისი კეთილშობილი წარმომავლობა დაეკარგა. თითოეულ ბოთლს პატარა საცობი ეკეთა, რასაც კაცი კბილებით აძრობდა, მერე ერთი რომელიმე ბოთლის შიგთავსს მეორეში ურევდა და ამასობაში, ორივეს საცობი პირში ჰქონდა გაჩრილი. პირაღმა მწოლიარეს დამწვარ სხეულს მართლა ასე მთავარანგელოზივით ფრთებგაშლილი დაადგა თავზე, მერე ქვიშაში ღრმად ჩაარჭო ორი სარი, ჩაიმუხლა, უღელს გამოეცალა და ამ სარებზე დატოვა ჩამოდებული. დამწვარ მფრინავს მუხლებზე დამდგარი მიუახლოვდა, კისერზე ცივი ხელისგულები დაადო და კარგა ხანს აღარც მოუშორებია.

სუდანიდან გიზის ჩრდილოეთით მიმავალ საქარავნე, ე. წ. „ორმოცდღიან გზაზე“ ამ კაცს ყველა იცნობდა: ქარავნებს ხვდებოდა, სანელებლებითა და სასმელით ვაჭრობდა და ოაზისიდან ოაზისამდე მიდი-მოდიოდა. ამ თავის ბოთლებიანი უღელით დაიარებოდა და არც უდაბნოს სამუმი აშინებდა - ყურები მუდამ იმ პაწია საცობებით ჰქონდა დაცობილი და თავადაც რაღაც ჭურჭელს წააგავდა, ეს სოვდაგარ-დასტაქარი - საცხების, სუნამოებისა და ავგაროზების უსტაბაში, მართლაც რომ ნამდვილად უანგარო მკურნალი. თავადვე ყნოსვით აგნებდა ყველა გაჭირვებულსა თუ დასნეულებულს და იმ თავისი ბოთლებით მიადგებოდა ხოლმე.

ახლაც დამწვარი კაცის გვერდით იჯდა, ფეხისგულები ისე შეეტყუპებინა ერთმანეთისთვის, რომ თასად ეხმარა, ხელებით თავმოუბრუნებლად ირჩევდა საჭირო ბოთლებს, საცობებს კბილებით აძრობდა და ამ უჩვეულო „თასში“ აზავებდა. ჰაერში ზღვის სურნელი დატრიალდა, ჟანგის სუნიც, ინდიგოსიც, მელნისაც და კიდევ - მდინარის შლამის, პარაფინისა და ეთერის.

ჰაერის ტალღამ ეს ყველაფერი ერთმანეთში არია და თან გაიტა-ცა. შორიდან ამ სურნელებით დამფრთხალი აქლემების ყროყინი მოისმა. კაცმა ნეკნებზე მომწვანო-მოშავო მალამოს შეზელვა დაუწყო, რომელშიც, ყველაფერთან ერთად, იმ ფარშავანგის და-ნაყული ძვლის ნაფშვენიც ერია, სადღაც აქედან სამხრეთით თუ ჩრდილოეთით რომ დაეცინცლა ვიღაცისთვის - როგორც დამ-წვრობის უებარი წამალი.

სამზარეულოსა და ნახევრად დანგრეულ სამლოცველოს შო-რის, ოვალური მოხაზულობის ბიბლიოთეკაში შემავალი კარი დაეტანებინათ. თავად ამ სათავსოში თითქოს ყველაფერი ხე-ლუხლებლად დარჩენილიყო - მხოლოდ მოზრდილი ხვრელი მოჩანდა შორეულ კედელში, ორი თვის წინ აქაურობის დაბომ-ბვის კვალი. ისე, თავად ოთახი თითქოს უკვე შეგუებოდა კიდეც ამ ნაიარევს და უდრტვინველად უშვებდა შიგ ავდარს, ვარსკვლა-ვების ღამეულ შუქსა თუ ჩიტების ჭიკჭიკს. ბიბლიოთეკაში ტახტი, რუხ შალითაჩამოცმული ფორტეპიანო, ჭერამდე აწოწილი წიგ-ნის თაროები და დათვის ფიტულიც მოჩანდა. გამონგრეული კედ-ლის სიახლოვეს თაროები წვიმის წყალს გაეჟღინთა და წიგნების სიმძიმეც გაეორმაგებინა. აქაურობას ელვაც ხშირად სტუმრობ-და, მოულოდნელად გაიკლაკნებოდა ხოლმე შეფუთულ ფორტე-პიანოსა თუ იატაკზე დაფენილ ხალიჩაზე.

მოპირდაპირე კედელზე შუშის კარი დაეტანებინათ, ახლა უკ-ვე ფიცარაკრული. სხვა შემთხვევაში, გოგო ალბათ ბიბლიოთე-კიდანვე გავიდოდა ღია აივანზე, მერე იქიდან ოცდათექვსმეტ მორყეულ საფეხურს ჩაათავებდა, სამლოცველოს ჩაუვლიდა და იქით გაეშურებოდა, სადაც ერთ დროს აბიბინებული მდელო იწონებდა თავს, დღეს უკვე ჭურვებითა და ყუმბარებით დათხრილ-დაღარული. უკან დახევისას, გერმანელებმა ბევრი სახლი დანაღმეს, ამიტომ ამ ბიბლიოთეკასავით უსარგებლოდ

ქცეული ოთახების უმეტესობა უსაფრთხოების გამო ჩარაზეს და შეფიცრეს.

როცა სულ პირველად, საღამოს ბინდბუნდში, მეორე მხრიდან შევიდა იქ, ქალმა უკვე წინდაწინვე იცოდა ყველა შესაძლო საფრთხის ამბავი და უცებ იგრძნო საკუთარი სხეულის სიმძიმე - სრულიად საკმარისი, ფიცრული იატაკის ქვეშ დატოვებული ნებისმიერი სახის სიკვდილის მანქანის ასამოქმედებლად. ერთი არასწორი ბიჯი და მისგან მხოლოდ მტვერიღა დარჩებოდა და კიდევ - ჭერში გაჩენილი პირდაფჩენილი ხვრელი...

თაროსთან მისულმა, ერთიანად შეწებებული წიგნებიდან ხრიწინით გამოაძვრინა რომელიღაცა - ყდაზე ლაჟვარდისფერი ცა, კამკამა ტბა და მორჭმით მჯდომი ინდიელი გამოესახათ. ოთახის მრუმე შუქში არც სათაურის გარჩევა გასჭირვებია: „უკანასკნელი მოჰიკანი“. მერე ისევ ისე, ფეხაკრეფით გამოემართა უკან, თითქოს ოთახში სხვაც ყოფილიყო ვინმე და მის შეწუხებას ერიდებოდა. სიფრთხილის გამო, საკუთარსავე ნაფეხურებზე ადგამდა ფეხს, ოღონდ თან ცოტა თამაშობდა კიდეც - თითქოსდა უჩინმაჩინად წარმოედგინა თავი. კარი მიხურა, ზედ აკრული გამაფრთხილებელი აბრაც თავის ადგილას დააბრუნა.

უკვე იმ თავისი ინგლისელი პაციენტის ოთახში იჯდა, ფანჯარასთან. ზურგი ფოთოლნარით მოხატული კედლისთვის შეექცია და თვალწინ გადაშლილ ველს გასცქეროდა. წიგნი გადაშალა. ფურცლებს ნესტი გაჯდომოდა. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს რობინზონ კრუზო იყო, ნაპირზე გამორიყული წიგნი ეპოვა და ახლა ფრთხილად ფურცლავდა, მზისთვის მისაფიცხებლად. „1757 წლის ამბები, დასურათებული ნ. ქ. უეითის მიერ“. როგორც ყველა სანაქებოდ გამოცემულ წიგნს, ამასაც ახლდა ილუსტრაციების ჩამონათვლიანი ცალკე გვერდი და თითოეულ ილუსტრაციას საკუთარი ტექსტიც ერთვოდა.

კითხვას იმ რწმენით შეუდგა, უთუოდ მექნება სხვისი ცხოვრებით მცირე ხანს ტკბობის განცდაო - იმ მოვლენებით ნაქსოვ თავგადასავალში მოხვედრის, ოცი წლის მანძილზე რომ გაიწელა; მერე კი სინანული, სევდა და ნაღველი დარევდა ხელს, რადგან ტკბილი სიზმრიდან ახლადგამოღვიძებულივით, ვეღარაფრით გაიხსენებდა, მძინარეს რა გადახდენოდა თავს.

პატარა ქალაქი იტალიის მთიანეთში, ძველთაგანვე ჩრდილო-დასავლეთის გზის ეს ერთ-ერთი საგუშაგო, უკვე თვეზე მეტი იყო ალყაში მოქცეული. მთავარ სამიზნეებად ორი დიდი ვილა და ვაშლისა და ქლიავის ბაღებით გარშემორტყმული მონასტერი გაეხადათ, რადგან ვილა მედიჩიში მაღალი რანგის ოფიცრობა დაბინავებულიყო, ხოლო უფრო ზემოთ კი ვილა სან--ჯიროლამო იდგა - ყოფილი მონასტერი. ამ შენობის მყარი კედლები გერმანელებს თავიანთ უკანასკნელ საცეცხლე წერტად ექციათ და იქ მთელი ერთი ასეული გამაგრებულიყო. როცა ქალაქს ისე დაუწყეს ფლეთა ყუმბარებმა, როგორც სამხედრო კრეისერს ღია ზღვაში, ბაღებში გაშლილ კარვებში დაბინავებულმა ჯარისკაცებმა საჩქაროდ მონასტრის ისედაც ხალხით გადაჭედილ სენაკებს მიაშურეს. სალოცავების ნაწილი ყუმბარამ ჩამოაქცია და ვილის ზედა სართულის კედლებიც ჭურვებმა გაანგრია. როცა, ბოლოს და ბოლოს, ეს შენობა მოკავშირეთა ხელში გადავიდა, იქ სამხედრო ლაზარეთი გამართეს, თუმცა კი მესამე სართულზე ამავალი კიბე უკვე სიცარიელეში ბოლოვდებოდა... ერთი ეგაა - ნგრევას საბუხრე მილი და სახურავის ნაწილი მაინც გადაურჩა.

ქალმა და ინგლისელმა მაინც აქ დარჩენა დაიჟინეს, როცა სხვა მედდები და პაციენტები სამხრეთით, უფრო უსაფრთხო ადგილას გადაიყვანეს. თავდაპირველად ძალიან სციოდათ, რაკი შენობაში ელექტრობა აღარ იყო. ზოგიერთ, დაბლობისკენ გამავალ ოთახს კედლებიც აღარ შერჩენოდა: შეაღებდა რომელიმე

კარს და იქ მარტო აგურების გროვა და კუთხეში მომწყვდეული, უკვე ფოთლებით მოფენილი ეული საწოლიღა თუ დაუხვდებოდა. მეტწილად კი კარები პირდაპირ ცარიელ სივრცეში იღებოდა, ჩიტების სათარეშოდ რომ ქცეულიყო.

ხის კიბის ქვედა საფეხურები წასვლის წინ, ჯარისკაცების მიერ დანთებულმა კოცონმა შეიწირა; ამიტომ ქალს მოუწია ბიბლიოთეკაში შესულიყო, ოციოდე წიგნი გამოეტანა, ერთმანეთზე დაეჭედებინა და ასე აღედგინა სულ ქვედა ორი საფეხური. სკამების უმეტესობაც ცეცხლის დასანთებად ეხმარათ, ბიბლიოთეკის სავარძლისთვის კი მარტო იმიტომ არ ეხლოთ ხელი, მუდამ დამბალი რომ იყო კედელში ყუმბარის დანატოვარი ნაპრალიდან შემოსხმული წვიმების წყალობით. მოკლედ, 1945 წლის იმ აპრილის თვეში, დაწვას მხოლოდ ის გადაურჩა, რაც კი რამ ნოტიო და სველი აღმოჩნდა.

საწოლებიც თითზე ჩამოსათვლელი დაუხვდათ. ქალმა ამჯობინა სხვადასხვა ოთახში ეთია ღამე - ან ჰამაკში, ანდა იატაკზე დაგებულ ლეიბზე. ხანაც ინგლისელი პაციენტის ოთახში იძინებდა ხოლმე, ზოგჯერ - დერეფანში: იმისდა მიხედვით, ცხელოდა თუ ციოდა, ქარი ქროდა თუ წვიმდა. დილაობით ლეიბს კეცავდა და ასე დახვეულს, ბაწრით კრავდა. თანდათან დათბა და ისიც უფრო და უფრო მეტი ოთახის კარს ტოვებდა ღიას; იქაურობას ანიავებდა და ამით ნესტსაც აშრობდა შორეულ კუთხეებში. ხანდახან ღამეს ცარიელ კედლებად დარჩენილ ოთახებშიც კი ათევდა: ლეიბს იატაკის ზედ კიდეზე შლიდა და თვალდაჭყეტილი ასცქეროდა ხოლმე ვარსკვლავებით მოჭედილ ცარგვალს, მდორედ მოსრიალე ღრუბლებს; ზოგჯერ, მოულოდნელად, ქუხილის ხმა და ელვის ნათებაც აღვიძებდა. ოცი წლის გახლდათ, უდარდელი, და ასეთ დროს საფრთხეზე საერთოდ არ ფიქრობდა ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა არ ეფიქრა - ვთქვათ, ბიბლიოთეკაში ჩარჩენილ ნაღმებზე ანდა წვიმიან ღამით მეხის შე-

საძლო დაცემაზე. ცივმა თვეებმა გააბეზრეს, ყელში ამოუყვანეს ერთფეროვანი, ჩაჟამებული სივრცე. ამიტომაც ხალისით დაიარებოდა ჯარისკაცების ნაცხოვრებ ოთახებში, რომელთა ავეჯი ახლა ნახშირის გროვებადღა დარჩენილიყო ყველგან. ასუფთავებდა იქაურობას - ფოთლებს ხვეტდა, ადამიანთა დანატოვარი სიბინძურეების კვალს შლიდა... თავად უსახლკარო მაწანწალასავით ცხოვრობდა, მაშინ როცა ის მისი ინგლისელი პაციენტი მართლაც მეფესავით გართხმულიყო თავის სარეცელზე.

გარეშე თვალისათვის სახლი უკაცრიელს გავდა. გარეთა კიბე წელში გადამტყდარიყო და მისი მოაჯირებიც უმწეოდ გადმოკიდულიყო ჰაერში. ეგებ ასე სჯობდა კიდეც - უფრო უსაფრთხოდ იქნებოდნენ და ზედმეტ ყურადღებას არც მიიქცევდნენ. ღამღამობით მხოლოდ ერთ სანთელს ანთებდნენ იმ ყაჩაღების შიშით, ქვას ქვაზე რომ არ ტოვებდნენ თავიანთ გზაზე.

ძალიან შველოდათ ის ამბავი, ვილა ახლა ნანგრევების გროვას რომ დამსგავსებოდა. თვითონ გოგო - თუმცა სინამდვილეში, ჯერაც სანახევროდ ბავშვი - დარწმუნებული იყო, იმაზე უარესი არაფერი დაემართებოდა, რაც ამ ომის დროს უკვე გადაეტანა და საკუთარი თავისთვის რამდენიმე მკაცრი წესიც დაედო: უკვე ვერანაირი ბრძანება და იძულება ვერ უბიძგებდა რაღაც უზენაესი სიკეთის ბრმა მსახურებას - ახლა მხოლოდ ამ კანდამწვარ პაციენტზე ზრუნვა მიაჩნდა საკუთარ ვალდებულებად. წიგნსაც წაუკითხავდა, დაბანდა კიდეც და მორფის ულუფასაც მისხალ-მისხალ შეუყვანდა ხოლმე ვენაში... არც საუბარს დაამადლიდა და არც მისი მოსმენა მობეზრდებოდა.

გოგო ბაღსა და ბოსტანსაც უვლიდა. დაბომბილი სამლოცველოდან ორმეტრიანი ჯვარცმა გამოათრია და ახალი ნათესების ბოლოში, საფრთხობელად ჩაარჭო. თან ზედ კონსერვის ცარიელი ქილებიც დაკიდა - ქარიან ამინდში ერთმანეთს რომ ეხლებოდა და ასე აფრთხობდა აბეზარ ჩიტებს. ღამღამობით კი

მეტწილად ფანჯარასთან, სანთლით განათებულ ნიშაში იჯდა ხოლმე და იქვე ინახავდა თავის მომცრო ჩემოდანსაც, რაშიც ბევრი არც არაფერი ელაგა - წერილების დასტა, კოხტად დაკეცილი რამდენიმე კაბა და წამლებისათვის განკუთვნილი რკინის ყუთი.

ჩაბნელებულ დერეფანში ასანთს გაჰკრა და სანთელი აანთო. შუქი მხრებამდე უნათებს სხეულს. თვითონ მუხლებზე დგას, ხელებს თეძოებზე იწყობს და ხარბად იყნოსავს გოგირდის სუნს. ეჩვენება, თითქოს ამ სუნთან ერთად, მისი სუნთქვა სანთლის შუქსაც იწოვს.

უკან-უკან მიიწევს და ცარცის ნატეხით ხის იატაკზე ოთხკუთხედს ხატავს. მერე კიდევ ინაცვლებს ადგილს და მეტსა და მეტს უმატებს - ერთი, მერე ორი, მერე ისევ ერთი და ასე შემდეგ. მარცხენა ხელით იატაკს ეყრდნობა და ჩაფიქრებული სახით საქმიანობს. უფრო და უფრო შორდება შუქის წყაროს. ბოლოს წამოჯდება, ოღონდ წელში ბოლომდე არ სწორდება და ერთხანობა ასე ჩაცუცქული რჩება.

ცარცის ნატეხს კაბის ჯიბეში ინახავს. წამოიმართება, კაბის ერთ კალთას ქამარში იკეცავს. მეორე ჯიბიდან ლითონის რაღაც ფირფიტას იღებს და ისე იგდებს წინ, ყველაზე შორეულ ოთხკუთხედს რომ უწიოს.

ახლა მოწყვეტით ხტება წინ და ზურგსუკან მისი ჩრდილი დერეფნის ბოლოსკენ იწვართება. სწრაფად ირჯება, რეზინისძირიანი ფეხსაცმელებით ზუსტად იმ რიცხვებს დააბიჯებს ხოლმე, წინდაწინვე რომ ჩაუწერია თითოეულ ოთხკუთხედში. ჯერ ცალი ფეხით ჩახტება, მერე - ორივეთი ერთად, მერე - ისევ ცალით, ვიდრე სულ ბოლო „უჯრედს“ არ მიაღწევს.

იხრება და იმ ლითონის ფირფიტას იღებს. ცოტა ხანს ასე, უძრავადაა წახრილი, კაბის ცალი კალთა ისევ ქამარში აქ ჩატანებული, ხელები უღონოდ ჩამოუყრია და ჩქარ-ჩქარა სუნთქავს. მე-

რე პირით ერთი ხარბად შეისუნთქავს ჰაერს და სანთელს სულს უბერავს.

ირგვლივ ისევ სიბნელე ისადგურებს. ჰაერში ნამწვის სუნი დგება.

წელში სწორდება, საპირისპირო მხარეს ტრიალდება და ახლა კიდევ უფრო აჩქარებით მოუყვება დერეფანს უკან. ახლა უკვე ალალბედზე ხტება ნაცნობ „უჯრედებში“. მისი რბილლანჩიანი ფეხსაცმელებიც ხმამაღლა ტყაპუნობენ იატაკზე და მათი გამოძახილი აქეთ-იქით ეხლება გამოცარიელებული იტალიური ვილის შორეულ კუთხე-კუნჭულებს, იქაურობასაც სცდება და მთვარის შუქზე, გარშემო შემოჯარულ კლდეებს ეხლება.

ინგლისელ პაციენტს ღამღამობით ეჩვენება ხოლმე, თითქოს მთელი შენობა ოდნავ თრთის და ირყევა. სმენას ძაბავს - ცდილობს გამოიცნოს, საიდან მოდის ეს აუხსნელი ხმები.

კაცის საწოლის გვერდით მდგარი პატარა მაგიდიდან გოგო მომცრო ზომის წიგნს იღებს. ეს ის წიგნია, პატრონს ცეცხლში რომ გამოუტარებია - ჰეროდოტეს „ისტორიის“ ერთი ტომი. სხვათა შორის, კაცს მის გვერდებზე საკუთარი დაკვირვებებისა და შენიშვნების ჩატევაც მოუხერხებია და ეს ნაწერი უმტკივნეულოდ მეზობლობს ჰეროდოტეს ტექსტთან. შიგ რაღაც-რაღაც სხვა წიგნებიდან ამონაწერებიც ჩაუწებებია, ნახატებითურთ.

გოგოც ამ წვრილი, გაკრული ხელით ნაწერის კითხვას იწყებს.

სამხრეთ მაროკოში ქარბორბალა იცის ხოლმე, ააჯეჯს ეძახიან და მისგან იქაური ფელახები დანებით იცავენ თურმე თავს. არის კიდევ აფრიკო, რომლის ქროლვასაც ზოგჯერ თავად ქალაქ რომამდეც კი მიუღწევია; ალმი - იუგოსლავიიდან დაძრული თქეშიანი წვიმაა; არიფი - სხგვარად არეფსა თუ რიფისაც რომ უწოდებენ - უთვალავი ენით გსუსხავს და გშაშრავს. ეს ყველა მარადი ქარებია და დღევანდელ დღესაც ძველებურად ცოცხლობენ.

ასევე სხვა, უფრო ცვალებადი ქარებიც არსებობს, სხვადასხვა მხრიდან რომ ქრიან, შეუძლიათ ცხენ-მხედარი ერთად დაანარცხონ ძირს და მერე საათის ისრის საწინააღმდეგოდ იცვალონ გეზი. ბისტ როზი ავღანეთში იჭრება და მერე ასსამოცდაათი დღე ქრის - მთელ სოფლებს მარხავს ცოცხლად; ტუნისიდან ცხელი, მშრალი ღიბლი უბერავს - ისე უსასრულოდ და მომაბეზრებლად, სიგიჟემდე მიჰყავს ხალხი. ჰაბუბი სუდანური მტვრის გრიგალია, ვეება ყვითელი კედელივით დაძრული, რასაც მერე წვიმა მოსდევს; ჰარმათანიც გვარიანად აბეზარი ქარია, ბოლოს ატლანტის ოკეანეში რომ იღრჩობს თავს; იმბათი კი პირიქით - ზღვიდან უბერავს ჩრდილო აფრიკაში. ზოგიერთი ქარი უბრალოდ, ზეცისკენ აღვლენილ ოხვრას წააგავს: მაგალითად, ქვიშის ღამეული გრიგალები, სიცივეების დადგომისას რომ იცის ხოლმე; ჰამსინი ეგვიპტეში, მარტიდან მაისამდე ქრის და მისი სახელი არაბული სიტყვა „ორმოცდაათიდან“ მომდინარეობს, რაკი ეგვიპტისათვის ეს „მეცხრე წყევლა“ სწორედ ამდენ დღეს გრძელდება. აი, გიბრალტარიდან დაძრულ დატუს კი თან იქაური კეთილსურნელება მოაქვს.

არის კიდევ უდაბნოს ერთი იდუმალი ქარი, რომლის სახელსაც სამუდამოდ დაადო ტაბუ მავანმა მეფემ, რომლის ვაჟიც ამ ქარმა იმსხვერპლა. ნაფჰატი - არაბეთიდან მოვარდნილი ქარბუქია; მეზარ-იფულუსენი - სამხრეთ-დასავლეთიდან მონაბერი სასტიკი, ცივი ქარაშოტი, რასაც ბერბერები „ბუმბულის მგლეჯელს“ უწოდებენ; ბეშაბარი კი კავკასიიდან წამოსული კუშტი ხორშაკია - სხვაგვარად, „შავი ქარი“. თურქული სამიელით - „შხამიანი ქარით“ არაერთხელ უსარგებლიათ ბრძოლებში, ისევე როგორც სხვა მომწამლავი ქარით - ჩრდილო-აფრიკული სიმუმითა და ასევე, სოლანოთიც, რომელიც გზადაგზა, იმ იშვიათი მცენარეების ფოთლებს გლეჯს, თავბრუსხვევას რომ იწვევს ხალხში.

არსებობს სხვა იშვიათი ქარებიც.

ღვარცოფივით გადაუვლიან ხოლმე დედამიწას, კედლებს ბზარავენ, ხეებს გლეჯენ, ქანდაკებებს ამხობენ და ლოდებს აბრუნებენ. ცეცხლივით წითელი ქვიშით გაჯერებული ჰარმატანი საჰარაში ქრის, თოფის ლულებს გაცრილი ფქვილივით წვრილი სილით ავსებს და ეს ქარი კორნუელსა და დევონსაც კი უწევდა თურმე ერთ დროს. იქ ის წითელი ტალახის წვეთებად ჩამოდიოდა ციდან და ხალხს ეს სისხლის ნიაღვრები ეგონა.

ჰაერში მუდამ მილიონობით ტონა მტვერი ტრიალებს, ისევე როგორც მიწა - მილიონობით კუბური მეტრი ჰაერითაა გაჯერებული. ნიადაგშიც ბევრად მეტი ცოცხალი არსება ბუდობს (მატლი, ხოჭო თუ ჭიაყელა) ვიდრე მის ზედაპირზე. ჰეროდოტე მთელ არმიებს ახსენებს, სიმუმში მოხვედრილთ, მერე თვალითაც რომ აღარავის უნახავს. ერთ-ერთი ქვეყანა კი „ისე განურისხებია ამ ბოროტ ქარს, ომიც კი გამოუცხადებიათ მისთვის, იარაღიც აუსხამთ, ოღონდ შეტევაზე გადასულან თუ არა, წამსვე მიწაში ჩაუბეკნია ამ ულმობელ ძალას“.

მტვრიანი გრიგალები სამგვარი სახისაა: ქარაშოტი, სვეტი, კედელი. პირველ შემთხვევაში, ცისკიდური საერთოდ არ ჩანს; მეორეში - მოცეკვავე ჯინები გერტყმიან გარს; მესამეში კი თქვენს წინაშე სპილენძისფერი კედელი აღიმართება და მთელ ქვეყნიერებას თითქოს ცეცხლი უკიდია.

გოგომ ფურცელს თვალი მოაცილა და კაცის მზერას გადააწყდა. კაცი სიბნელეში ალაპარაკდა:

სიმართლე ითქვას, ბედუინები არც მთლად უანგაროდ მელოლიავებოდნენ - გარკვეულ სარგებელს ელოდნენ ჩემგან. იმათგან ვიღაცამ დაასკვნა, ამის ალმოდებული თვითმფრინავი ისე დაეშვა ქვიშაზე, თავისი საქმე უთუოდ რიგიანად უნდა იცოდესო - მაგალითად, ქალაქის ცნობა შეეძლება ნახაზზეო. და მართლაც, მუდამ ზღვა ინფორმაციას დავატარებდი თავით: მე ის კა-

ცი ვარ, თუკი უცხო ბინაში მარტო დატოვე, პირდაპირ წიგნის კარადას მიადგება, რომელიმე ტომს გადმოიღებს და სულმოუთქმელად შეისრუტავს... მართლაც კარგად ვიცოდი ზღვის ფსკერის რუკები - ისინი, რომლებიც დედამიწის ქერქის სისუსტეებს ავლენს; ტყავზე გამოხაზული ის გზამკვლევები, ჯვაროსნული ლაშქრობების სხვადასხვა გეზს რომ ასახავენ.

მოკლედ, ვიდრე მათ სამყოფელში დავენარცხებოდი მიწას, უკვე იქამდე ვიცნობდი იმ არემარეს; ვიცოდი, როდის გადასერა იქაურობა ალექსანდრე დიდმა, უხსოვარ დროს - ცნობისწადილსა თუ სიხარბეს აყოლილმა. კარგად ვიცნობდი აბრეშუმსა თუ ჭებს გადაგებულ მომთაბარეთა ადათ-წესებს. ერთ-ერთმა ტომმა მთელი ხეობა გადაბუგა, ერთიანად გადააშავა იქ მხუთრის მოსამატებლად და შესაბამისად, წვიმიანობის ალბათობის გასაზრდელად; მერე მაღალ-მაღალი ნაგებობებიც წამოჭიმეს - აქაოდა ღრუბელი გამოედება და ფაშვიც დაეწრიტებაო! არსებობდნენ ისეთი ტომები, რომლებიც წამობერილ ქარს ხელის გაშლილ მტევნებს უხვედრებდნენ - ასე სჯეროდათ, თუ ამას დროულად მოიმოქმედებდნენ, გრიგალს უდაბნოს სხვა, მეზობელი, მოქიშპე ტომის მიწისაკენ უზამდნენ პირს.

უდაბნოში ძალზე ადვილია საზღვრების განცდა დაგეკარგოს. როცა ზეციდან ქვიშას დავასკდი, იმ ყვითელ მდუმარებას, ერთადერთი იმაზე ვფიქრობდი - ტივი, ტივი უნდა შევკრა-მეთქი!

მართალია, მშრალი ქვიშა მერტყა გარს, მაინც ვიცოდი, რომ წყლის ხალხში ვიმყოფებოდი.

ტასილში კლდეებზე შემორჩენილი იმდროინდელი ნახატები მინახავს, როცა საჰარას მცხოვრებნი ლერწმის ნავებიდან ხოცავდნენ ჰიპოპოტამებს. ვადი-სურაში კი ის გამოქვაბულები ვნახე, რომელთა კედლებიც მოცურავეთა გამოსახულებებითაა დაფარული. ერთ დროს აქაც ტბა ყოფილა. შემეძლო ამ ტბის მოხა-

ზულობა ახლა მე დამეხატა კედელზე, იმ ჩემი ბედუინებისათვის. ექვსიათასი წლის წინანდელ მის ნაპირზე მიმეყვანა ისინი.

ჰკითხეთ რომელიმე ზღვაოსანს, რომელია უძველესად ცნობილი აფრა, და ის უთუოდ ტრაპეციის ფორმის იმ ნაჭერს აღგიწერთ, რომელიც ნუბიაში, კლდეზე გამოსახულ, ლერწმისაგან შეკრულ ნავს ეკეთა, უხსოვარზე უხსოვარ დროს. სხვათა შორის, უდაბნოში დღემდე პოულობენ ბარჯებს. აქაურები ნამდვილად წყლის ხალხი იყო. ახლაც კი, საქარავნე გზები მდინარეებს გვანან და მაინც, ამ მიდამოში დღეს უცხოდ სწორედ წყალი მოჩანს. ის ახლა დევნილია, მშობლიურ წიაღს მათარებითა თუ თუნუქის ქილებით დაბრუნებული, აჩრდილად ქცეული თქვენს პეშვებში თუ ბაგეებზე.

როცა ამ ხალხს შორის ჩავიკარგე და არც კი ვიცოდი სად ვიმყოფებოდი, ერთადერთი რაც მჭირდებოდა, ან პატარა მთაგრეხილის სახელი იყო, ან ერთი რამ ადგილობრივი ადათი, ანდა - გადაშენებული ცხოველის ნებისმიერი გაქვავებული მალა და მაშინ, მთელი სამყაროს რუკაც თავისუფლად დალაგდებოდა.

რა ვიცოდით ადამიანთა უმეტესობამ აფრიკის ამგვარი მხარეების თაობაზე? ნილოსის ტალღები აქეთ-იქით მიექანებოდნენ რვაასი მილის სიგრძის ბრძოლის ველად ქცეული უდაბნოს სიღრმეში. „უიპეტის“ ტანკები, „ბლენჰაიმის“ საშუალო სიშორის ბომბდამშენები, „გლადიატორის“ ავიაგამანადგურებლები, რვა ათასი ჯარისკაცი... მაგრამ მტერი ვინღა იყო? ან მოკავშირე ვინ ყავდა აქაურობას - სირენაიკას ნოყიერ მიწებს, ელ-აგეილას მლაშე ჭანჭრობებს? მთელი ევროპა თავის ომს ომობდა ჩრდილო აფრიკაში, სიდი-რეზეგში, ბაგუჰში.

ბედუინებმა ხუთი დღე ატარეს ბნელში, საკაცით. სახეზე გაპოხილი ნაჭერი ეფარა და ტანზეც - მატყლის ასალი. მერე უცებ აცივდა. მაღალ, წითელ კლდეებს შორის მოქცეულ ხეობას მიადგნენ, სადაც უდაბნოს წყლის ტომის ხალხი სახლობდა და ნელი--

ნელ ილეოდა, ქვიშასა და ქვაში იწრიტებოდა, ოღონდ ლურჯი სამოსი კი დღესაც ფრთებივით ეშლებოდათ ქარში. ფრთხილად მოაშორეს ტანზე მიკრული, რბილი საფენი. მაღლა ცაში სვავები ირეოდნენ, ისევე როგორც ამ ათასი წლის წინ და ჯიუტად დასტრიალებდნენ ახლა მის თავშესაფრად ქცეულ ქვის ნაპრალს.

დილით ღრმა ხეობის შორეული ბოლოსაკენ წაიყვანეს. გზაში ხმამაღლა ლაპარაკობდნენ ყველანი და მათი კილოკავიც უცებ უფრო გასაგები ეჩვენა. თურმე აქ ჩამარხული იარაღის გამო მოეყვანათ.

ჯერ რაღაცას ეძებდნენ. მერე, სახეზე ნაჭერდაფენილს, ხელში ცივი ლულა შეაჩეჩეს.

- „ბრედას“ ტყვიამფრქვევია, თორმეტმილიმეტრიანი. იტალიური წარმოებისა.

ჩახმახი გამოწია. თითით შეამოწმა, იდო თუ არა ლულაში ტყვია, მერე სასხლეტს გამოკრა. ჩხაკუნის ხმა გაისმა.

- კარგი რამეა. - ჩაიბურტყუნა. ახლა სხვა მიაჩეჩეს.

- „შატელერო“, ფრანგული წარმოების ხელის ტყვიამფრქვევი. შვიდნახევარი მილიმეტრი. 1924 წლის გამოშვება.

- გერმანული MG-15, საზენიტო ტყვიამფრქვევი, ყალიბი 7,9.

ასე სათითაოდ გაასინჯინეს თითოეული ცალი. იარაღი სულ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში იყო ნაკეთები და ახლა ამათ აქ ნამდვილი მუზეუმი გაემართათ. ჯერი-ჯერზე გადაატარებდა თითს ლულასა თუ მჭიდზე, სამიზნესაც მოუსინჯავდა, მერე ხმამაღლა ასახელებდა და შემდეგზე გადადიოდა. მთლიანობაში, რვა სახეობის ცეცხლსასროლი იარაღი გაასინჯინეს. სახელწოდებებს მკაფიოდ, ხმამაღლა ამბობდა - ჯერ ფრანგულად, მერე კი ტომის ენაზეც. ოღონდ რაში სჭირდებოდათ აქაურებს ეს ყველაფერი? ალბათ, არა ამ უცნაური სახელების გასაგებად, არამედ იმაში დასარწმუნებლად, რომ ის ყოველ მათგანს სცნობდა.

მერე ვაზნებით სავსე ყუთში ჩააყოფინეს ხელი, მაჯამდე. მეორე ყუთში სხვა ყალიბის ვაზნებიც ელაგა, შვიდმილიმეტრიანები.

ბავშვობაში დეიდასთან იზრდებოდა და ისიც ეზოს ბალახზე გაშლილი ბანქოს დასტით ასწავლიდა თამაშს. თითოეულ მოთამაშეს მხოლოდ ორი ქაღალდის ამოტრიალების უფლება ეძლეოდა, საბოლოოდ კი, მახსოვრობის წყალობით, მათი ჯერი-- ჯერზე დაწყვილება უნდა მოეხერხებინა. ოღონდ ეს ყველაფერი სულ სხვა გარემოში ხდებოდა - იქ, სადაც ნაკადულები მორაკრაკებდნენ, იმ ნაკადულებში კი კალმახები დაცურავდნენ და მიდამოს ჩიტების ჭიკჭიკი აყრუებდა. იქ ყველაფერს თავისი სახელი ერქვა. ახლა კი, როცა სახეზე ნიღაბდაფარებულმა, ყუთიდან ვაზნა ამოიღო, თავისი თანმხლებების დახმარებით საჭირო იარაღთან მივიდა, ტყვია ლულაში ჩადო და ჰაერში გაისროლა. ხმა მიეხალა ხეობის კედლებს. „ექო - ეს სიცარიელეში გამოღვიძებული ხმის სულია“. ოდესღაც, ინგლისურ ლაზარეთში ამ სიტყვების დამწერს ყველანი უკარება და ცოტა არ იყოს, შეშლილ ვინმედ მიიჩნევდნენ; თავად კი, უდაბნოში მოხვედრილი, ახლა სრულ ჭკუაზე გახლდათ და სიგიჟის არც არაფერი ეცხო - როგორც ადრე იოლად ირჩევდა და აწყვილებდა ბანქოს ქაღალდებს, ახლა ასევე იოლად უსადაგებდა ტყვიას შესაბამის ლულას და ჰაერში ყოველ გასროლასაც მისთვის უცნაური ხალხი ყიჟინით ეგებებოდა. ერთ-ერთი მათგანი სულ თან დაყვებოდა და პირბასრი დანით, ყალიბის ერთსა და იმავე ციფრს ვაზნებიან ყუთებზეც კაწრავდა და იარაღის ლულებზეც. მას კი სიარული ეხალისებოდა კიდეც, ახლა ბევრად უკეთ გრძნობდა თავს, ამდენი ხნის წოლისა და სიმარტოვის მერე. ცოდნით გადაუხადა ზრუნვის საფასური იმ ადამიანებს, რომლებსაც თუნდაც ანგარების გამო ეხსნათ მისი სიცოცხლე.

გზადაგზა ისეთი სოფლებიც ხვდებათ, სადაც ქალი არ ჭაჭანებს. მისი გასაოცარი ცოდნა-უნარის ამბავი თითქმის წინდაწინვე გადაეცემა ტომიდან ტომს. ამ მხარეში რვა ათასი ადამიანი სახლობს და ყველა ტომი თავისებურია; ისიც თანდათან ეზიარება განსხვავებულ ადათ-წესებსა თუ სრულიად გამორჩეულ მუსიკას. მეტწილად თვალახვეული, ზინას ტომის აღტკინებულ სიმღერებს უსმენს, წყლის სადიდებლებს, რასაც თან როკვასაც აყოლებენ სალამურების ხმაზე და ეს ხმიანობა, იმავდროულად, საფრთხის დროს გაფრთხილებადაც გაისმის ხოლმე. მერე მეორე სოფელში გადადიან, სადაც უკვე ძირითად საკრავად ხუთსიმიანი ქნარი გაუხდიათ. ყოველი ახალი დასახლება თუ ოაზისი თავ--თავისი ჰანგებითა და მოძახილებით ეგებება, ტაშის კვრითა და ფერხულით.

თვალებიდან საფენს მხოლოდ დაბინდებულზე ხსნიან და მაშინ უკვე შეუძლია დაინახოს ერთდროულად თავისი დამტყვევებლებიცა და მხსნელებიც. ამ დროს უკვე ისიც იცის ხოლმე, სად იმყოფება. ვიღაც-ვიღაცებისთვის იმ ადგილების რუკებსაც ხატავს, მათი სამყოფელის ფარგლებს მიღმა რომ მდებარეობს; სხვებს იარაღის აგებულება-მოწყობილობას უხსნის. დამკვრელები კოცონთან, მოშორებით სხედან. სიმსიმიას ქნარის კვნესა თითქოს კოცონის ცეცხლში გამოვლილი აღწევს მის ყურთასმენამდე. კოცონთან პატარა ბიჭიც ცეკვავს, რომლის ცქერასაც მას ახლა არაფერი უჯობს. ბავშვს პაპირუსივით სიფრიფანა მხრები აქვს, ცეცხლის გამონაშუქზე ოფლის წვეთები უბრწყინავს მუცელზე, ტილოს ლურჯი პერანგის ჩანაჭერში სიშიშვლე ისე გამოუკრთება ხოლმე, როგორც ელვის ენა ჩაბნელებულ ცაზე.

ირგვლივ ღამეული უდაბნო შემოჯარულა, ქარაშოტებისა და ქარავნების უთავბოლო მონაცვლეობით სიმშვიდედარღვეული. თვითონ მუდამ იდუმალებითა და საფრთხითაა გარემოცული, როგორც მაშინ, როცა მზერადაბინდულმა, ქვიშაში ალალბედზე

მოაფათურა ხელი და ვინ იცის, იქ საიდან გაჩენილ სამართებელ-ზე გადაიჭრა. ზოგჯერ ჰგონია, ესიზმრება კიდეც ეს ყველაფერი, თუმცა ჭრილობა იმდენად აშკარაა, ტკივილის შეგრძნებაც კი არ სჭირდება სინამდვილეში დასარწმუნებლად და ამიტომაც სის-ხლი კეფაზე შეიწმინდა (სახეს ჯერაც ვერ ეხება) ამ თავის მხსნელ-დამტყვევებელთა ყურადღება რომ მიექცია. ისე, ვითომ მართლა არსებობდა ეს უქალებო სოფელი, სადაც ახლა მოიყვა-ნეს? ვითომდა მართლა მთელი თვე სრულ სიბნელეში იმყოფე-ბოდა და მთვარის შუქსაც მართლა ვერ ხედავდა? ეგებ თავადვე შეთხზა ეს ყველაფერი, დაესიზმრა ზეთის, მატყლისა და უკუნე-თის სუნში გახვეულს?

არაერთ ჭას ჩაუარეს გზად, სადაც დაწყევლილი წყალი იდგა. ზოგან ქვიშას მთელი ქალაქები შთაენთქა და ისიც მოთმინებით ელოდა, სანამ მისი თანამგზავრები კედლებსა თუ ჭებს გამოთ-ხრიდნენ ქვიშიდან. მახსოვრობაში სამუდამოდ ჩარჩენოდა იმ უმანკო მოცეკვავე ბიჭის შეურყვნელი მშვენიერება, როგორც ქოროს მომღერალი ბავშვის წკრიალა ხმა შერჩება ხოლმე სმე-ნას, კამკამა, მდინარის წყალივით თუ ზღვის გამჭვირვალე სიღ-რმეებივით სპეტაკი. აქ, უდაბნოში, რომელიც ერთ დროს ზღვა ყოფილიყო, არაფერი ჩერდებოდა და არ ქვავდებოდა, ყოველი-ვე მდორედ მიტორტმანებდა, ისევე როგორც ტილოს ქსოვილი იმ ბიჭის სხეულზე, თითქოს ის ოკეანეში შედიოდა ანდა ნელ--ნელა ამოდიოდა მისი ტალღებიდან, როგორც მშობელი წიაღის სილურჯიდან.

მერე კოცონს ქვიშას აყრიან და მხოლოდ ბოლი იგრაგნება ირგვლივ. საკრავების ხმა გულისცემისა თუ წვიმის წვეთების რიტმულ დარტყმებს ეპასუხება. ბიჭი ხელით რაღაცას ანიშნებს და სალამურებიც ჩუმდებიან. უკვე აღარც ბიჭი ჩანს, ნაკვალევიც კი არ დაუტოვებია ქვიშაზე. მხოლოდ ნათხოვარი ძონძები ყრია იქვე. ერთ-ერთი ბედუინი იქითკენ მიხოხავს და წამის წინ ქვიშაზე

ბიჭის დანატოვარი თესლის წვეთებს ცალი ხელით მეორე ხელის პეშვში იგროვებს; მერე იარაღის ბრმად მცნობთან მიაქვს - არაფერი ისე არ ფასობს უდაბნოში, როგორც ნებისმიერი სითხე.

გოგო პირსაბანის ნიჟარას ჩაფრენია ორივე ხელით და თვალი შიშველი კედლისთვის გაუშტერებია. ყველა სარკე ჩამოხსნა კედლებიდან, ერთ ცარიელ ოთახში შეზიდა. უფრო მაგრად უჭერს თითებს ნიჟარის კიდეებს და მერე თავის აქეთ-იქით ქნევას იწყებს. საკუთარ ჩრდილს ეთამაშება. მერე ხელებს ზედიზედ რამდენჯერმე ჩამოისვამს თმაზე, ვიდრე მთლად არ დაისველებს. წყლის სიგრილე სიამოვნებს და გარეთ რომ გამოდის, სუსტი ნიავი ერთბაშად ავიწყებს ყველა სადარდელს.

II

ცოცხალ-მკვდარი

ხელებშეხვეული კაცი უკვე ოთხ თვეზე მეტი იმყოფებოდა რომის სამხედრო ლაზარეთში, როცა შემთხვევით ყური მოკრა დამწვარი პაციენტისა და მედდის ამბავს და იმ გოგოს ვინაობაც შეიტყო. უკვე კართან მისული, იმ ექიმების ჯგუფს მიუბრუნდა, ეს-- ესაა გვერდით რომ ჩაუარა და მედდის ადგილსამყოფელიც დააზუსტა. კარგა ხანი გაეტარებინა უკვე ლაზარეთში და ყველა დიდ უკარება ვინმედ თვლიდა; ახლა კი თავადვე გამოელაპარაკა, რითაც ექიმები ძალზე გააკვირვა. ეგ იმიტომ, რომ მოყვანის დღიდან საერთოდ არ დაეძრა კრინტი და ურთიერთობისთვის მხოლოდ ჟესტებსა და მიმიკას მიმართავდა. იმთავითვე არავისთვის არაფერი გაუმხელია, საკუთარი გვარ-სახელიც კი. მხოლოდ თავისი პირადი ნომერი წაჯღაბნა ფურცელზე, რის მიხედვითაც დაასკვნეს - მოკავშირეთა ნაწილებში უმსახურიაო.

მისი წოდება და მდგომარეობა არაერთხელ გადაამოწმეს, საბოლოო დადასტურება კი ლონდონიდან მიიღეს წერილობით. მთელი სხეული იარებით ჰქონდა დაფარული. მისი შემხედვარე ექიმებიც უხმოდ აკანტურებდნენ თავს და გაგებით ეკიდებოდნენ ამ საჩინო მეომრის სურვილს, დუმილი შეენარჩუნებინა. ბოლო-- ბოლო, ომის გმირი იყო მაინც...

თავადაც ასე უფრო უსაფრთხოდ გრძნობდა თავს - ანუ, თუკი არაფერს გაამხელდა. ხმასაც ვერაფერი ამოაღებინებდა - ვერც ფერება, ვერც დამუნათება და ვერც მუქარა. ოთხ თვეზე მეტი გავიდა და სიტყვაც კი არ უთქვამს არავისთვის. მართლა ველურივით იქცეოდა. თავიდან ლამის ცოცხალ-მკვდარი მოიყვანეს და

ტკივილის დასაყუჩებლად ერთთავად მორფს უკეთებდნენ. მერე სავარძელში იჯდა ხოლმე, სიბნელეში, და მოფუსფუსე მედდებსა თუ უაზროდ მობორიალე პაციენტებს უცქერდა უხმოდ.

მაგრამ ახლა, როცა დერეფანში ექიმების ჯგუფს ჩაუარა, ქალის სახელს მოკრა ყური, ამიტომაც ნაბიჯი შეანელა, უკან მიბრუნდა და ჯიქურ იკითხა - ის მედდა რომელ ლაზარეთში მუშაობსო? უთხრეს - ერთ ძველ მონასტერში, ჯერ რომ გერმანელებს ეკავათ, მერე კი, როცა მოკავშირეებმა იქაურობა ალყაში მოაქციეს, ლაზარეთად გადაკეთდაო. ადგილმდებარეობაც დაუსახელეს - ფლორენციის ჩრდილოეთითო. არც ის დაუმალეს, შენობა თითქმის დანგრეულია და იქ ყოფნა სახიფათოც კია, მაგრამ მედდამ და მისმა პაციენტმაც უარი თქვეს, ამ დროებითი საველე ჰოსპიტლიდან სადმე სხვაგან გადაეყვანათო.

- რატომ ვერ აიძულეთ, გადასულიყვნენ?

- მედდამ განაცხადა, პაციენტი მგზავრობას ვერ გადაიტანსო. ცხადია, შეგვეძლო უფრო საიმედო ადგილას დაგვებინავებინა, მაგრამ ჩვენს დროში ხომ იცით, ზედმეტი წილადობილასთვის არავის სცხელა. ისე, არც თავად ის გოგო იყო უკეთეს დღეში.

- რა, დაჭრილია?

- არა. სავარაუდოდ, მსუბუქი კონტუზია ჰქონდა. წესით, შინაც უნდა გაემგზავრებინათ. ოღონდ საქმეც ისაა, რომ ამ მხარეში ომი უკვე დამთავრდა და ვერავის ვეღარაფერს აიძულებ. პაციენტებიც თვითნებურად ტოვებენ ლაზარეთს, ჯარისკაცებიც ისე იფანტებიან აქეთ-იქით, დათხოვნის ბრძანებას აღარც ელოდებიან.

- რა ქვია იქაურობას? - იკითხა ისევ.

- ვილა სან-ჯიროლამოს ეძახიან. როგორც ამბობენ, იქაურ ბაღში თურმე მოჩვენებაც კი ბინადრობს. არადა, იმ გოგოს ერთი მოჩვენება ისედაც ხომ ჰყავს - ის დამწვარი პაციენტი. სახე ისე დაფუფქვია, კაციშვილი ვერ იცნობს. შეგრძნებებიც მთლიანად

მოჩლუნგებია. სახის წინ ანთებული ასანთი რომ გაუტარო, თურმე ვერც კი შეიგრძნობს. მოკლედ, თაბაშირის ნიღაბი გეგონება.

- ის კაცი ვინაა? - ჰკითხა ექიმებს.

- მისი ვინაობა არც არავინ იცის.

- რა, ვერც ლაპარაკობს?

გაეცინათ.

- ვერ ლაპარაკობს კი არა, გაუჩერებლად ყბედობს, ოღონდ ვინაა, თვითონაც აღარ ახსოვს.

- და ლაზარეთში როგორ მოხვდა?

- ჯერ ბედუინებს მიუყვანიათ სივას ოაზისში, მერე ცოტა ხანს პიზის ჰოსპიტალში წოლილა, მერე... სავარაუდოდ, მისი გვარ-სახელიანი ჟეტონი ახლა ვინმე არაბს უნდა ჰქონდეს, ალბათ გაყიდის როდისმე და ბოლო-ბოლო, ჩვენც შევიტყობთ იმ კაცის ვინაობას. ანდა შეიძლება, არც არასოდეს შეელიოს - მაგათ უყვართ ეგეთი რამეები, ავგაროზად თვლიან. უდაბნოში ჩამოვარდნილი მფრინავებიდან ჟეტონი არცერთს არ შერჩენია. ახლა ის კაცი ტოსკანის მხარეში, იმ ვილაში წევს და ის გოგოც ცოცხალი თავით არ ტოვებს, უარზეა და მორჩა. თავის დროზე, მოკავშირეებმა იქ მთელი ასეული დააბინავეს, მანამდე კი გერმანელების მცირე შენაერთი იცავდა ვილას, როგორც ბოლო საყრდენ წერტს. ფლორენციიდან ოციოდე მილი იქნება სავალი, მთებში. ცხადია, საშვის გარეშე იქ მოხვედრა გამორიცხულია. ეგებ მძღოლი გიშოვოთ, თუკი ასვლას მოინდომებთ. არადა, ჯერაც საზარელი სანახავი იქნება იქაურობა - დახოცილი ნახირი, მოკლული და ნახევრად შეჭმული ცხენის ლეშები, ხიდებიდან გადმოკიდებული გვამები... მოკლედ, ომის ბოლო გამოძახილი. თან, როდის რა მოხდება, ღმერთმა უწყის: მესანგრეებს იქამდე ჯერ არ მიუღწევიათ, გერმანელებმა კი უკან დახევისას, რაც მოასწრეს, ყველაფერი დანაღმეს. საზიზღარი ადგილია ლაზარეთისთვის. ყველაზე უარესი კი მაინც ხრწნის სუნი იქნება. ერთი კარგი თოვ-

ლიანი ზამთარი და ბლომად ყვავ-ყორანი დასჭირდება იქაურობის გაწმენდა-გასუფთავებას.

- დიდი მადლობა.

რამდენიმე თვის მანძილზე პირველად გამოვიდა ლაზარეთიდან მზის გულზე, გამოერიდა იმ მწვანე შუქით განათებულ პალატებს, რომლებშიც ისე გრძნობდა თავს, თითქოს შუშის ქილაში მოემწყვდიათ. გარეთ იდგა და ხარბად, სწრაფ-სწრაფად ისუნთქავდა ჰაერს. „პირველ რიგში, რეზინის ლანჩებიანი ფეხსაცმელი მჭირდება - გაიფიქრა, - და კიდევ, ნაყინსაც შევჭამდი“.

მატარებლის ჯაყჯაყში დაძინება ძალიან გაუჭირდა. თან მგზავრებიც თამბაქოს აბოლებდნენ გაუთავებლად. ფანჯრის ჩარჩოზე მიედო თავი და წამდაუწუმ ზედ ეხლებოდა ხოლმე. ყველას თალხი სამოსი ეცვა. შეამჩნია, რომ როცა კი მატარებელი სასაფლაოს ჩაუქროლებდა, უკლებლივ ყველა ერთდროულად იწყებდა პირჯვრის წერას. არც თავად ის გოგოა უკეთეს დღეშიო.

„ნაყინი ნაოპერაციებ გლანდებს უხდება“, - გაახსენდა უცებ. მერე კი ისიც გაახსენდა, როგორ მიჰყვა საავადმყოფოში პატარა გოგოს და მამამისს, სადაც ბავშვისთვის გლანდები უნდა ამოეჭრათ. გოგომ ერთი კი მოავლო თვალი სხვა ბავშვებით სავსე დერეფანს და უარი განაცხადა დარჩენაზე. ალბათ ბავშვებში ყველაზე დამყოლი და დამჯერი, უცებ გაჯიქდა და გაჯიუტდა: ვერავინ ვერასდიდებით ვერ მოახერხებდა მისი ყელიდან რამის ამოჭრას, გინდაც ამის აუცილებლობას თავადაც მიმხვდარიყო. სიცოცხლის ბოლომდე ასე ივლიდა იმ თავისი ნუშისებრი ჯირკვლებით. თვითონ კი დღემდე წარმოდგენა არ ჰქონდა, რატომ ადარებდნენ გლანდებს მაინცადამაინც ნუშს.

„უცნაურია, თავს რომ ხელი არ ახლეს“, - გაიფიქრა. ყველაზე უარესი ის დრო იყო, როცა ათას რამეს აჭრიდნენ და ვარაუდობდა კიდეც, მალე თავსაც მიადგებიანო.

სხვენში რაღაც თაგვის ფხაჭუნისმაგვარი მოისმის.

კაცი დერეფნის შორეულ ბოლოში დგას, ხელში ჩანთა უჭირავს. მერე ძირს დებს, დერეფნის მეორე ბოლოში მყოფ ქალს ხელს უქნევს და უხმაუროდ მიაბიჯებს მისკენ. გოგოს ცოტა კი უკვირს ამგვარი ჩუმი ნაბიჯით სიარული, თუმცა ამაში რაღაც ნაცნობსა და დამამშვიდებელსაც ხედავს. ოდნავადაც არ ღიზიანდება, კაცს ასე უხმაუროდ რომ შეუძლია დაარღვიოს მისი და მისი ინგლისელი პაციენტის განმარტოება.

გოგომ სანათის პატრუქს აუწია და შუქის წრეც მის ირგვლივ უფრო გაფართოვდა. გაუნძრევლად ზის, კალთაში წიგნი უდევს. კაცი უახლოვდება და ისე იხრება მისკენ, როგორც კეთილი, მზრუნველი ბიძა.

- მითხარი, რატომ ქვია „ნუშისებრი ჯირკვალი“?

გოგო გაოცებული შესცქერის.

- მახსოვს, თავქუდმოგლეჯილი რომ გამოვარდი საავადმყოფოდან, უკან კი ორი ზრდასრული კაცი მოგდევდით.

გოგო უხმოდ უქნევს თავს.

- შენი პაციენტი იქაა? შეიძლება შევიდე?

გოგო ახლა უარის ნიშნად აქნევს თავს და მანამდე არ ჩერდება, სანამ კაცი ისევ არ ალაპარაკდება.

- კარგი, მაშინ ხვალ იყოს. ოღონდ მითხარი, სად დავბინავდე. ქვეშაგები არ მჭირდება. სამზარეულო გაქვთ? ნეტა იცოდე, რა უცნაური მგზავრობა მომიწია შენს სანახავად.

როცა კაცი ისევ უკან გაუყვა დერეფანს, გოგო მაგიდასთან დაბრუნდა და ერთიანად აცახცახებული, სკამზე ჩამოჯდა. ახლა, მღელვარების მოსათოკად, აუცილებლად სჭირდებოდა ეს მაგიდაცა და ეს სანახევროდ წაკითხული წიგნიც. ამ კაცს ჯერ მატარებლით ემგზავრა კარგა ხანს, მერე ოთხი მილი ამოეთავებინა სოფლიდან აღმართში და ბოლოს, გრძელი დერეფანიც გამოევლო - მხოლოდ და მხოლოდ მის სანახავად. რამდენიმე წუთის შემდეგ ინგლისელის ოთახში შევიდა, გაჩერდა და ზემოდან და-

აცქერდა საწოლზე მწოლიარეს. კედელზე დახატულ ფოთოლ-ნარს მთვარის შუქი ეცემოდა, ნამდვილს ამსგავსებდა და თით-ქოს სურნელსაც სძენდა. ლამის იყო, უნებურად ხელიც გაქცეოდა რომელიმე ყვავილის მოსაწყვეტად, მერე კაბის ღილკილოში რომ გაეყარა.

კაცი, გვარად კარავაჯო, ოთახში ყველა ფანჯარას ბოლომდე აღებს, ღამეულ ხმებს რომ მიუგდოს ყური. მერე ტანზე იხდის, ხე-ლისგულებს ნელ-ნელა ისვამს კისერზე და ბოლოს, უქვეშაგებო საწოლზე წვება. გარეთ ხეები შრიალებენ, მთვარის ნამცვრევი შუქი ფოთლებზე ხტის, თითქოს ვერცხლისფერი თევზები ბნელ ტბორში ყვინთავენ და მერე ისევ ამოხტებიანო.

თავადაც ისე გახვეულა მთვარის შუქში, როგორც კიდევ ერთ კანში, როგორც წყლის ჭავლში, ერთი საათის მერე კი უკვე ვი-ლის სახურავზე დგას და იქიდან დასცქერის ალაგ-ალაგ ჩამ-ტვრეულ სახურავს, ყუმბარებით დათხრილ-დაჩეხილ ბაღ--ბოსტნებს. ჯერაც ისევ იტალიაშია.

უკვე დილით, შადრევანთან, რაღაცნაირად დაძაბულნი საუბ-რობენ.

- რაკი იტალიაში ხარ, ვერდიზეც უფრო მეტი შეგიძლია შეიტ-ყო.

- რაა? - შადრევანში ჩამბალ თეთრეულს ცოტა ხნით თავს ანე-ბებს გოგო.

კაციც ახსენებს:

- აკი ერთხელ მითხარი, ვერდი მიყვარსო.

დარცხვენილი ჰანა მზერას არიდებს.

კარავაჯო აქეთ-იქით დადის. ახლა პირველად ათვალიერებს შენობას გარედან. მერე ღია აივნიდან ბაღს გადახედავს.

- კი, ასე ამბობდი. ჭკუიდან გადაგყავდა ყველა, იმდენ ახალ--ახალ რამეს გვიყვებოდი ხოლმე ჯუზეპეზე. ღმერთო, რა კაცია!

ყველა თვალსაზრისით საუკეთესოო, - გაიძახოდი. და ჩვენც კვერს გიკრავდით, თექვსმეტი წლის კნაჭა გოგოს.

- ნეტა სად გაქრა ის გოგო? - გარეცხილ ზეწარს შადრევნის კიდეზე აფენს.

- იშვიათად ჯინიანი ვინმე კი იყავი.

გოგო სახლისკენ მიუყვება მოკირწყლულ ბილიკს. ფილებს შორის ბალახ-ბულახს ამოუყვია თავი. კაციც თვალს აყოლებს შავ წინდებში გამოკვართულ მის ფეხებს, თხელი ნაჭრის ყავისფერ კაბას. მოაჯირზე გადმოხრილი გოგო ეპასუხება:

- ეტყობა, აქაც ვერდის გამო ჩამოვეხეტე, თუნდაც ჩემდაუნებურად. ან იმიტომ, შენ რომ ომში წახვედი და მამაჩემიც უკან მოგყვა... ქორებს შეხედე! ყოველ დილით მოფრინდებიან ხოლმე. სხვა ყველაფერი აქ მინგრეულ-მონგრეულია და გაპარტახებული. მთელ ამოდენა შენობაში მარტო ამ შადრევანში მოდის წყალი. მოკავშირეებმა წასვლისას წყალსადენი დაშალეს - ეგონათ, ამით მაინც მაიძულებდნენ აქაურობის მიტოვებას.

- უნდა წასულიყავი. ოხრად ნაღმებია აქ ჩარჩენილი. სად რა აგიფეთქდება, ღმერთმა იცის.

გოგო უკან ბრუნდება, უახლოვდება და თითებს ტუჩებზე ადებს.

- შენი ნახვა მიხარია, კარავაჯო. ოღონდ არ მითხრა ახლა, იმისთვის ჩამოვედი, მინდა აქედან წაგიყვანოო.

- არა! მე ის მინდა, სადმე ისეთი ლუდხანა ვიპოვო, გერმანული ლუდი რომ ექნებათ და ჯანდაბამდე გზა ჰქონია ყველა ნაღმსა თუ ყუმბარას! ფრენკ სინატრასაც თუ მომასმენინებენ იქ, ხომ მთლად უკეთესი. ისე, მუსიკა მართლა არ გვაწყენდა. შენს ავადმყოფსაც მოუხდებოდა.

- მაგისთვის სულერთია, ეგ ჯერ ისევ აფრიკაშია.

კაცი თვალს არ აშორებს, ელოდება - კიდევ იტყვის რამესო, მაგრამ გოგოს ინგლისელ პაციენტზე მეტი არც არაფერი აქვს სათქმელი. ისევ კარავაჯო ლუღლუღებს რაღაცას:

- ისე, ინგლისელებს აფრიკა ძალიან კი უყვართ. მაგათ ტვინის ერთი ნახევარსფერო სწორედაც რომ უდაბნოს მიუგავთ და მაგიტომ. არც საჰარაში გრძნობენ თავს უცხოდ.

ამჩნევს, როგორ აქნევს თავს გოგო ოდნავ. თხელი სახე აქვს და მოკლედ შეკრეჭილი თმა. აღარ შერჩენია იდუმალების ის უწინდელი ნიღაბი, გრძელი თმის შედეგი რომ იყო ალბათ. ისე, მაინც სრულიად მშვიდი და აუღელვებელი ჩანს, მხოლოდ მის საკუთარ სამყაროში ჩარჩენილი. მათ ზურგს უკან შადრევანი ჩუხჩუხებს, ვილას ნაოხარ ბაღს ქორები ჯიუტად დასტრიალებენ.

ეგებ ომის დავიწყების საუკეთესო გზაც ესაო, - ფიქრობს კაცი. ვინმე დამწვარ-დაბუგულ მფრინავზე ზრუნვა, ზეწრების რეცხვა შადრევანში, ბაღივით მოხატულ ოთახში ჯდომა. თითქოს ყველაფერი, რაც რჩება, იმ წარსულის რაღაც მონაგლეჯია, ვერდიმდე დიდი ხნით ადრე რომ არსებობდა, როცა მედიჩები სანთლის შუქზე ბჭობდნენ, როგორი მოაჯირი თუ ფანჯარა მოუხდებოდა მათს ამ ვილას. მოწვეულ, XV საუკუნის საუკეთესო არქიტექტორს უზიარებდნენ თავიანთ მოსაზრებებს და დაჟინებით სთხოვდნენ, ამ საუცხოო ხედისათვის ყველაზე შესაფერისი ჩარჩო მოენახა.

- დარჩენას თუ აპირებ, - ამბობს გოგო, - მაშინ საჭმელიც მეტი გვინდა. რაღაცები კი დავრგე, ერთი ტომარა ლობიოც დაგვრჩა, მაგრამ ახლა წიწილები გვჭირდება. - ეშმაკური სახით შესცქერის კარავაჯოს, ამ მზერით ანიშნებს, შენი წარსული საქმიანობა კარგად მახსოვსო, თუმცა თქმით ამაზე არაფერს ეუბნება.

- მაგის თავი სადღა მაქვს. - ამბობს კაცი.

- მაშინ, მეც წამოგყვები. - სთავაზობს ჰანა. - მოგეხმარები. ქურდობა მასწავლე, მითხარი, რა გავაკეთო და გავაკეთებ.

- ვერ გაიგე? აღარ შემიძლია-მეთქი.

- რატომ?

- დამიჭირეს. ლამის იყო, ეს ოხერი ხელები სულ გადამიმტვრიეს.

ზოგჯერ, ღამღამობით, როცა ინგლისელ პაციენტს უკვე სძინავს, ან როცა მისი ოთახის კართან მიდგმულ მაგიდასთან მჯდომს, კითხვა მობეზრდება ხოლმე, დგება და კარავაჯოს მოსაძებნად მიდის. ის ხან შადრევნის შორიახლო წევს გულაღმა, ვარსკვლავებს მიჩერებული, ხან კი ქვედა ტერასაზე დაბორიალობს. ადრეული ზაფხული დგას და ასეთ ამინდში, შიგნით გაჩერება უჭირს. მაგრამ დროის მეტ წილს მაინც სახურავზე, მონგრეული საბუხრე მილის გვერდით ატარებს. მერე კი, როცა მის საძებნელად გამოსულ გოგოს დალანდავს ტერასაზე, უხმაუროდ ჩამოდის ქვემოთ. ისეც ხდება, ერთმანეთს ამ მამულის ძველი მფლობელის უთაო ძეგლთან ხვდებიან ერთმანეთს, სწორედ იქ უყვართ მოკალათება აქაურ კატებსაც - ადამიანების გამოჩენისას, ზანტად, უკმაყოფილო კრუტუნით რომ გაიძურწებიან ხოლმე. გოგოს მუდამ ეჩვენება, იმან კი არ მომაგნო, მე ვიპოვე ამ სიბნელეშიო - ეს კაცი, რომელიც ღამე კატასავით ხედავს და სიმთვრალეშიც იმას ირწმუნება, დედალ-მამალმა ბუებმა გამზარდესო.

ფრიალოზე დგანან. შორს ფლორენცია და მისი სინათლეები ჭიატებს. ზოგჯერ კაცი აღტკინებული ჩანს, სხვა დროს - მეტისმეტად მშვიდი. დღის შუქზე უკეთესად ხედავს, როგორ მოძრაობს, როგორ გახევებია მკლავები შეხვეულ მტევნებს ზემოთ, როგორ ტრიალდება მთელი ტანით, როცა უნდა რამე დაანახოს მაღლა, მთაზე. ოღონდ გოგო ამეებზე კრინტსაც არ ძრავს.

- ჩემი პაციენტი ამტკიცებს, ყველაფრის უებარი წამალი ფარშავანგის დაფხვნილი ძვალიაო.

კაცს თითქოს ცისთვის გაუშტერებია თვალი:

- კი, ეგრეა.

- ესე იგი, ჯაშუში ვიყავიო?

- რაღაც ამდაგვარი.

ჩაბნელებულ ბაღში უფრო მშვიდად, უფრო თავისუფლად გრძნობს თავს გოგოს გვერდით. პაციენტის ოთახში ჯერ ისევ ციმციმებს ნავთის სანათი.

- ზოგჯერ საქურდლად გვაგზავნიდნენ. მაგრა გაუმართლათ - იტალიელი ვიყავი და თან - ქურდი. ისე გაიხარეს, ამოსუნთქვის საშუალებასაც არ გვაძლევდნენ. ოთხნი თუ ხუთნი ვიყავით ეგეთები. ერთხანობა კარგად მიგვდიოდა საქმე, მერე კი შემთხვევით, სურათი გადამიღეს. წარმოგიდგენია?

წვეულებაზე ვიყავი, ფრაკში გამოწყობილი. საგანგებოდ შემაგზავნეს რაღაც ქაღალდების მოსაპარად. გულის სიღრმეში მეც ისევ ქურდის ჟინი მიჭიატებდა - ვერც დიდ პატრიოტობაზე დავდებდი თავს და არც გმირობას ვიჩემებდი. უბრალოდ, ადგნენ და ჩემი ნიჭი და უნარი გამოიყენეს. ოღონდ ჩემდა ჭირად, ვიღაც ქალს იმ წვეულებაზე ფოტოაპარატი მოეტანა - გერმანელ ოფიცრებს უღებდა ფოტოებს და სრულიად შემთხვევით, მეც მოვხვდი კადრში, როცა სამეჯლისო დარბაზში გავიარე. აპარატის გაჩხაკუნება გავიგონე თუ არა, უნებურად იქით მივაბრუნე თავი. მივაბრუნე და წამში მთელი ჩემი მომავალი საეჭვო გავხადე. ის ქალი კი რომელიღაც გენერლის ტურფა აღმოჩნდა.

ომიანობის დროს გადაღებულ ყველა ფოტოს სახელმწიფო ლაბორატორიებში ამჟღავნებდნენ და ამ საქმეს გესტაპო ზედამხედველობდა. ცხადია, არ გაუჭირდებოდათ იმის დადგენა, მოწვეული სტუმრების რიცხვს რომ არ მივეკუთვნებოდი. მაშინვე გაარკვევდნენ ამას, როგორც კი ფირი მილანის ლაბორატორიაში მოხვდებოდა. რაღა მრჩებოდა - ახლა როგორმე ის ფირი უნდა ამეწაპნა.

ინგლისელი პაციენტის ოთახში იხედება, იმას კი ჯერაც სძინავს და ალბათ, აქედან ძალიან შორსაა - ისევ უდაბნოში, სადაც

მისი მკურნალი ბედუინი კვლავაც შეტყუპებული ტერფების თასში აწობს თითებს, მერე წინ იხრება და თალხი ფერის მალამოს დამწვარ სახეზე ადებს. გოგო თითქოს საკუთარ ლოყაზე გრძნობს იმ წარმოსახული ხელის სიმძიმეს.

მერე დერეფნის ბოლოში ჩამოკიდებულ თავის ჰამაკთან მიდის, ზედ ძვრება და ჰამაკიც აქეთ-იქით ირხევა.

იმ წუთებში, სანამ ძილი მოერევა, ყველაზე უფრო ცოცხლად გრძნობს თავს, იმდღევანდელი ამბების ნაკუწებს იხსენებს მკაფიოდ და ისე იწვენს გვერდით, როგორც ბავშვი - საყვარელ სათამაშოებს. ამ დრომდე, განვლილი დღე თითქოს უთავბოლოა და მხოლოდ ახლაღა ლაგდება ყველაფერი თავ-თავის ადგილას. მაგალითად, კარავაჯოს ამბავი - დავალებაზე წასვლაცა და უნებურად, ფოტოზე აღბეჭდვაც.

იმ წვეულებიდან მანქანით გამოემგზავრა. ჭიშკრისაკენ მიმავალ, მოკირწყლულ გზაზე მუქი ფერის ავტომობილი მელნის ნაწვეთივით მდორედ იღვენთებოდა ზაფხულის ღამეში. ვილა კოზიმაში, მთელი დარჩენილი საღამო იმ ფოტოაპარატიან ქალს არ აშორებდა თვალს, ცდილობდა მის ობიექტივში აღარ მოხვედრილიყო და რაღაცას ამოეფარებოდა ხოლმე, როგორც კი ის კამერას მიიტანდა თვალთან. რაკი საფრთხის წყარო იცოდა, ახლა ეს უკვე დიდ სირთულედ აღარ უჩანდა. ხალხში შერეულმა, იმის გაგებაც მოახერხა, რომ ქალს ანა ერქვა, გენერლის ტურფა გახლდათ და ღამის გათევასაც იქ აპირებდა, მეორე დილით კი ტოსკანაში მიემგზავრებოდა. ქალის უეცარი სიკვდილი ან გაუჩინარება მხოლოდ ეჭვს გააჩენდა - იმ დროში, ნებისმიერი უჩვეულო ამბავი გესტაპოს მიერ ძირისძირამდე გამოძიების საგანი ხდებოდა ხოლმე.

ოთხი საათის შემდეგ, წინდების ამარა მირბოდა მდელოზე, საკუთარ ჩრდილს თელავდა მთვარის შუქზე; მერე მოკირწყლულ ბილიკს მიაღწია, შეჩერდა და ისევ ფეხაკრეფით გააგ-

რძელა გზა; თან ვილა კოზიმას გასცქეროდა, იმის ფანჯრების განათებულ ოთხკუთხედებს. სამხედროების გულისსწორთა საველე სასახლე.

მანქანის ფარების შუქი სახანძრო შლანგიდან გამოვარდნილი ჭავლივით ეხლება იმ ოთახის ფანჯარას, რომელშიც ახლა შეპარულა. ჰაერშივე უშეშდება ფეხი, როგორც კი იმ ქალის მზერას აწყდება. ქალს ზემოდან მამაკაცი აწევს და თითები მის ქერა თმაში ჩაუვლია. მართალია, ამჯერად ოთახში შეპარული, თვითონ დედიშობილაა, მაინც დარწმუნებულია, ქალმა მიცნოო. მანქანის შუქები ოთახის შორეულ კუთხესაც ანათებენ და მერე ისევ სიბნელე ისადგურებს ირგვლივ.

არ იცის, როგორ მოიქცეს - გაინძრეს თუ არა; არ იცის, უჩურჩულებს თუ არა ზემოდან მოქცეულ კაცს ქალი - ოთახში ვიღაც სხვაცააო. დედიშობილა ქურდი, დედიშობილა მკვლელი. ხომ არ აჯობებს, საწოლთან მივარდეს და ორივეს კისერი გადაუმტვრიოს?

მერე ესმის, როგორ ჩქარ-ჩქარა სუნთქავს მამაკაცი, ქალი კი გატრუნულა, ჯიქურ უცქერის, ოღონდ კრინტს არ ძრავს და თითქოს მისი ფიქრიც კი ჩაესმის - არა, ფიქრი კი არა, განაფიქრი. ღმერთმანი, უცნაური რამაა - გაუელვა კარავაჯოს - დაამატე სიტყვას ერთი მარცვალი და სულ შეიცვლება ყველაფერი: განაფიქრი ხომ ისაა, რაც უცებ გაიფიქრე და მერე დიდად აღარც ჩაძიებიხარ. ერთი მეგობარი ეუბნებოდა ხოლმე: სიტყვა დიდი ოხერი რამაა, ბევრად რთული, ვინემ ვიოლინოზე დაკვრაო. გონებაში ქალის ქერა თმა ამოუტივტივდა და ამ თმაზე გადაჭერილი შავი ბაფთა.

ესმის, როგორ უხვევს მანქანა და შუქის კიდევ ერთ გაელვებას ელოდება. სიბნელიდან გამომსხლტარი სახე ჯერაც ჯიუტად შემოსცქერის. მერე შუქი იმ სახიდან გენერლის სხეულზე გადაირბენს, იატაკზე დაფენილ ხალიჩას დაეცემა და ბოლოს, ერ-

თხელ კიდევ გამოგლეჯს კარავაჯოს სიბნელიდან. ქალს უკვე ვეღარ ხედავს. თავს აქნევს და ცერა თითს უხმოდ გადაიტარებს ყელზე - ერთი ყურისძირიდან მეორემდე. ქალისთვის რომ ყველაფერი ბოლომდე გასაგები იყოს, მეორე ხელით ჩაბღუჯულ ფოტოაპარატსაც შეათამაშებს. ბოლოს ოთახში ისევ სრული სიბნელე ჩამოწვება. ესმის, სიამოვნებისგან როგორ შეკრუტუნებს ქალი თავის კუროს, ხვდება - ჩემსა და ამ ქალს შორის სრული ურთიერთგაგება დამყარდაო. არა სიტყვა, არა ჩაღიმება. უშუალო კავშირი. ურთიერთგაგების უსიტყვო ანბანი, მორზესავით. უკვე ეჭვიც აღარ ეპარება, უხიფათოდ შეუძლია გამოვიდეს აივანზე და სიბნელეს მისცეს თავი.

აი, თავიდან მისი ოთახის პოვნა ბევრად უფრო საძნელო იყო. შენობაში შევიდა და ფეხაკრეფით ჩაუარა XVII საუკუნის დროინდელ, სანახევროდ განათებულ ფრესკებს დერეფნებში. სადღაც აქ საძინებლები ეგულებოდა - მოსირმული სერთუკის ბნელი ჯიბეები. დარაჯებისთვის გვერდის ავლის ერთადერთ გზად სრული მიამიტობის ნიღბის მორგება რჩებოდა. ამიტომ ტანზე გაიხადა და ტანსაცმელი ყვავილნარში შეჩურთა.

ახლა კი ტიტველი მიუყვება მეორე სართულზე ამავალ კიბეს. დარაჯები ზემოდან დასცქერიან, მოაჯირზე გადმოყუდებულები და კვდებიან სიცილით. მასაც ვითომ ყინწი წყდება, ენის ბორძიკით უმხელს ვითომ თავისი ღამეული პაემანის ამბავს. ისინიც დაუბრკოლებლად ატარებენ.

მესამე სართულზე გრძელი დერეფანია. ერთი დარაჯი კიბის ბაქანზე დგას, მეორე - ოციოდე ნაბიჯის მოშორებით, დერეფნის მეორე ბოლოში. არადა, მისთვის ეს ზედმეტად გრძელი გზაა უჩუმრად გასავლელად. თავისი როლი მაინც ბოლომდე უნდა ითამაშოს, სულერთია - ეჭვით უცქერენ თუ დამცინავად. არაფერი არ უნდა შეეშალოს, ფრესკებთანაც უნდა შეჩერდეს ხოლმე, დროდადრო ვითომ ფრესკებიც ათვალიეროს, სულიც მოითქვას.

შუბლით კედელს ებჯინება, თითქოს ძილი ერევა. მერე ისევ მიბ-ლაყუნობს, ფეხათრეული და მაშინვე, უცებ, ვითომ თავს აიძუ-ლებს სამწყობრო ნაბიჯზე გადავიდეს. მარცხენა ხელს მისალმე-ბის ნიშნად უქნევს ჭერზე გამოსახულ, მასსავით დედიშობილა ქერუბიმებს, ახლა ქურდს რომ წყალობენ და იფარავენ, რათა მან მოახერხოს და როგორმე ხელში ჩაიგდოს ის საბედისწერო ფი-რი.

შიშველ მკერდზე ისე იფათურებს ხელს, თითქოს საშვს დაეძებსო; მერე ორივე ხელით, საკუთარ ასოს ბღუჯავს - ვითომ გასაღებია და იმ კარის საკეტს უნდა მოარგოს, დარაჯები რომ ყა-რაულობენ. მერე ყოვლად ბრიყვული სიცილი აუვარდება, ბარბაც-ბარბაცით იხევს უკან, ვითომ თავის ამ სისულელეებით დარცხვენილი, და მეზობელ ოთახში შეეხეტება.

იქ უკვე ფანჯარას აღებს და ვერანდაზე გადადის. დიდებული, უმთვარო ღამე დგას. მოაჯირზე ძვრება და მეორე, ქვედა ვერან-დაზე ამოყოფს თავს. ახლა უკვე შეუძლია ანასა და მისი გენერ-ლის სამყოფელშიც შეაღწიოს - სუნამოს მძაფრი სურნელიც კი სცემს. უჩუმრად მიიპარება, არც კვალს ტოვებს და არც ჩრდილს. ის ამბავი ახსენდება, წლების წინ ვიღაც ბავშვს რომ უამბო საკუ-თარი ჩრდილის მაძებარ კაცზე, ახლა კი თავადაც ზუსტად ასევე დაეძებდა იმ ოხერ ფირს.

ოთახში შეპარული, მაშინვე ხვდება რომ იმ ორს სასიყვარუ-ლო თამაშები უკვე წამოუწყიათ. ბნელში გზადაგზა აწყდება სკა-მის საზურგეებზე გადაკიდულ თუ იატაკზე მიმობნეულ ქალის სა-მოსელს. თვითონაც იატაკზე წვება, ხალიჩაზე გადაგორდება და ხელებს აქეთ-იქით აფათურებს იმის იმედით, ეგებ ფოტოაპარატი მოვიხელთო სადმეო. სრულიად უხმაუროდ ირჯება, მაგრამ პოვ-ნით კი ვერაფერს პოულობს. ოთახში უკუნი სიბნელეა.

ახლა ისევ დგება, ხელით რაღაცას ეპოტინება - მარმარილოს ქანდაკის ძუძუ-მკერდს. მერე ქვის ცივ მკლავს ჩამოაყოლებს

ხელს და უცებ, ქანდაკის მაჯაზე ჩამოკიდებულ აპარატსაც გადააწყდება. მერე მანქანის ხმა ესმის და როგორც კი შებრუნდება, ავტომობილის უეცრად გაელვებულ შუქზე, ქალის მზერასაც დალანდავს.

კარავაჯო ჰანას მიჩერებია, ის კი მის თვალებში ცდილობს რაღაცის ამოკითხვას, კაცის საფიქრალის ისევე ამოცნობას, როგორც თავის დროზე ამას მისი ცოლი ახერხებდა. ხედავს, როგორ უნდა გოგოს, ყნოსვით გამოიცნოს, თუ სად უვლია და რა უკეთებია. ის კი შეგნებულად მალავს ყველა კვალს, ოღონდ თვალსაც არ არიდებს: ნათელი, ნაკადულივით კამკამა, ამ მიდამოსავით ალალი მზერით შესცქერის. მშვენივრად იცის, როგორ აბნევს ეს მზერა ადამიანებს და არც საკუთარი გრძნობების დამალვა უჭირს. არადა, გოგო ეშმაკურად უცქერის - თავი ძაღლივით გადაუგდია გვერდზე, ვითომდა პატრონის გულისნადების ამოსაცნობად. კაცის პირდაპირ ზის, ბნელში, სისხლისფრად შეფერილი კედლების ფონზე და კაცს ეს ფერი გულზე მაინცადამაინც არ ეხატება; გოგოს შავი თმა, მისი მზერა, ჩამოქნილი ტანი და ოდნავ მზემოკიდებული სახე, საკუთარ ცოლს აგონებს.

ოღონდ ახლა ცოლზე არ ფიქრობს, თუმცა იცის, შეუძლია თვალი დახუჭოს და წამსვე მისი ყოველი მოძრაობა გაიხსენოს, მისი ყოველი ნაკვთი და ის კი არა, შეიგრძნოს კიდეც ღამღამობით მის მკერდზე ჩამოდებული ქალის ხელის მტევნის სიმსუბუქე.

თავად ხელები მაგიდის ქვეშ შეუმალავს და უყურებს, როგორ ილუკმება გოგო. საერთოდ, ყოველთვის ურჩევნია სიმარტოვეში ჭამოს, ოღონდ მაინც მუდამ ჰანასთან ერთად მიუჯდება ხოლმე მაგიდას. „ამაოება, - ფიქრობს. - ჩვენი ადამიანური ამაოება“. ერთხელ გოგომ დაინახა კიდეც, როგორ ჭამდა კაცი, ოცდათექვსმეტსაფეხურიანი კიბის ერთ-ერთ საფეხურზე ჩამომჯდარი, სამლოცველოს შორიახლოს, არც ჩანგალი ეჭირა ხელში და არც დანა, თითქოსდა ვინმე მაშრიყელის ბაძვას ცდილობდა. ჭაღარა-

გარეული წვერი და მუქი ფერის ქურთუკი უფრო და უფრო აჩენდა მის იტალიელობას და ამას გოგოც სულ უფრო თვალნათლივ ხედავდა.

მოყავისფრო-მოწითალო კედლების ფონზე, გოგოს ჩამუქებულ ჩრდილს მისჩერებია. უყურებს მის სახის კანს, მის მოკლედ შეკრეჭილ თმას. ეს გოგო და მამამისი ომამდე გაიცნო ტორონტოში. მაშინ ქურდი იყო, ცოლიანი, ზანტი თავდაჯერებით მიუყვებოდა დინებას მისივე ნებით არჩეულ ცხოვრების გზაზე, მომაჯადოებელი ეშმაკობით აცუცურაკებდა მდიდრებს, არც თავისი მომავალი ცოლის, ჯიანეტას მოხიბვლა გასჭირვებია და არც თავისი მეგობრის ამ პატარა ქალიშვილის.

მაგრამ ახლა მათ ირგვლივ სამყარო ლამის მთლიანად დანგრეულა და ერთმანეთის ანაბარაღა დარჩენილან. ფლორენციის მახლობლად, ამ მაღალმთიან ქალაქში შეყუჟული, წვიმიან დღეებში ხან სამზარეულოში ზის, ოცნებებში გადავარდნილი, ხანაც იმ უქვეშაგებო საწოლზე წამოწვება ხოლმე და არანაირ სამომავლო გეგმებს არ სახავს, მხოლოდ ჰანაზე ფიქრობს გამუდმებით. ის კი, როგორც ჩანს, ზედა სართულზე მწოლიარე, მომაკვდავი პაციენტისთვის თავის ნებაყოფლობით მსხვერპლად შეწირვას აპირებს.

საუზმე იქნება, სადილი თუ ვახშამი, მაინც სულ მის პირდაპირ ჯდება ხოლმე მაგიდასთან და უცქერის, როგორ ილუკმება გოგო.

ექვსი თვით ადრე, როცა ჰანა ჯერ კიდევ პიზაში, სანტა-კიარას ლაზარეთში მუშაობდა, გრძელი ტალანის ბოლოში დატანებული სარკმლიდან ლომის თეთრი ქანდაკი დაინახა. ეულად იდგა დაკბილული ქონგურების თავზე და ფერით დუომოსა და კამპოსანტოს თეთრმარმარილოვან მთლიანობაში კარგად ეწერებოდა, თუმცა კი მისი, არცთუ ისე ნატიფი და ცოტა არ იყოს, მიამიტი იერი მაინც უფრო სხვა, უფრო ადრეული ხანის ნაკეთობას მოგაგონებდათ - წარსულის ისეთ საჩუქარს, რაზეც უარს ვერც იტყო-

დი. გოგოს სწორედ ეს ქანდაკი მოსწონდა ყველაზე მეტად მთელ შემოგარენში. შუაღამისას, ხშირად გაუხედავს ფანჯრიდან იმის იმედით, კომენდანტის საათის მიუხედავად, ალიონზე ისევ იქ დამიხვდებაო. მერე დილის ხუთ საათზეც იხედებოდა, ექვსის ნახევარზეც, ექვსზეც, რათა თვალნათლივ დარწმუნებულიყო, თანდათან როგორ ეყოფოდა ღამის სიბნელეს ლომის სითეთრე. მორიგეობისას კი ყოველ ღამე, ის იყო მისი მცველიცა და მფარველიც. ყუმბარებსაც გადაურჩა, რაკი სამხედროები იმ არემარეს ისე უფრთხილდებოდნენ, როგორც საკუთარ სახლს.

ლაზარეთი ძველი მონასტრის ნაგებობაში გაემართათ. ბერები უხსოვარი დროიდან ელოლიავებოდნენ იქაურ ნარგავებს, სხვადასხვა ცხოველის ფორმაზე კრეჭდნენ ბუჩქებს, თუმცა ახლა ძნელი გამოსაცნობი იყო, რომელი რას ჩამოჰგავდა თავის დროზე; მედდები სწორედ ამ პირვანდელ სახედაკარგულ ხეივნებში დაატარებდნენ ხოლმე საგორავი სავარძლებით თავიანთ პაციენტებს და უწინდელი სახე თითქოს მხოლოდ თეთრ მარმარილოსღა შეენარჩუნებინა.

ირგვლივ გამეფებული კვდომის შემხედვარე, თავად მედდებიც, ცოტა არ იყოს, შექანებულებს გავდნენ, რადგან ყოველდღე მოჭრილი კიდურები გაჰქონდ-გამოჰქონდათ, ან ამაოდ ცდილობდნენ, შადრევანივით გადმომსკდარი სისხლის ნიაღვრების შეჩერებას და რა გასაკვირია, თუკი არაფრის სჯეროდათ, არაფერი სწამდათ. წამი იყო საკმარისი, რომ მთელი სამყარო ერთბაშად ჩამოქცეოდათ თავზე, როგორც ჰანას ჩამოექცა, როცა სანტა-კიარას ჰოსპიტალში, შიკრიკმა ასობით ავადმყოფს აუარა გვერდი, მიადგა და მამამისის გარდაცვალების შეტყობინება გადასცა.

თეთრი ლომი.

მერე უკვე ის ინგლისელი პაციენტიც მალევე მოიყვანეს - ერთიანად დანახშირებულ რაღაც ცხოველს რომ ჰგავდა. ეს მისი

ბოლო გამოცდა გამოდგა და ახლა, რამდენიმე თვის მერე, მხოლოდ ის ერთიღა დარჩა საზრუნავად, უკვე ვილა სან--ჯიროლამოში. მათი ომი დასრულდა, ოღონდ ორივემ იუარა, სხვებთან ერთად დაბრუნებოდნენ პიზაში განთავსებულ, ბევრად უფრო უსაფრთხო ლაზარეთს. ყველა ზღვისპირა ქალაქი - სორენტო იქნებოდა თუ მარინა-დი-პიზა, უკვე შინ გამგზავრების მომლოდინე, ჩრდილოამერიკელი თუ ბრიტანელი ჯარისკაცებით იყო გაძეძგილი. მან კი თავისი ფორმა გაიხადა, გარეცხა, გულდაგულ დაკეცა და პიზაში მიმავალ სხვა მედდებს გადაულოცა. მაშინ უთხრეს სწორედ, ომი ყველგან არ დამთავრებულაო, მაგრამ მისთვის ასე არ იყო. მისი ომი დამთავრდა. აქაური ომი. იმასაც ეუბნებოდნენ - ეგ შენი საქციელი შეიძლება დეზერტირობად ჩაგითვალონო. არაა ეს დეზერტირობაო, გაიძახოდა. უბრალოდ, აქ მირჩევნიაო. რით აღარ აშინებდნენ - გერმანელების დატოვებული ნაღმებით, უწყლობითა თუ შიმშილით, ოღონდ სულ ტყუილად: ზედა სართულზე ავიდა, იმ დამწვარ კაცთან, თავის ინგლისელ პაციენტთან და უთხრა - მეც თქვენთან ერთად ვრჩებიო.

კაცს არაფერი უთქვამს, თავიც კი ვერ მიაბრუნა მისკენ, მხოლოდ თითები მოუთათუნა ხელზე და როცა გოგო მისკენ დაიხარა, მერე მის თავსაც შეეხო ოდნავ, იმ თავისი ჩაშავებული თითებით, თითქოსდა მისი თმების სილბოს შესაგრძნობად.

- რამდენი წლისა ხარ?

- ოცის.

- ერთი დუკა ყოფილა, - უთხრა კაცმა, - ვისაც სიკვდილის წინ უთხოვია, პიზის კოშკის შუამდე მაინც აეყვანათ, რათა იქიდან ბოლოჯერ გადაეხედა გაშლილი სივრცისთვის.

- მამაჩემის მეგობარი კი ნატრობდა, „შანხაურის“ ცეკვაში მომკლაო. არც კი ვიცი, რა ცეკვაა ეგეთი. თვითონაც ახალი გაგებული ჰქონდა.

- მამაშენი რას საქმიანობს?

- მამა... ომშია.

- შენსავით.

ამ კაცის შესახებ არაფერი იცის. მას მერეც კი, რაც უკვე მთელი თვეა უვლის და მორფის ნემსებსაც უკეთებს. თავიდან ორივე მორცხვობდა, მით უფრო რომ სრულიად მარტონი დარჩნენ. მერე და მერე ეს სიმორცხვე თავისთავად გაქრა. სხვა პაციენტები, ექიმები, მედდები, წამლები, ზეწრები თუ პირსახოცები - ყველა და ყველაფერი ჯერ ფლორენციაში დაბრუნდა, იქიდან კი - ისევ პიზაში. გოგომ კი იმთავითვე მოიმარაგა კოდეინის აბებიცა და მორფიც. უცქერდა, როგორ იცლებოდა იქაურობა, თვალს ადევნებდა დაღმართში მიმავალი საბარგო მანქანების ქარავანს. რა გაეწყობა, კარგად მენახეთ. ფანჯრიდან დაუქნია ხელი და დარაბა მიხურა.

ვილა სან-ჯიროლამოს უკან მაღალი კლდე აღმართულა კედელივით. დასავლეთით ბაღის ღობე გასდევს. ქვემოთ, დაბლობში, ოცი მილის სიშორეზე, ფარდაგივით გაფენილა ფლორენცია, მთლად რომ უჩინარდება ხოლმე დილის ნისლში. ჭორად დადის, მეზობლად, მედიჩების ძველ ვილაზე დაბინავებულ ერთ გენერალს საუზმეზე იქაური ბულბული შეუჭამიაო.

ეშმაკის ხრიკებისაგან ადგილობრივ მცხოვრებთა დასაცავად აგებული ვილა სან-ჯიროლამო ალყაშემორტყმულ სიმაგრეს გავდა; ეზოში მიმობნეული ქანდაკებების უმეტესობას დაბომბვის პირველსავე დღეებში წააწყვიტა კიდურები ყუმბარებმა. და საერთოდ, ერთმანეთისაგან ძნელად გასარჩევი ჩანდა შენობა და მიდამო - სანახევროდ დანგრეული სახლი და დაჩეხილ-დამსკდარი მიწა. გაველურებული ბაღიც ჰანას კიდევ ერთ ოთახად ეჩვენებოდა. მერე, სახლის უკან, მიწის პატარა ნაკვეთზე, ისეთი თავგამოდებით შეუდგა ბოსტნის გაშენებას, მხოლოდ ქალაქში გაზრდილ ადამიანს რომ ახასიათებს. არც გადაბუგული ნიადაგი თრგუნავ-

და და არც წყლის ნაკლებობას აუღებინებია მისთვის ამ განზრახვაზე ხელი. ერთ მშვენიერ დღეს აქ ცაცხვის ფანჩატურიც იქნება და მწვანე შუქში გახვეული ოთახებიცო, ფიქრობდა.

კარავაჯო სამზარეულოში შევიდა, სადაც ჰანა მობუზული მიჯდომოდა მაგიდას. ვერც მის სახეს ხედავდა და ვერც ხელებს - მხოლოდ შიშველ ზურგს, შიშველ მხრებს.

გოგოს არც ეძინა და არც გარინდებული ჩანდა. მხრებიც უცახცახებდა და თავსაც აქეთ-იქით აქნევდა.

კარავაჯო ადგილზე გაქვავდა. ქვითინზე მეტად ადამიანს სხვა არაფერი აცლის არაქათს. ჯერ არ გათენებულიყო. გოგოს სახეც კიდევ ერთ ბნელ ლაქად მოჩანდა მაგიდაზე.

- ჰანა, - დაუძახა გოგოს და ისიც იქვე გაშეშდა, თითქოს უძრაობით შეინიღბებოდა. - ჰანა...

ახლა ერთი ამოიგმინა, ალბათ თუ სურდა, ეს ხმა მათ შორის ჯებირად აღემართა, ან იმ მდინარესავით ზურგსუკან მოეტოვებინა, რომელსაც კაცი ვერაფრით გადალახავდა.

ერთი პირობა იმანაც ვერ გაბედა შიშველ მხარზე შეხებოდა, მაგრამ მერე - ჰანაო, გაიმეორა ისევ და შეხვეული ხელი მაინც ჩამოადო ფრთხილად. გოგოს ისევ უცახცახებდა სხეული. ამისთანა მწუხარების დროს, გადარჩენა, შვება თუ გინდა, ერთიანად უნდა ამოანთხიო ყველა მოგონებაო, - გაიფიქრა კაცმა.

წელში გაიმართა, თუმცა თავი ჯერაც ჩაექინდრა. მერე წამოდგა და კაცს წინ აესვეტა, თითქოს ძალით გამოგლიჯა საკუთარი თავი მაგიდის მარწუხებს.

- თუ რამეს მიპირებ, ფერება არ დამიწყო.

ქვედაკაბის მეტი არც არაფერი ეცვა, თითქოსდა ეს-ესაა ლოგინიდან წამოხტა და სამზარეულოში გამოტანტალდაო.

სახე ერთიანად წამოწითლებოდა ტირილისაგან.

- ჰანა...

- გაიგე, რაც გითხარი?

- რას გადაკიდებიხარ მაგ საცოდავს?

- მიყვარს.

- კი არ გიყვარს, ლამისაა აღმერთებ.

- მომშორდი, კარავაჯო, გთხოვ!

- არ მესმის, რას ეწირები მაგ ცოცხალ-მკვდარს.

- წმინდანია და იმიტომ. ასე მგონია. სასოწარკვეთილი წმინდანი. რა, არ შეიძლება ეგეთიც არსებობდეს? და თუკი არსებობს, უნდა გავუფრთხილდეთ.

- თვითონ რომ სულ ფეხებზე კიდია?

- სიყვარულს რა დამიშლის...

- ოცი წლის გოგო და ვიღაც მოჩვენებას უნდა შეეწირო ნებაყოფლობით?! - კარავაჯო მცირე ხნით დადუმდა, მერე ისევ გააგრძელა:

- პირველ რიგში, საკუთარი თავი უნდა დაიცვა მოწყენილობისაგან. მოწყენილობიდან სიძულვილამდე კი ერთი ნაბიჯია. ერთ რამეს გეტყვი: ჩემ თავზე გამომიცდია, თუკი ვიღაცისთვის განკუთვნილ საწამლავს იმ იმედით დალევ, აქაოდა იმას ეშველებაო, არაფერი გაგივა - თავსაც მოიწამლავ და სულსაც წაიწყმიდავ. ის ბედუინები შენზე ეშმაკები გამოდგნენ და მაშინვე მიხვდნენ, რა სარგებელი შეიძლებოდა ენახათ მისგან, ამიტომაც გადაარჩინეს, მაგრამ როცა თავისი გაინაღდეს, ადგნენ და უპატრონოდ მიაგდეს...

- თავი გამანებე!

დილაობით, თუკი მარტოა ხოლმე, ნამიან ბალახში ჯდომა უყვარს, ბაღში. ერთხელ იქ ერთი ცალი ქლიავი იპოვა, გაწმინდა და ჯიბეში ჩაიდო. სიმარტოვეში იმის წარმოდგენას ცდილობს, ვინ შეიძლება მოიყვანოს აქამდე თვრამეტი კვიპაროსის ჩრდილში გაწოლილმა ძველმა გზამ.

ინგლისელ პაციენტს რომ გამოეღვიძა, მისკენ დაიხარა და ქლიავის მესამედი პირში ჩაუდო. კაციც ყბაგახევებული წუწნის,

გაუღეჭავად. ისეთი სახე ადევს, თითქოს საცაა სიამოვნებისგან ატირდებაო. გოგო ხვდება, ქლიავის ნაჭერი, როგორც იქნა, გადაუყლაპავს.

დამწვარ პაციენტს ხელი ტუჩებთან მიაქვს და იმ ჩამოღვენთილ წვეთებს იწმენდს, ენა რომ ვერ მიწვდომია, მერე გაწეპილ თითს პირში იდებს და წუწნის.

- მოდი, ქლიავზე მოგიყვები, - ეუბნება გოგოს. - ბავშვობაში...

პირველი რამდენიმე ღამე რომ გაათიეს აქ, და გასათბობად ხის ყველა საწოლი შემოეხარჯათ, გოგომ ვიღაც გარდაცვლილის ჰამაკს მიაგნო, კედლებს შორის გაკიდა და ასე, ყოველ ღამე სხვადასხვა ოთახში ჭიმავდა ხოლმე. აღარც იატაკის ჭუჭყი ადარდებდა, აღარც ნესტი და აღარც ვირთხები, მესამე სართულიდან ხშირ-ხშირად რომ სტუმრობდნენ ხოლმე ღამღამობით.

წყვილი რეზინისლანჩიანი ფეხსაცმელი და ეს ჰამაკი - მეტი არც არაფერი ხეირი უნახავს ამ ომში. კაბას კართან მიჭედებულ ლურსმანზე კიდებდა, ძილის წინ მუდამ თავის ძველ ჟაკეტს შემოიცვამდა და ჰამაკში მოიკალათებდა ხოლმე. თუკი უეცრად გამოეღვიძებოდა, ჭერზე ერთთავად მთვარის შუქის ანარეკლს ხედავდა. თანდათანობით დათბა კიდეც და ჰამაკში ძილი უფრო და უფრო საამო ხდებოდა. ადრე, როცა ჯერ კიდევ ციოდა, ვინ იცის რას აღარ წაუკიდეს ცეცხლი.

მისი ჰამაკი, მისი ფეხსაცმელები და მისი კაბა. თავისივე ხელით შეკოწიწებულ ამ პაწია სამყაროში თავს უსაფრთხოდ გრძნობდა. ორი მამაკაცი შორეულ პლანეტებად ეჩვენებოდა და თითოეული მახსოვრობისა თუ სიმარტოვის საკუთარ ორბიტაზე ტრიალებდა. კარავაჯო კანადაში, მამამისთან რომ მეგობრობდა, ქალთა გულთამპყრობლად ითვლებოდა და სულ იოლად შეეძლო ნებისმიერი მათგანისთვის აერია თავგზა. ოღონდ ახლა კი მარტოკა იწვა ბნელში. ერთ დროს ქურდი, ყოველთვის სხვის დაუხმარებლად ახერხებდა თავისი საქმის კეთებას, რადგან არავის

ენდობოდა, მით უფრო - მამაკაცებს. მართალია, მათთან ლაპარაკს არასოდეს გაურბოდა, მაგრამ არჩევანზე თუ იყო საქმე, მაინც ქალებთან ერჩია ურთიერთობა. დილით ადრე, ჩუმად რომ შემოიძურწებოდა ხოლმე სახლში, გოგო ხშირად მამამისის საავარძელში მძინარეს წასდგომია თავს - ვინ იცის, მორიგი ქურდობიდან თუ სასიყვარულო თავგადასავლის შემდეგ დაბრუნებულს.

მის წარმოდგენაში კარავაჯო იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა, მაგრად რომ უნდა ჩაიხუტო და აღარ გაუშვა, თავად კი მუდამ ფხიზლად დარჩენა მოახერხო, იმათმა ხიბლმა რომ არ მოგნუსხოს და დაგადამბლაოს. ეგებ გაღიმებული, თქვენკენ მომავალი დალანდოთ ქუჩაში, ხელის დაქნევაც დაუპიროთ, ის კი უცებ შეიძლება კედელს გადაევლოს და თვეობით გაქრეს თვალთახედვიდან. მოკლედ, ვერაფერი შვილი ბიძა ეთქმოდა.

კარავაჯო მარტო იმითაც აგაფორიაქებდა, როგორ იფარავდა ყოველგვარი უბედობისაგან. მასთან მართლა დაცულად გრძნობდა თავს. აი, ეგეთი იყო კარავაჯო. ახლა კი ისიც აქაა და ალბათ ამ ვეება სახლის რომელიღაც კუთხეში სძინავს. მასაც და იმ მეუდაბნოე ინგლისელსაც.

ომის დროს, როცა ყველაზე უიმედო ავადმყოფებს უვლიდა, გამოიჯეკა და ისე მოირგო მედდის როლი, სხვისი ტანჯვა მაინცადამაინც ახლოს არ მიეტანა გულთან. „ყველაფერს გავუძლებ, არ გავტყდებიო...“ - ჯიუტად უმეორებდა საკუთარ თავს მთელი იმ ხნის მანძილზე, სანამ ურბინო, ანგიარი, მონტერკი არ გამოიარეს, მერე ფლორენციაშიც შევიდნენ და ბოლოს, უკვე პიზაში, ზღვასაც მიაღწიეს.

სწორედ იქ, პიზის ლაზარეთში ნახა პირველად ის თავისი ინგლისელი პაციენტი, სახეწაშლილი კაცი, ვისი სხეულიც ისე ჩაშავებულიყო, როგორც კუნძი ბუხარში. მისი საბუთები ხანძარს შეეწირა და ვინაობაც ვერ დაედგინათ. ახლა მთელ ტანს ბებერი ხესავით ქერქი უფარავდა, თვალებზე ბალახეული მალამოს სქე-

ლი ფენა ედო და საერთოდ შეუძლებელი გახლდათ მისი ამოცნობა.

ზოგჯერ გოგო რამდენიმე თხელ საბანს ერთად იფარებს ხოლმე, ოღონდ იმდენად სითბო არ სიამოვნებს, რამდენადაც მათი სიმძიმის შეგრძნება. როცა ჭერზე მთვარის შუქი აციმციმდება, ეღვიძება და ჰამაკში მწოლიარე, ფიქრით მოგზაურობას იწყებს. მოსწონს ამგვარი განცდა, როცა შეიძლება მშვიდად იფიქრო, რაღაც-რაღაცები გაიხსენო. უბრალო ძილთან შედარებით, ეს მართლაც ბევრად უფრო სახალისოა. მწერალი რომ ყოფილიყო, მხოლოდ მწოლიარე დაწერდა ალბათ - მოიმარჯვებდა ფანქარსა და რვეულს, საყვარელ კატასაც გვერდით მოიწვენდა... ცხადია, უცნობებს და შეყვარებულებსაც არასოდეს დაამადლებდა ყურადღებას.

ასე ჰამაკში მწოლიარე, ცხოვრების ყველა წვრილმანსაც სინდისის ქენჯნის გარეშე აწონ-დაწონიდა - ზღვაში ბანაობას, ვიღაც ჯარისკაცთან ერთჯერად სიყვარულს, რომლის არც სახელი იცოდა და ვისთვისაც არც თავისი ვინაობა გაუმხელია.

საბნებქვეშ ფეხები გაწვართა, გაიზმორა და დაამთქნარა.

აქ ყველაზე მეტად მდორე შებინდება და ნაცნობი ხეების შრიალი ენატრება. ადრე, ტორონტოში, ზეპირად დაისწავლა ზაფხულის ღამის ყველა ხმა და ხმიანობა; სწორედ იქ და მაშინ ჰგავდა ყველაზე მეტად საკუთარ თავს - როცა საწოლში იწვა ან, დაიღლიავებულ კატასთან ერთად, ჯერ ისევ ნახევრად მძინარე, სახანძრო კიბეს მიუყვებოდა.

ბავშვობაში მასწავლებლად კარავაჯო ჰყავდა. იმან ასწავლა სწორედ მალაყს გადასვლა, ახლა კი ხელებს ერთთავად ჯიბეებში მალავს და მხოლოდ მხრებს იჩეჩავს წამდაუწუმ. ვინ იცოდა, სად გადაისვრიდა ომი? თვითონაც ხომ ასეა: ქალთა კოლეჯთან არსებულ საავადმყოფოში მედდების მომზადების კურსი გაიარა თუ არა, ოკეანის გაღმა, კუნძულ სიცილიაზე გაამწესეს. 1943 წე-

ლი იდგა. ფეხოსანთა პირველი კანადური დივიზია ბრძოლით იკაფავდა გზას იტალიაში და საველე ლაზარეთშიც უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა დაჭრილ-დასახიჩრებულთა ნაკადი. არეცოსთან ბრძოლის მერე, უკან დახევისას, დღედაღამ უწევდა დაჭრილებზე ზრუნვა - არც ძილი იყო მისთვის და არც მოსვენება. სამდღიანი უძილობის მერე, უბრალოდ ზეზეურად მოწყდა კისერი და იქვე ჩაიკეცა, იატაკზე მოადინა ზღართანი, გარდაცვლილი ჯარისკაცის გვერდით, და მერე მთელი თორმეტი საათი ეძინა ისე, ირგვლივ გამეფებული საშინელება არც კი გახსენებია.

გაღვიძებისთანავე, პირველ რიგში, ფაიფურის პატარა ლარნაკიდან მაკრატელი ამოიღო, დაიხარა და თმის შეჭრას შეუდგა - არც კი დაფიქრებულა, რა ოკრობოკროდ, არათანაბრად გამოუვიდოდა და ჯიუტად აგრძელებდა თავისას - ახსოვდა, როგორ უშლიდა თმა მთელი ამ ხნის მანძილზე, როცა დაჭრილებთან მოფუსფუსე, მათკენ წაიხრებოდა ხოლმე. ასე კი სიკვდილთან შეხება აღარ ემუქრებოდა. კმაყოფილმა გადაისვა თავზე ხელი და დაჭრილებით გადავსებული ოთახი მოათვალიერა.

მას მერე სარკეში აღარც ჩაუხედავს. როცა ფრონტზე ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა, ჯერი-ჯერ იგებდა ხოლმე ნაცნობი ადამიანების დაღუპვის ამბავს. შეძრწუნებული ფიქრობდა იმ წუთზე, როცა მშობელი მამის ან დენფორს-ევენიუზე მდებარე იმ საბაყლოს პატრონის სახიდან მოუწევდა სისხლის მოწმენდა, რომელშიც ბავშვობიდან დაიარებოდა ხოლმე. ერთიანად გაქვავდა და გაუხეშდა. სხვათა შორის, პაციენტების მიმართაც კი. ხსნად კეთილგონიერებაღა რჩებოდა, თუმცა კეთილგონიერება, ეტყობა, ყველას ერთბაშად დავიწყნოდა. ქვეყანა სისხლში ცურავდა. ვიღას ახსოვდა ტორონტო და ძველი ყოფა? ადამიანებს ადამიანური სახე აღარ შერჩენოდათ, ყველასა და ყველაფერს ამხედრებოდნენ - ჯარისკაცებსაც, ექიმებსაც, მედდებსაც...

დაჭრილებს ის უკვე „ძმაოო“ - მიმართავდა ხოლმე და გულით იცინოდა ამ სიმღერის გაგონებაზე:

პრეზიდენტი ფრენკი თავს არ იჭერს შორს:

„ძმაო, როგორ მყავხარო“, - ათას კაცში მცნობს!

დასისხლიანებულ კიდურებს უხვევდა, ყუმბარის უკვე იმდენი პატარ-პატარა ნამსხვრევი ამოეღო ჭრილობებიდან, გულში ეცინებოდა კიდეც - რაღა მაღაროდან მთელი ტონა ლითონი გამოგითრევიაო. ერთხელ ღამით, როცა ვიღაც დაჭრილი ხელში ჩააკვდა, ყველა წესისა და მითითების საწინააღმდეგოდ, იმისი საველე ჩანთიდან რეზინისლანჩებიანი ფეხსაცმელი დაითრია. ცოტა დიდი კი ჰქონდა, მაგრამ მაინც მშვენივრად მოირგო.

სახე თანდათან ჩამოუგრძელდა, გაუმკაცრდა. სწორედ ასეთი იხილა ახლა კარავაჯომაც. გახდა კიდეც - უფრო დაღლილობისაგან, ვიდრე უჭმელობის გამო. თუმცა, შიმშილის განცდაც მუდმივად აწუხებდა და ძალიან ღიზიანდებოდა ისეთი დაჭრილისთვის ლამის ძალით ჭმევა თუ უხდებოდა, ვისაც ლუკმა არ გადასდიოდა ყელში ან უბრალოდ უმადობა სჭირდა. გულზე სკდებოდა, როცა წვნიანი - თვითონ ერთ ყლუპზე რომ შეხვრეპდა - თანდათან ცივდებოდა და ქონს იდებდა, ჭირვეული პაციენტის გადამკიდე. თავად არც არაფერ განსაკუთრებულს არ ნატრობდა - პურითა და ცოტაოდენი ხორცითაც იოლად ჩაიწყნარებდა კუჭს. რომელიღაც პატარა ქალაქში, სადაც დროებით განათავსეს ლაზარეთი, მეზობლად ერთ მომცრო საცხობს მიაგნო და როცა კი წუთს მოიხელთებდა, მაშინვე იქაურობას მიაშურებდა ხოლმე - ხარბად ისუნთქავდა უმი ცომის სურნელს, თითქოსდა უკვე გამომცხვარი პური დებულიყო თაროებზე... მოგვიანებით, როცა რომის აღმოსავლეთით, ახალ ადგილზე გადაისროლეს, ვიღაცამ მწიფე მსხალი აჩუქა და იმის გემოც კარგა ხანს გაჰყვა პირში.

ჩრდილოეთისაკენ დაძრულები, ღამეებს ხან ბაზილიკებში, ხანაც მონასტრებში ათევდნენ - იქვე, სადაც დაჭრილებს აბინა-

ვებდნენ ხოლმე. თავისთავად, მისთვის ეს უცნაური და უჩვეულო ამბავი გახლდათ, მაგრამ უკვე აღარაფერი აკვირვებდა. როდესაც რომელიმე დაჭრილი კვდებოდა, საწოლზე მიმაგრებულ მუყაოს პატარა დროშას მაშინვე აძრობდა ხოლმე, რათა სანიტრებს უცებვე შეემჩნიათ. ზოგჯერ მაინც ახერხებდა ამ სქელკედლებიანი შენობებიდან გარეთ, სუფთა ჰაერზე გამოსულიყო; ხან გაზაფხული ხვდებოდა იქ, ხან - ზამთარი და ხანაც - ზაფხული. მარტო ბუნებას არ ეღალატა საკუთარი წესისა და რიგისათვის. თუკი წამით მაინც შეეძლო დახშული სივრციდან გამოღწევა, ჰანას არც თავსხმა წვიმა აკავებდა და არც გრიგალი. სასიცოცხლოდ სჭირდებოდა თუნდაც ერთი ყლუპი, ტანჯვისა და სიკვდილის სუნით გაუჯერებელი სუფთა ჰაერი.

„სალამი, ძმაო!“, „კარგად, ძმაო!“ - ყველაფერი უცებ, თითქოს თვალის დახამხამებაში ხდებოდა, მისალმებაცა და გამოთხოვებაც. დაჭრილებზე პასუხს მხოლოდ იმათ სიკვდილამდე აგებდა. არც ხასიათი და არც განვლილი ცხოვრება არ უწყობდა ხელს, მედდა გამხდარიყო, მაგრამ როცა თმა შეიჭრა, ისეთი განცდა გაუჩნდა, ამით რაღაც ვალდებულებას მოვაწერე ხელიო და ამ ვალდებულებისთვის არც არასდროს უღალატია, ვიდრე ფლორენციის ჩრდილოეთით, ვილა სან-ჯიროლამოში არ ამოყო თავი. იქ ჯერ ოთხი სხვა მედდა, ორი ექიმი და ასიოდე დაჭრილიც იყო, მერე კი საომარი მოქმედებების არემ ჩრდილოეთისკენ გადაიწია და, ჯერჯერობით, ვილაზე მხოლოდ ორნიღა დარჩნენ.

ერთხელაც, როცა ამ პატარა, მთებში შეყუჟული ქალაქის მაცხოვრებლები რაღაც ადგილობრივ დღესასწაულს აღნიშნავდნენ, პირდაპირ განაცხადა: აქედან ფეხსაც აღარ მოვიცვლი - აღარც ფლორენციაში დავბრუნდები, არც რომში და არც რომელიმე სხვა ლაზარეთში ვიმუშავებო... ჩემი ომი დამთავრდაო, გაიძახოდა. დამწვარი მფრინავის მოსავლელად დარჩა - იმის, ვისაც ყველა „ინგლისელ პაციენტს“ ეძახდა. ასე იმიტომ მოიქცა, უკვე იცო-

და, ეს კაცი იმდენად სუსტად იყო, კიდევ ერთ მოგზაურობას ნამდვილად ვეღარ გადაიტანდა. ამიტომაც აპირებდა ისევ ძველებურად წაესვა მისთვის ბელადონას მალამო ქუთუთოებზე, ხოლო დამწვარ სხეულზე ათასი სხვა სალბუნი თუ საფენი დაედო. ეუბნებოდნენ - დარჩენა სახიფათოაო, რადგან ბრძოლები ჯერაც გრძელდებოდა, მონასტერი სანახევროდ დანგრეულიყო და არც ყაჩაღების სიმცირეს უჩიოდნენ იმ მიდამოებში...

ასე რომ, უსაფრთხოების პირობას ვერავინ მისცემდა. ის კი მაინც ჯიუტად იდგა თავისაზე, არაფრის გაგონება არ სურდა. სამხედრო სამოსი გაიხადა, ჩანთიდან ყავისფერი, მოჩითული კაბაცა და ის რეზინისლანჩიანი ფეხსაცმელიც ამოალაგა და უკვე ასე, ახლებურად გამოწყობილმა გამოაბიჯა ომიდან. საკმარისზე დიდხანს ემორჩილებოდა ბრძანებებს; ახლა კი აქ, ამ ვილაზე დარჩებოდა თავის ინგლისელ პაციენტთან ერთად - მანამ, სანამ მონასტერს კანონიერი მობინადრეები არ დაუბრუნდებოდნენ. ეს ერთიანად დაბუგული მფრინავი რაღაც ისეთს მალავდა, რისი გაგების ჟინიც კლავდა. უნდოდა საიდუმლო ამოეცნო და მერე ისევ წარსულს დაბრუნებოდა, კვლავ პატარა გოგოდ შეეგრძნო თავი, ბავშვობაში ეპოვა თავშესაფარი და დაევიწყებინა კიდეც, უკვე ბავშვი რომ აღარ იყო. ერთიანად მონუსხავდა ხოლმე ამ კაცის ლაპარაკი, მისი არეული მოგონებები, თითქოს თვითონაც კი აყვებოდა ხოლმე იმის ნაუბარს... გულით უნდოდა გადაერჩინა ეს უსახოდ და უსახელოდ დარჩენილი ადამიანი, ერთი იმ ორასი (ან ეგებ, კიდევ მეტი) პაციენტიდან, ვისი მოვლა-პატრონობაც მოუწია, ვიდრე ჯარი ჩრდილოეთისკენ მიიწევდა.

ასე, მოჩითულ კაბაში გამოწყობილი გამოეცალა იმ ზეიმს და თავის ოთახს მიაშურა, სადაც, მასთან ერთად, სხვა მედდებიც ცხოვრობდნენ. საწოლზე ჩამოჯდა. უცებ რაღაცამ გაიბრჭყვიალა კუთხეში. პაწია, მრგვალ სარკეს ჰკიდა თვალი. აუჩქარებლად წამოდგა, ნელ-ნელა მიუახლოვდა. სარკე ერთი ბეწო იყო, თუმცა

ამ გარემოში მაინც ფუფუნების საგნად მოჩანდა. წელიწადზე მეტი გასულიყო, რაც სარკეში აღარ ჩაეხედა. საკუთარ სილუეტს მხოლოდ ჩრდილად თუ მოკრავდა ხოლმე თვალს კედელზე. ახლაც მარტო ერთი ლოყა დაინახა და მოუწია, სარკე ხელის გაწვდენაზე დაეჭირა. უცქერდა საკუთარ სახეს და თითქოს ხელახლა ეცნობოდა, თითქოს გულსაბნევში შენახულ, ვიღაც სხვის პორტრეტს აკვირდებოდა. გარედან, მზეს მისაფიცხებლად ეზოში გამოფენილი პაციენტების მხიარული ხმები მოისმოდა. შიგნით მხოლოდ მძიმედ დაჭრილები დარჩენილიყვნენ. „სალამი, ძმაო!“ - ისე გაუღიმა საკუთარ გამოსახულებას სარკეში, თითქოს როგორც იქნა, იცნოო.

ჰანა და კარავაჯო ღამეული ბაღის სიბნელეში მიდი-მოდიან. კაცი ლაპარაკს იწყებს, მძიმედ, თავისებურად წელავს ხმოვნებს.

- ის ღამე თუ გახსოვს, დენფორს-ევენიუზე, ქროუერის რესტორანში? ვიღაცის დაბადების დღე იყო. მამაშენიც მოვიდა, ჯიანეტაც, ჩვენი მეგობრები... შენც იქ იყავი. ყველას რიგრიგობით უნდა გვემღერა თითო სიმღერა. შენ თქვი, მეც მინდაო - არადა, ეგ შენი პირველი წვეულება იყო, ჯერ კიდევ სკოლაში დადიოდი. ფრანგულად უნდა ვიმღეროო, - დაიჟინე. მერე ჯერ სკამზე აძვერი, მერე იქიდან - მაგიდაზე და „მარსელიეზა“ წამოიწყე. თან ცალი ხელი გულზე გედო. თითქმის ვერავინ გაიგო, რას მღეროდი და ალბათ შენ თვითონაც ვერ ხვდებოდი, სინამდვილეში რას ნიშნავდა ეს ალონზანფან, თუმცა გულით გრძნობდი, რაზე იყო თავად სიმღერა.

ღია ფანჯრიდან სიო უბერავდა, კაბას გიფრიალებდა, ლამის მაგიდაზე ჩამორიგებული სანთლების ალი მოგდებოდა და წვივებიც თოვლივით თეთრად გიჩანდა. მამაშენი გაოცებული შემოგცქეროდა, თან - სიყვარულით. მე და ის მაგიდის კიდესთან ვიდექით და როცა სიმღერა მოათავე, ხელები შემოგაშველა და მაგიდიდან ჩამოგახტუნა.

- თუ გინდა, ხელებზე სახვევებს გამოგიცვლი. მაინც მედდა ვარ, რაც არ უნდა იყოს.

- არა ღირს. ხელთათმანებივით მოვირგე უკვე.

- ისე, როგორ მოგივიდა ეგ ამბავი?

- დამიჭირეს, როცა ქალის ოთახის ფანჯრიდან გადმოვხტი. იმ ქალზე გითხარი უკვე - აი, სურათი ვინც გადამიღო. ოღონდ იმის ბრალი არაფერი ყოფილა.

გოგო მკლავზე კიდებს ხელს, კუნთს უსინჯავს.

- მოდი, მაინც გადაგიხვევ.

ცდილობს, ძალით ამოაღებინოს კაცს ხელები ჯიბეებიდან. დღის სინათლეზე ბანდებს რუხი ფერი ედოთ, ახლა კი, ბნელ ღამეში, ლამის თეთრად ქათქათებენ.

გოგო ნელ-ნელა იწყებს სახვევის მოცილებას და კაციც თანდათანობით უკან-უკან იხევს, ილუზიონისტივით, სახელოებიდან უსასრულოდ რომ ექაჩება გრძელ თეთრ ზონარს. გოგო ნაბიჯ--ნაბიჯ უახლოვდება კაცს, მისი ბავშვობიდან დაბრუნებულ ბიძას, ვედრებით სავსე თვალებში შესცქერის და მერე მის შეტყუპებულ მტევნებს ეხება, ლოყას ლოყაზე ადებს.

- იმასაც გეტყვი, გვარიანი ვაჭრობა დამჭირდა, თავი რომ დამეხსნა.

- მაინც, როგორ მოახერხე?

- ძველი უნარ-ჩვევები დამეხმარა.

- ეგ კი მახსოვს. დაიცა, არ გაინძრე! ერთ ადგილას გამიჩერდი.

- უცნაური დროებაა ეს ომის დასასრული.

- მართალია. ყველა თავისებურად ცდილობს, როგორმე მოერგოს.

- კი, ეგრეა.

კაცი ორივე ხელს მაღლა სწევს, თითქოს უნდა, მტევნებში მოიმწყვდიოს ნამგალა მთვარე.

- ახლა ხედავ? ორივე ცერი მომაჭრეს.

ხელები წინ გაუშვერია, მერე გოგოს ცხვირწინ ამოატრიალებს ცალ მტევანს, თითქოსდა იმის დასამტკიცებლად, არავითარი ოინი აქ არააო. ცერის ადგილას ღრმული მოჩანს. კაცი ორ თითს ავლებს გოგოს პერანგის საყელოს და მსუბუქად ექაჩება თავისკენ.

- ახლა მხოლოდ ასეღა შემიძლია.

- სულ ის მახსენდება, ბავშვობაში რომ ისე არ მოხვიდოდი ჩვენთან, ჩემთვის რამე არ მოგეტანა საჩუქრად - რამე სასუსნავი, ან ფერადი ფანქრები, ან სანოტო რვეული... ან სად და ვის წაპნიდი ხოლმე მაგეებს? სიზმარშიც ხშირად მესიზმრებოდა, ვითომ ღამღამობით ერთად ვძვრებოდით სახურავებიდან სხვის ბინებში...

კაცს ვერც ხედავს, სიბნელეს ელაპარაკება, რადგან მოსაუბრის სახე პირბადესავით დაუფარავს ფოთლების მუქ ჩრდილს.

- ქალები გიყვარს, არა? ადრე გიყვარდა...

- ცხადია, მიყვარს. ძველებურად.

- ახლა მაგას მნიშვნელობაც აღარა აქვს, ომისა და ამდენი უბედურების მერე.

კაცი თავს უქნევს და ფოთლების პირბადეც სახიდან ეცლება.

- იმ მხატვრებს გავდი, ჩვენს უბანში, ღამღამობით რომ მუშაობდნენ ხოლმე და დილამდე მარტო იმათ ფანჯრებში რომ ენთო შუქი. გახსოვს?

- კი, ვიცნობდი ეგეთებს.

- შინ შევიდეთ, აცივდა უკვე.

- იცოდი, რომ მართლა დიდ ჯიბგირებს შუა და საჩვენებელი თითები ერთი სიგრძისა აქვთ ხოლმე? ასე იბადებიან. ამიტომაც არ ჭირდებათ ჯიბეში ღრმად ფათური. ბევრი-ბევრი, სანტიმეტრნახევარზე ჩაყონ.

ხეივანს მიუყვებიან უკან, სახლისაკენ.

- ბოლო-ბოლო, ეგ ვინ დაგმართა?

- სხვათა შორის, ქალმა. ან იქნებ იფიქრეს, ასე უფრო მძაფრი განცდები ექნებაო. ერთ-ერთ მედდას დაუძახეს, მერე ბორკილებდადებული, მაჯებით მაგიდის ფეხზე მიმაბეს. როცა ცერები მომაჭრეს, მაჯები თავისთავად გამომისხლტა ბორკილებიდან. მაგრამ ყველაფრის თავი და თავი ის კაცი იყო, ვინც მედდას დაუძახა - უფროსად მოჰქონდა თავი... რანუჩო ტომაზონი ერქვა. მედდა კი სულ შემთხვევით აღმოჩნდა მაშინ იქ, ჩემი არაფერი იცოდა - არც ვინაობა, არც სადაურობა, არც საქმიანობა.

უკვე სახლში შესულებს, ინგლისელი პაციენტის ყვირილი მოესმათ. სულ გადაავიწყდა კარავაჯო, სირბილით აუყვა კიბეს. კარავაჯოც ხედავდა, როგორ კრთოდა სიბნელეში მისი თეთრი, რბილლანჩიანი ფეხსაცმელები.

ყვირილის ხმა დერეფნის კედლებს აწყდებოდა. კარავაჯომ სამზარეულოში შეიარა, პური მოიტეხა და მერეღა მიჰყვა ჰანას უკან. ყვირილი კი სულ უფრო მატულობდა. ოთახში შესულმა დაინახა, რომ ინგლისელი საიდანღაც შემოხეტებულ ძაღლს მიშტერებოდა, ის კიდე, ამ ყვირილით გაოგნებული, ადგილიდან ფეხს ვერ იცვლიდა. ჰანამ კარავაჯოს გამოხედა და ღიმილით უთხრა:

- ასი წელია, ძაღლი არ მინახავს. ერთიც არსად შემხვედრია მთელ ამ ომში.

მერე ძაღლის გვერდით ჩაიმუხლა და ხელი შემოხვია, თან იმისი ბეწვისა და მთის მდელოების ბალახეულის სუნს იყნოსავდა ხარბად. ოდნავ წაკრა ხელი, კარავაჯოსკენ უბიძგა, იმან კი ძაღლს პურის ნაჭერი გაუწოდა. კარავაჯო ინგლისელმაც დაინახა და ყბა ჩამოუვარდა. წამით მოეჩვენა, ძაღლი ადამიანად იქცაო. კარავაჯომ ძაღლი აიტატა და იმიანად გავიდა ოთახიდან.

- ასე მგონია, - თქვა ინგლისელმა, - ამ ოთახში ცხოვრობდა სწორედ ანჯელო პოლიციანო, დიდი პოეტი... ან იქნებ, სულაც

მთელი ეს ვილა მისი იყო. აი იმ კედელთან ძველებური შადრევანი უნდა ყოფილიყო, ახლაც ატყვია იმისი კვალი. აქ იკრიბებოდნენ ხოლმე...

- არა, აქ საველე ჰოსპიტალი იყო, - წყნარად თქვა გოგომ. - მანამდე კიდე - მონასტერი. მერე კი ჯარი დაბანაკდა.

- პოლიციანოს თავად ლორენცო მედიჩი სწყალობდა. ფლორენციაში, წმინდა სამების ტაძარში სურათი კიდია, სადაც მედიჩების მთელი ოჯახია გამოსახული და წითელლაბადამოსხმული პოლიციანოც იქვე დგას. 1483 წელი უნდა იყოს. ერთსა და იმავე კაცში ჩაბუდებული გენია და ბოროტება. თავად გაიკვლია გზა მაღალი საზოგადოებისაკენ.

შუაღამეს კარგა ხანი გადასცილებოდა, ინგლისელ პაციენტს კი ჯერაც არ ეკარებოდა რული.

„ჯანდაბას შენი თავი. რამდენიც გინდა ილაპარაკე, ოღონდ აქედან წამიყვანე სადმე!“ - ფიქრობდა გოგო, რადგან თვალწინ ისევ კარავაჯოს ხელები ედგა. ის კიდე ალბათ ახლა მაწანწალა ძაღლს აპურებდა სამზარეულოში, რომელიც ვინ იცის, ერთ დროს მართლა ეკუთვნოდა თუ არა იმ ვიღაც პოეტს.

- სისხლიანი დრო იყო. ხანჯალი და პოლიტიკა. სამკუთხა ქუდები, გახამებული საყელოები და პუჭუჭა პარიკები. თანაც - აბრეშუმის! ცხადია, სავონაროლა ცოტა მოგვიანებით გამოჩნდა და მერე დაიწყო, რაც დაიწყო - კოცონებში წიგნებისა თუ ნახატების შეკვეთება! პოლიციანოს ჰომეროსი ჰქონდა ნათარგმნი, დიდებული პოემაც დაწერა სიმონეტა ვესპუჩიზე. გსმენია ეგ სახელი?

- არაა... - სიცილი ვერ შეიკავა გოგომ.

მთელი ფლორენცია მისი პორტრეტებით იყო გაძეძგილი. ოცდასამი წლისა გარდაიცვალა, ჭლექით. ჯერ პოლიციანომ გაუთქვა სახელი იმ თავისი პოემით, მერე - ბოტიჩელიმაც გადაიტანა ტილოზე... პოემის სიუჟეტზე ლეონარდოსაც აქვს რამდენიმე ნა-

ხატი. პოლიციანო ყოველდღე ლექციებს კითხულობდა: დილაობით, ორ-ორი საათი ლათინურად, ნაშუადღევს კი - ძველბერძნულად. პიკო დელა მირანდოლასთან მეგობრობდა, ცნობილ საზოგადო მოღვაწესთან, რომელიც თავისი გიჟმაჟობით გამოირჩეოდა და ბოლოს, ყველასათვის მოულოდნელად, სავონაროლას ბანაკში ამოყო თავი.

„ბავშვობაში მეც ეგეთი მეტსახელი მქონდა - პიკო“.

- ასეა. დარწმუნებული ვარ, ამ კედლებს ბევრი რამე ახსოვთ. თუნდაც აი ეს, კედელში ჩატანებული შადრევანი. იმასთან იკრიბებოდნენ პიკო, ლორენცო, პოლიციანო და ჯერ მთლად ახალგაზრდა მიქელანჯელო. ხელში ეჭირათ ახალი სამყაროცა და ძველიც. აქაურ ბიბლიოთეკაში ინახებოდა ციცერონის ბოლო ოთხი წიგნი. ამ ხალხმა ჩამოიყვანა ევროპაში ბევრი მანამდე სრულიად უცნობი მხეციც - ჟირაფი გინდა თუ მარტორქა. ვაჭრების მონათხრობის მიხედვით, ტოსკანელიმ იმდროინდელი სამყაროს რუკებიც შეადგინა. აქ, სწორედ აქ, ოთახში ისხდნენ ხოლმე და დილამდე ცხარედ კამათობდნენ. მარმარილოში ნაკვეთი პლატონი კი უტყვი კმაყოფილებით უგდებდა მათ ყურს.

მაგრამ, აი, გამოჩნდა სავონაროლა და ქუჩებიც მისმა გამყივანმა ხმამ შეძრა: „შეინანიეთ! წარღვნა მოახლოვდა!“ და მართლაც, ყველაფერი წაილეკა - თავისუფალი ნება, სინატიფისკენ ლტოლვა, დიდება, ღვთაებრივი პლატონისადმი მოწიწება... მთელ იტალიაში აბრიალდა ინკვიზიციის კოცონები, ცეცხლში ჩაინთქა პარიკებიც, წიგნებიც, ცხოველთა ტყავებიცა და რუკებიც. ოთხასი წლის მერე, ძველი საფლავები გათხარეს და რა ნახეს, როგორ გგონია? პიკოს ძვლები მშვენივრად შენახულიყო, პოლიციანოსი კი - მტვრად ექცია დრო-ჟამს...

ინგლისელი თავის წიგნს ფურცლავდა და ჩაწებებულ გვერდებზე საკუთარ ნაწერს კითხულობდა. ჰანაც უსმენდა ათასნაირ ამბებს - დიად აღმოჩენებსა და ცეცხლში განადგურებულ რუკებ-

ზე, კოცონში მოსროლილ პლატონის ქანდაკზე, რომლის მარმარილოც სიმხურვალეს დაედნო... ამ ყველაფრის მომსწრე პოლიციანო სადღაც, ბალახით დაფარულ გორაკზე იდგა და თავის რიგს ელოდა, პიკო კი განსაცდელს გადარჩენოდა, რადგან პირქუშ სენაკში ეპოვა სულის ხსნაცა და მარადიული ნეტარებაც.

კარავაჯომ ძაღლს ჯამში წყალი ჩაუსხა. ეს ბებერი მაწანწალა აშკარად ომამდე დაბადებულს გავდა.

მერე კაცი მაგიდას მიუჯდა და ღვინით სავსე გრაფინი დაიდგა წინ. ამ ჭერქვეშ მასპინძელი ჰანა იყო, ამიტომაც ფრთხილად ირჯებოდა - ცდილობდა არაფერი გაეტეხა ან რაიმეს არ გასდებოდა ცუდად: თუნდაც იმ მინდვრის ყვავილების პატარ-პატარა თაიგულებს, გოგო საკუთარ თავს რომ ჩუქნიდა ხოლმე და მერე სხვადასხვა ოთახში ანაწილებდა პირმოტეხილ ჯამ-ჭურჭელში. უფრო ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, ეს ამბავი ალბათ გულსაც აუჩუყებდა.

მაგრამ ახალგაზრდა უკვე ნამდვილად აღარ ეთქმოდა. ნეტა გოგო რას ფიქრობდა მასზე, მის ჭრილობებზე, სადღაც გამქრალ სულიერ სიმშვიდეზე, ლოყებზე მოდებულ ჯაგარსა და კისერზე ჩამოზრდილ ჭაღარა თმაზე? ადრე ასაკის განცდა ასე მძაფრად არასდროს მოსძალებია. სხვები ბერდებოდნენ თითქოს, თვითონ კი - არა. ეტყობა იმიტომ, ასაკთან შედარებით ყოველთვის ცოტა უფრო თავქარიანი რომ გახლდათ.

ჩაიმუხლა, ძაღლს მიაჩერდა, როგორ სვლეპდა წყალს. როცა ისევ დააპირა წამოდგომა, თავბრუდახვეული, წონასწორობა რომ არ დაეკარგა, მაგიდას წაეპოტინა და უნებურად ის ღვინიანი გრაფინი წააქცია.

- დეივიდ კარავაჯოს გეძახიან, არა?

მუხის მაგიდის სქელ ფეხს მიაბეს ბორკილებით. ერთი პირობა წამოსწია კიდეც, გაქცევას ცდილობდა, მაგრამ მარცხენა მაჯიდან თქრიალით წასკდა სისხლი და დაეცა. მედდამ დანა გააგდო

ხელიდან, საქმის გაგრძელებაზე უარს იყო. ამ დაჯაჯგურებაზე, მაგიდის ერთი უჯრაც გამოვარდა და მკერდზე დაეცა. იმის მთელი შიგთავსი იატაკზე მიმოიბნა. გაიფიქრა - პისტოლეტიც რომ ყოფილიყო შიგ, სულზე მომისწრებდაო. ამასობაში, რანუჩო ტომაზონიმ სამართებელი გახსნა და თავზე დაადგა.

- მაშ, კარავაჯო, არა?

ბოლომდე ჯერაც არ ჩანდა დარწმუნებული.

მაგიდის ქვეშ იწვა და ხელის მტევნებიდან წამსკდარი სისხლი სახეს უთხვრიდა. გონს რომ მოეგო, ბორკილი მოიშორა, სკამი გვერდზე მიაგდო ტკივილისაგან გამწარებულმა და მარცხენა გვერდზე გადაბრუნდა - ახლა მეორე ბორკილიდან გასათავისუფლებლად. ირგვლივ სისხლის გუბე იდგა. ხელები უსარგებლო ტაკვებად გადაქცეოდა. მოგვიანებით, კიდევ რამდენიმე თვე უნებურად გაიაზრებდა ხოლმე, რომ სხვა ადამიანთა ცერებს ერთგვარი შურით უცქერდა. სწორედ ამ მხეცური ამპუტაციის მერე გაუჩნდა ასაკის განცდა: თითქოს სწორედ იმ ღამეს, როცა ხელბორკილებით მაგიდას მიაჯაჭვეს, თან რაღაც დასაბერებელიც შეუშხაპუნეს.

თავბრუ ცოტათი ჯერ ისევ ეხვეოდა, როცა ძაღლს შეავლო თვალი, მერე კი ღვინით დალაქავებულ მაგიდას. უცებ ის ორი გუშაგი გაახსენდა, ის ქალიცა და ის ტელეფონებიც - განუწყვეტლივ რომ რეკდნენ და ტომაზონის საქმიანობაში ხელს უშლიდნენ: ზარის ყოველ გაწკარუნებაზე იმასაც სამართებლის გვერდზე გადადება უწევდა და მთლად ზრდილობად ქცეული, მომიტევეთო - ეუბნებოდა; მერე, დასისხლიანებული ხელით დასწვდებოდა ხოლმე ყურმილს და უხმოდ ისმენდა ვიღაცის მითითებებს. კარავაჯო ვარაუდობდა, არაფერი დამცდენია, არავინ გამიციაო, მაგრამ იქიდან ისე გამოისტუმრეს, მთლად ბოლომდე დარწმუნებული ვერც იქნებოდა.

ფეხათრეული ნაბიჯით გაუყვა ვია-დი-სანტო-სპირიტოს - იმ ადგილისაკენ, სამუდამოდ რომ ჰქონდა მახსოვრობაში ჩაჭედილი. ბრუნელესკის ნაგებ ეკლესიას ჩაუარა და გერმანული ინსტიტუტისაკენ გაემართა, სადაც - როგორც იცოდა - სანდო კაცი ელოდებოდა მის გამოჩენას. აი, მაშინ მიხვდა სწორედ, რატომაც გამოეშვათ. ცხადია, თვალთვალს დაუწყებდნენ და ასე მიაგნებდნენ მეკავშირეებს. სწრაფად გადაუხვია გვერდითა ქუჩაზე, უკანმოუხედავად შეუყვა აღმართს. ნეტავ ახლა აქ ასფალტს აგებდნენო, - ნატრობდა. ფისით სავსე ქვაბთან მივიდოდა, იქიდან ამოსულ შავ ოხშივარში შემალავდა ჯერაც სისხლმდინარე ხელებს... უკვე წმინდა სამების ხიდსაც მიაღწია. იქ კაციშვილი არ ჭაჭანებდა, რამაც, ცოტა არ იყოს, გააკვირვა. სრული სიჩუმე გამეფებულიყო ირგვლივ. სანამ აქამდე მოაღწევდა, უამრავ ტანკსა და ჯიპს ჰკიდა თვალი, აქ კი არანაირი მოძრაობა არ შეიმჩნეოდა. ხიდის განიერ, გლუვ მოაჯირზე ჩამოჯდა, მერე კი სულაც გულაღმა გაწვა ზედ.

და სწორედ ამ დროს გაისმა აფეთქების ხმაც. ხიდი დაენაღმათ. ჰაერის ტალღამ ჯერ ზემოთ ააგდო, მერე კი ისე დაანარცხა ძირს, ეგონა სამყაროს აღსასრული დადგაო. თვალი რომ გაახილა, ზუსტად მის წინ უშველებელი თავი დაინახა. ხარბად ჩაისუნთქა, მაგრამ ფილტვები წყლით გაევსო. მიხვდა, მდინარე არნოში ჩავარდნილიყო და მრუმე წყალში ვიღაც წვეროსანის თავს არჩევდა მხოლოდ. რატომღაც შეეცადა, ხელით მიწვდომოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. მდინარის წყალს ცეცხლის ალები კბენდნენ. ბოლოს, როცა ზედაპირზე ამოყვინთა, ირგვლივ ყველაფერი ცეცხლში იყო გახვეული.

გვიან საღამოს ეს ყველაფერი ჰანასაც უამბო, იმან კი უთხრა:

- შენ წამებას იმიტომაც შეეშვნენ, მოკავშირეები რომ მოახლოვდნენ. გერმანელები უკვე ქალაქს ტოვებდნენ და ხიდებსაც აფეთქებდნენ.

- არ ვიცი, არ ვიცი... იქნებადა მართლა ყველაფერი დავფქვი? ან ის ვისი თავი იყო იქ?! ტელეფონი გამუდმებით რეკდა, ყველანი ხმას გაკმენდნენ ხოლმე, ის კაციც თავს მანებებდა და დანარჩენები კიდე გაფაციცებული მიჩერებოდნენ, როგორ უსმენდა ვიღაცის ხმას ყურმილში. ვინ ელაპარაკებოდა? ან - ის ვისი თავი იყო, წყალში?

- უკვე გარბოდნენ, დეივიდ.

სულ ბოლო, სუფთა ფურცელზე შლის „უკანასკნელ მოჰიკანს“ და წერას იწყებს:

ჩვენთან, ვილაზე სტუმარია, დეივიდ კარავაჯო, მამაჩემის მეგობარი. ყოველთვის მიყვარდა ეს კაცი. ჩემზე ბევრად უფროსია - ასე, ორმოცდახუთისა იქნება. ადრე სხვანაირი იყო - უფრო თავდაჯერებული. უცნაურია, რომ მამაჩემის მეგობარი ასე მეპყრობა.

წიგნს ხურავს, ბიბლიოთეკაში ჩადის და იქ, ერთ ძნელადმისაწვდომ თაროზე მალავს, საგულდაგულოდ.

ინგლისელს ეძინა და ახლაც პირით სუნთქავდა, როგორც ყოველთვის - მძინარეცა და მღვიძარიც. ჰანა სკამიდან წამოდგა, ფეხაკრეფით მიუახლოვდა და შეტყუპებული ხელებიდან ფრთხილად ამოაცალა ანთებული სანთელი. მერე ფანჯარასთან მივიდა, სულის შებერვით ისე ჩააქრო, ნამწვის სუნი გარეთ რომ გასულიყო. არ უყვარდა, როცა კაცი ასე იწვა ხოლმე, გულზე ხელებდაკრეფილი და სანთელჩაბღუჯული, მკვდარივით. იმასაც კი ვერ ამჩნევდა, როგორ ეღვენთებოდა ცვილი პირდაპირ მაჯებზე: თითქოს უკვე გამზადებულიყო სასიკვდილოდ - ამ გენერალურ რეპეტიციასაც ნამდვილი დეკორაციების ფონზე გადიოდა, ნამდვილივე რეკვიზიტით.

გოგო ფანჯარასთან იდგა. ორივე ხელით ისე ჩაფრენოდა საკუთარ თმას, თითქოს ამოგლეჯას აპირებსო. სიბნელეში ვენები რომ გადაიჭრა, სისხლიც შავი იქნება.

მოუნდა, საჩქაროდ გაცლოდა იქაურობას, იმ ოთახიდან გამოსულიყო. აუხსნელმა შფოთვამ შეიპყრო, ჩაკეტილი სივრცის შიშმა აიტანა. აჩქარებული ნაბიჯით გაუყვა დერეფანს, მერე კიბის საფეხურები ჩაირბინა და ღია ტერასაზე აღმოჩნდა. უკვე იქ ჩასულმა, თავი აწია, ისე აიხედა ზემოთ, კაცი იფიქრებდა, ფანჯრის ჩარჩოში იმის დალანდვას ლამობდა, ვისაც ეს-ესაა თავქუდმოგლეჯილი გამოქცეოდა. ცოტა ხანში, ისევ სახლს მიადგა - დამძიმებულ, ნესტგამჯდარ კარს მიაწვა და ბიბლიოთეკაში შეაბიჯა. ოთახის შორეულ ბოლოში, აჭედილ ორფრთიან კარს ფიცრები ააძრო და პირთამდე მოაფრიალა, ღამის გრილი ჰაერი შემოუშვა. არ იცოდა, სად იყო ახლა კარავაჯო. როგორც წესი, ღამღამობით გაუჩინარდებოდა ხოლმე და გამთენიისასღა ბრუნდებოდა. ამჯერადაც არსად ჩანდა.

ერთი სწრაფი მოძრაობით გადააძრო როიალს რუხი შალითა, მერე ოთახის მოპირდაპირე კუთხისკენ წააჩოჩიალა, როგორც დაშვებული აფრა ანდა მეთევზის ბადე.

ირგვლივ წყვდიადი გამეფებულიყო. შორიდან ქუხილის დაგუდული ხმა მოესმა.

უკვე როიალის წინ იდგა. თითები კლავიშებს შეახო და არც დაუხედავს, ისე დაიწყო დაკვრა. თავდაპირველად, მხოლოდ ალალბედზე იღებდა აკორდებს, თანდათან უახლოვდებოდა თემას. ყოველი აკორდის შემდეგ, მცირე ხნით ჩერდებოდა, ხელის მტევნებს ისე დაიქნევდა ხოლმე, თითქოს წყლის წვეთებს იფერთხავსო. მერე ისევ უწინდელს აგრძელებდა, ნაბიჯ-ნაბიჯ აკოწიწებდა აკორდებიდან მელოდიას - ნელა, აუჩქარებლად. ახლა კლავიშებს არც დასცქეროდა და ამიტომ უცებვე ვერ შეამჩნია, როგორ უხმაუროდ შემოაბიჯა ოთახში ორმა, სამხედრო ყაიდაზე ჩაცმულმა კაცმა; ავტომატები როიალის კიდეზე ჩამოალაგეს და წინ აესვეტნენ. როიალისთვის თავსახური კარგა ხნის წინ მოეხსნათ და საოპერაციო მაგიდად ეხმარათ - ჯერ კიდევ მაშინ, როცა

აქ ლაზარეთი იყო გამართული. ოთახს ჯერ ისევ აკორდების ხმა ავსებდა. შიშველი ფეხით ბასის ცივ, ლითონის პედალს ბოლომდე აწვებოდა, იმ სიმღერას უკრავდა, თავის დროზე დედამ რომ შეასწავლა. ვინ იცის, რა და რომელ ბრტყელ ზედაპირზე არ ავარჯიშებდა ხოლმე მაშინ თითებს, რადგან საკუთარი პიანინო ოჯახში არ ჰქონდათ. კვირაობით კი იჯერებდა ხოლმე დაკვრით გულს, როცა სათემო სახლში მიყავდათ და მთელი კვირის ნავარჯიშევს, იქაურ პიანინოსთან სვამდნენ. დედა ცარცით უწერდა ნოტებს სამზარეულოს მაგიდაზე, მერე კი სველი ჩვრით შლიდა. მართალია, ამ ვილაზე უკვე სამი თვე გაეტარებინა და როიალის არსებობაც თავიდანვე იცოდა, დაკვრა პირველად ახლა სცადა. კანადაში, პიანინო-როიალებზე წყლით სავსე ჭიქას დგამენ ხოლმე, დეკა რომ არ გამოშრეს და ერთ თვეში, ეს წყალი ბოლო წვეთამდე ორთქლდება. პატარაობისას, მამა ეუბნებოდა - წყალი სასმელის მოყვარულმა ქონდრისკაცებმა გამოცალესო: ბარ--რესტორნებში იმათ არ უშვებენ და წყურვილის მოსაკლავად, ისევ ფორტეპიანო, როიალი, კლავიკორდი, ფისგარმონია და კლავესინი დარჩენიათო. ამის არასოდეს სჯეროდა - ფიქრობდა, თაგვებმა თუ ამოსვლიპესო.

ელვამ დაბლობი გაანათა. როგორც ჩანს, ჭექა-ქუხილი მთელი ღამე გაგრძელდებოდა. უეცრად გამკრთალ შუქზე ჰანამ შენიშნა, რომ ერთ-ერთი ჯარისკაცი სიქჰი იყო. დაკვრას თავი ანება, გაიღიმა და ერთდროულად იგრძნო გაოცებაცა და შვებაც. გაელვება კაცების ზურგსუკან იმდენად ხანმოკლე გამოდგა, გოგომ მარტო ჩალმას და სველი ავტომატების ბზინვას მოკრა თვალი. აფსუს - მისი ინგლისელი პაციენტი ხომ სულ იოლად დაადგენდა მათი იარაღის წარმომავლობას... ისე, სულ უცხოელები ეხვია გარს და - არცერთი ნაღდი იტალიელი მათ შორის! სიყვარული ნანგრევებში - რას იფიქრებდა პოლიციანო, 1945 წლის ეს ცოცხალი სურათი რომ ენახა: ორი მამაკაცი და როიალთან მდგარი

ქალი - ომი თითქმის დამთავრებულია, როიალზე სველი ავტომატები ბზინავს, ქუხილი წამდაუწუმ არყევს მთელ დაბლობს და მისი ხმა როიალის ბგერებს ერწყმის: „ჩემ გოგოს რომ ვხვდებოდი...“

- იცით ეგ სიმღერა?

დამუნჯებული ჯარისკაცები სარგადაყლაპულებივით იდგნენ. ჰანა აკორდების აღებას შეეშვა და მახსოვრობაში ჩარჩენილი მელოდია რთულ, ჩახვეულ ლაბირინთებად აახმიანა, ჯაზური იმპროვიზაციებით გააწყო ეს მარტივი, უბრალო ჰანგი.

ჩემ გოგოს რომ ვხვდებოდი,

ყველა გულზე სკდებოდა!

ვუმალავდი უცხო თვალს,

თუკი მიხერხდებოდა...

ერთიანად გალუმპულები და მონუსხულები გოგოს თითებს მიჩერებოდნენ, თან მის დაკრულს უსმენდნენ და თან - ჭექა--ქუხილს. ჰანას კი ისეთი დაძაბული სახე ჰქონდა, ცხადი ხდებოდა - სადღაც სხვაგან ქროდა მისი გონება და დედა თუ ედგა თვალწინ, მოჭმუჭნულ გაზეთს წყლიან ჯამში რომ ასველებდა და იმით შლიდა ცარცით დახატულ ნოტებს. ფიქრში სათემო სახლისკენ მიაბიჯებდა, სადაც პიანინოზე უნდა დაეკრა - არადა, პედლებს ჯერაც ვერ უწვდენდა ფეხს და ამიტომ ფეხდგომელა ამჯობინებდა დაკვრას. მეტრონომის რიტმში ათამაშებდა სანდლით შემოსილ ტერფს.

არ უნდოდა, ეს ხილვა გამქრალიყო. სურდა, ისევ და ისევ ემღერა, გაუთავებლად. ის ადგილები ახსენდებოდა, შროშანებით დაწინწკლული მდელო, მამასთან ერთად რომ დაიარებოდა

ხოლმე. თავი ასწია და ახლადმოსულებს ანიშნა - მალე მოვრჩებიო.

კარავაჯო ამას არ შესწრებია. როცა დაბრუნდა, ჰანა უკვე სამზარეულოში დაუხვდა, მესანგრეთა შენაერთის ორ ჯარისკაცთან ერთად. ისხდნენ და სამივე მადიანად ილუკმებოდა.

III

ცეცხლად გადავიქცევი...

ბოლო, შუასაუკუნეობრივი ომი იტალიაში 1943-44 წლებში მიმდინარეობდა. ბევრი სისხლი დაიღვარა ამ მრავალტანჯულ მიწაზე, ბევრჯერ იავარჰყვეს და გააჩანაგეს მომხდურმა ურდოებმა; ახლა კი, ამ მრავლისმნახველ ციხესიმაგრეებს, არწივის ბუდეებივით რომ შეხიზნოდნენ კლდოვან ქარაფებს, ერთხელ კიდევ მოუწიათ ალყისა და ნგრევის გადატანა. მთიან ხეობებში უსასრულოდ მიედინებოდა დაჭრილთა ნაკადები; აჩეხილ ვენახებს სისხლი სდიოდა, ხოლო ტანკის მუხლუხოების ღრმა ნაკვალევის ქვეშ თუკი გათხრიდით, სულ იოლად მიაგნებდით სისხლშემხმარ ოროლსა თუ შუბს - მრავალი საუკუნის წინ ამ უბედურ მიწაზე გათამაშებული ტრაგედიების უტყვ მოწმეებს. და ასე იყო ყველგან - მონტერკისა თუ კორტონაში, ურბინოსა თუ არეცოში, სანსეპოლკროსა თუ ანგიარიში... უფრო იქით კი - მარადიული ზღვის სანაპიროზეც.

კატებს სამხრეთისკენ პირმიქცეული ზარბაზნების ლულებში ეძინათ. ინგლისელები, ამერიკელები, ინდუსები, ავსტრალიელები და კანადელები აფეთქებების ჯანღით გარუხებული ცის ქვეშ მიიწევდნენ წინ, ჩრდილოეთისკენ. როცა თავის დროზე არბალეტების წარმოებით ცნობილ ქალაქ სანსეპოლკროს მახლობლად არმიები გაერთიანდნენ, ვერმახტის ზოგიერთმა ჯარისკაცმა ამ უკვე იშვიათ ნაკეთობას დაავლო ხელი და მერე, ღამღამობით, ფარულად ავარჯიშებდა ალყაშემორტყმული ქალაქის გალავნიდან სროლაში. გენერალ-ფელდმარშალი კე-

სელრინგი უკვე მართლა ფიქრობდა, მდუღარე კუპრიც ხომ არ ეხმარა ქალაქის კედლების დასაცავად.

ოქსფორდის კოლეჯებში საგანგებოდ შეკრიბეს შუასაუკუნეების მკვლევრები და მერე პირდაპირ უმბრიაში ჩამოაფრინეს. მათი საშუალო ასაკი დაახლოებით სამოცი წელი იქნებოდა. ჯარისკაცებთან ერთად დააბინავეს, მაგრამ სამხედრო ბრძანებებს ვერაფრით აუღეს ალღო და საჰაერო განგაშისას, მიწაზე გართხმის მაგივრად, ჯიუტად იყურებოდნენ ცაში, თითქოსდა ვერ იჯერებდნენ, თვითმფრინავი უკვე ნამდვილად გამოგონილია და საფრთხის მოტანაც შეუძლიაო. თავიანთ, შუასაუკუნეობრივ სამყაროში ჩარჩენილები, ამ საომარი მოქმედებების არემარეში მოქცეულ ქალაქებსა და დასახლებებსაც მხოლოდ მათი ისტორიული თუ მხატვრული ღირებულებებისდა მიხედვით აღიქვამდნენ. ასე მაგალითად, მონტერკიში ის უფრო მეტად აღელვებდათ, ქალაქის სასაფლაოს სამლოცველოს კედელზე, პიერო დელა ფრანჩესკას რომ დაეხატა ცნობილი „მადონა დელ პარტო“, ვიდრე მორიგი, გარდაუვალი შეტაკების მოსალოდნელი შედეგი. როცა სისხლის წვიმებისას, მეცამეტე საუკუნეში გაშენებული ეს გამაგრებული ქალაქი, ბოლოსდაბოლოს, მაინც აიღეს, მათ ჯარისკაცების გვერდით მოუწიათ ღამის გათევა, ეკლესიის მაღალ გუმბათქვეშ - სწორედ იმ ქვის ეკვდერთან, რომლის კედელზეც ჰიდრას გამგმირავი ჰერკულესი იყო გამოსახული. ჯარისკაცებს წყალი არ ყოფნიდათ, ბევრი მათგანი ტიფმა თუ სხვა რამ დაავადებამ იმსხვერპლა. არეცოს გოთიკურ ტაძარში ოპტიკური სამიზნეებიდან ათვალიერებდნენ გუმბათზე პიერო დელა ფრანჩესკას ფრესკებს და ჩვეულებრივ ადამიანებად აღიქვამდნენ მეფე სოლომონთან მოსაუბრე საბას დედოფალსაც და მათ გვერდით - მკვდარ ადამსაც, ცნობადის ხის რტო რომ გაჩროდა კბილებში. იმ საუბრიდან მრავალი წლის მერე, დედოფალი მიხვდებოდა,

რომ სილოამის მდინარეზე გადებული ხიდი სწორედ ამ წმინდა ხის ფიცრებით იყო ნაგები.

განუწყვეტლივ წვიმდა და თან ციოდა კიდეც. სრული ქაოსი სუფევდა, და მხოლოდ ამ ფრესკებსა თუ ტილოებზე ჩანდა მარადი წესრიგი: განკითხვა, სასოება, თავგანწირვა. მერვე არმია ზედიზედ გადადიოდა უხიდებოდ დარჩენილ მდინარეებს; წინ კი მესანგრეები მიუძღოდნენ, რომლებიც მტრის გააფთრებულ ცეცხლქვეშ, თოკის კიბეებით ჩადიოდნენ მდინარემდე და მერე ან ცურვით აღწევდნენ მეორე ნაპირს, ანდა ფონს პოულობდნენ. ისეც ბევრჯერ მომხდარა, რომ ხან ერთი, ხან მეორე აფეთქების მსხვერპლნი გამხდარან, ხოლო წყალს საკვების მარაგი და კარვები ერთიანად წაუღია. ერთხელ, მდინარე რომ გადაცურეს, ლაფიან, გასლიპულ ჩამონარეცხზე მოხვდნენ და იმასღა ნატრობდნენ, როგორმე დროზე გამკვრივებულიყო, ზედ თავის შემაგრება რომ მოეხერხებინათ.

ტალახიან ნაპირს გართხმული ახალგაზრდა სიქჰი ჯარისკაცი საბას დედოფლის სახეს იხსენებდა და უნდოდა წარმოედგინა, თითქოს ახლა სწორედ მის ფაფუკ ლოყას ეხებოდა სახით. მხოლოდ ამგვარ სურვილს შეეძლო ოდნავ მაინც გაეთბო თავფეხიანად გალუმპული; დიდი სიამოვნებით ახდიდა რიდეს და ძუძუზეც დაადებდა ხელს... ახლა თავადაც ისევე სევდიანი და გულდამძიმებული იყო, როგორც თავის დროზე ბრძენი მეფე და შემცოდე დედოფალი, რომელთა გამოსახულებებიც ამ ორიოდე კვირის წინ იხილა არეცოს ეკლესიის ფრესკებზე.

სანახევროდ წყლისკენ გადაკიდული, მთელი ძალით ჩაფრენოდა სლიპინა, ტალახიან ნაპირს. უსასრულო ომის დღეებში, როცა მორჩილად ასრულებდნენ ნებისმიერ ბრძანებას, ამ ჯარისკაცებმა თითქოს ერთიანად დაკარგეს ყოველგვარი პიროვნულობა და ეს თავისთავად უაღრესად ძნელად მოსახელთებელი ცნება ახლა სიცოცხლეს მხოლოდ წიგნებში თუ ფრესკებზეღა აგ-

რძელებდა; და ღმერთმა უწყის, ვის უფრო უმძიმდა - ფრესკებზე გამოსახულ წარსულის ჩრდილებსა თუ მათ მომზირალ ჯარისკაცებს. შეეცადა ოდნავ მაინც წაეწია წინ, ცოტაზე გახოხდა კიდეც, წარმოსახულ, გედივით კისერს რომ შეხებოდა. იმთავითვე შეუყვარდა ფრესკაზე ნანახი ქალის დაბინდული მზერა - იმ ქალისა, ვისაც ერთ მშვენიერ დღეს, თავფეხიანად უნდა გაეცნობიერებინა ხიდების საბედისწერო მნიშვნელობა.

ღამღამობით, საველე ჰამაკში გაშოტილი, ორივე ხელს წინ იწვდიდა ხოლმე, თითქოსდა ყოველგვარი იმედისა და დაპირების გარეშე, დროებით მაინც ახერხებდა დაზავებოდა ფრესკაზე გამოსახულ დედოფალს, ვისი სახის დავიწყებასაც უკვე ვეღარაფრით ახერხებდა. ის კი, ცხადია, მაშინვე დაივიწყებდა და არც აღარასდროს გაახსენდებოდა მისი არსებობა. მართლაცდა, ვინ იყო, რას წარმოადგენდა? ვიღაც სიქჰი, რიგითი, თოკის კიბეზე ჩამოკონწიალებული ამ თავსხმა წვიმაში, ერთადერთი მიზნით - როგორმე დროებითი ხიდი გაედო მდინარეზე, ჯარს რომ მეორე ნაპირზე გადასვლა მოეხერხებინა. თავად კი სამუდამოდ ჩარჩა ხსოვნაში ეს ფრესკაც და ქალის სახეც; და როცა ერთი თვის შემდეგ, ომის ქარცეცხლგამოვლილი, მაგრამ მაინც გადარჩენილი ბატალიონები ადრიატიკის ზღვის სანაპიროს მიადგნენ, პაწია ქალაქი კათოლიკა დაიკავეს, ხოლო საინჟინრო ქვედანაყოფმა ნაღმებისაგან გაწმინდა წყლისპირა ვიწრო ზოლი და ჯარისკაცებმა ზღვაში ჭყუმპალაობაც მოასწრეს, სიქჰმა შუასაუკუნეების მკვლევარი, ერთი იმ პროფესორთაგანი მონახა, თავის დროზე გულისხმიერება რომ გამოეჩინა მის მიმართ (დიდიც არაფერი, გამოელაპარაკა და ქილა ამერიკული კონსერვიც უწილადა) და ადრე გამოჩენილი სიკეთის სანაცვლოდ დაპირდა, რაღაც ძალზე საინტერესოს გიჩვენებთო.

სიქჰმა ნაალაფარი გერმანული მოტოციკლი გამოაგორა საიდანღაც და მკლავზე მუქი შინდისფერი სახვევი გაიკეთა. მო-

ხუცი პროფესორი უკან შემოუჯდა, მაგრად შემოხვია ხელები და ახლა უკან გაუყვნენ გამოვლილ გზას - ურბინოსა და ანგიარის გავლით, ასე მშვიდობიანად რომ გამოიყურებოდნენ უკვე. გზა მთაგრეხილის მიხვეულ-მოხვეულ ქედს მიუყვებოდა, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გასდევს მთელ იტალიას; მერე მისი დასავლეთი ფერდი ჩაათავეს და არეცოსაც მიადგნენ. ღამით ქალაქის მოედანი ერთიანად გაუკაცურებული დაუხვდათ. სიქჰმა ჯარისკაცმა მოტოციკლი ეკლესიის წინ გააჩერა, პროფესორს გადმოსვლაში მიეხმარა, თავისი ხაბაკი მოაქუჩა და მერე ორივე ეკლესიაში შევიდა. შიგნით ბნელოდა და გვარიანადაც ციოდა. ჯარისკაცული ჩექმების ხმა ყრუ გუგუნად დაირხა ვეება გუმბათქვეშ. სიქჰმა ერთხელ კიდევ ხარბად შეისუნთქა ქვისა და ხის ნაზავი სუნი. ერთ დროს სარესტავრაციოდ, გუმბათის ქვეშ გადებულ ხარიხაზე თოკი გადაავლო, მისი ერთი, სარტყელიანი ბოლო პროფესორს გაუტარა იღლიებქვეშ, მაგრად შეუკრა, მეორე ბოლო კი თავად დაქაჩა. ხელის სანათით შეიარაღებული, მცირეოდნავ შეჩქვიფებული პროფესორი ნელ-ნელა აცურდა გუმბათქვეშ. ახლა მას მეტრზე ნაკლები მანძილიდან შეეძლო ფრესკების დათვალიერება. საბოლოოდ, იგი ზუსტად იმ სიმაღლეზე გამოეკიდა, სადაც „იმპერატორ მაქსენტიუსის გაქცევა“ გამოესახათ.

ხუთიოდე წუთის შემდეგ, პროფესორი ძირს დაუშვა და ახლა თვითონვე აიქაჩა თავი ლამის გუმბათქვეშ, სადაც სევდიანი დედოფლის გამოსახულება ეგულებოდა. ახლოს მიზიდა საკუთარი სხეული მისკენ და როცა უკვე ხელიც გაიწვდინა, მაშინღა შენიშნა - როგორი შეუსაბამოდ პატარა იყო ეს ხელი ქალის ვეება ყელთან შედარებით.

სიქჰი ბაღის სიღრმეში მართავს კარავს - ზუსტად იმ ადგილას, სადაც ჰანას ღრმა რწმენით, ერთ დროს შროშანი ხარობდა. ეს იმიტომ, ერთხელ გამხმარ ფოთლებს რომ მიაგნო, პეშვში მოფშვნიტა და სუნით დაადგინა - უთუოდ შროშანისა იქნებოდაო. ნაწვიმარზე, ხანდახან ახლაც უღიტინებს ხოლმე ნესტოებში ამ ყვავილის სურნელით გაჯერებული მიწის ოხშივარი.

ერთი ხანობა, სახლში საერთოდ არც შედიოდა. მხოლოდ გვერდით ჩაუვლიდა ხოლმე, თავის საქმეზე მიმავალი - ხან „მიძინებული“ ჭურვი უნდა გაეუვნებელჰყო, ხან - რომელიმე მინდორი გაენაღმა. მუდამ თავაზიანი იყო, მისალმების ნიშნად თავის დაქნევას ვერ დაასწრებდი. ახლა ჰანა შორიდან უცქერის, როგორ იბანს ხელ-პირს წვიმის წყლით სავსე ტაშტზე წახრილი. ღია წყალსადენი - ადრე, მშვიდობიანობის დროს, ყვავილნარის სარწყავადაც რომ გამოიყენებოდა - კარგა ხანია დამშრალა და დაშლამულა. გოგო წელსზემოთ შიშველ, ყავისფერ სხეულს ხედავს: ჯარისკაცი ნება-ნება ივლებს წყალს სათლიდან. აქამდე მხოლოდ მისი მკლავები ენახა - მოკლესახელოებიანი სამხედრო პერანგიდან რომ მოუჩანდა და კიდევ - ავტომატი, რომელსაც ახლაც კი არ იშორებს გვერდიდან, თუმცა საომარი მოქმედებები მისთვისაც კარგა ხანია, მოთავდა. ჩაბღუჯავს ხოლმე ამ ავტომატს და აშკარად საკუთარი თავით კმაყოფილი, იბრიქება: ხან ვითომ წარმოსახვით მტერს მიუშვერს, ხან - მკლავზე დაიტრიალებს, ხანაც მხარზე მოიგდებს, დარდიმანდულად. როცა გოგოს მზერას ამჩნევს, სიქჰი უცებ მკვეთრად ტრიალდება მისკენ. ჩვეული სიფრთხილისაგან ჯერაც ვერ გათავისუფლებულა ბოლომდე. და კიდევ - იმის საჩვენებლად, სანამ აქა ვარ, არავის არაფერი გემუქრებათო.

მისი ამგვარი თავდაჯერება მარტო გოგოს კი არ ამშვიდებს, სხვა აქაურ ბინადართაც უკეთებს გულს: კარავაჯოსაც კი, თუმცა ძია დეივიდი ერთთავად იმაზე ბუზღუნებს, ეს ჩვენი მესანგრე რა

სულ ამერიკული ვესტერნების სიმღერებს ღიღინებს, ამ სამ წელიწადში ნუთუ სხვა ვერაფერი ისწავლაო? იმ წვიმიან ღამით მასთან ერთად მოსული მისივე მეწყვილე, გვარად ჰარდი, სადღაც ქალაქის შორიახლო დააბინავეს, თუმცა ჰანამ ისიც ნახა, ერთად რომ საქმიანობდნენ და თავად ვილაზეც დაეძებდნენ ნაღმებს.

ძაღლი კარავაჯოს აღარ შორდება გვერდიდან. ზოგჯერ მასთან ერთად სიქჰიც დარბის ხოლმე ხეივანში, თუმცა მისი დაპურება არასოდეს მოსვლია აზრად. დარწმუნებულია, ორფეხია თუ ოთხფეხი, სარჩო ყველამ თავისით უნდა მოიპოვოს. მართლაც, ჩაუვარდება თუ არა რამე ზედმეტი სასუსნავი, არავისთვის ემეტება და თავადვე გეახლებათ ხოლმე. ღამღამობით ზოჯერ იმ ღია აივანზე იძინებს, დაბლობს რომ გადაჰყურებს და კარავსაც მხოლოდ მაშინ აფარებს თავს, წვიმამ თუ დასცხო.

ისიც უკვე არაერთხელ გახდა იმის მოწმე, შეღამებულზე როგორ დაბორიალობს აქეთ-იქით კარავაჯო. რამდენჯერმე უკანაც კი გაჰყვა, ოღონდ მიახლოება არასოდეს უცდია. მაგრამ ერთხელ კარავაჯო თავადვე გამოელაპარაკა და უთხრა - ჩემს თვალთვალს მოეშვიო. სიქჰი უარზე დადგა - აზრადაც არ მომსვლიაო, მაგრამ ის ტუჩებზე ადებს თითს და ჯარისკაციც ხვდება - წინა ღამესაც შემამჩნიაო. ასეა თუ ისე, თვალთვალიც ომში შეძენილი ჩვევის გამოძახილია - სწორედ ისეთივე, როგორიც ვთქვათ, ახლა, სწორედ ამ წუთას, ავტომატიდან მიზანში ზუსტად გასროლის მოურეველი ჟინი. დროდადრო, მართლა ძალიან მოუნდებოდა ხოლმე ან ბაღში მდგარი ქანდაკის მაინცადამაინც ცხვირისთვის მიეშვირა იმ თავისი იარაღის ლულა, ანდა დაბლობის თავზე, ცაში მორიალე ყავისფერი ქორების გუნდისათვის.

მოკლედ, ჯერ მთლად ვერ გამოსულა პატარა ბიჭობიდან. საჭმელსაც გამგელებული ეტაკება ხოლმე და დანაყრებულიც ფაციფუცით ალაგებს მაგიდას. წესად აქვს, სადილობას ნახევარ საათზე მეტი არასოდეს დაუთმოს.

გოგოს ის საქმეშიც უნახავს - კატასავით გაფაციცებული და შენელებული მოძრაობებით რომ დაიარებოდა ბაღში, ნაღმსაძიებლით ხელში, თითქოს საკბილოს ეპარებაო. როცა ჩაის სვამს, მაგიდასთან გოგოს პირდაპირ მჯდარი, ჰანას მისი მზემოკიდებული მაჯები ხვდება თვალში. ერთზე წვრილი სამაჯურიც შეუბამს, ყოველი მოძრაობისას ჩუმად რომ წკარუნობს.

არასოდეს ლაპარაკობს იმ საფრთხეზე, რაც მის საქმიანობას სდევს თან. ხანდახან, აფეთქების ხმა თუ გაისმა საიდანმე, კარავაჯო სახლიდან გამორბის და ჰანასაც შიშისაგან გული ეწურება. ზოგჯერ ფანჯარას მივარდება, დარწმუნდება, კარავაჯოც გარეთ გასულაო და ახლა ორივე მწვანეში ჩაფლულ ტერასაზე, თავის საქმეში გართულ სიქჰს ადევნებს თვალს. იმას კი მათთვის სულ არ ცხელა, თუმცა იცის, მიცქერენო და თავმიუბრუნებლად უქნევს ხელს - აქაოდა არ შეშინდეთ, არაფერი მიჭირსო.

ერთხელ, ბიბლიოთეკაში შესულ კარავაჯოს ჯარისკაცი ჭერში გამოკიდული დაუხვდა - თურმე ოთახის კუთხეში ეშმაკურად შენიღბული კიდევ ერთი ნაღმი-სატყუარა ეპოვა და საჭირო სადენსაც ჭრიდა უკვე. საერთოდ, კარავაჯოს ჩვევად ჰქონდა, შესვლისთანავე, ერთბაშად მოეთვალიერებინა ნებისმიერი ოთახის ყველა კუთხე-კუნჭული. ახალგაზრდა სიქჰმა თითები ჰაერში გაატკაცუნა - ასე ანიშნა, ფეხი აღარ მოიცვალო მანდედან და, საერთოდ, ჯობია აქაურობას გაეცალოო.

მუდამ რაღაცას ღიღინებს, ან - უსტვენს; განსაკუთრებით, როცა ღია აივანზე პირაღმა გაწოლილი, ცაში მოცურავე ღრუბლებს ასცქერის ხოლმე.

- ეგ ვინ უსტვენს? - იკითხა ერთხელ ინგლისელმა პაციენტმა. ჯერ არც იცოდა, მათ ჭერქვეშ ახალი ბინადარი რომ გამოჩენილიყო, რადგან ჯერ შორიდანაც კი არ მოეკრა მისთვის თვალი.

გამოცარიელებულ ვილაზე სიქჰი ყოველთვის ხმაურით შედის. იქაურთაგან სამხედრო ფორმა მარტო მასღა აცვია. ყოველ

დილით, ადრიანადვე, გამოწკეპილი გამოჩნდება იმ თავისი კარვიდან, ჩექმებიც გულდაგულ დაუპრიალებია, ჩალმაც კოხტად მოურგია თავზე. ღილები და ბალთები - უბზინავს. მერე თავის საქმეზე მიეშურება. როცა იმისი ნაღმსაძიებელი რამე ძველ მონეტას მიაგნებს, დროებით თითქოს ერთბაშად ავიწყდება ხოლმე ყველა საფრთხე და ხმამაღლა, გულიანად იცინის. თითქოს ქვეცნობიერად ტკბება საკუთარი სხეულით, თავისი მხედრული აღნაგობით, როცა დავარდნილი პურის ნაჭრის ასაღებად იხრება და ბალახში ხელს აფათურებს, ან როცა სხვა გამნაღმველებთან შესახვედრად, კვიპაროსებით დაბურულ სოფლის გზას მიუყვება და ისე დაუდევრად მიიქნევს თავის ავტომატს, გეგონება, კომბალიაო.

ვილაზე დაბინავებულთა გვერდით, თავადაც დროებით ხიზანს ჰგავს, რომელიღაცა გალაქტიკის სულ განაპირა, ეულ ვარსკვლავს. მისთვის ეს შვებულებასავითაა, სულის მოთქმასავით ამდენი ომის, ტალახის, ხიდიანი თუ უხიდებო მდინარეების მერე. თუ შეიპატიჟეს, სახლში შესვლაზე არასოდეს ამბობს უარს, მაგრამ თავს მაინც შემთხვევით სტუმრად გრძნობს - როგორც იმ ღამით, როცა როიალის გაუბედავი ბგერების გაგონებაზე, კვიპაროსების ხეივანს გაუყვა და ბიბლიოთეკაში ამოყო თავი.

თუმცა, იმ ქარიშხლიან ღამით, შენობაში ცნობისმოყვარეობას არ შეუყვანია: მარტო იმის გაგება კი არ ეწადა, ვინ უკრავდა - არამედ უფრო იმის სათქმელად, რა საფრთხეც ელოდა ვიღაც უჩინარ პიანისტს. უკან დახევისას, გერმანელებმა ყველგან ბლომად ნაღმები ჩაყარეს და მუსიკალური საკრავებიც მათი უსაყვარლესი მახე გახლდათ. შინ დაბრუნებული მავანი დიასახლისი გულდაჯერებულად ახდიდა ხოლმე თავს პიანინოსა თუ როიალს და აფეთქება მაჯაშივე აწყვეტდა ხელის მტევნებს. ისიც არაერთხელ მომხდარა, ბაბუისდროინდელი კედლის საათის და-

ქოქვისას უცებ ისე უფეთქია, ნახევარი სახლი დაუქცევია და შორიახლო მდგომნიც შეუწირავს.

ამიტომაც, შორეული მუსიკის ხმის გაგონებისთანავე, ის და ჰარდი საჩქაროდ აუყვნენ ფერდობს, ქვის კედელზე გადაძვრნენ და ასე მიადგნენ ვილას. სანამ მუსიკა მოისმოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ პიანისტი ჯერ წინ არ წახრილიყო, ხელი არ ეხლო წვრილი, ლითონის სიმისთვის, მეტრონომს რომ იყო მიერთებული. როგორც წესი, მუხანათ ნაღმებს სწორედ ამ მექანიზმის საშუალებით ამოქმედებდნენ. ეს იყო ყველაზე შესაფერისი ადგილი, სადაც შვეულად დამალავდი მომაკვდინებელ, თმის სიმსხო სადენს. ისე კი ხაფანგს ნებისმიერ ადგილას შეიძლებოდა გადაწყდომოდი კაცი: ონკანებში, წიგნების თაროზე, ხეებში ამოღრუტნულ ნახვრეტებში - ისე რომ თუკი ნაყოფს მოწყვეტდი და ტოტს შეარხევდი, შენი საქმე წასული იყო... უკვე აღარც შეეძლო მშვიდად ეცქირა ირგვლივ - სულ ნაღმების სავარაუდო სამალავებს დაეძებდა ყველგან.

შუშის კართან ცოტა ხანს შეჩერდა, თავი ჩარჩოს მიადო; მერე ოთახის სიბნელეში უხმაუროდ შეიძურწა და ელვის წარამარა გაკრთომების მიუხედავად, ერთხანობა მაინც შეუმჩნეველი რჩებოდა. ოთახი მოათვალიერა, თითქოს რადარის სხივი მოატარა ირგვლივო. მერე გოგოც შენიშნა - ისე იდგა როიალთან, თითქოს ელოდა კიდეც, შემამჩნევსო, ოღონდ თან მთელი ყურადღება კლავიშებზე გადაეტანა. მეტრონომი უკვე წიკწიკებდა, მიამიტად აქნევდა ისარს აქეთ-იქით. ესე იგი, არც არავითარი სადენი არ იყო და შესაბამისად, არც რაიმე საფრთხე მოიაზრებოდა ამ მხრივ. ერთიანად დამბალი იდგა კარის სიახლოვეს, გოგომ კი მისი დაუპატიჟებელი სტუმრობა ვერც შეამჩნია.

კარვის თავზე ხის ფოთლებში შემალული რადიომიმღების ანტენა გაუმართია. ღამღამობით, თუკი კარავაჯოს საველე დურბინდს მოიმარჯვებს, ჰანას შეუძლია მესანგრის კარავში მოციმ-

ციმე ციფერბლატიც კი გაარჩიოს, თუმცა ხანდახან მას ადამიანის ჩრდილი ეფარება ხოლმე. დღისითაც, სულ რაღაც მოწყობილობა დააქვს თან - მისი ერთი ყურსაცვამი თავზე უკეთია, მეორე კი - ნიკაპქვეშ; ასე რომ, სამყაროსთან კავშირს არასდროს კარგავს და ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ იგებს ამბებს. ხანდახან სახლში შედის და დანარჩენებსაც ამცნობს, თუკი რამ მათთვის ყურადსაღები ეჩვენება. სწორედ მისგან შეიტყვეს, სადღაც ინგლისსა და საფრანგეთს შორის, გლენ მილერის ავიაკატასტროფაში დაღუპვის ამბავი.

მოკლედ, თანდათან შინაურდება, თუმცა ჰანა უფრო ხშირად მაინც გავერანებულ ბაღში ნელ-ნელა მოსიარულეს ხედავს ხოლმე. მეტწილად, ცხადია, ნაღმებს დაეძებს და რამე საეჭვო თუ იყნოსა, იქვე ჩაიმუხლებს და ვიღაცის მიერ საზარელი წერილივით დატოვებული მავთულების აბურდული გორგლის გაშლას იწყებს.

ხელებს ხშირ-ხშირად იბანს. თავიდან კარავაჯოს ეგონა, ეს ბიჭი მეტისმეტად პეწენიკი ვინმეაო.

- კი მაგრამ, ამ გაგანია ომში მაგას როგორ ახერხებდი? - სიცილით დაეკითხა ერთხელ.

- ინდოეთში გავიზარდე, ბიძაჩემო... იქ წამდაუწუმ ხელს ვიბანთ, ყოველ ჯერზე, ჭამის წინ. გინდა-არგინდა, ჩვევად გექცევა. ისე, პენჯაბის მხარეში დავიბადე.

- მე კი ჩრდილოეთ ამერიკაში. - სიტყვას ურთავს ჰანა.

პენჯაბელს ხან კარავში სძინავს, ხანაც - ღია ცის ქვეშ. გოგო ხედავს, როგორ იხსნის ყურსაცვამებს და კალთაში იდებს.

მაშინ თავადაც იშორებს თვალებიდან დურბინდს და ფანჯარას სცილდება.

ვეება გუმბათის ქვეშ იდგნენ. სერჟანტმა მაშხალა აანთო, მესანგრე კი იატაკზე იწვა და შაშხანის ოპტიკური სამიზნიდან ასცქეროდა წმინდანების ფერმკრთალ სახეებს ფრესკაზე, თით-

ქოსდა ხალხმრავალ ბრბოში საკუთარი ძმის დალანდვას ცდილობსო. წმინდანების ერთ დროს ფერადოვან სამოსსა და ასწლეულების მანძილზე თაფლისა თუ ცვილის სანთლების ჭვარტლით ჩამუქებულ სხეულებს ახლა მაშხალის ყვითელი კვამლიც ეგლისებოდა. ჯარისკაცები მადლიერნი იყვნენ - აქ, ამ წმინდა სამყოფელში შემოსვლის ნება რომ მიეცათ, ოღონდ ისიც მტკიცედ სჯეროდათ - ეს პატივი ნამდვილად დავიმსახურეთო: იმდენი მდინარე გადმოლახეს, იმდენი დიდი თუ მცირე შეტაკება გამოიარეს, ისეთ დაბომბვას გადაურჩნენ მონტე-კასინოში, ამ ჩვიდმეტ ჯარისკაცს უთუოდ ეკუთვნოდა კიდეც ჯერ რაფაელის ფუნჯით მოხატული ოთახებისა და მერე, უკვე ბოლოს, ამ გოროზად მდუმარე დარბაზის მოხილვაც. სიცილიაში გადმოსხეს, მერე ბრძოლით ამოუყვნენ „იტალიურ ჩექმას“ ჩრდილოეთისაკენ, რათა ახლა იქ აღმოჩენილიყვნენ, სადაც ჯილდოდ მათთვის ეს მრუმე შუქით განათებული სამლოცველო დახვდებოდათ.

- ჯანდაბა! ცოტა მეტად ვერ გავანათებთ აქაურობას? - სერჟანტ შანდს დაეკითხა ერთ-ერთი მათგანი და იმანაც მაშხალას მოუკიდა, თავსზემოთ ასწია და ასე ეჭირა, ვიდრე ყვითელი შუქის ეს ჩანჩქერი ბოლომდე არ დაიწრიტა. დანარჩენები კისერწაგრძელებულნი იდგნენ, თვალმოუშორებლად მიჩერებოდნენ სიბნელისათვის ამ შუქით გამოგლეჯილ ფრესკის ფრაგმენტებს. ახალგაზრდა სიქჰი კი სულაც პირაღმა გართხმულიყო იატაკზე და ოპტიკური სამიზნიდან მიშტერებოდა ნოესა და აბრაამის შევერცხლილ წვერს, სხვადასხვა დემონებს, ვიდრე მისი მზერა იმ ერთ, მართლაც დიდებულ, მაგრამ მოშურნე და არაფრისმპატიებელ სახეს არ გადააწყდა.

შესასვლელთან გუშაგების ძახილი მოისმა; მერე - მძიმე ფეხსაცმელების ბრაგაბრუგიც. გვერდზე გადაგორდა და სამიზნე ახლა იქვე მდგარ მღვდელს გაუწოდა.

- აი ის, ვინაა? ზედ ჩვენს თავზე... დროზე მითხარით, სანამ მაშხალა ჩამქრალა.

მღვდელმა ფრთხილად გამოართვა თოფი, მითითებულ ადგილს მიუშვირა, მაგრამ თითქოს ჯინაზეო, მაშხალაც სწორედ ამ დროს ჩაინავლა.

მღვდელმა იარაღი პატრონს დაუბრუნა.

- იცით, აქ, სიქსტეს კაპელაში, ცეცხლთან დიდი სიფრთხილე გვმართებს. სერჟანტ შანდს კი დიდი მადლობა ეკუთვნის, რიგიანად გაართვა საქმეს თავი. იმედია, ფრესკებს არც არაფერი დაშავებია.

- ის სახე დაინახეთ? ვისია?

- ესაია წინასწარმეტყველის...

როცა ინგლისის ჯარი აღმოსავლეთ სანაპიროზე, ქალაქ გაბიჩეს მიადგა, ეს ჩვენი გამნაღმველი უკვე ღამის გუშაგთა რაზმს მეთაურობდა. მორიგეობის მეორე დღესვე, რაციით შეტყობინება მიიღო - ზღვაში მტრის რაღაც მოძრაობა შეინიშნებაო. გამაფრთხილებელი ცეცხლი გახსნეს და წყალიც ათასობით შხეფად აფეთქდა. განადგურებით არავინ გაუნადგურებიათ, თუმცა სროლის ცეცხლში მაინც გაარჩია მოძრავი სხეულის მუქი მოხაზულობა. ავტომატი მოიმარჯვა და თითქმის მთელი წუთი მიზანში ჰქონდა ამოღებული. გადაწყვიტა, ჯერ არ ესროლა - ენახა ერთი, სხვა რაიმეც ხომ არ მოჰყვებოდა კვალში. გერმანელები ჯერ ისევ იდგნენ ჩრდილოეთისკენ, რიმინიში; უფრო სწორად, ქალაქის გარეუბანი ეკავათ. ოპტიკურ სამიზნეში მუქი სილუეტი დალანდა, თავზე რომ შარავანდედი დანათოდა. ღვთისმშობელი მარიამი ნავში წამომართულიყო, ორი კაცი ნიჩბებს უჯდა, დანარჩენ ორს კი მისი ქანდაკება აქეთ-იქიდან ეჭირა. ნავი ნაპირს მოადგა და კაცებმაც ქანდაკი სილაზე გადმოიტანეს. მოფრიალებული ფანჯრების ბნელი ოთხკუთხედებიდან იქ მაცხოვრებელთა ტაშისცემა მოისმა.

სიქჰმა სპილოსძვლისფერი სახე და მის ზემოთ პაწია ნათურების ბაკმი დაინახა. თავად ბეტონის სანგარზე გაწოლილიყო, ზღვასა და ქალაქს შორის, და თვალს არ აშორებდა, როგორ გადმოდიოდა ნავიდან ოთხი კაცი, როგორ მოჰქონდათ ზეაწეული, თაბაშირის მეტრნახევრიანი ქანდაკი და გაჭირვებით მოათრევდნენ ფეხებს ქვიშიან ნაპირზე. მაინც ჯიუტად მოიწევდნენ წინ, ერთი არ უფიქრიათ, ვაითუ სანაპირო დანაღმულიაო. ან ეგებ, ადრევე დაენახათ, სად ჩაეწყოთ გერმანელებს ნაღმები და ახლა უხიფათო ბილიკს მოუყვებოდნენ? ეს ყველაფერი გაბიჩეში 1944 წლის 29 მაისს ხდებოდა - სწორედ იმ დღეს, როცა ამ ქალაქის მაცხოვრებლები წმინდა ქალწულის დღეს ზეიმობდნენ.

ცოტა ხანში, დიდიან-პატარიანად, ყველანი გარეთ გამოეფინენ. უცებ პაწია ორკესტრიც შეკოწიწდა, თუმცა ცხადია, დაკვრას და კომენდანტის საათის დარღვევას არ აპირებდნენ - უბრალოდ, დაპრიალებული საკრავების გამოჩენა ამ ზეიმის განუყოფელი ნაწილი, ის ძველი წესი იყო, რომლის დაცვაც ომიანობის დროსაც კი სავალდებულოდ ეჩვენებოდათ.

და აი, სწორედ ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, ეს ვიღაც ჩალმიანი ლანდივით გამოეყო სიბნელეს. ხელში ავტომატი ეჭირა, მხარზე ნაღმმტყორცნი მოეგდო და გვარიანად დააფეთა კიდეც ყველა. ვერავინ წარმოიდგენდა, ამ საარვისო მიწის ნაკუწზე კიდევ თუ მოუწევდათ სამხედროს ნახვა.

ავტომატი მოიმარჯვა და სამიზნეში ღვთისმშობლის სახე მოაქცია - უასაკო, უსიცოცხლო, განსხვავებით იმ კაცების მზემოკიდებული ხელებისაგან, მის ქანდაკს რომ მოაბრძანებდნენ. მარიამი შემწყნარებლურად აქნევდა ოცი პატარა ნათურის შარავანდიან თავს. ტანზე ღია ცისფერი მოსასხამი ემოსა და მისი ნატიფად გამოძერწილი ნაკეცების ხაზგასასმელად, მარცხენა ფეხი ოდნავ მოეხარა.

აქაურ ხალხს მეოცნებეობას ვერაფრით დააბრალებდი: ფაშისტებიც მოენელებინათ, ინგლისელებიც, გალებიც, გოთებიცა და გერმანებიც. ისე ხშირად იპყრობდნენ ხოლმე, ამ ამბავს მიჩვეოდნენ კიდეც, თუმცა ყველაფრის მიუხედავად, საკუთარ წეს--ჩვეულებებს მაინც არ ღალატობდნენ და შესაბამის დღესასწაულებსაც ჯიუტად აღნიშნავდნენ. აი ახლაც, ეს თაბაშირის სპილოსძვლისფერ-ცისფერი ქანდაკი ზღვით მოაცურეს, მერე ყურძნის საზიდ ურიკაზე დადგეს, ყვავილებით მორთეს და მოედნისკენ წააბრძანეს. მსვლელობას წინ მდუმარე მუსიკოსები მიუძღოდნენ. სიქჰს მათი უსაფრთხოება უნდა უზრუნველეყო, მაგრამ თან ვერც ხალხში შერევას ბედავდა - არ უნდოდა, ან ბავშვები დაეფრთხო, ანდა ამ ხალისიან ბრბოში, თეთრი ყვავივით გამოჩენილიყო თავისი აღკაზმულობითა და თოფ-იარაღით.

ამიტომაც იყო რომ ქვედა, მომიჯნავე ქუჩას მიუყვებოდა, ცდილობდა პროცესიისთვის არც გადაესწრო, არც ჩამორჩენოდა და ზედ გზაჯვარედინზე შეხვედროდნენ ერთმანეთს. ერთხელ კიდევ გახედა ქანდაკების სახეს სამიზნეში. საბოლოოდ, ეს მსვლელობა ზღვის პირას, კონცხზე დასრულდა - ქანდაკი იქ დადგეს და მერე ყველამ თავ-თავის სახლს მიაშურა. ეჭვადაც არ ჰქონდათ, მთელი ამ ხნის მანძილზე, ეს შეიარაღებული კაცი თუ უთვალთვალებდათ.

ქანდაკს სახეზე ჯერაც შუქი ადგას. ის ოთხი, ახლა ირგვლივ ჩამოსხდომიან გუშაგებივით. მხოლოდ გამთენიისასღა დაიწყეს ნათურებმა ბჟუტვა და მერე ზედიზედ ჩაქრნენ კიდეც - ეტყობა, ბატარეა თუ დაუჯდათ. სიქჰმა საათს დახედა. ავტომატის სამიზნე ახლა იმ ოთხეულს მიუშვირა. იმათგან ორს დასძინებოდა. მერე სამიზნე ისევ ქანდაკების სახეზე გადაიტანა და მის გულდასმით თვალიერებას შეუდგა. ამ შუქზე უკვე სულ სხვანაირი მოეჩვენა - ბევრად ახლობელი და მეტყველი. ვიღაც ნაცნობის სახეს აგო-

ნებდა - საკუთარი დის, ან ეგებ, ქალიშვილის - ოდესმე უთუოდ რომ შეეძინებოდა.

კარავაჯო ბიბლიოთეკაში შედის. საერთოდ, მთელ დღეებს, ძირითადად, აქ ატარებს ხოლმე. როგორც ადრე, ახლაც წიგნები მისთვის ერთგვარი იდუმალებითაა მოცული. თაროდან ერთ--ერთს იღებს და სატიტულო გვერდზე შლის. თითქმის მთელი ხუთი წუთი გაივლის, ვიდრე სუსტი კვნესის ხმას მიაქცევდეს ყურადღებას.

ამ ხმისკენ ტრიალდება და ტახტზე მძინარე ჰანას ხედავს. წიგნს ხურავს, უკან-უკან იხევს და თაროების ქვეშ, ნიშაში იმალება. ჰანა მოკუნტული წევს, ლოყა ტახტის მტვრიან ფარჩაზე უდევს, მომუშტული ხელი კი ნიკაპქვეშ ამოუდვია. მძინარესაც კი ერთიანად დაძაბვია სახე, მხოლოდ წარბებს თუ გაატოკებს დროდადრო.

როცა უკვე აქ, ამ ვილაზე ნახა პირველად, გოგო სიმივით მოჭიმული მოეჩვენა. ომგამოვლილი მისი სხეული თითქოს წამითაც ვერ ახერხებდა მოდუნებას და თან, ამავე დროს, სიყვარულით არაქათგამოცლილი გეგონებოდათ. ხმამაღლა დააცემინა და როცა ისევ ტახტს გახედა, უცებ გაღვიძებული გოგო უკვე თვალდაჭყეტილი მიჩერებოდა.

- იცი, რა დროა?

- ხუთის ხუთი წუთი იქნება... არა, ხუთის შვიდი წუთი.

ეს მათი ძველი თამაში იყო. კაცი მაშინვე ოთახიდან გაშპა, საათისთვის უნდოდა შეეხედა და მისი თავდაჯერებული მოძრაობების მიხედვით, გოგომ მაშინვე დაასკვნა - ცოტა ხნის წინ მორფი გაუკეთებიაო. კარავაჯო მალევე დაბრუნდა, თან თავს აქეთ-იქით აქნევდა - მართლა რა ზუსტად გამოიცნოო.

- თავში მზის საათით დავიბადე, ეგრე არაა?

- დავუშვათ, ეგრეა. რა მერე? ღამით როგორ მუშაობს?

- იქნებ, მთავარი საათიც არსებობს? მოიგონებდა ვინმე... ალბათ, ყველა არქიტექტორი ითვალისწინებს ხოლმე ადგილს ეგეთი საათისათვის - იმ შემთხვევაში, თუ ვილაზე ქურდი შემოიპარა.

- რა გულისამაჩუყებელი მზრუნველობაა მდიდრებზე!

- მოდი, მთვარის საათთან შევხვდეთ, დეივიდ. იქ, სადაც უძალოებს ძალა ეძლევათ...

- შენს თავს და იმ ინგლისელს გულისხმობ?

- იცი, ერთი წლის წინ შეიძლებოდა ბავშვი მყოლოდა.

ახლა, როცა წამლის წყალობით, კარავაჯოს აზრიც დაეწმინდა და გონებაც გაუნათდა, უკვე შეიძლება მასთან საკუთარ ამბებზე ლაპარაკი; მოისმენს კიდეც, არ გაექცევა. ამიტომაც, სწორედ ისე ალალად უამბობს, როგორც დაეჭვებულ ადამიანს სჩვევია - ბოლომდე რომ ვერ გარკვეულა, ცხადში ხდება ყველაფერი თუ სიზმარში.

ამგვარი გამოცდა კარავაჯოსთვისაც ნაცნობია. ხშირად შეხვედრია ხალხს მთვარის საათთან. არაერთხელ და არაერთი დაუფეთებია ღამის ორ საათზე, როცა რომელიმე საძინებელში უნებურად დაჯახებია რაღაცას და გრუხუნით დაუხეთქებია ძირს. ერთ დასკვნამდე კი მივიდა: ასე მოულოდნელად დაფეთებულ ხალხს ერთბაშად უქრება შიშიცა და ძალადობის გამოვლენის სურვილიც. თავადაც მშვენივრად სარგებლობდა ამით - გამხიარულებულ-გახალისებული, ენად გაიკრიფებოდა ხოლმე, სახტად დარჩენილ მასპინძლებს ჰაერში, ცხვირწინ აუთამაშებდა ძეწკვიან საათსა თუ სამაჯურს და თან ეკითხებოდა კიდეც - სხვა რამ ძვირფასეული ხომ არაფერი გაქვთო?

- მუცელი მოვიშალე. უფრო სწორად, იძულებული გავხდი, ნაყოფი მომეცილებინა. მამამისი უკვე მკვდარი იყო. გაგანია ომი მიდიოდა.

- მაშინ უკვე იტალიაში იყავი?

- სიცილიაზე. არადა, მთელი გზა, რაც ჯარს ვედექით კვალში, სულ ბავშვზე ვფიქრობდი. ვეკამათებოდი კიდეც, შიგადაშიგ. ლაზარეთში უამრავი საქმე მქონდა და არავის დავმახსოვრებივარ ზედმეტად. ჩემი შვილი მყავდა და დარდი იყო თუ სიხარული, ყველაფერს იმას ვუზიარებდი. დაჭრილებს იარებს ვუხვევდი თუ ტანს ვბანდი, ერთთავად იმას ვესაუბრებოდი ხოლმე. მართლა ჭკუა დამაკარგინა იმ ბავშვმა.

- მერე მამაშენიც დაიღუპა...

- კი, პატრიკიც მაშინ მოკვდა. ეგ ამბავი პიზაში გავიგე.

გოგო უკვე საბოლოოდ გამოფხიზლებულა. ერთი სწრაფი მოძრაობით წამოჯდა ტახტზე.

- ესე იგი, იცოდი?

- წერილი მივიღე შინიდან.

- აქაც მაგიტომ ჩამოხვედი, არა? ყველაფერი რომ იცოდი...

- არა.

- კარგი, ბატონო, ეგრე იყოს. არა მგონია, პატრიკს ქელეხები და ეგეთები ყვარებოდა. ერთთავად იმას გაიძახოდა, როცა მოვკვდები, მინდა ჩემს საფლავთან ქალების წყვილმა დაუკრას - ვიოლინომ და ბანჯომო. ძაან მგრძნობიარე გული ჰქონდა.

- ეგრეა. თან ძაან გულჩვილიც იყო. ქალის ტანჯვა ხომ საერთოდ ბოლოს უღებდა.

დაბლობიდან მოვარდნილი ქარი სამლოცველოსკენ ამავალი, ოცდათექვსმეტსაფეხურიანი კიბის აქეთ-იქით ჩარიგებულ კვიპაროსებს დაეძგერა. წვიმასაც ეპირებოდა და ჰანასა და კარავაჯოს უკვე მძიმე, მსხვილ-მსხვილი წვეთებიც დაეცათ. შუაღამეს კარგა ხნის გადაცილებული იყო. ჰანა ქვის შვერილზე გაწოლილიყო, კაცი კი მის წინ სცემდა ბოლთას და, დროდადრო, ველს გახედავდა ხოლმე. ღამის სიჩუმეში მხოლოდ წვიმის წვეთების ხმა ისმოდა.

- ბავშვთან ლაპარაკს როდის გადაეჩვიე?

- არ მახსოვს... ალბათ, როცა ურბინოს ლაზარეთში გადამიყვანეს. უცებ უამრავი სამუშაო დამაწვა. ცხარე ბრძოლები მიდიოდა - ჯერ მოროს, და მერე უკვე ურბინოს ხიდების დასაპატრონებლად. ისეთი საგიჟეთი ტრიალებდა, ნებისმიერ წამს შეიძლებოდა მოგხვედროდა ტყვია - გინდაც ჯარისკაცი კი არა, კაპელანი ან მედდა ყოფილიყავი. იქაურ ვიწრო, ციცაბო ქუჩებში ხალხზე კურდღლებივით ნადირობდნენ: ლაზარეთში კი ხელ--ფეხწაწყვეტილი დაჭრილები მოყავდათ წყება-წყება; ერთი საათით ასწრებდნენ ჩემს შეყვარებას და მერე იქვე იხოცებოდნენ. მათი სახელების დამახსოვრებასაც კი ვერ ვასწრებდი, ოღონდ მუდმივად, განუწყვეტლივ, მაშინაც კი, როცა იმათ სულის ამოხდომას შევცქეროდი, თვალწინ სულ ჩემი ბავშვი მედგა. ვხედავდი, როგორ და რანაირად კვდებოდნენ: ზოგი საწოლზე წამოჯდებოდა ხოლმე და დოლბანდებს ისე გიჟივით იგლეჯდა, თითქოს სული ეხუთებაო. სხვები სიკვდილის წინაც კი, რაღაც დაბეჟილობებზე წუწუნებდნენ... მაგრამ სიკვდილის მოახლოების მთავარი ნიშანი მაინც ტუჩის კუთხეებში გაჩენილი დუჟი იყო - ნერწყვის პატარა, თეთრი გროვა. ერთხელ მეგონა, ეს ჩემი პაციენტი უკვე მკვდარია-მეთქი, თვალების დასახუჭად მისკენ წავიხარე კიდეც, იმან კი უცებ სახეში შემცინა - რა იყო, ვერ ითმენ, შე ბოზოო? - მომახალა. მერე წამოჯდა და წამლებიანი სინი გამაგდებინა ხელიდან. იატაკზე გაიბნა ყველაფერი. შეშლილს გავდა ის კაცი. არადა, ყველაზე საშინელი ისაა, როცა ასეთი გაბრაზებული მიდიხარ იმქვეყანას! ვერაფრით დავივიწყე მისი თვალები და ის სიტყვები. მას მერე მუდამ ველოდი, როდის მოადგებოდათ დაჭრილებს ტუჩებზე დუჟი. ახლა სიკვდილს უკვე კარგად ვიცნობ და, მგონი, გავუშინაურდი კიდეც. მის სუნსაც ვცნობ, წინდაწინ ვგრძნობ და ისიც ვიცი, როგორ შევუმსუბუქო მომაკვდავს ბოლო სატანჯველი. უცებ უნდა აჯახო ვენაში მორფი. ფიზიოლოგიური ხსნარიც. არც ის მესწავლება, როგორ ვაიძულო, სიკვდი-

ლის წინ კუჭ-ნაწლავი დაიცალონ. ყველამ ჩემს ხელში გაიარა - რა ასაკისა თუ წოდების ხალხი გინდა, რიგითიდან გენერლამდე. ეგრეა, გენერლებიც გამისტუმრებია საიქიოს. უკვე ვიცოდით, ხიდისთვის ყოველი შეტაკების მერე ლაზარეთი დაჭრილების ახალი ნაკადით რომ გაივსებოდა. რა ეშმაკად დაგვაკისრეს ამოდენა პასუხისმგებლობა?! რატომ ელოდნენ ჩვენგან, რომ უაზროდ გაწირულ ამ ხალხს საბოლოო გზაზე მშვიდად და უდრტვინველად გავისტუმრებდით? რომელი მღვდლები ჩვენ ვიყავით? სხვათა შორის, არც არასდროს მჯეროდა მთელი ამ რელიგიური წესის აგების, მომაკვდავებს რომ ჩაუტარებენ ხოლმე. ან როგორ ბედავენ? საერთოდ როგორ ძრავენ კრინტს სულთმობრძავი ადამიანის შემხედვარე!

ირგვლივ სრული სიბნელე იდგა. ყველა სანათი ჩაექროთ და ცაზეც ღრუბლები მოჯარულიყო. ასე ჯობდა კიდეც, ამ არეულ დროში. ღამღამობით ხშირად სეირნობდნენ ხოლმე ბაღში.

- როგორ გგონია, რატო არ უნდოდათ ამ ინგლისელ პაციენტთან ერთად აქ შენი მარტო დატოვება?

- ვითომ, უთანაბრო ქორწინების შიშით? თუ - კრუხის კომპლექსი დაემართათ? - შეჰღიმილა გოგომ.

- ისე, როგორა გყავს?

- ჯერაც ძაღლზე დარდობს.

- უთხარი, კარგად უვლის-თქო.

- სხვათა შორის, აქ აღარც გონიხარ. დარწმუნებულია, მთელი ფაიფური მოხვეტე და აორთქლდი.

- როგორ გგონია, ცოტა ღვინო არ მოუხდებოდა? დღეს ერთი ბოთლი დავითრიე.

- საიდან?

- რა მნიშვნელობა აქ. შენ ის მითხარი, დავალევინოთ თუ არა?

- მოდი, ცოტა ხნით საერთოდ დავივიწყოთ და მე და შენ დავლიოთ ეხლავე.

- რა, უკვე თავიც მოგაბეზრა?

- სულაც არა. უბრალოდ, ეხლა დათრობა არ მაწყენდა.

- ოცი წლის გოგო მეუბნება ამას?! შენხელა რო ვიყავი...

- ვიცი, ვიცი... შენ ისა თქვი, ვინმეს გრამოფონს ვერ ავწაპნით? სხვათა შორის, შენს პროფესიას ახლა ახალი სახელი ქვია - მა-როდიორობა.

- თუ რამე ვიცი, ისევ სამშობლოდან გამომყვა. აქ უბრალოდ, ის ცოდნა გამოვიყენე.

კარავაჯო, ჩამონგრეული სამლოცველოს გავლით, სახლში შევიდა.

ჰანაც წამოჯდა, ცოტა თავბრუ ეხვეოდა და კინაღამ წონასწო-რობაც დაკარგა. „დაგიფასეს კიდეც! ნახე, რა დღეში ჩაგაგდეს...“ - ჩაიბუტბუტა თავისთვის.

იქ, ლაზარეთში, იმათაც კი არ დაახლოებია, ვის გვერდითაც ტრიალებდა ოცდაოთხი საათი. გულის გადაშლა მარტო ვინმე თავისიანისთვის, ოჯახის წევრისთვის შეეძლო. საკუთარი სის-ხლი და ხორცი ჭირდებოდა, ანდა - თავისი შვილის მამა. სწორედ ამაზე ფიქრობდა ახლა, ბაღში მჯდომი და მოუთმენლად ელოდა იმ წუთს, როცა ცხოვრებაში პირველად დათვრებოდა. ინგლი-სელ პაციენტს ზედა სართულზე ეძინა და ეს ძილი კიდევ ოთხ სა-ათს გასტანდა. მამამისის ძველმა მეგობარმა კი წამლების შესა-ნახ ლითონის ყუთში მორფის ერთ ამპულას მიაგნო, შუშის თავი წაატეხა, იდაყვსზემოთ ზონარი გადაიჭირა და ნაჩქარევად შეიშ-ხაპუნა ვენაში წამალი. მერე ვითომცდა არაფერიო, ისევ ჰანას-თან დაბრუნდა იმაში დარწმუნებული, გოგო ეჭვითაც ვერაფერს იეჭვებსო.

მათ გარშემო, მთებში, გვიან ღამდება ხოლმე. ათ საათზეც კი ცა ისევ ნათელია და მთა-გორებიც მწვანედ ილანდება.

- ცალკე შიმშილისაგან მელეოდა გული და ცალკე - აბეზარი კაცებისაგან. ამიტომაც ვთქვი უარი პაემნებზე ჯიპით სეირნობა-

ზე, არშიყობასა და სასიკვდილოდ განწირულებთან ბოლო ცეკ-ვებზე... უკარება შემარქვეს, მე კი სხვებზე მეტს ვმუშაობდი, ორ--ორ ცვლაში და ვცდილობდი, ასე დამევიწყებინა ყველაფერი. არც დაბომბვებს ვეპუებოდი - ნებისმიერ დავალებას ვასრულებ-დი, უსიტყვოდ. არც დაჭრილების დაბანა-დასუფთავებას ვთაკი-ლობდი და არც იმათი განავლის გატანას. ცოტა ალბათ გიჟიც ვე-გონე ხალხს, რაკი არავის ვხვდებოდი და ფულსაც არავის ვახარ-ჯინებდი. სახლი მენატრებოდა, არადა არც იქ მელოდა ვინმე. ევ-როპაშიც გული მერეოდა უკვე, და ვითომ რატო უნდა მეთამაშა დამყოლი გოგოს როლი? მარტო იმიტომ - ქალად რომ გავჩნდი? ადრე ერთ კაცს ვხვდებოდი, მაგრამ ის დაიღუპა. მერე ბავშვიც არ გავაჩინე - თავად გამოვუტანე განაჩენი... ამის შემდეგ ისე ჩა-ვიკეტე საკუთარ ნაჭუჭში, სათოფეზე ვერავინ მეკარებოდა. ფე-ხებზე მეკიდა, რას იფიქრებდნენ და რას იტყოდნენ ჩემზე. აღარც სხვისი სიკვდილი მანაღვლებდა - თითქოს რაღაც გამიხევდა და გამიქვავდა შიგნით. და აი, მაშინ იყო სწორედ, ამ დამწვარ--დაბუგულ პაციენტს რომ შევხვდი, რომელიც სავარაუდოდ, ინ-გლისელი უნდა იყოს. სწორედ მან გამილღო გული, დეივიდ. არა-და, მეგონა კაცებზე სამუდამოდ ჯვარი მაქვს დასმული-მეთქი.

ვილაზე სიქჰის გამოჩენიდან ერთი კვირის თავზე, უკვე არავის აკვირვებდა იმის ზნე-ჩვევები: საცა არ უნდა ყოფილიყო წასული - მაღლა მთაში თუ შორიახლო სოფელში, ზუსტად პირველის ნა-ხევარზე უთუოდ ბრუნდებოდა და ისიც მაგიდას მიუჯდებოდა ხოლმე, ჰანასა და კარავაჯოსთან ერთად. ზურგჩანთიდან პატა-რა, ლურჯ ფუთას ამოიღებდა - უფრო სწორად, ფუთასავით გა-მოკრულ ცხვირსახოცს, პირს მოუხსნიდა და მაგიდაზე წინ იფენ-და. ფუთაში რამდენიმე თავი ხახვი და სურნელოვანი ბალა-ხეული ჰქონდა ხოლმე მომარაგებული. კარავაჯოს ეჭვით, ეს ყვე-ლაფერი მეზობლად მდებარე, ფრანცისკელთა მონასტრის ეზო-ში უნდა მოეძია, როცა იქ ბაღის განაღმვა ითავა. ხახვსაც იმავე

დანით ფცქვნიდა, რითიც ნაღმის სადენებს ფხეკდა თუ ჭრიდა. ბოლოს, აუცილებლად რაიმე ხილსაც შეექცეოდა. კარავაჯომ ერთხელ ივარაუდა - ეტყობა, მთელი ომი ისე გამოიარა, საერთო მაგიდასთან არასოდეს მჯდარა ეგ საცოდავიო.

როგორც წესი, მუდამ წუთი-წუთ აკეთებდა ყველაფერს და მზის პირველი სხივების ამოწვერვისთანავე გაუწვდიდა ხოლმე ჰანას ტოლჩას, რათა იმას შიგ სიქჰის საყვარელი, შედედებულ-რძეგარეული ჩაი ჩამოესხა. დიდი სიამოვნებით წრუპავდა, თან სახე მზისთვის მიეშვირა და ველზე უსაქმოდ მობოდიალე სხვა ჯარისკაცებს გასცქეროდა.

ახლა კი, ადრიან დილით, გავერანებულ ბაღში გამოსული, მათარიდან პირში წყალს იგუბებს, ჯაგრისზე სახეხ ფხვნილს იყრის და კბილების გაკრიალების თავის ათწუთიანი წესის აღსრულებას იწყებს. თან წინ და უკან დაიარება, ისევ ნისლში ჩაძირულ დაბლობს არ აშორებს თვალს - უფრო ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი, ვიდრე ამ დიდებული სანახაობით მოხიბლული. ომის დროს უამრავი ლამაზი ადგილი მოუვლია, ღია ცის ქვეშ კბილების ხეხვის ჩვევა კი ბავშვობიდანვე მოსდევს.

მთელი ეს დიდებული ხედი მისთვის მხოლოდ დროებითი მოვლენაა, და არც სურს, მიეჩვიოს. უბრალოდ, გაკვრით შენიშნავს თავისთვის - დღეს უთუოდ იწვიმებსო. ამასაც ბალახების სუნით ხვდება - თითქოს, მოსვენებულ მდგომარეობაშიც კი, მისი გონება რადარივით აღიქვამს ირგვლივ ყველაფერს და მისი თვალებიც უსულო საგნების განლაგებას მეოთხედი მილის არეში ამჩნევენ - სწორედ იმდენზე, სადამდეც ხელის ცეცხლსასროლი იარაღის მომაკვდინებელი ძალა უწევს. გულდაგულ იკვლევს მიწიდან ფრთხილად ამოღებულ ხახვის ორ თავს, რადგან არც ამ შემთხვევაში გამორიცხავს რაიმე ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობას - მასზე უკეთ განა ვინ იცის, რომ უკან დახევისას მტერმა ყველაფერი შეიძლება იკადროს?

სადილობისას კარავაჯო ერთი სწრაფი მზერით შეათვალიერებს სიქჰის ფუთის შიგთავსს. ნეტა თუ არსებობს კიდევ ამქვეყნად რომელიმე არსება, ამისთანა საკვებს ხელით რომ გეახლებათ და დანას კი მხოლოდ ხახვის გასაფცქვნელად თუ ხილის საჭრელად ხმარობს?

ორნი მიაგორებენ ურიკას ქვევით, სოფლისაკენ, სადაც ტომარა ფქვილი უნდა იშოვონ როგორმე. თან სიქჰმა ჯარისკაცმა სან-დომენიკოში განლაგებულ შტაბში უკვე განაღმული ადგილების რუკაც უნდა გააგზავნოს.

ერთმანეთისთვის ზედმეტი შეკითხვების დასმა არცერთს არ სურს, და ამიტომ ისევ ჰანაზე ლაპარაკობენ. თავიდან კარავაჯო არ აღიარებს - გოგოს ჯერ კიდევ ომამდე ვიცნობდიო.

- ესე იგი, კანადაშიც?

- კი, ეგრე იყო.

გზისპირას დანთებული კოცონების გასწვრივ მიაბიჯებენ და კარავაჯოც საუბრის თემას ცვლის. ამ ჯარისკაცს ყველა „ხამსას“ ეძახის: ხამსა მომინახეთ! ხამსა ამწუთას აქ არ იყო?! ეს მეტსახელი რაღაც უცნაურად მიეწება: როცა ჯერ კიდევ სწავლებას გადიოდა ინგლისში, მესანგრეთა ბატალიონში, მის პირველივე პატაკში დიდი ცხიმიანი ლაქა აღმოაჩინეს და ოფიცერმა შეიცხადა - ეს რა უბედურებაა, თევზი ჭამე ზედ თუ რაო? ყველას ხარხარი აუტყდა, და უკვე ერთი კვირის შემდეგ, მისი ნამდვილი სახელი - კირპალ სინგჰი აღარც არავის ახსოვდა. არ გაბრაზებულა. ლორდ საფოლკსა და მთელ მის ამალას მოსწონდათ მისი ასე მოხსენიება, მას კი სულაც არ ეხატებოდა გულზე ინგლისელთა უცნაური ჩვევა - ყველასათვის გვარით მიემართათ.

იმ ზაფხულს ინგლისელ პაციენტს მოსასმენი აპარატი ეკეთა და ამის წყალობით მშვენივრადაც ესმოდა ყველაფერი, რაც კი სახლში ხდებოდა. მის ყურის ნიჟარაში ჩადგმული, ქარვის ეს მოწყობილობა ნებისმიერ უნებლიე ხმაურს იჭერდა - იატაკზე

სკამის გახრიგინება იქნებოდა თუ დერეფანში ძაღლის კლანჭების ფხაჭუნი და როცა ხმის მარეგულირებელსაც აუწევდა, იმ ძაღლის ქასქასი და ეზოს ბოლოდან სიქჰი ჯარისკაცის ძახილიც მშვენივრად ესმოდა. სწორედ ასე შეიტყო ვილაზე მისი გამოჩენა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ თვალით დაინახავდა. თუმცა ჰანა კი ძალიან ცდილობდა, მათი შეხვედრა რაც შეიძლებოდა გვიან შემდგარიყო - წინდაწინ გრძნობდა, დიდად არ მოუვიდოდნენ ერთმანეთს თვალში. არადა, ერთ მშვენიერ დღეს, ინგლისელი პაციენტის ოთახში შესულს, ჯარისკაციც იქ დაუხვდა - საწოლთან იდგა და ავტომატი ჩაებღუჯა ხელებში.

ინგლისელი კი მიუბრუნდა და უთხრა:

- მშვენივრად შევეწყვეთ ერთმანეთს!

მაგრამ ჰანას ძალიან აღიზიანებდა მის სამფლობელოში სიქჰის შემოჭრა - ეჩვენებოდა, თითქოს ის აჩრდილივით ყველგან თან სდევდა. ჯარისკაცმა უკვე იცოდა კარავაჯოსაგან, ინგლისელი იარაღში მაგრად ერკვევაო და იმაზე ჩამოუგდო სიტყვა - რა სირთულეები ახლდა მის საქმიანობას. პაციენტს მართლაც უამრავი რამის თქმა შეეძლო როგორც მოკავშირეების, ისე - მტრის შეიარაღებაზე; მშვენივრად იცნობდა არამარტო იტალიური ნაღმების მარტივ აგებულებას, არამედ ბევრ სხვა რამეშიც ძირისძირამდე ერკვეოდა: მაგალითად, ტოსკანის ამ მხარის ტოპოგრაფიაში. ძალიან მალე, უკვე ფურცელზეც გადაჰქონდათ ნაღმებისა თუ ყუმბარების მოხაზულობა და ერთმანეთს უზიარებდნენ თითოეული მათგანის თავისებურებებს.

- იტალიურ ნაღმებში დეტონატორი შვეულად იდება და თან სულაც არაა აუცილებელი, ბოლოში მოაქციო.

- გააჩნია. ნეაპოლში დამზადებულ ნაღმებში ეგრეა, მაგრამ რომში უკვე გერმანულ წესზე გადავიდნენ. ცხადია, ნეაპოლში, ჯერ კიდევ XV საუკუნეში...

ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ ინგლისელი პაციენტი ისევ წარსულში გადავარდებოდა და კარგა ხანს ილაპარაკებდა მოვლენების ისტორიულ ფესვებზე, მაგრამ ახალგაზრდა ჯარისკაცს ჩვევად არ ჰქონდა მხოლოდ ესმინა და ხმა კი არ ამოეღო. ამიტომ, როცა ინგლისელი იღლებოდა და მცირე ხნით მაინც ჩუმდებოდა, მაშინვე მოუთმენლად ჩაურთავდა თავისას.

- მოდი ჰამაკი გავუკეთოთ და გარეთ გავიყვანოთ, ბაღში. - უთხრა იმ პირველსავე დღეს ჰანას. იმან კი მხრები აიჩეჩა და უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან.

მერე, როცა კარავაჯო დერეფანში შეეფეთა, ჰანას უკვე სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. ცოტა ხანს იდგნენ იქ და ოთახში დარჩენილების საუბარს აყურადებდნენ.

- არ მახსოვს, გითხარი თუ არა, მე პირადად რა აზრისა ვარ ვერგილიუსის მიერ ადამიანის განდიდებაზე? ნება მომეცი...

- მოსასმენი აპარატი ჩართული გაქვთ?

- რაო?

- აბა, ჩართეთ ერთი...

- მე მგონი, მეგობარი იშოვა, - უთხრა ჰანამ კარავაჯოს.

ჰანა ეზოში გამოდის, მზისგულზე. დილაობით მილებში წყალს უშვებენ და შადრევანშიც მთელი ოცი წუთი მოჩქეფს ხოლმე ნაკადი. ჰანა ფეხსაცმელს იხდის. ჯერჯერობით მშრალ შადრევანში დგება და ელოდება, როდის ამოვა წყალი.

ირგვლივ მოთიბული ბალახის სუნი ტრიალებს. ჰაერში ბუზები ირევიან - ზოგი გოგოსაც ეხლება ზედ, როგორც კედელს, მაგრამ წამსვე უდარდელად მიფრინავს ხოლმე უკან. ჰანა შადრევნის თასის ქვეშ შეფარებულა ჩრდილს, მერე ზემოთაც აიხედავს და ამ თასის ძირზე წყლის ობობების ხროვას ამჩნევს. საერთოდ, უყვარს აქ, ამ ქვის აკვანში ჯდომა - აქაური გრილი, ნაჯერი სუნის ყნოსვა; თითქოს ნაზამთრალი სარდაფი ახლა, ზაფხულის პაპანაქებაში, ეს-ესაა პირველად გაუღიათო. ხელებიდან, შიშველი

ტერფებიდან და ფეხსაცმელებიდან მტვერს იცილებს, მერე ერთი გემრიელად იზმორება კიდეც.

ამ სახლში მეტისმეტად ბევრი მამაკაცი მოგროვილა. ჰანა ტუჩებით ეხება საკუთარ შიშველ მკლავს და კანის ნაცნობ სუნს გრძნობს - თავის გემოსა და სურნელს. ახსოვს, პირველად როდის შეიგრძნო ეს - მოზარდობისას, თუმცა ადგილი უფრო ახსოვს, ვიდრე ზუსტი დრო. ახსოვს მხოლოდ, საკუთარ მკლავს შეგნებულად რომ დაეკონებოდა ტუჩებით, კოცნაობაში წასავარჯიშებლად, ანდა - მაჯებს იყნოსავდა, ზოგჯერ კი ბარძაყისკენაც დაიხრებოდა ხოლმე, საკუთარი სხეულის ყველა კუთხე--კუნჭულის სუნისა და სურნელის შესაცნობად. მტევნებს შეატყუპებდა, სულს ჩაბერავდა, რათა მერე საკუთარი ამონასუნთქი შეეყნოსა. ფეხისგულები შადრევნის ჭრელ ფსკერს გაუხახუნა. სიქჰი უამბობდა - ბრძოლებს შორის, ხანმოკლე სულისმოთქმისას, როგორ ახერხებდა თურმე ქანდაკებების შორიახლოს, მათ ჩრდილში თვალის მოტყუებას. ერთ-ერთი მათგანი, განსაკუთრებით ლამაზი რომ მოსჩვენებია, სამუდამოდ დამახსოვრებია კიდეც - მწუხარე ანგელოზი, ერთდროულად ქალური და მამაკაცური ნაკვთები რომ ჰქონდა. იწვა თურმე, ამ ანგელოზს ასცქეროდა რულმორეული და მთელი ომის მანძილზე პირველად გრძნობდა სიმშვიდესა და უდარდელობას.

ჰანა ხარბად ისუნთქავს ნოტიო ქვის სუნს.

ნეტა მამა მშვიდად გარდაიცვალა თუ მაინც გაიტანჯა სიკვდილის წინ? ამ თავის სარეცელზე გართხმული ინგლისელი პაციენტივით იწვა ნეტა ლოგინში? უცხო ან შინაური თუ უვლიდა ვინმე? ისე, ხშირად უცხოს ბევრად მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე შინაურს. თითქოს უცნობი ადამიანის ხელში მოხვედრილი, შენი არჩევანის სარკეში იცქირები... სიქჰი ჯარისკაცისაგან განსხვავებით, მამა ცხოვრებით არასოდეს ყოფილა კმაყოფილი. დედა წუწუნებდა ხოლმე - პატრიკის ნათქვამ ნებისმიერ წინადადებას

ორი ან სამი მთავარი სიტყვა მუდამ აკლიაო. არადა, ჰანას სწორედ ეს მოსწონდა - სხვებს არ გავდა: ქედმაღალი ფეოდალის არაფერი ეცხო. განუმეორებელ ხიბლს სწორედაც რომ მუდმივი იჭვი და გაუბედაობა ანიჭებდა. მისნაირი სხვა არც არავინ შეხვედრია. ეს ინგლისელი პაციენტიც კი ზოგჯერ ამპარტავნად და თავკერძად ეჩვენებოდა. აი, მამამისზე ხომ ვერავინ იტყოდა იმავეს. ის თითქოს მარად უძღებ აჩრდილად ესახებოდა, რომელსაც მოსწონდა კიდეც მის ირგვლივ ამდენი თავდაჯერებული ადამიანის არსებობა.

ან იქნებ სიკვდილის წინ მაინც გაუელვა - შემთხვევით მოვხვდი ამ გაუგებრობაშიო? ვითომ, ბრაზობდა საკუთარ თავზე? ალბათ, არა. ეს მის ბუნებას ვერ ეხამებოდა. ჰანას ნაცნობთაგან მამამისს ყველაზე ნაკლებ ახასიათებდა გაბრაზების უნარი. თუმცა, კამათს ვერ იტანდა და მაშინვე გადიოდა ოთახიდან, უხმოდ, თუკი ვინმე რუზველტსა თუ ტიმ ბაკს აუგად მოიხსენიებდა; ანდა პირიქით - ქალაქ ტორონტოს ამა თუ იმ მერს დაუწყებდა ქება--დიდებას. მთელი ცხოვრების მანძილზე, არასოდეს უცდია ვინმეს გადარწმუნება. მიმდინარე მოვლენებსაც ნათლად აღიქვამდა, ოღონდ საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოთქმისაგან კი ყოველთვის იკავებდა თავს. ეს იყო და ეს. ნებისმიერი რომანი ის სარკეა, რომელშიც უსასრულო გზა ირეკლება. ეს სიტყვები ინგლისელი პაციენტის შერჩეულ ერთ-ერთ წიგნში ამოიკითხა და მამაც სწორედ ამნაირად ახსენდებოდა, როცა მოგონებების თავმოყრას ცდილობდა. აი, ტორონტოში, ხიდქვეშ, მანქანას აჩერებს შუაღამისას და შვილს უყვება, შაშვებს და მტრედებს აქ გაძლება უჭირთ - ლავგარდანებზე ადგილს ვერ იყოფენ და ღამღამობით მუდამ ერთმანეთს დაერევიან ხოლმეო. ერთი ხანობა, იქ იცდიდნენ, მანქანაში და გაფაციცებულნი აყურადებდნენ ფრინველების გნიასსა თუ ღამეულ ხმიანობას.

- ასე მომწერეს, პატრიკი სამტრედეში მოკვდაო. - ადრე ნათქვამი ჰქონდა მისთვის კარავაჯოს.

მამას თავისივე გამოგონილი ქალაქი უყვარდა, რომლის ქუჩები, საზღვრები და ზღუდეები მეგობრებთან ერთად დაეხატა. სინამდვილეში, არც არასოდეს წასულა სადმე იმ ქალაქიდან. ახლა უკვე ხვდება ჰანა, რომ ცხოვრებაში ან ყველაფერს თვითონვე იგებდა, ან - კარავაჯოსა თუ დედინაცვალ კლარასაგან, სანამ ჯერ ისევ ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ. ერთ დროს კლარა მსახიობობდა და განცდების გამოხატვაც მშვენივრად შეეძლო; მაშინაც უბადლოდ გაითამაშა მძვინვარება, როცა შეიტყო რომ კაცები ომში აპირებდნენ წასვლას. ომის ბოლო წელიწადს ჰანა მთელ იტალიაში თან დაატარებდა კლარას მოწერილ წერილებს, რომლებიც (ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა) ჯორჯიის ყურეში, პატარა კუნძულის მოვარდისფრო კლდეზე მჯდარს დაეწერა, როცა ზღვაური უწეწავდა თმას და ფურცლებსაც აქეთ-იქით უფრიალებდა. ქალი მაინც ახერხებდა, სათქმელი ბოლომდე მიეყვანა, მერე ბლოკნოტიდან ნაწერ ფურცელს ამოხევდა და კონვერტში დებდა. ჰანა ამ წერილებს ინახავდა, ვარდისფერი კლდეებისა და ზღვაურის ამ ნამცეცებს, სახლის მოგონებას. ერთად შეკრული დასტა ჩემოდანში ედო, თუმცა პასუხს ჯიუტად არ სცემდა. კლარა კი ძალიან ენატრებოდა, მაგრამ ომში გადატანილის მერე, საპასუხო წერილის მისაწერად ხელი არ უბრუნდებოდა. საერთოდ, წარმოუდგენლად ეჩვენებოდა რაიმეს დაწერა და, მით უმეტეს, პატრიკის სიკვდილის აღიარება.

ახლაც, როცა ამ კონტინენტზე ომმა სულ უფრო და უფრო უკან დაიხია, ხოლო ტოსკანისა და უმბრიის მთებში შეყუჟული მონასტრები უკვე ლაზარეთებადაც აღარავის სჭირდებოდა, მაინც არ შეეძლო, კალმისთვის მოეკიდა ხელი. გამოცარიელებულ მონასტრებში აქა-იქღა თუ შერჩენილიყო თითო-ოროლა სამხედრო,

როგორც მყინვარის ენის დადნობის მერე დარჩენილი მორენები. ირგვლივ კი ყველაფერს ღვთაებრივი ტყე შემოჯაროდა.

ჩამოჯდა, ფეხები შეიკეცა და ხელები მუხლებზე შემოიჭდო. გარშემო ყველაფერი გატრუნულიყო. მერე ნაცნობი, დაგუდული, ბუყბუყა ხმა მოისმა მილიდან; ცოტა ხნით ისევ სიჩუმემ დაისადგურა და ბოლოს წყალმაც იხუვლა.

ინგლისელი პაციენტისათვის წიგნებში ამოკითხული ამბები - „კიმის“ მოხუცი ყარიბისა თუ „პარმის სავანის“ ფაბრიციოსი - მათაც ათრობდა და იმ მოვლენების ორომტრიალში ახვედრებდა, სადაც მთელი არმიები, თავიანთი ცხენ-საზიდრებით, ან ომიდან გამორბოდნენ ან პირიქით - თავად ეს ორომტრიალი მათ ომის ქარცეცხლისკენ მიერეკებოდა. ოთახის ერთ კუთხეში უკვე წაკითხული წიგნები აეკოკოლავებინათ, სადაც უკვე არაერთი მოგზაურობა დასრულებულიყო.

ბევრი წიგნი ავტორისავე შესავლით იწყებოდა. ამ ზღვაში ნებიერად ჩაყურყუმალავებული, კაცი უკვე სიამოვნებით ტივტივებდი წყლის ზედაპირზე.

სათქმელს იმ დღიდან ვიწყებ, როცა კონსულად სერვიუს გალბა იჯდა. ...ტიბერიუსის, კალიგულას, კლავდიუსისა და ნერონის ზეობათა ამბები მაშინდელი ზაფრითაა შერყვნილ--დამახინჯებული, მათი სიკვდილის მერე დაწერილი კი - ზიზღითა და სიძულვილით, ჯერაც რომ არ განელებულიყო.

ასე იწყებს ტაციტუსი თავის „ანალებს“.

აი, რომანები კი უფრო მძიმედ და აბნეულად იწყებოდა. მკითხველი ხან ერთ უკიდურესობას აწყდებოდა და ხანაც - მეორეს; იღებოდა კარი, საკეტის გასაღები გადატრიალდებოდა, ანდა ჯებირი ფეთქდებოდა.

წიგნის კითხვას რომ იწყებს, თითქოს მთავარი კარიბჭიდან ვეება ბაღში შეაბიჯებს ხოლმე. მის ფერხთით ზედიზედ შლიან თავ-თავიანთ ხალიჩებს პარმა, პარიზი თუ ინდოეთი.

ქალაქის საკრებულოს შემოღებული უმკაცრესი აკრძალვის მიუხედავად, ის მაინც აგურის სადგარზე დაყუდებული ზამ--ზამაჰის დიდი ქვემეხის ლულაზე გადამჯდარიყო, ზუსტად ძველი აჯაიბ-გჰერის - ანუ საოცრებათა სახლის ბირდაბირ - როგორადაც აქაურები ლაჰორის მუზეუმს იხსენიებდნენ. ვინაც ზამ--ზამაჰს - ამ „ცეცხლისმფრქვეველ გველვეშაპს“ დაეპატრონებოდა, სრულიად პანჯაბიც მისი იყო, რაკიღა ეს მომწვანო--ბრინჯაოსფერი გროვა ყველა დამპყრობლისათვის უპირველესი საალაფო განძი გახლდათ.

- ცოტა უფრო ნელა იკითხე, ჩემო კარგო. კიპლინგი მდორედ საკითხავი რამაა. მძიმეებს მიაქციე ყურადღება და დაყოვნებაც ბუნებრივი გამოგივა. ის ხომ კალმისტრით წერდა, მელანში აწობდა... წერისას ალბათ, ფანჯრის იქით მოჭიკჭიკე ჩიტებსაც აყურადებდა, როგორც საკუთარ სიმარტოვეში გამომწყვდეულ მწერლებს სჩვევიათ ხოლმე. სხვათა შორის, ჩიტების ამოცნობა ყველას როდი შეუძლია, აი იმან კი ზედმიწევნით იცოდა ეგ საქმე. შენ, ყველა ჩრდილოამერიკელივით, სწრაფი თვალი გაქ, ოღონდ დაფიქრდი აბა, კიპლინგი რა სიჩქარით დაატარებდა კალამს ფურცელზე... მასე თუ არ იზამ, პირველივე აბზაცი სისულელედ მოგეჩვენება და მთქნარებასაც მალევე მოჰყვები.

ეს კითხვის პირველი გაკვეთილი იყო მისთვის. ამის შემდეგ ინგლისელ პაციენტს აღარც დასჭირვებია ჰანასთვის სიტყვა გაეწყვეტინებინა. ეგ კი არა, თუკი შემთხვევით ჩაეძინებოდა კიდეც, გოგო მაინც ჯიუტად აგრძელებდა კითხვას იქამდე, სანამ თვითონაც არ დაიღლებოდა. ინგლისელს არც ის ადარდებდა, თუკი ამბის ბოლო ნახევარ საათს გამოტოვებდა (ეს იმას გავდა, თავ--ფეხიანად მოსაჩხრეკ სახლში ერთი ბნელი კუთხე რომ გამოგრჩენოდა, რადგან ეტყობა, თავად ესა თუ ის რომანი ისედაც მშვენივრად ახსოვდა). ასევე ძირფესვიანად იცნობდა იმ ადგილების გეოგრაფიას, სადაც წიგნში აღწერილი მოვლენები ვი-

თარდებოდა. პენჯაბის აღმოსავლეთით ბენარესი მდებარეობდა, ჩრდილოეთით კი - მარადთოვლიანი მთების მხარე (ეს ყველაფერი მანამდე მოხდა, ვიდრე მათ ცხოვრებაში თითქოსდა მართლა ერთ-ერთი ამ წიგნიდან გადმოსული მესანგრე შემოაბიჯებდა; იფიქრებდი, კიპლინგის წიგნი მთელი ღამე მართლა რაღაც ჯადოსნური ლამპარივით ხეხეს, ისიც გაცოცხლდა და სასწაულიც მოხდაო).

„კიმის“ ბოლო გვერდიც ჩაათავა. უკან მოიტოვა ეს ნატიფად დაწყობილწინადადებებიანი, ამაღლებული თხრობა - რისი სწორად განსიტყვებაც უკვე კარგად ესწავლა და ახლა პაციენტის ცეცხლში გამოვლილ წიგნს გადასწვდა. უწინდელთან შედარებით, წიგნი ლამის ორჯერ გაფუებულიყო და ბოლომდე აღარც იხურებოდა.

მასში ბიბლიიდან ამოხეული, თხელი ფურცელი ჩაეწებებინათ:

მოხუცდა დავით მეფე, ხანში შევიდა; ახურავდნენ სამოსლებს, მაგრამ ვერ თბებოდა.

უთხრეს მისმა მორჩილებმა: გამოუძებნონ ჩვენს მეფე--ბატონს ახალგაზრდა ქალწული ქალი, რომ წარდგეს მეფის წინაშე, უვლიდეს მას და გვერდში უწვებოდეს. მაშინ გათბება ჩვენი მეფე-ბატონი.

დაუწყეს ძებნა ლამაზ ყმაწვილ ქალს მთელ ისრაელში და იპოვნეს აბიშაგ შუნამელი და მიჰგვარეს მეფეს.

ძალზე ლამაზი იყო ყმაწვილი ქალი, უვლიდა მეფეს და ემსახურებოდა მას; მაგრამ მეფე არ მიჰკარებია ქალს.

იმ ტომის ხალხმა, ვინაც დამწვარი მფრინავი გადაარჩინა, ბოლოს ის სივაში, ბრიტანელთა ბაზაზე მიიყვანა 1944-ში. იქიდან უკვე ტუნისში გადაიყვანეს, ხოლო მერე - გემით, იტალიაში. იმ ხანად ლაზარეთებში ბევრი უსახელო ჯარისკაცი იწვა. ან უფრო ისეთები, ვისაც მართლა არ ახსოვდა საკუთარი ვინაობა თუ

გვარ-სახელი, თორემ ზოგ-ზოგი შეგნებულადაც მალავდა თავის გვარ-ტომობას. ისინი, ვინც ამბობდნენ - არ გვახსოვს, სადაურები ვართო, ტირენის სანაპიროზე განთავსებული საზღვაო ლაზარეთის შემოღობილში შეყარეს. დამწვარი პაციენტი კი კიდევ ერთი თავსატეხი გამოდგა: არამარტო მისი ვინაობა ვერ დაადგინეს, მისი გარეგნობის მიხედვით ამოცნობაც შეუძლებელი ჩანდა. იქვე, ლაზარეთის გვერდით დამნაშავეთათვის საგანგებოდ მოწყობილ ბანაკში, ამერიკელი პოეტი, ეზრა პაუნდი ყავდათ გალიაში გამომწყვდეული. ის ხან უბეში, ხან ჯიბეებში მალავდა ევკალიპტის ფოთოლს, წამდაუწუმ უცვლიდა ადგილს და იმ ავგაროზად ასაღებდა, თითქოსდა მის პირად უსაფრთხოებას რომ უზრუნველყოფდა. თავიდან, როცა დააპატიმრეს და სწორედ იმ კაცის ბაღში მოჰყავდათ, ვინაც გასცა, მაშინ მოწყვიტა ხიდან ეს ფოთოლი, „იმ ევკალიპტის სამახსოვროდ“.

- შეგეძლოთ მოგეტყუებინეთ და გერმანულად აგელაპარაკებინეთ, - უთხრა დამწვარმა პაციენტმა იმათ, ვინც მის გამოტეხვას ცდილობდა. - ეგ ენაც ვიცი. ისიც იცოდა, ევროპის რომელ კუთხე-კუნჭულში მოეძია ჯოტოს თითოეული ნახატი და ის ადგილებიც, სადაც მათ ასლებს დედნებად შემოგასაღებდნენ.

საზღვაო ლაზარეთის შესაკოწიწებლად ის ფიცრული კაბინებიც გამოეყენებინათ, საუკუნის დასაწყისში კარგ სამსახურს რომ უწევდა მოცურავე-მობანავეებს. „კამპარის“ ძველებური, საფირმო ქოლგებიც ცხელ ამინდში ახლა თავის ოდინდელ ბუდეებს უბრუნდებოდნენ და ის დაჭრილები, ვისაც სიარულის ნებას აძლევდნენ, მათ ჩრდილში ჩამომსხდრები ისუნთქავდნენ ზღვის მაცოცხლებელ ჰაერს. ხან ერთმანეთში საუბრობდნენ, ხანაც უხმოდ, თვალგაშტერებულნი გასცქეროდნენ ცისკიდურს. დამწვარმა პაციენტმა მალევე შენიშნა ახალგაზრდა მედდა, რომელიც ყველასაგან გამოირჩეოდა. ცოცხალი ადამიანის ამნაირად ჩამკვდარ თვალებს მანამდეც გადაყროდა და მაშინვე მიხვდა - ამ გოგოს

აქეთ სჭირდება მკურნალობაო. მას მერე, სულ მას უხმობდა ხოლმე, როგორც კი რაიმე დასჭირდებოდა.

ერთხელ კიდევ დაკითხეს. თითქოს ყველაფერი მიათითებდა და ადასტურებდა მის ინგლისელობას - იმის გარდა, თავ--ფეხიანად რომ დამწვარ-დანახშირებულიყო და სწორედ ეს არ აძლევდა მოსვენებას კონტრდაზვერვის ხალხს.

ეკითხებიან - თუ იცით, მოკავშირეები ახლა იტალიის რომელ რეგიონებში არიან განლაგებულნიო და - ფლორენცია კი აიღეს, მაგრამ უფრო ჩრდილოეთით ფეხს ვეღარ დგამენ, გაიჭედნენო.

- თქვენი დივიზიები ფლორენციასთან ჩარჩნენ და ისეთი საყ-რდენი პუნქტები ვერ აიღეს, როგორიც, მაგალითად, პრატო და ფიეზოლე... ეგ იმიტომ, რომ გერმანელებმა იქაური ვილები და მონასტრები დაიკავეს და მშვენივრადაც არიან იქ გამაგრებულე-ბი. ეგ ძველი ფანდია - იმავეს აკეთებდნენ ჯვაროსნები სარკინო-ზების წინააღმდეგ ლაშქრობისას. იმათი არ იყოს, თქვენც უთუ-ოდ უნდა აიღოთ ეს ქალაქი-სიმაგრეები. მაგრამ ძველ დროს თუ გავიხსენებთ, ისინი იოლად არაფერს დათმობენ... მარტო შავი ჭირი ან ქოლერა თუ აიძულებთ დანებებას.

ასე აბდაუბდად ლაპარაკობდა, ხან აქეთ გადაიხრებოდა, ხან - იქით და იმათაც აგიჟებდა, რაკი ვერაფრით გაეგოთ, ბოლო--ბოლო, მტერი იყო თუ - მოყვარე. და აი ახლა, რამდენიმე თვის შემდეგ, უკვე ფლორენციის ჩრდილოეთით, მთიან სოფელში, ვი-ლა სან-ჯიროლამოს ერთ-ერთ, მწვანე ფანჩატურის მსგავს საძი-ნებელ ოთახში, საწოლში წევს და რაღაცით იმ მკვდარი რაინდის ქანდაკს მოგაგონებთ, რავენაში რომ შეგიძლიათ იხილოთ. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობს, ხან უდაბნოში გაბნეულ ოაზისებ-ზე, ხან - მედიჩების გარდასულ დიდებაზე, ხანაც - კიპლინგის პროზის ხიბლზე... ხან კი იმ ქალზე, რომლის ხსოვნა ძვალ--რბილში ჰქონდა გამჯდარი. 1890 წელს გამოცემულ ჰეროდოტეს „ისტორიის“ ტომში კი რაღაც-რაღაცები ჩაუწებებია - რუკები,

დღიურის ფურცლები, სხვა წიგნებიდან ამოხეული მთელი გვერდები. არშიებზეც სულ სხვადასხვა ენაზე წაუწერია შენიშვნები. ერთადერთი, რასაც ვერსად წააწყდებით, მისი გვარ-სახელია. ჯერაც ვერავინ მოარგო გასაღები იმ საიდუმლოს, რასაც მისი ჭეშმარიტი ვინაობა ქვია. არა გვარი, არა წოდება, არა ამა თუ იმ სამხედრო შენაერთის კუთვნილება. ამ წიგნში ყველა ჩანაწერი ომამდელია და 30-იანი წლებით თარიღდება - იმ დროით, როცა ეტყობა, ეგვიპტისა და ლიბიის უდაბნოში უწევდა ყოფნა. აქ ერთმანეთს აბნეულად ენაცვლება ცნობები გამოქვაბულის კედლის მხატვრობაზე, ცნობარებიდან ამონაწერები თუ საჟურნალო ამონარიდები და ყველაფერი იმავე, სავარაუდოდ, მისი საკუთარი წვრილი ხელწერითაა ნაწერი.

- ის თუ იცი, ფლორენციაში დახატულ არცერთ ღვთისმშობელს შავი თმა რომ არა აქ? - დაეკითხა ერთხელ მის საწოლზე გადახრილ ჰანას.

ახლა ჩასძინებია, თუმცა წიგნი ჯერაც ხელში უჭირავს. ჰანა ფრთხილად აცლის ხელიდან და იქვე, პატარა მაგიდაზე დებს, საწოლის გვერდით. მერე გული არ უძლებს და რაღაც ჩანართის კითხვას იწყებს, თუმცა საკუთარ თავს პირობას აძლევს, შემდეგ გვერდზე მაინც არ გადავალო.

1936 წლის მაისი.

ახლა ერთ ლექსს წაგიკითხავთ. - მეტად თავისებური, დაყენებული, ისეთივე უმეტყველო ხმით განაცხადა კლიფტონის ცოლმა, როგორიც თავად ქალი მოგეჩვენებოდათ, თუკი ახლოს არ იცნობდით. კოცონს ვუსხედით, სამხრეთ ბანაკში.

უდაბნოში გზააბნეულს,

ბოლოს გმინვად აღმომხდა:

„ღმერთო, ახლა მომხედე და გამიყვანე აქედან“!

ციდან პასუხი მოისმა: „ეს უდაბნო არაა...“

მე კი ჩემსას გავყვიროდი: „მაშ ეს ქვიშა საიდან?!

ან ეს ხვატი საიდან, ცისკიდური ლივლივა...“

ხმა კი ისევ იმეორებს: „ეს უდაბნო არაა“.

ხმა არავის გაუღია.

ისევ ქალმა გვითხრა: „სტივენ კრეინის ლექსია, ოღონდ უდაბნოში კი არასოდეს ყოფილა“.

„ყოფილა, როგორ არა...“ - უთხრა მედოქსმა.

1936 წლის ივლისი.

ომიანობის დროს ღალატი მოსატანიც არაა იმ ღალატთან, რაც ადამიანებს მშვიდობიანობის დროს გვახასიათებს. ძველი საყვარლის ადგილს ახალი იკავებს. ახლებურად დანახული ყველაფერი ირევა, ყირაზე დგება და ეს ყველაფერი ან ბრაზით კეთდება, ან არადა - სინაზით, დათაფლული ენით, თუმცა გულში კი ამ დროს ცეცხლი გიზგიზებს.

სიყვარულის ამბავი იმათზე კი არაა, ვისაც გული უკვდება, არამედ იმათზე, ვინც საკუთარ თავში რაღაც ძალიან ღრმად მიმალულს აღმოაჩენს. ის რაღაც მარად თქვენშია, მაგრამ ვერც კი ხვდებით, ვიდრე უცებ გონება არ გაგინათდებათ და არ გაიაზრებთ - სული შეიძლება მოატყუო, მაგრამ ხორცს კი ვერასდროს აურევ თავგზას: ვერც სიზმარეული სიბრძნით, ვერც დადგენილი წეს-კანონით. ხორცია აწმყოსა და წარსულის სარკე.

მწვანე ოთახში ლამის უკვე ერთიანად ჩამობნელდა. ჰანა თავს აბრუნებს და ხვდება, დაძაბულობისაგან როგორ გაშეშებია კისერი - მაინც აყვა ცდუნებას და რუკებითა თუ ჩანართი ფურცლებით გაბერილ წიგნს ვეღარ მოწყდა, თვალი ვეღარ მოაშორა წვრილად ნაწერ, ძნელად გასარჩევ ასოებს. ერთგან გვიმრის პატარა ფოთოლიც კი ჩაუწებებია. „ისტორია“. წიგნს არ ხურავს. მას მერე რაც მაგიდაზე დადო, საერთოდ აღარც შეხებია. მერე ზურგს აქცევს და გადის.

ერთხელაც ხამსამ ვილიდან ჩრდილოეთით, მინდორში, დიდი ზომის ნაღმს მიაგნო. გზად მიმავალმა, კინაღამ ზედ დააბიჯა

მწვანე სადენს და მაშინვე ისე ისკუპა გვერდზე, წონასწორობა დაკარგა და მუხლებზე დაენარცხა. მერე მობოშებული სადენი ფრთხილად აწია და ხეებშორის აცაბაცად გააბიჯა მისი ბოლოს მისაგნებად.

როცა იმ ადგილს მიადგა, სადაც ნაღმი ჩაეფლათ, მიწაზე დაჯდა და თავისი საველე აბგა გახსნა. ამ ნაღმმა გვარიანად დააფრთხო - ერთიანად ჩაებეტონებინათ: ასაფეთქებელი მოწყობილობა გაემართათ და მერე, შესანიღბად, ზედ ბეტონიც დაესხათ. ამ ადგილიდან სამიოდე მეტრით იქით, შიშველი ხე იდგა, კიდევ ათიოდე მეტრის იქით - კიდევ ერთი. ბოლო ორ თვეში ბეტონმოსხმულ შემაღლებაზე ბალახს უკვე მოესწრო ამოსვლა.

აბგიდან მაკრატელი ამოიღო და ბალახის კრეჭას შეუდგა. მერე ნაღმს პატარა ბადე შემოაწნა, თოკის ბოლო ხის ტოტზე გადაკიდა და ასე, ჯალამბარივით გააკეთა რაღაც. ბეტონგადასხმული ნაღმი ძველი ადგილიდან დაიძრა და ორი, მიწაში გაშვებული სადენი გამოაჩინა. სიქჰი ახლა ზურგით ხეს მიყუდებოდა და ამ სადენებს შესცქეროდა. აჩქარება არ ივარგებდა. აბგიდან ყურსაცვამებიანი ტრანზისტორი ამოიღო და მალე უკვე რომელიღაც რადიოტალღაზე ამერიკულ სიმღერებს უსმენდა. თითოეულ სიმღერასა თუ საცეკვაო მელოდიას, საშუალოდ, ორი ან ორნახევარი წუთი ეთმობოდა და ახლა შეეძლო გამოეთვალა, რამდენი ხანი იჯდა აქ, თუკი უკვე მოსმენილის დროს დააჯამებდა.

მუსიკა ხელს არ უშლიდა. პირიქით - ეხმარებოდა ყურადღება მოეკრიბა და ნაღმის კონსტრუქცია გაეაზრებინა. ამგვარ ეშმაკის მანქანებს წიკწიკის ან ტკაცუნის ხმა არ ექნებოდა, წინდაწინ არავინ გაგაფრთხილებდა აფეთქების თაობაზე და ამიტომ, არც სმენის ზედმეტ დაძაბვას ჰქონდა აზრი.

ახლა ჰაერში, თოკის ბადეში გამოკიდებული ბეტონის ბურთი საშუალებას არ მისცემდა სადენებს, იოლად ამოვარდნილიყვნენ, რაგინდა მაგრად არ უნდა გექაჩა. ხამსა, როგორც იქნა, წა-

მოიმართა და შენიღბული ნაღმის ფრთხილად გასუფთავებას შეუდგა. სულის შებერვით აცლიდა მტვერს და ჯაყვის პირით აფხეკდა ბეტონის ქერქს. მხოლოდ მაშინ ანება თავი ამ საქმეს, როცა ყურსაცვამებში მუსიკის ხმა შეწყდა - ეტყობა, ტალღა დაიკარგა და ახალი რადიოსადგურის მოძებნა დასჭირდა. ძალიან ნელა გამოაცალკევა აბურდული სადენები - სულ ექვსი იყო, ერთმანეთში გადახლართული, ყველა - შავი ფერის. ახლა მტვერი იმ თავსახურიდანაც გადაწმინდა, რომელსაც ისინი უერთდებოდა.

ექვსი შავი სადენი. პატარაობისას, მამამისი თავის ხელის მტევანს მუჭში ისე მოიქცევდა, მარტო თითის წვერებიღა გამოჩენოდა და აიძულებდა გამოეცნო, მათგან რომელი იყო შუათითი. ბიჭიც თავის პაწია თითს მამის იმ თითს დაადებდა ხოლმე, რომელიც ყველაზე გრძელი ეგონა, გამხიარულებული მამა კი მუჭს გახსნიდა და გაიძახოდა - აი, ისევ შეგეშალაო. წესით, წითელი ფერის სადენი უნდა ყოფილიყო უარყოფითი მუხტის მქონე, მაგრამ მის იმ ვიღაც უცნაურ მოწინააღმდეგეს არამარტო ნაღმი დაეფარა ბეტონით, ყველა სადენიც შავად გადაეღება. ამიტომაც ხამსა მტრის ფსიქოლოგიაზე ფიქრს შეუდგა, თან დანის პირით ნელ-ნელა აფხეკდა საღებავს სადენებს და თანდათან აჩენდა წითელს, ლურჯსა და მწვანეს. ისე, ხომ შეიძლებოდა, იმ ვიღაც უჩინარს სულ სხვანაირადაც გადაეწყო და ისე შეეერთებინა ეს სადენები? მოკლედ, საქმე არც ისე იოლი ჩანდა.

ჰანა დერეფანს მიუყვებოდა. ხელში დიდი ზომის სარკე ეჭირა. დროდადრო შეჩერდებოდა ხოლმე, რადგან ტვირთი საკმაოდ მძიმე იყო. მერე ისევ აგრძელებდა გზას, სარკეში კი დერეფნის ჩამუქებული კედლები ირეკლებოდა.

ინგლისელს საკუთარი თავის დანახვა მოსდომებია: ვიდრე ოთახში შევიდოდეს, ჰანა სარკეს პირით თავისკენ აბრუნებს, რათა ფანჯრიდან შემოსული შუქი შიგ არ აირეკლოს და პაციენტს თვალში არ მოხვდეს.

ის კი წევს, ერთიანად დანახშირებულ-გაშავებული. ერთადერთ ბაც ლაქად მოსასმენი აპარატი მოუჩანს ყურთან, ბალიში კი ლამის სულაც ქათქათა სითეთრეს აფრქვევს. ჰანა ეხმარება, თხელი საბანი ქვემოთ, საწოლის ფერხთით ჩააცუროს. მერე სკამზე დგება და სარკეს ნელ-ნელა ხრის თავისი პაციენტისაკენ. სწორედ ასე დგას, გაწვდილი ხელებით სარკეს ჩაფრენილი, როცა ბაღის სიღრმიდან ყვირილის ხმა ესმის.

თავიდან არავითარ ყურადღებას არ აქცევს - აქ უკვე მიეჩვივნენ დაბლობიდან ამომავალ ათასნაირ ხმაურსა და ხმიანობას. გამნაღმველთა გადაძახილი ამშვიდებდა კიდეც ადრე, როცა ამ ვილაზე ჯერ მხოლოდ ეს ორნი ცხოვრობდნენ.

- სარკეს ნუ აქანავებ, - სთხოვა კაცმა.

- მგონი, გარეთ ვიღაც ყვირის... არაფერი გაგიგიათ?

მარცხენა ხელით კაცი მოსასმენ აპარატს ისწორებს.

- ჩვენი ბიჭია. გადი ერთი, ნახე რა ხდება.

ჰანამ სარკე კედელზე ააყუდა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან. უკვე ეზოში, ცოტა ხანს შეიცადა, თუმცა როცა ყვირილის ხმა ისევ გაისმა, სირბილით გაუყვა ბაღს სახლსიქით, მინდვრისაკენ.

ხელებაწეული იდგა, თითქოს უზარმაზარი აბლაბუდა უკავიაო და თან გამეტებით აქნევდა თავს აქეთ-იქით, ყურსაცვამების მოსაშორებლად. როცა მისკენ გაექანა, ჯარისკაცმა შორიდანვე დაუძახა - მარცხნიდან მოუარეო. ირგვლივ ყველგან ნაღმების სადენები მოჩანდა. ჰანა ადგილზე გაქვავდა. აქ არაერთხელ ეხეტიალა და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თურმე რამხელა საფრთხე ემუქრებოდა. კაბის კალთააწეული, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ჯიუტად ჩასცქეროდა მიწას და ასე, ფრთხილად, გაუბედავად მიიწევდა წინ, მაღალ ბალახში.

როცა გასწორდა, ჯარისკაცი ისევ ისე, ხელებაწეული იდგა. ხაფანგში გაეყო თავი. ორივე ხელში თითო „ცოცხალი“ სადენი ეკა-

ვა და ისე ვერ მოიშორებდა, თავი ხიფათში არ ჩაეგდო. ახლა უთუოდ სჭირდებოდა ვინმე დამხმარე, რათა იმას ერთ-ერთი მაინც გამოერთმია და ხამსაც ისევ მიბრუნებოდა ქობინს. დიდი სიფრთხილით გადასცა ჰანას სადენები, უკვე მთლად დაბუჟებული ხელები ჩამოუშვა და ერთი-ორჯერ, მოწყვეტით დაიქნია ჰაერში.

- ახლავე გამოგართმევ.

- არა უშავს, მეჭირება...

- იცოდე, არ გაინძრე.

აბგიდან ახლა გეიგერის მრიცხველი და მაგნიტი დააძრო, მერე მრიცხველის დისკო ზემოთ ააყოლა იმ სადენს, ჰანას რომ ჩაებღუჯა. ისარი არ გატოკებულა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მუხტი იქ არ უნდა ყოფილიყო. ესე იგი, არ არსებობდა რაღაც საიდუმლო გასაღები. არაფერიც არ არსებობდა. საგონებელში ჩავარდნილმა, ნაბიჯი უკან გადადგა.

- მოდი, ხეზე გავაბამ და შენც დროზე წადი აქედან.

- არა, ხემდე არ მიწვდება. დავიჭერ.

- აჯობებს, წახვიდე.

- დავრჩები-მეთქი!

- იცოდე, ჩიხში ვართ. ვიღაცა ძაან უშნოდ გაგვეხუმრა. მართლა არ ვიცი, რა უნდა ვქნა. აზრზე არა ვარ.

მერე ჰანა იქვე დატოვა, თვითონ კი იმ ადგილისკენ გაიქცა, სადაც სულ პირველად მიაგნო სადენს. ისევ აიღო მიწიდან და მთელ სიგრძეზე გაუყვა, ოღონდ ამჯერად, უკვე გეიგერის მრიცხველით ხელში. მერე ჰანამდე არმისული, ათიოდე ნაბიჯის მოშორებით ჩამოჯდა და ერთხელაც ჩაფიქრდა. დროდადრო თავს სწევდა და სადღაც შორს, ჰანას იქით გასცქეროდა რაღაცას, თუმცა დანახვით მხოლოდ იმ ორ სადენს ხედავდა, გოგოს რომ ეჭირა ხელში.

- აზრზე არა ვარ... - გაიმეორა. - მე მგონი, ის სადენი უნდა გადავჭრა, მარცხენაში რომ გიკავია, ოღონდ ჯერ შენ უნდა წახვიდე.

ისევ მოირგო ყურსაცვამები, უნდოდა ისევ გაეგონა ხმა, რომელიც გონებას დაუწმენდდა და გაუნათებდა. ფიქრში ხელახლა გადაამოწმა ყველა სადენის, განშტოების, ხვეულისა და კვანძის შეერთებების სქემა. წარმოიდგინა ყველა შესაძლო მახე, შენიღბული გადამრთველები, რომლებიც სადენების დადებით მუხტებს უარყოფითად ცვლიდა. ლითონის კოლოფი. უცებ, რატომღაც ის ძაღლი გაახსენდა, ვეება, თეფშებისოდენა თვალები რომ ჰქონდა. მისი ფიქრი მუსიკას უსწრებდა წინ, წარმოსახული ნახაზის თანამიმდევრულად და, მთელი ამ ხნის მანძილზე, წამით არ აშორებდა თვალს გოგოს მჯიღებში მოქცეულ ორ სადენს.

- ჯობია, წახვიდე.

- აკი მითხარი, სადენი რო გადავჭრა, დამხმარე მჭირდებაო!

- ხეზე მივაბამ.

- დავრჩები და დავიჭერ.

მარცხენა ხელიდან ისე გამოაცალა სადენი, თითქოს გველგესლა გამოართვაო, მერე მეორე სადენსაც დაეპატრონა. გოგო მაინც არ იცვლიდა ფეხს. აღარც მას უთქვამს არაფერი - ახლა მთლიანად უნდა მოეკრიბა გულისყური, სწორედ იმნაირად, როგორც მხოლოდ სრულ სიმარტოვეში ახერხებდა ხოლმე. ჰანა მიუახლოვდა და ერთი სადენი ისევ დაიბრუნა, თუმცა ჯარისკაცს ეს არცკი შეუმჩნევია, ისე იყო ჩაფლული თავის საფიქრალში. გონებაში ნელა, ერთხელ კიდევ ძირფესვიანად აღიდგინა ამ სასიკვდილო იარაღის მთელი მოწყობილობა და წარმოიდგინა, თითქოს ეს ნაღმი თავადვე მოემართა, წარმოსახვით შეეხო ყველა საკვანძო წერტილს, ვითომ რაღაც თავსატეხი სქემის რენტგენოგრამას ათვალიერებსო და ეს ყველაფერი - ყურსაცვამებში გაუჩერებლად მჟღერი მუსიკის ფონზე.

მერე ისევ გოგოს მიუახლოვდა და იმის მარცხენა მჯიღში მომწყვდეული სადენი გადაჭრა. სადენიც ისეთი ხმით დაეცა მიწაზე, თითქოს კბილებით გადაკვნიტეს რაღაცო. ხამსამ გოგოს ნაზ კისერთან კაბის საყელოს ანაბეჭდი დალანდა. ნაღმი უკვე მკვდარი იყო. ჯარისკაცმაც ბრტყელტუჩა მიწაზე დააგდო და ჰანას მხარზე ჩამოადო ხელი, რადგან ახლა აუცილებლად უნდა ეგრძნო რამე ცოცხალი... გოგო რაღაცას ეუბნებოდა (ხედავდა, როგორ აცმაცუნებდა ტუჩებს), მაგრამ არაფერი ესმოდა. მაშინ გოგომ ხელები წინ გაიწვდინა და ყურსაცვამები მოხსნა. ხმაურით შემოიჭრა სიჩუმე. გრილი ნიავი, ფოთლების შარიშური. მიხვდა, გადაჭრილი სადენის ხმა კი არ გავიგონე, მხოლოდ ვიგრძენი, როგორც ბაჭიის სუსტი ძვლის ტკაცუნი კბილებშიო. ხელისგული ნელა ჩამოაყოლა გოგოს მკლავს და მის მუჭში ჯერაც ჩარჩენილი სადენის ნაგლეჯი ამოაცალა.

გოგო დამცინავად შესცქეროდა. თავისი ნათქვამის პასუხს ელოდა, თუმცა მას ხომ ეს სიტყვები არც გაუგია... მერე ჰანამ თავი გადააქნია და იქვე ჩამოჯდა. ჯარისკაციც მიწაზე მიმობნეული ხელსაწყოების მოგროვებასა და ისევ აბგაში ჩალაგებას შეუდგა. ჰანამ ხეს გახედა. როცა შემთხვევით, მის ხელებსაც ჰკიდა თვალი, დაინახა, როგორ ბნედიანივით უთრთოდა და უცახცახებდა. მერე კი, როცა მისი გახშირებული, დაძაბული ქოშინიც გაიგონა, მიხვდა, რა განსაცდელი გამოევლო ამ ბიჭს.

- გესმოდა, რას გეუბნებოდი?

- არა. მითხარი რამე?

- მეგონა, მოვკვდებოდი. მინდოდა კიდეც, მოვმკვდარიყავი. გავიფიქრე - თუ სიკვდილი მიწერია, იქნებ ამასთან ერთად მოვკვდე-მეთქი... ან ვინმე შენნაირთან. დიდი ხნის არც მე ვარ, მაგრამ ამ ბოლო ერთ წელიწადში იმდენი სიკვდილი ვნახე, შიშიც კი გამიქრა სიკვდილის. თუმცა დღეს სიმამაცეს ვერ დავიჩემებ. თავში გამიელვა, ეს ვილა ჩვენ განკარგულებაშია, ეს ბალა-

ხიც... კარგი იქნებოდა, სიკვდილის წინ ზედ წამოვწოლილიყავით და ერთმანეთს ჩავხუტებოდით. მინდოდა, შენს ლავიწის ძვალს შევხებოდი ხელით... გარუჯული კანი ყოველთვის მიზიდავდა, ფერით მდინარის მღვრიე წყალს, კლდეებს, ანდა სულაც სიუზენის თვალებს მაგონებს - იცი ეს რა ყვავილია? გინახავს ოდესმე? ძაან დავიღალე, მეძინება. ამ ხის ქვეშ მინდა დავიძინო. მხარზე თავი ჩამოგადო, შენს ლავიწს მივეყრდნო, თვალები დავხუჭო და არაფერზე არ ვიფიქრო. არც არავისზე. ხეზე მინდა ავძვრე, იქ მოვიკალათო და გემრიელად გამოვიძინო. ისე, რა ჭკვიანი ხარ! როგორ მიხვდი, რომელი უნდა გადაგეჭრა? აკი გაიძახოდი - აზრზე არა ვარ, აზრზე არა ვარო... არადა, არ შეგშლია. ეგრე არაა? ნუ ცქმუტავ, შენ ჩემი საწოლი უნდა გახდე, მოდი ვითომ ჩემი საყვარელი ბაბუა ხარ, ჩაგეხუტები და გავყუჩდები... მიყვარს ეს სიტყვა, მაწყნარებს. თითქოს აღარსად მეჩქარება.

გოგოს ტუჩები მისი პერანგისთვის მიედო, ის კი თითქმის სრულიად უძრავად იწვა ხის ქვეშ და ტოტს ასცქეროდა. ესმოდა ქალის ღრმა სუნთქვა. როცა მხრებზე ხელი შემოხვია, იმას თითქმის უკვე ეძინა, მაგრამ მაინც ჩააფრინდა თითზე. რომ დახედა, მუჭში ისევ დაუნახა სადენის ნაგლეჯი - ეტყობა, ერთხელ გადაგდებული, მაინც აეღო მიწიდან.

ცხელი სუნთქვა ჰქონდა, სხეული კი - ბუმბულივით მსუბუქი. ნეტავ კიდე რამდენ ხანს მოახერხებდა ასე წოლას - სრულიად გაუნძრევლად? საქმისათვისაც ხომ უნდა მიეხედა, მაგრამ მაინც უნდა მოეთმინა და ახლაც ისე გაქვავებულიყო, როგორც მაშინ, იმ ქანდაკების ფერხთით მძინარე, იმ უკვე გარდასულ დროს, როცა მოკავშირეები სანაპიროს ზოლზე მოიწევდნენ და ბრძოლით იღებდნენ ყველა ქალაქ-სიმაგრეს, ჯარისკაცების თვალში წყლის წვეთებივით რომ დამსგავსებოდა ერთიმეორეს. ყველგან ერთნაირი ვიწრო ქუჩები ხვდებოდათ, სისხლის მდინარეების კალა-

პოტებად გადაქცეული და ისიც ფიქრობდა ხოლმე - შემთხვევით, ფეხი თუ დამიცდა და დავეცი, ეს მეწამული ნიაღვარი გამიტაცებს, ჯერ სადმე კლდეს მიმახლის, ბოლოს კი დაბლობში ჩამრეცხავსო.

ყოველ საღამოს ცივად მდუმარე, ომგამოვლილ ეკლესიაში შედიოდა და რომელიმე ქანდაკებას ამოირჩევდა ხოლმე, იმ ღამით მის მფარველ ანგელოზად რომ უნდა ქცეულიყო. ახლა მხოლოდ ამ ქვის რწმენაღა შერჩენოდა. სიბნელეში რაც შეიძლება მეტად უახლოვდებოდა მწუხარე ანგელოზების იმ ქანდაკებებს, რომელთაც ქალური ნაკვთების უზადო ფორმები შეეძინათ და, ერთი შეხედვით, სრულიად უწონო ჩანდნენ. ერთ-ერთ ასეთ ქმნილებას კალთაში თავს ჩაუდებდა ხოლმე და ყველა დარდისა და საწუხრის დამვიწყებელი, მაშინვე იძინებდა.

უცებ, გოგო შეირხა და უფრო მაგრად მიეკრო. სუნთქვაც უფრო ღრმა გაუხდა, ჩელოს ბგერასავით. მძინარეს სახეს აკვირდებოდა - ჯერ კიდევ არ გაქრობოდა გაღიზიანება იმის გამო, წეღან ცოცხალი თავით რომ არ ინდომა წასვლა. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს უკვე ასაკში იყო და ამის გამო მის წინაშე გარკვეულ პასუხისმგებლობასაც გრძნობდა. არადა, ყველაფერი ხომ მორჩა და მოთავდა! მეორე მხრივ, ეგებ სწორედაც რომ გოგოს დარჩენის წყალობით მოახერხა ნაღმის გაუვნებელყოფა?

საკუთარ თავს თითქოს გვერდიდან შესცქეროდა: როგორც შარშან ნანახ ერთ-ერთ ნახატს. აი, უდარდელი წყვილი ლაღად წამოკოტრიალებულა მინდორში, ხის ქვეშ. რამდენჯერ უნახავს ასეთი ადამიანები, ზანტად რომ თვლემდნენ და არც საქმე ახსოვდათ, არც ხიფათი, ამ ჩვენს სამყაროში ყოველ ნაბიჯზე რომ გელოდება კაცს. ჰანამ ოდნავ შესამჩნევად აამოძრავა ტუჩები, წარბებიც ისე აწკიპა, თითქოს ძილში ვიღაცას ეკამათებაო. თვალი აარიდა. ჯერ ხეს ახედა, მერე კი ღრუბლის თეთრი ქულებით მოფენილ ცას. გოგოს ხელი ისე უჭერდა ხელზე, როგორც ერთ

დროს მდინარე მოროს ნაპირზე მიმხმარი თიხა, თვითონაც რომ მთელი ძალით ებღაუჭებოდა - ისევ უკან, მდინარეში არ ჩავცურდეო.

ნახატიდან გადმოსული გმირი რომ ყოფილიყო, საფუძველიც ექნებოდა პატიოსანი ძილისთვის დრო მოეთხოვა. მიხვდა, ჰანას ნათქვამი მისი გარუჯული კანის შესახებ მაინც მოხვედროდა გულზე - კიდევ ერთი ნაღმის გაუვნებელყოფა ბუნდოვანის ამოცნობის გზაზე კიდევ ერთ ახალ ნაბიჯს ნიშნავდა. ასეთ შემთხვევებში ბრძენი, თეთრკანიანი სპეციალისტები ერთმანეთს ხელს ართმევდნენ, შედეგებს აღიარებდნენ და კოჭლობ-კოჭლობით უბრუნდებოდნენ თავ-თავიანთ განმარტოებულ ყოფას. ის კი რჩებოდა, რადგან პროფესიონალი გახლდათ. დაფნის გვირგვინებს სხვები იდგამდნენ - აბა მას, უცხოელს, სიქჰს, ასეთ პატივს ვინ მიაგებდა? და არც არაფერში სჭირდებოდა. როგორც ზოგადად ადამიანური, ისე პირადი ურთიერთობისთვის, ერთადერთი სამიზნე უნდა ჰქონოდა - მტერი, რომელმაც ჯერ გამოიგონა, მერე დაამზადა, მერე სადღაც ჩამალა ნაღმი და თავად კი უკვალოდ მიიმალა.

არა, მაინც რატომ ვერ იძინებდა? რატომ არ შეეძლო ამ გოგოსკენ გადაბრუნებულიყო და ცოტა ხანს მაინც აღარ ეფიქრა ერთიანად ცეცხლში გახვეულ სამყაროზე? მის წარმოსახვაში არსებულ ნახატზე მინდორს ცეცხლის ალი უნდა წაკიდებოდა. ერთხელ, 44-ში, დურბინდით ადევნებდა თვალს ვიღაც თავის კოლეგას, რომელიც დანაღმულ სახლში შედიოდა. თვალნათლივ დაინახა, როგორ გადააგდო იმან მაგიდის კიდეზე ჩამოდებული ასანთის კოლოფი წკიპურტით, და წამსვე ცეცხლის სვეტად იქცა - მანამდე, ვიდრე აფეთქების ხმას გაიგონებდა. ელვასავით გაკრთა იქაურობა. არადა, ახლა თვითონ ენდობოდა გოგოს ხელზე დახვეული სადენის უვნებელ ნაკუწს, ენდობოდა გოგოს სუნთქვასაც.

ჰანა ლოყაზე შეცოცებულმა მუხლუხომ გამოაღვიძა. თვალი გაახილა თუ არა, მისკენ წახრილი სიქჰი ჯარისკაცი დაინახა. მანაც ფრთხილად, წკიპად მოაშორა სახიდან მუხლუხო და ბალახზე გადასვა. თავის ბარგი-ბარხანა უკვე მოეგროვებინა. ზურგით ხეს მიყუდებული უცქეროდა, როგორ ზანტად, აუჩქარებლად გადაბრუნდა ჰანა ზურგზე, მერე ისე გემრიელად გაიზმორა, თითქოს უნდოდა, ეს წამი რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო. შუადღე ჩამოწვერილიყო, მზეც უკვე მაღლა იდგა. ჰანამ თავი უკან გადააგდო და გამოხედა.

- აკი მაგრად უნდა ჩაგეხუტებინე...

- ეგრეც იყო, სანამ თვითონ არ გამეცალე.

- მაინც, რამდენ ხანს გყავდი ჩახუტებული?

- ვიდრე გაინძრეოდი.

- იმედია, ბოროტად არაფრით გისარგებლია... კარგი, კარგი, გეხუმრები! - დაამატა მაშინვე, როცა დაინახა, როგორ შეეფაკლა ჯარისკაცს სახე. სახლში არ შევიდეთ?

- კარგი იქნებოდა. მომშივდა.

კაშკაშა მზით თვალმოჭრილი და მოთენთილი, ჰანა გაჭირვებით წამოიმართა. წარმოდგენა არ ჰქონდა, რამდენი ხანი გაატარეს იქ. ერთი ეგაა, საოცარ სიმსუბუქეს და უდარდელობას გრძნობდა.

ინგლისელი პაციენტის ოთახში ნამდვილი წვეულება გაიმართა, როცა კარავაჯომ საიდანღაც გრამოფონი მოათრია.

- ახლა ცეკვასაც გასწავლი, ჰანა! იმას არა, შენმა ახალგაზრდა მეგობარმა რომ იცის - ეგეთები ადრეც მინახავს, ოღონდ დიდი ვერაფერი საყურებელია. აი ეს სიმღერა კი - „რა ხანია ასეა“ - მართლა ერთ-ერთი საუკეთესოა. მარტო შესავალი თემა ღირს ერთ რამედ. ეს მხოლოდ დიდ ჯაზმენებს ესმოდათ. შეგვიძლია გრამოფონი აივანზე გავდგათ და მაშინ ჩვენს ძაღლსაც დავპატიჟებდით... ანდა, ჯობია ცოტა ხნით ინგლისელს დავურღვიოთ

მყუდროება და იმის საძინებელში შევიკრიბოთ. შენმა ახალგაზრდა მეგობარმა - წვეთ სასმელს რომ არ ეკარება - მოახერხა სან-დომენიკოში გუშინ რამდენიმე ბოთლი ღვინოც ეშოვა... მარტო მუსიკა გვაკლდა და, აი, აღარც უმაგისობაა. მომე ხელი! არა, ჯერ ცარცით ხაზი გავავლოთ იატაკზე - ცოტა წავივარჯიშოთ... სამი ნაბიჯი წინ - ერთი-ორი-სამი! ეხლა ხელი მომე... დაიცა, რა გჭირს დღეს?

- იცი რამხელა და რა საშიში ნაღმი გათიშა? თვითონ უკეთესად მოგიყვება.

ხამსამ მხრები აიჩეჩა, თუმცა თავმდაბლობა კი არ გამოხატა ასე, ახსნა გამიჭირდებაო, უნდოდა ეთქვა. მერე უცებ ჩამობნელდა და ბინდმა ჯერ ველი მოიცვა, მერე კი მთებიც და მალე ნავთის სანათების დანთებაც დასჭირდათ.

ფეხარეულები მიუყვებოდნენ დერეფანს - ინგლისელი პაციენტის საძინებელი ოთახისაკენ. კარავაჯოს ცალი ხელით გრამოფონი მიჰქონდა, მეორეთი კი - სახელური და დასაკრავი ნემსების კოლოფი.

- ახლა, სანამ თქვენი ამბებით გაგვაბრუებდეთ, - მიმართა საწოლზე უძრავად გართხმულ ინგლისელს, - ჯერ „ჩემს სიყვარულს“ მოგასმენინებთ.

- თუ არ ვცდები, ბ-ნ ლორენს ჰარტის დაწერილი უნდა იყოს 1935 წელს, - ჩაიბურტყუნა ინგლისელმა.

ხამსა ფანჯრის შორიახლო მოკალათებულიყო და ჰანამ კარავაჯოს უთხრა, ამასთან მინდა ვიცეკვოო.

- ჯერ უნდა გამეცადინო, ჩემო პატარა ჭიაყელა...

გაკვირვებულმა გახედა - ასე მამამისი უძახდა ხოლმე. დეივიდმა ხელი მოხვია, საკმაოდ უგერგილოდ და ისევ გაუმეორა - ჩემო პატარა ჭიაყელაო.

ჰანას სუფთა, თუმცა გაუუთოებელი კაბა ჩაეცვა. ყოველ ჯერზე, როცა ცეკვა-ცეკვით დაბზრიალდებოდნენ ხოლმე, სიქჰ ჯა-

რისკაცს გახედავდა - ის კი ძველებურად იჯდა და სიმღერას ჩუმ-ჩუმად აყოლებდა ხმას. დენი რომ ჰქონოდათ, რადიოსაც ჩარ-თავდნენ და ომის უკანასკნელ ახალ ამბებსაც მოისმენდნენ, ახ-ლა კი გარესამყაროსთან მხოლოდ ხამსას მოკლეტალღიანი გა-დამცემი აკავშირებდათ, ის კი ამ ჯერზე, რატომღაც, კარავში დაეტოვებინა. ინგლისელმა პაციენტმა ლორენს ჰარტის ბედუ-კუღმართი ცხოვრება გაიხსენა: ასე თქვა - მიუზიკლ „მანჰეტენის-თვის“ დაწერილი ზოგიერთი ლექსი შეაცვლევინესო და მერე ერ-თი ასეთიც წაუკითხა დანარჩენებს:

ბრაიტონთან, მდინარეში
დავცურავდით, ვდგაფუნობდით -
საწყალ თევზებს თვალი დარჩათ
მაგ შენს კოხტა ტაკუნებზე...

- მშვენიერია, რას ერჩი... თან - ერთგვარად ეროტიკულიც. თუმცა, როგორც ამბობენ, რიჩარდ როჯერსს მეტი სიდარბაისლე მოუთხოვია და...

- მთავარია, ჩემი მოძრაობები შეიგრძნო. - და შენ რატო ვერ გრძნობ ჩემსას?

- ვიგრძნობ, როცა მიხვდები, თუ რა უნდა აკეთო... ჯერჯერო-ბით, ორივეს მაგივრად მარტო მე ვცეკვავ.

- დაგენიძლავები, ეგეთი ცეკვა ხამსასაც ეცოდინება.

- შეიძლება, მაგრამ არ აგყვება.

- ცოტა ღვინოს კი დალევდა კაცი. - თქვა ინგლისელმა პაციენ-ტმა.

სიქჰი ჯარისკაცი წყლიან ჭიქას დასწვდა, წყალი ფანჯრიდან გადაასხა და ინგლისელს ღვინით გაუვსო.

- წელს ეს ჩემი პირველი ყლუპია.

გარედან რაღაც დაგუდული ბათქის ხმა მოისმა. ჯარისკაცი საჩქაროდ ისევ ფანჯარას ეცა და სიბნელეს გახედა. ყველა

გაირინდა. ეს შეიძლება ნაღმიც აფეთქებულიყო სადმე, თუმცა სიქჰი მშვიდად მიუბრუნდა დანარჩენებს და უთხრა:

- არაფერია, ნაღმი არ ყოფილა. ხმა სადღაც იქით, უკვე განაღმული ადგილიდან იყო.

- ფირფიტა გადააბრუნე, თუ არ დაიზარებ, - სთხოვა კარავაჯომ, - ახალი სიმღერა მინდა შემოგთავაზოთ: „რა ხანია ასეა“. დაწერილია...

შეგნებულად არ დააბოლოვა სათქმელი, ინგლისელ პაციენტს აცალა ისევ გამოეჩინა უკიდეგანო განსწავლულობა, მაგრამ იმან უხერხულად გაიღიმა და პირში ღვინოჩაგუბებულმა, უხმოდ გადააქნია თავი.

- სასმელი, ალბათ, ბოლოს მომიღებს... - თქვა ინგლისელმა, როცა ღვინო ჩაყლაპა.

- აწი რაღა მოგერევათ, ჩემო კარგო! უკვე სუფთა ნახშირად ხართ ქცეული.

- კარავაჯო!

- სმენა იყოს და გაგონება! თქვენს წინაშეა ჯორჯ და აირა გერშვინები!

ის და ჰანა საქსოფონის სევდიან ხმიანობაზე აცეკვდნენ. დეივიდი მართალს ამბობდა - შესავალი თემა მართლაც ნელი იყო, გაწელილი, შემსრულებელს აშკარად ეტყობოდა, როგორ არ უნდოდა პრელუდიის სიმყუდროვიდან გამოსვლა და თავად მთავარ თემაზე გადასვლა; სურდა, რაც შეიძლებოდა დიდხანს დარჩენილიყო იქ, სადაც თხრობა ჯერაც არ დაწყებულიყო, თითქოს იქაურობის ხიბლს ისე მოენუსხა, ცოცხალი თავით არ აპირებდა ამის დათმობას. ინგლისელმა რაღაც ჩაიბურტყუნა იმის თაობაზე, რა სახელით იხსენიებოდა სიმღერების ამგვარი შესავალი.

ჰანას კარავაჯოს დაკუნთულ მხარზე ედო ლოყა. ზურგზე მის ნაიარევ ხელებს გრძნობდა, სუფთა კაბაზე რომ ეთათუნებოდნენ.

მოცეკვავეები საწოლსა და კედელს, საწოლსა და კარს, საწოლსა და ფანჯრის იმ ნიშას შორის მოძრაობდნენ, სადაც ხამსა იჯდა. დროდადრო, მის სახესაც მოკრავდნენ ხოლმე თვალს: ხან მუხლებზე ხელებშემოჭდობილი, გაუნძრევლად მისჩერებოდა, ხან კი ისევ ფანჯარას მიადგებოდა და სიბნელეს გასცქეროდა.

- თქვენ შორის ვინმეს თუ გაუგონია ეგეთი ცეკვა - „ბოსფორის მკლავებში“? - იკითხა უცებ ინგლისელმა.

- არა-ა...

სიქჰი ახლა ფანჯრის რაფაზე იჯდა და ჭერზე მოთამაშე ჩრდილებს აკვირდებოდა. მერე ჩამოხტა, ინგლისელთან მივიდა, დაცლილი ჭიქა შეუვსო და ბოთლის ყელიც დაუკაკუნა ზედ - სადღეგრძელოს ამბავში. ოთახში დასავლეთიდან მონაბერი ქარი შემოიჭრა და ჯარისკაციც უცებ, გაბრაზებული შემოტრიალდა. კორდიტის სუსტი სუნი ეცა, ძლივს გასარჩევი ამ ღამის ჰაერში. ოთახიდან გავიდა, აქაოდა დავიღალეო. ჰანა კი კარავაჯოს მკლავებში მომწყვდეული დატოვა.

ბნელ დერეფანში მირბოდა. სახელდახელოდ წამოკრიფა ხელსაწყოები, აბგაში ჩატენა, სახლიდან გამოვარდა, ფართხა-ფურთხით ჩაათავა ოცდათექვსმეტსაფეხურიანი კიბე და გზაზე გავიდა. ცდილობდა, დაღლილობაზე არ ეფიქრა.

ნეტა ვინ აფეთქდა ნაღმზე? მისივე ქვეგანაყოფიდან ვინმე თუ უბრალო გამვლელი? ჰაერი ყვავილებისა და ბალახის სუნით იყო გაჯერებული. უბედური შემთხვევა მოხდა თუ შეცდომა დაუშვა ვინმემ? გამნაღმველებს მუდამ განმარტოება და თავისთვის ყოფნა ერჩიათ. ყველანი ცოტა უცნაურ ხალხად მიიჩნევდნენ და როგორც, ვთქვათ, ოქრომჭედლებს, მათაც ერთგვარი სიმკაცრე და ნათელი გონება გამოარჩევდათ. მათი გადაწყვეტილებები იმათაც კი აფრთხობდა, ვინც იმავე საქმეს მისდევდა. თავისიანებში ამ თვისებას ხამსაც ამჩნევდა და აღიარებდა, თუმცა საკუთარ თავზე იმავეს არასოდეს იტყოდა - იმის მიუხედავადაც კი,

მშვენივრად რომ აცნობიერებდა - სხვები სწორედ ასეთად მხედავენო. ახლო მეგობრობა მესანგრეთა თვისებად ვერ ჩაითვლებოდა: თუკი საერთოდ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, ისიც მხოლოდ ახლებურ მოწყობილობებზე და მტრის ახალ-ახალ ეშმაკობებზე. აი ახლაც, მივა ქალაქის მერიაში, სადაც სხვები დააბინავეს და იმ სამ ნაცნობ სახეს რომ დაინახავს, მიხვდება - რომელი მეოთხე გამოაკლდათ; ანდა - ოთხივე იქ დაუხვდება და სადღაც მინდორში, ვინმე ბერიკაცის ან გოგონას დასახიჩრებულ სხეულს იპოვნიან.

ჯარში რომ წაიყვანეს, ათასნაირი სქემებისა და დიაგრამების დაზეპირებას აიძულებდნენ, რომლებიც სულ უფრო და უფრო რთულდებოდა - როგორც სიმფონიური მუსიკის პარტიტურა. უცებ აღმოაჩინა, რომ თუკი საგანსა თუ ნაწერ ფურცელს დაჟინებით დააჩერდებოდა, სამ განზომილებაში შეეძლო მისი აღქმა და ნებისმიერ ხაფანგს წამსვე გამოარჩევდა ხოლმე. ბუნებით უფრო ჩვეულების კაცი ეთქმოდა, თუმცა თან შეეძლო, ყველაზე უარესიც წარმოედგინა და განეჭვრიტა - ვთქვათ, უბედური შემთხვევის ალბათობა ამა თუ იმ ოთახში, სადაც მაგიდაზე ქლიავი დევს, ბავშვი კი უნებურად პირში იდებს და იწამლება; ანდა საძინებელში უკვე ცოლთან ჩასახუტებლად შესული კაცი ბნელში როგორ აწყდება ნავთქურას და აპირქვავებს... ეგეთი „ოთახები“ მუდამ რაღაც საფრთხეს შეიცავდა ხოლმე. მახვილი მზერა ზედაპირქვეშ მიმალულსაც კი ამჩნევდა, წარმოსახვა კარნახობდა, როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო გაკვანძული თვალისათვის უჩინარი მავთული. ერთბაშად აიცრუა გული დეტექტივების კითხვაზე, რადგან სულ იოლად გამოიცნობდა ხოლმე დამნაშავეს. უფრო ისეთი კაცებისა ესმოდა, ყველასაგან რომ განსხვავდებოდნენ და გამოირჩეოდნენ - მაგალითად, თავისივე მასწავლებლის, ლორდი საფოლკისა, ან - ამ ინგლისელი პაციენტის.

არც წიგნებს სწყალობდა. ერთხელ ჰანამ ინგლისელის სასთუმალთან ჩამომჯდარი დაინახა და გაიფიქრა კიდეც - ნაღდად კიპლინგისეული კიმი გაცოცხლებულაო. ოღონდ ამ შემთხვევაში, შეგირდი ინდოელი იყო, მოხუცი ბრძენი მოძღვარი კი - ინგლისელი. არადა, ღამღამობით, სწორედ ჰანა რჩებოდა ხოლმე მოხუცი მოძღვრის გვერდით, რომელიც მას აღმა-დაღმა დაატარებდა წმინდა მდინარის ძებნაში... ეს წიგნიც ერთად წაიკითხეს, პაციენტმა და ჰანამ. გოგო მაშინვე ჩუმდებოდა ხოლმე, როგორც კი ქარი დაუბერავდა, სანთლის ალს აათამაშებდა და ისიც, წამით, დაბეჭდილ სიტყვებს ვეღარ არჩევდა.

მაინც ვინაა ეს კიმი? - ფიქრობდა ხმაურიანი მოსაცდელი დარბაზის კუთხეში ჩაცუცქული და სხვა არც არაფერი უტრიალებდა გონებაში. ხელები მუხლებზე დაეწყო, თვალის გუგები კი ქინძისთავისოდენა გახდომოდა. უცებ მიხვდა - საცაა რაღაც დიდი თავსატეხის პასუხს მივაგნებო, მაგრამ როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ამ სიმაღლეზე აჭრილი მისი გონება წამსვე ფრთამოტეხილი ჩიტივით დაქანდა დაბლა...

ჰანას ეჩვენებოდა, რომ სწორედ ასეთ დროს, როცა ღამღამობით წიგნს უკითხავდა, ინგლისელი კი ყურს უგდებდა, მათ ერთად მოახერხეს ამ ახალგაზრდა ჯარისკაცის, ამ შავტუხა ბიჭის გამოჩენისთვის მომზადებულიყვნენ, ისიც გამოჩნდა და მათიანი გახდა. აი, კიპლინგის რომანის ბიჭი კი თვითონ ჰანა უფრო იყო და თუკი ამ ამბავში ხამსას საერთოდ ესაქმებოდა რამე, ის ალბათ უფრო პოლკოვნიკი კრეიტონი უნდა ყოფილიყო.

წიგნი, კვანძების რუკა, ამფეთქებლის თავსახური, ოთხი კაცი ამ მიტოვებულ ვილაზე, ეული სანთლით განათებულ ოთახში, სადაც დროდადრო გამკრთალი ელვის შუქიც იჭრება და უფრო იშვიათად - აფეთქებების გამონათებაც. მთები, გორაკები და უდენობით თვალდავსებული ფლორენცია. სანთლის ალზე, სულ რაღაც ოციოდე ნაბიჯში თუ გაარჩევ რამეს, უფრო იქით კი სრული

წკვარამია. იმ საღამოს ინგლისელი პაციენტის ოთახში ყველა რაღაც თავისას აღნიშნავდა: ჰანა - ნანახ სიზმარს, კარავაჯო - გრამოფონის იღბლიანად დათრევას, ხამსა კი - ნაღმთან წარმატებით გამკლავებას, თუმცა თავად ეს ამბავი უკვე აღარც ახსოვდა. საერთოდაც, წვეულება-ზეიმი მუდამ უხერხულობას განაცდევინებდა ხოლმე.

იმ ოციოდე ნაბიჯის იქით კი სამყაროში მათი არსებობის კვალი არსად ჩანდა: დაბლობიდან მათ ვერც ვერავინ ხედავდა და არც მათი ხმა ესმოდა ვინმეს. ვერავინ დალანდავდა კედელზე მორიალე ჩრდილებს, როცა ჰანა კარავაჯოს ეცეკვებოდა, სიქჰი ჯარისკაცი ფანჯარასთან იჯდა, ინგლისელი პაციენტი კი ღვინოს წრუპავდა და თრობამორეული გრძნობდა, რა სწრაფად უჯდებოდა ალკოჰოლი გახევებული სხეულის ყოველ უჯრედში; მერე სხვადასხვაგვარი ხმების გამოცემაც დაიწყო - ხან უდაბნოს მელიასავით კნაოდა, ხან - შავი შაშვივით ჭახჭახებდა... ასე თქვა - ეს ჩიტი მხოლოდ ესექსში ბინადრობს, რადგან გამრავლებისთვის ისეთი ადგილი სჭირდება, სადაც ლავანდა ხარობს და ხის მატლიც უხვად მოიძევებაო. ამ დამწვარ მფრინავს სურვილები მარტო ფიქრებშიღა დარჩაო - რატომღაც ასე ეგონა ფანჯრის შორიახლო მოკალათებულ ხამსას. მერე უცებ, მოწყვეტით მოაბრუნა თავი, რადგან მაშინვე მიხვდა, რამ დაიგრგვინა სადღაც შორს. „არაფერია, ნაღმი არ ყოფილა. ხმა სადღაც იქით, უკვე განაღმული ადგილიდან იყო“, - უთხრა დანარჩენებს და როგორც კი კორდიტის სუნიც ეცა, ფეხაუჩქარებლად გავიდა ოთახიდან.

ახლა, რამდენიმე საათის შემდეგ, ისევ იმავე ფანჯარასთან ზის. რომ წამომდგარიყო, ხუთი-ექვსი ნაბიჯი გადაედგა და გოგოს ხელით შეხებოდა, ამაზე გონივრულს ვერც ვერაფერს მოიფიქრებდა. ოთახში ნახევრად ბნელა, მხოლოდ ერთი სანთელი იწვის იმ მაგიდაზე, რომელსაც ჰანა მისჯდომია. ამჯერად

წიგნს არ კითხულობს. „ალბათ იმიტომ, რომ ღვინო მოეკიდა“, - ფიქრობს ხამსა.

როცა ნაღმის აფეთქების ადგილიდან დაბრუნდა, ძაღლთან ჩახუტებულ კარავაჯოს ბიბლიოთეკაში, ტახტზე ეძინა. ცოტა ხანს შეჩერდა გამოღებულ კართან. ძაღლი თვალს არ აშორებდა, მხოლოდ ერთხელ შეირხა ოდნავ, იმის საჩვენებლად - არ მძინავს და აქაურობას ფხიზლად ვდარაჯობო. თუმცა, კარავაჯოს ხვრინვის ფონზე მაინც გარკვევით გაისმა მისი ჩუმი ღრენა.

ფეხსაცმელები გაიხადა. ზონრებით გადააბა ერთმანეთს, მხარზე გადაიკიდა და კიბის საფეხურებს აუყვა. დერეფნიდანვე შენიშნა, რომ ინგლისელი პაციენტის ოთახი ჯერ კიდევ განათებული იყო.

მაგიდაზე სანთელი ბჟუტავდა. სკამზე ჩამომჯდარ ჰანას იდაყვები მაგიდაზე ჩამოედო და თავი უკან გადაეწია. ფეხსაცმელები იქვე დაალაგა და უჩუმრად შევიდა იმ ოთახში, სადაც სამი საათის წინ მუსიკა ჟღერდა. ჰაერში ალკოჰოლის სუნი ტრიალებდა. ჰანამ თვალი მოკრა თუ არა, მაშინვე ტუჩებზე მიიდო თითი და ინგლისელ პაციენტზე ანიშნა. თუმცა ის ალბათ, მაინც ვერ გაიგონებდა ხამსას სრულიად უხმაურო ნაბიჯებს. ჯარისკაცმა ისევ ფანჯარასთან მოიკალათა. ოთახი რომ გადაეჭრა და ხელით შეხებოდა გოგოს, ამაზე გონივრულს მართლა ვერაფერს მოიმოქმედებდა. მაგრამ მათ შორის ძნელი და სახიფათო გზა იდო: მთელი სამყარო. ინგლისელ პაციენტს ოდნავ ფაჩუნზეც კი ეღვიძებოდა. გულის დასამშვიდებლად, ძილის დროსაც კი მოსასმენი აპარატი ბოლომდე ჰქონდა ხოლმე მომართული. ჰანამ შეშფოთებულმა მოატარა მზერა მთელ ოთახს და როცა სიქჰი ფანჯრის სიახლოვეს დალანდა, მერეღა დამშვიდდა.

საკუთარი თვალით ნახა აფეთქების ადგილიცა და ისიც, რაც მისი მეწყვილე ჰარდისაგან დარჩენილიყო. სწორედ ჰარდი აფეთქდა ნაღმზე და მათაც საკუთარი ხელით გაუთხარეს საფლა-

ვი. მერეღა გაახსენდა სადენებჩაბღუჯული ჰანა და ჯერ ნაგვიანევმა შიშმა აიტანა, მერე კი უკვე სიბრაზეც მოერია - როგორ არ დამიჯერა და იქაურობას არ გაეცალაო. ბრაზობდა, ასე დაუდევრად რომ ეპყრობოდა გოგო საკუთარ სიცოცხლეს.

ახლა კი დაჟინებით მოსჩერებოდა. ჯარისკაცი დაიხარა და ლოყა სამხარეზე მოიქექა. გოგო კი მას მერე არც განძრეულა, რაც წეღან ტუჩებზე მიიდო თითი.

უკანა გზაზე, სოფელი გამოიარა. წვიმდა და წყლის წვეთები დაუდევრად ეცემოდა მოუვლელ ბალახს, ომიანობის გამო გაუკრეჭავ ბუჩქებსა და იმ უცნაურ ქანდაკებას - ორი მხედარი რომ ერთმანეთს ართმევს ხელს. და აი, უკვე აქაა, სანთლის მოლიცლიცე შუქით განათებულ მის სახეს შესცქერის და ვერ მიმხვდარა, რას გამოხატავს გოგოს დაჟინებული მზერა - გონიერებას, დარდსა თუ ცნობისმოყვარეობას.

წიგნით ხელში რომ დახვედროდა, ანდა ინგლისელი პაციენტის მოვლით დაკავებული, ალბათ უბრალოდ თავს დაუქნევდა და თავისი გზით წავიდოდა, მაგრამ ახლა, პირველად დაინახა მისი ახალგაზრდობა, სინორჩე და სიმარტივეც... ამ საღამოს, როცა ნაღმის დანატოვარ, პირდაფჩენილ ორმოს ჩასცქეროდა, დილანდელი ამბავი გაახსენდა და ჰანას გამო ერთიანად შიშმა დარია ხელი. ეტყობა, მეტი სიმკაცრე და სიჯიუტე მართებს, თუ არადა, გოგო ყველა დავალებაზე უკან გაყვება. ამას კი ვერაფრით დაუშვებდა. საქმიანობისას მუსიკის ხმა და აზრის სიცხადე სჭირდებოდა მხოლოდ. დანარჩენი ქვეყნიერება მისთვის საერთოდ წყვეტდა არსებობას, მაგრამ ეს გოგო უკვე ჩასახლებოდა სულში, ანდა მის მხარზე მოეკალათა - სწორედ ისე, როგორც ერთხელ მათ სერჟანტს ყავდა მხრებზე მოგდებული ბეკეკა იმ დროს, როცა ჩამოქცეული გვირაბიდან ცდილობდნენ გამოღწევას.

არა.

ბოდავდა რაღაცას, ტყუოდა. ძალიანაც უნდოდა, ჰანას მხარზე ჩამოედო ხელი, როგორც დღისით, მძინარისთვის, როცა თვითონ ისე ეწვა გვერდით, როგორც ვიღაცის იარაღის სამიზნე და საოცარ უხერხულობას გრძნობდა. თავად მას სიმშვიდე არაფერში სჭირდებოდა, თუმცა არაფერზე დაიხევდა უკან, ოღონდ გოგოსთვის განეცდევინებინა იგივე, ოღონდ ამ ოთახიდან გაეყვანა. ცოცხალი თავით ვერ დაიჯერებდა საკუთარ სისუსტეს. არადა, სიყვარულთან გამკლავების ძალა არ აღმოაჩნდა და თან პირველი ნაბიჯის გადადგმაც ვერ გაებედა. პირველს არცერთ მათგანს არ სურდა რაიმეს აღიარება... ჰანა წელგამართული იჯდა. ერთხელ კიდევ შეხედა. სანთლის ალი თრთოდა და სახის გამომეტყველებას უსხვაფერებდა. ჯარისკაცმა არ იცოდა, გოგო მხოლოდ მის სილუეტს თუ ხედავდა, თუკი მისი ჩამოქნილი სხეული და ბრინჯაოსფერი კანი ახლა მხოლოდ წყვდიადის ნაწილი გამხდარიყო.

ადრე, როცა ნაჩქარევად გამოეცალა იქაურობას, გოგო ლამის იყო, გაცოფდა - იცოდა, რომ ეს შავტუხა ჯარისკაცი მათ ბავშვებივით ელოლიავებოდა და საფრთხისაგან იცავდა. მაშინ უფრო მაგრად მიეკრო კარავაჯოს, თითქოს სამაგიეროს გადახდა სურდა ამ წყენისა და შეურაცხყოფისათვის. ახლა კი, წვეულების მერე ერთიანად აღგზნებული, საკითხავს გულს ვეღარ უდებდა. კარავაჯო დასაძინებლად წავიდა, ოღონდ მანამდე კარგა ხანს იქექებოდა წამლების ყუთში. მერე ინგლისელმა პაციენტმა თავისი ძვლამდე დანახშირებული თითით მიიხმო ჰანა და ისიც მისკენ დაიხარა, და კაცმა უცებ ლოყაზე აკოცა.

ჰანამ ყველა სანთელი ჩააქრო და მხოლოდ ერთი, თითქმის სულ ჩამწვარიღა დატოვა - საწოლის გვერდით მდგარ პატარა მაგიდაზე. უცქერდა, ახლა როგორ მშვიდად იწვა ინგლისელი პაციენტი, თუმცა სასმელი აშკარად მოკიდებოდა და დროდადრო რაღაცას არეულად ჩაიბუტბუტებდა ხოლმე. ზოგჯერ ცხენად ვიქცე-

ვი, ზოგჯერ კიდევ - ნაგაზად... ანდა ტახად, ხან კიდე - უთავო დათ-ვად... ზოგჯერ სულაც ცეცხლად გადავიქცევი... ჰანას ესმოდა, როგორ ეცემოდა ცვილის წვეთები ლითონის სინზე. იცოდა, სიქ-ჰი ჯარისკაცი აფეთქების ადგილისკენ მიიჩქაროდა და ძალიან ბრაზობდა, როგორ არაფერი მითხრაო.

კითხვას გულს ვეღარ უდებდა. იჯდა ოთახში, ამ თავის გაუთა-ვებლად მომაკვდავი პაციენტის სასთუმალთან და ზურგზე ის ად-გილი სტკიოდა ყრუდ, კარავაჯოსთან ცეკვისას შემთხვევით კედ-ლის კუთხისთვის რომ გამოედო.

აი ახლა, თუკი მასთან მივა, გოგო თვალს გაუსწორებს, უარს არაფერზე ეტყვის და კრინტსაც არ დაძრავს. ოღონდ მთავარია მიხვდეს, მთავარია პირველი ნაბიჯი იმან გადადგას - აკი ადრეც გადაუდგამთ ეს ნაბიჯი სხვა ჯარისკაცებს.

ის კი, აი, როგორ იქცევა - ოთახის შუაგულამდე მისული, ხელს ჯერაც მხარზე გადაკიდულ საველე აბგაში ყოფს, მერე ფე-ხაკრეფით უახლოვდება ინგლისელი პაციენტის საწოლს, აბგი-დან ბრტყელტუჩას იღებს და მისი მოსასმენი აპარატის სადენს კვნეტს. სახეგაბადრული, გოგოსკენ შემობრუნდება და ეუბნება:

- ხვალ დილით ისევ შევაერთებ.

გოგოს უახლოვდება და მარცხენა ხელს მხარზე ადებს.

- დეივიდ კარავაჯო... მაგარი უცნაური გვარ-სახელია, ღმერ-თმანი.

- სულ არაფერს მაინც ჯობია.

- ეგეც მართალია.

კარავაჯო ჰანას სკამზე ჩამომჯდარა. უკვე გადახრილი მზის სხივებში მტვრის ნამცეცები რიალებენ. ინგლისელის ჩაშავებუ-ლი, გაძვალტყავებული, კეხიანცხვირიანი სახე ბანდებში გამოხ-ვეულ ქორს წააგავს. „ქორი კუბოში“, - ფიქრობს კარავაჯო.

ინგლისელი მისკენ აბრუნებს თავს.

- კარავაჯოს ერთი სურათი აქვს, გვიანდელი... „დავითი გოლიათის თავით ხელში“. ამ ნახატზე ახალგაზრდა მეომარს გაწვდილ ხელში გოლიათის ბებერი და მახინჯი თავი უჭირავს. მაგრამ ეს ნახატი მხოლოდ ამ მიზეზის გამო არ აღძრავს სევდიან ფიქრებს: დამტკიცდა, რომ დავითის სახე თავად ახალგაზრდა კარავაჯოს ავტოპორტრეტია, ხოლო გოლიათისა - მისივე გამოსახულება, ოღონდ უკვე მორჭმულ ასაკში, როცა ამ სურათს ხატავდა. სიჭაბუკე სიბერეს ასამართლებს, ასე ვთქვათ. ადამიანს საკუთარი ყოფიერების ამაოებისთვის გამოაქვს მსჯავრი. მე მგონი, როცა ჩემ საწოლთან პირველად დავინახე ხამსა, სწორედ ეს გავიფიქრე - აი, ჩემი დავითი-მეთქი.

კარავაჯო ჩუმად ზის, მისი ფიქრი კი მტვრის ნამცეცებთან ერთად დარიალებს მზის სხივებში. ომმა სულიერი წონასწორობა დააკარგვინა და ამ დღეში მყოფი, სხვა სამყაროს ვეღარც დაუბრუნდება. მორფის იმედად დარჩენილი, იქ თავს ვეღარ გაიტანს. ახალგაზრდა აღარ ეთქმის, თუმცა ოჯახურ სიმყუდროვესა და ბედნიერებაზე მაინც არ ნაღვლობს. ომამდე მიჯნურად უფრო რჩებოდა, ვიდრე ქმრად და მეუღლედ. იმათ რიცხვს განეკუთვნებოდა, ვინც საყვარელივით უცებ და უკვალოდ აორთქლდება ხოლმე და ზურგსუკან გრძნობათა მორევს ტოვებს. ანდა იქნებ სწორედაც უკვე გამოცარიელებული სახლიდან გამოპარულ ქურდს ჰგავდა?

ახლა იჯდა და ინგლისელ პაციენტს არ აშორებდა თვალს. უთუოდ უნდა გაერკვია, ვინ იყო ეს უდაბნოგამოვლილი ინგლისელი და ისევ ჰანას უსაფრთხოების გამო, მისი საიდუმლო ამოეცნო. ან ეგებ ახალი გარსი გამოეგონებინა მისთვის და იქ შეემალა მისი დამწვარ-დაბუგული სხეული.

ომის დაწყებისას ქაიროში მუშაობდა - იქ ასწავლეს სწორედ, როგორ გაეწვრთნა ორმაგი ჯაშუშები, ან სულაც მართლა გამოეგონა რაღაც ადამიანის გარსის მქონე ლანდები თუ აჩრდი-

ლები. სწორედ მას მიაბარეს ვიღაც მითიური აგენტი, მეტსახელად „ყველი“ და დეივიდიც რამდენიმე კვირა დაუღალავად მოსავდა და მოსავდა მას სხვადასხვა ფაქტებით, ხასიათის ისეთ თვისებებს უვითარებდა, როგორიცაა სიხარბე თუ სასმელის სიყვარული. ამ თვისებების წყალობით უნდა მოემარაგებინა აგენტს მტერი ინფორმაციით - ცხადია, ყალბით. ისევე როგორც ზოგიერთი სხვა მისნაირი ქაიროში, ისიც უდაბნოში მთელი რაზმების შეკოწიწებით იყო დაკავებული. სწორედ იმ დროს იმყოფებოდა იქ, როცა მის ირგვლივ მყოფთათვის ტყუილი და მხოლოდ ტყუილი შეიძლებოდა მიესაღებინა. ისე გრძნობდა თავს, როგორც ბნელ ოთახში მოხვედრილი კაცი, ხმით ჩიტის ძახილს რომ ბაძავს.

ოღონდ აქ ახლა ტყავის გამოცვლის ჟამიც დამდგარიყო. კი არ უნდა ეთვალთმაქცათ ან ეთამაშათ, მართლა ის უნდა ყოფილიყვნენ, რაც იყვნენ. არ რჩებოდა თავდაცვის არანაირი სხვა გზა, სხვების სიმართლის ძებნის გარდა.

გოგო თაროდან ისევ კიპლინგის „კიმს“ იღებს და როიალს ჩამოყრდნობილი, წიგნის ბოლო, სუფთა ფურცელზე წერას იწყებს:

ასე ამბობს, ეს მრისხანე იარაღი - ზამ-ზამაჰის ქვემეხი - ჯერაც დგას ლაჰორის მუზეუმის წინო. ორი ეგეთი ქვემეხი ყოფილა, გადადნობილი ჯამ-ჭურჭლისაგან ჩამოსხმული და ეს ჭურჭელი ჰინდუ მოსახლეობაში მოუგროვებიათ ბაჟის სახით. მერე ყველაფერი გადაუდნიათ და ქვემეხები ჩამოუსხამთ. არაერთ ბრძოლაშიც გამოუყენებიათ სიქჰების წინააღმდეგ, XVIII-XIX საუკუნეებში. მდინარე ჩინაბთან გამართული შეტაკებისას კი ერთი მათგანი უკვალოდ გამქრალა...

წიგნს ხურავს, სკამზე დგება და მაღლა, თითქმის უჩინარ თაროზე გულდაგულ მალავს.

მოხატულ ოთახში შესულს, ხელში ახალი წიგნი უჭირავს და სათაურსაც ხმამაღლა ამცნობს.

- დღეს წიგნები არ გვინდა, ჰანა. - ეუბნება ინგლისელი პაციენტი.

ცოტა არ იყოს, გაოცებული მიაჩერდება, თან ფიქრობს: „ახლაც, ამ მდგომარეობაში მყოფსაც კი, რა ლამაზი, ცისფერი თვალები აქვს! რასაც გინდა ამოიკითხავ მათ დაჟინებულ მზერაში...“ თუმცა მზერა მალევე იბინდება, თითქოს შუქურაზე ცეცხლი ჩააქრესო.

- დღეს არაფერს არ წავიკითხავთ. ჩემი ჰეროდოტე მომაწოდე.

გამოწვდილ ხელში უდებს სქელ, შელანძღულ ტომს.

- „ისტორიის“ ერთი გამოცემა მინახავს, ყდაზე ის ქანდაკება ეხატა, ერთ-ერთ ფრანგულ მუზეუმში რომაა. თუმცა მე ჰეროდოტე ისეთად არასოდეს წარმომიდგენია. ჩემთვის ის ყოველთვის უფრო უდაბნოს იმ თავისუფალ ბინადარს გავდა, რომლებიც ოაზისებს შორის მიდი-მოდიან და ისე ვაჭრობენ ზღაპარ--ლეგენდებით, როგორც მცენარეული თესლით. ყველაფერს ალალად იჯერებენ და მირაჟს მირაჟზე აბამენ. „ჩემი ეს ამბავი, - წერს ჰეროდოტე, - იმთავითვე მთავარ დავა-კამათში სიცხადის შეტანას ისახავდა მიზნად“. ჰეროდოტესთან ყველაზე საინტერესოა ისტორიის ხვეულების ჩიხებზე მონათხრობი - როგორ ღალატობენ ადამიანები ერთმანეთს სამშობლოს გადასარჩენად, როგორ უყვარდებათ ერთმანეთი... რა მითხარი, რამდენი წლის ვარო?

- ოცის.

- პირველად რომ შემიყვარდა, შენზე ბევრად უფროსი ვიყავი.

ჰანა ჯერ ხმას არ იღებს, მერე კი ეკითხება:

- ის ქალი ვინ იყო?

მაგრამ კაცის მზერა უკვე ძალზე შორსაა ამ ოთახიდან.

- ჩიტებს შიშველ ტოტებზე ჩამოსხდომა ურჩევნიათ, - თქვა კარავაჯომ. - ასეთ დროს უფრო კარგად ხედავენ მიდამოს და საითაც მოესურვებათ, იქით შეუძლიათ გაფრინდნენ.

- მე თუ მგულისხმობ, - უთხრა ჰანამ, - მე ჩიტი არა ვარ. ჩიტი თუ გინდა, ნაღდი ჩიტი ის ჩემი პაციენტია, მეორე სართულზე.

ხამსა შეეცადა, ჩიტად წარმოედგინა ჰანა.

- მითხარი, შეიძლება ისეთი კაცი შეგიყვარდეს, ვინც შენსავით ძლიერი არაა? - მორფის დოზით გადიდგულებული კარავაჯო ცდილობს, კამათში აიყოლიოს. - პატიოსან საზოგადოებას გამოვუტყდები და, ჩემი სასიყვარულო თავგადასავლების დროს, რაც თავისთავად საკმაოდ გვიან დაიწყო, ყველაზე მეტად ეს კითხვა მღრღნიდა შიგნიდან. მხოლოდ ქორწინების მერეღა მივხვდი - თურმე შეიძლება უბრალო საუბარმაც აღგაგზნოს. ვერასდროს წარმოვიდგენდი, სიტყვებს თუ ეროტიკული ძალა ჰქონდა. არადა, ზოგჯერ მართლა ლაი-ლაი მირჩევნია ხოლმე ქალთან წოლას. წინადადებებში არის რაღაც ისეთი... ცოტა ეს, ცოტა ის, მერე კი შემდეგ წრეზე გადადიხარ. სიტყვების ერთადერთი სირთულე ისაა, შეიძლება საკუთარი თავი თავადვე მიჩიხო, ლოგინში კი ეს შეუძლებელია.

- როგორ გეტყობა, კაცი რომ ხარ... - ჩაიბურტყუნა ჰანამ.

- ყოველ შემთხვევაში, მე ეგეთი არაფერი მომსვლია, - თავისას განაგრძობდა კარავაჯო. - შენა, ხამსავ? შენი საქმე როგორ იყო, როცა ჯერ მთებიდან ბომბეიში ჩახვედი, მერე კი ინგლისში გამოგისტუმრეს სასწავლებლად? ძმურად, ვინმეს თუ მიუჩიხიხარ ლოგინში? ისე, რამდენი წლისა ხარ?

- ოცდაექვსის.

- ჩემზე უფროსია...

- ჰანაზე უფროსი კი ყოფილხარ და... მითხარი, შეგიყვარდებოდა ეს გოგო, შენზე ძლიერი რომ არ იყოს? ანუ, იმის თქმა მინდა, შეიძლება სინამდვილეში არც მთლად ეგრე იყოს საქმე, მაგრამ შენთვის ხომ მთავარია იცოდე - ჩემზე ძლიერიაო. სხვანაირად როგორ შეიყვარებ? აბა დაფიქრდი: ამ ინგლისელით არი მოხიბლული, იმიტომ რომ იმან მეტი იცის. როცა იმ ჯეელს ველა-

პარაკებით ხოლმე, გვგონია თითქოს სადღაც, უკიდეგანო მინდორში ვართ. ისიც არ ვიცით, მართლა ინგლისელია თუ თავს იკატუნებს. ალბათ, არცაა. იცი, მე მგონი იმის შეყვარება უფრო იოლია, ვიდრე შენი. ოღონდ რატო ხდება ასე? იმიტომ რომ გვინდა ვიცოდეთ, რა როგორ ხდება, რა როგორ კოწიწდება. ვისაც ენა უჭრის, მოხიბვლაც ეხერხება. სიტყვებს ჩიხში შევყავართ. ყველაზე მეტად ის გვინდა, გავიზარდოთ და შევიცვალოთ. ახალი სამყარო გვეძახის.

- მე ასე არ ვფიქრობ, - ჩაილაპარაკა ჰანამ.

- არც მე. მაგრამ გეტყვი, როგორ უყურებენ ამას ჩემი ხნის კაცები. ყველაზე უარესი ისაა, რომ სხვების აზრით, ამ ასაკში ხასიათი თითქოს საბოლოოდ ასწრებს ჩამოყალიბებას, მაგრამ თავი და თავი შეცდომა ისაა, შენც სხვების აზრს თუ აყევი.

კარავაჯომ ცერებწაცლილი ხელები ჰანასა და ხამსასკენ გაიწვდინა. გოგო წამოდგა, ზურგსუკან ამოუდგა და მკლავები შემოაჭდო.

- მორჩი რა, დეივიდ! ერთი ეგეთი გიჟი მოლაყბე უკვე გვყავს ამ ჭერქვეშ.

- აბა ერთი სხვისი თვალით შემოგვხედე! ვსხედვართ აქ, ვიღაც გაბღენძილი მდიდრებივით, მთებში თავიანთ ვილაზე რომ გამორიდებიან ქალაქის პაპანაქებას. დილის ცხრა საათია, ჩვენი ძმობილი კი ჯერ ისევ ფშვინავს ზემოთ. ჰანას იმაზე ჭკუა ეკეტება, მე ჰანას ჯანმრთელობაზე და საკუთარ სულიერ წონასწორობაზე დარდი მკლავს, ხამსა კი, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება სულაც ნაღმზე აფეთქდეს. რატომ, რისი გულისთვის? თან სულ ოცდაექვსი წლისა ყოფილა! ბრიტანეთის არმიაში უკვე ასწავლეს რაღაც-რაღაცები, ახლა ამერიკელებიც უვითარებენ ამ უნარ--ჩვევებს. შეუდგენიათ მესანგრეთა ჯგუფი, გაუწვრთნიათ, აღუჭურვიათ და აქ, ამ ლამაზ მთებში გამოუსტუმრებიათ. გიყენებენ, ძმაკაც, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე. ჩემდათავად, აქ გამჩე-

რებელი არა ვარ, მეყო. შინ უნდა წაგიყვანო. წყალსა და მეწყერს წაუღია ეს მაკარონყლაპიების ქვეყანა!

- ნუ ამბობ ასე, კარავაჯო. ხამსას არაფერი მოუვა.

- რატო? გუშინ ხო აფეთქდა მაგის ამხანაგი! რა ერქვა?

ხამსას ხმა არ გაუღია.

- რა ერქვა-მეთქი?

- სემ ჰარდი. - სიქჰი ფანჯარასთან მივიდა და დანარჩენებს ზურგი აქცია; ასე თუ მიანიშნა - ეს საუბარი არ მეპიტნავებაო.

- ჩვენი ყველას უბედურება ისაა, იქ ვართ, სადაც არავინ გველოდებოდა. რა გვესაქმება ან აფრიკაში, ანდა აქ, იტალიაში? რა ხამსას საქმეა აქაურ ბაღ-ვენახებში ნაღმების ჩიჩქნა? მითხარი თუ ძმა ხარ - რა გესაქმება ბრიტანეთის ჯარში? ეგრეთწოდებული „დასავლეთის ფრონტის“ ხაზზე, ვერცერთი გლეხი ისე ვერ მოჭრის ხეს, ხერხს კბილები არ დააყრევინოს და იცით რატო? იმიტო რო ყველა ხე ჯერ კიდევ წინა ომიდან დარჩენილი შრაპნელითაა გაძეძგილი. კაცისაგან შეყრილი ავადობით ხეებიც კი ზეზეურად კვდებიან! ჯარში ტვინს გიწყალებენ, ათას სისულელეს გიტენიან თავში, მერე აქ გტოვებენ, თვითონ კი გზას აგრძელებენ და ახლა სხვაგან მიაქვთ უბედურება ამ თუჯისთავიან სამხედროებს! მოკლედ, დროა აქედან დავახვიოთ.

- და ინგლისელს აქ ხომ ვერ დავტოვებთ?

- ეგ რა ხანია ჩვენთან აღარაა, ჰანა. ან იმ თავის ბედუინებთანაა უდაბნოში ან - თავის ინგლისურ ბაღში. მგონი, საერთოდ აღარც ახსოვს ის ქალი, ვისზედაც სულ უნდა ხოლმე რომ რაღაც მოგიყვეს. მგონი ისიც კი არ იცის, ახლა სად იმყოფება! შენ გგონია, გაგიბრაზდი, იმიტომ რომ შეყვარებული ხარ? მნახე რაღა, ბებერი ეჭვიანი ბიძა! არადა, შენი დარდი მაქ. ინგლისელის მოკვლას ვფიქრობ. მარტო ეგ თუ გადაგარჩენს და აქაურობას დაგატოვებინებს. ისე, ნელ-ნელა მეც კი მომწონს, სულ უფრო და უფრო. აი, როგორი საშიში კაცია! ოღონდ დროა, ეს შენი საგუშაგო

მიატოვო. ან ამ ხამსას როგორღა ეყვარები, თუ იმდენი ძალა ვერ აგრძნობინე, ყოველდღე ასე ბეწვის ხიდზე სიარულს თავი დაანებოს?

- მაგრამ მას ცივილიზებული სამყაროსი სჯერა. თვითონაც ცივილიზებული ადამიანია.

- აი, პირველი შეცდომა! უფრო მართებული იქნებოდა, მატარებელში ჩამჯდარიყავი, აქაურობას მოშორებოდი და მერე ბლომად შვილები გაგეჩინა. გინდა, ავიდეთ და იმ ქორს ვკითხოთ, რას ფიქრობს ამაზე? ან სხვისი აზრი რად გინდა? თვითონ რატომ ვერ ხვდები? მარტო მდიდრებს არ შეუძლიათ თავს უფლება მისცენ, გონივრულად მოიქცნენ. იძულებულნი არიან, საკუთარი ქონება დაიცვან. სწორედ ისინი მისდევენ მაგ შენი დამპალი ცივილიზებული სამყაროს წეს-კანონებს! ომებსაც ეგენი აცხადებენ, მერე კი ღირსება არ აძლევთ უფლებას ამ ომებს გაეცალონ. და თქვენ რაღა? ან - ჩვენ? ჩვენ სამნი ყველა წეს--კანონისაგან თავისუფლები ვართ. დღეში რამდენი შენნაირი ფეთქდება ნაღმზე? დაფიქრებულხარ, რატომ ხარ ჯერაც ცოცხალი? იცოდე, იღბალი ჭირვეული ქალივითაა.

ჰანა ფინჯანში რძეს ისხამს. მერე ტოლჩიდან უკვე ხამსას ასხამს თეთრ სითხეს - ჯერ თითებზე, მერე - მაჯებზე, მერე უფრო ზემოთ, იდაყვებამდე... და უცებვე ჩერდება. ხამსა, მთელი ამ ხნის მანძილზე, გაუნძრევლად ზის, ერთს არ შეირხევა.

სახლიდან დასავლეთით თავის დროზე მოგრძო, ვიწრო ბაღი გაუშენებიათ ორ სხვადასხვა დონეზე: ქვემოთ ჩვეულებრივი ტერასაა, უფრო ზემოთ კი - შედარებით ხშირი, დაჩრდილული სივრცე, სადაც კიბის ქვის საფეხურები და თაბაშირის ქანდაკებები თითქმის ერთიანად დაუფარავს მომწვანო ხავსს. სიქჰმა ჯარისკაცმაც სწორედ აქ გაშალა თავისი კარავი. ახლა წვიმს, ხეობიდან ნისლი მოიწევს, კვიპაროსისა და ნაძვის ფოთლებიდან ბა-

ღის ამ, ნაღმებისაგან უკვე სანახევროდ გაწმენდილ ნაწილს წვიმის წვეთები ეცემა კანტიკუნტად.

მარად ნესტიანი და დაჩრდილული ამ ზედა სივრცის გაშრობა მხოლოდ საგანგებოდ დანთებულ კოცონებს თუ შეუძლია. ჰანაც ერთად უყრის თავს დანაბომბი სახლის ფიცრებსა თუ კარ--ფანჯრის მონარჩენებს, ტოტებს, სარეველას, ჭინჭარს, მოთიბულ ბალახს, მერე ყველაფერ ამას აქეთ ეზიდება და საღამოს ბინდ--ბუნდში, ის და ხამსა კოცონებს ანთებენ. თავიდან თითქოს ბევრი არაფერი გამოდის - ცეცხლშენთებული ბალახ-ბულახი მხოლოდ ბოლავს, ბოლიც ჯერ ბუჩქნარს ეფინება, მერე - უფრო ზევით, ხეებისკენ მიიწევს და ბოლოს სახლის წინ, ტერასაზე იფანტება. ინგლისელი პაციენტი ფანჯრებგამოღებულ ოთახში წევს, ეს მძაღე სუნიც სცემს და ქარის მოტანილი ხმებიც ესმის. დროდადრო - სიცილიც, ამ აბოლებული ბაღიდან. ცდილობს სუნით მიხვდეს, მაინც რა მცენარეულობისთვის შეუნთიათ ცეცხლი: როზმარინს, რძიანას, აბზინდას მაშინვე ცნობს, თუმცა სხვაც ურევია რაღაც, უსუნო... იქნებ ტყის ია, ანდა ფუყე მზესუმზირა - აქაური, ცოტა არ იყოს, დაშხამული ნიადაგი რომ უყვარს.

ინგლისელი პაციენტი მუდამ საქმიან რჩევას აძლევს ხოლმე ჰანას - სად რისი დათესვა აჯობებს. „იქნებ იმ შენმა იტალიელმა მეგობარმა სადმე თესლის შოვნაც მოახერხოს? როგორც ვატყობ, გაწაფულია ამ საქმეში... ჯერ ქლიავის ხეების დარგვას გირჩევდი და კიდე - წითელი მიხაკის. თუ მეგობარი ასე უფრო მიხვდება, მის ლათინურ სახელსაც გეტყვი: Silene virginica. არც წითელი ბალი გვაწყენდა. თუ გინდა, ბაღში ჩიტებმაც იგალობონ, მაშინ თხილის ბუჩქები და ალუბალიც დაგჭირდება“.

გოგო ყველაფერს მისხალ-მისხალ იწერს. მერე კალამს იმ პატარა მაგიდის უჯრაში ინახავს, სადაც პაციენტისთვის საკითხავი წიგნი, ორი სანთელი და ასანთის კოლოფი უდევს. აი, წამლები კი სხვა ოთახებში აქვს დაბინავებული. სიმართლე ითქვას, უფრო

- დამალული. ეჭვიც არ ეპარება, ადრე თუ გვიან, კარავაჯო ისევ დაიწყებს მორფის ძებნას და არ სურს, ინგლისელი შეაწუხოს ზედმეტი ფორიაქით. ახლა, როცა მასში ხორციელმა ლტოლვამაც გაიღვიძა, სამი კაცის გვერდით, ერთ ჭერქვეშ, ცოტა არ იყოს და უხერხულად გრძნობს თავს.

რა თქმა უნდა, თუკი ეს მართლაც ლტოლვაა, თუკი ამას მართლა რაიმე კავშირი აქვს სიქჰი ჯარისკაცის სიყვარულთან. არადა, მოსწონს, როცა მის მხარზე უდევს ლოყა, ამ მუქ-ყავისფერ მდინარეში, მერე კი მის ტალღებში გამოღვიძება. უყვარს, როცა მისი უჩინარი ძარღვის ფეთქვას გრძნობს და წინდაწინვე იცის, იქ რომ მოუწევს ფიზიოლოგიური ხსნარის შეყვანა, თუკი ჯარისკაცს სიკვდილი დაემუქრება.

ღამის ორ-სამ საათზე, როცა ინგლისელს უკვე სძინავს ხოლმე, ბაღს გადაივლის და ჯარისკაცის კარვისკენ მიაბიჯებს იმ საველე ფარნის შუქზე, რომელიც წმ. ქრისტეფორეს ქანდაკების მკლავზე წინდაწინ ჩამოუკიდია შავტუხა ბიჭს. ჯერ სრულ სიბნელეში მიიკვლევს გზას, თუმცა თითოეულ პატარა ბუჩქსაც კი იცნობს. დანთებული კოცონის ჩანავლებულ ნაკვერჩხლებსაც ამჩნევს. ზოგჯერ, კარავში შესვლამდე, სანათს აქრობს, მაგრამ უფრო ხშირად კი ანთებულს ტოვებს, თავს მხრებში ჩამალავს და უკვე გადაწეული კარვის კალთის ქვეშ შეყვინთავს ხოლმე, რათა მაშინვე იმის მკლავს მიეტმასნოს, მიეფეროს და ისე მოუაროს, როგორც დაჭრილს; მაგრამ ახლა სალბუნის მაგივრობას მისივე ენა სწევს, ნემსისას - მისი კბილები, სანარკოზე ნიღბისას - მისი პირი, რომელიც ჯარისკაცს აიძულებს, ცოტა ხნით მოდუნდეს, მარად აღგზნებული გონება დაიმშვიდოს და მომთენთავ ნეტარებას მიეცეს. ჯერ რბილლანჩიან ფეხსაცმელებს იხდის, მერე - კაბასაც და გაკეცილს, ზემოდან ადებს ფეხსაცმელებს. იცის, რომ ამ შავტუხა ბიჭისთვის მათ ირგვლივ ცეცხლში გახვეული სამყარო რამდენიმე მკაცრი კანონის ერთობლიობას ითვალისწინებს - იმ კა-

ნონების, რომელთა ზედმიწევნით დაცვაც აუცილებელია ნაღმის გაუვნებელყოფისას. მაშინაც კი ამაზე ფიქრობს, როცა კატასავით გატრუნული ჰანა მის გვერდით იძინებს, ღვიძლ დასავით უმანკო.

გარშემო კი მხოლოდ კარავია და ბნელი ტყე.

ჯერ მხოლოდ ერთი ნაბიჯით გადალახეს იმ სიმშვიდის ზღვარი, რასაც ჰანა საველე ლაზარეთებში უშურველად უნაწილებდა ხოლმე დაჭრილებს - ორტონასა თუ მონტერკიში. მისი სხეული სითბოს უკანასკნელ წყაროდ ეჩვენებოდათ, მისი ჩურჩული - ბოლო იმედად, მისი ნემსი კი - უკეთეს სამყაროში გადაბარგების უებარ საშუალებად. ეს ბიჭი კი არაფერს იკადრებს ამ სხვა სამყაროდან - ეს შეყვარებული ბიჭი, ვინც ალბათ, არასოდეს დააკარებს პირს მისი ხელით მიწოდებულ ლუკმას, ვისაც - კარავაჯოსაგან განსხვავებით - არაფერში სჭირდება დამბანგავი, ტკივილგამაყუჩებელი ნემსები და არც ის სასწაულმოქმედი მალამოები, რითაც ბედუინები წამლობდნენ ინგლისელ პაციენტს. ცოტა ხნით, დამამშვიდებელ თვლემას თუ გამორჩებოდა, ეგ იყო და ეგ.

საკუთარ სამყოფელს ათასნაირად ალამაზებს: გოგოს მოტანილი ფოთლებით იქნება თუ ჯერ ბოლომდე ჩაუწველი სანთლით. კარავში რადიომიმღები და საველე აბგაც მუდამ გვერდით აქვს, წესისამებრ. ამდენი ბრძოლიდან იმ სიმშვიდით გაჯერებულმა გამოაღწია, მოჩვენებითიც რომ იყოს, მისთვის მაინც წესრიგის აღმნიშვნელია. საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა არასოდეს ღალატობს - სულ ერთია, ხეობის თავზე მორიალე ქორს იღებს მიზანში თუ - ერთიანად თვალებადქცეული, ნაღმის გაუვნებელყოფას ცდილობს; მაშინაც კი, როცა აბგიდან თერმოსს იღებს, თავსახურს ხსნის და წყურვილს იკლავს.

„ჩვენ, დანარჩენები, მისთვის მეორეხარისხოვანნი ვართ“, - ფიქრობს ჰანა. ჯარისკაცის მზერას მხოლოდ ის იზიდავს, რაც საფრთხეს შეიძლება შეიცავდეს, სმენა კი იმ ტალღაზე აქვს მო-

მართული, ჰელსინკისა თუ ბერლინის ამბები რომ მოაქვს. მაშინაც კი, როცა უკვე ხორციელ სიყვარულსაც უხდიან ხარკს, როცა გოგოს მარცხენა ხელი მისთვის სამაჯურსზემოთ ჩაუვლია დაძაგრულ მკლავზე, ჰანა თითქოს უჩინარი ხდება ამ განრინებულ მზერაში ჩარჩენილი - მანამ, სანამ ბიჭს ბოლო გმინვა არ აღმოხდება და უღონოდ მკერდზე არ ჩამოადებს თავს. ისე, საფრთხის გარდა, მართლაც ყველაფერი მეორეხარისხოვანია. თუმცა მაინც მოახერხა და ასწავლა უნეტარესი სიამოვნების დროს ჩუმად არ ყოფილიყო, რადგან თავადვე უნდოდა ამ ხმის, ამ გმინვის გაგონება, მხოლოდ ეს მიახვედრებდა, რამდენად მოშვებულიყო მისი მიჯნური, მხოლოდ ეს ბგერები გააგებინებდნენ, რას განიცდიდა სინამდვილეში და ისიც დათანხმდა - ალბათ სიბნელეში საკუთარი არსებობა რომ დაემტკიცებინა მისთვის.

ძნელი სათქმელია, რამდენად ძლიერი და ღრმაა მათი ერთმანეთისადმი სიყვარული; ან რამდენად სჭირდება სხვებისაგან მალვა. რაც უფრო ღრმავდება ურთიერთობა, მით უფრო დაჟინებით ცდილობენ ამის გასაიდუმლოებას. ეს აძლევს ორივეს ძალას, გარეგნულად მაინც არაფერი შეიმჩნიონ, თუნდაც როცა სიქჰი ჰანას ფანჯრებქვეშ ჩაივლის ხოლმე, ანდა სოფლისკენ დააღირებს თავს, სხვა მესანგრეებთან შესახვედრად. ან როცა თეფშს აწვდის ხელიდან ხელში, ან როცა ახალ, მწვანე ფოთოლს ადებს გარუჯულ მაჯაზე, ან როცა კარავაჯოსთან ერთად, დანგრეული კედლის შეკეთებას ცდილობენ. ბიჭი თავის საყვარელ ამერიკულ სიმღერებს ღიღინებს - რომლებიც, სხვათა შორის, კარავაჯოსაც მოსწონს, თუმცა ცოცხალი თავით არ აღიარებს ამას.

პენსილვანია, პენსილვანია, ო-ჰო-ჰოუ... - თავისთვის კრუტუნებს ჯარისკაცი.

მისი მუქი კანის ყველა ელფერი უნდა რომ შეიცნოს: ხელების ფერი იდაყვსზემოთ, კისრის, მაჯების, ლოყების, შუბლის - ჩალმის ქვეშ... იმ თითების სიმუქე, ხან ლურჯ და წითელ სადენებს

რომ აცალკევებენ, ხან კი - ჯარისკაცული რკინის ქვაბიდან იღებენ პურის ნატეხებს. აი, ფეხზეც დგება. ამგვარი თავდაჯერება დანარჩენებს, ცოტა არ იყოს, უხეშობად ეჩვენებათ, მაგრამ თვითონ, ეჭვი არაა, სწორედ ამაში ხედავს თავაზიანობის უმაღლეს გამოვლინებას.

ოღონდ ყველაზე მეტად, ჰანას მაინც მისი სველი კისრის ცქერა უყვარს ბანაობისას. წარმოიდგენს ხოლმე ოფლის წვეთებით დაცვარულ მის გულ-მკერდს, როცა ის ხელს ავლებს, ზემოდან მოქცეული, ბნელ კარავში. ღონივრად იცის ხელის ჩავლება. თითქოს ბნელშიც კი ხედავს მისი სხეულის ფერს, მხოლოდ ერთხელ რომ ნახა, როცა მასთან იყვნენ ოთახში და კომენდანტის საათის გაუქმების შემდეგ, როგორც იქნა, ქალაქში ჩართულმა შუქმა მათი შიშველი სხეულები გაანათა.

მოგვიანებით მიხვდება, რომ ჯარისკაცს ფიქრშიც კი არასოდეს დაუშვია საკუთარი თავი მის არჩივად ჩაეთვალა, ის კი - თავისად. ამ სიტყვას ერთ-ერთ რომანში წააწყდა, დაიმახსოვრა და მერე ლექსიკონშიც გადაამოწმა. „არჩივი - წილი, კერძი“. არა, ასეთ რამეს ის არასოდეს დაუშვებდა. და თუკი ბნელ ბაღში ორასიოდე ნაბიჯს გაივლიდა ხოლმე იმის კარავში მოსახვედრად, ეს მისივე არჩევანი იყო, მისი სურვილი. მძინარე თუ დაუხვდებოდა ხოლმე - არა იმიტომ, მისთვის იმავეს რომ არ ნიშნავდა ეს შეხვედრა, არამედ იმის გამო, რომ კარგი გამოძინება სჭირდებოდა, რათა დილით, უკვე ფხიზელ გონებაზე გაეღვიძა და ახალ-ახალი თავსატეხების ამოხსნა მოეხერხებინა.

თავის მხრივ, ეს ქალი საოცრებად მიაჩნია. გამოეღვიძება ხოლმე და სანათის შუქზე მიჩერებია. ყველაზე მეტად მისი სახის გამომეტყველება მოსწონს - გონიერი და თან - ეშმაკურიც. საღამოობითაც ერთი სიამოვნებაა იმის მოსმენა, როგორ ცდილობს კარავაჯო დაამუნათოს და მორიგი გიჟმაჟობისაგან თავი შეაკავებინოს. ან როგორ დაცურავს ხოლმე კარავში მის სხეულზე.

საუბრობენ. ტილოს სუნით გაჯერებულ კარავში მისი ხმა ერთგვარ წამღერებასავით მოისმის. ეს სუნი მთელი იტალიური კამპანიის განმავლობაში თან ახლდა და ახლა ეჩვენება, მისი სხეულის ნაწილადაც კი ქცეულა, მის ბუნებრივ გარსად, რაშიც ღამღამობით გამოეხვევა ხოლმე. ეს მისი სამყაროა. გოგო კი სწორედ აქ, სწორედ ასეთ ღამეებში გრძნობს ყველაზე მძაფრად, როგორ ენატრება კანადა. ჯარისკაცს ეკითხება - რატომ ვერ იძინებო, მას კი იმისი თავდაჯერება აღიზიანებს, იმისი უნარი - ასე უცებ, თვალის დახამხამებაში მოწყდეს და გაემიჯნოს ირგვლივ არსებულს. ჰანას ძალზე სჭირდება, თუნუქის სახურავზე წვიმის წვეთების რაკარუკი ესმოდეს და ფანჯრის იქით, ორი ნეკერჩხლის ხეც შრიალებდეს... ის ხმა თუ ხმიანობა სჭირდება, რომელიც ადრე მუდამ იავნანასავით აძინებდა. ხეები და სახურავები, რომელთა ქვეშაც იზრდებოდა ტორონტოს გარეუბანში, რომლებიც ჯერ იქ უნანავებდნენ, მერე კი უკვე მდინარე სკუტამატას ნაპირზეც, სადაც პატრიკთან და კლარასთან ერთად გადასახლდა; სულ ბოლოს კი, უკვე ჯორჯიის ყურეშიც. უცნაური ამბავია - ამოდენა ბაღში ერთი ხეც კი ვერ ნახა, ისევე რომ მოგვრიდა რულს.

- მაკოცე. იცი, როგორ მიყვარს შენი ტუჩები? და კბილებიც.

მოგვიანებით, როცა ჯარისკაცი კარვის გადაწეული კალთისკენ ტრიალდება, შუბლის გასაგრილებლად, ჰანა ხმამაღლა ჩურჩულებს, ოღონდ ეს ჩურჩული მარტო თავად ესმის: „კარავაჯოს უნდა ვკითხო. მამამ მითხრა ერთხელ, კარავაჯოს მთელი ცხოვრება ვიღაც ერთი უყვარსო. უბრალოდ კი არ უყვარს, მისი სიყვარული კლავსო. სულ გიჟივითაა და თან - სულ მუდამ ბედნიერიო. გესმის? იცი, როგორი ბედნიერი ვარ შენთან? სულ შენ გვერდით მინდა ყოფნა“.

ყველაზე მეტად მასთან ერთად მდინარის გაყოლებაზე ცურვა სურდა. ოღონდ ამ შემთხვევაშიც წესები უნდა დაგეცვა, ალბათ ისევე, როგორც ვეება დარბაზში გამართულ მეჯლისზე. მაგრამ

ის მდინარეებს სულ სხვა თვალით აღიქვამდა. სიტყვის უთქმელად შედიოდა მოროს ტალღებში, ბაგირების გროვას ექაჩებოდა, გასაშლელ ხიდს მართავდა მეორე ნაპირამდე, გაგანია სროლაში და იმისთვისაც არ ეცალა, იმ ვიღაცისთვის მიეხედა, ლამის მთლად მის გვერდში რომ იძირებოდა, ტყვიით მოცელილი. ისევ და ისევ ყვინთავდა მდინარეში, რათა ხელიდან დამსხლტარი ბაგირის ბოლოს მობღაუჭებოდა, როგორმე მოპოტინებოდა სლიპინა, ტალახიან ფსკერს.

ღამღამობით კვნესა აღმოხდებოდათ ხოლმე, ერთმანეთის ქვითინსა თუ უნებურად ამომსკდარ ყვირილს აჩუმათებდნენ და ცდილობდნენ, ჭკუიდან არ გადამცდარიყვნენ. ცივი წყლით დამბალ-დამძიმებული სამოსი გაშრობას ვერ ასწრებდა, ხიდი კი ჯიუტად იზრდებოდა სიგრძეში, მათ თავებს ზემოთ. ორიოდე დღის შემდეგ კი უკვე ახალი მდინარე და ახალი ხიდი. თითქმის ყველა მდინარეზე, რომლის გადალახვაც უწევდათ, ხიდები აეფეთქებინათ - თითქოს მათი სახელებიც კი ამოეშალათ, თითქოს ცაზეც აღარ დარჩენილიყო არცერთი ვარსკვლავი და აღარცერთ სახლს არ შერჩენოდა კარი. მესანგრეთა ქვედანაყოფები, წელზე თოკშემობმულნი, მხარზე გადაგდებულ ბაგირებს მიათრევდნენ, ხრჭიალის შესამცირებლად წინდაწინ დაზეთილ ქანჩებს თავებს უჭერდნენ და მერე, ასე სახელდახელოდ შეკოწიწებულ ხიდებზე, უკვე ტექნიკაც გადადიოდა და ჯარიც მხნედ მიაბიჯებდა. გამნაღმველები კი ჯერაც ისევ მათ ქვეშ, ყინულივით ცივ წყალში იდგნენ ხოლმე.

ხშირად მომხდარა, დაბომბვას მათთვის შუა მდინარეში მოუსწრია. აფეთქება ლელქაშმოდებულ ნაპირებს ანათებდა, ფოლადსა და რკინას ნაკუწ-ნაკუწ გლეჯდა და კლდოვან ფერდობებს ერთიანად აქუცმაცებდა. არ არსებობდა ამ ყველაფრისაგან ხსნა - მდინარე თხელ აბრეშუმს გავდა, ხმლის პირი რომ ფხრეწდა და ანაკუწებდა.

მან ეს ყველაფერი გამოიარა და ჰანასაგან განსხვავებით, ვი-საც სულ სხვა მდინარეები ჩარჩენოდა ხსოვნაში, იცოდა - ძილში უცებვე როგორ ეპოვა თავდავიწყება.

კი, კარავაჯო ნამდვილად აუხსნიდა გოგოს, თავფეხიანად რო-გორ ჩაძირულიყო სიყვარულში - თუნდაც ამ ფრთხილ, გაუბედავ სიყვარულში.

- მდინარე სკუტამატა მინდა გიჩვენო, - უთხრა ერთხელ, - და კიდევ, სმოუქ-ლეიქის ტბა. ის ქალი, მამაჩემს რომ უყვარდა, ტბე-ბის მხარეში ცხოვრობს და კანოეთი ცურვა უფრო ეხერხება, ვიდ-რე მანქანის მართვა. იქაური ჭექა-ქუხილი მენატრება. კლარა უნდა გაგაცნო, კანოეს დიდოსტატი - ერთადერთი, ვინც ოჯახი-დან შემომრჩა. მამაჩემმა ის ომის გამო მიატოვა. დაკრა ფეხი და წავიდა საომრად.

თავდაჯერებულად, ჯიუტად მიაბიჯებს ღამის სიბნელეში კარ-ვისაკენ. გზა არ ეშლება. ხეების ფოთლებში მთვარის შუქი იმ-ცვრევა. თითქოს საცეკვაო დარბაზშია და მრგვალი, მოსარკული ბურთის სხივებში ბანაობს. კარავში შედის, მკერდზე ადებს ბიჭს ყურს და ისე უსმენს მის გულისცემას, თითქოს ნაღმის მექანიზმის წიკწიკს აყურადებდეს. ნაშუაღამევის ორი საათია. მის გარდა, ირგვლივ სუყველას სძინავს.

IV

ქაიროს სამხრეთი უბანი 1930-1938

ასეულობით წლის მანძილზე, ჰეროდოტეს შემდგომ, დასავლურ სამყაროს თითქმის არანაირი ინტერესი არ გამოუვლენია უდაბნოს მიმართ და ასე გრძელდებოდა XX საუკუნის დამდეგამდე. ძვ. წ. აღ. 425 წლიდან მეოცე საუკუნის დასაწყისამდე ევროპელები შეგნებულად არიდებდნენ მას თვალს და დიდად მასზე არც ლაპარაკით იწუხებდნენ თავს. XIX საუკუნე მდინარეთა მაძიებლების ასწლეულად იქცა, შემდეგ კი - უკვე მეოცეს 20-იანი წლებიდან, დედამიწის ხმელის ამ იდუმალი კუთხის ისტორიას ნაგვიანევი, თუმც კი ერთი შეხედვით სასიხარულო და სასიამოვნო მინაწერი გაუჩნდა. მოხალისე მკვლევრები საკუთარი სახსრებით შეუდგნენ სხვადასხვაგვარი ექსპედიციების მოწყობას, შემდეგ კი გაწეული საქმიანობის შედეგებს ლონდონში, კენსინგთონის უბანში მდებარე სამეფო გეოგრაფიულ საზოგადოებას აწვდიდნენ. ეს, ძირითადად, ქანცგამოცლილი, უდაბნოს მწველი მზით გათანგული ადამიანები იყვნენ, ჯოზეფ კონრადის მეზღვაურებისა არ იყოს, ცოტა უხერხულად რომ გრძნობდნენ თავს ქალაქის ტრანსპორტში.

გარეუბნის მატარებლებით გეოგრაფიული საზოგადოების სხდომებზე მოჩქარე ამ ხალხს ხშირად ებნეოდა გზა, ბილეთიც ეკარგებოდათ, ოღონდ არასდიდებით ხელს არ გაუშვებდნენ თავიანთ გაქექილ ზურგჩანთებს, რომლებშიც ძველი რუკები და ჩანაწერები ელაგა. ამოუცნობი ადგილების ეს რომანტიკოსი მკვლევრები ლონდონისკენ, როგორც წესი, საღამოს ექვსი საათისთვის მოეშურებოდნენ - მაშინ, როცა ყველა „ნორმალუ-

რი“ ლონდონელი შინისაკენ მიიჩქაროდა. სწორედ ეს იყო დღე-ღამის ის მონაკვეთი, როცა განმარტოება შეეძლოთ. კენსინგთონის უბანში მოხვედრილები, სახელდახელოდ წაიხემსებდნენ ხოლმე „ლაიონზ-ქორნერ-ჰაუზში“, მერე გეოგრაფიული საზოგადოების შენობაში შევიდოდნენ, სალექციო დარბაზის ზედა რიგში მოიკალათებდნენ სადმე, მაორების ტომის ვეება კანოეს შორიახლო, და ერთხელ კიდევ შეუდგებოდნენ საკუთარი ჩანაწერების გადამოწმებას. სხდომა-განხილვები კი ზუსტად საღამოს რვა საათზე იწყებოდა.

ლექციებს ორ კვირაში ერთხელ კითხულობდნენ და ყველაფერი ჩვეულებრივად, წესისა და რიგის მიხედვით ხდებოდა: კათედრასთან ვიღაც მოხსენებისთვის იკავებდა ადგილს, ვიღაც - მადლობის სიტყვის წარმოსათქმელად. მიღებული შედეგების პრაქტიკულ მნიშვნელობას მეტწილად უკანასკნელი გამომსვლელი განსაზღვრავდა თუ ადასტურებდა. კრიტიკული შენიშვნებიც გამოითქმებოდა ხოლმე, ოღონდ - საქმიანად, თავაზიანად, ზედმეტი ვნებათაღელვის გარეშე. ყველა ერთხმად აღიარებდა - მთავარი მომხსენებლები ფაქტებს ეყრდნობიანო და ყველაზე თამამ წამოწყებებსაც კი სრულიად მშვიდად ეგებებოდნენ.

ჩემი მოგზაურობა ლიბიის უდაბნოში - სოკუმიდან ელ-ობეიდამდე, ერთ-ერთი იმ სახმელეთო გზით განხორციელდა, რომელიც უაღრესად ყურადსაღები გახლავთ გეოგრაფიული თვალსაზრისით...

მუხის ფიცრებაკრულ ამ დარბაზში არასოდეს საუბრობდნენ, რა დრო და სახსრები დასჭირდა ამა თუ იმ ექსპედიციის დაგეგმვას, მომზადებასა და განხორციელებას. იყო შემთხვევა, როცა მავანმა მომხსენებელმა დამსწრეთ ანტარქტიდის ყინულებში ჩაკარგული 30 ადამიანის დაღუპვის ამბავი ამცნო. ასევე უემოციოდ, მშვიდად იღებდნენ ხოლმე ცნობას უდაბნოში, გაუსაძლისი

სიცხისა თუ ქვიშის ქარაშოტების მიზეზით გარდაცვლილთა თაობაზე. ნებისმიერი ადამიანური ფაქტორი და მატერიალური შეჭირვება ყურადღების მიღმა რჩებოდა; ამ კედლებში განხილვას არ ექვემდებარებოდა თითქმის არაფერი, „დედამიწის ზედაპირის გეოგრაფიული თვალსაზრისით ყურადსაღები თავისებურებების“ გარდა.

ნილოსის დელტის მელიორაციულ ქსელთან დაკავშირებით, რამდენადაა შესაძლებელი, ფართოდ იქნას გამოყენებული კიდევ სხვა ქვაბულები, ვადი-რაიანის ზემორე განხილულის გარდა? მართალია თუ არა, რომ ოაზისებში თანდათანობით ქრება არტეზიული ჭები? სად შეიძლება ვეძებოთ იდუმალებით მოცული ზერზურა? დარჩა თუ არა კიდევ გამოუკვლევი ოაზისები? სად მდებარეობს პტოლემეს მიერ ნახსენები კუს ჭანჭრობები?

ეგვიპტის უდაბნოს კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, ჯონ ბელი ამგვარ შეკითხვებს ჯერ კიდევ 1927 წელს სვამდა. სამიოდე წლის შემდეგ, გაზეთებში კიდევ უფრო მოზომილი ცნობებიც გამოჩნდა: მინდა რამდენიმე სიტყვა დავამატო ხარგას ოაზისის პრეისტორიული ადგილმდებარეობის უაღრესად საინტერესო საკითხს...

ოცდაათიანი წლების შუახანებისათვის ზერზურა გრაფ ლადისლაუს დე ალმაშის ექსპედიციამ აღმოაჩინა.

1939 წელს დასრულდა ლიბიის უდაბნოს შესწავლის დიადი ათწლეული, და დედამიწის ეს ვეება, მდუმარე ნაწილი საომარი მოქმედებების ასპარეზად იქცა.

მწვანედ მოხატულ ოთახში მწოლიარე დამწვარი პაციენტი წარმოსახვის თვალით უკიდეგანო შორეთს გასცქერის - ზუსტად იმ რავენელი მკვდარი რაინდივით, რომლის მარმარილოს ქანდაკიც ასეთი ცოცხალი, ლამის სულჩადგმული გეჩვენება, როცა

ქვის სარეცელიდან წამოწეულ, უსასრულობას მიჩერებულ მის სახეს შესცქერი. უფრო მეტს ხედავს, ვიდრე ნანატრ წვიმას აფრიკაში, ვიდრე ქაიროში გატარებული ცხოვრების სურათებს. ჰანა ფერხთით უზის და ერთგული საჭურველმტვირთველივით, მასთან ერთად მიუყვება გაუთავებელ გზას.

1930 წელს გილფ-ქებირის პლატოს მივადექით და მისი დიდი ნაწილის რუკის შედგენაც დავიწყეთ. თუმცა, არც ზერზურად წოდებული დაკარგული ოაზისის ძებნაზე აგვიღია ხელი. აკაციების ქალაქის.

ჯგუფში, რომელიც ევროპელ „მეუდაბნოეთაგან“ შედგებოდა, რამდენიმე კაცი ვიყავით: ჯონ ბელი, ვისაც გილფი ჯერ კიდევ 1917 წელს მოეხილა; ქემალ ელ დინი; ქვიშის ზღვისკენ მიმავალი სამხრეთის გზის აღმომჩენი ბაგნოლდი; უდაბნოების კვლევის ჟინით შეპყრობილი მედოქსი; მისი აღმატებულება, უასფი ბეი; ფოტოგრაფი კასპარიუსი; გეოლოგი, დოქტორი კადარი და კიდევ ბერმანი. გილფ-ქებირი ვეება, მედოქსის თქმით - „შვეიცარიისხელა“ პლატოა ლიბიის უდაბნოში და ის იქცა სწორედ ჩვენს გულისგულად. ის მდორედ, თანდათანობით დაბლდება ჩრდილოეთისკენ, მისი ფერდები კი აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ ციცაბოდ ეშვება. თავად პლატო ნილოსიდან დასავლეთით - 400 მილის დაშორებით მდებარეობდა.

ძველი ეგვიპტელები ალბათ ფიქრობდნენ, რომ ოაზისების სამხრეთით უკვე არც აღარაფერი იყო - მათი სამყარო იქ თავდებოდა, რადგან უდაბნოში წყალს ვერ იშოვიდი. მაგრამ უდაბნოს უკიდეგანო სივრცეებში მივიწყებული ისტორია იღვიძებს. ოდესღაც აქ ტებუსა და სენუსის ტომები დაეხეტებოდნენ და საკუთარი ჭებიც ჰქონდათ, რომელთა ადგილმდებარეობასაც მკაცრად ასაიდუმლოებდნენ. ხმები დადიოდა - სადღაც, ამ უდაბნოს წიაღ-

ში, ნოყიერი მიწებია გადაშლილიო. XIII საუკუნის არაბი ავტორები ზერზურასაც ხშირად იხსენიებდნენ - ხან როგორც „პატარა ჩიტების ოაზისს“, ხან კიდევ - როგორც „აკაციების ქალაქს“. აი, „დამალული განძეულის წიგნში“ კი მას უკვე თეთრი ქალაქი ჰქვია, „მტრედივით ქათქათა“.

ლიბიის რუკას დახედე და ყველა გვარ-სახელს იქ ამოიკითხავ: ქემალ ელ დინმა 1925 წელს, თითქმის სხვის დაუხმარებლად წამოიწყო პირველი თანამედროვე დიდი ექსპედიცია. მერე, 1930-32 წლებში, მას ბაგნოლდი მიჰყვა. 1931-37 წლებში - ალმაში და მედოქსიც იქით გაემგზავრნენ, ზუსტად კირჩხიბის ტროპიკის ჩრდილოეთით.

მთელი ის წლები ორ ომს შორის, ერთი მუჭა დაუღალავი მკვლევრების ჯგუფად ვრჩებოდით, რუკას-რუკაზე ვადგენდით და ჯერი-ჯერზე ხელახლა გავდიოდით ხოლმე შუა უდაბნოში. შეხვედრის ადგილად დაჰლას ან კუფრას ვირჩევდით, როგორც რომელიმე კაფესა თუ ბარს. ბაგნოლდმა „ოაზისის საზოგადოება“ შეგვარქვა. არც ჩვენ გვწყენია, რადგან უკვე კარგა ხანია ვიცნობდით ერთმანეთს და საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებსაც მშვენივრად ვაცნობიერებდით. ამიტომ, მასაც ვპატიობდით ჩვენდამი ერთგვარ აგდებულ დამოკიდებულებას, ვინაიდან ქვიშის დიუნების ესოდენ ხატოვნად აღწერა ვერცერთმა ჩვენგანმა ვერ მოახერხა: დატალღული ქვიშა ძაღლის სასის უსწორმასწორო ნაოჭებს ჰგავს. აი, ასეთი კაცი იყო ჩვენი ბაგნოლდი. ცნობისწადილს აყოლილი, მზად იყო, ძაღლისთვისაც კი ჩაეყო ხახაში ხელი.

1930 წელია. ჩვენი პირველი ექსპედიცია, როცა ჯაგბუბიდან სამხრეთისაკენ დავიძარით უდაბნოში. იმ ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ შეხვდებოდი კაცი ზუვაიასა და მაჯაბრას ტომების მონარჩენებს. შვიდი დღის სავალი იყო ელ-თაჯამდე. მედოქსი, ბერმანი და ოთხიც სხვა. რამდენიმე აქლემი, ცხენი და ძაღლი. გზას დავა-

დექით და ყოვლად ბრიყვული ხუმრობაც დაგვაწიეს: გზის დასაწ-ყისში დაწყებული სილის ქარბუქი გზის ბოლოს ბედს გწევთო...

პირველ დღეს სამხრეთისკენ ოციოდე მილი ვიარეთ და მერე დავბანაკდით. დილით უკვე ხუთ საათზე წამოვიშალეთ. ისე ციოდა, ძილი შეუძლებელი აღმოჩნდა. კოცონს შემოვუსხედით. ირგვლივ წყვდიადი გვერტყა. ზემოდან უკანასკნელი ვარსკვლა-ვები დაგვნათოდა სუსტად. მზის ამოსვლამდე კიდევ ორი საათი მაინც რჩებოდა. სიცივესთან გასამკლავებლად, ცხელ ჩაის დავე-წაფეთ. ნახევრადმძინარე აქლემები კურკებიანად შეექცეოდნენ ფინიკს. ვისაუზმეთ და სანამ დავიძრებოდით, კიდევ სამ-სამი ჭი-ქა ჩაი დავლიეთ.

რამდენიმე საათის შემდეგ კი, სად იყო და სად არა, ქვიშის გრიგალი ამოვარდა და ერთბაშად დაგვავიწყა დილის გამჭვირ-ვალე სიკამკამე. ნიავი ნელ-ნელა მოძლიერდა. უდაბნოს ზედა-პირსაც ეტყობოდა მოსალოდნელი ცვლილება. ერთი ეგ წიგნი მომაწოდე... აი, ეს ადგილი ნახე. ნახე, რა კარგად აქვს აღწერი-ლი ჰასანეინ-ბეის ზუსტად ამნაირი გრიგალები:

იფიქრებ, მიწისქვეშ ათასობით ნახვრეტიანი გამათბობელი მილებია ჩაყრილიო და ამ ნახვრეტებიდან ორთქლის წვრილ--წვრილი ენები სავსავებენ. ქვიშა ზემოთ იწევს და მერე ქარაშო-ტებად ბზრიალებს ჰაერში. ქარი ძლიერდება, ნელ-ნელა დედა-მიწაც ქარაშოტების წყებად იქცევა. ასე გეჩვენება, რაღაც შინა-გან ძალას დაქვემდებარებული, მთელი უდაბნო ერთიანად აზავ-თდაო. კენჭები მტკივნეულად გეხლება წვივებზე, მუხლებზე, თე-ძოებზე... წვრილი ქვიშა კი თვალებს გივსებს და თმაში გრჩება. ცა ბნელდება, ლამის აღარაფერი ჩანს - ქვიშადქცეული სამყა-როს მეტი...

გაჩერება არ შეიძლებოდა. ერთადერთი ხსნა მოძრაობა იყო. როცა ასეთ დროს ჩერდები, წამსვე ქვიშის ტყვე ხდები და ისიც ისე ჩაგმარხავს, როგორც უსულო საგანს. ჩაგმარხავს და სამუ-

დამოდ გაგაქრობს კიდეც. ასეთი გრიგალი ზოგჯერ ხუთი საათიც კი გრძელდება ხოლმე. მერეც, როცა უკვე საბარგო მანქანებით მივდი-მოვდიოდით, ერთ ადგილზე მაინც არასოდეს გავჩერებულვართ - გინდაც გზის დანახვა საერთოდ შეუძლებელი ყოფილიყო. მაგრამ ყველაზე უარესი მაინც ისაა, როცა ქვიშის გრიგალი ღამით ამოვარდება: ერთხელ ჩვენც დაგვემართა ასეთი რამე - კუფრადან ჩრდილოეთით, დილის სამ საათზე. ქარმა კარვების დასამაგრებელი კავები ამოგლიჯა და ჩვენც კარვებიანად გაგვიტაცა, ისე ჩაგვაყურყუმალავა ქვიშაში, როგორც ჩასაძირად განწირული გემი წყალში. უკვე სული გვეხუთებოდა, როცა ბედად ვიღაც მექარავნემ გადაგვარჩინა.

ცხრა დღეში სამი ეგეთი გრიგალი გამოვიარეთ. გზა აგვებნა და ის რამდენიმე პატარ-პატარა დასახლებაც ვეღარ ვიპოვეთ, სადაც საკვების მარაგის შევსებას ვვარაუდობდით. ჩვენი ცხენიც სადღაც გაქრა. სამი აქლემი მოგვიკვდა. ბოლო ორი დღე აღარაფერი გვიჭამია, მარტო ჩაის ვსვამდით. სამყაროსთან დამაკავშირებელ ბოლო ძაფად გაჭვარტლული ჩაიდნის რახუნი, გრძელი კოვზი და ის ალუმინის ტოლჩაღა გვრჩებოდა, დილის ბინდბუნდში ხელიდან ხელში რომ გადავცემდით ერთმანეთს. აი, რამ გადაგვარჩინა - კოცონის სითბომ და ერთმა ტოლჩა მღვრიე, ყავისფერმა სითხემ.

მხოლოდღა იღბლის წყალობით მივადექით ქალაქ ელ-თაჯს, უდაბნოში. იქაურ ბაზარში გავიარ-გამოვიარე, სადაც საათებს, ბარომეტრებს, თოფებს, იტალიურ ტომატის წვენსა თუ ბენღაზიდან ჩამოტანილ კონსერვებს, ეგვიპტურ მიტკალს, სირაქლემას ბუმბულის სამშვენისებს - ყველაფერს გვერდიგვერდ ყიდდნენ. იქვე კბილის ექიმსაც დაედგა კარავი და თავის სამსახურს გვთავაზობდა. ვიღაცები წიგნებითაც ვაჭრობდნენ. გრიგალგამოვლილებს, ჯერაც კრიჭა გვქონდა შეკრული და ყველანი ჩვენ-ჩვენ საფიქრალს ვფიქრობდით. ამ ჩვენთვის სრულიად უცხო და ახალ

სამყაროშიც ისე ნელ-ნელა, გაჭირვებით შევდიოდით, თითქოს წყალნაყლაპებს, ძლივს დაგვიბრუნეს სუნთქვა. მერე ელ-თაჯის მთავარ მოედანზე ვისადილეთ. შემწვარი ბატკნის ხორცი, ფლავი, ბადავის ღვეზელი და დანაყილნუშგარეული რძე მივირთვით.

ერთხელ, 1931 წელს, ბედუინების ქარავანთან ერთად მომიწია მგზავრობა და სწორედ მათგან შევიტყვე - უდაბნოში კიდევ ერთი სხვა მკვლევარიც გამოჩნდაო. ეს ვინმე ფენელონ-ბარნესი გამოდგა, პრეისტორიული ხეების კატალოგის შედგენით რომ იყო დაკავებული. მისი ბანაკი მოვძებნე, თუმცა თავად ადგილზე არ დამიხვდა, რადგან ერთდღიან ექსპედიციაში წასულიყო. მის კარავში შესვლის ნებართვა ვითხოვე და იქაურობა მოვათვალიერე: დასტა-დასტა რუკები, საოჯახო ფოტოები, რასაც მუდმივად დაატარებდა და სხვა ეგეთები. უკვე გამოსვლისას, ტყავით გაწყობილ კედელზე მიმაგრებული სარკეც შევნიშნე, რომელშიც საველე საწოლი ირეკლებოდა. საწოლზე გადაფარებული საბანი გადავწიე და პატარა არაბი გოგონა აღმოვაჩინე - ხელ--ფეხშეკრულს ჩასძინებოდა.

1932 წლისათვის, ბაგნოლდმა თავისი ექსპედიცია მოამთავრა; მედოქსი და სხვები კი მთელ უდაბნოში იყვნენ მიმოფანტულნი - ვინ კამბიზის გამქრალ-გაუჩინარებულ ჯარს დაეძებდა, ვინ - ზერზურას. ასე გრძელდებოდა მთელი 1932, 1933 და 1934 წლები. თვეობით ვერ ვხედავდით ერთმანეთს. იმ არემარეში ჩვენ გარდა, ბედუინთა მეტი არც არავინ გამოჩენილა. უდაბნოს არაერთი ტომი ვნახე. მსგავსი სილამაზის ხალხი არასოდეს და არსად შემხვედრია. თავის მხრივ, სულ არ ადარდებდათ ჩვენი წარმომავლობა - ინგლისელები ვიყავით თუ გერმანელები, უნგრელები თუ - აფრიკელები. თანდათან ჩვენი ეროვნება ჩვენთვისაც სულერთი გახდა. ის კი არა, გონებაში მთლიანად წაგვეშალა კიდეც ეს ცნება და პირადად ჩემთვის, ცოტა არ იყოს, საძულველიც გახდა ასეთ რამეზე ფიქრი. საკუთარი თუ სხვისი ეროვნული მი-

კუთვნებულობის მუდმივი განცდა შიგნიდან ანგრევს ადამიანს. მედოქსიც სწორედ ამან დაღუპა.

უდაბნოს ვერც დაიჩემებ და ვერც დაეპატრონები: ქარით მოტაცებული ნაჭრის ნაკუწივითაა - ვერც ქვებით გააჩერებ ადგილზე და ასობით სხვადასხვა სახელითაც ჯერ კიდევ მანამდეა მონათლული, ვიდრე კენტერბერი აშენდებოდა, დიდი ხნით ადრე, სანამ ომები თუ დაზავებები მთელ ევროპასა და აღმოსავლეთს მოედებოდა. აქაური ქარავნები, აქაური ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ადათ-წესები თუ კულტურები უკვალოდ გაქრნენ, აღარაფერი დარჩა მათგან, მინავლებული კოცონის ფერფლის მსგავსიც კი. ნებისმიერ ჩვენგანს - იმათაც, ვისაც ევროპაში ოჯახი და ცოლ-შვილი ელოდა, სწორედ ისე უნდოდა მოეშორებინა საკუთარი ეროვნული წარმომავლობის გარსი, როგორც ძველი, სრულიად უსარგებლოდ ქცეული აღჭურვილობა. ეს წმინდა ადგილი იყო და ჩვენც მასში ვითქვიფებოდით და ვქრებოდით, გარემოს ვენივთებოდით. მხოლოდ ცეცხლი და ქვიშა. ზურგსუკან რჩებოდა ოაზისთა ნავსაყუდლები - ის ადგილები, რომელთაც წყალი სწყალობდა... აინი, ბირი, ვადი, ფოგარა, ხოთარა, შადუფი - რა მშვენიერი სახელებია, რა დიდებული! მათ გვერდით საკუთარის ხსენებისაც კი მრცხვენოდა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოშალო შენი გვარ-სახელი, შენი ეროვნება, და სწორედ უდაბნომ მასწავლა ამგვარი რამეები.

და მაინც, ვიღაც-ვიღაცებს იქაც უნდოდათ საკუთარი კვალის დამჩნევა. მდინარის ამ დამშრალ კალაპოტში. ანდა - ქვიშის ამ ტალღებზე... აქაც, სუდანიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ, კირენაიკადან სამხრეთით, მიწის ამ ნაგლეჯზეც ვერ გაექცეოდი პატივმოყვარეობის ჯიუტ დაჟინებას. ასე მაგალითად, სწორედ ფენელონ-ბარნესმა მოინდომა, მის მიერვე აღმოჩენილ უძველეს ხეებს მისი სახელი მინიჭებოდა. ეგ კი არა, საკუთარი გვარ-სახელის ადგილობრივი ტომისთვის დანათვლაც მოიწადინა და

მთელი წელიწადი მოლაპარაკებებს აწარმოებდა ამის თაობაზე. ოღონდ ბაუჰანმა მაინც აჯობა და ახლა ქვიშის ბარხანების ერთ-ერთი ნაირსახეობა მისი გვარით იხსენიება ხოლმე. მე კი ვერაფერს ვუხერხებდი ჩემივე ვინაობისა და წარმომავლობის ერთხელ და სამუდამოდ წაშლა-გადაშლის საოცარ მოთხოვნილებას. ომის დასაწყისისთვის, უკვე ათი წელი მქონდა უდაბნოში გატარებული და სრულიად უბრალოდ შემეძლო ნებისმიერ საზღვარზე ისე გადასვლა-გადმოსვლა, არცერთი ქვეყნისა და ერისადმი კუთვნილებას არ შევეწუხებინე.

1933 თუ 1934 წელი იდგა, ზუსტად ვეღარც ვიხსენებ. მედოქსი, კასპარიუსი, ბერმანი, მე და ორი სუდანელი მძღოლი ვიყავით ერთად. უკვე ფართოსაბურავებიანი ფორდის სატვირთო მანქანებით დავდიოდით უდაბნოში. ქვიშაზე სასიარულოდ, ჰაერით დაბერილ საბურავებს არაფერი სჯობდა, მაგრამ აი, ქვებსა და წვეტიან შვერილებზე როგორ იქნებოდა საქმე, ჯერ არ ვიცოდით.

22 მარტია, ხარგადან გამოვდივართ. მე და ბერმანმა წინდაწინ გავთვალეთ, რომ ჯერ კიდევ 1838 წელს, უილიამსონის მიერ აღწერილი სამი დამშრალი მდინარის კალაპოტის გადაკვეთის ადგილთან უნდა გვეძებნა ზერზურა.

გილფ-ქებირიდან სამხრეთ-დასავლეთით სამი, ერთმანეთისაგან განცალკევებული გრანიტის მასივი მდებარეობს - ჯებელ-არქენუ, ჯებელ-უვეინატი და ჯებელ-კისუ. ისინი ერთმანეთისაგან დაახლოებით სამი-ხუთი მილითაა დაშორებული. ზოგიერთ ხეობაში წყალიც მოინახება, თუმცა ჯებელ-არქენუს ჭებში მას მწარე გემო დაკრავს და მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას თუ დაილევა. უილიამსონი წერდა, ზერზურა იქ მდებარეობს, სადაც სამი მდინარის კალაპოტი იკვეთებაო, მაგრამ ზუსტ ადგილს არ ასახელებდა და ამიტომ, მის ამ მტკიცებას ყველა გამონაგონად მიიჩნევდა. არადა, ამ მთიანეთში წვიმის წყლით სავსე, ვულკანის კრატერის მსგავსი თუნდაც ერთი ოაზისის პოვნა თავისთა-

ვად ახსნიდა, როგორ მოახერხეს კამბიზმა და მისმა ლაშქარმა ასეთი უდაბნოს გადავლა; როგორ შეეძლოთ სენუსის ტომის რაზმებს, დიდი ომის დროს თავდასხმების განხორციელება და როგორ მოდიოდნენ აქამდე სამხრეთელი ჯანიანი, შავკანიანი ადამიანები, როცა არც საჭმლის მარაგი ჰქონდათ და არც წყლისა. უდაბნო ის სამყაროა, სადაც ცივილიზაცია ასწლეულების მანძილზე არსებობდა, სადაც ათასობით გზა და ბილიკი იკვეთებოდა და იტოტებოდა.

აბუ-ბალასში კლასიკური ბერძნული ამფორების ალი-კვალი დოქები ვიპოვეთ. ასეთი დოქების თაობაზე წერს სწორედ ჰეროდოტეც.

ელ-ჯოფის სიმაგრეში მე და ბერმანი ერთ მეტად უცნაურ, გველისდაგვარ ბერიკაცს ვესაუბრებით. ქვის კედლებიან დარბაზში ვსხედვართ, სადაც ერთ დროს სენუსთა ტომის დიად შეიხს ბიბლიოთეკა ჰქონია გამართული. ბერიკაცი ტებუს ტომიდანაა - ქარავნებს მეგზურობს და არაბულად თავისებური აქცენტით ლაპარაკობს. მოგვიანებით, ბერმანი ჰეროდოტეს მოიშველიებს და იტყვის: „ღამურების ავისმომასწავებელი წრიპინივითო“. მთელი დღე ვისაუბრეთ, ოღონდ ჩვენთვის საჭირო ვერაფერი დავტყუეთ. მისი ტომის მთავარი წესია - უდაბნოს სტუმრებს ცოცხალი თავით საიდუმლო არაფერი გაუმხილონ.

ვადი-ელ-მელიქში ჩვენთვის სრულიად უცნობი ჯიშის ჩიტებსაც გადავაწყდით.

ხუთ მაისს კლდეზე ავცოცდი და მეორე მხრიდან, აქამდე უვალი გზით მოვხვდი უვეინატის პლატოზე. ფართო ველზე ვარ, დამშრალი მდინარის ადგილას რომ გადაშლილა, სადაც უხვად ხარობს აკაციები.

ერთ დროს, რუკების შემდგენლები მათ მიერ აღმოჩენილ ახალ-ახალ ადგილებს საკუთარ კი არა, თავიანთი სატრფოების სახელებს არქმევდნენ. გადააწყდებოდი ოაზისს და მობანავე გო-

გოს, სხეულს რომ თხელი მუსლინი უფარავდა; ჰკიდებდა თვალს ძველი არაბი პოეტი გოგოს ქათქათა მხრებს და იქაურობის სახელიც მზად იყო! დარწმუნებული ვარ, ასევე გაჩნდებოდა სახელი ზერზურა.

აი, ასე შეიძლება ადამიანი ისტორიაში მოხვდეს, თითქოსდა შემთხვევით აღმოჩენილ ჭაში ჩავარდაო, რომლის ბნელ სინოტივეში მოურეველი ცდუნება ჩნდება, არასოდეს მიატოვოს იქაურობა. ჩემი ყველაზე ძლიერი სურვილი იყო აქ, ამ აკაციებს შორის დარჩენა. მივაბიჯებდი მიწაზე, რომელზეც ნამდვილად ვერ იტყოდი - ადამიანს ჯერ ზედ ფეხი არ დაუბიჯებიაო: პირიქით, მრავალი ასწლეულის განმავლობაში აქ უამრავ სხვადასხვა ადამიანს ევლო, ამ ხეებს უამრავი მოვლენა ენახათ - XIV საუკუნის დროინდელი ლაშქარიც, ტებუს ტომის ქარავნებიცა და სენუსის მომხდურთა შემოტევებიც, 1915 წელს. ამ მოვლენათა შორის კი აქ არაფერი ხდებოდა. როცა გვალვა ძალიან გაჭიანურდებოდა, აკაციები ხმებოდა და მდინარის კალაპოტებიც შრებოდა მანამ, სანამ ასე, ორმოცდაათი თუ ასი წლის მერე, წყალი ისევ არ ესტუმრებოდა ამ გამომშრალ არემარეს. ეს უნებლიე მოსვლა--გაქრობა კი ისტორიისათვის ნაცნობ ლეგენდებსა და მონაჭორებს ჰგავს.

უდაბნოში წყალს ოქროზე მეტი ფასი ადევს, სატრფოს სახელივით სანუკვარია. პეშვში მოიქცევ, ტუჩებთან მიიტან და... სიცარიელეს ეწაფები. ქაიროში ქალი ზარმაცად აზიდავს თეთრ, გაწვართულ სხეულს საწოლიდან, ფანჯრიდან გადაიხრება და შიშველ მხრებს წვიმის წვეთებს მიუშვერს.

ჰანა უახლოვდება და დაჟინებით დასცქერის - ხვდება, ბოდვა დაეწყოო, თუმცა ხმას არ იღებს, არ აწყვეტინებს. ნეტა ვინაა ის ქალი?

სამყაროს დასალიერი იქ არაა, სადაც რუკებზეა მონიშნული, არც იმ წერტილებში, რომელთათვისაც გავლენის სფეროების

გაფართოების მოსურნე კოლონისტები ებრძვიან ერთმანეთს. ერთის მხრივ მსახურები, მონები, ძალაუფლების მიქცევა-- მოქცევა და გეოგრაფიულ საზოგადოებასთან მიწერ-მოწერა; მეორეს მხრივ კი - თეთრკანიანი ადამიანი დიად მდინარეზე პირველად გადადის, პირველად ხედავს უხსოვარ დროს აქ აღმართულ მთას.

სანამ ახალგაზრდები ვართ, სარკეში ნაკლებად ვიხედებით. ეს ასაკს მოაქვს, როცა უკვე სახელიც გაქვს, საკუთარი ამბავიც მოსაყოლი, იმის სურვილიც, შენს ცხოვრებას სამომავლო მნიშვნელობა მიენიჭოს და მოთხოვნილებაც - შენ შემდეგ რამე დატოვო ღირსშესანიშნავი. საკუთარი გვარ-სახელი და უპირველესად აღიარების წყურვილი, უძლიერესი არმიის შექმნის მოურეველი ჟინი თუ ყველაზე გამჭრიახ სოვდაგრად აღიარების მოთხოვნილება, პატივმოყვარეობას აჩენს და კვებავს. როცა ნარცისი მობერდა, მოითხოვა - ქვაში გამოეკვეთათ.

აი ჩვენ კი იმის გაგება გვეწადა, რა ფასი და მნიშვნელობა შეიძლებოდა გვქონოდა წარსულში. ჩვენ უკვე გარდასული დროისაკენ მივცურავდით. ახალგაზრდები ვიყავით, ვიცოდით - ძალაუფლება და ფული წარმავალიაო. სასთუმალთან ჰეროდოტეს წიგნი გვედო.

...რამეთუ ერთ დროს აღზევებული ქალაქები ახლა დაკნინდნენ, დღეს დიადად შერაცხულნი კი ადრე უმნიშვნელონი გახლდნენ... ადამიანური ბედნიერება არასდროსაა ერთ ადგილს მიჯაჭვული.

1936 წელს ერთი ახალგაზრდა კაცი, ჯეფრი კლიფტონი, ოქსფორდში შემთხვევით გადაეყარა ძველ მეგობარს, რომელმაც ჩვენი საქმიანობის შესახებ უამბო. მერე მე დამიკავშირდა. ჩვენი საუბრის მომდევნო დღეს დაქორწინდა და, ორი კვირის თავზე, ცოლთან ერთად ჩამოფრინდა ქაიროში.

საქმე ის იყო, რომ გვარიანი მანძილების გავლა გვიხდებოდა და ბოლო-ბოლო, თვითმფრინავიც დაგვჭირდა, ეს ჩვენი კლიფტონი კი მდიდარი გახლდათ, მფრინავობაც ნასწავლი ჰქონდა, მართვაც იცოდა და რაც მთავარია, საკუთარი სპორტული თვითმფრინავიც ყავდა.

ასე შემოუერთდა ეს წყვილი იმ სამყაროს, სადაც ჩვენ ოთხნი ვიყავით: ქემალ ელ დინი, ბელი, ალმაში და მედოქსი. ჯერაც ყველას ერთი სახელი გვეკერა პირზე: გილფ-ქებირი. სწორედ იქ, შორიახლო იმალებოდა ზერზურა, რომლის პირველი ხსენებაც უკვე მეცამეტე საუკუნის არაბულ ქრონიკებში მოიძევება.

კლიფტონი ელ-ჯოფში შეგვხვდა, ჩრდილოეთით. თავის ორადგილიან თვითმფრინავში იჯდა, ჩვენ კი მთავარი ბანაკიდან გამოვედით მის შესახვედრად. კაბინაში მთელი ტანით წამოიმართა და მათარიდან ჭიქაში სასმელი ჩამოისხა. გვერდით ცოლი ეჯდა.

- ამ ადგილს „ბირ-მესაჰას სოფლის კლუბს“ ვარქმევ! - გამოგვიცხადა ყინჩად.

მის ცოლს სახეზე კეთილგანწყობილი გაუბედაობა ეწერა. ტყავის ჩაფხუტი მოიხადა და გრძელი, აფოფრილი თმა გამოაჩინა.

ისეთი ახალგაზრდები იყვნენ, ლამის შვილად გვეკუთვნოდა ორივე. თვითმფრინავიდან ჩამოვიდნენ და ერთმანეთს გულითადად მივესალმეთ.

1936 წელი იდგა. ასე დაიწყო ჩვენი ამბავი...

მოახლოებისთანავე, კლიფტონმა თავისი მათარა გამოგვიწოდა და ყველამ რიგრიგობით მოვსვით შემთბარი სასმელი. ეტყობოდა, ხაზგასმული სალამ-ქალამი უყვარდა. ამ თავისი თვითმფრინავისთვის კი, რატომღაც, „დათუნია რუპერტი“ დაერქმია. არა მგონია, თითქოსდა უდაბნო მართლა იზიდავდა, თუმცა ჩვენი შეკრული ჯგუფის მიმართ ერთგვარ მოწიწებას განიცდიდა და

ძალიან უნდოდა, თავადაც მისი წევრი გამხდარიყო - როგორც ამრევ უფროსკურსელს, უცებ რომ დადინჯდება ხოლმე, ბიბლიოთეკის საზეიმო მდუმარებაში. არ ველოდით, ახლადშერთულ ცოლთან ერთად თუ გამოგვეცხადებოდა, მაგრამ მე მგონი, გაკვირვება არც გამოგვიხატავს და არც შეგვტყობია. ქალი ჩუმად იდგა, თმაში ქვიშის ნამცეცები ჩარჩენოდა.

ნეტა ისინი როგორებს გვხედავდნენ და როგორ აღგვიქვამდნენ? იმ დროისათვის, თითოეულ ჩვენგანს უკვე გაეთქვა სახელი უდაბნოს კვლევის ისტორიაში. არაერთი ნაშრომი გვქონდა დაწერილი ქვიშის დიუნებისა და ბარხანების აგებულებაზე, ოაზისების გაქრობასა და ხელახლა გაჩენაზე, ქვიშის ამ უსასრულობაში ჩაკარგულ კულტურაზე. ისე ჩანდა, თითქოს მხოლოდ ის გვიზიდავდა, ის გვიღიზიანებდა ცნობისწადილს, რისი არც ყიდვა შეიძლებოდა და არც გაყიდვა, ეს კი, ალბათ, ნაკლებად გასაგები ჩანდა გარესამყაროსათვის. ჩვენი საუბრების თემა მეტწილად გეოგრაფიული გრძედ-განედები, ანდა - შვიდასიოდე წლის წინ მომხდარი ამბები იყო. ერთიანად კვლევა-ძიების თეორიებით ვიყავით მონუსხულები. უაღრესად საგულისხმოდ მიგვაჩნდა, ვთქვათ, ისეთი წვრილმანები, რომ თურმე ზუკის ოაზისში, აქლემების მომშენებელი აბდ ელ მალიქ იბრაჰიმ ელ ზუაია აქაურთაგან პირველი ადამიანი ყოფილა, ვისაც „ფოტოგრაფიის“ ცნება გაუაზრებია.

კლიფტონების თაფლობის თვე იწურებოდა. ისინი ბანაკში დარჩნენ, მე კი, მეგზურთან ერთად, კუფრასკენ გავეშურე, სადაც კარგა ხანი მოვანდომე დანარჩენებისაგან გასაიდუმლოებული, რაღაც ჩემი თეორიების გადამოწმებას. ელ-ჯოფის მთავარ ბანაკში მხოლოდ სამი დღე-ღამის მერეღა დავბრუნდი.

კოცონს ვუსხედით. კლიფტონები, მედოქსი, ბელი და მე. ცოტათი უკან რომ გადახრილიყავი, წამსვე წყვდიადი შთანგთქავ-

და. ქეთრინ კლიფტონმა რაღაც ლექსის კითხვა წამოიწყო და მეც თავი უნებურად უკან გადამივარდა, სიბნელეში.

სახის ნატიფი, დახვეწილი ნაკვთები ჰქონდა. მისი მშობლები უთუოდ გავლენიან, საჯარო ისტორიაში ცნობილ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდნენ. პოეზია, ზოგადად, არც არასოდეს მყვარებია, ვიდრე არ გავიგონე, როგორ კითხულობდა ლექსს ეს ქალი. აქ, უდაბნოში, ეტყობა უნივერსიტეტში გატარებული დრო გაახსენდა და, რატომღაც, ჩვენთვის გაზიარების სურვილიც გაუჩნდა - ვარსკვლავების აღწერის, სწორედ ისე, როგორც ადამი ასწავლიდა თავის ერთადერთ ქალს, დახვეწილი შედარებების მოხმობით.

სწორედ იმ ღამით შემიყვარდა ხმა. მხოლოდ ხმა, და სხვა აღარაფრის გაგონება აღარ მინდოდა. წამოვდექი და დანარჩენებს გამოვერიდე.

ის ლერწამი იყო. ნეტა, ზამთარში როგორი იქნებოდა, ჩემი ხნის? ჯერაც თვალწინ მიდგას, მუდამ - და სულ ადამის თვალით ვუცქერ. ვხედავდი, როგორ მოუხერხებლად გადმოდიოდა თვითმფრინავიდან, როგორ იხრებოდა კოცონში კიდევ ერთი ტოტის შესაგდებად, როგორ წრუპავდა მათარიდან სასმელს, ჩემკენ იდაყვგამოშვერილი.

რამდენიმე თვის შემდეგ, ქაიროში გამართულ ერთ-ერთ წვეულებაზე, ვალსი ვიცეკვეთ. მართალია, ცოტათი შექეიფიანებული კი იყო, მაგრამ სახეზე უწინდებურად შეუვალი გამომეტყველება ედო. ახლაც კი, ამდენი წლის შემდეგ, ასე მგონია, სწორედ ამგვარი გამომეტყველება ავლენდა მის ნამდვილ არსს. სწორედ ეს სახე - იმდროინდელი, როცა ორივეს ცოტათი მოგვკიდებოდა სასმელი, თუმცა საყვარლებად ჯერ არ ვქცეულიყავით.

მთელი ამ წლების მანძილზე ვცდილობდი ამომეცნო, მაინც რისი თქმა უნდოდა იმ მზერით: თავიდან მეჩვენებოდა, ამრეზილი შემომცქერის-მეთქი, ახლა კი ვფიქრობ, რომ უბრალოდ მაკ-

ვირდებოდა. ჩემი გულისნადების გაგება სურდა. თავად გამოუცდელს, რაღაც აოცებდა ჩემში, მე კი ზუსტად ისე ვიქცეოდი, როგორც ჩვეულებრივ მჩვევია ხოლმე შექეიფიანებულს, თუმცა მაშინ ის ვერ გავთვალე, სულ სხვანაირი ხალხი რომ მეხვია გარს. დამავიწყდა, ჩემზე ბევრად უმცროსი რომ იყო.

კი, რაღაცის გარკვევა სურდა. მეტი არაფერი. მე კი მის ჯიუტ მზერას ვიჭერდი და თითქოს იმ წამს ველოდი, როცა თავს გასცემდა.

ერთი ეგ რუკა მომაწოდე და მთელ ქალაქს აგიშენებ. ფანქარი მომე და სამხრეთ ქაიროში მდებარე იმ ოთახს დაგიხატავ, უდაბნოს მარშრუტები რომ დაეხაზათ კედელზე. უდაბნო არასოდეს გვანებებდა თავს. ვიღვიძებდი, თვალს გავახელდი და მაშინვე ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ჩარიგებული, ძველთაძველი დასახლებების რუკას ვხედავდი - ღაზალა, ტობრუკი, მერსა-მათრუჰი - უფრო სამხრეთისკენ კი ფანქრით მიხატული, დამშრალი მდინარეების კალაპოტები და მათ ირგვლივ კიდე - ყვითელი ჩრდილები, სადაც ჩვენც ვიჭრებოდით, შიგ ჩაკარგვის იმედით.

ჩემი მიზანია, მოკლედ აღვწერო გილფ-ქებირის პლატოზე ჩატარებული რამდენიმე ექსპედიცია. მოგვიანებით, დოქტორი ბერმანიც გაგვიწევს მასპინძლობას - უკვე იმგვარ უდაბნოში, რა სახითაც ის ასობით წლის წინ არსებობდა...

აი, ასე დაიწყო მედოქსმა მოხსენება კენსინგთონში. გეოგრაფიული საზოგადოების სხდომათა ოქმებში, როგორც წესი, სასიყვარულო სცენები არ აისახება ხოლმე და ჩვენი ოთახიც ვერასოდეს მოხვდება იმ დაწვრილებით ანგარიშებში, სადაც თითოეული, სულ პაწია ბორცვი თუ ნებისმიერი ისტორიული მოვლენა მისხალ-მისხალაა აღწერილი.

ქაიროს იმ ქუჩაზე, სადაც უცხო ქვეყნებიდან ჩამოყვანილ თუთიყუშებს ყიდიან, ეგზოტიკურმა ფრთოსნებმა შეიძლება მართლა უსიამოდ გაგაოცონ თავიანთი ლაყბობით. ისინი ძაღლივი-

თაც ყეფენ, ქუჩის ბიჭებივითაც უსტვენენ და ამ ვიწრო ქუჩაბანდში ისეთი გნიასი დგას, დიდი ქალაქის მთავარ გამზირსაც რომ არ დაესიზმრება. ვიცოდი, რომელი ტომის ხალხს ჩამოეყვანა ისინი აქ პატარა, მოწნული გალიებით, რომელი აბრეშუმის გზა თუ საქარავნო ბილიკი გამოევლოთ უდაბნოში. ამ ფრთოსნებს ორმოცი დღე-ღამე უწევთ მგზავრობა მას მერე, რაც იჭერენ ან მეზობლის ბაღის ყვავილებივით იპარავენ და ბამბუკის გალიებში სვამენ; ნამგზავრებს კი იმ მდინარეში უკრავენ თავს, რომელსაც სახელად აღებ-მიცემობა ჰქვია.

მათ შორის მივაბიჯებდით. ქალაქს ვათვალიერებინებდი. ქალისთვის აქ ყველაფერი ახალი და უჩვეულო ჩანდა.

უცებ მაჯაზე მომკიდა ხელი.

- სიცოცხლეც რომ შემოგწირო, უარს მეტყვი, არა?

არაფერი მიპასუხია.

V

ქეთრინი

როცა პირველად დაესიზმრა, ქმრის გვერდით მძინარეს, ამოიკვნესა და უცებ გამოეღვიძა.

ზეწარს დაშტერებული და პირდაღებული იჯდა საწოლზე. ქმარი ზურგზე შეეხო ნაზად.

- ეგ არაფერი, რაღაც დაგესიზმრა...

- ჰო.

- წყალი მოგიტანო?

- მომიტანე.

თავად განძრევაც კი არ შეეძლო და არც იქ დაბრუნება, სადაც ამ ცოტა ხნის წინ, მასთან ერთად იმყოფებოდა.

სიზმარშიც სწორედ ამ ოთახში იყვნენ - კაცს ყელზე მოეჭირა მისთვის ხელი (ახლა თვითონაც მოისვა იმ ადგილზე თითები) და ქალი ახლაც ისევე გრძნობდა მის სიბრაზეს, როგორც მაშინ, პირველად რომ დაინახა. არა, სიბრაზეს კი არა, უფრო - გულგრილობას, გაღიზიანებას, მათ შორის ვიღაც გათხოვილი ქალის გამოჩენის გამო. ცხოველებივით გადაეხლართნენ ერთმანეთს და კაცმაც ისე მოუჭირა ყელზე, კინაღამ დაიღრჩო ვნებამორეული.

ქმარმა ჭიქით წყალი მოუტანა, მაგრამ ქალი ისე დასუსტებულიყო, ხელები უცახცახებდა. კაცმა თვითონვე მიუტანა ჭიქა ტუჩებთან. იმანაც მოსვა, ოღონდ ქლორიანი წყალი ჯერ ნიკაპზე ჩამოეღვარა, მერე კი - მკერდზეც. პირაღმა გადაწვა ბალიშზე და დადო თუ არა თავი, წამსვე გაითიშა, ისეთ ღრმა ძილს მიეცა, ადრე დასიზმრებული აღარც გახსენებია.

ეს პირველი ნიშანი იყო მისთვის. მეორე დღეს კიდევ არაერთხელ გაახსენდა ნანახი სიზმარი, მაგრამ იმდენად იყო დაკავებული, გადაწყვიტა - ამაზე საერთოდ აღარც ეფიქრა. უბრალოდ, ჩახუთული ღამე იდგა და ამანაც გამოიწვია უნებურად რაღაც ხატებისა თუ შთაბეჭდილებების შემთხვევითი აღრევა. ეს იყო სულ.

აი, ერთი წლის მერე უკვე სულ სხვა, მშვიდ, ოღონდ კი ბევრად უფრო სახიფათო სიზმრებს ხედავდა. ეგეცაა, ის სულ პირველი სიზმარი მაინც ვერ დაივიწყა, ვერ დაივიწყა კისერზე შემოჭდობილი მისი ხელები და სულმოუთქმელად ელოდა, როდის გადაიზრდებოდა შმაგ, მოუთოკავ ვნებაში ეს მოზომილი, თბილი ურთიერთობა.

და ვინ ტოვებს თქვენთვის მაგიდაზე იმ მაცდუნებელ ნამცეცებს? მერე იმ კაცისაკენ გიბიძგებს, ვისზეც ადრე არც არასოდეს გიფიქრიათ. სიზმარი. მერე - კიდევ სხვა სიზმრების მთელი წყება.

მოგვიანებით, კაცმა უთხრა - ეს სულთა ნათესაობის გამოხატულება იყოო. „ამგვარი რამ სწორედ უდაბნოში ხდება“, - თქვა მან. თანაც, ეს სიტყვათშეხამება მოსწონდა - სულთა ნათესაობა, ანუ - როცა სილა და წყალი ერთმანეთს ენათესავება, უდაბნო კი - ზღვას. მანქანაში ისხდნენ და სიჩქარეების გადამრთველის გვერდით ქალის გაოფლილ მუხლისთავს ხედავდა, მანქანის ყოველ შენჯღრევაზე რომ გამოძრავდებოდა ხოლმე - უდაბნოში მუდამ გამოძებნი დროს, ყველაფერს დააკვირდე და შენ ირგვლივ საგანთა ნებისმიერ მოძრაობაზე დაფიქრდე.

როცა ასე ლაპარაკობდა ხოლმე, ქალს უფრო მეტად სძულდა. თვალებში თავაზიანობის კვარი არასოდეს უქრებოდა, აი სულს კი მისთვის ხელის გარტყმის მოურეველი სურვილი უფორიაქებდა. ეს სურვილი არც არასოდეს გაქრობია და იმასაც მშვენივრად აცნობიერებდა, მისი წყარო სქესობრივ ლტოლვაში რომ უნდა ეძია. კაცისთვის კი ადამიანებთან ნებისმიერი ურთიერთობა

ერთ ქარგაზე იყო მოჭრილი: ის ან სულით ნათესავი იყო, ან - უცხო. მისთვის ყოველი საზოგადოებრივი ჯგუფი ჰეროდოტეს ისტორიაში უკვე ერთხელ და სამუდამოდ გამოკვეთილიყო და ჩამოყალიბებულიყო. თავადვე აღიარებდა - ამქვეყნად უკვე იმდენი რამ ვნახე, კაცმა რომ თქვას, ამ რამდენიმე წლის წინ შეგნებულადაც კი გავერიდე ყველაფერს და ახლა მხოლოდ იდუმალი, სანახევროდ ამოცნობილი უდაბნოს სამყაროღა შემომრჩაო.

ქაიროს აეროდრომზე მთელი მოწყობილობა მანქანებზე დატვირთეს, და ისიც შეამოწმეს, ავზები თუ იყო საწვავით სავსე. მეორე დილით მისი ქმარი და კიდევ ორნი პატარა თვითმფრინავით ექსპედიციაში აპირებდნენ გამგზავრებას. მედოქსი რომელიღაც საელჩოში გაემართა დეპეშის გასაგზავნად, თვითონ კი - როგორც ყოველთვის, ქაიროდან გამგზავრების წინ - უგონოდ დათრობას აპირებდა. ჯერ მადამ ბადინის კაზინო „ოპერას“ ესტუმრებოდა, მერე კი ძველი ქალაქის ქუჩებში ჩაიკარგებოდა. თავის ნივთებს ახლავე, საღამოს დადგომამდე ჩაალაგებდა, რათა ხვალ დილით ზედმეტი ფაციფუცი არ დასჭირვებოდა, ეგრევე მოეგდო მხარზე ზურგჩანთა და მანქანის ძარაზე შემხტარიყო.

მოკლედ, მანქანით წამოიყვანა ქალაქში ქალი. ჰაერი დატენიანებულიყო და მოძრაობაც ჭირდა, იმდენი მანქანა ირეოდა გზაზე.

- ცხელა. ლუდს დავლევდი სიამოვნებით. თქვენ არ გინდათ?

- არა. ჯერ კიდევ ბევრი საქმე მაქვს მოსამთავრებელი. ბოდიშს კი გიხდით, მაგრამ უჩემოდ მოგიწევთ.

- ეგ არაფერი, - უთხრა ქალმა, - თქვენი გეგმების არევა არც მიფიქრია.

- მერე დავლიოთ, როცა დავბრუნდები.

- ეგ როდის, სამ კვირაში?

- დაახლოებით.

- ნეტა თქვენთან ერთად მეც მოვდიოდე.

ამაზე კაცს არაფერი უპასუხია. ბულაკის ხიდზე გადავიდნენ და უფრო დიდ საცობში მოხვდნენ. ქუჩაში უამრავი ადამიანი მიდი--მოდიოდა და მოძრაობა ჭირდა. სამხრეთისკენ გადაუხვია, ნილოსის გაყოლებით გააგრძელა გზა სასტუმრო „სემირამიდასაკენ“, სადაც ქალი უნდა ჩამოესვა.

-ამჯერად, ალბათ, მართლა იპოვით იმ თქვენს ზერზურას.

- იმედი მაქვს.

ისევ საკუთარ თავში გამოიკეტა. ქალისკენ ერთხელაც არ გაქცევია თვალი. მაშინაც კი, როცა მთელი ხუთი წუთი ერთ ადგილას გაიჭედნენ და გზას ვეღარ აგრძელებდნენ.

მხოლოდ სასტუმროს მიახლოებული, ერთბაშად თავაზიანობის განსახიერებად იქცა, ოღონდ ქალს ასეთი კიდევ უფრო ნაკლებად მოსწონდა. ისე აჩვენებდნენ თავს ერთმანეთს, თითქოს ზედმიწევნით იცავდნენ ზრდილობის წეს-კანონს, მაგრამ ორივენი ისე უხერხულად გრძნობდნენ თავს, როგორც კაბაში გამოწყობილი ფინიები. ორივემ იცოდა, რაც სწორედ ახლა სურდათ. „ჯანდაბამდის გზაც გქონია“, - გაიფიქრა გაღიზიანებულმა ქალმა. მისი ქმარი იძულებული რომ არ ყოფილიყო ამ ტიპთან ერთად ემუშავა, თავისი ნებით აღარასოდეს ნახავდა.

კაცი უკანა სავარძლიდან ბარგის გადმოღებაში მიეხმარა და უკვე აპირებდა, სასტუმროშიც შეეტანინებინა.

- არაა საჭირო, თავადვე მივხედავ.

როცა მანქანიდან გადმოდიოდა, კაცმა შეამჩნია, როგორ გაოფლიანებოდა ქალს ზურგზე პერანგი.

შვეიცარმაც გამოიდო თავი, მაგრამ კაცმა შეაჩერა: „არაა საჭირო, ქალბატონს თავად ურჩევნია საკუთარი ბარგის ზიდვა“. და ქალიც კიდევ უფრო გაღიზიანდა. შვეიცარი გაბრუნდა. ქალი მოუტრიალდა, კაცს თავისი ხელჩანთაც გამოართვა და ორივე ხელით მიიკრა მკერდზე.

- ნახვამდის. და კარგად მენახეთ.

- დიდი მადლობა. არ იღელვოთ - იმათ ყველას მე მივხედავ. საიმედო ხელში არიან.

ქალმა უხმოდ დაუქნია თავი. ჩრდილში იდგა, თვითონ კი - თითქოს პაპანაქება სიცხე არც ახსოვდა, პირდაპირ თაკარა მზის გულზე გახირულიყო.

მერე უფრო მიუახლოვდა და წამით ქალს მოეჩვენა, ჩახუტებას მიპირებსო; არადა, კაცმა მხოლოდ ცალი ხელი გაიწვდინა წინ და ისეთნაირად შეეხო ყელზე, რომ ქალმა მთელი მისი გრძელი, ოფლით დაცვარული მკლავი შეიგრძნო.

- ნახვამდის.

კაცი მანქანისკენ გამოემართა, ქალი კი ყელზე ჯერ ისევ გრძნობდა სისველეს, თითქოს ამ ხელმა სამართებელივით გადაუსერა კანი და სისხლის წვეთები გამოადინა.

ორივე ხელით ბღუჯავს ბალიშს და კალთაში იდებს, თითქოს კაცისაგან თავდასაცავადო.

- თუ ჩემთან დაწოლას მოინდომებ, იცოდე - ტყუილს ვერ ვიტყვი. მე თუ მოვინდომებ, ვერც მაგ დროს მოვიტყუები.

მერე ბალიშს უკვე გულზე იხუტებს - თითქოს უნდა, რომ საგულედან ამოხტომის ნება არ მისცეს.

- ყველაზე მეტად რა გეჯავრება? - ეკითხება კაცი.

- ტყუილი. შენ?

- მესაკუთრეობა. - პასუხობს კაცი. - როცა ჩემგან წახვალ, დამივიწყე.

ქალი მოწყვეტით იქნევს ხელს და ყვრიმალში ურტყამს მუშტს. მერე ტანზე იცვამს და მიდის.

ყოველდღე, შინდაბრუნებული, სარკეში ათვალიერებს საკუთარ სახეს. იმდენად ჩალურჯებული ყვრიმალი არ ადარდებს, რამდენადაც გამომეტყველება - თითქოს უცხო, პირველად ნანახი. მოგრძო წარბები, ჩალისფერ თმაში გამორეული ჭაღარა. ასე

დაჟინებით არასოდეს უცქერია თავისი გამოსახულებისათვის. კი, მართალია - წარბები ნამდვილად გრძელი აქვს.

რაღაც მოურეველი ძალა ექაჩება მისკენ.

თუ მედოქსთან ერთად უდაბნოში არაა გასული, ან ბერმანთან ერთად - არაბულ ბიბლიოთეკებში არ დაიარება, გროფის პარკში ხვდება ხოლმე ქალს, მსხმოიარე ქლიავის ბაღის შორიახლო. ქალი აქ უფრო ბედნიერად გრძნობს თავს, ის ხომ მწვანე ტყეებსა და გვიმრნარსაა დაჩვეული, გვალვასა და ხრიოკს ძნელად ეგუება. კაცისთვის კი ეს სიმწვანე რაღაც აღვირახსნილ კარნავალს წააგავს.

პარკიდან რკალად გაწოლილი, შემოვლითი გზით მიემართებიან ძველი ქალაქისკენ - სამხრეთ ქაიროში, იქაურ ბაზრებში, რომლებსაც ევროპელთაგან ცოტანი თუ სტუმრობენ. მის ოთახში კედლები მთლიანად რუკებითაა დაფარული. ბევრჯერ ეცადა, როგორმე სიმყუდროვე მიეცა ამ თავისი საცხოვრისისათვის, მაგრამ იქაურობა მაინც უფრო სალაშქრო ბანაკს გავს, ვიდრე მუდმივ სამყოფელს.

გვერდიგვერდ წვანან, ვენტილატორის მონაბერი ჰაერით შუბლგაგრილებულნი. მთელი ის დილა ბერმანთან ერთად იმუშავა არქეოლოგიურ მუზეუმში: ცდილობდა, არაბული ტექსტები და ევროპელთა აღწერები ერთმანეთისათვის შეეჯერებინა, რაღაც გამოძახილი, დამთხვევები, სახელწოდებათა თავისებურებანი მოეძია - ჰეროდოტესთან ნახსენებით მოყოლებული, ვიდრე „კიტაბ-ალ-კანუშამდე“, რომლის მიხედვითაც ზერზურას სახელი ოაზისში მობანავე ქალის გამო შეერქვა. იქაც ასევე სუსტად თრთოდნენ ჩრდილები ბუმბულის მარაოების ყოველ დაქნევაზე, აქ კი ახლა ბავშვობის მოგონებებს უზიარებენ ერთმანეთს, რაღაც ნაიარევზე და კოცნაობის სხვადასხვა ხერხებზე მსჯელობენ.

- არ ვიცი, რა ვქნა, მართლა არ ვიცი... რანაირად ვიყო შენთან? გაგიჟდება.

ჭრილობების ჩამონათვალი.

ათასნაირი სისხლჩაქცევები. მოყვითალო-მომწვანოდან დაწ-ყებული, მუქი ყავისფრით დამთავრებული. ხან ოთახში თეფშით ხელდამშვენებული შემოდიოდა, ამ თეფშს უცებ თავზე დააფ-შვნიდა ხოლმე და კაცის ჩალისფერი თმაც სისხლით იღებებოდა; ხან ჩანგალს ატაკებდა მხარში და მერე ექიმს ეს მელიის ნაკბენი ეგონა. სილურჯე თვალს ქვემოთ თანდათან იცვლის ფერს - ღია იისფერი ნელ-ნელა ყავისფრად უმუქდება.

სანამ ხელს მოხვევდეს, წინდაწინ ამოწმებს, შორიახლო რაიმე წვეტიანი ან მჭრელი საგნები არ იდოს სადმე. თუ ერთად არიან ხოლმე ვინმესთან სტუმრად, ნემსის ყუნწში ძვრება იმის გასახსენებლად, რამ გაუჩინა სახეზე მორიგი სილურჯე, ან თავი რატომა აქვს შეხვეული, ანდა ხელზე რატომ უსვია იოდი... თავს არ ზოგავს, გაიძახის - ტაქსიმ უცებ მკვეთრად დაამუხრუჭა და მი-ნას მივეჯახეო, ან - რაღაც ახალ-ახალ სისულელეებს იგონებს. მედოქსი მართლა შფოთავდა მის თავსდამტყდარი უბედობების ამგვარი მომრავლების გამო. ქალი კი მხოლოდ ეშმაკურად იღი-მებოდა მისი უნიჭო ტყუილების გამგონე. „ეგებ დაბერდა, უკვე სათვალე ჭირდება!“ - ეტყოდა ხოლმე მისი ქმარი მედოქსს და თან შეთქმულივით უკრავდა თვალს. „იქნებადა ქალი გაიჩინა? - ჩაერთვებოდა ხოლმე თვითონ. - აბა შეხედეთ, ნაკბენს არა გავს? ანდა - სულაც ფრხჩხილების ნაკვალევს...“

- მორიელმა მიკბინა, - ამბობდა კაცი, - Androctonus australis.

ღია ბარათი. ლამაზი, გაკრული ხელით ნაწერი.

მთელი დღე შენზე ვფიქრობ, სულ თვალწინ მიდგახარ.

სხვა აღარაფერი მახსოვს. თუ ვეღარ შეგხვდი,

ცხოვრება საბოლოოდ დაკარგავს აზრს...

ტყუილად არ ვამბობ, მართლა ასეა.

არც სახელი, არც თარიღი.

ზოგჯერ, როცა ღამითაც ახერხებს მასთან დარჩენას, ქალს ქალაქის სამი მინარეთიდან მომავალი ხმები აღვიძებს, მართლმორწმუნე მუსლიმთა დილის ლოცვის მაუწყებელი. მერე კაცი შინ აცილებს. გზად იმ ბაზარს ჩაუვლიან, სადაც ინდიგო იყიდება. მუეძინთა გამყივანი მოძახილი ისრებად კვეთს ჰაერს. ერთი მინარეთი მეორეს გასძახის, თითქოს რეპლიკებს ცვლიან ამ ორ ცოდვილზე საუბრისას, რომლებიც წმინდა ქალაქის ნახშირისა და ჰაშიშის სუნით გაჯერებულ ქუჩებს მიუყვებიან ამ სუსხიან დილით. ცოდვილები წმინდა ქალაქში.

რესტორანში ერთი ხელის მოსმით ყრის მაგიდიდან მთელ ჭურჭელს - მხოლოდ იმიტომ, რომ ქალმა მსხვრევა-მტვრევის ეს ხმა გაიგონოს, წამით მაინც ასწიოს თავი და მიხვდეს - უიმისოდ როგორ უჭირს კაცს ცხოვრება. თანაც სწორედ იმ ადამიანს, ვისაც არასოდეს განუცდია სიმარტოვე, თუნდაც შუაგულ უდაბნოში, ყველაფერსა და ყველას მოწყვეტილს. უდაბნოში მოხვედრილ კაცს შეიძლება სიცარიელე ეკავოს შეტყუპებული ხელისმტევნებით და იცოდეს, რომ სწორედ ის დაარწყულებს წყალზე მეტად. ადრეც სმენია, ელ-თაჯის შემოგარენში ერთი უცნაური მცენარე ხარობს - თუკი შეღამებულზე მას გულის მოხაზულობაზე ამოღრუტნი, უკვე დილისათვის კეთილსურნელოვანი სითხით გაივსება და თუკი გულგატეხილი ადამიანი ამ სითხეს დაეწაფება, უთუოდ დაუბრუნებს იმედსა და სასოებასო. ერთი წელი შეიძლება ამ სასმელით თავის გატანა, მერე კი მცენარე ხმება. ვინ იცის - მიყენებული ჭრილობებისა თუ სხვა რამ მიზეზების გამო?

ოთახში წევს, თავისი ფერგადასული რუკებით გარშემორტყმული. ქეთრინი იქ არაა. ისე ენატრება, ისე უჭირს უიმისოდ, მზადაა ყველა პირობითობას, ნებისმიერ დადგენილ წესს მიაფურთხოს.

უკვე აღარც აინტერესებს ამ ქალის ცხოვრება სხვა ადამიანთა გვერდით - მხოლოდ ის უნდა, იქვე ყავდეს, მხოლოდ თავად ტკბე-

ბოდეს მისი ქედმაღალი სილამაზითა და მარადცვალებადი გუნება-განწყობით. უნდა კარგა ხნის გადაუშლელი წიგნის ფურცლებივით მიეწებონ ერთმანეთს. სურს, რომ მასში გაითქვიფოს, რათა ამ ორის დაშორება-დაცალკევება უკვე ვეღარაფერმა მოახერხოს.

ქალმა მის ცხოვრებაში შემოაბიჯა და მოსვენებაც დაუკარგა.

და თუკი ის მოექცა ასე, თვითონ რა მოუტანა, თავის მხრივ?

როცა სადმე, მაღალი წრის თავყრილობებზე მოხვდებიან ხოლმე ერთად, თითქოს კედელი მიჯნავთ და კაციც, სხვა გზას რომ ვერ ხედავს, მსმენელებს იკრებს გარშემო და იმ ანეკდოტებს უამბობს, რაზეც თვითონ არ ეცინება. ასეთ დროს რატომღაც კვლევა-ძიებისა და ექსპედიციების ამბების გატრიზავებას იწყებს, რაც, ზოგადად, სრულებითაც არ სჩვევია, მაგრამ სწორედ ასე იქცევა, როცა განსაკუთრებით ცუდად გრძნობს თავს. მისი მხოლოდ მედოქსს ესმის, ქალი კი შეხედვის ღირსადაც არ თვლის. სხვას ყველას მომხიბლავად უღიმის - სტუმრებსაც, ნაცნობ-უცნობებსაც, ხოტბას არ იშურებს ყვავილებისა თუ ავეჯის საქებად. მისი აშკარად არ ესმის და ფიქრობს, კაცი სწორედ ისე იქცევა, როგორც თავადვე სურსო. ამიტომაც, მათ შორის აღმართული, ვითომდა დამცავი კედელიც კიდევ უფრო სქელდება და სიმაღლეშიც იმატებს.

ოღონდ ახლა ამ კედლის არსებობა უკვე გაუსაძლისი ხდება, ქეთრინი კი აქეთ ამუნათებს: „შენც კედლით შემოიზღუდე და მეც ხომ უნდა დავიცვა როგორმე თავი!“ ამას რომ ამბობს, თან ისეთ შუქს ასხივებს, მართლა თვალი უბრმავდება მისი სილამაზის შემხედვარეს. სახეგამკრთალებულს, ეს კაბაც საოცრად უხდება. გამხიარულებული, ყველას უღიმის, ოღონდ როცა მისი ბოღმანარევი ენაკვიმატობა აღიზიანებს, მაშინვე იღუშება ხოლმე. კაცი კი ვითომც აქ არაფერი, უფრო და უფრო იკრიფება ენად, მეტი მონდომებით აქილიკებს ამა თუ იმ ექსპედიციის შედეგებს და უთავ-

ბოლო სიჯიუტით ყვება ყველასთვის ისედაც კარგად ნაცნობ ამ-ბებს.

იმ წუთიდან მოყოლებული, როცა გროპის ბარის წინკარში ქალმა სალამზე არ უპასუხა, ლამის მართლა ჭკუასაა გადასული. ვერაფრით ეგუება იმ აზრს, რომ შეიძლება აი ასე, სულ უბრა-ლოდ, სამუდამოდ დაკარგოს. იცის, დაკარგვის საფრთხე გაქრე-ბა, თუკი ერთად იქნებიან, თუკი მთელი ძალით ჩაეხუტებიან ერ-თმანეთს და ერთმანეთის შემწეობით გაუმკლავდებიან ამ ტკი-ვილს, ოღონდ კედლების აღუმართავად.

სამხრეთ ქაიროში, მის ოთახს მზის შუქი მოსდგომია. ხელი დუნედ უდევს ჰეროდოტეს ტომზე, სხეული კი ერთიანად დაძაბ-ვია. ამიტომაც ნაწერი სულ აცაბაცა, ძნელად გასარჩევი გა-მოუდის. ისიც კი უჭირს, მკაფიოდ მოხაზოს ორი სიტყვა - მზის შუ-ქი; ან თუნდაც ერთი - მიყვარს.

მდინარისა და მის იქით გაწოლილი უდაბნოს ანარეკლი ოთახშიც აღწევს; ელამუნება ქალის კისერს, ტერფებს, იმ ბავ-შვობისდროინდელ ნაწიბურს მარჯვენა მკლავზე, კაცს რომ ასე უყვარს. ქალი საწოლზე წამოჯდება და ხელებს მუხლებზე შემო-იჭდობს. კაცი თითებს უთათუნებს ოფლით დაცვარულ მხარზე. „ეს მხარი ჩემია, - ფიქრობს კაცი, - ამის ქმრის კი არა, მარტო ჩე-მი!“ შეყვარებულები დაუნანებლად, ერთიანად, მისხალ-მისხალ სთავაზობენ ერთმანეთს საკუთარ სხეულებს - აქ და ახლა, ამ ოთახში, რომლის ფანჯარაც მითიურ მდინარეს გადასცქერის.

მალე მზეც ჩავიდა, და ერთადერთ შუქად მდინარისა და უდაბ-ნოს ის ანარეკლიღა დარჩა. როცა ხანდახან მაინც, უცებ გაწვიმ-დება ხოლმე, ფანჯარასთან მიდიან, ხელებს გაიწვდიან და ცდი-ლობენ, სულ ცოტა სისველე აგრძნობინონ სიცხით გათანგულ სხეულებს. ქუჩიდან ხმაური მოისმის. ხალხი სიხარულის ყიჟინით ეგებება ამ წუთიერ თავსხმას.

- აწი ვეღარასოდეს ვიქნებით ერთად.

- ვიცი, - პასუხობს კაცი.

იმ საღამოს განსაკუთრებული დაჟინებით ლაპარაკობდა განშორებაზე. მერე კი უკვე ჩუმად იჯდა, რაღაც თავისას ფიქრობდა და ეს საშინელი სიმართლე კაცისთვის შეუვალი ჯავშანივით შემოეკრა ირგვლივ. მხოლოდ ფიზიკურად თუ იყვნენ ახლა გვერდიგვერდ.

- ვეღარასოდეს. რაც არ უნდა მოხდეს.

- ვიცი.

- არა, მართლა გაგიჟდება. ამის გაგება შეგიძლია?

კაცი არაფერს პასუხობს, არცკი ცდილობს, შეეკამათოს და აზრი შეაცვლევინოს.

ერთი საათის შემდეგ ქუჩაში გამოდიან. ჩახუთული ღამე დგას. კინოთეატრის გამოღებული კარიდან სიმღერის ხმა მოისმის. ახლავე უნდა დაშორდნენ ერთმანეთს, ვიდრე სეანსი დამთავრდებოდეს, რათა ქალი ვინმე ნაცნობმა არ დაინახოს შემთხვევით.

ბოტანიკურ ბაღში არიან, ყოვლადწმინდის საკათედრო ტაძრის შორიახლო. ქალი კაცის ყვრიმალზე ჩამოგორებულ ცრემლს ამჩნევს, უახლოვდება და ენით ულოკავს. სწორედ ისე, როგორც მაშინ, როცა კაცი საგანგებოდ მისთვის მზარეულობდა, უნებურად ხელი გაიჭრა და იმანაც ჭრილობიდან სისხლი აულოკა. სისხლი. ცრემლი. ოფლი. კაცი გრძნობს, როგორ იფიტება შიგნიდან, თითქოს უსიცოცხლო, ცივ კვამლად გადაქცეულა. ერთადერთი, რაც დარჩა, სამომავლო სურვილების სრული გაცნობიერებაა. ხოლო რაც მართლა სათქმელი აქვს ამ ქალისთვის, ვერ ეუბნება - ეგებ იმიტომ, რომ თავად ქალი პირდაღებულ ჭრილობას გავს, ჯერაც სრულიად ახალგაზრდაა და ჯერაც ვერ აღიქვამს უბრალო მოკვდავად. ვერაფერს შესთავაზებს იმის საპირწონედ, რაც ყველაზე მეტად უყვარს ამ ქალში - მას ხომ არანაირი დათმობა არ სჩვევია, თუმცა კი ლირიკულ ლექსებს იოლად

უთავსებს ნამდვილ ცხოვრებას. კაცმა იცის, რომ ამ თვისებების გარეშე სამყაროში წესრიგიც ვერ იარსებებდა.

იმ საღამოს განსაკუთრებით ჯიუტი იყო. ოცდარვა სექტემბერს. მთვარის შუქმა თითქმის ბოლომდე დააშრო წვიმის წვეთები ფოთლებზე; არცერთი გრილი წვეთი აღარ დაეცემა სახეზე, ეული ცრემლივით. განშორება გროპის პარკში. არც კი უკითხავს, შინ იქნებოდა თუ არა მისი ქმარი. შინ კი არა, სასტუმროს ამ მაღალ, გაჩახჩახებულ შენობაში, ქუჩის გადაღმა.

თავსზემოთ პალმის რტოებსა და წაგრძელებულ ფოთლებს ასცქერის და ქალის ჩამოშლილი თმა ახსენდება, ცოტა ხნის წინანდელი, როცა ერთად იწვნენ.

ერთმანეთს არ კოცნიან - უბრალოდ, ერთხელ ეხუტებიან და მორჩა. მერე საჩქაროდ შორდება და მიდის, ოღონდ მალევე იხედება უკან. ქალი ჯერაც უწინდელ ადგილას დგას. ისევ უახლოვდება, საჩვენებელ თითს აწევს და ეუბნება:

- უბრალოდ, მინდა იცოდე: ჯერჯერობით, არ მენატრები.

გაღიმებას ცდილობს, არადა უშნოდ ეჯღანება სახე. ამ სახის დანახვაზე ქალსაც ეცვლება გამომეტყველება; მოწყვეტით აქნევს თავს და საფეთქელს ჭიშკრის ბოძს ახლის. კაცი ამჩნევს, როგორ ეტკინა, როგორ შეჭმუხნა შუბლი, მაგრამ ახლა უკვე ცალ-ცალკე არიან, ორივე თავ-თავისი გზით წავა. მათ შორის ახლა ის კედელია, რომლის აღმართვაც ქალს სურდა. თავის ეს გაქნევაც, ეს ტკივილიც მხოლოდ უნებურია - არავითარი წინასწარგანზრახვა არ იმალება მათ უკან. ხელს საფეთქელზე ისვამს.

- მოგენატრები, - ეუბნება კაცს.

ერთხელ, ადრე, ყურში ჩასჩურჩულა: „ამ წუთიდან მოყოლებული, ან მართლა ვიპოვით ჩვენ-ჩვენს სულებს, ანდა - სამუდამოდ დავკარგავთ“.

როგორ ხდება ეს ყველაფერი? შეგიყვარდება და ნაწილ--ნაწილ ქუცმაცდები.

მკლავებში მყავდა მომწყვდეული, მერე სახელო ავუწიე ბოლომდე, და აცრის შედეგად დარჩენილ ნაწიბურს დავხედე. მიყვარს-მეთქი, ვუთხარი. მართლა მიყვარდა ეს მკრთალი ლაქა მის მკლავზე. ვხედავ კიდეც, როგორ ჩხვლეტს მედდა და მერე შრატიც შეყავს. ეს კი დიდი ხნის წინ იყო, როცა ჯერ კიდევ ცხრა წლისა, სკოლაში დაიარებოდა.

VI

ჩამარხული თვითმფრინავი

დაჟინებით გასცქერის სივრცეს საკუთარი საწოლიდან; ფერხთით ჰანა უზის. ცოტა ხნის წინ გაბანა, ახლა კი მორფის ამპულას ატეხს თავს და შპრიცს სითხით ავსებს. წამალი სწრაფად მოქმედებს. საწოლი ნავად ქცევია, რომელიც ახლა უხილავ ტალღებზე ატორტმანებს; მორფი მთელ სხეულში დაუვლის და მოგონებებს ერთ პაწია წერტილში უყრის თავს.

გრძელი, გაწელილი საღამოები ქაიროში. ღამეული ცა ზღვასავით გადაშლილა თავსზემოთ. ბინდის დადგომისთანავე ქორებს უშვებენ და ისინიც გადაუფრენენ უდაბნოს, თითქოს მთესველის პეშვით გაბნეული მარცვლებიაო.

1936 წელს ამ ქალაქში ნებისმიერ რამეს იყიდდი კაცი - დაწყებული ძაღლითა თუ იმ ფრინველით, ერთ მჭახე დასტვენაზე უკანვე რომ უბრუნდებოდა პატრონს, ამაზრზენი სადავეთი დამთავრებული, რასაც ქალებს ნეკზე აბამდნენ, ხალხმრავალ ბაზარში მუდამ გვერდით რომ ყოლოდათ.

ქაიროს ჩრდილო-დასავლეთ უბანში ხან-ელ-ხალილის ბაზარს სასულიერო სასწავლებლის ეზო ემიჯნებოდა. ფანჯრიდან ვიწრო ქუჩაბანდებს გავცქეროდით - კატებს, რომლებიც მოთენთილები ნებივრობდნენ ოკრო-ბოკრო თუნუქის სახურავებზე და ქვემოთკენ, ქუჩისა და დუქნებისკენ აპარებდნენ მზერას. ჩვენი ოთახის ფანჯრიდან ხელისგულივით მოჩანდა ყველაფერი - მინარეთები, ფელუკები, კატებიცა და ქალაქის რია-რიაც. ბავშვობისდროინდელ ბაღებზე მიამბობდა; როცა ქეთრინს ძილი გაუტყდებოდა ხოლმე, სულ დაწვრილებით ამიწერდა დედამისის ბაღს -

თითოეულ ბუჩქს, თითოეულ ყვავილნარს, საგუბარს, რომელშიც თევზიც მოიძევებოდა და დეკემბრის თვეში კი იყინებოდა. მაჯაში მკიდებდა ხელს - სწორედ იქ, სადაც ვენები მიერთდებოდა და ყელთან, ლავიწის ძვლის ღრმულთან მიჰქონდა.

1937 წლის მარტი, უვეინატი. მედოქსს ძალიან აღიზიანებს გაუხშოებული ჰაერი. ზღვის დონიდან სულ 1500 ფუტის სიმაღლეზე ვართ, მაგრამ ესეც კი ბევრი ეჩვენება. უდაბნოს ხათრით მიატოვა თავისი სოფელი სამერსეტში, ყველა ადათ-წესი დაარღვია და ახლა უფლება ჰქონდა, ზღვის დონესა და უდაბნოს ხვატთან რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო.

- მედოქს, რა ჰქვია ღრმულს ლავიწის ძვალთან? წინ, აი აქ. აქვს რამე სახელი?

მედოქსი ცოტა ხანს უცნაურად მომჩერებია. შენი ხნის კაცს მეტი სიდინჯე გმართებსო, - ბურტყუნებს მერე.

- ერთ ამბავს მოგიყვები, - ჰანას ეუბნება კარავაჯო, - იყო ერთი უნგრელი, გვარად ალმაში, რომელიც ამ ომში გერმანელების სასარგებლოდ მუშაობდა. ცოტა ხანს აფრიკული კორპუსის შემადგენლობაში ირიცხებოდა მფრინავად, თუმცა თავიდანვე შეატყვეს - უფრო სასარგებლო საქმეში გამოგვადგებაო. ოცდაათიან წლებში უდაბნოს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მკვლევრად ითვლებოდა. ყველა იქაური ჭა ზეპირად იცოდა და ქვიშის ზღვის რუკაც იმან შეადგინა. რა უნდა გეკითხა უდაბნოზე, რომ პასუხი არ სცოდნოდა. იქ მცხოვრები ყველა ტომის კილოკავზეც ლაპარაკობდა. მითხარი, ეს კაცი არავის გაგონებს? ორ ომს შორის მუდამ ექსპედიციებში დაიარებოდა. ერთი დაკარგული ოაზისის, ზერზურას პოვნა ჰქონდა მიზნად დასახული. ორმოცდაერთში საკუთარ თავზე აიღო საიდუმლო აგენტების მეგზურობა უდაბნოდან ქაიროსაკენ. ამას იმიტომ გეუბნები, ეგ შენი ინგლისელი პაციენტი ინგლისელი სულაც არ მგონია.

- კარგი ერთი, მართლა ინგლისელია! აბა, საიდან ემახსოვრება ის ყვავილნარები გლოსტერშირში?

- მეც მანდა ვარ. ეგ ყველაფერი წინდაწინ კარგად მოფიქრებული ლეგენდაა. გახსოვს, ორი დღის წინ ვლაპარაკობდით - ძაღლს რა სახელი დავარქვათო, გახსოვს?

- კი.

- და იმან რა შემოგვთავაზა?

- იმ საღამოს რაღაც უცნაურად კი იქცეოდა...

- ძალიან უცნაურად, იმიტომ რომ მორფის ზედმეტი დოზა გაუკეთე. გახსოვს, რა სახელები ჩამოთვალა? რვა მაინც იყო და უმეტესობა - სულ სულელური. აი, სამი კი... ციცერონი, ზერზურა, დალილა.

- და რა მერე?

- რა და ის, რომ ციცერონი ერთ-ერთი ჯაშუშის კოდური სახელი იყო. ინგლისელებმა გაშიფრეს. ჯერ ორმაგი აგენტი იყო, მერე უკვე სამმაგიც გახდა. თავს უშველა. აი, ზერზურას ამბავი კი ცოტა უფრო რთულადაა.

- ვიცი ეგ შენი ზერზურა. რამდენჯერ უხსენებია... ეგეცა და ბაღებიც.

- არა, ახლა უფრო უდაბნოზე გელაპარაკები. ინგლისური ბაღების ზღაპარი მაინცადამაინც დამაჯერებლად ვერ ჟღერს. ეგ კაცი კვდება. მე მგონი, ზედა სართულზე ჯაშუშების ის იდუმალი მეგზური, ალმაში გვიწევს.

თეთრეულის შესანახ ძველებურ, მოწნულ კალათებზე სხედან და ერთმანეთს შესცქერიან. კარავაჯო მხრებს იჩეჩავს.

- ღმერთმანი, სავსებით შესაძლებელია.

- მე კიდე გეუბნები, ინგლისელია-მეთქი. - ეკამათება ჰანა და როგორც ყოველთვის, როცა კი რაიმეზე დაძაბულად ფიქრობს ხოლმე, ტუჩებს ბუშტავს.

- ვიცი, გიყვარს... მაგრამ ინგლისელი მაინც არაა. ომის დაწყებისას ქაირო-ტრიპოლის მიმართულებაზე ვმუშაობდი. ფელდმარშალ რომმელის საიდუმლო აგენტმა, რებეკამ...

- ქალი იყო?

- არა, ორმოცდაორში გერმანელებმა ქაიროში ერთი ჯაშუში შეაგზავნეს, სახელად ეპლერი. ის კიდე დიუ მორიეს რომანს, „რებეკას“ იყენებდა შიფრად - მოწინააღმდეგის ჯარების გადაადგილებაზე რომმელისთვის შეტყობინებების გასაგზავნად. და იცი, რა მოხდა? ეს წიგნი ინგლისელი მზვერავების საყვარელ საკითხავად იქცა. მეც იქ გადავავლე თვალი.

- შენ წიგნი წაიკითხე?

- დიდი მადლობა. კაცი, ვინაც ეპლერი უდაბნოს გავლით ქაიროში ჩაიყვანა ტრიპოლიდან, სწორედ ლადისლაუს ალმაში იყო. ეს გზა მის გარდა არც არავინ იცოდა. ორ ომს შორის, ალმაშიმ ვიღაც ინგლისელებთან დამეგობრებაც მოახერხა. ვიღაც კი არა, სულ უცნობილეს მკვლევრებთან, მაგრამ დაიწყო თუ არა ომი, დაუფიქრებლად გადავიდა გერმანელების მხარეზე. რომმელმაც იმიტომ სთხოვა ეპლერის ქაირომდე მშვიდობიანად მიყვანა, რომ პლანერის და პარაშუტის გამოყენება სრულიად წარმოუდგენელი ეჩვენებოდა. უნგრელმა ეს დავალება პირნათლად შეასრულა და ეპლერს ნილოსის დელტაში დაემშვიდობა.

- შენ საიდანღა იცი ეგ ყველაფერი?

- ჩვენი ბაზაც ქაიროში იყო. სწორედ მაგათ ვედექით კვალში. თავიდან უდაბნოში რვაკაციანი ჯგუფი წამოიყვანა: ჯერ ფეხით იარეს, მერე კი ქვიშაში საგანგებოდ ჩამარხული საბარგო მანქანები ამოთხარეს. უვეინატისკენ მიდიოდნენ, გრანიტის პლატოსკენ, სადაც წყალიც ეგულებოდათ და ქვაბულებიც, თავის შესაფარებლად. ეგ ადგილი მთელი მარშრუტის დაახლოებით შუაგზაზეა. ოცდაათიან წლებში სწორედ იქ იპოვა მოხატული გამოქვაბულები. მაგრამ პლატოზე მოკავშირეებიც ბლომად ირეოდნენ

და იქაური ჭების გამოყენება ვერ მოახერხა. მაშინ ისევ ქვიშებისკენ ქნეს პირი. მანქანებისთვის საწვავი რომ ეშოვათ, ბრიტანულ საწყობს დაეცნენ თავს. ხარგას ოაზისში ტანსაცმელი გამოიცვალეს, ინგლისელთა სამხედრო ფორმაში გამოეწყვნენ და მანქანებსაც ბრიტანეთის არმიის სანომრე ნიშნები მიამაგრეს. როცა მათი გადაადგილება ჰაერიდან შეამჩნიეს, მოახერხეს და დამშრალი მდინარის კალაპოტში მიიმალნენ. სიცხისაგან გათანგულებმა, სამი დღე იყურყუტეს იქ.

ქაიროში ჩასვლას კი სამი კვირა დასჭირდა. მერე ალმაშიმ ეპლერს ხელი ჩამოართვა და იქ გამოემშვიდობა. აი, სწორედ მანდ დავკარგეთ მისი კვალი. უბრალოდ, მიტრიალდა და ისევ უდაბნოს მიაშურა - ახლა უკვე მარტოდმარტომ. გვეგონა, კვლავ ტრიპოლიში მივაგნებდით, მაგრამ ნურას უკაცრავად. ამის მერე კაციშვილს აღარ უნახავს. რაც შეეხება ეპლერს, ის მალევე შეიპყრეს ინგლისელებმა და რებეკას კოდის გამოყენებაც დაიწყეს - რომმელისთვის დეზინფორმაციის მისაწოდებლად, ელ--ალამეინის ბრძოლის წინ.

- მაინც არ მჯერა, დეივიდ.

- კაცს, ვინც ქაიროში ეპლერის დაკავებაში მონაწილეობდა, სენსომი ერქვა.

- დალილა...

- სწორედაც.

- და ეგებ თვითონაა სენსომი?

- თავიდან მეც მაგას ვფიქრობდი, ის ძალიან გავდა ალმაშის. იმასაც ჭკუა ეკეტებოდა უდაბნოზე. ბავშვობა ლევანტის მხარეში გაეტარებინა და ბედუინებსაც კარგად იცნობდა, მაგრამ ალმაშისაგან განსხვავებით, მან თვითმფრინავის მართვა არ იცოდა, ჩვენ კი ჩამოგდებულ მფრინავზე ვლაპარაკობთ - ისე დამწვარ--დანახშირებულ კაცზე, მშობელი დედაც რომ ვერ იცნობს, ბოლო-ბოლო, ინგლისელების ხელში რომ აღმოჩნდა, პიზაში.

ეგეც არ იყოს, ინგლისურად თავისუფლად ლაპარაკობს და ამ მხრივაც გააქარწყლებდა კონტრდაზვერვის ეჭვებს, თუკი ასეთი რამ გაუჩნდებოდათ. სხვათა შორის, ალმაშიმ სკოლა ინგლისში დაამთავრა და ქაიროშიც „ინგლისელ ჯაშუშად“ იხსენიებდნენ.

მოწნულ კალათზე ჩამომჯდარი ჰანა კარავაჯოს მიჩერებია. მერე ამბობს:

- მე მგონი, თავი უნდა დავანებოთ. ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს, ვის მხარეს იდგა?

- ერთხელ კიდევ მინდა გავესაუბრო, - ეუბნება კარავაჯო, - ოღონდ ჯერ კარგად გავჭყიპო მორფით და ისე. ეს ორივეს გვჭირდება. ხომ გესმის? დალილაო, ზერზურაო... მოკლედ, ორმაგი დოზა შეუყვანე.

- არა, დეივიდ. აგიკვიატებია რაღაც. არავითარი მნიშვნელობა არა აქ, ვინაა. ომი დამთავრდა.

- კარგი, მაშინ მე თვითონ ვიზამ. „ბრომფთონულ კოქტეილს“ გავუკეთებ. მორფი და ალკოჰოლი. ლონდონში მოიგონეს, ბრომფთონის საავადმყოფოში, კიბოიანი ავადმყოფებისათვის. ნუ გეშინია, არ მოკლავს. იოლად იწოვება ორგანიზმში. მე მოვუმზადებ, შენ კი დაალევინებ. მერე, დამატებით, ვენაში მორფის კიდევ ერთ დოზას შეუყვან.

გაღიმებული იჯდა მოწნულ კალათზე და გოგოს უეშმაკო მზერით მიჩერებოდა. ომის ბოლოსკენ კარავაჯო მორფზე მონადირეთა არმიის გამორჩეულ წევრად იქცა: ვილაზე გამოჩენისთანავე იყნოსა, თუ სად ინახებოდა წამლები და ახლა უკვე ვეღარც წარმოედგინა ცხოვრება მორფის პაწაწინა ამპულების გარეშე. როცა ეს ამპულები ჰანამაც ნახა პირველად, ძაან უცნაურად კი მოეჩვენა და ისიც იფიქრა, სათამაშო კბილის პასტას გავს თოჯინებისთვისო. კარავაჯოს ორი-სამი ამპულა მუდამ ედო ჯიბეში და დღის განმავლობაში, ჯერი-ჯერზე იკეთებდა ნემსს. ერთხელ ჰანა რომელიღაც ბნელ კუთხეში წაადგა თავზე, ზედმეტი დოზისაგან

აცახცახებულს. არწყევდა, თან თვალს არ აშორებდა და ვერ ცნობდა ჰანას. სცადა დალაპარაკებოდა, მაგრამ კაცს შუშის თვალებში აზრის ნატამალიც არ შერჩენოდა. ღმერთმა უწყის, სად მიაგნო ლითონის სტერილიზატორს ან - მისი გახსნის ძალა როგორ აღმოაჩნდა. ერთხელ, როცა სიქჰმა რკინაზე ხელი გაიჭრა, კარავაჯომ ამპულას კბილებით მოატეხა წვერი, მორფი ამოწოვა და პირდაპირ ხელისგულზე დაუპურჭყა, სანამ ის რამეს მიხვდებოდა. მერე ჯარისკაცმა უხეშად მოიშორა და თვალებში ბრაზი გაუკრთა.

- თავი გაანებე, კარავაჯო. ის ჩემი პაციენტია.

- ცუდს არაფერს ვუზამ. ეს ჩემებური კოქტეილი ტკივილსაც შეუმსუბუქებს.

(„ბრომფთონული კოქტეილი“, სამი კუბი, დღის სამი - საათი)

კარავაჯო დამწვარ-დაშაშრული ხელებიდან წიგნს აცლის.

- როცა უდაბნოში ჩამოვარდით, საიდან მოფრინავდით?

- გილფ-ქებირიდან. კაცი მყავდა იქიდან წამოსაყვანი. აგვისტოს ბოლოს, 42-ში.

- ომის დროს? კი მაგრამ, მაშინ იქ აღარცერთი ექსპედიცია აღარ მუშაობდა...

- მართალია. ჯარის მეტი იქ აღარავინ იდგა.

- ესე იგი, გილფ-ქებირიდან?

- კი, ეგრე იყო.

- და ეგ სადაა?

- ერთი კიპლინგის წიგნი მომაწოდეთ... აი, შეხედეთ.

„კიმის“ თავფურცელზე რუკა ეხატა, რომელზეც წერტილებად იყო მონიშნული ბიჭისა და ღვთისნიერი ბერიკაცის სავალი გზა.

იქვე მოჩანდა ინდოეთის დაშტრიხული ნაწილი, ავღანეთი და მთებში მომწყვდეული ქაშმირი.

ინგლისელი შავად მოკრუნჩხულ თითს აყოლებს მდინარე ნუმის იმ ადგილამდე, სადაც ის ზღვას უერთდება. მერე ცოტათი კიდევ ანაცვლებს თითს დასავლეთისაკენ, უკვე ფურცლის იქით და მკერდზე იდებს, საკუთარ ნეკნს ეხება.

- აი, აქაა. გილფ-ქებირი, ეგვიპტე-ლიბიის საზღვარზე, კირჩხიბის ტროპიკის ჩრდილოეთით.

- და რა მოხდა 1942-ში?

- ქაიროში ჩავედი და უკვე იქიდან ვბრუნდებოდი. ვახერხებდი შეუმჩნევლად დავსხლტომოდი მტერს ხელიდან: ამაში ძველი რუკები და საწვავისა და წყლის ჯერ კიდევ ომამდელი მარაგი მშველოდა. უვეინატისაკენ მივიწევდი. ახლა, მარტო დარჩენილს, ეს ბევრად უფრო მეიოლებოდა. გილფ-ქებირიდან რამდენიმე მილის მოშორებით, მანქანის ბორბლებქვეშ რაღაცა აფეთქდა და მეც კაბინიდან გადმოვვარდი. მაშინვე ქვიშაზე გადავგორდი იმის შიშით, ვაითუ ტანსაცმელზე ცეცხლი მომედო-- მეთქი. უდაბნოში მუდამ ხანძრის შიში გდევს კაცს.

მანქანა აფეთქდა. სავარაუდოდ, წინდაწინვე ჩაედოთ ნაღმი. აკი ჯაშუშებად ბედუინებსაც აქცევდნენ ხოლმე და მათ ქარავნებსაც ქალაქიდან ქალაქში არამარტო სუნელ-სანელებლები თუ ნუგბარი ჩაჰქონდათ, სახელმწიფო მოხელეებიც გადაყავდათ. ომის იმ დღეებში, ბედუინთა შორის ყოველთვის ნახავდი ვინმე ინგლისელს ან გერმანელს.

მანქანა იქვე მივატოვე და უვეინატისაკენ გავეშურე. იქ ერთი ადგილი მეგულებოდა, სადაც ქვიშაში თვითმფრინავი იყო ჩამარხული.

- მოიცათ, თქვენ რა, წინასწარ დამალეთ, საგანგებოდ?

- ადრე, კარგა ხნის წინ, მედოქსს ერთი ძველი თვითმფრინავი ყავდა. ზედმეტი ყველაფერი მოაძრო, თუმცა ძირითადი ნაწილე-

ბისთვის ხელი არ უხლია. ერთადერთ „ფუფუნებად“ კაბინის შუშის ხუფი დატოვა, რაც უდაბნოში ფრენისას აუცილებელი რამეა. ექსპედიციებში ერთად ყოფნისას, ცოტ-ცოტა ამ თვითმფრინავის მართვასაც მასწავლიდა.

როცა კლიფტონიც ჩამოფრინდა იმ თავისი სპორტული „დათუნია რუპერტით“, მედოქსის ბებრუხანა ბრეზენტით შევფუთეთ და უვეინატიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ერთ მოფარებულ ადგილას დავტოვეთ, გრანიტის ქვაბულში. მერე და მერე, თანდათან ქვიშა დაედო და არცერთ ჩვენგანს აღარ გვეგონა, ოდესმე ისევ თუ გამოვთხრიდით. რამდენიმე თვის შემდეგ, როცა იქაურობას გადავუფრინეთ, ზემოდან მისი კვალიც კი არსად ჩანდა, ისე იყო ჩამარხული ქვიშაში. იმ დროისთვის ახალი თვითმფრინავი გვყავდა, კლიფტონის.

- მაშ, თვითმფრინავისკენ გაუდექით გზას...

- კი, ოთხი ღამე ვიარე. ერთი კაცი დავტოვე ქაიროში და თავად ისევ უდაბნოში დავბრუნდი. ირგვლივ ყველგან ომი მძვინვარებდა. უცებ ყველა ჯგუფებად დაიყო: აქეთ ბერმანის ხალხი, იქით - ბაგნოლდის...

მე უვეინატისაკენ მივდიოდი. შუადღისას მივაღწიე იქაურობას და პლატოზე, ერთ-ერთ გამოქვაბულს შევაფარე თავი. აინ-დუად წოდებული ჭის შორიახლო.

- კარავაჯო ამბობს თქვენზე, ვიცი, ვინც არისო... - უთხრა ჰანამ.

საწოლზე გართხმულ კაცს ხმა არ გაუღია.

- მიმტკიცებს, ინგლისელი არააო. ცოტა ხანს ქაიროს შემოგარენში და მერე იტალიაშიც, ინგლისის დაზვერვისათვის მუშაობდა, სანამ არ დაიჭირეს. ჩემები კარავაჯოს ჯერ კიდევ ომამდე იცნობდნენ - ქურდი იყო და სხვისი ჯიბის შემსუბუქების აუცილებლობისა სჯეროდა. იცით, ქურდებშიც არიან კოლექციონერები, როგორც მკვლევრებში (თუმცა თქვენ ეგენი გძულთ), მუსუს კა-

ცებში თუ თაყვანისმცემლებს დახარბებულ ქალებში... ოღონდ კარავაჯო ეგეთი არაა: იმდენად ცნობისმოყვარე და ხელგაშლილი იყო მუდამ, თავის საქმეშიც ბევრს ვერაფერს მიაღწია. მოპარულის ნახევარზე მეტი სახლამდე არც მიჰყვებოდა ხოლმე. მოკლედ, ასე ფიქრობს - ინგლისელი არ უნდა იყოთ.

ლაპარაკობს და თან კაცის გახევებულ სხეულს დასცქერის. ასე ჰგონია, საერთოდ არც მისმენსო. თითქოს ახლაც სადღაც სხვაგან მოგზაურობს - სწორედ ისე, როგორც ფიქრებში წასული დიუკ ელინგტონი, იმ თავისი ცნობილი „სიმარტოვის“ შესრულებისას.

გაჩუმდა.

იმ ერთ პატარა, ლამის დამშრალ ჭამდეც მიაღწია. გაშიშვლდა და სამოსი წყალში ჩაალბო. მერე თავადაც ჩაწვა შიგ. უდაბნოში ოთხდღიანმა სიარულმა გვარიანად გატანჯა, მერე ტანისამოსი კლდეზე გაფინა და მღვიმისაკენ წავიდა. იმის სიბნელეს შეეფარა.

ახლა ირგვლივ კარგად ნაცნობი მოხატული კედლები ერტყა, რამდენიმე წლის წინ შემთხვევით ნაპოვნი. ჟირაფები. ხარ--ძროხა. ჯიღოსანი, ხელებაპყრობილი კაცი. იქვე კიდევ რამდენიმე სხვაც, რომელთა მოძრაობებიც შეუცდომლად მიათითებს მოცურავეებზე. მართალი იყო ბერმანი, როცა ამტკიცებდა - უხსოვარ დროში ამ ადგილას ტბა ლივლივებდაო. უფრო ღრმად შეაბიჯა გრილ სიბნელეში, „მოცურავეთა მღვიმეში“, სადაც ქალი დატოვა. ის ისევ აქ დაუხვდა, კუთხეში მიყუჟულიყო, პარაშუტში გამოხვეული. აკი დაპირდა, დავბრუნდებიო და დაბრუნდა კიდეც.

თავს ბედნიერად ჩათვლიდა, ამ მღვიმის სიმარტოვეში რომ ამოხდომოდა სული, მოცურავე კაცუნებით გარშემორტყმულს. ერთხელ ბერმანმა უთხრა, აზიურ ბაღებში შეიძლება კლდეს უცქერდე და წყლად გეჩვენებოდეს, ხოლო თუ ტბის გარინდულ ზედაპირს მიაჩერდები, კლდესავით მყარი გეგონებაო. ქეთრინი

ბაღებს შორის იზრდებოდა, მათ ნოტიო ჩრდილებს ისუნთქავდა. მისთვის ბუნებრივი იყო ხვიარამოდებული ჭიშკარი თუ გვიმრნარი. უდაბნოსადმი ლტოლვა მისთვის დროებითი იყო. უდაბნოს მიუდგომლობა ამ კაცის გამო შეიყვარა, რადგან უნდოდა გაეგო, რატომ ერჩივნა მას ამ ქვიშის ზღვაში განმარტოება. თავად კი ყოველთვის წვიმა უყვარდა, ორთქლადენილი აბაზანა, სისველე, რომელიც ნელი-ნელ ელამუნებოდა; უყვარდა, სანახევროდ გადმოხრილიყო ფანჯრიდან - როგორც იმ ღამეს, ქაიროში, როცა უეცარ წვიმას შეუშვირა მხრები, მერე კი გაუმშრალებლად დაიწყო ჩაცმა, რათა რაც შეიძლებოდა დიდხანს შეენარჩუნებინა ეს სისველე. სწორედ ასევე უყვარდა ოჯახური ადათ-წესები, თავაზიანი ურთიერთობა და კლასიკური პოეზია. იმის გაფიქრებაც კი არ უნდოდა, აქ და სწორედ ასე, ყველასათვის შეუმჩნევლად შეიძლება მოვკვდეო. ლამის ხილული და ხელშესახები ჩანდა ძაფი, რომელიც წინაპრებთან აკავშირებდა, მაშინ როცა კაცმა შეგნებულად წაიშალა მახსოვრობიდან აწმყომდე გამოვლილი მთელი გზა და იმ გზის საწყისიც. ისიც უკვირდა, როგორ შეეძლო ამ ქალს მისი შეყვარება - მისი ამდენი უარყოფითი თვისებისა და სრული უსახელობის მიუხედავად.

ქალი ზურგზე იწვა, შუასაუკუნეებისდროინდელ სამარხებში ნაპოვნი ცხედრების დამახასიათებელ პოზაში.

მივუახლოვდი, შიშველი, სწორედ ისე, როგორც მაშინ, იმ ჩვენს ოთახში, მინდოდა მისთვისაც გამეხადა სამოსი და მყვარებოდა. განა რა არის ამაში შემზარავი? განა ყველაფერს არ პატიობ იმას, ვინც გიყვარს? თავკერძობასაც, ჟინსაც, ტყუილსაც - მანამდე, ვიდრე შენ ხარ მიზეზიც, საბაბიც, მიზანიც... შეგიძლია არად ჩააგდო შენთვის საყვარელი ქალის მოტეხილი ხელი ან იმისი ციებ-ცხელება. ერთხელ გაჭრილი ხელიდან სისხლი გამომწოვა, მე კი იგივე გავაკეთე, როცა თვიური ჰქონდა. არის სიტყვები ევროპულ ენებში, რომელთაც სხვა ენებზე ზუსტად ვერც გა-

დაიტან - მაგალითად, Felhomaly. მას საფლავის მრუმე ელფერი დაკრავს, რადგან ცოცხლებსა და მკვდრებს შორის სიახლოვეს აღნიშნავს.

ავიტატე, ასე დავურღვიე მშვიდი ძილი. პარაშუტის ქსოვილი აბლაბუდასავით შემოხვეოდა. ეს აბლაბუდაც შემოვაცალე.

მზის გულზე გამოვიყვანე. ტანზე ჩავიცვი. ტანსაცმელი გამშრალიყო და ცხელ ქვებზე დებისაგან უკვე გახევებულიყო კიდეც.

ისევ ხელში ავიყვანე. ქვიშაზე რომ გადავედი, ისე შევატრიალე, ჩემ მხარზემოდან უკან ცქერა შეძლებოდა. ძალზე მსუბუქი იყო. მახსოვს, როგორ დავატარებდი ატატებულს ოთახში, მას კი ხელები გაეშალა, თითები ზღვის ვარსკვლავებივით გაეფარჩხა. ასე მივაბიჯებდით ჩრდილო-დასავლეთით, დაბლობისაკენ, სადაც ქვიშაში ჩამარხული თვითმფრინავი მეგულებოდა. გზას რუკის გარეშე მივიკვლევდი, ზურგზე საწვავით სავსე ავზი მქონდა მოგდებული, რომელსაც მას მერე დავატარებდი თან, რაც მანქანა ამიფეთქდა. ეგ იმიტომ, რომ სამი წლის წინ, უსაწვავობამ კინაღამ დაგვღუპა.

- და იმ სამი წლის წინ რაღა მოხდა?

- დაიმტვრა. 1939-ში. ქმარი თვითმფრინავის ჩამოვარდნისას დაიღუპა. თვითმკვლელობა გადაწყვიტა, ოღონდ უნდოდა, ჩვენ ორიც თან გავეყოლიებინეთ. არადა, იმ დროს საყვარლები აღარც ვიყავით, მაგრამ ჩვენი ურთიერთობის ამბავი ეტყობა ვიღაცისგან მაინც გაეგო.

- ისე დაშავდა, რომ თან ვეღარ წამოიყვანეთ?

- ჰო. გადარჩენის ერთადერთი გზა იყო - იქ დამეტოვებინა და მე თვითონ მარტო წავსულიყავი მშველელის მოსაყვანად.

მრავალთვიანი განშორების, სიმარტოვისა და ბრაზის მერე, ისევ ერთად იყვნენ იმ მღვიმეში, ისევ სიყვარულის ენაზე საუბრობდნენ, მოახერხეს და თავიანთი ხელით აღმართული ყველა ჯებირი მოანგრიეს.

მაშინ, ბოტანიკურ ბაღში, საფეთქლით შეასკდა ჭიშკრის ბოძს, რადგან მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ყველაფრისთვის წერტილის დასმა და სიბრაზესაც ვერ ერეოდა. მის სამყაროში ტყუილისთვის ადგილი არ იგულისხმებოდა. მიბრუნდა, თითი ასწია და უთხრა: ჯერჯერობით, არ მენატრები.

მოგენატრები.

ცალ-ცალკე გატარებულმა თვეებმა კაცი გააბოროტა და საკუთარ თავში გამოკეტა. არავინ სჭირდებოდა - ამ ქალთან შეხვედრასაც კი შეგნებულად გაურბოდა, რადგან აცოფებდა მისი სიმშვიდე, როცა თუნდაც შემთხვევით გადაეყრებოდა სადმე. მათთან რეკავდა, ქმარს ტელეფონით ელაპარაკებოდა და ამ დროს ყურმილში მისი სიცილი ჩაესმოდა ხოლმე. ქალს ის განსაკუთრებული ხიბლი გამოარჩევდა, რაც ბევრს იზიდავდა და ამის გამოც უყვარდა. მაგრამ ახლა უკვე ყველაფრის რწმენა გაქრობოდა.

ერთი პირობა, ისიც იეჭვა - სხვა საყვარელი ხომ არ გაიჩინაო. მისი ყოველი მზერა თუ ხელის მოძრაობა ქალური დაპირების გამოხატულებად ეჩვენებოდა. ერთხელ სასტუმროს ჰოლში ქეთრინმა ორივე ხელით მოქაჩა პიჯაკის საყელოზე რაუნდელს, შეანჯღრია და თან სიცილით რაღაცას ეუბნებოდა, ის კი პასუხად თავს აქნევდა მხოლოდ. მერე ორი დღე უთვალთვალებდა მათ - იმაში დასარწმუნებლად, არაფერი აკავშირებთო. აღარც ქალის იმ ბოლო სინაზის და მოფერების გულწრფელობისა სწამდა. მხოლოდ ორ გზას ხედავდა: ან იქნებოდა მასთან ერთად, ანდა - არაფერი არ იქნებოდა. ის კი მასთან ერთად არ იყო. თუკი ქალი ღვინით სავსე ჭიქას მიაწოდებდა ხოლმე, არ ართმევდა, თუკი სადილობისას ლარნაკს უჩვენებდა, რომელშიც ნილოსის შროშანი იწონებდა თავს, შეგნებულად გვერდზე იყურებოდა. ქალს ახალი მეგობრები გამოუჩნდა, რომელთა შორის არც თვითონ იყო და არც ქალის ქმარი. ამის ახსნა შეეძლო, რადგან კარგად იცნობდა

ადამიანის ბუნებას. შეიძლება, ქალი საყვარელს დაშორდეს, მაგრამ ქმართან უწინდელი სიახლოვე მაინც აღარ ექნება.

თამბაქოს გასახვევი სიფრიფანა ქაღალდი იყიდა და რამდენიმე ჩააწება ჰეროდოტეს „ისტორიის“ იმ ადგილებში, სადაც მისთვის სრულიად უინტერესო ომის ამბები იყო აღწერილი. მერე კი იქ ყველა ის არგუმენტი ჩამოწერა, რაც ქალს მის წინააღმდეგ შეიძლებოდა ჰქონოდა. თანაც, შეეცადა, მიუკერძოებელი დარჩენილიყო და სხვისი თვალით შეეხედა საკუთარი თავისათვის.

აგვისტოს ბოლოს, ზუსტად ომის დაწყების წინ, უკანასკნელად გაემგზავრა გილფ-ქებირში, საბაზო ბანაკის ასაშლელად. იქიდან კლიფტონს უნდა წამოეყვანა - კაცს, რომელიც ორივეს უყვარდა, ვიდრე ერთმანეთი შეუყვარდებოდათ.

კლიფტონი უვეინატში სწორედ დათქმულ დროს ჩაფრინდა. მისი თვითმფრინავის ხმაურმა უცებ დაარღვია ჩაკარგული ოაზისის მყუდროება. ისე დაბლა მოფრინავდა, ჰაერის ტალღამ ერთიანად მოასხიპა ფოთლები აკაციის ხეებს. თვითმფრინავი ლამის მუცლით ეხახუნებოდა მიწის ოღროჩოღრო ზედაპირს, ის კი ამ ყველაფერს ვეება ლოდზე შემდგარი ადევნებდა თვალს. მერე თვითმფრინავმა კუდი აიშვირა, პირდაპირ მისკენ წამოვიდა და ჩამოვარდა კიდეც, ცხვირით ჩაერჭო ქვიშაში, იმ ლოდიდან სულ რაღაც ორმოცდაათიოდე ნაბიჯის მოშორებით. ბორბლებსქვემოდან ბოლის მოცისფრო ხვეული გამოიჭრა. ცეცხლი არ ჩანდა.

მართლა გადასულიყო ჭკუიდან. გადაეწყვიტა, ყველასთვის ერთად და ერთბაშად მოეღო ბოლო. თავიც მოეკლა, ცოლიც და - ისიც. ან თვითმფრინავის ნამსხვრევით, ანდა - უბრალოდ იმით, ახლა ამ უდაბნოდან ვერანაირად რომ ვერ გამოაღწევდა. ქალი არ მომკვდარა. თვითმფრინავიდან გამოათრია, კანონიერი ქმრის უკანასკნელ, სასიკვდილო ჩახუტებას გამოარიდა.

- მაინც, რატომ გძულდი? - ეჩურჩულება ქალი „მოცურავეთა მღვიმეში“ და თან ცდილობს, ტკივილი არ შეიმჩნიოს, ერთიანად

დამტვრეულ-დაჩეხილმა. ნეკნებიც დამსხვრევია და ხელიც მაჯაში აქვს გადამტვრეული. - საზიზღრად მექცეოდი. ჯეფრისაც ალბათ სწორედ მაშინ გაუჩნდა ეჭვი. დღემდე ვერ ვიტან მაგ შენს თვისებას, უდაბნოში ან სასმელში იპოვო შვება.

- შენ თვითონ არ დამემშვიდობე გროპის პარკში?

- ეგ იმიტომ, რომ არ გინდოდი.

- ეგ იმიტომ, რომ გაიძახოდი, ჩემი ქმარი გაგიჟდებაო. და აკი მართლა გაგიჟდა.

- იმის სიგიჟე ცოტა ხანს გაგრძელდა, მე კი უფრო ადრე გავგიჟდი. შენ ჩემში ყველაფერი ჩაკალი. ძალიან გთხოვ, მაკოცე. და გეყო თავის მართლება. მაკოცე და სახელი დამიძახე.

მათი სხეულები ერთმანეთში გადაიხლართა, ოფლისა და სუნამოს სუნი, სურვილები, ჟინი - ენით თუ კბილებით, როგორმე შეეღწიათ ერთმანეთის კანქვეშ, თითქოს იქ მოახერხებდნენ ჩასჭიდებოდნენ ერთიმეორის ხასიათს, ზნეს და ამ შერწყმისას ერთხელ და სამუდამოდ ამოგლეჯდნენ იქიდან.

ახლა კი არც ხელები აქვს ფერუმარილით დაფერილი და არც თეძოები - ვარდის წყლით დანამული.

- შენ გგონია, მეამბოხე ხარ, მაგრამ ეგრე არაა. უბრალოდ, იმას გაურბიხარ, რასაც ვერ დაეუფლები ან ვერაფრით შეცვლი. თუ რამეს თავს ვერ ართმევ, ტრიალდები და სხვა საქმეს კიდებ ხელს. გამოუსწორებელი ხარ. რამდენი ქალი გყოლია? იმიტომაც გაგექეცი, რომ მივხვდი - შენს შეცვლას ვერ მოვახერხებდი. ზოგჯერ ისე ჩუმად, ისე მშვიდად იდექი ხოლმე ოთახში, თითქოს ყველაზე დიდი ხიფათი მაშინ დაგემუქრებოდა, ოდნავ მეტს თუ მეტყოდი, ოდნავ მეტად თუ დამენახვებოდი.

ბევრს ვსაუბრობდით „მოცურავეთა მღვიმეში“. განედის სულ ორიოდე გრადუსი გვაშორებდა კუფრას ოაზისს, სადაც შეიძლებოდა უსაფრთხოება გვეპოვა.

ცოტა ხნით ჩუმდება და ხელს იწვდენს. კარავაჯო ჩაშავებულ ხელისგულზე მორფის აბს უდებს, და ისიც მაშინვე პაციენტის პირში უჩინარდება.

დამშრალი ტბის ფსკერი გადავიარე და კუფრას ოაზისისკენ გავაგრძელე გზა. დღისით სიცხე მწვავდა, ღამით სიცივისაგან ვიყინებოდი. ჰეროდოტეს ტომი მას დავუტოვე მღვიმეში. სამი წლის შემდეგ კი, 42-ში, მისი სხეული უკვე რაინდის აბჯარივით მიმქონდა ხელით, ქვიშაში ჩამალული თვითმფრინავისკენ.

უდაბნოში თავის გადარჩენის ყველა საშუალება მიწისქვეშაა საძებარი - ტროგლოდიტების გამოქვაბულებიც, მცენარეთა ფესვებში გაყურსული წყალიც, იარაღიცა და თვითმფრინავიც. 25-ე გრძედსა და 23-ე განედზე თხრას შევუდექი და მედოქსის თვითმფრინავიც გამოჩნდა ქვიშის ქვეშ. ეს ღამით ხდებოდა, მაგრამ სიცივის მიუხედავად, მაინც ოფლად გავიღვარე. მერე ნავთის სანათს დავწვდი, ახლოს მივუტანე და მის გვერდით ჩამოვჯექი. ორი მიჯნური და უდაბნო, და კიდევ - მთვარის შუქი, ან მხოლოდ ვარსკვლავების - ეს უკვე აღარც მახსოვს. სხვაგან ყველგან ომი მძვინვარებდა.

თვითმფრინავი ნელ-ნელა თავისუფლდებოდა ქვიშის მარწუხებისაგან. საჭმელი არაფერი მქონდა და ძალა ერთიანად გამომეცალა. ბრეზენტი იმდენად მძიმე მეჩვენა, ჭიდაობა არც დამიწყია და უბრალოდ, შუაზე გადავჭერი.

დილით, ორსაათიანი ძილის მერე, ისევ ხელში ავიტატე და კაბინაში დავასვენე. ძრავა ავამუშავე - მისი ხმა ხრინწიანად დაირხა უდაბნოს მდუმარებაში. დავიძარით, მალევე მოვწყდით მიწას... ოღონდ სამი წლის დაგვიანებით.

ისევ ჩუმდება. დამწვარ პაციენტს ერთ წერტილში მიყინვია მზერა.

ახლა თვითმფრინავს ხედავს. თვითმფრინავი ნელა, წვალებით წყდება მიწას, ძრავა შიგადაშიგ ხროტინებს. ამდენწლიანი დუმილის შემდეგ, ეს ხმიანობა ლამის აუტანელია. ქალს პერანგის სახელოდან აკაციის ტოტი ჩამოუცურდება. მომცრო, გამხმარი. მისივე ძვალივით. კაცი დაბლა იხედება და ხედავს, საწვავს მისთვის მუხლები დაუსველებია. ნეტა მიწიდან რა სიმაღლეზე არიან? რამდენად დაბლა - ზეციდან?

ბორბლები ლამისაა პალმის ხის კენწეროებს გამოედოს; ზევით მიმართავს თვითმფრინავს. საწვავი სავარძელზე იღვრება. ქალის სხეული ნელ-ნელა ცურდება ქვევით. მოკლე ჩართვის ნაპერწკალი მის მუხლზე ჩამოვარდნილ აკაციის ტოტს ხვდება და ტოტსაც ალი ედება. შეყვარებულს ისევ სავარძელში აბრუნებს, თავის გვერდით. მერე ცდილობს, ორივე ხელით როგორმე ახადოს კაბინის ხუფი, მაგრამ არაფერი გამოსდის. ბოლოს, გააფთრებული მუშტებსაც უშენს, შუშას ტეხავს და ცეცხლის ენებიც აბრიალდება ირგვლივ. რამდენად დაბლაა ცაში? ქალი თანდათან ილევა - აკაციის რტოსავით იწვიან მისი ხელები, ერთ დროს მას რომ ეხვეოდნენ. ქალი ნელ-ნელა ქრება. ენაზე მორფის გემოს გრძნობს. მისი თვალების მრუმე ტბორებში კარავაჯო ირეკლება - ისე ეხლება ოთახის კედლებს, როგორც ჭაში ჩაშვებული სათლი. გრძნობს, სახე დასისხლიანებია. წლებისგან გამომპალი თვითმფრინავით მიფრინავს. ქარი ფრთების ბრეზენტს ეჯაჯგურება და ფხრეწს. უკვე მკვდრები არიან. რამდენად შორს იყო ის პალმა? და საერთოდ, რამდენი ხნის წინ გადაუფრინეს? ცდილობს, ფეხები ამოალაგოს ალმოდებული საწვავის გუბიდან, მაგრამ იმათ ტყვიის სიმძიმე გასჯდომიათ. ვერაფრით ახერხებს, კაბინიდან ამოფორთხდეს. უცებ დაბერდა. უიმისოდ ცხოვრებამ დაღალა. არც ის შეუძლია, გულში ჩაიკრას, მიენდოს და ქალს აცალოს მისი ძილის უსაფრთხოებაზე ზრუნვა. ამქვეყნად აღარავინ დარჩა. უდაბნომ კი არ გატანჯა, სიმარტოვემ მოუღო ბოლო.

აღარც მედოქსია. ქალი, რომელიც უყვარდა, რომელიც ფოთლებად და რტოებად გადააქცია, ისიც თვალსა და ხელს შუა უქრება, კაბინის გატეხილი შუშიდან კი უდაბნოს ცის დაფჩენილი ხახა მოჩანს.

ბენზინით გაჟღენთილი პარაშუტის ჩანთის ღვედებში უყრის ხელებს და ხტება. თუმცა, შემხვედრი ქარი მის სხეულს ისევ ზემოთ აგდებს. მერე ფეხებში საოცარ სიმსუბუქეს გრძნობს. ახლა, თვალისმომჭრელად მოკაშკაშე, ჰაერშია გამოკიდული და ვერც ხვდება, რომ იწვის, ჩირაღდანივით.

დერეფანში მიმავალ ჰანას ინგლისელი პაციენტის ოთახიდან ხმები მოესმის და მაშინვე ჩერდება, აყურადებს.

ჰა, როგორია?

გადასარევი!

ეხლა ჩემი ჯერია.

აუ-ჰ! მართლა მაგარია!

ამნაირი გამოგონება სხვა არც არსებობს...

გეთანხმები, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო.

ოთახში შესული, ხედავს, რომ ინგლისელი პაციენტი და ხამსა რიგრიგობით აწვდიან ერთმანეთს შედედებული რძის ქილას. ახლა ინგლისელს მიაქვს ქილა ტუჩებთან და მადიანად სვლეპს ბლანტ სითხეს. სახე გაბრწყინებია, თვალები ეშმაკურად უციმციმებს, ხამსა კი აშკარად გაღიზიანებული ჩანს, როცა ქილასთან შელევა უწევს. ერთს გამოხედავს ჰანას, მერე საწოლისკენ იხრება, ერთი-ორჯერ ჰაერში თითებს გაატკაცუნებს და, ბოლო-ბოლო, ქილას ისევ ეპატრონება.

- მე და ამ ბიჭს კიდე ერთი საერთო გამოგვიჩნდა: თურმე ორივეს გვყვარებია შედედებული რძე. სულ თან დამქონდა ეგვიპტეში ხეტიალის დროს. მას კი ინდოეთში გაუგია ამის გემო.

- და პურზე წასმული თუ გიჭამიათ? - ეკითხება სიქჰი.

ჰანა ხან ერთს მიაჩერდება, ხან მეორეს. ხამსა ქილაში იჭყიტება.

- კიდე ერთსაც მოვიტან, - ამბობს და ოთახიდან გადის.

ჰანა ახლა საწოლზე მწოლიარე კაცს უცქერის.

- მე და ხამსა ბუნებით ორივე მაწანწალები ვართ. ერთგან დაბადებულებმა, საცხოვრებლად სულ სხვა ადგილი ავირჩიეთ. მთელი ჩვენი დღე და მოსწრება იმას ვცდილობთ, ან უკან დავბრუნდეთ, ანდა სამუდამოდ გავწყვიტოთ კავშირი სამშობლოსთან. ოღონდ ხამსა ამას ჯერ ვერ ხვდება. ამიტომაც ვუგებთ ერთმანეთს ასე კარგად.

სამზარეულოში სიქჰი დანით ორგან ხვრეტს ახალ ქილას და, ფაცხა-ფუცხით ისევ ინგლისელი პაციენტის ოთახში არბის.

- თქვენ ალბათ ინგლისში არ გაგიტარებიათ ბავშვობა, - ეუბნება ინგლისელს, - იქ შედედებულ რძეს სხვანაირად სვამენ.

- ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე არაერთი წელი გავატარე უდაბნოში და ყველაფერი რაც ვიცი, იქ ვისწავლე. და საერთოდ, თუკი რამ მნიშვნელოვანი გადამხდენია თავს, სწორედ იქ, უდაბნოში.

ამას რომ ამბობს, თან ჰანას უღიმის.

- ზოგი მორფით მჭყიპავს, ზოგი - შედედებული რძით. იქნებ რამე ერთობლივი დიეტა შეგედგინათ? - ახლა ხამსასკენ აბრუნებს თავს. - რამდენი ხანია, რაც მესანგრე ხარ?

- ხუთი წელი. ჯერ ინგლისში გავიარე სწავლება, ლონდონის შორიახლო. მერე იტალიაში გადმოგვისროლეს. ჩვენი ქვედანაყოფი აუფეთქებელი ყუმბარების გაუვნებელყოფაზე მუშაობდა.

- ინგლისში ვინ გასწავლიდა?

- ერთი ინგლისელი, ყველა უცნაურ ვინმედ თვლიდა.

- ეგეთები ყველაზე უკეთესი მასწავლებლები არიან. იქნებადა ლორდი საფოლკი იყო? მისს მორდენს თუ შეხვედრიხარ?

- კი.

ერთმანეთში საუბრობენ, ჰანა აღარც ახსოვთ. იმას კი ძალიან უნდა, მეტი შეიტყოს ხამსას მასწავლებელზე, გაიგოს, როგორ აფასებს, რა თვალით უყურებს.

- მაინც რატომ თვლიდნენ უცნაურად?

- სამეცნიერო კვლევებით იყო დაკავებული. ექსპერიმენტულ ქვედანაყოფს ხელმძღვანელობდა. მისი მდივანი, მისს მორდენი და მძღოლი, ფრედ ჰართსი, არასოდეს შორდებოდნენ გვერდიდან. მისს მორდენი სულ მისხალ-მისხალ იწერდა ყველაფერს, რასაც ის ნაღმის გაუვნებელყოფისას ლაპარაკობდა ხოლმე, ბატონი ჰართსი კი საჭირო ხელსაწყო-იარაღებს აწვდიდა. იშვიათი კაცი იყო. ამ სამეულს „წმიდა სამებას“ ეძახდნენ, მართლა სულ ერთად იყვნენ და ასე ერთადაც აფეთქდნენ 1941-ში. ერითში მოხდა ეს ამბავი.

ჰანა ჯარისკაცს შესცქერის, ის კი კედელს მიყუდებია, ცალი ფეხი მუხლში მოუხრია და ლანჩა ზედ დახატულ ბუჩქზე უდევს. სახეზე არც მოწყენილობა ეტყობა და, საერთოდ, არც არაფერი.

ჰანას ხელში არაერთ მამაკაცს ამოხდომია სული. ახსოვს, ანგიარიში როგორ უვლიდა ჯერ კიდევ ცოცხალ ჯარისკაცებს, რომლებსაც ჭრილობებში უკვე მატლები ჩაბუდებოდათ. ორტონაში ბოლო სიგარეტი მოაწევინა პირტიტველა ბიჭს, ვისთვისაც ნაღმს ორივე ხელი წაეწყვიტა. ვერაფერი აკავებდა და აჩერებდა. ჯიუტად აგრძელებდა დაკისრებულ საქმეს, ხოლო ყველა გრძნობა სადღაც საკუთარი არსების სიღრმეში ჩაემარხა. ძალიან იოლად შეიძლებოდა შეშლილიყავი, როცა ომის მხევლად იქცეოდი, როცა იმ შენს მოყვითალო, სადაფისღილებიან ხალათს ჩაიცვამდი.

ხედავს, სიქჰი ჯარისკაცი კეფით კედელს ეყრდნობა და სახეზე ის უტყვი ნიღაბი აუფარებია, რომლის ამოკითხვაც ჰანას უკვე მშვენივრად ეხერხება.

VII

In Situ

უესტბერი, ინგლისი, 1940

კირპალ სინგჰი ზედ იმ ადგილას იდგა, სადაც ნამდვილ ცხენს უნაგირი ედგმებოდა. თავიდან უბრალოდ წამოიმართა ამ „ცხენის ზურგზე“, მერე კი იმ უჩინარ მაყურებელსაც დაუქნია ხელი, რომლის არსებობაშიც ეჭვი არ ეპარებოდა. ლორდი საფოლკი დურბინდით უცქერდა; დაინახა, მისალმების ნიშნად როგორ შემართა ახალგაზრდა კაცმა ორივე ხელი.

ცოტა ხანს იდგა ასე, მერე კი ძირს ჩამოცოცდა, იმ ვეება ცხენის სილუეტის ზუსტად შუაგულში, უესტბერის თეთრი კირქვის გორაკის ერთ-ერთ ფერდობზე რომ ამოეკვეთათ. ახლა ის მხოლოდ მუქ ფიგურად მოჩანდა ცარცისფერ ფონზე და შორიდან შეუძლებელი იყო, ერთმანეთისაგან გაგერჩია მისი კანის სიმუქე და სამხედრო ფორმის ხაკისფერი. თუკი დურბინდის ლინზების ფოკუსი სწორად იყო დაყენებული, ლორდი საფოლკი ამ ჯარისკაცის სამხრეებზე მესანგრეთა შენაერთის გამოსარჩევ ნიშანსაც შეამჩნევდა.

შორიდან დამკვირვებლებს ეჩვენებოდათ, თითქოს ჯარისკაცი დიდი ნაბიჯებით ზომავდა გიგანტი ცხოველის თარგზე გამოჭრილ რაღაც რუკას. სინამდვილეში კი სიქჰი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორმე ფეხი არ დასცდენოდა კირქვის კლდის უთანაბრო, სლიპინა ზედაპირზე.

მას მხარზე ზურგჩანთამოგდებული მისს მორდენი მოყვებოდა, რომელიც დაკეცილ ქოლგას ხელჯოხივით ეყრდნობოდა. ცხენის ფორმის კონტურს ზემოთ, ათიოდე ფუტის მანძილზე, ქალმა ქოლგა გაშალა და მის ჩრდილქვეშ მოიკალათა. მერე თავისი წიგნაკიც გადაფურცლა და ჩასაწერად მოემზადა.

- გესმით ჩემი ხმა? - გასძახა ჯარისკაცმა.

- გადასარევად.

ქალმა ცარცით გათხვრილი თითები კაბის კალთაზე შეიწმინდა და სათვალე მოირგო. მერე შორეთს მიაპყრო მზერა და სწორედ ისევე, როგორც ცოტა ხნის წინ სიქჰმა, იმანაც უჩინარ მაყურებლებს დაუქნია ხელი.

ჯარისკაცს მოსწონდა ეს ქალი. კაცმა რომ თქვას, სწორედ ის იყო პირველი ინგლისელი, ვისთანაც მართლა გულითადად საუბრობდა ამ ქვეყანაში ჩამოსვლის შემდეგ. დროის მეტი ნაწილი ვულიჩის ყაზარმებში გაატარა, სადაც მხოლოდ სხვა ინდოელებთან ჰქონდა ურთიერთობა - თუ არ ჩავთვლით მიმტან გოგოებს ჯარისკაცთა სასადილოში.

ოჯახში მეორე ვაჟი იყო. წესისა და რიგის თანახმად, სამხედრო სამსახურში უფროსი ბიჭი უნდა ჩამდგარიყო - შუათანა ექიმი უნდა გამხდარიყო, უმცროსს კი რაიმე საქმისათვის მოეკიდა ხელი... მაგრამ ომმა ყველაფერი არივ-დარია. ჯარში გაწვევის რიგმა მასაც მოუწია და სიქჰების შენაერთში ჩაწერილი კიპრალ სინგჰი გემით ინგლისში ჩაიყვანეს. ლონდონში რამდენიმეთვიანი მომზადების შემდეგ მოხალისედ ჩაეწერა საინჟინრო ქვედანაყოფში, რომელიც სწორედ იმხანად იქმნებოდა სახელდახელოდ, მესანგრეთა გასაწვრთნელად - შენელებული მოქმედებისა თუ აუფეთქებელი ნაღმების გასაუვნებლად. 1939 წელს შედგენილი ეს სახელმძღვანელო მითითება, ცოტა არ იყოს, მიამიტურად ჟღერდა: შინაგან საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებლობას კისრულობს აუფეთქებელ ყუმბარებზე და ჰაერსაწინააღმდეგო თავ-

დაცვის ქვედანაყოფებს ავალდებულებს, ამოიღონ და გადაიტანონ ამგვარი ყუმბარები უსაფრთხო ადგილებში, სადაც ისინი სამხედროებმა უნდა ააფეთქონ - ყველა დადგენილი წესის დაცვით.

ასე გრძელდებოდა 1940 წლამდე, როცა ნაღმებისა და ყუმბარების გაუვნებელყოფა უკვე სამხედრო სამინისტროს დაევალა. ანუ - სამეფო საინჟინრო ძალებს. საგანგებოდ შეიქმნა მესანგრეთა 25 ოცეული. ოღონდ ინსტრუქტორებიც სანთლით საძებარი იყო და არც სათანადო აღჭურვილობა გააჩნდათ (ან ვინ იცოდა, რა იყო ამ საქმისთვის აუცილებელი?) მომავალი მესანგრეები მხოლოდ ჩაქუჩებით, საჭრისებითა და საგზაო სარემონტო სამუშაოებისთვის განკუთვნილი იარაღებით მოამარაგეს.

ყუმბარა შემდეგი ნაწილებისაგან შედგება:

1.კონტეინერი, ანუ - ყუმბარის გარსი;

2.ამფეთქებელი, ანუ - ფალია;

3.ფალიას ყანთაქილა, ანუ - დეტონატორი;

4.მთავარი, მძლავრი ყანთაქილა;

5.დამატებითი სამონტაჟო მოწყობილობები.

იმხანად ბრიტანეთში ჩამოგდებული ყუმბარების 80% ჩვეულებრივი, თხელკედლება ბომბები იყო და ასიდან ათას გირვანქამდე იწონიდა. ორიათასგირვანქიან ბომბს „ჰერმანი“, ანდა „ესავი“ ერქვა, ოთხიათასიანს კი - „სატანა“.

მრავალსაათიანი მეცადინეობის შემდეგ კირპალ სინგჰს პირდაპირ ნახაზებითა და სქემებით მოფენილ მაგიდასთან ჩამოეძინა. ესიზმრა, თითქოს ცილინდრის ლაბირინთში მიიკვლევდა

გზას, პიკრინის მჟავას, დეტონატორებსა და კონდენსატორებს შორის, სანამ თავად ყუმბარის გულისგულში, ღრმად მიმალულ ამფეთქებელს არ მიადგა; და აი, მაშინ უეცრად გამოეღვიძა.

როცა ყუმბარა მიზანს ხვდება, წინაღობაზე შეჯახება თრემბლერის ამოქმედებას იწვევს, მერე კი აალებადი კაფსულისას - ამფეთქებელში. იქიდან ცეცხლის ალი დეტონატორს ედება და მაშინ უკვე საქმეში პიკრინის მჟავაც ერთვება: სწორედ ის აიძულებს კონტეინერის მთავარ შემადგენელს - ალუმინის ფხვნილთან და სხვა კომპონენტებთან შერეულ ტრინიტროტოლუოლს - აფეთქდეს. მთელი ეს მოგზაურობა თრემბლერიდან აფეთქებამდე, მეყვსეულად ხდება.

ყველაზე სახიფათო მცირე სიმაღლიდან ჩამოგდებული ყუმბარები იყო. ისინი არც ჰაერში ფეთქდებოდა და არც წინაღობაზე დარტყმის ძალა იყო საკმარისი ამ „ეშმაკის მანქანის“ ასამოქმედებლად. მსგავსი ყუმბარები მშვიდად თვლემდნენ ქალაქებსა თუ ველ-მინდვრებში, ვიდრე ვიღაც უნებურად არ ჩართავდა თრემბლერის კონტაქტებს - ან ფერმერის ნიჩაბი, ან მანქანის ბორბალი, ან შემთხვევით მოხვედრილი ბურთი... და აი, აფეთქებაც მაშინ ხდებოდა.

სიქჰი სხვა მოხალისეებთან ერთად გადაიყვანეს საბარგო ავტომანქანით ვულიჩში განთავსებულ ექსპერიმენტულ ქვედანაყოფში. ეს ის დრო იყო, როცა დაუდევრობითა თუ უცოდინრობით გამოწვეული უბედური შემთხვევების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა კატასტროფულად იზრდებოდა თავად აუფეთქებელი ყუმბარების რიცხვთან შედარებით. 1940 წელს, როცა გერმანელებმა საფრანგეთი დაიპყრეს, ბრიტანეთი კი ლამის ალყაშემორტყმული აღმოჩნდა, ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა.

აგვისტოს დამდეგს ე. წ. „ბლიცკრიგი“ დაიწყო და სულ რაღაც ერთ თვეში 2500 აუფეთქებელი ყუმბარა დაგროვდა, რომელთა გაუვნებელყოფა საჩქარო იყო. გადაიკეტა გზები, გაიხიზნა

ფაბრიკა-ქარხნები. სექტემბრისთვის ასეთი „მთვლემარე“ ყუმბარების რიცხვმა უკვე 3700 მიაღწია. შეიქმნა ასი ახალი ქვედანაყოფი, თუმცა დიდწილად ჯერაც გაურკვეველი ჩანდა, მაინც როგორ მოქმედებდა სიკვდილის ეს იარაღი. ხსენებულ ქვედანაყოფებში ჯარისკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 10 კვირას არ აღემატებოდა.

ეს იყო ყუმბარების გაუვნებელყოფის გმირული ხანა, პიროვნული სიმამაცის ხანა, როცა საგანგებო ვითარებაში, საქმეში ბოლომდე გაუთვითცნობიერებელი, არასათანადოდ აღჭურვილი ადამიანები წარმოუდგენელ რისკზე მიდიოდნენ და შეგნებულად იყვნენ მზად, საკუთარი თავი გაეწირათ... ამასთანავე, მთავარი მოქმედი პირები ჩრდილში რჩებოდნენ, რამდენადაც მათი მოქმედება, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ფართოდ არ ხმაურდებოდა. აშკარად იგრძნობოდა, რომ მსგავს განცხადებებს შეეძლო მტრისთვისაც დაენახვებინა საქმის ჭეშმარიტი ვითარება აუფეთქებელ ყუმბარებთან ჩვენი მძიმე ბრძოლის თვალსაზრისით.

მანქანაში კირპალ სინგჰი წინ იჯდა, მძღოლის გვერდით, მისს მორდენი და ლორდი საფოლკი - უკან. ხაკისფრად გადაღებილ ამ „ჰამბერს“ უკვე გაეთქვა სახელი. ავტომობილის საშხეფე დამცავები ღია წითლად შეეღებათ, როგორც ყველა სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე, რაც კი მესანგრეთა დანაყოფებისთვის არსებობდა. ღამეული მგზავრობისთვის კი მარცხენა გვერდითა ფარზე ლურჯი შუქის ფილტრი დაეყენებინათ. ორი დღის წინ კირქვის ბორცვებთან, ცნობილი „ცხენის“ შორიახლოს, მავანი გამვლელი მამაკაცი აფეთქებულიყო. როცა გამნაღმველებიც მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, აღმოჩნდა, რომ ამ ისტორიული ღირსშესანიშნაობის ზედ შუაგულში, კიდევ ერთი ბომბი ჩარჩენილიყო. ამ ამბიდან ძალიან მალე უკვე ყველა ასეთი კირქვის ცხენი (სულ შვიდი) შესანიღბი ბადეებით შეფუთეს - არა იმდენად მათ

დასაცავად, რამდენადაც გერმანელი ბომბდამშენებისთვის ორიენტირის მოსასპობად.

უკანა სავარძელზე მოკალათებული ლორდი საფოლკი მშვიდად ყვებოდა ევროპის საომარი არემარედან შაშვების მიგრაციის ამბავს; მერე აუფეთქებელ ბომბებთან ბრძოლის ისტორიაზე გადავიდა და არც სანაქებო დევონური ნაღების მოხსენიება დავიწყებია. ამ ყველაფერზე ლაპარაკი კი იმისთვის წამოიწყო, უკეთ რომ გაეცნო ახალგაზრდა სიქჰისთვის ინგლისის ადათ-წესები და ტრადიციები; თან ისე გამოუდიოდა, თითქოსდა სულ ცინცხალ აღმოჩენებზე საუბრობდა. მართალია, წოდებით საფოლკის ლორდი გახლდათ, საცხოვრებლად პროვინცია, კერძოდ - დევონი აერჩია. ომის დაწყებამდე მისი მთავარი სიყვარული წიგნი „ლორნა დუნი“ გახლდათ, სადაც ყველაზე მეტად ის იზიდავდა, რამდენად უცდომელია ეს რომანი გეოგრაფიული და ისტორიული თვალსაზრისით. ზამთრის მეტ ნაწილს ბრენდონისა და პორლოკის შემოგარენში ხეტიალს უთმობდა. მოახერხა და უფროსობა დაარწმუნა, ექსმურზე უკეთეს ადგილს გამნაღმველთა საწვრთნელი პოლიგონის გასამართად ვერსად მოიძიებთო. მის ხელქვეითად თორმეტი კაცი ირიცხებოდა - სხვადასხვა ქვედანაყოფებიდან შერჩეული მესანგრეები და ინჟინრები. ერთ-ერთი მათგანი კირპალ სინგჰი გახლდათ. ლონდონში მთელი კვირა აუფეთქებელ ბომბებთან ბრძოლის ახალ მეთოდებს ეცნობოდნენ. მეცადინეობები პარკში უტარდებოდათ, სადაც მშვიდად დასეირნობდნენ შვლები. მაგრამ კვირის ბოლოს ექსმურში მიემგზავრებოდნენ, სადაც უკვე პრაქტიკული მეცადინეობა და ვარჯიში იმართებოდა. ამასაც რომ მოითავებდნენ, ლორდ საფოლკს თავისი ხელქვეითები იმ ეკლესიაში მიჰყავდა, სადაც საქორწინო ცერემონიისას, ლორნა დუნისთვის ტყვია დაეხალათ. „ან ამ ფანჯრიდან ესროლეს, ანდა უკანა კარიდან... ტყვია მხარში მოხვდა და სკამებს შორის, გასასვლელში დაეცა. კარგი ნასროლი იყო,

თუმცა თავად საქციელი, რაღა თქმა უნდა - საძრახისი... მერე ის არამზადა ჭაობებში დაიჭირეს და სულ ნაკუწ-ნაკუწ დაფლითეს“. სიქჰისთვის ეს ყველაფერი კარგად ნაცნობი ინდური იგავივით ჟღერდა.

ლორდ საფოლკის უახლოესი მეგობარი მისს სვიფტი გახლდათ - ქალი-ავიატორი, ვისაც საზოგადოება გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ ლორდი საფოლკი კი უყვარდა. ერთად ნადირობდნენ. მისს სვიფტი ქაუნთსბერიში, პატარა კოტეჯში ცხოვრობდა, ბრისტოლის ყურეს რომ გასცქეროდა. თითოეულ სოფელს, რომელსაც „ჰამბერმა“ ჩაუქროლა გზად, საკუთარი თავისებურება ახასიათებდა და ლორდი საფოლკიც ახლა უკვე ამაზე ლაპარაკობდა. ეს კაცი საუკეთესო იყო იმათ შორის, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარო - მოგვიანებით სწორედ ასე უთხრა ჰანას. ომი რომ არა, ლორდი არასოდეს მიატოვებდა ქაუნთსბერის, სადაც სარდაფში ღვინის წრუპვა და ფიქრი უყვარდა. ორმოცდაათი წლისა მოწეულიყო და ცოლიც კი შეერთო, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც უცოლო კაცად რჩებოდა. ყოველდღე მთებში დაიარებოდა და თავის მეგობარ ავიატორსაც ხშირად სტუმრობდა ხოლმე. ხელგარჯილობაც უყვარდა, ძველი ვარცლების შეკეთებაც, გენერატორების შიგთავსში ქექვაც. მისს სვიფტს კი მაჩვების ზნე-ჩვეულებებზე უყვებოდა ხოლმე.

უესტბერისკენ მიმავალ გზაზე ხუმრობითაც ბევრს ხუმრობდა, მაგრამ თან სასარგებლოსა და ჭკუისსასწავლებელსაც არ აკლებდა თანამგზავრებს. ახლაც, ომის დროსაც კი, მშვენივრად მოეხსენებოდა - სად მოეძია საუკეთესო ჩაი და საამისოდ „პამელას“ საჩაიე ეგულებოდა, სადაც ცოტა ხნის წინანდელი შემთხვევის გამო ხელშეხვეული, სკოლის მასწავლებელივით შეუძღვებოდა ხოლმე თავის მომცრო ჯგუფს - მდივანს, მძღოლსა და მესანგრეს. ყველასთვის საიდუმლოდ რჩებოდა, როგორ მოეხერხებინა ლორდ საფოლკს ზემდგომთა დაყოლიება, ახლებურად

აღეჭურვა თავისი ქვედანაყოფის ჯარისკაცები. რაც შეეხება გამომგონებლობის ნიჭს, ამ მხრივ ალბათ ვერც ვერავინ შეედრებოდა. თავად თვითნასწავლს, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ნებისმიერ გამოგონებაში შეეძლო ამოეცნო შექმნის მიზანიცა და ბიძგიც. თვითონ იმთავითვე მოიგონა ჯიბეებიანი ხალათი, რათა მუშაობისას მესანგრეებს ესა თუ ის ხელსაწყო-იარაღი საძებარი არ გახდომოდათ.

ჩაის მიირთმევდნენ, ცხელ-ცხელ ღვეზელებს გეახლებოდნენ და ნაღმების in situ გაუვნებელყოფის ხერხებზე მსჯელობდნენ.

- თქვენი მჯერა, ბ-ნო სინგჰ. ხომ გესმით ჩემი?

- რა თქმა უნდა, სერ. - სინგჰი ლამის აღმერთებდა თავის მასწავლებელს. ლორდი საფოლკი პირველი ნაღდი ჯენტლმენი იყო, რომელსაც ინგლისის მიწაზე შეხვდა.

- მოკლედ, გენდობით, როგორც საკუთარ თავს. მისს მორდენი გვერდით გეყოლებათ და მთელ ინფორმაციას ჩაიწერს. ჩვენი ბატონი ჰართსი ცოტა მოშორებით იდგება, თუკი დამატებით რაიმე ხელსაწყო ან დამხმარე ხელი დაგჭირდათ, სასტვენს ჩაბერავთ და ისიც მაშინვე თქვენთან გაჩნდება. მართალია, ჩვენი საქმისა ბევრი არაფერი გაეგება, მაგრამ მისი იმედი შეიძლება გქონდეთ. ხოლო თუ რამეზე უარი თქვა, ესე იგი, არ გეთანხმებათ და მაშინ უკვე თავად ჩავერევი. მაგრამ ადგილზე მთლიანად საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა იმოქმედოთ. აი ჩემი პისტოლეტი - სავარაუდოდ, ასაფეთქებელი მოწყობილობა დღეს უკვე უფრო გართულებულია, მაგრამ ვინ იცის, ეგებ მაინც გამოგადგეთ.

ლორდი საფოლკი ერთ იმ შემთხვევას გულისხმობდა, რამაც ასე გაუთქვა სახელი: კერძოდ, შენელებული მოქმედების ნაღმის იმგვარად გაუვნებელყოფას, როცა ამფეთქებელ მოწყობილობას თავისი იარაღიდან ტყვია დაახალა და ასე გათიშა საათის მექანიზმი. მართალია, მერე ამ ხერხზე უარის თქმა მოუწია, რადგან

გერმანელებმა ამფეთქებლის ახლებური კონსტრუქცია შექმნეს, სადაც ზემოდან დამრტყმელი კაფსულა მოათავსეს და არა - საათის მექანიზმი.

კირპალ სინგჰი მეგობრად მიიღეს და ამას არასოდეს დაივიწყებს. მართლაც, ომში გატარებული დროის თითქმის ნახევარი ამ ლორდის გვერდით მოუწია ყოფნა, იმას კიდე, თავის მხრივ, არასოდეს დაეტოვებინა ინგლისის ფარგლები და ომის დამთავრების მერეც სამუდამოდ ქაუნთსბერიში აპირებდა დაბინავებას. როცა ოჯახს მოწყვეტილი სინგჰი პენჯაბიდან ინგლისში აღმოჩნდა, იქ არავის იცნობდა. 21 წელი ეს-ესაა შესრულებოდა. ახალ ადგილას სხვა ჯარისკაცების გარემოცვაში ცხოვრობდა; მერე იყო და, შემთხვევით, მესანგრეთა საცდელი ბატალიონის განცხადება წაიკითხა მოხალისეების მიღების თაობაზე. მართალია, ყველა გაიძახოდა - ლორდი საფოლკი ცოტა შერეკილიაო, მაინც გადაწყვიტა ჩაწერილიყო. ომში მუდამ ვიღაცის დაქვემდებარებაში გიწევს ყოფნა, ამ შემთხვევაში კი გამორჩეული კაცის გვერდით მაინც იქნებოდა და ასე, ალბათ, საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნებასაც უკეთ მოახერხებდა.

მოხალისედ ჩაწერის მსურველთაგან, ერთადერთი ის იყო წარმოშობით ინდოეთიდან. ლორდი საფოლკი იგვიანებდა. თხუთმეტი ჯარისკაცი ბიბლიოთეკაში შეიყვანეს და მდივანმა ქალმა იქ დალოდება სთხოვა, თავადაც მაგიდას მიუჯდა - გვარებს იწერდა, ჯარისკაცები კი მოსალოდნელი გამოცდა-- გასაუბრების თაობაზე ლაზღანდარობდნენ. მათგან ჯერ არცერთს არ იცნობდა. მერე კედელზე მიმაგრებულ ბარომეტრთან მივიდა, უნდოდა ხელითაც შეხებოდა, თუმცა გადაიფიქრა - უბრალოდ, სკალასთან ძალიან ახლოს მიიტანა სახე. „ძალიან მშრალი. ნორმალური. ქარიანი“. სკალაზე ამოკითხული ეს სიტყვები ჩუმად თავისთვისაც გაიმეორა, თან ცდილობდა, ძალიან ინგლისურად გამოეთქვა. დანარჩენებს გამოხედა, ოთახიც მოათვა-

ლიერა და მდივანი ქალის მისკენ მიპყრობილი მზერა დაიჭირა. საშუალო ასაკის, გარეგნულად მკაცრი ქალი ჩანდა და სწორედ მას, ინდოეთიდან ჩამოსულ ბიჭს მიჩერებოდა დაჟინებით. სინგჰმა გაუღიმა, წიგნის თაროებისაკენ გადადგა ნაბიჯი, ოღონდ არც ამჯერად შეხებია არაფერს. ერთ-ერთ წიგნს დააკვირდა - „რაიმონდი, ანუ სიკვდილ-სიცოცხლე“. ავტორი - სერ ოლივერ ჰოჯი. მერე სხვასაც მიაკვლია, მსგავს სათაურიანს: „პიერი, ანუ ორაზროვნება“. მერე შემობრუნდა და ისევ ქალის მზერას გადააწყდა. დამნაშავედ იგრძნო თავი, თითქოს წიგნი დაუკითხავად აეღოს და ჯიბეში ჩაეცურებინოს. ეგებ ამ ქალს ადრე არასოდეს ენახა ჩალმა? ამ ინგლისელებს რას გაუგებ. უნდათ, მათ გამო სისხლი ღვარო, არადა სალაპარაკოდ თავს არც გიყადრებენ. სიქჰი. ანუ ორაზროვნება.

ლორდი საფოლკი უკვე სადილობისას გაიცნო. მშვენიერ გუნებაზე იყო, ყველა მსურველს ღვინოს უსხამდა და ჯარისკაცების ნებისმიერ ხუმრობაზე ხმამაღლა, გულიანად იცინოდა. იმ დილით კი მეტად უცნაური გამოცდა მოუწყვეს: სრულიად უცნობი დეტალებისაგან რაიმე სასარგებლოს აწყობა დაავალეს. საამისოდ ორი საათი მისცეს, თუმცა თუკი ვინმე ჩათვლიდა, უფრო მალე გავართვი საქმეს თავიო, შეეძლო ამდგარიყო და გამოსულიყო. სინგჰმა სწრაფად შეასრულა დავალება, ოღონდ არსადაც არ წასულა - დარჩენილ დროში ახლა სხვა დეტალებისაგან კიდევ რამის შეკოწიწებას ცდილობდა. გრძნობდა - თუ არა მისი წარმომავლობა, ქვედანაყოფში მოხვედრას სხვა ვერაფერი შეუშლიდა ხელს. იმ ქვეყნიდან ჩამოსულიყო, სადაც მათემატიკაცა და მექანიკაც სრულიად ბუნებრივად ესადაგებოდა ადამიანის გონებასაც და ხელებსაც. იქაურები არაფერს კარგავდნენ ტყუილად - თუკი მანქანა უფუჭდებოდათ, მის ნაწილებს ახლა საკერავ მანქანას ან ძველ წყალსაქაჩ ტუმბოს მოარგებდნენ ხოლმე. ფორდის უკანა სავარძელს ახალ გადასაფარებელს აკრავდნენ და მშვე-

ნივრად ხმარობდნენ ტახტად. მისი სოფლის მაცხოვრებელთა უმეტესობისათვის უფრო ბუნებრივი იყო, ხელში ქანჩი ან სახრახნისი სჭეროდა, ვიდრე ფანქარი თუ ავტოკალამი. უსარგებლო, ანდა ყავლგასული ნაწილები მერე ადგილს ძველებურ კედლის საათებში, სარწყავ მექანიზმებში, ანდა საოფისე სავარძლის სატრიალო მოწყობილობაშიც კი პოულობდნენ ხოლმე. ნებისმიერ მექანიკურ გასაჭირს სულ იოლად მოუნახავდნენ ხოლმე წამალს. გადახურებულ ძრავას რეზინის შლანგიდან მიშვებული წყლით კი არ აგრილებდნენ, არამედ ძროხის ფუნით, რადიატორს რომ შემოულაგებდნენ ირგვლივ. ინგლისში ნანახი კი, უბრალოდ, მონარჩენი ნაწილების უყაირათო ფლანგვად ეჩვენებოდა, იმის დანიავებად, რაც თავის ქვეყანაში კიდევ 200 წელი მაინც მშვენივრად გამოდგებოდა.

სამიდან ერთ-ერთი აღმოჩნდა, ვინც ლორდმა საფოლკმა აარჩია. მანამდე თითქმის არც დალაპარაკებოდა (და არც მასთან ერთად უცინია, რადგან სინგჰი სადილობისას ხუმრობას ერიდებოდა); ამის მერე კი თავად მიუახლოვდა, მთელი ოთახი გადაიარა და მხარზე მამაშვილურად ჩამოადო ხელი. პირქუში მდივანი ქალი მისს მორდენი გამოდგა - სწორედ ის შემოვიდა ლანგრით ხელდამშვენებული. ლანგარზე ხერესით სავსე ორი ჭიქა იდგა - ერთი ლორდ საფოლკს მიაწოდა, მეორე - თავად ასწია და უთხრა: ვიცი, თქვენ რომ არ სვამთო, და ინდოელი ბიჭი ადღეგრძელა.

- გილოცავთ, მშვენივრად გაართვით გამოცდას თავი. თუმცა, არც თავიდან შემპარვია თქვენში ეჭვი. როგორც კი დაგინახეთ, მაშინვე მივხვდი ყველაფერს.

- მისს მორდენი ნამდვილი ფსიქოლოგია, - საუბარში ჩაერთო ლორდი საფოლკიც, - ადამიანის ნიჭიერებასა და კარგ ხასიათს ტანით გრძნობს.

- ხასიათიო, სერ?

- სწორედაც. ჩვენში დარჩეს, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეგებ არც ქონდეს, მაგრამ მაინც - ხომ ერთად მოგვიწევს საქმიანობა, ერთ ოჯახად უნდა ვიქცეთ. თანაც, ხომ ხედავთ - მისს მორდენსაც წინდაწინვე სცოდნია, რომ აგირჩევდნენ.

- ძლივს ვიკავებდი თავს, თვალი რომ არ ჩამეკრა თქვენთვის, მისტერ სინგჰ. - უთხრა ქალმა.

ლორდმა საფოლკმა კი მხარზე ხელი მოხვია და ფანჯრისკენ წაიყვანა.

- ვიფიქრე, რაკი მომავალი კვირის ოთხშაბათამდე თავისუფლები ვართ, ეგებ ერთად წავსულიყავით ჩემს მამულში? ქვედანაყოფის ჯარისკაცები ხშირად მსტუმრობენ ხოლმე და შეგვეძლო, ერთიმეორისთვის ცოდნა გაგვეზიარებინა, უკეთაც გავიცნობდით ერთმანეთს.

აი, ასე აირჩია ამ ომში საკუთარი გზა, მკაფიო და ცხადი. უცხოეთში ყოფნის ერთი წელიწადი უკან დარჩა. ოჯახი შეიძინა იმ უძღები შვილივით, ვისაც მაგიდასთან ადგილს სთავაზობენ და არც თბილ სიტყვასა და ყურადღებას ამადლიან.

უკვე შეღამებულზე გადაკვეთეს სამერსეტისა და დევონის საზღვარი. ახლა ბრისტოლის ყურეს მიუყვებოდნენ. მანქანა ჰართსს მიყავდა. ვიწრო, სოფლურ გზაზე გადაუხვიეს, რომელსაც აქეთ--იქიდან მანანისა და დეკას ბუჩქები ჩარიგებოდა. ფარების შუქზე მკვეთრად მოჩანდა მათი მუქ-წითელი შეფერილობა. კიდევ სამი მილი ჰქონდათ სავალი.

ამ „წმინდა სამების“ - ლორდი საფოლკის, მისს მორდენისა და ჰართსის გარდა, ქვედანაყოფში კიდევ ექვსი მესანგრე ირიცხებოდა. უქმე დღეებში ყველანი ერთად დაეხეტებოდნენ ქვის კოტეჯის ჭაობიან შემოგარენში. კვირა საღამოს მათ ლორდ საფოლკის მეგობარიც შემოუერთდა. მისს სვიფტმა ახალგაზრდა სიქჰს უთხრა, მთელი ცხოვრება ინდოეთის თავზე გადაფრენას ვოცნებობო. ის კიდე ჯერაც ვერ გარკვეულიყო, სად და რომელ

მხარეს იმყოფებოდა. ჭერში, გორგოლაჭებზე, დიდი რუკა ჩამოეკიდათ. ერთ დილას, როცა ოთახში მარტო დარჩა, იატაკამდე დაქაჩა და ასეთი წარწერა ამოიკითხა: ქაუნთსბერი და მისი შემოგარენი. შეადგინა რ. ფაუნზმა, ბ-ნი ჯეიმზ ჰოლიდეის სურვილისამებრ.

ვიღაცის სურვილისამებრ შედგენილი რუკა... არა, თანდათან სულ უფრო და უფრო მეტად მოსწონდა ეს ინგლისელები.

ღამით თავის კარავში ჰანას ერითში მომხდარი უბედურების ამბავს უყვება. 250 კილოგრამიანი ბომბი მაშინ აფეთქდა, როცა ლორდი საფოლკი მის გაუვნებელყოფას ცდილობდა. მასთან ერთად მისს მორდენი და ფრედ ჰართსიც დაიღუპნენ. 1941 წლის მაისი იდგა. კირპალ სინგჰს ერთი წელი ჰქონდა გატარებული საფოლკის ქვედანაყოფში. თვითონ იმ დღეს ლონდონში მოუწია წასვლა, ლეიტენანტ ბლექლერთან ერთად ყუმბარა „სატანას“ რაღაც ეშმაკური საკეტის თავსატეხის ამოსახსნელად. ერთად უკირკიტეს ამ 4000 გირვანქიან ურჩხულს და გვარიანადაც დაიღალნენ. ახსოვს, როგორ აწია თავი და რამდენიმე ოფიცერი დაინახა, მისკენ რომ ათითებდნენ. მაშინვე გაიფიქრა - უთუოდ რაღაც უბედურება მოხდაო. ეგებ კიდე ერთი ნაღმი იპოვეს? თუმცა უკვე ღამის ათი საათი შესრულებულიყო და არაქათი მთლად გამოსცლოდა. არადა, საქმეც გადაუდებელი იქნებოდა, ცხადია. ისევ გააგრძელა მუშაობა.

როცა „სატანასთან“ ანგარიში გაასწორეს, გადაწყვიტა დრო მოეგო და თავადვე მიუახლოვდა უკვე წასასვლელად გამზადებულ ერთ-ერთ ოფიცერს.

- აბა, სადაა?

კაცმა ხელზე ხელი მოუჭირა და მიხვდა, რაღაც გამოუსწორებელი მომხდარიყო. როცა ოფიცერმა მომხდარის თაობაზე დაიწყო ლაპარაკი, სინგჰის ზურგსუკან მდგომმა ლეიტენანტმა ბლექლერმა მხარზე ღონივრად შემოხვია ხელი.

დაუყოვნებლივ გაემგზავრა ერითში. მიხვდა, მაშინვე რა ვერ სთხოვა იმ ოფიცერმა. ცხადია, მარტო მისიანების დაღუპვის შესატყობინებლად არ გამოუვლია ამოდენა გზა. ომი მძვინვარებდა და ამგვარი სინაზეების დრო არ იყო. ყველაფერი იმაზე მიანიშნებდა, შორიახლო კიდევ ერთი, სავარაუდოდ, იმავე აგებულების ბომბიც უნდა ყოფილიყო და მის უნახავად ვერც დადგინდებოდა, რა შეშლოდა ლორდ საფოლკს.

ამ საქმისთვის მარტოს უნდოდა გაერთმია თავი. ლეიტენანტი ბლექლერი ლონდონში უნდა დარჩენილიყო. სისულელე იქნებოდა, ორივეს ერთად ჩაეგდო თავი საფრთხეში. ლორდი საფოლკი თუ უძლური აღმოჩნდა, ესე იგი, გერმანელებს რაღაც სრულიად ახლებური მოეგონათ. ასეა თუ ისე, ამოცანა თვითონ, სხვის დაუხმარებლად უნდა ამოეხსნა. როცა ორნი ხართ, ლოგიკაც საერთო უნდა იყოს, მუდამ შეჯერებული გადაწყვეტილებების მიღება გიწევს.

ამ ღამეული მგზავრობის დროს, ერთიანად მოსხიპა ყველა შეგრძნება და პიროვნული განცდა; გონება ნათელი უნდა შეენარჩუნებინა. ერთი პირობა შეეცადა, ცოცხლად წარმოედგინა ყველანი: აი, მისს მორდენი ერთ მადიან ყლუპ ხეშეშ ვისკის სვამს, სანამ ხერესზე გადავიდოდეს. ასე უფრო ნელა მოერევა სიმთვრალე და მთელი საღამო უზადო ლედის შთაბეჭდილებას დატოვებს. „თქვენ არ სვამთ, ბატონო სინგჰ, მაგრამ რომ სვამდეთ, უთუოდ ჩემსავით უნდა მოქცეულიყავით: ერთი გემრიელი ყლუპი ვისკი, მერე კი ნელ-ნელა გეწრუპათ ღვინო, ნამდვილი დიდებულივით“. ამას მისი დაგუდული, მკერდისმიერი სიცილი სდევდა. ცხოვრებაში პირველად შეხვდა ქალს, რომელსაც მუდმივად დაჰქონდა თან ვერცხლის ორი მათარა. მოკლედ, დალევა უყვარდა, ლორდ საფოლკს კი - ხმელ გალეტებზე მისდიოდა სული.

მეორე ბომბი ნახევარი მილის მოშორებით ჩამოვარდნილიყო. ისიც 250 კილოგრამიანი, შჩ ტიპისა. მისი აგებულება კირპალ სინგჰს ნაცნობი ეჩვენა. უკვე ასობით მსგავსი ჰქონდა გაუვნებელყოფილი. მექანიზმი დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, მაგრამ, ზოგადად, სამხედრო ტექნიკა ძალზე სწრაფად ვითარდებოდა... გერმანელები ყოველ ექვს თვეში ერთხელ მაინც ცვლიდნენ რაღაცას. მიაგნებ მახეს, საიდუმლოს ამოხსნი, მიხვდები - სად იმალება ვერაგი ეშმაკობა, აუხსნი კიდეც დანარჩენ გამნაღმველებს და უცებ კიდევ ერთი ახალი თავსატეხი ჩნდება. ზუსტად ისე, როგორც ახლა.

თან არავინ წაუყვანია. ყოველ ნაბიჯს მისხალ-მისხალ დაიმახსოვრებს. სერჟანტს, რომელმაც აქ ჩამოიყვანა, ჰარდი ერქვა და ის ჯიპის შორიახლო დარჩა. სინგჰს დილამდე მოცდა ურჩიეს, მაგრამ ხვდებოდა, საქმისთვის დაუყოვნებლივ უნდა მოეკიდა ხელი. ამგვარ ბომბებს გერმანელები უხვად ყრიდნენ და თუკი მართლა შეეცვალათ რამე, აუცილებელი იყო ამის სასწრაფოდ დადგენა. პროჟექტორები წინასწარ მოითხოვა. საქმე არ ეზარებოდა, ოღონდ მართლა რიგიანი განათება სჭირდებოდა და არა მხოლოდ ჯიპის ფარების შუქი.

ერითში რომ ჩავიდა, იქაურობა უკვე განათებულიც დახვდა. ომამდე ეს ადგილი სავარგულს წარმოადგენდა - ახლაც შემორჩენილიყო ძველი მიჯნები. მოშორებით ტბორის ზედაპირიც ლაპლაპებდა მთვარის შუქზე, თუმცა დღეს აქაურობა სამკვდრო--სასიცოცხლო შერკინების ასპარეზად ქცეულიყო. შესცივდა. ჰარდის სვიტრი გამოართვა და სამხედრო ხალათზე გადაიცვა. პროჟექტორების შუქიც ცოტათი მაინც გაანელებდა სიცივეს. როცა ყუმბარისკენ მიაბიჯებდა, ჯერაც ცოცხლად ესახებოდნენ ყველანი ხსოვნაში, თვალწინ ედგნენ და ვალდებულიც იყო, მათთვის ეს გამოცდა წარმატებით ჩაებარებინა.

ჩახჩახა შუქზე ბომბის ხორკლიანი ზედაპირი მშვენივრად ჩანდა. ერთბაშად მიავიწყდა ყველაფერი, უნდობლობის გარდა. ლორდი საფოლკი ეუბნებოდა: „შეიძლება უბადლო მოჭადრაკე იყო 17 წლის ასაკში, 13 წლისამაც შეიძლება ნამდვილი ოსტატები დაამარცხო, მაგრამ იმავე ხნის ადამიანი ბრიჯის კარგ მოთამაშედ ვერაფრით იქცევი - ბრიჯი ხასიათს მოითხოვს, თქვენსასაც და თქვენი მეტოქეებისასაც; უთუოდ უნდა გაითვალისწინო მოწინააღმდეგის ხასიათი და იგივე ითქმის ყუმბარის გაუვნებელყოფაზეც - ესეც ბრიჯს გავს, ოღონდ აქ ერთი-ერთზე მიდის თამაში, პარტნიორი არა გყავს, მხოლოდ მეტოქე. ზოგჯერ, გამოცდაზე, ბრიჯსაც ვათამაშებ ხოლმე ჯარისკაცებს. ითვლება, რომ ყუმბარა მექანიკური საგანია, უსულო მტერი, მაგრამ ნურასდროს დაგავიწყდებათ, რომ ის ვიღაც სულიერის შექმნილია“.

ყუმბარის გარსი მიწაზე დაცემისას დაზიანებულიყო და სინგჰი თვალნათლივ ხედავდა ასაფეთქებელ ნივთიერებას. ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ვიღაც უთვალთვალებდა, მაგრამ ზედმეტი ფიქრი არ დაუწყია იმაზე, ვინ არ აშორებდა თვალს - ლორდი საფოლკი თუ ამ ეშმაკეული გამოგონების ავტორი. პროჟექტორების შუქმა მხნეობა შემატა. ყუმბარას შემოუარა, სხვადასხვა კუთხიდან დაათვალიერა. ამფეთქებლის ამოღებას კორპუსის მთავარ კამერაში შეღწევა სჭირდებოდა. აბგა გახსნა და უნივერსალური ქანჩის გამოყენებით, ფრთხილად მოხსნა დამცავი ფირფიტა ყუმბარის კონტეინერის მეორე მხარეს. შიგნით რომ ჩაიხედა, ნახა - ამფეთქებლის მექანიზმიანი ჯიბე კორპუსის მცირე კამერიდან ამოვარდნილიყო. არ იცოდა, იღბლის წყალობად ჩაეთვალა ეს თუ - პირიქით. ჯერ ადრე იყო ამაზე ლაპარაკი, სანამ არ გაარკვევდა - მომართული იყო თუ არა თავად მექანიზმი. მუხლებზე დადგა, წინ გადაიხარა და გაიფიქრა - კარგია, ამ არჩევანის კეთებისას, მარტო რომ ვარო. მარჯვნივ შეებრუნებინა თუ - მარცხნივ? აქ გადაეჭრა მავთული თუ - სხვაგან? არადა, ძა-

ლიან იყო დაღლილი და, ჯერჯერობით, არც მრისხანება განელეებოდა.

არ იცოდა, რამდენი ჰქონდა დრო. ვინ იცის, დიდი დაყოვნება ეგებ საბედისწეროც გამომდგარიყო. ფეხის ტერფებით მიაწვა ცილინდრის ცხვირს, ხელი შიგნით შეყო და ამფეთქებლის მექანიზმიანი ჯიბე ღონივრად მოქაჩა. როგორც კი ეს გააკეთა, ერთიანად აიტანა ცახცახმა. ჯიბე მოგლიჯა და ამოიღო. ყუმბარა უკვე გაუვნებელყოფილი იქნებოდა. ამფეთქებელი, თავის აბურდულ სადენებიანად, ბალახზე დადო და იმანაც შუქზე გაიბრჭყვიალა.

დანარჩენებს ანიშნა - უკვე შეიძლება გამოფატრული კორპუსი საბარგო მანქანისკენ წავათრიოთო. იქ უკვე სხვები მიხედავდნენ, მთლიანად გამოაცლიდნენ ასაფეთქებელ ნივთიერებას. ამ დროს იქიდან მეოთხედი მილის მოშორებით კიდევ ერთი ყუმბარა აფეთქდა, ცა განათდა და ამ შუქზე მისი პროჟექტორების ნათებაც მქრქალი და უსიცოცხლო ეჩვენა. ვიღაც ოფიცერმა ლუდის ბოთლი მიაწოდა, იმანაც ერთი მოსვა და მერე ისევ ამფეთქებლის მექანიზმს მიუბრუნდა.

სასიკვდილო საფრთხე აღარ არსებობდა. თუკი ახლა რამეს არასწორად გათვლიდა, სუსტ აფეთქებას, დიდი-დიდი, მაჯაში წაეწყვიტა მისთვის ხელი. თავსატეხი ახლა უბრალო ტექნიკურ ამოცანადღა იქცა. ისევ იმ ოფიცერს მიადგა და ერთი ყლუპი ლუდი კიდე სთხოვა. მერე კვლავ საქმეს ჩაუჯდა. ღამის ორის ნახევარი იქნებოდა. საათი არ ეკეთა, თუმცა დრო მაინც გამოითვალა. ნახევარი საათი გამადიდებელი შუშით ათვალიერებდა ამფეთქებლის მექანიზმს. მონოკლის მაგვარ ამ ხელსაწყოს სულ მუდამ გულის ჯიბით დაატარებდა. წინ გადახრილი, მისხალ-მისხალ სწავლობდა ამ თითბერსა და სპილენძს, ცდილობდა თუნდაც სულ მცირე ნაკაწრი ეპოვა, რაც შეიძლებოდა დამცავ სამაგრს დაეტოვებინა. მსგავსიც არაფერი.

მოგვიანებით, რაიმე სხვაზე ფიქრის გადატანა დასჭირდებოდა; როცა ბლომად დაუგროვდებოდა მსგავსი შემთხვევები, აუცილებელი გახდებოდა გამოენახა საშუალება, რაღაც, თეთრი ხმაურის მსგავსი, ახალი თავსატეხის ამოხსნისას სხვას ყველაფერს რომ დაავიწყებდა. ასე გაჩნდა ხმამაღალი მუსიკის წყარო - მისი რადიომიმღები და კარვის ბრეზენტიც საიმედოდ იცავდა ნამდვილ სამყაროში წამოსული წვიმისაგან.

მაგრამ მაშინ თითქოს რაღაც შორეული შუქის კრთომას აკვირდებოდა - ვითომ ცაზე არეკლილ ელვას გავს? ჰართსი, მორდენი და საფოლკი დაიღუპნენ, მხოლოდ მათი სახელებიღა დარჩა... მთელი ყურადღება ისევ ამფეთქებლის კოლოფზე გადაიტანა და ფიქრში მის მოხრახვნას შეუდგა, ყველა ლოგიკურად სავარაუდო შესაძლებლობის გათვლას.

მერე ისევ თარაზულად გააწონასწორა. წინგადახრილმა და ყურმიდებულმა, ამფეთქებელს სარქველი მოხსნა იმის გასაგებად, გაკაწრავდა თუ არა ზედაპირს სპილენძის უწვრილესი მავთული. ოდნავი ჩქამიც კი არ გაუგია. სარქველი სრულიად უხმაუროდ მოშორდა მექანიზმის დანარჩენ ნაწილს. ფრთხილად გამოათავისუფლა საათის მექანიზმის „თათები“ და ბალახზე დადო. ამფეთქებლის ჯიბის მილაკს დასწვდა და ერთხელ კიდევ დაჟინებით დააშტერდა, თუმცა ვერც ამჯერად დაინახა რამე. აპირებდა, ისიც ბალახზე დაედო, მაგრამ შეიცადა და ერთხელ კიდევ შეათვალიერა პროჟექტორის კაშკაშა შუქზე. თვალით დიდად ვერაფერი შეატყო, მაგრამ წონა? ღმერთმანი, ამაზე ადრე არასოდეს დაფიქრებულა. ადრე მხოლოდ უსმენდნენ ან ათვალიერებდნენ. ფრთხილად შეაბრუნა მილაკი და სიმძიმემაც მისი ღია ბოლოსაკენ გადაინაცვლა. შიგნით მეორე ჩამრთველიც აღმოჩნდა - სწორედ მაგას შეეწირენ ის სამნი.

ჩამრთველი მილაკიდან გამოფერთხა და თავი შეხსნა. ერთი კი სუსტად იელვა მოთეთრო-მომწვანო შუქმა, ოდნავი ჩქამი

გაიღო და მეორე დეტონატორიც „მოკვდა“. ისიც სხვა ნაწილებს მიუდო გვერდით, ბალახზე, თავად კი ჯიპისაკენ გაემართა.

- მეორე დეტონატორიც ყოფილა... - ჩაიბურტყუნა, დანარჩენებთან მისულმა, - ძალიან გამიმართლა, ყველა სადენი რომ ერთად ამოვიღე. შტაბს დაურეკეთ და გაიგეთ, კიდევ თუა სადმე ეგეთები.

ჯიპთან ახლა მარტო დარჩა. საველე სკამი გაშალა და ზედ ყუმბარის ნაწილები დაალაგა. სციოდა. სუნთქვისას ბოლქვებად გამოსდიოდა ორთქლი პირიდან. ზემოთ აიხედა. მოშორებით, ჯარისკაცები ჯერაც აცლიდნენ ბომბს ასაფეთქებელ ნივთიერებას. ფურცლის ნაგლეჯზე სწრაფად დაწერა რამდენიმე ფრაზა და ფურცელი ოფიცერს გადასცა. ცხადია, ის მაშინვე ვერ გაერკვეოდა ნაწერში, მაგრამ თუკი სინგჰს რამე დაემართებდა, მისი დაღუპვის მიზეზს გამგები უკვე იოლად მიხვდებოდა.

„როცა მზის შუქი ოთახში იჭრება, იქ თუ ბუხარი ანთია, ცეცხლიც გამკრთალდება“. უყვარდა ლორდი საფოლკი და მისი ამგვარი უცნაური გამონათქვამები, მალიმალ რომ ესმოდა ხოლმე, მაგრამ ახლა, სრულიად მარტო დარჩენილს, მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აეღო. შესაბამისად, სწორედ ის უნდა გარკვეულიყო ბომბის ახალ კონსტრუქციაში, რათა მთელი ქალაქი ეხსნა საფრთხისაგან. სწორედ პასუხისმგებლობის ამგვარი გრძნობა გამოარჩევდა ლორდ საფოლკსაც და ამას მხოლოდ ახლაღა მიხვდა საბოლოოდ. სწორედ ამ გრძნობამ გამოუმუშავა ყველაფრის მისხალ-მისხალ ჩაწერის ჩვევა. ცხოვრებაში არასოდეს გასჩენია ძალაუფლებისთვის ბრძოლის სურვილი. თათბირებსა და განხილვებზე მუდამ უხერხულად გრძნობდა თავს, რადგან იცოდა - საბოლოო ჯამში, მისი საქმე უშუალოდ ადგილზე საფრთხის გაცნობა და გაუვნებელყოფა იყო. როცა ლორდი საფოლკის დაღუპვა ცხადლივ გააცნობიერა, კირპალ სინგჰი ინგლისს დაემშვიდობა: სახელებისა და გვარებისადმი

გულგრილ არმიაში ჩაეწერა და მალევე აპენინის ნახევარკუნძულისაკენ მიმავალ სამხედრო-სატრანსპორტო გემ „მაკდონალდზე“ აღმოჩნდა. მის ახალ ქვედანაყოფს არა ჭურვების გაუვნებელყოფა, არამედ, ძირითადად, ხიდების აღდგენა, დანაღმული ტერიტორიების გაწმენდა და ლიანდაგების დაგება ევალებოდა. ომის ბოლომდე იტალიაში დარჩა და ის სიქჰი, საფოლკის ბატალიონში რომ ირიცხებოდა, უკვე ცოტა ვინმეს თუღა ახსოვდა - მით უფრო, რომ ლორდის დაღუპვიდან ერთი წლის შემდეგ ბატალიონი საერთოდ დაშალეს კიდეც. მათგან ლეიტენანტი ბლექლერი იყო ერთადერთი, ვინაც თანდაყოლილი ნიჭის წყალობით სამხედრო ასპარეზზე მეტ-ნაკლებად დაწინაურება მაინც მოახერხა.

მაგრამ იმ ღამით, როცა სიქჰი ლევისჰემისა და ბლექჰითის გავლით, ერითისაკენ მიემგზავრებოდა, უეცრად იგრძნო, რომ სწორედ მასში და არა რომელიმე სხვა გამნაღმველში მოეყარა თავი საფოლკის მთელ ცოდნას. სწორედ თვითონ უნდა ქცეულიყო მის მემკვიდრედ.

ჯერაც საბარგო მანქანასთან იდგა, როცა იმის მაუწყებელი სტვენა გაიგონა, საცაა პროჟექტორს გამორთავენო. მართლაც, ოცდაათ წამში პროჟექტორების მჭახე სინათლე ავტომანქანების ფარების მომწვანო-მოყვითალო ნათებამ შეცვალა. მალე კიდევ ერთი დაბომბვა დაიწყებოდა. როცა თვითმფრინავების ხმა მოახლოვდებოდა, უკვე ამ შუქებსაც ჩააქრობდნენ. საწვავის ცარიელ ავზზე ჩამოჯდა და SC ტიპის 250 კილოგრამიანი ჭურვიდან ამოღებული სამი შემადგენლის თვალიერებას შეუდგა.

იჯდა და ჩუმად ელოდა, როდის გაისმებოდა ტკაცანის ხმა. მისგან ორმოცდაათიოდე ნაბიჯის მოშორებით სხვებიც ირეოდნენ. იცოდა, ახლა თავად იყო აქაურობის ბატონ-პატრონი და რაც არ უნდა მოეთხოვა, თვალის დახამხამებაში მოურბენინებდნენ - სულ ერთია, ტომარა ქვიშასა თუ ხილის ღვეზელს. ეს ხალხი სად-

მე ბარში სიტყვასაც არ გამოიმეტებდა მისთვის, ახლა კი შესციცინებდნენ და მზად იყვნენ, მისი ნებისმიერი სურვილი შეესრულებინათ. უცნაური განცდა დაეუფლა: თითქოს ზომით დიდი ტანსაცმელი ჩამოაფხატეს, თავ-ფეხიანად შიგ გამოახვიეს, სახელოები კი ძირს ეთრეოდა... არადა, უკვე მიჩვეოდა უჩინრად ყოფნას. ინგლისში, როცა ამა თუ იმ ყაზარმაში გაამწესებდნენ ხოლმე, დანარჩენები, როგორც წესი, საერთოდ არ იმჩნევდნენ და თვითონაც ბუნებრივად ეჩვენებოდა საკუთარი მარტოსულობა. თუმცა ის თავდაჯერება და გულჩახვეულობა, რაც ჰანამ მასში მოგვიანებით შეამჩნია, სულაც არ იყო მისივე საქმიანობის შედეგი: ამის მიზეზი უფრო ალბათ სხვა რასის უსახელო წარმომადგენლად ევროპაში ყოფნა გახლდათ. შესაბამისად, თავდაცვითი რეაქციაც გამოიმუშავა და მარტო იმათ ენდობოდა, ვინც მასთან დამეგობრებას მოისურვებდა. ოღონდ იმ ღამით, ერითში, თავიდან ბოლომდე აცნობიერებდა, ხელთ რომ ეპყრა ყველასა და ყველაფრის ტიკინებივით ასათამაშებელი ძაფები, როგორც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულსა თუ რაღაც სხვათათვის სრულიად უცნობი საიდუმლოს მცოდნეს.

რამდენიმე თვეში იტალიაში გადაისროლეს. აბგა ჩაალაგა და ლორდი საფოლკის ლანდიც თან გაიყოლა. თანაც, ამ დროს რატომღაც იმ მწვანედ მოსილ პატარა ბიჭთან მსგავსებას გრძნობდა, სულ პირველად, საშობაო წარმოდგენაზე რომ ნახა. თეატრში წასვლა ლორდმა საფოლკმა და მისს მორდენმა შესთავაზეს. სანახავად სპექტაკლი „პიტერ პენი“ აირჩია. ისინიც უხმოდ დათანხმდნენ და ამ საბავშვო სანახაობის საცქერლად მასთან ერთად გაეშურნენ. სწორედ ამგვარი მოგონებები რიალებდა ირგვლივ, ჩრდილებივით, როცა იტალიის მთიანეთში ჩაკარგული პატარა ქალაქის შორიახლოს ჰანასთან ერთად იწვა თავის კარავში.

მოგონებები იმდენად ეძვირფასებოდა, საკუთარი წარსულის მოყოლას ანდა თავისი ხასიათის თვისებებზე ლაპარაკს მეტისმეტ ხელგაშლილობად თვლიდა, ისევე როგორც შეუძლებლად მიაჩნდა, პირდაპირ ეკითხა გოგოსთვის - სხვებს მაინცადამაინც მე რატომ მამჯობინეო. ისეთივე ძალით უყვარდა, როგორც ის სამი უცნაური ინგლისელი - აკი მათთან ერთად უჯდა მაგიდას, მათთან ერთად ჭამდა და სვამდა, ხედავდა, როგორ უმზერდნენ ისინი მის აღტაცებას და გაოცებას, როცა მწვანედ მოსილმა პატარა ბიჭმა ხელები აიქნია და სცენის თავზე, სიბნელეში გაფრინდა - იმ პატარა გოგოს დაუბრუნდა, რომელიც ერთ უბრალო, ჩვეულებრივ ოჯახში ცხოვრობდა და ფრენაზე ოცნებობდა.

იქ კი, ერითის წყვდიადში, მაშინვე ანება საქმეს თავი, როგორც კი თვითმფრინავების შორეული გუგუნი მოესმა და ერთიმეორის მიყოლებით ჩაქრა ყველა შუქი. ასე იჯდა ბნელში, წინ წახრილი და მოწიკწიკე მექანიზმს მიყურადებული, ჯერ ისევ დადარაჯებული, ეგებ გერმანული ბომბდამშენების ხმიანობაშიც კი მოვკრა ყური გატკაცუნებასო.

მერე კი მოხდა ის, რასაც ელოდა: ზუსტად ერთი საათის შემდეგ, დანიშნული დროც ჩამოთავდა და კაფსულაც აფეთქდა: სწორედ მაშინ, როცა გამნაღმველს წესით უნდა ჰგონებოდა, ყველა საფრთხე ავირიდე და ჭურვიც საბოლოოდ გავაუვნებელყავიო.

ამ ახალმა მოწყობილობამ მოკავშირეთა მთელი ძალისხმევა სულ სხვა მხარეს წარმართა. იმ დღიდან მოყოლებული, შენელებული მოქმედების თითოეულ ჭურვში უკვე ამფეთქებლის მეორე მოწყობილობის ძებნას იწყებდნენ - მხოლოდ პირველის უსაფრთხოდ ამოღება არანაირად არ იძლეოდა საბოლოო სიმშვიდის საფუძველს.

კირპალ სინგჰს უბრალოდ გაუმართლა. ცოცხალი მხოლოდ იმის წყალობით გადარჩა, პროჟექტორების შუქზე ჭურვიდან მო-

მაკვდინებელი მეორე ხაფანგის ამოღება რომ მოახერხა. ახლა, დაბომბვისას, გოგირდოვან სიბნელეში, ერთი, ხელისგულისოდენა გაელვებაღა დაინახა, მთელი ერთი საათის დაგვიანებით. ოფიცერთან დაბრუნდა და უთხრა - ჩემი ვარაუდის სისწორეში საბოლოოდ რომ დავრწმუნდე, ერთი ესეთი ამფეთქებელი კიდევ მჭირდებაო.

ირგვლივ ისევ აანთეს სინათლეები. იმ ღამით კიდევ ორი საათის განმავლობაში ამოწმებდა სხვა ყუმბარების ამფეთქებლებს. როგორც წესი, ყველა მათგანი სამოცი წუთის დაგვიანებით ამუშავდებოდა ხოლმე.

თითქმის მთელი ის ღამე ერითში გაატარა. აი, გაღვიძებით კი უკვე ლონდონში გამოეღვიძა. საერთოდ არ ახსოვდა, როგორ იმგზავრა უკანა გზაზე. წამოდგა, მაგიდასთან მივიდა და სახელდახელოდ მოხაზა სქემა. ამფეთქებლის მასრები, დეტონატორები, ZUS-40-ის მთელი აგებულება - ამფეთქებლიდან დამბლოკავ რელეებამდე. მერე ქაღალდზე გაუვნებელყოფის ყველა შესაძლო გზაც ჩამოწერა. მოკლე-მოკლე წინადადებებით წერდა, მკაფიოდ და გასაგებად, როგორც ეს მისთვის ესწავლებინათ.

მისი ღამეული მიგნება მართებული გამოდგა - წინააღმდეგ შემთხვევაში უკვე ცოცხალიც არ იქნებოდა. ადგილზე მსგავსი ჭურვის გაუვნებელყოფა, მისი აფეთქების გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანდა. ყველაფერი, რაც შეიტყო, მოცისფრო ქაღალდის დიდ ფურცელზე დახატა და ჩამოწერა, ქვემოთ კი ასეთი რამ დაურთო: დაიხაზა ლორდი საფოლკის თხოვნით, მისი მოწაფის, ლეიტენანტ კირპალ სინგჰის მიერ. 10 მაისი, 1941 წ.

ლორდი საფოლკის დაღუპვის შემდეგ მართლა თავდაუზოგავად, შეშლილივით ეტანებოდა საქმეს. ჭურვების აგებულებაში მუდმივად ჩნდებოდა ახალ-ახალი ცვლილებები. რიჯენთს--პარკის ყაზარმებში ცხოვრობდა, ლეიტენანტ ბლექლერთან და კიდევ სამ მესანგრესთან ერთად. ისინი გადაწყვეტის გზებს ეძებ-

დნენ, ბომბის ყოველი ახალი სახეობის თაობაზე დაწვრილებით ანგარიშებს ადგენდნენ და ერთმანეთსაც კარგად უგებდნენ.

თორმეტი დღის შემდეგ, უკვე სამეცნიერო კვლევების დირექტორატში მივლინებულებმა, პასუხიც იპოვეს - ამფეთქებლის სრული უგულებელყოფა. მოკლედ, უარი უნდა ეთქვათ სახელმძღვანელო ინსტრუქციის პირველივე პუნქტზე: „ნაღმიდან ამფეთქებელი ამოხრახნეთ“. შესანიშნავი ამბავი იყო. ძალიან გაიხარეს. იცინოდნენ და ერთმანეთს ეხვეოდნენ. ჯერჯერობით, არანაირი სხვა გზა არ ჩანდა და ეჭვიც არ ეპარებოდათ, მართლები ვართო. არადა, სიმართლისკენ მიმავალი გზა გასაოცრად მარტივი აღმოჩნდა. თავსატეხს ვერ ამოხსნი, მხოლოდ მისი დახასიათებით თუ შემოიფარგლები. ამ შემთხვევაშიც იღბალი დაეხმარათ. ლეიტენანტმა ბლექლერმა სრულიად უნებურად ჩაილაპარაკა: „თუ თქვენთან ერთად ოთახში კიდევ რაღაც პრობლემაა, სულ ნუ მიაქცევთ ყურადღებასო“. ამაზე სინგჰი მიუბრუნდა და ნათქვამი თავისებურად გადაასხვაფერა: „ესე იგი, ამფეთქებელს ხელიც არ უნდა ვახლოთ“.

როცა ამას მიხვდნენ და თავიანთი მიგნების თაობაზე ხელმძღვანელობასაც მოახსენეს, საბოლოო გადაწყვეტილებაც ერთ კვირაში იქნა მიღებული. ორთქლის სტერილიზატორი. ბომბის კორპუსში ნახვრეტი უნდა გაკეთებულიყო, მერე შიგ შეშვებული ორთქლი ასაფეთქებელი ნივთიერების ემულსირებასა და მის გარეთ გამოდევნას მოახერხებდა. ცოტა ხანს მაინც, ეს ხერხი უთუოდ გაამართლებდა. თვითონ კი ამ დროს უკვე იტალიისკენ მიმავალ გემზე იჯდა.

- შეგიმჩნევია, რომ ყუმბარებზე ყვითელი ცარცით ყოველთვის რაღაცაა ხოლმე მიწერილი? სწორედ ასე დაგვაწერეს ტანზე რაღაცები ყვითელი ცარცით, როცა ლაჰორის ფორტის შიდა ეზოში ჩაგვამწკრივეს.

რიგრიგობით შევყავდით შენობაში, სადაც სამედიცინო შემოწმებას გავდიოდით, იქიდან კი უკვე სიის მიხედვით გვიძახებდნენ. სამხედრო სამსახურში ვეწერებოდით. ექიმები ათასნაირად გვსინჯავდნენ, ხელებით კისრებს გვიმოწმებდნენ, ნერწყვის სინჯებს გვიღებდნენ და კანიდან პატარა ნაკუწსაც კი გვაცლიდნენ.

ბოლოს, ვინც ვარგისად ჩაგვთვალეს, ეზოში ჩაგვამწკრივეს. დაშიფრული შედეგები ყვითელი ცარცით დაგვაწერეს ზურგზე და ხანმოკლე გასაუბრების შემდეგ, ინდოელმა ოფიცერმა ახლა გულზე ჩამოკიდულ ფირფიტაზე კიდევ მიამატა სხვა ცნობებიც - წონა, ასაკი, დაბადების ადგილი, განათლება და ჯარის სახეობის სავარაუდო შესაფერისი დასახელება.

ოდნავადაც არ მიგრძნია თავი შეურაცხყოფილად. ჩემი უფროსი ძმა კი, ვიცი, გაცოფდებოდა. ეგრევე ჭას მივარდებოდა, სათლით წყალს ამოიღებდა და იქვე ჩამოირეცხავდა ამ ცარცით ნაჯღაბნს. მე სულ სხვანაირი ვიყავი, თუმცა ჩემი ძმა ძალიანაც მიყვარდა. მიყვარდა კი არა, ლამის ვაღმერთებდი. იმთავითვე ჩვევად მქონდა, ყველაფრის აზრი და მიზეზი მეპოვა. სკოლაში სიბეჯითით გამოვირჩეოდი და ძმაც ამის გამო სულ მემასხრებოდა ხოლმე.

არა, იმაზე ჭკუადამჯდარი ვიყავი-მეთქი, ვერ დავიჩემებ, მაგრამ იმთავითვე მძაგდა ნებისმიერი დაპირისპირება. ამის მიუხედავად, არასოდეს შემშლია ხელი, მეკეთებინა რაც მინდოდა და ისე, როგორც მინდოდა. ძალიან ადრე მივხვდი, რომ რქებით დაჯახება სულაც არაა აუცილებელი. არასოდეს დამიწყია კამათი პოლიციელთან, რომელიც გაიძახოდა - ამა და ამ ხიდზე ან ამა და ამ ჭიშკარში ველოსიპედით გავლა აკრძალულიაო. უბრალოდ, ჯიუტად არ ვიცვლიდი ხოლმე ადგილიდან ფეხს იქამდე, სანამ სრულიად უჩინარი არ გავხდებოდი და მერე მაინც ჩემსას

გავიტანდი. ხვლიკივით გავძვრებოდი. ჭკუა ვისწავლე, ჩემი ძმის შემხედვარემ.

ისე, ეს ჩემი უფროსი ძმა მართლა მუდამ ყველას კრიჭაში ედგა: ვხედავდი და ვგრძნობდი კიდეც, რად უჯდებოდა მუდმივი მეამბოხეობა. ყოველი მსგავსი გამოხდომის მერე თითქოს ძალა ეცლებოდა, მაგრამ მაინც არ შეეძლო არც წყენის ჩაყლაპვა და არც სულელური წეს-კანონების ბრმა მორჩილება. საოჯახო ტრადიციასაც უღალატა და სამხედრო სამსახურზე უარი თქვა, იმის მიუხედავად, რომ ძმებში ასაკით ყველაზე უფროსი იყო. ცოცხალი თავით არსად და არაფერში სურდა გარევა, სადაც სეფე-სიტყვა ინგლისს ეთქმოდა. ამიტომაც არაერთხელ ახეხინეს ვირის აბანოს კედლები. ჯერ ლაჰორის მთავარ ციხეში იჯდა, მერე - იატნაგარის საპყრობილეშიც. იწვა ღამღამობით თავის ხმელ ლეიბზე, ხელი თაბაშირში ედო, რადგან მისსავე მეგობრებმა გადაუმტვრიეს - ასე გადააფიქრებინეს, ცოტა ხნით მაინც, გაქცევა და სასჯელის ბევრად უფრო დამძიმება. მერე და მერე, პატიმრობამ ზნე უცვალა, ცოტა დამშვიდდა და ბევრ რამეზე ხელიც ჩაიქნია. მეც კი მაჯობა. არც ის წყენია, მის მაგივრად მოხალისედ მე რომ ჩავეწერე ჯარში და ექიმობაზე უარი ვთქვი. მარტო ერთი კი გაუცინია გულიანად და მერე მამაჩემისთვის დაუბარებია - უთხარი, ტყუილად თავი არ წააგოსო. თვითონ ჩემ მაგივრად ომში არასოდეს წავიდოდა. დარწმუნებული იყო, მე თვითგადარჩენისა და უხიფათო ადგილას დამალვის უებრო ნიჭი დამებედა.

ხამსა სამზარეულოს ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარი ელაპარაკება ჰანას. ცოტა ხანში კარავაჯოც გამოჩნდება, მხარზე სქელი თოკი გადაუგდია და თუ ჰკითხეს, რაში გჭირდებაო, პასუხად გაიძახის - თქვენს საქმეს მიხედეთო. კართან მისული, სასხვათაშორისოდ ამბობს:

- ძმაკაც, ინგლისელ პაციენტს უნდა შენი ნახვა.

- კარგი, ძმაკაც... - პასუხობს სიქჰი ინდურ კილოკავზე, თუმცა კი კარავაჯოს ყალბ უელსურ გამოთქმას უნდა რომ მიბაძოს. მერე ჰანას მიუბრუნდება:

- მამაჩემს ჩიტი ყავდა, თუ არ ვცდები, ნიბლია. სულ თან დაატარებდა. ზუსტად ისევე სჭირდებოდა, როგორც სათვალე ანდა ჭიქა წყალი - სადილობისას, ლუკმაზე მისაყოლებლად. საძინებელშიც არ იშორებდა გვერდიდან, სამუშაოზე მიმავალი კი იმ ჩიტიან გალიას ველოსიპედის საჭეზე ჩამოიკონწიალებდა ხოლმე.

- ცოცხალია მამაშენი?

- კი, ალბათ. ბოლო დროს წერილები აღარ მიმიღია. ჩემი ძმა კი მგონი, ჯერ ისევ ციხეში უნდა იჯდეს.

სიქჰი ჯარისკაცი მუდმივად ერთსა და იმავე შემთხვევას იხსენებს: პირველად ასრულებს დავალებას დამოუკიდებლად, რაღაც ეშმაკური მოწყობილობის საიდუმლოს ამოცნობას ცდილობს. კირქვის ბორცვზე ძალიან ცხელა, ირგვლივ ყველაფერს თეთრი მტვერი ადევს. მისს მორდენი ოციოდე ნაბიჯის მოშორებით ჩამომჯდარა ფერდობზე და მის ყოველ ნაბიჯს აღნუსხავს. ბიჭს ისიც მშვენივრად მოეხსენება, რომ ქვემოთ, დაბლობზე, ლორდი საფოლკიც იმყოფება და დურბინდით ადევნებს თვალს.

ნელა მუშაობს. ცარცის მტვერი ჰაერში ტრიალებს და ყველაფერს ფარავს. წამდაუწუმ უხდება, სული შეუბეროს და ამფეთქებლის თავსახურსა და სადენებს გადააცილოს, დეტალების უკეთ დასათვალიერებლად. სამხედრო ფორმაში გამოწყობილს, ძალიან სცხელა. დაცვარულ ხელისგულებს პერანგზე იმშრალებს. გულის ჯიბეებში ათასნაირი აუცილებელი წვრილმანი და ხელსაწყოს ნაწილი ულაგია. მათ გარეშე ამ ორთაბრძოლას ვერ მოიგებს. დაიღალა, იმდენჯერ მოუწია ზედიზედ გადაემოწმებინა თავისი ვარაუდები. მისს მორდენის ხმა ესმის:

- ხამსა!

- დიახ...

- ცოტა ხანს გაანებე საქმეს თავი, მეც მანდ ჩამოვდივარ.

- არ გირჩევთ, მისს მორდენ.

- ნებართვას არ გეკითხები!

ყველა ღილს იკრავს და ნაღმს ტილოს აფარებს. ქალი ფრთხილად, უხერხულად მოაბიჯებს, უახლოვდება, გვერდით უჯდება და თავის აბგას პირს უხსნის. მაქმანიან ცხვირსახოცს პატარა ბოთლიდან ოდეკოლონით ნამავს და მას უწვდის.

- სახე გაიწმინდე. ლორდი საფოლკი სულ ეგრე აკეთებს, გამოსაცოცხლებლად.

ცხვირსახოცს ფრთხილად ართმევს და ნელ-ნელა ისვამს ჯერ შუბლზე, მერე კისერზე, ბოლოს - მაჯებზეც. ქალი თერმოსიდან ჩაის ასხამს ორ ჭიქაში. მერე გალეტებსაც ამოალაგებს.

არაფერზე ეტყობა, ძველ, უფრო უხიფათო ადგილზე დაბრუნებას ჩქარობდეს. ხამსასაც ერიდება ამაზე ჩამოუგდოს სიტყვა. ქალი წუწუნებს - როგორ ცხელა, კიდევ კარგი ქალაქში აბაზანიანი ბინის შეკვეთა მოვასწარით, ასეთი საქმის მერე აბაზანა მისწრება იქნებაო. მერე უთავბოლოდ იწყებს იმ ამბის მოყოლას, როგორ გაიცნო ლორდი საფოლკი. იქვე ავად გატრუნულ ნაღმზე კრინტსაც კი არ ძრავს. არადა, ხამსაც უკვე ბევრად ნელა ირჯება, ფიქრიც გაუზარმაცდა - როგორც მაშინ გემართება ხოლმე კაცს, როცა ძილმორეული, რამდენჯერმე ზედიზედ კითხულობ ერთსა და იმავე აბზაცს, ცდილობ, წაკითხულიდან აზრი გამოიტანო, მაგრამ ამის ნაცვლად, ღრმა ძილი გართმევს თავს. წეღანდელი გაწამაწია მისს მორდენმა ცოტა ხნით მაინც ნამდვილად გადაავიწყა. ახლა ქალი უკვე ისევ ყველაფერს აბგაში აბრუნებს, მარჯვენა მხარზე ერთხელ მოუთათუნებს ხელს და მოშორებით, ფერდობზე დაფენილ თავის საველე საბანს უბრუნდება. მანამდე კი არ ავიწყდება და მზის სათვალესაც უტოვებს, თუმცა ამ სათვალით ბევრად უფრო ცუდად ხედავს ყველაფერს და მალევე იშო-

რებს. საქმეს უბრუნდება. ნესტოებში ოდეკოლონის სუნი უღიტინებს. ასეთი სუნი ადრე, ბავშვობაშიც უგრძვნია - მაღალი სიცხე ჰქონდა და ვიღაცამ სწორედ ოდეკოლონით დაუზილა ტანი.

VIII

კურთხეული ტყე

ხამსა იმ მინდვრიდან ბრუნდება, სადაც კარგა ხანს თხარა მიწა მესანგრის ნიჩბით. მარცხენა ხელი ისე გაუწვდენია წინ, თითქოს დაიზიანაო.

ჰანას გაშენებულ ბოსტანში წამომართულ საფრთხობელას ჩაუარა - გადაჯვარედინებულ ჯოხებზე ჩამოკონწიალებულ კონსერვის ქილებს და ახლა პირდაპირ ვილისკენ მიდის. უკვე ხელისმტევნები შეუტყუპებია - ისე, ვითომ სანთლის ალს ჩაქრობისაგან იცავსო. ჰანა ღია ტერასაზე ელოდება. ბიჭი ხელზე ხელს ავლებს და მისი ნეკა თითის გავლით, ჭიამაია ჩქარ-ჩქარა გადახოხდება გოგოს მაჯაზე.

ჰანა სახლში შედის, ისიც ისე, წინ ხელგაშვერილი. სამზარეულოს გაივლის და კიბეს აუყვება.

ინგლისელი პაციენტი მისკენ აბრუნებს თავს. ჰანა ჭიამაიიან ხელს ტერფთან მიუტანს და მწერიც თავის გრძელ გზას მიუყვება, ახლა უკვე კაცის სხეულზე. წითელი წერტილი ნელა ინაცვლებს ადგილს, თითქოსდა უთანაბროდ გაქვავებულ ვულკანურ ლავაზე.

ბიბლიოთეკაში კარავაჯო იდაყვით წამოედება ფანჯრის რაფაზე შემოდებულ ამფეთქებლის ყუთს, როცა დერეფნიდან ჰანას მხიარულ შეძახილს მოკრავს ყურს. ყუთი გეგონება, ჰაერშივე გამოეკიდაო - ისე სწრაფად სტაცებს ხამსა ხელს და იატაკზე დანარცხებას არ აცლის.

კარავაჯო ბიჭის სახეს მიაჩერდება, ის კი ერთს ამოიხვნეშებს, ხმაურიანად. მაშინვე ხვდება, ამ შავტუხა ინდუსს უნდა ვუმადლოდე, ცოცხალი რომ ვარო.

ხამსა ხნოვანი კაცის გვერდით თავის ჩვეულ სიმორცხვეს ივიწყებს და გულიანად იცინის. თან სადენებიან კოლოფს ათამაშებს ხელში.

კარავაჯოს ეს თავისი უნებური მარცხი აღარასოდეს დაავიწყდება. იქნებ აქაურობასაც გაეცალოს, შინ დაბრუნდეს, მეტი თვალითაც ვეღარასოდეს ნახოს ხამსა, მაგრამ მის დავიწყებას ვეღარაფრით მოახერხებს. წლების მერე, როცა ტორონტოში ტაქსიდან გადმოსვლისას, ცოტა ხნით გაირინდება მანქანის კარს ჩაბღაუჭებული, იქვე მდგომ ვიღაც ინდუსს დაუთმობს თავის ადგილს - ხაზგასმული თავაზიანობით და ამ დროს თვალწინ სწორედ ხამსა დაუდგება.

ახლა კი ეს ბიჭი, უბრალოდ, დგას აქ, სახეში შესცქერის და გულიანად ეცინება.

- ინდურ სარონგზე რაც გინდა მკითხეთ, - ჰანასა და სიქჰისაკენ იშვერს ხელს კარავაჯო, - ინდუსებს არაერთხელ შევხვედრივარ ტორონტოს აღმოსავლეთ გარეუბანში. ერთხელ სულაც სახლს ვქურდავდი და თურმე ვიღაც ინდოელების ოჯახში არ ამომიყვია თავი? გაეღვიძათ, საძინებლიდან გამოცვივდნენ იმ თავიანთ სარონგებში გამოხვეულები... თურმე ეგრევე ეძინათ, რამაც ძალიან გამაკვირვა. დავსხედით და კარგა ხანს ვისაუბრეთ. მერე შემომთავაზეს - ეგებ მოგეზომაო. ტანსაცმელი გავიხადე, მართლა გამოვეხვიე სარონგში, იმათ კიდე ხელი მტაცეს და ასე ნახევრადშიშველი გამომაგდეს კარში.

- ეგ ეხლა, სახელდახელოდ მოიფიქრე, არა? - ეღიმება ჰანას.

- არა გრცხვენია?!

კარგად იცნობს და თითქმის იჯერებს კიდეც. როცა კარავაჯო იმ თავის ძველ ხელობას მისდევდა, ადამიანურ სახეს მაინც არა-

სოდეს კარგავდა. თუკი შობადღეს მოუწევდა რომელიმე ბინის გატეხვა, ყოველთვის ღიზიანდებოდა, თუკი კალენდარი სხვა ფურცელზე გადაშლილი დაუხვდებოდა. ხშირად პატრონებისგან შინ მარტო დატოვებულ ცხოველებსაც ესაუბრებოდა, კარგადაც დააპურებდა ხოლმე მაცივარში ნაპოვნი ნუგბარით. ცხოველებიც მადლიერებით პასუხობდნენ, გახარებულები ეგებებოდნენ ხოლმე უკვე შემდეგ ჯერზე დაუპატიჟებლად მისულს.

ჰანა ბიბლიოთეკაში, წიგნის თაროების წინ მიდი-მოდის. ალალბედზე იღებს რაღაც ტომს. ლექსების კრებულია. წიგნში, განყოფილებებს შორის, სუფთა გვერდს პოულობს და წერას იწყებს:

ასე მეუბნება, ლაჰორი ძველთაძველი ქალაქია და მასთან შედარებით, ლონდონი სახსენებელიც არააო. მე კი სულ იმას ვუმეორებ - კიდე უფრო ახალგაზრდა ქვეყანაში დავიბადე-მეთქი. მას რომ კითხო, მათთან თურმე უხსოვარი დროიდან სცოდნიათ დენთი. სამეფო კარის ცხოვრების ამსახველ სურათებზე ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ხატავდნენ ფეიერვერკებს.

ტანმორჩილი უფრო ეთქმის. ჩემზე სულ ოდნავაა მაღალი. ძირითადად, მოღუშული დაიარება, თუმცა ძალიან უხდება ღიმილი. მტკიცე ხასიათი აქვს, ჯიუტიცაა. მაგრამ გარეგნულად არ ეტყობა. ინგლისელი ამბობს, ეგ ერთ-ერთი მეომარ წმინდანგანიაო. არადა, იუმორის უცნაური გრძნობა აქვს - ბევრად უფრო დახვეწილი, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება იფიქრო კაცმა.

ასე ამბობს, ლაჰორს ცამეტი კარიბჭე აქვს და თითოეულ მათგანს ან იქაური წმინდანისა თუ იმპერატორის სახელი ჰქვია, ანდა - ქვეყნის იმ მხარის, საითაც იქიდან გადიხარო.

სიტყვა „ბუნგალო“ თურმე „ბენგალიიდან“ ყოფილა ნაწარმოები.

დღის ოთხ საათზე ხამსა თოკებით დაუშვეს ქვევით. წელამდე წყალში აღმოჩნდა, „ესავის“ ტიპის ბომბის გვერდით. სიგრძით

თითქმის სამმეტრიანი ეს ურჩხული ცხვირით ლაფში ჩარჭობილიყო. მღვრიე-ყავისფერ წუმპეში მოხვედრილმა, ბომბის ლითონის კორპუსი ლაჯებში მოიქცია, ზედ მიეკრა - თითქმის ისევე, როგორც ჯარისკაცები მიეტმასნებიან ხოლმე გოგოებს სამხედრო ბაზის საცეკვაო მოედნებზე. როცა ხელები ეღლება, მხრების სიმაღლეზე დატანებულ ხის ბიჯგებზე ასვენებს, რომლებიც წინდაწინ ჩაურჭვიათ იქ, რომ ნოტიო მიწა ჭაში არ ჩაიშალოს. მესანგრეებმა ყველაფერი მანამდე გაამზადეს, წინდაწინ, სანამ თვითონ დანიშნულების ადგილზე ჩავიდოდა. 1941 წელს უკვე ბლომად გამოჩნდა Y-ის ტიპის ასაფეთქებლიანი ჭურვები. ეს მეორე იყო პირადად მისთვის, რომელსაც უნდა გამკლავებოდა.

ადრე გამართულ მეცადინეობებზე და თათბირებზე, ინგლისელი მესანგრეები ერთხმად თანხმდებოდნენ, მსგავსი ამფეთქებლის გაუვნებელყოფის ერთადერთი სწორი გზა მისი განეიტრალებაა. ბომბი ძალიან დიდი ზომისა იყო და მისი მდებარეობა ხამსას რატომღაც სირაქლემას აგონებდა. ცივი წყლის ქვეშ მოქცეული ბლანტე ლაფით მოთხვრილი ჭის ფსკერი ფეხებისთვის ვერაფერ საყრდენად გამოდგებოდა - ის კი არა, ნელ-ნელა გითრევდა და გიწოვდა. ამგვარი შესაძლებლობა თავიდანვე გათვალა და ფეხსაცმელებიც წინდაწინვე გაიხადა, რადგან მათი წყალობით ფეხები უთუოდ ლაფში ჩაურჩებოდა და მერე, ამოყვანისას, ერთ მკვეთრ ბიძგს შეეძლო კოჭებიც გადაემტვრია მისთვის.

ხამსამ მარცხენა ლოყა ლითონის კორპუსს მიადო. არადა, ბომბი ნებისმიერ წამს შეიძლებოდა აფეთქებულიყო, თუკი თრემბლერი შეირხეოდა და ნაპერწკალი ამფეთქებლის ჭურჭელში შეიჭრებოდა. არც ჯადოსნური და არც თუნდაც რენტგენის სხივი არ ჰქონდა იმის გასარკვევად, როდის დაიმსხვრეოდა პაწაწინა კაფსულა, როდის შეწყვეტდა პატარა სადენი რხევას. ეს უმცირესი, მექანიკური სემაფორები გულის არეულ ცემას, ანდა

იმ ადამიანის ტვინში სისხლჩაქცევას გავდნენ, ჯერაც სრულიად მშვიდად, არხეინად რომ მიაბიჯებს ქუჩაში, სწორედ თქვენ წინ.

მაინც რომელ ქალაქში ხდებოდა მაშინ ეს ყველაფერი? უკვე აღარც ახსოვდა. ხმა გაიგონა და თავი ასწია. ჰარდიმ თოკით ჩაუწოდა აბგა, საიდანაც მერე ათასნაირი მოწყობილობა სამხედრო სამოსის უამრავ ჯიბეში გადაინაწილა. ახლა თვითონაც იმ სიმღერას ღიღინებდა, რასაც მთელი გზა ჰარდი მღეროდა, სანამ აქეთკენ ჯიპით მოდიოდნენ.

ბაკინგემის სასახლეში ყარაული იცვლება -

ჩვენმა რობინ ქრისტოფერმა ელისთანაც იცეკვა...

ხამსამ ამფეთქებელს თავი შეუმშრალა და ირგვლივ გარსივით შემოაკრა თიხა; მერე ქილას თავი მოხსნა და ამ გარსში თხევადი ჟანგბადი ჩაასხა. მეტი საიმედოობისთვის, თიხის ამ „ფინჯანს“ საიზოლაციო ლენტიც შემოუჭირა. ახლა კი ისევ ჩხაკუნის ხმას უნდა დალოდებოდა.

მასსა და ამ ეშმაკეულ მანქანას შორის ახლა იმდენად მცირე მანძილი იყო, ტემპერატურის ცვლილებასაც კი გრძნობდა. ბომბის გაუვნებელყოფა მიწის ზედაპირზე რომ დასჭირვებოდა, ალბათ ერთი ათიოდე წუთი მაინც გაისეირნებდა იქეთ-აქეთ და მერეღა მიბრუნდებოდა უკან, მაგრამ აქ, ჭის შემოსაზღვრულ სივრცეში, მის გვერდით უნდა მდგარიყო, ლამის ზედ მიტმასნილი და მორჩილად დალოდებოდა, მათ შორის პირველი რომელი დაუშვებდა შეცდომას - ადამიანი თუ ლითონის ეს ურჩხული. სწორედ ასე, ვიწრო ჭაში, კაპიტან კარლაილსაც მოუწია თხევადი ჟანგბადით მუშაობა და, უცებ, ორმოდან ცეცხლის ალი ამოვარდა. კაპიტანი საჩქაროდ კი ამოქაჩეს, მაგრამ თოკებზე უკვე მისი უსიცოცხლო სხეულიღა ეკიდა.

და სად ხდებოდა ეს? ლისონ-გროუვში? ოულდ-კენტ-როუდზე?

ხამსამ ატალახებულ წყალში შალის ნაჭერი დაასველა და მერე ლითონის კორპუსს მიადო - ამფეთქებლიდან თორმეტიოდე

გოჯის მოშორებით. ნაჭერი არ მიეწება - შესაბამისად, ჯერ ადრე იყო და კიდევ მოუწევდა მოცდა. როცა შალის ნაჭერი ყუმბარის გარსს ეწებება, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ადგილის ირგვლივ, კორპუსის ნაწილი გაიყინა და შეგიძლია საქმეს შეუდგე. ფინჯანში ცოტა ჟანგბადი კიდევ ჩაამატა.

ყინულის რკალი ფართოვდებოდა და მისი რადიუსიც თვალნათლივ იზრდებოდა, თუმცა ხამსა მაინც არ ჩქარობდა - კიდევ რამდენიმე წუთი შეიცადა. ახლა იმ ფურცელს დახედა, ვიღაცას რომ საიზოლაციო ლენტით მიეწებებინა ყუმბარაზე. დილით მესანგრეთა ყველა ქვედანაყოფს საგანგებო აღჭურვილობის ახალი კომპლექტი დაურიგეს. მასში ეს ინსტრუქციაც შედიოდა, რამაც საყოველთაო მხიარულება და ქილიკი გამოიწვია.

როდისაა აფეთქება გონივრულად დასაშვები?

თუკი ადამიანის სიცოცხლეს ხ-ით აღვნიშნავთ, რისკის ფაქტორს კი Y-ით, ხოლო აფეთქებით გამოწვეულ სავარაუდო ზარალს - V-თი, ლოგიკურად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუკი V X Y შეფარდებაზე, მაშინ ბომბი უნდა ავაფეთქოთ; მაგრამ თუკი შეფარდებაა V Y > X -ზე, მაშინ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ ბომბის in situ აფეთქების თავიდან ასარიდებლად.

არა, მაინც ვინ წერდა ხოლმე ეგეთებს?

საათზე მეტი გაატარა ჭაში, ბომბთან ერთი-ერთზე დარჩენილმა, დროდადრო ცოტ-ცოტა ჟანგბადს ამატებდა. მისგან მარჯვნივ, მხრის სიმაღლეზე, შლანგი მოჩანდა, რომლითაც ორმოში ბუნებრივ ჰაერს აწვდიდნენ, რათა ჭარბი ჟანგბადისაგან თავბრუ არ დახვეოდა (ადრე ისიც კი ენახა საკუთარი თვალით, როგორ ებრძოდნენ ნაბახუსევი ჯარისკაცები თავის ტკივილს ჟანგბადით). ერთხელაც მიადო ნაჭერი ყუმბარის კედელს და ამჯერად უკვე მიეწება კიდეც. ოციოდე წუთი ჰქონდა, რის მერეც ყუმბარაში დეტალების ამძრავი კომპლექტის ტემპერატურა მატებას და-

იწყებდა. მაგრამ ამ წუთისათვის, ამფეთქებელი უკვე გაყინულიყო და მისი ამოღების გადადება აღარ ივარგებდა.

ხელისგულები ლითონის კორპუსზე გაატარ-გამოატარა, იმაში დასარწმუნებლად, სადმე ხომ არაა მთლიანობა დარღვეულიო. წესით, წყალში ჩარჩენილი ნაწილი უსაფრთხოდ უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეიძლებოდა ჟანგბადი აალებულიყო, თუკი ასაფეთქებელ ნივთიერებას შეერეოდა. კარლაილის შეცდომაც ზუსტად ეგ იყო: წინდაწინ არ შეამოწმა ლითონის გარსის მთლიანობა. X გაყოფილი Y-ზე... ნახეთქების არსებობის შემთხვევაში, უკვე თხევადი აზოტი უნდა ესხათ.

- ორიათასგირვანქიანი ბომბია, სერ, „ესავის“ ტიპისა. - ჰარდის ხმა მოისმა ზემოდან. - სავარაუდოდ, ორჯიბიანი ამფეთქებელი აქ, თუმცა ვფიქრობ, ეს მეორე მოქმედი არ უნდა იყოს.

ეს ყველაფერი ადრეც განიხილეს, ჭაში ხამსას ჩაშვებამდე; მაგრამ ეგეთი რამეები ჯობს გადაამოწმო ხოლმე, რომ ემანდ არაფერი შეგეშალოს, თორემ მერე გვიანი იქნება.

- მიკროფონი შემიერთე, თავად კი მოშორდი ორმოს პირს.

- არის, სერ.

ხამსას ჩაეღიმა. ის ჰარდიზე ათი წლით უმცროსია, თან - ინგლისელიც არაა; მაგრამ ჰარდი სამხედრო წესრიგის დიდი ტრფიალია. სხვა ჯარისკაცები, როგორც წესი, ყოყმანობდნენ, ვიდრე ბატონობით მიმართავდნენ ხოლმე, აი ჰარდი კი პირიქით - ხმამაღლა, ხალისით და ხაზგასმულადაც კი უწოდებდა - სერ!

სწრაფად უნდა გარჯილიყო, და მანამდე ამოეღო ამფეთქებელი, სანამ ყინული გალღვებოდა.

- გესმის ჩემი ხმა? აბა, დაუსტვინე ერთი! კარგია. ჟანგბადის ბოლო ულუფას ვასხამ. ერთი ნახევარი წუთი კიდევ იბუყბუყოს და მერე დავიწყებ. აჰა, ვცდილობ ამოვხრახნო... ფუ შენი! ჩატყდა...

ჰარდი ყურადღებით უსმენდა და ყველაფერს იწერდა. ეს იმ შემთხვევისთვის იქნებოდა საჭირო, თუკი რამე გაუთვალისწინებელი მოხდებოდა და ბომბიც აფეთქდებოდა. ხამსა შეიძლებოდა სულ პაწია ნაპერწკალს შეწირვოდა, ანდა ვინ იცის, სხვა რა მოულოდნელობა იმალებოდა მტრის მოგონილ ამ რთულ თავსატეხში? სხვა მესანგრეს, ვისაც მსგავს ბომბთან ექნებოდა საქმე, უთუოდ მოუწევდა განსხვავებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებაც.

- ქანჩს ვიხმარ. - ხამსამ გულის ჯიბიდან ამოიღო ხელსაწყო და დამბლოკავი რგოლის ამოღებას შეუდგა. არ გასჭირვებია და ეს ამბავი მაშინვე ჰარდისაც ამცნო.

- ბაკინგემის სასახლეში ყარაული იცვლება... - ღიღინებდა ხამსა. დამბლოკავი რგოლი ამოიღო, მერე მისი სამაგრიც და ორივე წყალში ჩაუშვა. იგრძნო, ჯერ ფეხზე რომ წამოედო და ისე დაეშვა შლამში. კიდევ ოთხი წუთი მაინც დასჭირდებოდა ყველაფრის მოსამთავრებლად.

- ელისს რაში ჭირდება ყარაულის ცოლობა... - ახლა უკვე მთელ ხმაზე უბერავდა ჰარდის სიმღერას. ასე თუ ცდილობდა, ცოტა მაინც გამთბარიყო. ყინულივით ცივმა წყალმა მკერდი და ბეჭები აუწვა. შეეცადა, ცოტათი მოშორებოდა ჭურვის გაბლიგვებულ გვერდს. ხელები კისერთან მიიტანა, სადაც ჯერ ისევ წვდებოდა მზის ეული სხივი. მერე ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვა - ჭუჭყის, ზეთისა და თრთვილის მოსაცილებლად. მასრის ამოღება და ამფეთქებლის თავამდე მიღწევა ძნელი გამოდგა. მერე კი სულაც საშინელი რამ მოხდა: ამფეთქებლის თავი მოტყდა და სადღაც გადავარდა, ქვევით.

- დაგვერხა, ჰარდი! თავი მთლიანად მოსძვრა. გესმის? მიპასუხე! დანარჩენი ნაწილი კი კორპუსშია ჩარჩენილი და ვერ ვუდგები, ხელმოსაჭიდი არაფერია!

- ყინული რამდენ ხანს გაძლებს? - ჰარდის შიგ ჭაში ჩამოეყო თავი. რამდენიმე წამში მოესწრო მორბენა.

- ჰა და ჰა, 5-6 წუთი...

- ამოძვერით სერ! ავაფეთქოთ და ეგაა!

- არა, ცოტა ჟანგბადი კიდე ჩამოუშვი.

ორივე ხელი აწია და ყინულივით ცივ კანისტრას შეუშვირა.

- წვეთ-წვეთ შევუშვებ ამფეთქებლის ღია მექანიზმში - მონატეხ ადგილს გავყინავ. მერე ნაწილ-ნაწილ მოვამტვრევ და ისე ჩავაღწევ შიგ. ახლა წადი, ყველაფერს ხმამაღლა გიკარნახებ აქედან!

ძლივს იკავებდა ბოღმას. ჟანგბადმა მთელი ტანი მოუთხვარა და ახლა, წყალთან შეხებისას, გველივით სისინებდა. დაუცადა, როდის მოედებოდა თრთვილი ლითონს და მერე მის მოტეხვას შეუდგა. კიდევ დაუმატა ჟანგბადი, ცოტაც შეიცადა და ისევ გააგრძელა იგივე. როცა სატეხს პირი მოუბლაგვდა, სამხედრო ხალათს კალთა მოახია, ნაჭერი ლითონსა და სატეხის პირს შორის მოაქცია და მერე სატეხს ჩაქუჩი დაჰკრა. ახლა მხოლოდ ხაკის ეს ნაკუწიღა იცავდა მის სიცოცხლეს საბედისწერო ნაპერწკლებისაგან. თუმცა უარესი თავსატეხი ის ჩანდა, რომ თითები ერთიანად ეყინებოდა. უკვე ვეღარც ხრიდა და მგრძნობელობაც გაქრობოდა. მაინც აგრძელებდა ლითონის ჩამოტეხვას დაკარგული თავის ირგვლივ; ფენა-ფენა აშორებდა იმის იმედით, ქირურგიული ჩარევის ეს უცნაური გამოვლინება გაყინვის წყალობით მაინც მოიტანდა შედეგს. სატეხს პირდაპირ ვერ დაუჭერდა - არსებობდა დამრტყმელი კაფსულის დაზიანების საფრთხე და მაშინ ამფეთქებლის ბუდის აალებას ვეღარაფერი შეუშლიდა ხელს.

ყველაფერ ამას კიდევ ხუთიოდე წუთი დასჭირდა. ჰარდი არ შორდებოდა, ისევ ორმოში გადმოკიდებულიყო და კარნახობდა, კიდევ რამდენ ხანს გასტანდა თხევადი ჟანგბადის მოქმედება. სინამდვილეში, ზუსტი დრო არც ერთმა არ იცოდა - რაკი სანამ ამ-

ფეთქებელს თავი მოსძვრებოდა, ყუმბარის სულ სხვა ნაწილს ყინავდნენ, ხოლო წყლის ტემპერატურა - მართალია დაბალი - მაინც სჭარბობდა ლითონისას.

მერე კი რაღაც დაინახა: წრედის კონტაქტი ირხეოდა. ერთი უწვრილესი, ვერცხლისფერი ღერო. ოღონდ კი როგორმე მისწვდენოდა! ისევ ღონივრად გაუსვ-გამოუსვა ერთმანეთს ხელისგულები, გასათბობად.

ღრმად ამოიქშინა. რამდენიმე წამი გაირინდა და წვრილპირა ბრტყელტუჩათი გადაჭრა წვრილი სადენი - მანამ, სანამ ისევ ჩაისუნთქავდა ჰაერს. სული ეხუთებოდა, დამარცხებული ლითონის მყინვარება კი ხელს უთუთქავდა. ჭურვი უკვე მკვდარი იყო.

- ამფეთქებელს დედა ეტირა. მოვრჩით, ფალიას ბუდეც ამოვიღე. მგონი, გადავრჩით.

ჰარდი უკვე ოწინარის სახელურს ექაჩებოდა, ხამსა კი შეეცადა თოკს მოსჭიდებოდა, მაგრამ ისე გახევებოდა ყველა კუნთი, ეს მცდელობა ფუჭი გამოდგა. ახლა მხოლოდ ქამრებზე ეკიდა, მთელი ტანით. იგრძნო, როგორ გამოუთავისუფლდა ფეხები ლაფის მარწუხებისაგან. კარგა ხნის ჩამარხული გვამივით მოათრევდნენ. მერე საკუთარი ტერფებიც დაინახა და გაიკვირვა - ლურჯისა და ყავისფრის რა უცნაური შეხამებაოო. ნელ-ნელა ამოიზიდა ჭიდან, მზის გულზე - ჯერ თავი, მერე გულ-მკერდიც.

ჰაერში გამოკიდული ქანაობდა, ჰარდი კი ეხვეოდა და ცდილობდა, სწრაფადვე გამოეხსნა ქამარ-სარტყლებიდან. უცებ, შეჯგუფული ხალხი დაინახა - ოციოდე ნაბიჯის იქიდან რომ შემოსცქეროდნენ. ძალიან ახლოდან. ამ მანძილზე დგომა მათთვის საბედისწერო აღმოჩნდებოდა, თუკი შემთხვევით მაინც მოხდებოდა აფეთქება; მაგრამ ჰარდის, ეტყობა, ამათი გაფრთხილებისთვის სულ არ სცხელოდა.

უხმოდ შემოსცქეროდნენ ამ ვიღაც ინდოელ ბიჭს, რომელიც ახლა ჰარდის ჩამოყრდნობოდა მხარზე და ეტყობა, არაქათი აღარ ჰქონდა, თავისი ფეხით მიეღწია ჯიპამდე.

- ფეხებს ვერ ვიმორჩილებ, ჰარდი.

- როგორმე ჯიპამდე მივიდეთ... ორიოდე ნაბიჯიღა დარჩა, სერ. თქვენს ნივთებს მე მივხედავ, ყველაფერს მოვაგროვებ.

ცოტა ხანს შეიცადეს და მერე ნელ-ნელა დაიძრნენ. მდუმარე ბრბომ გზა უტია. ხალხი თვალს ვერ აშორებდა მის გარუჯულ სახეს, შიშველ ტერფებს, სველ ხალათს, მას კი თითქოს ლიბრი გადაკვროდა და საერთოდ ვეღარ აღიქვამდა ირგვლივ ვერაფერს. ჯიპთან რომ მივიდნენ, ერთიანად აიტანა ცახცახმა. საქარე მინიდან არეკლილმა შუქმა თვალი მოსჭრა და ლამის დააბრმავა. მანქანაში ჰარდის დაუხმარებლად ვერ ავიდა - იმან დასვა მძღოლის გვერდით, სავარძელზე.

როცა ჰარდი მისი ნივთების მოსატანად წავიდა, ხამსამ გაჭირვებით გაიხადა სველი შარვალი და საბანში გამოეხვია. მერე წელში გასწორდა. ისე შესციებოდა და გამოცლოდა არაქათი, თავსახურიც კი ვერ მოხსნა თერმოსს, ცხელი ჩაი რომ მოეყლუპა. მერე გაიფიქრა - მე მგონი, არცკი შემშინებიაო. მარტო სიბრაზე მოერია: არ ვიცი, საკუთარი შეცდომისა თუ იმის გამო, კიდე რამე ახალი მამაძაღლობა რომ შეიძლებოდა დამხვედროდაო. ცხოველად ვიქეცი, საფრთხეს რომ ვერ გაურბის და იძულებულია, კბილებით დაიცვას თავიო.

მიხვდა, ახლა ისევ ჰარდი თუღა უშველიდა.

ცხელი დღე თუ გამოერია ხოლმე, ვილა სან-ჯიროლამოს ყველა ბინადარი თავის დაბანას იწყებს; ოღონდ ჯერ ნავთს იზელენ თმებში - ტილებთან საომრად და მერე უკვე წყალსაც იშველიებენ. ხამსა გულაღმა წევს. თმა გაუშლია, თვალებს ჭუტავს და სრულიად უმწეო ჩანს ამ მზისგულზე გაწოლილი. ერთგვარი გაუბედაობა ეტყობა. როცა ასე წვება ხოლმე, უფრო ვინმე მითი-

ურ არსებას გავს, ვიდრე ადამიანს. ჰანა გვერდით უზის, უკვე თითქმის მთლად გაშრობია მუქი წაბლისფერი თმა. ასეთ დროს ხამსა თავისი ოჯახისა და პატიმარი ძმის ამბებს უყვება ხოლმე.

მერე წამოჯდება, გრძელ თმას შუბლზე ჩამოიყრის და ასე, მთელ სიგრძეზე იმშრალებს პირსახოცით. მას მიჩერებული გოგო კი ამ წუთას ზოგადად აზიელ კაცებზე ფიქრობს, მის წარმოდგენაში რომ სწორედ ხამსასავით აუჩქარებელი მოძრაობა, მასავით მშვიდი, გამოზომილი ცხოვრების წესი უნდა ჰქონდეთ. ხამსა მეომარ წმინდანებზე ესაუბრება, ჰანა კი გრძნობს, ეგეც ერთი მათგანი უნდა იყოს, მათსავით პირქუში და მეოცნებე, მოსვენებასაც მარტო მაშინ რომ პოულობს, როცა ასე კაშკაშებს მზე და ცოტა ხნით მაინც შეუძლია თავს უდარდელობისა და უშუალობის ნება მისცესო.

ახლა თავი მაგიდისკენ გადაუგდია, მზე თმას უშრობს, თავად ეს გაშლილი თმა კი თავთავებს მიუგავს, უცნაური მოყვანილობის მოწნული კალათიდან რომ გადმოკიდულან. მართალია, აზიელია, მაგრამ ბოლო დროს, ამ ომიანობის ჟამს, თითქოსდა ინგლისელი მშობლები შეუძენია და როგორც დამჯერ შვილს შეეფერება, მათ წესსა და რიგს მისდევს მორჩილად.

- ჩემი ძმა სულელად მთვლის, ინგლისელებს როგორ ენდობიო. - ჰანას უცქერის და თვალებში მზიანი დღის ანარეკლი უციმციმებს. ასე ამბობს, ერთხელაც იქნება, მოხვალ ჭკუაზეო. აზია ჯერაც არაა თავისუფალი კონტინენტი, ჩემი ძმა კი გულზე სკდება, რა იოლად მივიჩქარით სხვის ომში საბრძოლველად. სულ ამაზე ვკამათობდით ხოლმე - ინგლისელების დაკრულზე როგორ უნდა იცეკვოო, მეჩხუბებოდა. მაგრამ ჩემი ჭკუაზე მოსვლის იმედს მაინც არ კარგავდა.

ახლა ცოტა სხვანაირად უქცევს - ეტყობა, უნებურად ძმას თუ ბაძავს ლაპარაკში... უკვე თვალებიც დაუხუჭავს.

- მე კიდე ჩემსას ვეუბნები: აი, იაპონიაც ხომ აზიის ნაწილია, არადა ყველამ იცის, რა სასტიკად უსწორდებოდნენ სიქჰებს იაპონელები-მეთქი. მაგრამ ჩემს ძმას, ეტყობა, არაფრის გაგონება არ სურს. ერთსა და იმავეს გაიძახის - ეგ შენი ინგლისელები დღემდე სახრჩობელებზე კიდებენ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ სიქჰებსო.

გულხელდაკრეფილი ჰანა მისკენ ზურგით ტრიალდება. ამქვეყნად მტრობას ბოლო არ უჩანს. არ თავდება... სახლში შედის, ინგლისელთან, მის გრილ ოთახში.

ღამით, როცა ჩალმას იხდის, გოგო თავისი ხელით უშლის ხოლმე გრძელ თმას და ხამსაც სულ სხვა თანავარსკვლავედს ემსგავსება; ჰანას ხელში ინდური ქალღმერთის ქანდაკი, პურის თავთავი და გრძელი ლენტი უჭირავს. როცა მისკენ იხრება, ხამსას თმა სახეზე ეშლება და შეუძლია, მაჯაზეც კი დაიხვიოს. ჰანა თვალდაჭყეტილი წევს, კარვის სიბნელეში თვალნათლივ ხედავს, აქა-იქ როგორ გაკრთებიან ხოლმე ბიჭის თმაში პაწია ელექტრონული ნაპერწკლები.

ხამსა ალალბედზე არასოდეს მოძრაობს: ყოველთვის ითვალისწინებს კედლებს, მწვანე ნარგავებს, ტერასას. მუდამ ზვერავს ხოლმე გარემოს: მაშინაც კი, როცა ჰანას შესცქერის, მისი დაღლილი სახის ნაკვთებს კი არ აღიქვამს მხოლოდ, არამედ ამ მის იერსაც პეიზაჟის ფონზე ჭვრეტს. თითქმის მთელი იტალია გამოიარა, ამ მიწის ნაღმებისაგან გასაწმენდად და მისი მზერა ყოველთვის ცდილობდა, ყველაფერი მისხალ-მისხალ შეემჩნია და აღენუსხა - გარდა იმისა, რაც ცოცხალი და წარმავალი იყო.

ერთადერთი, რასაც დიდად არასოდეს ჩაკირკიტებია, საკუთარი თავი იყო: ხამსას არასოდეს აღელვებდა არც მისივე გადღაბნილი ჩრდილი ბინდ-ბუნდში, არც საწოლის საზურგისკენ გაწვდენილი ხელი, არც ანარეკლი ფანჯრის მინაში და, სხვათა შორის, არც ის, ვინ რას იფიქრებდა მასზე. ომის ქარცეცხლში გა-

მოვლილი მიხვდა, დარწმუნდა, დაიზეპირა - ერთადერთი და სრულიად საიმედო, ბოლომდე უსაფრთხო რომაა ჩემთვის, ისევ და ისევ თავად ვარო.

საღამოობით, საათობით უზის ოთახში ინგლისელ პაციენტს, რომელიც რაღაცით იმ ნაძვს ახსენებს, ინგლისში, ლორდ საფოლკის ბაღში რომ იდგა და ბრისტოლის ყურეს გადასცქეროდა. ამ ნაძვს ერთი დაავადებული, სიბერისაგან დამძიმებული ტოტი ჰქონდა და ამ ტოტს ბიჯგივით აკავებდა მეორე ხე. ნაძვი იქ დარაჯივით იდგა და მიხრწნილების, პირქუშობის, დამსკდარ-- დაშაშრული კანის მიუხედავად, მასში მაინც იგრძნობოდა შინაგანი კეთილშობილება - თითქოს არასოდეს ივიწყებდა, რისი მადლიერი უნდა ყოფილიყო, ჯერაც ტოტებგაშლილი დგომას რომ ახერხებდა.

თვითონ სარკისმაგვარი არაფერი აქვს, ჩალმას კი ბაღში იხვევს ხოლმე თავზე, ხეებზე ხავსის ნაკუწებს მიჩერებული. ადრევე შეამჩნია, რომ ჰანას თმას ქირურგიული მაკრატლის კვალი ეტყობა. იცნობს მის სუნთქვას, როცა მკერდზე დაადებს ხოლმე თავს - უფრო სწორად, ლავიწზე, სადაც ძვლის ამობურცვის გამო, კანი ოდნავ უფრო ღიად მოუჩანს. მაგრამ ჰანას მაინც გონია, თუ ვკითხავ - რა ფერის თვალები მაქვს, პასუხს ვერ გამცემს, თუმცა კი მაღმერთებსო. ალბათ გაიცინებს და გამოცნობას შეეცდება, ოღონდ თუკი ეს შავთვალა გოგო თვალებს დახუჭავს და ეტყვის - მწვანე თვალები მაქვსო, სიტყვაზეც ენდობა. შეუძლია ყურადღებით უცქერდეს, თვალი-თვალში გაუყაროს და მაინც ვერ არჩევდეს მის თვალის ფერს. საჭმელიც, რასაც შეექცევა, მისთვის უფრო არსებობის საშუალებაა, ვიდრე რამე ისეთი განსაკუთრებული, რასაც გემო, სითბო, სურნელი თუ მადისაღმძვრელი იერი აქვს.

როცა ვინმე ესაუბრება, მოსაუბრის ტუჩებს შესცქერის და არა მის თვალებს; არც მათი ფერი აღელვებს, რადგან ჰგონია, წამ-

დაუწუმ იცვლება დღის მონაკვეთისა თუ ოთახის განათებისდა მიხედვით; უყვარს, როცა ადამიანის ხასიათს ტუჩების მიხედვით ადგენს. მისი აზრით, სწორედ ტუჩები ავლენენ ხასიათის ყველაზე იდუმალ ნიშნებს - იქნება ეს თვითკმაყოფილება თუ გაუბედაობა. უგულო კაცს უფრო მუქი ტუჩები აქვს, ნაზ და მგრძნობიარეს - ბაცი. აი, თვალებით კი ამ ყველაფერს ვერ მიხვდები. თვალებს თუ დაუჯერე, ეგებ მოტყუვდე და სრულიად მცდარი აზრი შეგექმნას ადამიანზე.

ყველა შთაბეჭდილებას ცვალებადი ჰარმონიის ნაწილაკებივით უყრის თავს. ჰანას სულ სხვადასხვა დროს და სულ სხვადასხვა ადგილას ხედავს; დროისა და ადგილის მიხედვით, გოგოს ან ხმა ეცვლება, ან გუნებ-განწყობა, ზოგჯერ მისი სილამაზეც სხვაფერდება ხოლმე. ეს იმას გავს, ზღვის ტალღები ხან რომ ანანავებენ მაშველ კანჯოს, ხან კი სულაც უფსკრულში დანთქავენ მას.

ჩვევად გაიხადეს, სისხამზე წამომდგარიყვნენ და მზის ჩასვლისას ესადილათ. საღამოობით ან მხოლოდ ერთ სანთელს ანთებდნენ ინგლისელი პაციენტის საწოლთან, ანდა ნავთით სანახევროდ გავსებულ სანათს, თუკი, რა თქმა უნდა, კარავაჯო სადმე ნავთს იშოვიდა ხოლმე. დერეფნები და სხვა ოთახები კი ბნელში დანთქმული რჩებოდა. ვილის ბინადრები ბნელში სიარულს მიეჩვივნენ - გაიწვდენდნენ ხელებს წინ და ალალბედზე პოულობდნენ გეზს. „არც სინათლე, არც ფერები...“ - ხშირად ღიღინებდა ხოლმე ჰანა. ოღონდ ხამსას ჩვევას - რამდენიმე საფეხურს ერთად გადაახტეს ხოლმე ბნელში, სახელურზე ხელჩაკიდებული - ბოლო უნდა მოეღოს: ერთიც იქნება და ღამით სახლში მობრუნებულ კარავაჯოს ჩააზელს წიხლს მუცელში.

ჰანამ ინგლისელი პაციენტის ოთახში ჩვეულებრივზე ერთი საათით ადრე ჩააქრო სანთელი. რბილძირიანი ფეხსაცმელები

გაიხადა და, რაკი ძალიან ცხელოდა, კაბის საკინძეც ჩაიხსნა და სახელოებიც აიკაპიწა.

შენობის მთავარ სართულზე სამზარეულოს, ბიბლიოთეკისა და დანგრეული სამლოცველოს გარდა, შემინული შიდა ეზოცაა. ოთხი შუშის კედელი და შუშისავე კარი. ამ პატარა ეზოში სარქველიანი ჭაც გაუმართავთ და თაროებიც, ზედ გამხმარი იმ მცენარეულობით, ოდესღაც მრავალფრად რომ ჰყვაოდა ამ დათბილულ სათავსოში. აქაურობა იმ ადგილზე გადაშლილ წიგნს გავს, სადაც ფურცლებშორის დამჭკნარი ყვავილი ან რამე იმდაგვარი ჩაუდვიათ, რასაც ეგებ ცერად შეავლებ თვალს, მაგრამ საგანგებოდ არასოდეს გაუჩერდები.

ღამის ორი საათი იყო.

ყოველი მათგანი ვილაზე სხვადასხვა შესასვლელიდან შევიდა: ჰანა სამლოცველოს მხრიდან აუყვა ოცდათექვსმეტსაფეხურიან კიბეს, ის კი - ჩრდილოეთის მხრიდან, ეზოს გავლით. შიგ შესულმა, მაჯიდან საათი მოიხსნა და იმ ნიშაში ჩამოდო თაროზე, სადაც წმინდანის პატარა ქანდაკი იდგა - აქ გამართული ლაზარეთის მფარველი. ახლა გოგო ფოსფორულ ციფერბლატს ვეღარ დაინახავდა. ფეხსაცმელები უკვე გაეხადა და შარვლის ამარა დარჩენილიყო. მხარზე გადაგდებული სანათი ჩაექრო. ხელში არაფერი ეკავა. წინკარის ბნელ კედელს მიეყრდნო და თითქოს მასში გაითქვიფა. წყვდიადში ცოტა ხანს შეიცადა და მერე თავზე ჩალმამოხვეული ეს კაფანდარა, შავტუხა ბიჭი უხმაუროდ შეიძურწა პატარა შიდა ეზოში.

იქიდან უკვე სამზარეულოს მიაშურა. ტანით იგრძნო შორიახლო, ღამის სიბნელეში გაყურსული ძაღლი, დაიჭირა და თოკით მაგიდის ფეხს მიაბა. თაროდან ერთი ქილა შედედებული რძე აიღო და ისევ შიდა ეზოს შუშის ოთხკუთხედში დაბრუნდა. კარის მორყეულ ჩარჩოს ხელი ჩამოუსვა, მერე შევიდა, კარი მოიხურა და პირდაპირ ჭას მიაშურა. იქ, დაახლოებით სამი ფუტის სიღრმე-

ზე, ხარიხა იყო გადებული, რომლის სიმყარეშიც წინდაწინვე იყო დარწმუნებული. ხარიხაზე დადგა, მოიკუნტა და ჭის თავსახური ისევ დაუშვა. აქ ჰანა კარგა ხანს ვერ მოაგნებდა. ქილიდან შედედებული რძის წრუპვას შეუდგა.

ჰანა ეჭვობდა - მისგან მსგავსი რამ ნამდვილად მოსალოდნელიაო. ბიბლიოთეკაში შესულმა, ჯიბის სანათი აანთო და მთელ სიმაღლეზე აზიდულ თაროებს მიუახლოვდა. შენობიდან აქ შემომავალი კარი მოიხურა და ამიტომ დერეფნიდან შუქს ვერავინ დაინახავდა. აი, მხოლოდ ხამსა თუ შეამჩნევდა, თუკი ეზოში იქნებოდა გასული. არ ჩქარობს, დინჯად ათვალიერებს წიგნებს. მათ შორის უმეტესობა იტალიურადაა და იმედი აქვს, ეგებ შემთხვევით მაინც გადავაწყდე რომელიმე ინგლისურ გამოცემას, რასაც ჩემს პაციენტს წავუკითხავდიო. თავისთავად, ძალიან მოსწონდა ეს იტალიური წიგნებიც, ლამაზად გაფორმებული, სიფრიფანა ქაღალდჩაფენილი ილუსტრაციებით; უყვარდა მათი სუნი, შარიშურის ხმა, როცა სწრაფად შლიდა და თითქოს უჩინარ პაწია ძვლებს ამსხვრევდა. ისევ ჩერდება. „პარმის სავანე“.

თუკი ოდესმე ჩემს შეჭირვებას გავუმკლავდი, - უთხრა კლელიას, - უთუოდ მოვინახულებ პარმის ამ თვალწარმტაც სანახებს, თქვენ კი ეგებ მოწყალება მოიღოთ და ეს სახელიც დაიმახსოვროთ: ფაბრიციო დელ დონგო.

ბიბლიოთეკის შორეულ კუთხეში კი, ხალიჩაზე, კარავაჯო იწვა. სიბნელეში ეჩვენებოდა, თითქოს ჰანას მარცხენა ხელი თავისთავად ასხივებდა შუქს და ამ შუქს სულ სხვადასხვანაირად ირეკლავდა წიგნების ყდები, მუქი წაბლისფერი თმა, კაბის ქსოვილი და მხრებამდე აკაპიწებული სახელოები.

ჭიდან ამოდის.

იმ შუქის ასე, სამიოდე ფუტის დიამეტრის წრე, რომლის წყაროც ჰანას ხელი იყო, ცოტა ხნით გაქრა და კარავაჯოს მოეჩვენა, ჩვენ შორის წყვდიადის ვეება ველი გადაიჭიმაო. გოგოს კი ახლა ყავისფერყდიანი წიგნი ამოეჩარა იღლიაში; როცა მოძრაობდა, ზოგი წიგნი სიბნელიდან გამოაჭყიტებდა, სხვები კი უკუნში იმალებოდნენ.

გოგო მართლაც გაზრდილიყო და ახლა უფრო მეტად მოსწონდა, ვიდრე მაშინ, როცა მისი უკეთ ესმოდა, როცა ის მხოლოდ თავისი მშობლების საყვარელი ბავშვი იყო. ახლანდელი სახე და იერი კი თავადვე აერჩია, შეგნებულად - მხოლოდ საკუთარი ნებით ქცეულიყო ასეთად. კარავაჯო გრძნობდა, ჰანას სადმე, ევროპული ქალაქის ქუჩაში რომ შეხვედროდა, ვიღაცას ალბათ ნამდვილად მიამგვანებდა, მაგრამ ცნობით კი ვერაფრით იცნობდა. იმ ღამით, როცა ვილას მიადგა და პირველად ნახა ამ ჭერქვეშ, სახტად დარჩა, მაგრამ შეეცადა და ამის დამალვა მოახერხა. ჰანას ასკეტურ სახეს, დანახვისთანავე მეტისმეტად ცივი რომ მოეჩვენა, სისასტიკის ელფერიც დასდებოდა.

ახლაღა მიხვდა, ბოლო ორ თვეში როგორ მისჩვეოდა და თან სწორედ ასეთს, ახლანდელს. უჭირდა კიდეც თავს გამოსტყდომოდა - მომწონს მისი ეს გარდასახვაო. რამდენიმე წლის წინ ცდილობდა კიდეც წარმოედგინა, მაინც როგორი გაიზრდებიდა ჰანა და მის წარმოსახულ სამომავლო ხატებას მაშინდელ მაცოცხლებელ გარემოში შეძენილ ნიშან-თვისებებს მიაწერდა. იმხანად, ეს მშვენიერი უცნობი ქალი ცხადია, თვალწინ ვერ დაუდგებოდა; ქალი, რომლის შეყვარებასაც უფრო მეტად შეძლებდა, რაკიღა სულ სხვა, მისთვის უცნობი თიხისაგან აღმოჩნდა გამომწვარი.

ჰანა ტახტზე იწვა და ჯიბის სანათის შუქი ისე მიემართა, კითხვა რომ გაიოლებოდა. ცოტა ხანში თავი აიღო, მიაყურადა და შუქი საჩქაროდ ჩააქრო.

ნუთუ იგრძნო, ამ ოთახში მარტო არა ვარო? კარავაჯომ კი იცოდა, რომ ხმამაღლა სუნთქვა სჩვეოდა, უჭირდა სუნთქვის შეკავება, რაც თავისთავად არცთუ სახარბიელო თვისება იყო მისი პროფესიის კაცისთვის. უცებ, შუქი წამით ისევ გაკრთა და მაშინვე კვლავ სიბნელემ დაისადგურა. მერე ოთახში უკვე ყველაფერი ამოძრავდა, თავად კარავაჯოს გარდა. ესმოდა ხმაური ირგვლივ და უკვირდა, მე რატომ არ მეხებიანო. ოთახში უკვე ინდოელი ჯარისკაციც შემოსულიყო. კარავაჯო წამოდგა, ფეხაკრეფით მიუახლოვდა ტახტს და იმ ადგილისკენ გაიწვდინა ხელი, სადაც ჰანა იწვა, მაგრამ გოგო იქ აღარ დაუხვდა. როცა წელში გასწორდა, კისერში სწვდნენ - უკან და ქვემოთ დაითრიეს. სახეში შუქი მიანათეს, ორივე იატაკზე გაგორდა. სანათიანი ხელი ჯერაც ყელში ჰქონდა წაჭერილი. მერე შუქის სხივში ქალის შიშველი ფეხი გაკრთა, კარავაჯოს სახეს გასცდა და გვერდით გაშოტილი ხამსას კისერზე შეჩერდა. კიდევ ერთი სანათიც აინთო.

- ჩაგავლე! ჩაგავლე!

იატაკზე გართხმულები ჰანას სილუეტს ასცქეროდნენ, ის კი თავისას აგრძელებდა:

- ჩაგავლე! კარავაჯო სატყუარად გამოვიყენე. ვიცოდი, აქ იქნებოდა - ამის სუნთქვა კილომეტრზე ისმის ხოლმე...

უფრო მაგრად დააჭირა ფეხი ხამსას კისერზე.

- დამნებდი, აღიარე!

კარავაჯომ გაიბრძოლა, ხამსას მარწუხებიდან გამოთავისუფლება სცადა, მაგრამ ერთიანად ოფლად გაღვრილს, საბრძოლველად ძალა აღარ შერჩენოდა. ახლა ორივე სანათის შუქი მისკენ იყო მიმართული. არა, როგორმე უნდა წამომდგარიყო და ამ საზარელ ვითარებას თუნდაც ხოხვით მაინც გასცლოდა. „აღიარე“. გოგო იცინოდა. სანამ რამეს იტყოდა, უთუოდ უნდა დამშვიდებულიყო, თორემ ხმა უცილობლად გაებზარებოდა. ისე, ალბათ არც მოუსმენდნენ, იმდენად იყვნენ აღგზნებულები ამ თა-

ვიანთი თავგადასავლით. როგორც იქნა, ხამსას მკლავებიდან თავი დაიხსნა და ბიბლიოთეკიდან უსიტყვოდ გალასლასდა.

ახლა ისევ სიბნელეში არიან.

- სად ხარ? - ეკითხება გოგო. მერე სწრაფად სწყდება ადგილს, ის კი ისე გაწოლილა, ჰანა ზედ აწყდება და პირდაპირ უვარდება მკლავებში. ჯერ კისერზე მოხვევს ხელს, მერე კი ტუჩებით ტუჩებზე ეხება. - შედედებული რძე! და ეს ამ ჩვენი დამალობანას დროს?! - ისე ეკონება ტუჩებით ოფლიან კისერზე, თითქოს გემო უნდა გაუსინჯოს და თან ზუსტად იმ ადგილას, სადაც წეღან ფეხი ედო. - შენი დანახვა მინდა.

ხამსა სანათს ანთებს და მისკენ მიმართავს. ჰანას სახეზე ჭუჭყის ზოლები ატყვია, თმა დანამვია და გაჩეჩია. დამცინავად უყურებს. ხელები მკლავებზე აუცურა, მხრებში ჩაავლო და ახლა გოგო უკან რომ გადაწეულიყო, მასაც თან გაიყოლებდა. ჰანა მართლაც გადაიხარა, თითქოს ამოწმებდა - თუ გამომყვებაო, ისიც გაყვა და ერთად დაებერტყნენ იატაკზე, ერთმანეთს ჩახვეულები, ტუჩებ და ხელებგადახლართულები, ფეხები ჰაერში, მორიელის კუდივით, ოღონდ სანათი კი ჯერ ისევ მკლავზე აქვს მიმაგრებული. ჰანა ენით ოფლის წვეთებს ულოკავს მაჯებიდან, ის კი გოგოს ნოტიო თმაში მალავს სახეს.

მერე, რატომღაც, მთელ ბიბლიოთეკაში ბორიალს იწყებს, წამდაუწუმ ჩართულ-გამორთული სანათის შუქი აქეთ-იქით ეხლება და უაზროდ დახტის. ამ კედლებში უსაფრთხოდ გრძნობს თავს, რადგან მთელი კვირა ამოწმებდა ნაღმების არსებობა-- არარსებობას და ახლა ეს ოთახი მისთვის უკვე უბრალოდ ოთახია და არა - აკრძალული ზონა თუ სახიფათო ტერიტორია. ისიც თავისუფლად მიდი-მოდის, ხელს იქნევს - ხან ჭერს ანათებს, ხან - ჰანას სახეს, გოგო კი ტახტზე შემდგარა და ზემოდან დასცქერის მის ლამაზად ნაკვეთ, ოფლით აპრიალებულ სხეულს. მერე, რო-

ცა კიდევ ერთხელ ჩაივლის ტახტის შორიახლო, ხედავს - ჰანა წინ წამოხრილა და კაბის კალთაზე იმშრალებს ხელებს.

- მაინც ხო გამოგიჭირე, გამოგიჭირე... - თითქოს წაიმღერებსავით გოგო. - უკანასკნელი მოჰიკანი ვარ, დენფორს-ევენიუდან!

მერე უკვე აჩიკუდათი დაატარებს ბიჭი გოგოს; ჰანას სანათის შუქი წიგნების ყუებზე დახტის, სულ ზედა თაროებს სწვდება. როცა ხამსა ადგილზე დაბზრიალდება ხოლმე, გოგო ორივე ხელს ზემოთ-ქვემოთ იქნევს, მერე თავს ითავისუფლებს, იატაკზე ჩამოსკუპდება, ძველ ხალიჩაზე წვება და მასში გამჯდარი გაზაფხულის წვიმების სურნელს იყნოსავს. ხელები მტვრითა და სილით მოთხვრია. ხამსა ერთხელ კიდევ იხრება მისკენ. გოგოც გადაწვდება და სანათს გამოურთავს.

- მე მოგიგე. მნებდები?

ოთახში შესვლის შემდეგ, ხამსას კრინტიც არ დაუძრავს, მხოლოდ თავს აქნევს თავისებურად. ვერ გაიგებ, თანხმობის თუ - სავარაუდო უარის ნიშნად და ეს მისი ჩვეული მოძრაობა ჰანას ძალიან უყვარს. ახლა გოგოს ვერ ხედავს, იმისი სანათის შუქი უშლის ხელს. ამიტომ, თვითონაც უთიშავს და ახლა ორივენი თანაბარად ინაწილებენ სიბნელეს.

ჰანასა და ხამსას ცხოვრებაში ერთი ისეთი თვეც გამოერია, როცა გვერდიგვერდ ეძინათ, ოღონდ - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და მეტი არაფერი. თავისდაუნებურად აღმოაჩინეს, რომ სიყვარული მხოლოდ სექსი კი არა, მთელი სამყაროა, თავისი განუმეორებელი ცივილიზაციებით და ნაღდი სიყვარულიც ისაა, როცა განუწყვეტლივ ერთმანეთზე ფიქრობთ. არცერთს არ უნდოდა, მათ ურთიერთობას ის ყველაზე ბუნებრივი სახე მიეღო, რასაც ქალისა და კაცის კავშირი თავისთავად გულისხმობს; ღმერთმა უწყის, ასეთმა ახალგაზრდებმა ეს სად ისწავლეს და შეითვისეს! ეგებ კარავაჯოსაგან, რომელიც საღამოობით ჰანას საკუთარ ასაკზე ესაუბრებოდა, სინაზეზე იმ ადა-

მიანის თითოეული უჯრედის მიმართ, ვინც გიყვარს და ეს სიყვარული მაშინ მოდის, როცა საკუთარ მოკვდავობას აცნობიერებ. ამას კი ვერავინ გაექცევა. ყველა მიხვდება, ადრე თუ გვიან, სხვადასხვა ვითარებებიდან გამომდინარე. ევროპაში ომი დამთავრდა, ხოლო ადამიანის სული გეოგრაფიული ცნება არაა. სიკვდილის ცივი აჩრდილი ნებისმიერ დროს შეიძლება დაადგეს თავზე - ნებისმიერი ასაკის ადამიანს.

მთელი საღამო გოგოს ნეკნებზე სახემიდებული იწვა. სწორედ ამან გაახსენა, რა საამოა, როცა ზურგს გფხანენ, როცა წრიულად დაატარებენ ზედ თითებს. გადიას წყალობით, ეს განცდა უკვე ბავშვობიდანვე იყო მისთვის კარგად ნაცნობი; ეს განუმეორებელი სიმშვიდის გრძნობა და მისით ნეტარება. ამის წყარო კი არც დედა ყოფილა, რომელიც გულწრფელად უყვარდა, არც ძმა და არც მამა - მისი ბავშვური თამაშობების განუყრელი მონაწილენი. ღამით დამფრთხალსა და შეშინებულს, დაძინება თუ გაუჭირდებოდა, გადია უსიტყვოდ უგებდა, ზურგზე დაადებდა ხელს და სწორედ ასე უქარვებდა ბავშვურ სადარდებელს. სამხრეთ ინდოეთიდან ჩამოსული და პენჯაბში სრულიად მარტოსული, მათ ჭერქვეშ ცხოვრობდა, დიასახლისს საოჯახო საქმეშიც ეხმარებოდა, მზარეულობდა კიდეც, საკუთარი შვილების მოვლა-პატრონობასაც ახერხებდა და სულ ჩვილი ასაკიდან, მისი უცნაური ძმის ჟინიანობისაც ყველაზე კარგად ესმოდა - ეგებ მშობლებზე უკეთესადაც კი.

მათი გრძნობა ორმხრივი იყო: როცა კირპალს ეკითხებოდნენ - ყველაზე მეტად ვინ გიყვარსო, ჯერ სწორედ გადიას ასახელებდა და უკვე მერე - დედას. ამ ქალის დამამშვიდებელი სიყვარული მისთვის ბევრად მეტს ნიშნავდა, ვიდრე ნებისმიერი სისხლისმიერი თუ სქესობრივი კავშირი. მხოლოდ მერეღა უნდა მიმხვდარიყო თურმე, რომ ოჯახის ფარგლებს მიღმა მთელი ცხოვრება სწორედ ამდაგვარ სიყვარულს ეძიებდა - პლატონურ სიახლოვეს

მეორე ადამიანთან, პლატონურს და მხოლოდ ხანდახან - სქესობრივსაც. უკვე ზრდასრული და მოწიფული გააცნობიერებდა ამას, როცა გაიაზრებდა და უკვე არაბავშვურად იპოვიდა პასუხს შეკითხვაზე, თუ ვინ უყვარდა ყველაზე მეტად. ბავშვური უშუალობის, სულსწრაფობის გარეშე, ხანგრძლივი ფიქრის მერეღა გასცემდა პასუხს.

მხოლოდ ერთხელ იგრძნო, თავადაც რომ განაცდევინა მსგავსი შვება თავის გადიას, თუმცა ის უკვე ხვდებოდა ბიჭის სიყვარულს მის მიმართ. როცა ხამსას დედა გარდაიცვალა, გადია რაღაც უცებ, ერთბაშად მობერდა, ძლივს შელასლასდა მსახურებისათვის განკუთვნილ ოთახში და საწოლზე დაენარცხა. ბიჭი უჩუმრად იწვა მის გვერდით, მის დარდს იზიარებდა უხმოდ, ქალი კი გულამოსკვნილი მოთქვამდა. ბიჭი ხედავდა, როგორ აგროვებდა ცრემლებს სახესთან მიტანილ პატარა ფიალაში, რომელსაც მერე დაკრძალვაზე წაიღებდა. ცხრა წლის ბიჭი საწყალობლად მოკუნტული ქალის გვერდით წამოჯდა, ხელები მხარზე დაადო და როცა ქალი ცოტათი დამშვიდდა, ჯერ სარის ქსოვილზე მოეპოტინა ფრჩხილებით, მერე კი კაბის ქვეშ შეუყო ხელი და სწორედ ისე შეუდგა ქალის შიშველი კანის ფხანას, როგორც ახლა, როცა ამ ნაზ მოძრაობებს უკვე კანადელი თეთრი გოგოს ზურგის მილიონობით უჯრედს გადასცემდა კარავში, 1945 წელს, იტალიის მთიანეთის პაწია ქალაქის სიახლოვეს, სადაც მათი კონტინენტები ერთმანეთს შეხლოდნენ.

IX

მოცურავეთა მღვიმე

დაგპირდი, მოგიყვები როგორ უყვარდებათ ადამიანებს ერთმანეთი-მეთქი.

ახალგაზრდა კაცი, სახელად ჯეფრი კლიფტონი ოქსფორდში ერთ თავის ძველ მეგობარს შეხვდა, რომელმაც ჩვენი საქმიანობის თაობაზე უამბო. კლიფტონი დამიკავშირდა, მეორე დღეს იქორწინა და უკვე ორი კვირის თავზე, ცოლთან ერთად ქაიროში ჩამოფრინდა. ეს მათი თაფლობის თვის მიწურული და ჩვენი ამბის დასაწყისი იყო.

როცა გავიცანი, ქეთრინს უკვე ქმარი ყავდა. გათხოვილი ქალი. ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო, როცა კლიფტონთან ერთად ისიც დავინახეთ. თვითმფრინავიდან პირველი ქმარი გადმოვიდა, მერე კი ქეთრინიც გამოჩნდა - ხაკისფერი შორტები ეცვა და გამხდარი, წაწვეტებული კვირისთავები ჰქონდა. იმხანად ძალიან აინტერესებდა უდაბნო, მე კი თავად კლიფტონის ახალგაზრდობა უფრო მიზიდავდა, ვიდრე მისი ცოლის მეტისმეტი თავგამოდება. ჩვენს ექსპედიციაში კლიფტონმა მფრინავობაც, კურიერობაცა და მზვერავობაც შეითავსა. იმ ახალი თაობის წარმომადგენელი გახლდათ, ყველაფერს იოლად რომ ითავსებენ და სწორედ ასევე იოლად და თავისუფლად გადაგვიფრენდა ხოლმე თავზე, თან სასიგნალო ალმებს გვიყრიდა იმის მისათითებლად, საით უნდა გაგვეწია. ცოლის მიმართ აღტაცება არა და არ უნელდებოდა. ჩვენს ჯგუფში ოთხი მამაკაცი ვიყავით და ერთადერთი ქალი, ვისი ქმარიც ჯერაც თაფლობის თვის ხიბლით თვრებოდა და ამაზე ლაპარაკს არავისთან არ თაკილობდა. მერე

კლიფტონები ქაიროში დაბრუნდნენ და ერთი თვის მერეღა გამოჩნდნენ ხელახლა, თუმცა დიდად არც ამ ერთ თვეში შეცვლილიყო რამე. ერთი ეგაა, ქალი ჩანდა ცოტა არ იყოს, უფრო დამშვიდებული; აი ქმარი კი მართლა პატარა ბიჭივით იქცეოდა. ქეთრინი ჩამოჯდებოდა ხოლმე საწვავის ცარიელ ავზზე, იდაყვებით მუხლებს დაეყრდნობოდა, ხელისგულებს ნიკაპს ჩამოადებდა და ასე გაუნძრევლად მჯდომი, კარვის ქარისგან აფრიალებულ ბრეზენტს მიაჩერდებოდა; ჯეფრი კი დაუღალავად აქებ--ადიდებდა. ვცდილობდით, ხუმრობა-ხუმრობით, ცოტა აზრზე მოგვეყვანა, მიგვენიშნებინა - მეტი სიდინჯე გმართებს-თქო, მაგრამ თან არც ის გვინდოდა, რამით გაგვენაწყენებინა.

ქაიროში გატარებული ერთი თვის შემდეგ ქეთრინი ძალიან სიტყვაძუნწი გახდა, სულ განმარტოებას ცდილობდა, წიგნს ჩაკირკიტებული - თითქოს რაღაც მოხდა, ანდა, მისთვისვე სრულიად მოულოდნელად, ადამიანის ბუნების უცნაურ თვისებას - ცვალებადობას მიაგნოო. თუმცა ქალს მეტისმეტი გულღიაობა არც მოეთხოვება, თუკი ქმრად თავგადასავლების მაძიებელი აურჩევია. ეტყობა, საკუთარ თავში გარკვევას ცდილობდა და მართლაც სამწუხარო იყო იმის ცქერა, როგორ არ ესმოდა კლიფტონს მისი, როგორ ვერ იგებდა ქალის სურვილს - მეტი შეეცნო და შეესწავლა. უდაბნოს შესახებ ლამის ყველაფერი წაეკითხა. თამამად შეეძლო, საათობით ესაუბრა უვეინატსა თუ გამქრალ ოაზისებზე.

მე მასზე თხუთმეტი წლით უფროსი ვიყავი. თავისთავად ცხადია, რას ნიშნავს ეს: უკვე იმ ასაკს მივატანე, როცა ერთგულებისა და სამუდამო სიყვარულის აღარა სჯერათ და მზად ვიყავი, ნებისმიერ მელოდრამატულ რომანში უგულო ცინიკოსის როლი მეკისრა. თხუთმეტი წლით უფროსი კი ვიყავი, მაგრამ უფრო ძლიერი ის გამოდგა. პირად ცხოვრებაში ცვლილებების ბევრად მძაფრი ჟინი აღმოაჩნდა, ვიდრე წარმოვიდგენდი.

მაინც რამ შეცვალა იმ ერთ თვეში, ნილოსის დელტაზე რომ გაატარეს? სულ რამდენიმე დღე დარჩნენ ჩვენთან იმ პირველ ჯერზე, როცა სულ რაღაც ორი კვირის დაქორწინებულები, ჩეშირიდან უდაბნოში გამოეშურნენ. ნეფემ იმიტომ გამოიყოლა პატარძალი, რომ არც უიმისოდ გაძლება არ შეეძლო და არც ჩვენთვის, ჩემთვისა და მედოქსისთვის მოცემული სიტყვის გატეხვა. და აი, იმ დღეს თვითმფრინავის კაბინიდან მისი წაწვეტებული კვირისთავები გამოჩნდა. სწორედ ეს იყო ჩვენი ტანჯვისა და სიხარულის დასაწყისი.

კლიფტონი არ იღლებოდა მისი სალუქი მკლავების, მისი თხელი, ჩამოქნილი წვივების ხოტბა-დიდებით; გვიამბობდა, როგორი უბადლო მოცურავე იყო მისი ცოლი, ლაპარაკობდა სასტუმროს ნომრის ახალ ბიდეებზე და იმაზეც, საუზმობისას როგორ ხარბად ეძალებოდა ქეთრინი საჭმელს.

მე ამ ყველაფერს ჩუმად ვისმენდი და კრინტსაც არ ვძრავდი. ზოგჯერ, როცა ასე ენად გაიკრიფებოდა ხოლმე, ქალის მზერას ვიჭერდი და მისი თვალები იმაზე მიმანიშნებდა, რამდენად კარგად ესმოდა ჩემი ეს გამოუთქმელი გაღიზიანება. ხანდახან დამცინავად ჩაიღიმებდა კიდეც. მასზე უფროსი, ასაკოვანი კაცი ვიყავი, თან უკვე სახელიც დამეგდო, როგორც ათი წლის წინ დაჰლას ოაზისიდან გილფ-ქებირამდე გზის გამვლელს და ფარაფრას რუკის შემდგენელს; კირენაიკას ამბებიც ზედმიწევნით ვიცოდი და უკვე არაერთხელ მომეხერხებინა, ქვიშის ზღვაში ჩაკარგულს, იქიდან თავის დაღწევა. როცა ერთმანეთი გავიცანით, ეს ყველაფერი უკვე მომხდარი იყო. მსგავსი დამსახურებანი გამოარჩევდა ჩემს მეგობარ მედოქსსაც, თუმცა გეოგრაფიული საზოგადოების ფარგლებს გარეთ ჩვენი სახელები ბევრს არაფერს ამბობდა. ჩვენ იმ კულტის მცირერიცხოვან ქურუმთა წრეს მივეკუთვნებოდით, რომლის გაცნობაც მხოლოდ გათხოვების წყალობით მოეხერხებინა.

ქმრის მიერ ცოლის დაუსრულებელი ქება და ქათინაურები ჩემთვის არაფრის მთქმელი იყო. მე, იქაურობის მკვლევარს, სიტყვების მიმართ სულ სხვა დამოკიდებულება მახასიათებდა. ჩემს ცხოვრებას დიდწილად სიტყვები, ჭორები და ლეგენდები განსაზღვრავდა; ქვაზე ნაპოვნი გამოსახულებები, წარწერები... და ნებისმიერი სიტყვის თითოეული ნიუანსი შემოწმებასა და დადასტურებას ითხოვდა. ეს კი, თავის მხრივ, ზოგჯერ ასობით მილის გავლას გულისხმობდა.

ექსპედიცია უვეინატიდან ორმოციოდე მილის მოშორებით იმყოფებოდა და მე და მედოქსს დაზვერვაზე წასვლა მოგვიწია. კლიფტონები და დანარჩენები ბანაკში უნდა დარჩენილიყვნენ. ქეთრინს უკვე ყველაფერი წაეკითხა და რამე ახალი წიგნი მთხოვა. მაგრამ მე რუკების გარდა არაფერი მქონდა თან.

- აბა ის რაა, საღამოობით რომ კითხულობთ ხოლმე?

- ეგ? ჰეროდოტეა... გნებავთ?

- ვერ შეგეცილებით, რაკი უიმისოდ ვერ ძლებთ.

- რაღაც-რაღაც ჩანაწერებს ვაკეთებ ხოლმე შიგ. საქმისთვის მჭირდება, ასე ვთქვათ.

- მაპატიეთ. ალბათ, არც უნდა ჩამომეგდო ამაზე სიტყვა.

- როცა დავბრუნდები, დაგათვალიერებინებთ. უბრალოდ, შევეჩვიე და სულ თან დამაქვს.

როცა შემოვიდა და მორიდებით რამე საკითხავზე ჩამომიგდო სიტყვა, კარავში ჩემი ნივთების ჩალაგებით ვიყავი გართული. მარტო შემოვიდა, კლიფტონი არსად ჩანდა. კარავში მხოლოდ ჩვენ ორნი დავრჩით პირისპირ. მეც ავუხსენი, ეს წიგნი ჩემთვის უბრალო წიგნი არაა-მეთქი და იმანაც ბოდიში მომიხადა. სათანადოდ დავაფასე მისი მორიდებულობა და თავაზიანობა, თუმცა კი დიდი ხანი იყო, დახვეწილი მანერებით თავმომწონე საზოგადოებასთან საქმე არ მქონოდა. არც სინდისის ქენჯნას შევუწუხებივარ ამ ჩემი უარის გამო.

უკან ერთი კვირის შემდეგ დავბრუნდით. მართალია, საბოლოოდ არა, მაგრამ ბევრი ჩვენი ვარაუდი დადასტურდა და მშვენიერ ხასიათზეც გახლდით. ამ მიზეზის გამო ბანაკში პატარა ზეიმის გამართვა გადავწყვიტეთ. ასეთ საქმეებში იმთავითვე მუდამ კლიფტონი გახლდათ მოთავე და არც ამჯერად გასჭირვებია დანარჩენების აყოლიება.

ქეთრინი რომ მომიახლოვდა, ხელში წყლიანი ფინჯანი ეჭირა.

- გილოცავთ, ჯეფრიმ უკვე მიამბო.

- გმადლობთ.

- აი, დალიეთ.

ხელი გავიწვდინე და ფინჯანი ჩამოვართვი. იმ ჩვენი დაზვერვების დროს მათარებიდან დალეულ დუბელა სითხესთან შედარებით, წყალი მეტისმეტად ცივიც კი მომეჩვენა.

- ჯეფრი თქვენს საპატივცემულოდ წვეულებას გეგმავს. საგანგებოდ სიმღერასაც წერს და მეც მთხოვა, რამე ლექსი წაიკითხეო. ოღონდ მე სულ სხვა აზრი მაქვს...

ჩემდა უნებურად, ზურგჩანთიდან წიგნი ამოვიღე და მივაწოდე.

- აი, რასაც დაგპირდით.

მას მერე, რაც ვივახშმეთ და ბალახეული ჩაიც დავლიეთ, კლიფტონმა საგანგებოდ ამ წუთისთვის გადანახული ერთი ბოთლი კონიაკი გამოაჩინა. იმ საღამოს ბოლო წვეთამდე უნდა გამოგვეწრუპა, ვიდრე მედოქსი ჩვენი დაზვერვის ამბებს მოყვებოდა, კლიფტონი კი თავის მხიარულ სიმღერას დაამღერებდა. უკვე მერე, ქეთრინმა წამოიწყო ჰეროდოტეს „ისტორიიდან“ ერთი მონაკვეთის ხმამაღლა კითხვა, სადაც მოთხრობილი იყო მეფე ქანდავლესა და დედოფლის ამბავი. ეს წიგნის მთლად დასაწყისშია და ამ მონათხრობს ადრე არასოდეს ჩავღრმავებოდი, რაკი არაფერი ჰქონდა საერთო ჩემთვის საგულისხმო გეოგრაფიულ ად-

გილებთან თუ დროის მონაკვეთებთან. აი, ქეთრინს კი მაინცადამაინც ეს ამოერჩია.

ამ ქანდავლეს სიგიჟემდე უყვარდა თავისი ცოლი და გადაწყვიტა დაემტკიცებინა - ამქვეყნად ულამაზესი თანამეცხედრე მყავსო. მის მშვენიერებას დასქილეს ვაჟს, გიგესს აღუწერდა (რაკიღა მისი უსაყვარლესი საჭურველმტვირთველი სწორედ ის გახლდათ) და ქება-დიდებისთვის აღმატებულ სიტყვებს არ იშურებდა...

- მისმენ, ჯეფრი?

- რა თქმა უნდა, საყვარელო!

ერთხელაც უთხრა გიგესს: ასე მგონია, ჩემი არ გჯერა, რადგან ოდითგანვე ასე ყოფილა - მამაკაცები ყურებს ნაკლებად უჯერებენ, ვიდრე თვალებს. ამიტომაც მოვიფიქრე, როგორ და რანაირად შეგიძლია დედოფალი შიშველი იხილო.

აბა, რა გინდა რომ თქვა! მაშინ რა ვიცოდი, ბოლოს მისი საყვარელი თუ გავხდებოდი - სწორედ ისე, როგორც გიგესი გახდა იმ დედოფლის მიჯნური და ქანდავლეც გამოასალმა სიცოცხლეს! ჰეროდოტეს წიგნში მუდამ რაიმე გეოგრაფიული თავსატეხის გასაღებს დავეძებდი ხოლმე; აი, ქეთრინმა კი იქ საკუთარი სიცოცხლის დასანახი სარკმელი იპოვა. ფრთხილი, მოზომილი ხმით კითხულობდა, ერთხელაც არ მოუწყვეტია თვალი ფურცლიდან და ისე იყო მონუსხული, თითქოს მერხევი ქვიშა იწოვსო.

ეჭვიც არ მეპარება, უმშვენიერესია ქალთა შორის, ოღონდ გევედრები, იმის ქმნას ნუ მომთხოვ, რამაც უკეთურება შეიძლება ჩამადენინოს!

მაგრამ მეფემ ასე უპასუხა: ნუ შეშინდები, გიგეს! არც ის ეცოდინება, თუ რა ჩავიფიქრე, და ვერც ვერასდროს შეიტყობს ამას!

ასე შემიყვარდა ქალი, რომელმაც ჰეროდოტეს წიგნიდან სრულიად გამორჩეული ამბავი წამიკითხა. ერთმანეთისაგან კოცონი გვყოფდა; მესმოდა მისი ხმა, თუმცა შეხედვას ვერ ვუბედავ-

დი - სულ ერთია, გინდაც ეს ყველაფერი მხოლოდ ქმრის გასაღიზიანებლად წამოეწყო. ვინ იცის, ეგებ სწორედ მხოლოდ მის გასაგონადაც კითხულობდა? შესაძლოა, ამ არჩევანს არანაირი შეფარული მიზეზები არა ჰქონია. დარწმუნებული ვარ, იმ საღამოს მაინც, ეჭვადაც არ უეჭვია, რომ ეს პირველი, ალალბედზე გადადგმული ნაბიჯი იყო ცოდვის ბილიკზე.

ფარდის უკან დაგმალავ, ჩვენს საძინებელში; ჯერ მე შემოვალ, მერე ცოლიც შემომყვება და გვერდით მომიწვება. საწოლთან საკარცხული დგას, ტანსაცმელს ზედ ალაგებს ხოლმე. შენც დადექი და უცქირე.

არადა, დედოფალმა მაინც მოკრა თვალი გიგესს, როცა ის ოთახიდან იპარებოდა და მაშინვე მიხვდა, რაც მოემოქმედა მის ქმარს. ამ ამბავმა ერთიანად კი შეძრა, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს, ვაი-ვიში არ აუტეხია და არც არაფერი შეუმჩნევია.

უცნაურია ეს ყველაფერი - არა, კარავაჯო? კაცი პატივმოყვარეა, სიგიჟემდე უნდა, ყველას მისი შურდეს. ან სულაც რაღაცის დამტკიცებას ცდილობს და სურს, ყველა მისი ნათქვამის უსიტყვოდ სჯეროდეთ. მთელ ამ ამბავში კლიფტონის კვალის დანახვა ძნელია, მაგრამ ამ ისტორიის ნაწილი ნამდვილად გახდა. ქმრის ამ ქცევაში მუდამაა რაღაც საკვირველი, თუმცა თან უაღრესად ადამიანურიც, რაც ჩვენს ნდობას იწვევს.

მეორე დღეს დედოფალი თავისთან იბარებს გიგესს და არჩევანს სთავაზობს:

ორად-ორი გზა გაქვს - რომელს აირჩევ, ნება შენია. ან ქანდავლეს მოკლავ და ჩემთან ერთად იმეფებ ლიდიაში, ანდა აქვე, ადგილზევე გაგაფრთხობინებენ სულს და უკვე ვეღარასოდეს, თუნდაც ქანდავლეს შიშით ან ხათრით, ვეღარ ნახავ იმას, რისი დანახვის უფლებაც არ გქონდა! ან ჩემი შემარცხვენელი მოკვდება, ან - შენ, ვინაც შიშველი მიხილე.

მოკლედ, მეფეს კლავენ. იწყება ახალი ხანა. გიგესს იამბური ტრიმეტრით აღუვლენენ ხოტბა-დიდებას. მართლაც, ის პირველი უცხოელი აღმოჩნდა, ვინც დელფოს შესწირა მსხვერპლი. 28 წელი მეფობდა ლიდიაში, მაგრამ ისტორიას მაინც იმ უცნაურ სასიყვარულო თავგადასავალში მონაწილეობის წყალობით შემორჩა.

ქეთრინი კითხვას მორჩა და თავი აწია. ისევ სინამდვილეს დაუბრუნდა. ალბათ იმაზე ფიქრობდა, რა სწრაფწარმავალია ცხოვრებაში ყოველივე. მე კი, ამ ამბის მოსმენისას, სიგიჟემდე შემიყვარდა ეს ქალი.

სიტყვები, კარავაჯო. სიტყვებს დიდი ძალა აქვს.

თუ ჩვენთან ერთად არ მოდიოდნენ ექსპედიციაში, კლიფტონები ქაიროში რჩებოდნენ ხოლმე. ჯეფრი კიდევ სხვა რაღაცასაც საქმიანობდა ინგლისელებისთვის - ღმერთმა უწყის, რას. ბიძამისი რაღაც სამთავრობო უწყებაში მსახურობდა. ეს ყველაფერი ომამდე ხდებოდა. იმხანად ქაირო უცხოელებით იყო გაძეძგილი. მაღალი საზოგადოების ცხოვრება ჩქეფდა და ყოველ საღამოს ცეკვები, წვეულებები, ან კონცერტები იმართებოდა. კლიფტონებიც არაფერს იკლებდნენ და ეს ახალგაზრდა წყვილი მალევე იქცა საყოველთაო პატივისცემისა და ყურადღების საგნად. პირადად მე ხმაურიანი ცხოვრება ნაკლებად მიზიდავდა და ხალხმრავალ ღონისძიებებს იშვიათად ვესწრებოდი - ისიც იძულების გამო. ძალაუნებურად მიწევდა ოფიციალურ სადილ-ვახშამსა თუ სადმე მდელოზე, ღია ცის ქვეშ გამართულ წვეულებაზე მისვლა. ადრე ეს ყველაფერი მესიკვდილებოდა, მაგრამ ახლა უკვე გული მიმიწევდა, რაკი შეიძლებოდა იქ ქეთრინს შევხვედროდი. იმ ყაიდის კაცი გახლავართ, ვინც მანამ მარხულობს, ვიდრე რაიმე მართლა მადისაღმძვრელს არ წააწყდება სადმე.

მაინც როგორ აგიწეროთ, როგორ აგიხსნათ, რანაირი იყო ეს ქალი? შეძლებ, მთის ან კლდის მოხაზულობა ჰაერში ხელებით

გამოსახო? თითქმის მთელი წელი გაატარა ჩვენთან ერთად ექსპედიციაში, სულ გვერდით მყავდა, ხშირად ველაპარაკებოდი, განუწყვეტლივ ვგრძნობდით ერთმანეთის არსებობას. მოგვიანებით, როცა მივხვდით - ეს ლტოლვა ორმხრივი იყო, უკვე სულ სხვა, უფრო ღრმა აზრი შეიძინა ყველა უწინდელმა საუბარმა, შეხებამ, მზერამ.

ამ დროს ქაიროში იშვიათად ჩავდიოდი - ასე, სამ თვეში ერთხელ. ეგვიპტოლოგიის დეპარტამენტში ახალი წიგნი დამიკვეთეს: „ლიბიის უდაბნოს ბოლო კვლევები“. ვადა იწურებოდა. წიგნის ჩაბარების თარიღი ახლოვდებოდა და მეც სულ უფრო მუყაითად ვმუშაობდი - ისეთი თავგამოდებით, თითქოს თავად უდაბნოს ქვიშა ემუქრებოდა შთანთქმით ამ ჩემს ნაწერ გვერდებს. თითქოს ახლაც კი ვგრძნობ კალმისტრიდან ფურცელზე დანაწვეთი მელნის სუნს. იმავდროულად, მის უხილავ სიახლოვეს ვებრძოდი, იმის ჟინი მკლავდა, ჩემი გრძნობები მის ტუჩებსაც, კვირისტავებსაც, ყირმიზ მუცელსაც გაეგოთ და თან იმ ჩემს მომცრო, სამოცდაათგვერდიან ნაშრომს ვწერდი, მოკლედ და უკიდურესად დაწურულად, რისთვისაც მოგზაურობების დროს შედგენილი რუკებიც უნდა დამერთო. ვერაფერს გავხდი: ვერსად გავაგდე მისი სხეული ამ ფურცლებიდან. ძალიან მინდოდა, ეს მონოგრაფია მისთვის მიმეძღვნა, მისი ხმისთვის, მისი მოთეთრო-მოვარდისფრო სხეულისთვის, რომელიც სწორედ იმ წუთას წარმომედგინა, თეთრი ისარივით რომ წამოიმართებოდა ხოლმე ახლადგაღვიძებული, ლოგინიდან. არადა, საბოლოოდ, წიგნი ჩვენს მეფეს მივუძღვენი, თუმცა ვიცოდი - ამის გამო მეგობრები დამცინებდნენ, ქეთრინი კი თავაზიანად და დარცხვენით გადააქნევდა თავს.

თანდათან, მის გვერდით მყოფი, შეგნებულად ვცდილობდი ხაზგასმულად ოფიციალურად დამეჭირა მასთან თავი. ეს ჩემი ხასიათის თვისებაა - თითქოს ადრინდელი სიშიშვლისა მერიდებო-

და. ეს თვისება, ალბათ, ზოგადად ყველა ევროპელს ახასიათებს და ჩემთვისაც სრულიად ბუნებრივი იყო, თუკი თან უდაბნოზე დაწერილ წიგნშიც დავამკვიდრებდი, და თან, სხვების თანდასწრებით, ლამის უცხოსავით მოვექცეოდი.

იმ ერთადერთი ქალისათვის, ვინც გიყვარს ან უსათუოდ შეიყვარებ, შენი ლექსი აღსარება იქნება, ყველა სხვისთვის კი - უსირცხვილო, გარითმული სიყალბე.

ჰასანეინ-ბეის მდელოზე - იმ დიდებული მოხუცის, ვინაც საყოველთაოდ გაითქვა სახელი 1923 წლის ექსპედიციით, ქეთრინი მინისტრის მრჩეველ რაუნდელთან ერთად დასეირნობდა. მე ხელის ჩამორთმევით მომესალმა, რაუნდელს სთხოვა, ეგებ რაიმე დასალევი მომიტანოთო და მერე მაჯახა: „სადმე წამიღე!“ რაუნდელი დაბრუნდა. ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს დანა ჩაედო ჩემთვის ხელში და ვიღაცის მოკვლა ებრძანებინა. ერთი თვის მერე უკვე საყვარლები გავხდით: სწორედ იმ ოთახში, ქაიროს გარეუბანში, თუთიყუშების ქუჩიდან ჩრდილოეთით.

მოზაიკური ფილებით დაგებულ დერეფანში მუხლებზე დავდექი, სახე მისი კაბის ნაოჭებში ჩავმალე, იმას კი ჩემი მარილით დაშაშრული თითები ედო პირში. უცნაურ ქანდაკებას ვგავდით ჩვენ ორნი, ვიდრე ბოლოს, ერთმანეთს არ დავეწაფეთ. თითებით, გათხელებულ თმაში ჩარჩენილ ქვიშის მარცვლებს მიფხოჭნიდა; ჩვენ ირგვლივ ქაირო და ყველა უდაბნო გადაშლილიყო.

ვითომ მისი ახალგაზრდობა და გამოუცდელობა მიზიდავდა? მისი ბაღები ის ბაღები გახლდათ, რაზეც ადრეც მისაუბრია თქვენთან.

ყელთან ის ღრმული აჩნდა, ჩვენ რომ ბოსფორი შევარქვით: სწორედ ამ ბოსფორში ვყვინთავდი ხოლმე მისი მხრიდან. მასზე ვასვენებდი მზერას. მუხლებზე ვდგებოდი, ის კი უტყვი შეკითხვით შემომცქეროდა, როგორც ვინმეს უცხო პლანეტიდან. მახსენდება, როგორ მადებდა გრილ ხელს კისერზე, როცა ქაიროში

ავტობუსით ვმგზავრობდით. მაშინვე ჩამოვდიოდით ავტობუსიდან, საჩქაროდ ტაქსის ვაჩერებდით და შუაგზაზე, ხიდიდან კლუბამდე, უკანა სავარძელზე ვსიყვარულობდით. ან კიდევ - მის თითებში გამომკრთალი მზის სხივები, როცა მუზეუმის მესამე სართულზე, დარბაზში ვიდექით და სახეზე ხელები ამაფარა.

ჩვენთვის მხოლოდ ერთადერთი ადამიანი არსებობდა, ვისაც შეგნებულად ვემალებოდით.

არადა, ჯეფრი კლიფტონი ინგლისური სახელმწიფო მანქანის ერთი პატარა ჭანჭიკი იყო, თუმცა მისი გენეალოგია მეფე კნუდიდან იღებდა სათავეს. ეს მანქანა, ცხადია, სულ რაღაც წელიწადნახევრის წინ დაქორწინებულ კლიფტონს ცოლის ღალატის ამბავს არ გაუმხელდა, მაგრამ სისტემაში გაჩენილი ზადის გამო კი უთუოდ შეშფოთდებოდა. მისთვის, ამ მანქანისთვის, პირველივე დღიდან იყო ცნობილი ყოველი ჩვენი ნაბიჯი - ჯერ კიდევ სასტუმრო „სემირამიდას“ წინ იმ უნებლიე შეხებიდან მოყოლებული.

ქეთრინის მიერ ქმრის სანათესაოზე ჩამოგდებულ სიტყვას ყურადღებას არ ვაქცევდი, თავად ჯეფრი კლიფტონს კი სწორედ ჩვენსავით არ ჰქონდა ეჭვი იმ ვეება აბლაბუდის არსებობაზე, ნებისმიერ ჩვენგანს რომ ითრევდა და ბოჭავდა. ოღონდ ეგაა, პირად მცველთა კლუბი მხედველობიდან არ კარგავდა ქეთრინის ქმარს და მის უსაფრთხოებაზეც ზრუნავდა. კეთილგონიერების ამ ხვეულების თაობაზე მხოლოდ მედოქსისათვის იყო ცნობილი, რადგან წარმოშობითაც არისტოკრატი გახლდათ და სამხედრო წრეებშიც დიდი ნაცნობობა ყავდა. სწორედ მედოქსმა მიმახვედრა თავისებურად, როგორ სამყაროში მოხაზულიყო ეს ჩვენი სამკუთხედი.

როგორც მე მუდამ ჰეროდოტეს წიგნი დამქონდა თან, ისე მედოქსს - უკიდურესად ერთგულ მეუღლეს - „ანა კარენინა“ და ხშირ-ხშირად გადაიკითხავდა ხოლმე სიყვარულისა და ღალატის ამ ტრაგიკულ ამბავს. ერთხელ, უკვე გვიან საიმისოდ, რათა

ჩვენ მიერვე ამოქმედებული მანქანის გავლენას გავქცეოდით, შეეცადა ისე აეხსნა ჩემთვის კლიფტონის გარემოცვა, როგორც ტოლსტოი აღწერს - ანას ძმის სამყაროს. ერთი ის წიგნი მომაწოდეთ:

ნახევარი მოსკოვი და პეტერბურგი ობლონსკის ან ნათესავი იყო, ანდა - ნაცნობ-მეგობარი. იმ ადამიანთა შორის დაიბადა, ვინც ან თავიდანვე განეკუთვნებოდა, ან მერე გახდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა წრის წევრი. სახელმწიფო მოხელეთა ერთი მესამედი - ეს პატივცემული, ასაკოვანი ხალხი, ჯერ კიდევ მამამისთან მეგობრობდა და მასაც პატარა ბიჭობიდან იცნობდა. შესაბამისად, ამქვეყნიურ სიკეთეთა გამრიგენი, ყველანი ახლობლებად უჩნდნენ და, რაღა თქმა უნდა, თავისიანს არ დაივიწყებდნენ. მთავარი იყო, თავად არ ეჭირვეულა, შური არავისი გასჩენოდა, არავის დამდურებოდა და არავისთვის ეწყენინებინა, რასაც, კაცმა რომ თქვას, ბუნებრივი სიკეთის წყალობით, მუდამ ახერხებდა კიდეც.

მართალი გითხრა, თანდათან მომწონს, როგორ უკაკუნებ ხოლმე ფრჩხილს შპრიცის შუშას, კარავაჯო! როცა შენი თანდასწრებით პირველად მიკეთებდა ჰანა მორფს, ფანჯარასთან იდექი და როცა ჰანამ მიუკაკუნა შპრიცს, კისერი ჩვენკენ მოგეგრიხა. მაშინვე ჩემიანი დავინახე შენში - სწორედ ისე, როგორც შეყვარებული ხვდება სხვა შეყვარებულის საიდუმლოს.

ქალები მიჯნურისაგან ყველაფერს მოითხოვენ და თან - ერთბაშად. მეც ძალიან ხშირად ჩავყურყუმალავებულვარ თავფეხიანად ამ მღვრიე მორევში. ასე იძირება ქვიშაში მთელი არმია. თან კიდევ - ქმრის გამო მისი ფეთება და გულისხეთქვაც გავითვალისწინოთ! მისი კეთილშობილების რწმენა, ჩემი ძველთაძველი თავისუფლებისმოყვარეობა, ჩემი მუდმივი გადაკარგვები, იმის ეჭვები ამის გამო და ჩემი უნდობლობა - სინამდვილეში არც

ვუყვარვარ-მეთქი. მოკლედ, გასაიდუმლოებული სიყვარულის მთელი ეს პარანოია და კლაუსტროფობია.

- მე მგონი, ძალიან სასტიკი გახდი. - მითხრა ერთხელ.

- მარტო მე არა ვარ მოღალატე.

- არა მგონია, საერთოდ გაღელვებდეს, რაც ჩვენს შორის მოხდა. მესაკუთრეობისადმი ეგ შენი შიში და სიძულვილი საბოლოოდ გულგრილად გაქცევს. შენ ვერც ვერავისი გახდები და ვერც ვერავის მიიჩნევ შენად. გგონია, ეგ სიქველეა? მე კი უფრო სისასტიკეს დავარქმევდი ამას. მე რომ წავიდე, სხვას მონახავ? სხვას შეიყვარებ?

არაფერი მიპასუხია.

- მითხარი, არა-თქო... ეშმაკმა წაგიღოს!

მუდამ სიტყვები სჭირდებოდა, უყვარდა სიტყვები. მათ გარემოცვაში იყო გაზრდილი. სიტყვების წყალობით უფრო ცხადად ხედავდა ყველაფერს. სიტყვები უჩვენებდა მიზეზსაც და ფორმასაც. ჩემთვის კი სიტყვებში ისე იძირებოდა განცდა, როგორც კენჭები წყალში.

თავის ქმარს დაუბრუნდა.

- დღეის ამას იქით, ან ვიპოვით, ან საბოლოოდ დავკარგავთ საკუთარ სულებს. - ასე ჩამჩურჩულა წასვლისას.

ზღვებიც კი ქრებიან უკვალოდ და რატომ არ შეიძლება, შეყვარებულები დაშორდნენ ერთმანეთს? გაქრა ეფესოს ნავსაყუდლები, გაქრა ჰერაკლიტეს მდინარეები და მათ ადგილას მხოლოდ შლამიღა დარჩა. ქანდავლეს ცოლი გიგესს მისთხოვდა; ეგ კი არა, მთელი ბიბლიოთეკები ინთქმება ცეცხლის ალში.

რა ერქვა მაინც ამ ჩვენს ურთიერთობას? ირგვლივ მყოფთა ღალატი თუ სხვა ცხოვრებისაკენ ლტოლვა?

ის ქმრის ჭერქვეშ დაბრუნდა. მე კი ისევ ბარის დახლებთან ვეძიებდი შვებას.

მთვარეს მიჩერებული,

შენს სახეს დავინახავ...

ბებერი კლასიკოსი ჰეროდოტე. იქამდე ვღიღინებდი ამ სიმღერას და თან თითებსაც ვაყოლებდი, სანამ მისი სიტყვები ჩემი ცხოვრების ნაწილად არ იქცა. ადამიანები განსხვავებულად იკურნებიან დანაკარგით მიყენებული ჭრილობებისაგან. ერთხელ მისი ამალის მავანმა წევრმა სუნელ-სანელებლებით მოვაჭრესთან ერთად მნახა; ადრე ამ კაცმა ქეთრინს ზაფრანით ამოვსებული კალის პაწია სათითური უსახსოვრა. მაინცადამაინც სწორედ ეს საჩუქარი შეარჩია ათასი შესაძლებლიდან.

და თუკი ბაგნოლდმა - სწორედ მან მნახა იმ კაცთან ერთად - ეს ამბავი ქეთრინსაც შეატყობინა, როგორ უნდა მეგრძნო თავი? ვითომ მანიჭებდა სულიერ სიმშვიდეს ის, რომ უნებურად გაიხსენებდა მავან მოვაჭრეს, ვინაც პაწია სათითური აჩუქა, რასაც ორი დღე ყელზე შებმულს ატარებდა, ვიდრე მისი ქმარი ისევ დაბრუნდებოდა ქალაქში. მაშინ მის მკერდზე ზაფრანამ მომცრო ოქროსფერი ლაქა დატოვა.

რას ეტყოდა ჩემზე იმ ხალხს, ვინც ერთხელ და საბოლოოდ მომიკვეთა მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე თავი შევირცხვინე საჯაროდ? ბაგნოლდი, სავარაუდოდ, გაიცინებდა; მისი ქმარი, ბუნებით წესიერი კაცი, ჩემ გამო ალბათ იღელვებდა; მედოქსი კი უხმოდ წამოდგებოდა, ფანჯარასთან მივიდოდა და ქაიროს სამხრეთი უბნების ხედს მიაჩერდებოდა. გამორიცხული არაა, საერთოდ შეეცვალათ საუბრის თემა. ბოლოს და ბოლოს, მაინც ხომ კარტოგრაფები იყვნენ. ისე, კაცმა რომ თქვას, საერთოდ ჩავიდა კი ჩვენ მიერ ერთად ამოთხრილ ჭაში? უნდოდა კი მარტოს იქ ჩასვლა? ალალბედზე, იმის შიშით, ვაითუ მოვწყდე და ფსკერს დავენარცხოო? მე ხომ უკვე გვერდით აღარ ვყავდი და ვიღა შეამაგრებდა და შეაკავებდა?

ორივეს ჩვენ-ჩვენი ცხოვრება გვქონდა ახლა, და ერთმანეთთან მტკიცე საზავო ხელშეკრულება დაგვედო.

- როგორ იქცევი? - მკითხა ერთხელ, როცა შემთხვევით შეეჩეხეთ ერთმანეთს ქუჩაში. - ვერ ხვდები, რომ ყველას გვაგიჟებ?

მედოქსისთვის ნათქვამი მქონდა - მავან ქვრივთან გავაბი რომანი-მეთქი, არადა ჯერ არც იყო ქვრივი; ხოლო როცა მედოქსი ინგლისში დაბრუნდა, უკვე აღარც ჩვენ გახლდით საყვარლები.

- მოკითხვა გადაეცი ჩემგან იმ ქაიროელ ქვრივს, - ჩაიბურტყუნა მედოქსმა, - სიამოვნებით გავიცნობდი.

ნეტა თუ იცოდა სიმართლე? ამ ჩემი უერთგულესი მეგობრის წინაშე დამნაშავე ვიყავი, უსინდისო მატყუარად ვთვლიდი თავს. ათ წელზე მეტი გავატარეთ ერთად და სხვებზე უფრო სწორედ ის მიყვარდა. 1939 წელი იდგა და ყველანი იმ ქვეყნიდან აბარგებას ვაპირებდით. ოღონდ ეგაა, საითაც არ უნდა აგვეღო გეზი, ნებისმიერ შემთხვევაში მაინც ომში ამოვყოფდით თავს.

თავად მედოქსი სამერსეტს დაუბრუნდა, თავის მშობლიურ პატარა სოფელს. ერთი თვის შემდეგ, როცა ეკლესიაში ქადაგებას ესწრებოდა, მღვდელი კი მართალ ომს ლოცავდა და ადიდებდა, ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და საფეთქელში დაიხალა ტყვია.

მე, ჰეროდოტე ჰალიკარნასელი, ამ ამბავთა თხრობას არა მხოლოდ ბერძენთა თუ ბარბაროსთა დიად ქმედებათა აღსაწერად შევუდექი, არამედ იმ მიზეზთა სათქმელადაც, რამაც ისინი ერთმანეთს დაუპირისპირა.

უდაბნო კაცს მუდამ ლექსების წარმოთქმის გუნებაზე აყენებს. მედოქსმაც გეოგრაფიულ საზოგადოებას მშვენიერი, მართლაც რომ პოეტური ანგარიში წარუდგინა უდაბნოში ჩვენი ხეტიალისა და აღმოჩენების თაობაზე. ბერმანმაც ჩვენი თეორია ლამის პოემად აქცია, და მე რას ვშვებოდი ამ დროს? მე მათი ძრავა გახლდით, ყველაფრის მოძრაობაში მომყვანი. სხვები სიმარტოვისადმი საკუთარ სიყვარულზე წერდნენ, ანდა უდაბნოში ნანახ--

ნაპოვნის ჭვრეტით ტკბებოდნენ; არცერთი არ იყო საბოლოოდ დარწმუნებული იმაში, მე რას ვფიქრობდი გულის სიღრმეში.

- გიყვარს მთვარე? - მეკითხებოდა მედოქსი, რომელიც უკვე ათი წელია მიცნობდა. უბრალოდ, ცდიდა. თითქოს ჩვენი სიახლოვის შემოწმება სურდა. დანარჩენებს მეტისმეტად ეშმაკი ვეგონე საიმისოდ, მართლა მყვარებოდა უდაბნო. ოდისევსს მამსგავსებდნენ. სხვათა შორის, არცთუ უსაფუძვლოდ. ჩემი ითაკა - უდაბნოა: იგივეა, რაც ვიღაცისთვის - ბავშვობის მდინარე, ან - მშობლიური ქალაქი.

როცა საბოლოოდ ვემშვიდობებოდით ერთმანეთს, მედოქსმა ძველებური დალოცვა გაიხსენა: „ღმერთმა სულ უხიფათოდ გატაროს!“ მე კი პასუხად დავუგდე - ღმერთი არ არსებობს-მეთქი... არა, მაინც ძალიან სხვადასხვანაირები ვიყავით.

მედოქსი ამბობდა, ოდისევსს თავის დღეში სიტყვაც არ დაუწერია, არანაირი გამოცხადების წიგნი არ დაუტოვებიაო. შეიძლება უცხოდ გრძნობდა თავს მაღალფარდოვანი ფუჭსიტყვაობისა და ყალბი ხოტბა-დიდების სამყაროში. უნდა ვაღიარო: სხვათა შორის, ის ჩემი მონოგრაფიაც ერთობ მკაცრი რამ გამომივიდა - ისევ და ისევ თავისი ამ ზედმიწევნითი სიზუსტის გამო. ფურცლებზე ქეთრინის არსებობის კვალის დატოვების შიშმა იმთავითვე მაიძულა, არსად გამეჭაჭანებინა არანაირი ემოცია თუ სასიყვარულო რიტორიკა და მაინც, ისეთ იდუმალ ფერებში აღვწერე უდაბნო, თითქოს ქალზე ვლაპარაკობდი. მთვარის შესახებ მედოქსმა სწორედ საბოლოო განშორებამდე მცირე ხნით ადრე მკითხა - ჯერ კიდევ მშვიდობიანობის ხანაში. მერე ერთმანეთს დავცილდით. ის ინგლისს გაემგზავრა. ომის ჯიუტმა აჩრდილმა ყველა ჩვენი გეგმა არია უდაბნოს ისტორიის თანდათანობით სამზეოზე გამოტანასთან დაკავშირებით. „აბა, კარგად მენახე, ოდისევს!“ - მითხრა ეშმაკურად მომღიმარმა, რადგან იცოდა, როგორ არ მეხატებოდა გულზე ეს ბერძენი გმირი. მასზე მეტად

კი - ენეასი. ასე დავთქვით - ჩვენ შორის ენეასი ბაგნოლდი იქნებოდა, თუმცა არც ოდისევსი მომწონდა. კარგად-მეთქი, ვუთხარი პასუხად.

მახსოვს, შეტრიალდა და სიცილი აუტყდა. მომსხო თითი ადამის ვაშლის ცოტა ქვემოთ მიიდო და თქვა: „თუ ჯერაც გაინტერესებს, ამას ვასკულარული ღრმული ეწოდება!“ თავის ცოლს დაუბრუნდა სოფელში. ცხადია, ტოლსტოის ის წიგნიც თან გაიყოლა, მე კი ფარგლები, კომპასები და რუკები დამიტოვა. ერთმანეთის მიმართ ჩვენს გრძნობებზე სიტყვაც კი არ დაგვიძრავს არასოდეს.

სამერსეტის საგრაფოს იმ პატარა სოფლის მიმდებარე მწვანე მინდვრები კი, რომლებსაც ბოლო დროს სულ უფრო ხშირად იხსენებდა ხოლმე საუბარში, სამხედრო აეროდრომებად გადააქციეს. მეფე ართურის ძველთაძველი ციხე-დარბაზების თავზე ახლა თვითმფრინავთა ძრავების გუგუნი ისმოდა. არ ვიცი, რამ უბიძგა თვითმკვლელობისაკენ - იქნებ სწორედ ამ ხმამაც, რაც მეტისმეტად სჭრიდა ყურს ჩვენი „ფარვანას“ ღუღუნისა და უდაბნოს მდუმარების მერე. ვიღაცის მიერ წამოწყებულმა ომმა ნაკუწ-ნაკუწ დაუფხრიწა ასე რუდუნებით მოქსოვილი თანამოაზრეობის სიფრიფანა აბლაბუდა. მე ოდისევსი ვიყავი და მშვენივრადაც მესმოდა, რასაც გულისხმობს ომისდროინდელი, ცვალებადი და დროებითი აკრძალვები, მას კი, ზოგადად, ძალზე უჭირდა დამეგობრება და ნამდვილ, ერთგულ მეგობრებს ალბათ ცალი ხელის თითებზე დაითვლიდა. მტანჯველ ტკივილს აყენებდა, ზოგიერთი მათგანი ახლა მტრად რომ გადაქცეოდა.

სამერსეტში ცოლთან ერთად ცხოვრობდა, რომელიც ჩვენ საერთოდ არცკი გვიცნობდა პირადად, არასოდეს ვენახეთ... საერთოდ, მედოქსი მუდამ მცირედით კმაყოფილდებოდა და ომიც მისთვის სულ ერთადერთმა ტყვიამ დაამთავრა.

1939 წლის ივლისი იდგა. სოფლიდან იოვილისკენ მიმავალ ავტობუსში ჩასხდნენ. ავტობუსი ნელა მიდიოდა და ეკლესიაში მისვლა დაუგვიანდათ. იქაურობა ხალხით სავსე დაუხვდათ; გვერდიგვერდ ადგილები ვერ იპოვეს, ცალ-ცალკე მოუწიათ დასხდომა. ნახევარი საათის შემდეგ ქადაგებაც დაიწყო - ერთობ პატრიოტული, ლამის მოახლოებული ომის საქებარი. მღვდელი წამღერებით აქებ-ადიდებდა საერთაშორისო პრობლემების ძალადობრივი საშუალებებით მოგვარების გზებს, ლოცავდა ხელისუფლებას და იმათ, ვინც სამხედრო სამსახურში იდგა. მედოქსი ამ ყველაფერს ისმენდა, ქადაგება კი სულ უფრო და უფრო აღტკინებულ, მგზნებარე სახეს იღებდა. ასე რომ, იმანაც ვერ მოითმინა - რევოლვერი ამოიღო, ცოტათი წინ წაიხარა და საფეთქელში დაიხალა ტყვია. იქვე განუტევა სული. ეკლესიაში სრულმა სიჩუმემ დაისადგურა, უდაბნოსებურმა, სადაც არც ქარის ხმა ისმის და არც თვითმფრინავების გუგუნი. სამარისებურმა სიჩუმემ. მერე ამ სიჩუმეში სხეულის იატაკზე დაცემის ყრუ ხმა გაისმა. ყველა გახევდა. მღვდელი გაქვავებულივით იდგა კათედრაზე. ეს ისეთი სიჩუმე იყო, როცა ეკლესიაში სანთლის შუშის საფარი უცებ სკდება და ამ ხმაზე ყველა იქით აბრუნებს თავს. ცოლმა მთავარი გასასვლელისკენ გაიკვლია გზა, იმ რიგთან შეჩერდა, სადაც მედოქსი იჯდა მანამდე, რაღაც ჩაიბუტბუტა და მაშინვე მიუშვეს გარდაცვლილთან. იქ ჩაიმუხლა და ქმარს ხელი შემოხვია.

როგორ მოკვდა ოდისევსი? თავი მოიკლა, არა? მგონი, გამახსენდა. იქნებ მედოქსი უდაბნომ წაახდინა? იმ დრომ, როცა გარე სამყაროს სრულიად ვიყავით მოწყვეტილები. გამუდმებით ვფიქრობდი იმ რუსულ წიგნზე, სულ თან რომ დაჰქონდა. რუსეთი ჩემს სამშობლოსთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე მისასთან. დიახ, მედოქსი სხვადასხვა ერების არსებობამ და ურთიერთშეუთავსებლობამ შეიწირა.

მე კი მისი შინაგანი სიმშვიდე მხიბლავდა. თვითონ ლამის პირზე დუჟმომდგარი ვკამათობდი ხოლმე რუკაზე ამა თუ იმ ობიექტის ადგილმდებარეობის თაობაზე, მის ანგარიშებში კი ჩვენი ეს შეხლა უკვე გონივრულ და მწყობრ ფრაზებად ლაგდებოდა. ჩვენი მოგზაურობების შესახებ მშვიდად და სიხარულით წერდა, თუკი გვქონდა რამე სასიხარულო. ისეთი სიხარულით, თითქოს ანა და ვრონსკი ვყოფილიყავით, მეჯლისზე. არადა, ჩემთან ერთად ერთხელაც არ წამოსულა რომელიმე წვეულებაზე ქაიროში. მე კი სწორედ ცეკვისას მეწვია სიყვარული.

მუდამ აუჩქარებლად დადიოდა. მაგის წაცეკვებაც კი არასოდეს მენახა. იმ ყაიდის კაცი იყო, ვინც სამყაროს აღწერს და მის ამოხსნას ცდილობს, ხოლო სიბრძნის გამოსავლენად ემოციის სულ პაწია ნამცეცი სჭირდებოდა. თუკი უდაბნოში რომელიმე უცნობ ტომს ანდა პალმის იშვიათ სახეობას გადააწყდებოდა, შთაგონება მერე რამდენიმე კვირა არ ტოვებდა ხოლმე. როცა რამე წარწერას ვიპოვიდით - სულ ერთია, ახალსა თუ უძველესს, ჭუჭყიან კედელზე არაბულად მინაწერსა თუ ჩვენი ჯიპის კარზე ცარცით მიჩხაპნილს, ინგლისურად, აუცილებლად თავიდან ბოლომდე წაიკითხავდა, მერე კი ნაწერს ხელითაც შეეხებოდა, თითქოსდა უფრო ღრმა აზრის, შინა-არსის ამოკითხვა სურს, თითქოს სიტყვებთან მიახლოებას, მათთან შერწყმას ცდილობსო.

მტევანამოტრიალებულ ხელს წინ იშვერს, რათა კარავაჯომ ერთხელაც გაუკეთოს ნემსი. როცა მორფი უკვე მის სისხლძარღვებში იღვრება, ესმის - როგორ აგდებს კარავაჯო შპრიცს მომინანქრებულ თასში. ხედავს, ჭაღარა მამაკაცს როგორ შეუქცევია მისთვის ზურგი და ხვდება - ორივენი მორფის ტყვეები ვართ, მხოლოდ მასში ვპოულობთ ხსნასო.

გამოერევა ხოლმე დღეები, როცა მოსაწყენი საწერით გაბეზრებული, შინ ვბრუნდები და ერთადერთ გადამრჩენლად ჯანგო რეინჰარდტისა და სტეფან გრაპელის შესრულებული

„Honeysuckle Rose“ მესახება. 1935, 36, 37 წლები, ჯაზის ოქროს ხანა. ამ წლებში ჯაზურმა თემებმა სასტუმრო „კლარიჯიდან“ ელისეს მინდვრებზე, ლონდონის, სამხრეთ საფრანგეთის, მაროკოს ბარებში გადაინაცვლა, მერე კი ეგვიპტესაც მიაღწია, სადაც მათ აჟღერებას გაუბედავად და არცთუ წარმატებულად ცდილობდა ქაიროს რომელიღაც უსახელო საცეკვაო ორკესტრი. როცა ისევ უდაბნოს დავუბრუნდი, თან გავიყოლე მოგონება ბარებში გამართულ ცეკვებზე, ქალებზე, რომლებიც მწევარი ძაღლებივით გეგლისებოდნენ, როცა ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდი. მადლობის მეტი რა მეთქმის ფირფიტების ჩამწერი ფრანგული კომპანია Société Ultraphone française-სათვის

. 1938. 1939. სატელეფონო ჯიხურებში სასიყვარულო ჩურჩული ისმოდა, იქვე კი უკვე ომი გაყურსულიყო.

მას მერე, რაც მე და ქეთრინი ერთმანეთს დავშორდით, ქაიროში ყოფნის ერთ-ერთ ბოლო ღამეს მედოქსი დაიყოლიეს - მისი გამგზავრების აღსანიშნავად რომელიღაც ბარში გამოსამშვიდობებელი წვეულება გაემართათ. ქეთრინი და მისი ქმარიც იქ იყვნენ. ერთი, უკანასკნელი საღამო. ერთი, უკანასკნელი ცეკვა. ალმაში მაგრად გაილეწა და ცდილობდა, თავისივე მოგონილი, სრულიად ახალი საცეკვაო პა შეესრულებინა, სახელად „ბოსფორული ჩახუტება“. ქეთრინი ღონიერი მკლავებით აიტატა და უნდოდა, მთელი დარბაზი ასე გადაეტარებინა, თუმცა ორივე ერთად კი დაენარცხა ასპიდისტრას ბუჩქზე.

„ნეტა ახლა ვისი პირით ლაპარაკობს?“ - ფიქრობს კარავაჯო.

ალმაში მთვრალი იყო და მისი ცეკვა დანარჩენებს ველურის მოძრაობებად ეჩვენებოდა. იმხანად ის და ქეთრინი მაინცდამაინც კარგად ვერ ეგუებოდნენ ერთმანეთს. ახლაც ისე აქნევდა აქეთ-იქით, როგორც ნაჭრის ტიკინას და ასე იქარვებდა დარდს მედოქსის გამგზავრების გამო. მაგიდასთანაც ხმამაღლა ღრიალებდა. როცა ასე იქცეოდა ხოლმე, როგორც წესი, ვიპარე-

ბოდით და თავს ვშველოდით, მაგრამ ახლა მედოქსის გამოსამშვიდობებელი წვეულება იყო და რა უნდა გვექნა? ფეხი არავის მოგვიცვლია. უვარგისი ეგვიპტელი მევიოლინე სტეფან გრაპელის მიბაძვას ცდილობდა, ალმაში კი ორბიტას მომწყდარ პლანეტას ჰგავდა. „ჩვენ გაგვიმარჯოს, უცხოტომელებს ამ დედამიწაზე!“ - აწია ჭიქა, უნდოდა ყველასთან ეცეკვა, ქალებთანაც და კაცებთანაც. ტაში შემოჰკრა და გამოაცხადა:

- ახლა კი „ბოსფორული ჩახუტება“! რომელი მეცეკვებით? შენა, ბერნჰარდტ? ჰეთერთონ?

ყველამ შორს დაიჭირა თავი. მაშინ ალმაში ჯეფრი კლიფტონის ახალგაზრდა ცოლს მიუბრუნდა, რომელიც ბრაზიანი მზერით მიჩერებოდა და თავის დაკვრით, საცეკვაოდ მიიწვია. იმანაც ნაბიჯი წინ წადგა. ალმაშიმ მაშინვე წელზე მოხვია ხელი, თავი მარცხენა, შიშველ მხარზე ჩამოადო. მათი გიჟური ტანგო მანამ გაგრძელდა, სანამ ერთ-ერთს ნაბიჯი არ აერია. ჯერაც ბრაზით აკანკალებულმა ქეთრინმა უარი თქვა, პარტნიორი გამარჯვებულად ეღიარებინა და არც მაგიდასთან მიცილების ნება დართო. მხოლოდ ერთი ჯიქურ შეხედა, როცა იმან თავი უკან გადააგდო. მერე ალმაში რაღაცის ბუტბუტს მოჰყვა - ალბათ „Honeysuckle Rose“-ის სიტყვებს თუ იმეორებდა.

ექსპედიციებს შორის შუალედებში ქაიროში ალმაში არასოდეს გვინახავს. ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს სულ სადღაც იყო წასული ან წუთი მოცლა არ ჰქონდა. მთელი დღე ქაიროს მუზეუმებში საქმიანობდა, ღამღამობით კი ბარიდან ბარში დაეხეტებოდა. მოკლედ, ეგვიპტის სულ სხვა სამყაროში იკარგებოდა. იმ დღეს კი ყველანი მხოლოდ მედოქსის პატივსაცემად შევიკრიბეთ. და აი, ალმაში ქეთრინ კლიფტონთან ცეკვავდა. ქალის ჩამოქნილი ტანი დარბაზში რიგებად ჩალაგებულ მცენარეებს ედებოდა ხოლმე - ალმაში ხომ ციბრუტივით ტრიალებდა, ჰაერშიც კი შეაგდებდა ხოლმე, ბოლოს კი სულაც ძირს დაენარცხა. კლიფ-

ტონი თავის ადგილზე იჯდა და ცალი თვალით თუ გახედავდა მოცეკვავეებს. ალმაში ცოტა ხანს იატაკზე ეგდო, მერეღა დააპირა მოუქნელად, ქალბატონიც წამოეყენებინა ფეხზე. გაოფლილი შუბლიდან მალი-მალ ცდილობდა გრძელი, ქერა ქოჩრის გადაგდებას და იდგა ასე, დაოთხილი, დარბაზის შორეულ კუთხეში. არადა, ერთ დროს მისებრ უზადო კავალერს ძნელად თუ იპოვიდი სხვას.

შუაღამეს გადაცილდა. სტუმრებს სიცილის თავიც აღარ ჰქონდათ, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ადგილობრივ ლაზღანდარას, ვისთვისაც ევროპელების ამგვარი გამოხდომები უცხო ხილი არ ყოფილა. მათ შორის გრძელ, ჩამოკონწიალებულსაყურეებიანი ქალებიც ერივნენ, რომელთა ეს სამკაულიც შეიძლებოდა ცეკვის დროს პარტნიორისთვის ერთობ სახიფათო რამედაც ქცეულიყო. ადრე ალმაში ამ ღამეული ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო - ყოველ საღამოს ასეთ ქალბატონებთან ცეკვავდა, მაგრად იხუტებდა გულში და ნებით იღებდა სახეზე ნაკაწრებს. ისინიც მეტისმეტად ხალისობდნენ, გულიანად იცინოდნენ გაღეღილი პერანგიდან გამოჭყეტილი მისი შიშველი თეთრი მუცლის დანახვაზე. თუმცა, სულაც არ მოეწონებოდათ, თუკი მთელი სიმძიმით ჩამოაწვებოდა მხრებზე და შუა ცეკვაში, იატაკზეც დაენარცხებოდა.

ამგვარი საღამოების დროს მთავარი იყო, ზოგად განწყობას მორგებოდი, იმ ვითარებას, როცა ადამიანთა თანავარსკვლავედები შენ ირგვლივ რიალებდა. არ იყო საჭირო არანაირი დაფიქრება თუ წინასწარ დაგეგმილი ქმედება. მოგვიანებით, უკვე უდაბნოში, სადღაც დაჭლასა და კუფრას ოაზისებს შორის, ასეთი საღამოების მოგონებები ერთბაშად ისეთი ძალით მოეძალებოდა ხოლმე, თითქოს საველე ჟურნალში მისხალ-მისხალ აღნუსხულ მოვლენებს კითხულობდა. სწორედ ასეთ დროს გაახსენდება ის ხმა საცეკვაო მოედანზე, ძაღლის წკავწკავი რომ ეგონა, სინამდვილეში კი იმ ქალის შეკივლება იყო, რომლისთვისაც ფეხზე

დაებიჯებინა. ახლა ოაზისის ხილვადობის ფარგლებით შემოზღუ-დულს, შეეძლო საკუთარი ცეკვის მოგონებით დამტკბარიყო, სი-ხარულით აექნია ორივე ხელი და მაჯის საათიც ჰაერში აესრო-ლა.

უდაბნოს ცივი ღამეები. ყოველ მათგანს ცალ-ცალკე იხსენებ-და, თითქოს აბურდული გორგლიდან ძაფის ბოლოს ექაჩებოდა თუ ნუგბარივით აგემოვნებდა. ასე ხდებოდა მისი გადასვლის პირველი ორი დღე-ღამის განმავლობაში, როცა ქალაქსა და პლატოს შორის, მივიწყებულ ზონაში იმყოფებოდა. ექვსი დღის შემდეგ კი უკვე საერთოდ აღარ ფიქრობდა არც ქაიროზე, არც მუ-სიკაზე, არც ქუჩებზე, არც ქალებზე - იმ დროისათვის უკვე უხსო-ვარ ხანში იყო გადაბარგებული და ღრმა წყლის სუნთქვას მორ-გებული. ქალაქების სამყაროსთან მხოლოდ ჰეროდოტეღა აკავ-შირებდა, მისი ერთგული მეგზური. ღრმად მოხუცი და თანამედ-როვე, ამბებით დახუნძლული, თუმცა არც მთლად ბრმად მისან-დობი. როცა სიმართლეს პოულობდა იმაში, რაც ტყუილად ეჩვე-ნებოდა, წებოთი სავსე პატარა ბოთლს დააძრობდა და ჰეროდო-ტეს ტომში კიდევ ერთ ფურცელს ან გაზეთის ამონაჭერს აწებებ-და. ანდა წიგნის რომელიმე სუფთა ფურცელზე გრძელკაბიანი კა-ცებისა და მათ გვერდით უცნაური მხეცების ჩანახატებს აკეთებ-და. ოაზისების ძველთაძველი ბინადრები, ჩვეულებრივ, მსხვილ რქოსან პირუტყვს არ გამოსახავდნენ ხოლმე, თუმცა ჰეროდოტე საპირისპიროს ამტკიცებდა. ისინი ფეხმძიმე ქალ-ღვთაებას ეთაყვანებოდნენ და ამიტომ გამოქვაბულთა კედლებზეც, მეტწი-ლად, სწორედ ორსული ქალების გამოსახულებებია შერჩენილი.

მთელი ორი კვირა ქალაქი საერთოდ არც გახსენებია. თით-ქოს იმ საარვისო მიწაზე დაიარებოდა, რაც რეალურ ქვეყანასა და რუკას შორისაა, სანახავსა და დახაზულს შორის, ბუნებასა და მთხრობელს შორის. სენდფორდმა ამას „გეომორფოლოგია“ და-არქვა. არსებობს ადგილები, სადაც ნებით ვრჩებით, სადაც ყვე-

ლაზე უკეთ შევიგრძნობთ საკუთარ თავს და საერთოდ არ ვფიქრობთ წარმომავლობაზე. აქ ის სრულიად მარტო იყო - მხოლოდ მზის კომპასის, გავლილი მანძილის საზომი ოდომეტრისა და წიგნის ანაბარა დარჩენილი. მშვენივრად იცოდა, რა არის მირაჟი, რა არის ფატა-მორგანა, რადგან თავადვე აერჩია ეს სათავისოდ.

იღვიძებს და ხედავს, რომ თურმე ჰანა ტანს ბანს. გოგოს წელის დონეზე მაგიდის ზედაპირის სიბრტყე მოჩანს. გოგო იქით იხრება, ფაიფურის ჯამიდან პეშვით იღებს წყალს და გულ--მკერდზე აპკურებს. მერე სველ ხელს რამდენჯერმე თმაზე გადაისვამს, და თმაც უფრო მუქად იწყებს ბზინვას. მერე სახეში შეაცქერდება, ნახავს - გაუღვიძიაო და უღიმის.

როცა ხელახლა ახელს თვალებს, წინ ცოცხალი მედოქსი უდგას. დაძაბული, დაღლილი ჩანს, ვენაში ნემსს იკეთებს, ორივე ხელს აშველებს, რადგან ცერა თითები წაჭრილი აქვს.

„ნეტა როგორ ახერხებს?“ - უკვირს.

ამ თვალებს ცნობს, ენით ტუჩების მოლოკვის ეს ჩვევაც ეცნობა და მისი უნარიც, უცებ აუღოს ალღო სხვის ნათქვამს. ორი ბებერი ბრიყვი.

როცა ინგლისელი პაციენტი ლაპარაკს იწყებს, კარავაჯო მის პირში რაღაც მოვარდისფროს ხედავს. ალბათ, ღრძილებიაო, ფიქრობს. ასეთივე ღია-იოდისფრად მოჩანს უვეინატში ნაპოვნი გამოქვაბულის ნახატები. კიდევ ბევრი რამეა გასარკვევი. ბევრი რამ უნდა გამოსძალოს სარეცელზე უძრავად გართხმულ ამ სხეულს, რომელსაც უკვე ცოცხალიც აღარ ეთქმის. მისგან მხოლოდ პირი, ვენა, და მგელივით რუხი თვალები დარჩენილა. არადა, მართლა გაოცებას იწვევს მისი სიმტკიცე, როცა ხან პირველ, ხანაც მესამე პირში ყვება რაღაცებს და ჯერაც არ გამოტეხილა, სინამდვილეში მე ვარ ის ალმაშიო.

- ხომ არ გახსოვთ, ვისი ნათქვამია:

სიკვდილი ისაა, როცა მესამე პირში გადადიხარ?

მთელი ის დღე კვლავაც დარჩენილი მორფის მარაგს ინაწილებენ ერთმანეთში. ინგლისელი პაციენტისაგან ბოლომდე რომ შეიტყოს ყველაფერი, კარავაჯო მთელი გულისყურით ისმენს მის ნებისმიერ სიტყვას. როცა დამწვარ კაცს აზრი ერევა, ან როცა კარავაჯოს ეჩვენება - მოვლენებს შორის კავშირს ვეღარ მივდევ, ვეღარ ვიგებ, სად სასიყვარულო ურთიერთობაა და სად - ეკლესიაში თვითმკვლელობაო, მომინანქრებული ლანგრიდან შპრიცს იღებს, ამპულას თავს ატეხს, და მერე ინგლისელის ვენაში მორფის კიდევ ერთი ულუფა შეყავს. საერთოდ არ ანაღვლებს ჰანას გაფრთხილება - შეიძლება ზედმეტმა დოზამ უბედურება გამოიწვიოსო. ალმაშის მხოლოდ რუხი, უმკლავებო პერანგი აცვია და დამწვარ-დანახშირებული მკლავიც მთლად შავად მოჩანს თეთრ ზეწარზე.

მორფის ყოველი ახალი ულუფა კიდევ ერთ საიდუმლო კარს აღებს: ის ან გამოქვაბულის ნახატებს უბრუნდება, ან ქვიშაში ჩამარხულ თვითმფრინავს დაეძებს, ან იმ თავის ოთახში, ვენტილატორის ქვეშ წევს ქალის გვერდით, მის შიშველ მუცელზე ლოყამიდებული.

კარავაჯო ჰეროდოტეს წიგნს ფურცლავს. თითქოს ქვიშის საუფლოში შეაბიჯებს და საკუთარი თვალით ხედავს გილფ-ქებირს, უვეინატს, ჯებელ-კისუს. როცა ალმაში ლაპარაკს იწყებს, ისიც იქვე, გვერდით უდგას და ცდილობს, მოვლენები ლოგიკურ ჯაჭვად აასხას. არადა, მონათხრობი კომპასის ისრის ხტომას წააგავს. მსმენელიც ხან აღმოსავლეთს აწყდება, ხან დასავლეთს, თითქოსდა ქვიშის ქარბუქით გზააბნეული. ეტყობა, მომთაბარეთა სამყარო მართლაც ასე გამოიყურება - საეჭვო, ძნელად დასაჯერებელი ამბავივით.

უკვე „მოცურავეთა მღვიმეში“, მას მერე, რაც ქალის ქმარმა თვითმფრინავი დაამსხვრია და თავადაც დაიღუპა, მან ქალის პა-

რაშუტი ნაჭრებად დაჭრა, ძირს დააფინა და ფრთხილად დააწვინა ზედ. ქალს სახეზე გაუსაძლისი ტკივილი აღებეჭდა. ფრთხილად გადაუსვა თმაზე ხელი - ნეტა თავი მაინც თუ დაურჩა დაუზიანებელი? მერე - მხრებსა და ფეხებზეც შეეხო.

აქ, ამ მღვიმეში, მითუმეტეს არ სურდა მისი სილამაზის, მისი სინატიფის, მისი მყიფე სინაზის გაქრობა. ახლა დარწმუნებით შეეძლო ეთქვა, მისი არსი საბოლოოდ ამოვიცანიო.

იმ ქალთა რიცხვს განეკუთვნებოდა, თვითგამოხატვისთვის უთუოდ ფერუმარილი რომ უნდა წაესვათ სახეზე. სულ ერთია, წვეულებაზე წასასვლელად ემზადებოდა თუ ლოგინში ჩასაწოლად, ალისფრად იღებავდა ტუჩებს და ქუთუთოებსაც მეწამულისფრად იფერავდა.

კედელზე ნახატებს მიაჩერდა. ერთ-ერთზე შეაჩერა არჩევანი და გადაწყვიტა, ცოტაოდენი საღებავი იქიდან ესესხა. ქალს სახე შეუფერადა და თმაც თითებით ჩამოუვარცხნა. მერე სხეულსაც მიადგა. ის მუხლი, სულ პირველად რომ დაინახა თვითმფრინავიდან ქალის გადმოსვლისას, ახლა ლურჯად ჩამუქებოდა. ბოქვენი. ჰეროდოტე აღწერდა ეგეთ წეს-ჩვეულებებს, როცა მიცვალებულებს აფერადებდნენ ხოლმე და მარადისობისათვის ამზადებდნენ.

აცივდა. ქალს პარაშუტი შემოახვია, ცეცხლი დაანთო და იქაურობის ყველა კუთხე-კუნჭული შებოლა. უცებ მიხვდა - უკვე ვეღარ მიმართავდა ძველებურად პირდაპირ და დაუფარავად, ამიტომ შეეცადა, უფრო საქმიანი კილო მოეშველიებინა. მისი ხმა ბურთივით ისხლიტებოდა მოხატული კედლებიდან: მე გიშველი, ქეთრინ! გესმის ჩემი? შორიახლო კიდევ ერთი თვითმფრინავია, მაგრამ საწვავი არა გვაქვს. თუ სადმე ქარავანს ან ჯიპს გადავეყარე, უფრო მალე დავბრუნდები. ოღონდ წინასწარ ვერაფერს გეტყვი, თუ როდის. ჰეროდოტეს წიგნი ამოიღო ჯიბიდან და გვერდით დაუდო. 1939 წლის სექტემბერი იდგა. მღვიმედან, უკვე

მინავლებული ცეცხლის სინათლის წრიდან გამოსულმა, მთვარით განათებული უდაბნოს სიბნელეში შეაბიჯა.

პლატოს კიდეს მიადგა და იქ შეისვენა.

არც მანქანა, არც თვითმფრინავი, არც კომპასი. მხოლოდ მთვარე და კაცის ჩრდილი. ვინ იცის, როდიდან შემორჩენილი სანიშნე ქვა იპოვა და იმის წყალობით არკვია ელ-თაჯის მიმართულება - იმ ქალაქისკენ, რომლამდეც სამოცდაათი მილი უნდა ევლო. დაიმახსოვრა, რა კუთხით ეფინა საკუთარი ჩრდილი ქვიშაზე და გზას გაუდგა. მხარზე წყლიანი ტიკი ეკიდა, რომელშიც სითხე პლაცენტასავით ტყლაპუნობდა.

დღის განმავლობაში ორჯერ, სიარული შეუძლებელი იყო: ჯერ შუადღისას, როცა თაკარა მზე ჩრდილს საერთოდ აქრობდა, და შებინდებისას - მზის ჩასვლიდან ცაზე ვარსკვლავების გამოჩენამდე. კაცი უდაბნოში აქლემის სიჩქარით გადაადგილდება - საათში ორნახევარ მილზე მეტს ვერ გადის. თუ ბედმა გაუღიმა, ეგებ სირაქლემას კვერცხს მიაგნოს, ხოლო თუ ბედმა ზურგი აქცია, ყველა კვალს სამუმი წაშლის. სამი დღე იარა მშიერმა, თავს უფლებას არ აძლევდა, ქალზე ეფიქრა. აი, ელ-თაჯამდე თუ მიაღწევდა, მაშინ კი უთუოდ მიაძღებოდა აბრას. ამ კერძს გორანის ტომის ხალხი ამზადებდა საუცხოოდ - კოლოქვინთის კურკებს ხარშავდნენ, რათა სიმწარე გამოეცალათ, მერე კი ფინიკთან და კერატთან ერთად ჩანაყავდნენ ხოლმე. საათებისა და თაბაშირის ქუჩაზეც გაივლიდა. „ღმერთმა სულ უხიფათოდ გატაროს!“ - უთხრა მედოქსმა. მშვიდობით. ხელიც დაუქნია. ღმერთი უდაბნოშია. ახლა გულწრფელად უნდოდა ამის აღიარება. უდაბნოს იქით მხოლოდ აღებ-მიცემობა და ძალაუფლებისთვის ძიძგილაობაა. ფული და ომი. ამ სამყაროს ფინანსური და სამხედრო დესპოტები მართავენ.

თვითონაც დანგრეულ ქვეყანაში მიაბიჯებდა ახლა. ქვიშებიდან - კლდეებისკენ. ჯიუტად არ აძლევდა თავს უფლებას, ქალზე

ეფიქრა. მერე უცებ, ქვიშის ზღვიდან შუასაუკუნეებისდროინდელი ციხე-დარბაზებივით მთა-გორები ამოიზარდნენ. იქამდე არ შეუნელებია სვლა, ვიდრე მისი ჩრდილი მთის ჩრდილს არ შეეხალა. მიმოზის ბუჩქები. კოლოქვინთი. კლდეებისკენ პირმიქცეულმა, მთელი ხმით ამოიძახა ქალის სახელი. რამეთუ ექო ხმის სულია, სიცარიელეში ძალმოცემული.

მერე ელ-თაჯსაც მიადგა. თითქმის მთელი გზა ცდილობდა სარკეების ქუჩა წარმოედგინა. შედგა თუ არა ფეხი გარეუბანში, ინგლისელმა სამხედროებმა მოიმწყვდიეს და მერე ჯიპით სადღაც წაიყვანეს. გაგონებაც არ უნდოდათ, რას ეუბნებოდა უვეინატში დატოვებულ, დასახიჩრებულ ქალზე; საერთოდ არ უნდოდათ არაფრის მოსმენა.

- გინდა მითხრა, ინგლისელებმა არ დამიჯერესო?

- არც კი მისმენდნენ.

- რატომ მერე?

- გვარ-სახელი არ ვუთხარი სწორად.

- საკუთარი?

- არა, საკუთარი კი ვუთხარი.

- აბა, ვისი?

- იმისი. ქალის გვარი დავუმალე. ქმრის გვარი არ მითქვამს.

- აბა, რა უთხარი?

ინგლისელი პაციენტი ხმას არ იღებს.

- გამოფხიზლდი! რა თქვი, ბოლო-ბოლო?

- ჩემი ცოლია-მეთქი. იმისი ქმარი ხომ მაინც მკვდარი იყო უკვე. ასე ვუთხარი, დაშავდა და ახლა უვეინატში, გილფ-ქებირის პლატოზე, ერთ-ერთ მღვიმეში წევს-მეთქი. არც წყალი აქვს, არც საჭმელი... წამოგყვებით და გზას გიჩვენებთ-მეთქი. ვთხოვდი, მარტო ჯიპი, ერთი ოხერი ჯიპი მოეცათ. შეიძლება, ამხელა გზა-გამოვლილი, ვინმე უდაბნოში დაყუდებულ, შეშლილ წინასწარმეტყველს ვგავდი, თუმცა რა ვიცი. უკვე ომი მძვინვარებდა და

ისინიც უდაბნოში უფრო ჯაშუშებს დასდევდნენ და დაეძებდნენ. ამ პატარა ქალაქ-ოაზისებში შემთხვევით შემოხეტებულ ყველა უცხოელს ეჭვის თვალით უცქერდნენ. იმ მღვიმემდე სულ სამოცდაათი მილი იყო, არადა კაციშვილი ყურს არ მიგდებდა! ერთი ბეწო, მოწნული საველე საპატიმროები ჰქონდათ, იმაში ჩამაგდეს და სატვირთო მანქანის ძარაზე შემომდეს. იმდენი ვიფართხალე შიგ, სანამ ძირს არ გადმოვვარდი. მთელი ხმით ვღრიალებდი - ქეთრინ-მეთქი... გილფ-ქებირსაც გავიძახოდი, არადა ერთადერთი გვარი უნდა მეთქვა - კლიფტონი. ისე შემაგდეს მანქანაზე, მათ თვალში კიდევ ერთი მეორეხარისხოვანი, სავარაუდო ჯაშუში ვიყავი. ვიღაც უთვისტომო ნაბიჭვარი.

კარავაჯოს ერთი სული აქვს, დაკრას ფეხი და აქაურობას მოშორდეს - ამ ვილასაც, ამ ქვეყანასაც, ამ ომსაც. ის ხომ ერთი უბრალო ქურდია, მხოლოდ ის უნდა, სადაც იქნება, ეს სიქჰი და ჰანა ყავდეს გვერდით; ანდა კიდევ უკეთესი - მისივე ხნის ხალხი სადმე ბარში, სადაც მხოლოდ ნაცნობები იქნებიან, სადაც თავისუფლად გაესაუბრება და ეცეკვება ვინმე ქალს, მხარზე თავს ჩამოადებს... მაგრამ საამისოდ ჯერ მორფის ტყვეობას უნდა დააღწიოს თავი. აუცილებელია, ელ-თაჯის უხილავ გზას მოწყდეს როგორმე. ამ კაცმა, ვინც მისი ღრმა რწმენით, სწორედ ალმაშია და არა სხვა ვინმე, მაგრად მიიბა და მორფის გარეშე არსებობაც წარმოუდგენლად უქცია, რათა თვითონ მისი და წამლის მეშვეობით, საბოლოოდ დაბრუნებოდა საკუთარ სამყაროს, საკუთარ დარდს. ახლა უკვე მართლა აღარა აქვს მნიშვნელობა, ვის მხარეს იყო ომის დროს.

და მაინც, კარავაჯო ერთხელ კიდევ იხრება მწოლიარესკენ.

- რაღაც კიდევ მინდა გკითხო.

- მაინც რა?

- მინდა ვიცოდე, შენ ხომ არ მოკალი ქეთრინ კლიფტონი. უფრო სწორად, ჯეფრი კლიფტონი თუ მოკალი, ამით ხომ ქალსაც გამოუტანე განაჩენი...

- არა, ეგეთ რამეზე ფიქრითაც კი არასოდეს მიფიქრია.

- ამას იმიტომ გეკითხები, რომ ჯეფრი კლიფტონი ბრიტანეთის დაზვერვაზე მუშაობდა. სინამდვილეში, სულაც არ იყო ისეთი მიამიტი ახალგაზრდა კაცი, როგორადაც თავს გაჩვენებდათ, ეგ თქვენი წესიერი და ძაან პატიოსანი ბიჭი. სწორედ მაგას დაავალეს ეგვიპტე-ლიბიის უდაბნოში თქვენი უცნაური ექსპედიციის მეთვალყურეობა. ინგლისელებმა კარგად იცოდნენ, ერთ მშვენიერ დღეს უდაბნოც საომარი მოქმედებების თეატრად იქცევაო. ის იმ თავისი თვითმფრინავიდან იღებდა ფოტოებს და ინგლისელებიც მისმა სიკვდილმა ძალზე შეაფიქრიანა. ეგ კი არა, დღემდე შეშფოთებულები არიან. იმის ცოლთან შენი ურთიერთობის ამბავიც იმთავითვე იცოდნენ, თუმცა თავად კლიფტონი ისე მოკვდა, ამის ეჭვიც არ ჰქონია. დაზვერვაში ეგონათ, მისი დაღუპვა შეგნებულად იყო მოწყობილი, თავდასაცავად - გინდაც ციხესიმაგრის ხიდი აგიწევია. შენ ქაიროში გელოდებოდნენ, თუმცა, ცხადია, ადექი და ისევ უდაბნოში დაბრუნდი. მერე მე იტალიაში მომავლინეს და თვალი ვეღარ მივადევნე, ეგ ამბავი როგორ დამთავრდა. წარმოდგენაც არ მქონდა, რა ბედი გეწია.

- ესე იგი, მე დამეძებდი?

- არა, აქ გოგოს გამო მოვედი. მამამისს ვიცნობდი. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, აქ - ამ სანახევროდ ჩამოქცეულ ვილაზე ლადისლაუს დე ალმაში თუ დამიხვდებოდა. გულწრფელად გეტყვი, შენსავით მართლა არავინ მომწონებია, ვისთანაც კი აქამდე მიმუშავია.

მჯდომარე კარავაჯოს შეცოცებულმა სინათლის მართკუთხედმა ისე მოაქცია ჩარჩოში მისი თავი და მკერდი, ინგლისელ პაციენტს ცოცხალი კაცის სახე ნახატად მოეჩვენა ამ გვიანი სა-

ღამოს მრუმე შუქზე. მისი თმა ეგებ ჯერაც მუქად აღექვა ვინმეს, მაგრამ ახლა ჭაღარა სრულიად აშკარად და მკაფიოდ აჩნდა. სამაგიეროდ, თვალები აღარ ჰქონდა ამოღამებული, თითქოს დაისის მუქ მოვარდისფრო სხივებს გაენათებინა.

სკამი ისე მოაბრუნა, საზურგეს უფრო მოხერხებულად მიყრდნობოდა და თან პირით ალმაშისაკენ დარჩენილიყო. ძნელად პოულობდა საჭირო სიტყვებს; მალიმალ ნიკაპს ისრესდა, შუბლს იჭმუხნიდა, დასაფიქრებლად თვალებს ხუჭავდა და, საკუთარ საფიქრალში ჩაფლული, კანტიკუნტად თუ წამოისროდა რამეს. გრძნობდა, ალმაშისთან ერთად, თავადაც როგორ იძირებოდა ამ ბნელ ამბავში.

- შენთან ლაპარაკი არ მიჭირს, კარავაჯო. მე ხომ ვიცი, რომ ორივე მოკვდავები ვართ; აი, გოგო და ის ბიჭი კი ამას ჯერ ვერც აცნობიერებენ, თუმცა ეგებდა ჩვენზე მეტიც უნახავთ და გამოუვლიათ. პირველად რომ ვნახე, ჰანას რაღაც დიდი სადარდებელი ტანჯავდა.

- მამა დაეღუპა საფრანგეთში.

- ეგ ვიცი, მითხრა. არავისთან შეეძლო ურთიერთობა. მისი ეს სიმარტოვე და გაუცხოება რომ დამეძლია, ვთხოვე - ეგებ წიგნი წამიკითხო-მეთქი. იმაზე დაფიქრებულხარ, მე და შენ, არცერთს შვილები რომ არ გვყავს?

მერე ერთხანს იყუჩა, თითქოს ფიქრობდა, რამდენად სავარაუდო იქნებოდა დადებითი პასუხი და დაეკითხა:

- ცოლი გყავს?

კარავაჯო ვარდისფერ შუქში იჯდა, სახეზე ხელებაფარებული, თითქოს უნდოდა ყველაფერი გადაეშალა და აზრის სიცხადისთვის ამით მიეღწია, თითქოს ეს ახალგაზრდობის კიდევ ერთი საჩუქარი იყო, ბოლო დროს სულ უფრო და უფრო გაიშვიათებული.

- ყველაფერი უნდა მიამბო, კარავაჯო. თუ მე შენთვის მხოლოდ წიგნი ვარ - წაიკითხავ და მოისვრი? თუ - რაღაც წყლის ურჩხული, ტბიდან რომ უნდა ამოიტყუო და მოკლა?

- ომის დროს ჩემნაირ ქურდებს კარგად იყენებდნენ. ჩვენი უნარ-ჩვევები კანონიერად აღიარეს. თავიდან ყველანი უბრალოდ, ვიპარავდით, მერე ზოგ-ზოგებმა გარკვეული რჩევების მიცემაც დავიწყეთ. დაზვერვის ბევრ მოხელეზე უკეთ გაგვეგებოდა, უკეთესად როგორ უნდა შენიღბო ტყუილი. ჩვენ ორმაგ აგენტებს ვამზადებდით. დიდი ჯაფა დაგვადგა, თაღლითებისა თუ ინტელექტუალების ამ ჭრელი ბრბოს გამოსაჯეკად. მაშინ ლამის მთელი შუააღმოსავლეთი მოვიარე და სწორედ იქ გავიგე პირველად თქვენი ექსპედიციის შესახებ. რაღას არ მოგაწერდნენ - თეთრ ლაქასავით იყავით იმათ რუკებზე, ოღონდ არათუ თავისიანად, ან თუნდაც მიუმხრობლებად არ გთვლიდნენ, მტრებადაც კი მიაჩნდით, რაკი ცოდნას მარტო გერმანელებს უზიარებდით.

- ბევრი სისულელე მოხდა იმ 1939 წელს, ელ-თაჯში, როცა დამატყვევეს და ჯაშუშობას მაბრალებდნენ.

- ჰოდა შენც გერმანელების მხარეს გადახვედი...

სიჩუმე ჩამოვარდა.

- უკან, „მოცურავეთა მღვიმეში“ დაბრუნება ვეღარ მოახერხე, არა?

- ვერა. სანამ უდაბნოში ეპლერის მეგზურობა არ ვიკისრე.

- ერთი რამე უნდა გიამბო, რაც 42-ში მოხდა, როცა ეგ საიდუმლო აგენტი ქაირომდე ჩამოიყვანე.

- ოპერაცია „სალამ“...

- კი, ეგრეა. მაშინ რომმელისთვის მუშაობდი უკვე.

- იშვიათი კაცი იყო... აბა, რას მეუბნებოდი?

- პირველ რიგში ის, რომ უდაბნოში ამოდენა გზის გამოვლა და ეპლერის ქაირომდე მშვიდობიანად მიყვანა ნამდვილად გმირულ საქციელად მიმაჩნია. ჯიალოს ოაზისიდან ქაირომდე სწორ

ხაზზეც გვარიანი მანძილია სავალი და იმ დროს მარტო შენ შეგეძლო ასე უხიფათოდ მიგეცილებინა რომმელის ჯაშუში ქაირომდე, იმ თავის „რებეკას“ ასლიანად.

- ეგ საიდანღა იცი?

- კიდე იმის თქმაც მინდა, რომ ქაიროში ჩასულ ეპლერს მაშინვე არ დატაკებიან - მთელი თქვენი მოგზაურობის ამბავი წინდაწინვე იცოდნენ. გერმანელთა შიფრიც კარგა ხნის ამოცნობილი იყო, მაგრამ არ შეიძლებოდა, რომ ეს ამბავი რომმელსაც შეეტყო. მაშინ ჩვენიანების ვინაობასაც დაადგენდნენ. ამიტომაც ვაცალეთ ეპლერს ქაირომდე მიღწევა.

მთელი გზა გითვალთვალებდით. ბრიტანეთის დაზვერვამ შენი ვინაობა უკვე იცოდა, არც კლიფტონებთან შენი ურთიერთობა იყო საიდუმლო და ამიტომ, კიდევ უფრო მეტი ყურადღებით გაკვირდებოდნენ. თან ჩვენც გვჭირდებოდი, თუმცა ბოლოს მაინც მოკვლას გიპირებდნენ. თუ არ გჯერა, რასაც გიყვები, გეტყვი, რომ ჯიალოდან ოცი დღე იარეთ და გეზად მიწისქვეშა ჭების ჯაჭვი აირჩიე. უვეინატს ვერ მიუახლოვდებოდი - იქ მოკავშირეთა ჯარები იდგნენ. ეპლერს უდაბნოს ციება შეეყარა, შენ უწამლე და გადაარჩინე, თუმცა აკი მითხარი იმ დღეს, ძალიანაც არ მეხატებოდა გულზეო.

თვითმფრინავებიდან გულდასმით გაკვირდებოდნენ, თუმცა ხანდახან ვითომ „გკარგავდნენ“ კიდეც თვალთახედვიდან. არც შენ და არც ეპლერი ჯაშუშები არ ყოფილხართ - ჯაშუშები ჩვენ ვიყავით. დაზვერვის სამსახურს ეგონა, შენ მოკალი ჯეფრი კლიფტონი - მისი ცოლის გამო. მის საფლავს 1939-შივე მიაგნეს, თუმცა ქალის კვალიც კი არსად ჩანდა. მტრად მაშინ კი არ იქეცი, როცა გერმანელებს შეეკარი, არამედ როცა ქეთრინ კლიფტონთან გააბი ურთიერთობა.

- გასაგებია.

- 1942-ში, როცა ქაიროდან წამოხვედი, შენი კვალი დავკარგეთ. ინგლისელებს იმედი ჰქონდათ, უდაბნოში მივაგნებთ და იქვე გავუსწორდებითო, მაგრამ ვეღარ გიპოვეს. მთელი ორ დღე-ღამე დაგეძებდნენ, მაგრამ თითქოს ქვიშამ გიყო პირი. ის დამალული ჯიპიც დანაღმეს ჩვენიანებმა. მოგვიანებით, უკვე აფეთქებული ნახეს, აი შენ კი აღარსად ჩანდი. ისე, ალბათ ეს უფრო მაგარი თავგადასავალი იყო, ვიდრე ეპლერის ქაიროში ჩაყვანა. ეტყობა, უკვე ვეღარც იყავი ჭკუაზე. დაუსტვინე.

- შენც ქაიროში იყავი მაშინ და სხვებთან ერთად დამეძებდი?

- არა. უბრალოდ, შენს საქმეს გავეცანი. მე უკვე იტალიაში გამომაგზავნეს. ეგონათ, შენც აქ იქნებოდი გადმობარგებული.

- მართლა მასე ფიქრობდნენ?

- კი.

შუქის მართკუთხედმა უფრო ზემოთ აინაცვლა, კედელზე და კარავაჯოც ბნელში დარჩა. ისევ ჩაუმუქდა თმა. უკან გადაიხარა და მხრით კედელზე დახატულ ფოთოლნარს გაედო.

- მე მგონი, მნიშვნელობაც აღარ აქ ამ ყველაფერს. - ჩაიბურტყუნა ალმაშიმ.

- კიდე გაგიკეთო?

- არა, არ მინდა, ვცდილობ, ყველაფერი, თავის ადგილას დავალაგო. ყოველთვის მარტოსული კაცი მეთქმოდა. ძნელია იმის გააზრება, ამდენი ადამიანი თუ იჩენდა ჩემ მიმართ ყურადღებას.

- იმ ქალთან წამოიწყე სიყვარულობანა, ვინც ასე თუ ისე, დაზვერვასთან იყო დაკავშირებული. დაზვერვის სამსახურშიც რამდენიმე კაცი პირადად გიცნობდა.

- ალბათ, ბაგნოლდი.

- კი, ეგეც.

- ნაღდზე-უნაღდესი ინგლისელი.

- ეგრეა.

კარავაჯო ცოტა ხნით დადუმდა.

- ახლა ერთი იმ ბოლო ღამეზეც უნდა გკითხო. - თქვა მერე.

- ვიცი.

- რა დაემართა ქეთრინ კლიფტონს? რა მოხდა სწორედ ომის დაწყების წინ, რატომ შეიყარეთ ისევ ყველანი გილფ-ქებირში, მას მერე, რაც მედოქსი ინგლისში გაემგზავრა?

კიდევ ერთხელ უნდა ჩავსულიყავი გილფ-ქებირში, რათა უვეინატის პლატოზე ჩვენი ბოლო ბანაკიც ამეშალა. დამთავრდა იქაური ცხოვრება. მეგონა, ჩვენ შორის არც აღარაფერი მოხდებოდა. უკვე წელიწადი იყო, რაც საყვარლები აღარ ვიყავით. სადღაც ევროპაში კი ომი მზადდებოდა, ჯიუტად. ორივე ჩვენ-ჩვენი ჩვევების ზღუდეს და მოჩვენებითი მეგობრული ურთიერთობების ნიღაბს ამოვეფარეთ. უკვე ძალიან იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს.

1939 წლის ზაფხულის მიწურულს, გოფთან ერთად დავგეგმე გილფ-ქებირის მონახულება, ბანაკის ასაშლელად. მერე გოფს იქიდან საბარგოთი უნდა წამოეღო მთელი აღჭურვილობა, მე კი, შეთანხმებისამებრ, კლიფტონი ჩამომაკითხავდა თვითმფრინავით და ის წამომიყვანდა. ამის მერე საერთოდ აღარც ვაპირებდი მათთან შეხვედრას და ჩვენი სასიყვარულო სამკუთხედიც თავისთავად დაიშლებოდა.

როცა თვითმფრინავის გუგუნი შემომესმა და მერე შორიდან გამოჩნდა კიდეც, პლატოს ფერდს ჩამოვუყევი, დასაჯდომი ადგილის მისათითებლად. კლიფტონი, როგორც ყოველთვის, ზუსტად დანიშნულ დროს გამოჩნდა.

თვითმფრინავი ნარნარად ეშვებოდა. მე ლურჯი ბრეზენტის ნაჭერს ვაფრიალებდი, კლიფტონმა სიჩქარე დააგდო და ზედ თავზე გადამიფრინა, თან ისე დაბლა, აკაციის ბუჩქებს ფოთლები დასცვივდა. მერე თვითმფრინავი მარცხნივ დაფერდდა, მოტრიალდა, გასწორდა და პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა. ჩემამდე ორმოცდაათიოდე ნაბიჯში კი, უეცრად, მკვეთრად დაყვინა და

ქვიშის ბორცვს შეასკდა. თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი იქითკენ.

მეგონა, ჯეფრი მარტო იქნებოდა. მარტოც უნდა ყოფილიყო, რათა მერე მე წავეყვანე. მაგრამ როცა კაბინიდან მის გამოსათრევად მივირბინე, გვერდით ქეთრინიც დავინახე. ჯეფრი უკვე მკვდარი იყო. ქალი თვალგაშტერებული მიჩერებოდა რაღაც წერტილს და ტანის ქვედა ნაწილის ამოძრავებას ცდილობდა. ჩატეხილი ფანჯრიდან მუხლებზე ქვიშა დაყროდა. გარეგანი დაზიანება არაფერი ეტყობოდა. დაცემისას მარცხენა ხელი წინ გაეწვდინა - ალბათ, დარყმის ძალის შესამცირებლად. ქეთრინი დამსხვრეული თვითმფრინავიდან გადმოვიყვანე და ატატებული, გამოქვაბულებისაკენ წავიყვანე. „მოცურავეთა მღვიმეს“ მივადექით, სადაც კედლებზე ნახატებია გამოსახული. იმ ღამით ჯეფრი დავმარხე.

ვითომ წყევლად მოვევლინე? მასაც და ქეთრინსაც? მედოქსსაც? იქნებადა ამ უდაბნოსაც, უკვე ომს რომ დაეჩეხა და უბრალო ქვიშასავით დაეთხარა. ბარბაროსები ბარბაროსების წინააღმდეგ აღმდგარიყვნენ. ორივე არმიამ ისე გადაიარა უდაბნო, ვერც კი მიხვდნენ, სინამდვილეში რას წარმოადგენს იგი. ლიბიის ქვიშები. პოლიტიკა გვერდზე გადადეთ და ეს სიტყვები ჩემთვის უტკბესი იქნება ყველა სხვათა შორის. ლიბია. ვნებიანი, გემრიელი სიტყვა, როგორც თავდახურული, წყლით სავსე ჭა. გახსოვთ დიდონა ლიბიის უდაბნოში? თითოეული იქნება... როგორც წყლის ნაკადულები უდაბნოში, როგორც მაღალი კლდისგან დაფენილი ჩრდილი ურწყულ მიწაზე.

არ მჯერა იმის, თითქოს დაწყევლილ მიწაზე დავდგი ფეხი, ან იმთავითვე ბოროტი ვითარებების ხაფანგში მოვხვდი. ჩემთვის უდაბნოში ნებისმიერი აღმოჩენა, ნებისმიერი შეხვედრა ჯილდო და საჩუქარი იყო: კედლის მხატვრობა „მოცურავეთა მღვიმეში“, ჩვენი ექსპედიციების დროს მედოქსთან ორ ხმაში სიმღერაცა და

ქეთრინის უეცარი გამოჩენაც. ისიც, როგორ ვდგებოდი მის წინაშე მუხლებზე, როგორ ვადებდი მუცელზე თავს - მართლა პატარა ბიჭივით. ის ტომიც საჩუქარი იყო, იარაღის საწყობი რომ აღმოაჩნდა და სააქაოს მომაბრუნა. ესეც საჩუქარია, ჩვენი ოთხეულის აქ ყოფნა.

ყველაფერს დავემშვიდობე, რაც კი მიყვარდა, რასაც ფასს ვდებდი.

მის გვერდით დავრჩი. სამი ნეკნი ჰქონდა ჩამტვრეული. ველოდებოდი, საცაა წამწამები შეუკრთება, გადატეხილ მაჯას აამოძრავებს, დადუმებულ ბაგესაც მოწყდება-მეთქი თუნდაც ერთი სიტყვა.

ასე ძალიან რატომ გეჯავრებიო, - მკითხა, - ჩემში თითქმის უკვე ჩაკალი ყველაფერიო. რაღაცის თქმა დავაპირე, მაგრამ არ მაცალა. „გეყო თავის მართლება, ჩამეხუტე. შენი გამოსწორება არ იქნება“. ზუსტად ასე მითხრა.

დაჟინებული მომჩერებოდა და მეც ვერ ვახერხებდი, სადმე გავქცეოდი ამ მზერას. თურმე მე უნდა ვყოფილიყავი უკანასკნელი, ვის სახესაც დაინახავდა. გამოქვაბულის ტურა, ქალს რომ დარაჯობს და იცავს, ერთგულად, ბოლო წუთამდე.

- ასობით ღვთაება არსებობს, ცხოველებთან დაკავშირებული-მეთქი, - ვეუბნებოდი, - მათ შორის ზოგი ტურასთანაც. ვთქვათ - ანუბისი, დუამუტეფი, უპუაუტი. ეს არსებები საიქიო ცხოვრებისკენ მიგვიძღვიან, როგორც მე მიგიძღოდი სულ, უჩინრად, როცა ჯერ კიდევ ერთმანეთს არც ვიცნობდით. შენ პირდაპირ ვიჯექი, როცა ხელში დიდი ფანქარი გეჭირა და გაკვეთილს იზეპირებდი. როცა წვეულებაზე ჯეფრი კლიფტონს შეხვდი პირველად, მაშინაც იქ ვიყავი. პალტოები იატაკზე ეყარა, შენც, ფეხშიშველმა, ყანჩასავით ფრთხილად გადააბიჯე. ის თვალს არ გაცილებდა, ოღონდ მეც ჯიქურ მოგჩერებოდი, თუმცა ვერ მხედავდი, არცკი იმჩნევდი ჩემს არსებობას. იმ ასაკის იყავი,

როცა მხოლოდ ლამაზ კაცებს ამჩნევენ. ჯერ ვერ ხედავდი იმათ, ვინც შენი კეთილგანწყობის სივრცის მიღმა დარჩენილიყვნენ. წიგნებით დაფარულ კედლებთან დგახარ. მარცხენა ხელით მარგალიტის მძივს ათამაშებ ყელზე. მერე ფეხშიშველი მიაბიჯებ, რაღაცას დაეძებ. იმ დროს ცოტა უფრო პუტკუნა იყავი, თუმცა საუნივერსიტეტო ცხოვრებისთვის მაინც საკმარისად ლამაზი.

ოთახში სამნი ვართ, მაგრამ შენ მხოლოდ ჯეფრი კლიფტონს ხედავ. თქვენი სიყვარული ბობოქარი იქნება. სამუშაოდ მაინცადამაინც რაღაც არქეოლოგიურ ჯგუფს ირჩევს, აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილში. ნაგიჟრებთან ერთად მომიწევს საქმიანობაო, გეუბნება. დედაშენი კი სიხარულს ვერ მალავს - აბა რა, ასეთ თავგადასავალზე ვინ იოცნებებდა.

არადა, იქ თქვენთან ერთად მართლა დაძრწოდა ტურის აჩრდილი. ის გზათა გამხსნელი, ვისაც სახელად უპუაუტი, ანდა ალმაში ჰქვია. გულხელდაკრეფილი გიცქერ, როგორ ცდილობ თავაზიანი საუბრის გაბმას, არადა, ცოტა არ იყოს გიჭირს - მანამდე ხომ ორივემ გვარიანად დალიეთ. მაგრამ ყველაზე უცნაური მაინც ისაა, რომ შემთვრალებიც კი, ორივე უეცრად გრძნობთ, როგორ სასიცოცხლოდ გესაჭიროებათ ერთმანეთთან მუდმივი ურთიერთობა. ნებისმიერი თქვენგანი შეიძლებოდა იმ წვეულებაზე ვინმე სხვასთან ერთად მოსულიყო, სხვასთანვე გაეთია ის ღამე, მაგრამ მაინცადამაინც თქვენ გეწერათ ერთმანეთის პოვნა.

ღამის სამ საათზე უცებ ხვდები, წასვლის დროაო, მაგრამ ცალ ფეხსაცმელს ვერსად პოულობ. მეორე, ვარდისფერი, ხელში გიჭირავს. დაკარგულს მე ვპოულობ - იქვე, შორიახლო და იატაკიდან ვიღებ. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ციმციმი. აშკარად შენი საყვარელი ფეხსაცმელია, შენი ტერფის მოხაზულობაშერჩენილი. „გმადლობთ“, - მეუბნები, ფეხსაცმელს მართმევ და ისე მიდიხარ, ზედაც არ მიყურებ.

მე ასე მჯერა: როცა იმას ვხვდებით, ვინც გვიყვარდება, ჩვენს სულში ისტორიკოსი იღვიძებს - ცოტათი პედანტიც, ვინც ამ შეხვედრას წარმოიდგენს ან გაიხსენებს; ზოგჯერ კი ადამიანი ისე ჩაუვლის საკუთარ ბედნიერებას, ვერც კი ამჩნევს ხოლმე. ერთი წლის წინ, კლიფტონი ალბათ მანქანაში ჩაჯდომაში გეხმარებოდა და ეჭვადაც არ ჰქონდა, მისი საბედო თუ იყავი. ოღონდ ეგაა - რომ შეგიყვარდეს, მეორე ადამიანის თავფეხიანად გასათავისებლად შენი სხეულის ყველა ნაწილი უნდა იყოს მზად. სურვილის გასაჩენად ყველა ატომი ერთი მიმართულებით უნდა მოძრაობდეს.

უდაბნოში წლები გავატარე და მსგავსი ამბები საბოლოოდ ვირწმუნე. უდაბნო ის ადგილია წარსულსა და აწმყოს შორის, სადაც წყალი და დრო ერთნაირად გამჭვირვალეა, გვერდით კი ტურა გყავს, რომელიც ცალი თვალით გარდასულს გასცქერის, მეორეთი კი - ჯერაც გასავლელ გზას. კბილებს შორის წარსულის ნაკუწები ჩარჩენია, ნამცეც-ნამცეც გილაგებს წინ და როცა ერთიანი სურათი ლაგდება, აღმოჩნდება, რომ ყველაფერი უკვე გცოდნია.

ყველაფრით დაღლილი თვალებით მიცქერდა. თვითმფრინავიდან რომ გადმომყავდა, ცდილობდა მიმხვდარიყო, რაც დაემართა. ახლა კი მისი მზერა შიგნით მიმართულიყო, თითქოს საკუთარ არსებაში იცავდა და დარაჯობდა რაღაცას. მივუახლოვდი და მის გვერდით ჩავცუცქდი. წავიხარე, ენა ლურჯ ქუთუთოზე გადავუსვი და მლაშე გემო ვიგრძენი. ვითომ, ცრემლის? მერე უკვე ტუჩებზეც შევეხე ენით, მერე - მეორე ქუთუთოზე. ლურჯი საღებავი ავულოკე და მისი კანის ხაო შევიგრძენი. როცა გავეცალე, მზერაში რაღაც თეთრი გაუკრთა. ბაგე გავუხსენი და თითებით კბილი კბილს მოვაშორებინე. ენა გადაყლაპვოდა და ძლივს ამოვუწიე, მაგრამ ძალზე გვიანი იყო - უკვე ეგრძნო სიკვდილის სუნთქვა და შევეცადე, ენით ენაზე შევხებოდი - როგორც ადრე,

ბევრჯერ, სიყვარულობისას. ოღონდ ამჯერად არაფერი მომხდარა. წელში გავიმართე, ხარბად ჩავისუნთქე ჰაერი და იგივე გავიმეორე. როცა მეორედ შევეხე ენაზე, ვიგრძენი, ოდნავ როგორ შეთრთოლდა.

და აი, უკანასკნელი ამოსუნთქვაც ამოაყოლა, ხმაურით ამოუშვა ფილტვებში დაგუბებული ჰაერი; ისე გააჟრჟოლა მთელი ტანით, თითქოს დენი გაუტარესო. მოხატული კედლისკენ გადაქანდა. სიკვდილის სული უკვე ჩაბუდებოდა და ამ ბოლო ამონასუნთქით დამემშვიდობა კიდეც. მღვიმეში კიდევ უფრო ჩამობნელდა. თავი უკან გადაუვარდა.

ეშმაკეულ ხრიკებს კარგად ვიცნობ. ბავშვობაშივე ავითვისე. ხშირად მიამბობდნენ მომხიბვლელ, მაცდურ ქალზე, მამაკაცის საძინებელში რომ გამოჩნდება ხოლმე დაუპატიჟებლად და თუკი კაცმა იცის, ასეთ დროს როგორ მოიქცეს, უთუოდ მოსთხოვს, ზურგი მაჩვენეო, რადგან ალქაჯებსა და დემონებს ზურგი არა აქვთ - მარტო ის, რისი თქვენთვის დანახვებაც სურთ. არა, მაინც რა ჩავიდინე? რა მხეცი ჩავაბუდე მასში? მე მგონი, საათზე მეტ ხანს ველაპარაკე. ვითომ, მართლა მისი ავსული-საყვარელი ვიყავი? ან მედოქსისთვის დემონი-მეგობარი გამოვდექი? ავსულად ხომ არ ვექეცი იმ ქვეყანას, როცა რუკაზე გადავიტანე და ომის ასპარეზად ვაქციე?

მთავარია, წმინდა ადგილას ამოგხდეს სული. ამასაც უდაბნოში ხვდები. ამიტომაც მიაშურა მედოქსმა ეკლესიას - ადგილს, რომელსაც მისი აზრით, უწინდელი სიწმინდე აღარ შერჩენოდა და ის ქმედება ჩაიდინა, რაც, მისივე ღრმა რწმენით, სწორედაც რომ წმინდა მსხვერპლი გახლდათ.

როცა ცხედარი გადმოვაბრუნე, დავინახე, რომ მთელი სხეული პიგმენტური ლაქებით დაფარვოდა. ბალახი, ქვები, შუქი და აკაციის რტოების ნახშირი მჭირდებოდა, უკვდავად რომ მექცია. თვალებზე ის სილურჯე გადღაბნოდა. უსახელოდ ქცეული-

ყო, სუფთა ფურცლად, იმ რუკის დასახატად, რომელზეც ჯერ არაფერი ჩანდა - არც ტბები, არც მაღალი მთები, არც მარაოსავით გაშლილი ნილოსი, ალექსანდრიას რომ მოუქცევია გაშლილ მტევანში, აფრიკის კიდეზე. არც იმ მომთაბარე ტომთა სახელები, უდაბნოს ერთფეროვნებას რომ შერწყმოდნენ და მხედველობიდან არ ეპარებოდათ არანაირი სიკაშკაშე. მათთვის ნებისმიერი ნივთი თუ საგანი - ძვალი იქნებოდა ეს თუ კონსერვის ქილა, სალოცავი ხატი ხდებოდა. ესაა იმ ქვეყნის სიდიადე, რომელსაც ახლა ჩემი შეყვარებული ერწყმოდა, რომლის ნაწილიც ხდებოდა ნელი-ნელ. ჩვენ ვკვდებით და თან მიგვაქვს შეყვარებულთა გრძნობები, ტომთა თვისებები, ენაზე ნაგრძნობი გემო, ჩანახუტები სხეულების სითბო, სიბრძნის მდინარის წყალი, ნორჩი ხელებით ნაზარდი ხასიათები და შიშები, რომელთაც ნამდვილ თუ წარმოსახულ გამოქვაბულებში ვემალებოდით. როცა მოვკვდები, მინდა ეს ყველაფერი ჩემს სხეულზე გამოისახოს; მჯერა ამგვარი კარტოგრაფიის, თავად ბუნების ხელით შესრულებულის.

ქეთრინ კლიფტონი უდაბნოში გამოვიყვანე, სადაც მთვარის შუქის წიგნი იწერება. ირგვლივ ჭორიკანა ჭების ჩურჩული ისმოდა. აქ, ქარების სასახლეში.

ალმაშის თავი მარცხნივ გადაუვარდა. არაფერს უცქერდა - მხოლოდ კარავაჯოს მუხლებს თუ ჰკიდა თვალი, შემთხვევით.

- კიდევ გაგიკეთო მორფი?

- არა.

- გინდა რამე?

- არაფერი.

X

აგვისტო

ბინდ-ბუნდში კარავაჯო კიბეს დაუყვა და სამზარეულოში შეაბიჯა. მაგიდაზე ჯერაც მიწიანი რამდენიმე თავი თალგამი და პრასი ელაგა. ჰანა ქურასთან საქმიანობდა - ცეცხლის დანთებას ცდილობდა და მისი შესვლა არც გაუგონია. ვილაზე გატარებულ-მა დრომ კაცს გვარიანად გაუნელა დაძაბულობა, მოდუნდა და ეტყობა ამის გამოც, უფრო ძვალმსხვილი, ზანტი და ტლანქი ჩან-და. თითქოს შენელებულად მოძრაობდა, თითქოს რაღაცნაირად ძილმორეული დაიარებოდა. ოღონდ მაინც უწინდებურად უხ-მაუროდ. უხერხულობა იგრძნო, ასე ჩუმად რომ წაადგა ჰანას თავზე და შეგნებულად ხმაურით გამოსწია სკამი - ასე მიახვედრა, ოთახში მარტო აღარ ხარო.

- გამარჯობა, დეივიდ.

ქურის ცეცხლით თვალმოჭრილმა, ისე მოიჩრდილა სახე, თითქოს მზემ შეუჭყიტინაო. ეტყობა, საკმაოზე დიდხანს დაჰყო უდაბნოში ინგლისელ პაციენტთან ერთად.

- როგორაა?

- დაიძინა. თქვა სათქმელი და გაითიშა.

- გამართლდა შენი ეჭვები?

- ჯიგარი ბიჭია. შევეშვათ, იცოცხლოს.

- მეც ეგრე არ ვფიქრობდი? მე და ხამსა დარწმუნებულები ვართ, ნამდვილად ინგლისელია. ხამსა ამბობს, საერთოდ, ყვე-ლაზე კარგი და ჭკვიანი ხალხი ცოტა უცნაურობით გამოირჩევაო. ექსცენტრიკულები არიანო. თურმე ერთ ეგეთთან უმუშავია კი-დეც.

- უცნაურობები არც თავად აკლია. ისე, სადაა ახლა?

- ტერასაზეა, რაღაცას მიმზადებს დაბადების დღისთვის. ოღონდ არ უნდა, რომ წინასწარ მითხრას.

ჰანა ქურას გამოეცალა, ხელები წინსაფარზე შეიწმინდა.

- დაბადების დღისთვის ერთი პატარა ამბავი უნდა გიამბო. - უთხრა კარავაჯომ.

ჰანა დაიძაბა.

- ოღონდ იცოდე, პატრიკზე არაფერი მითხრა.

- ცოტა მასზეც იქნება, მეტი წილი კი - შენზე.

- ჯერაც არ შემიძლია იმაზე ლაპარაკი, დეივიდ.

- როცა მამები ამქვეყნიდან მიდიან, ამაში არაფერია არაბუნებრივი. ჩვენ ისინი მაინც ძველებურად გვიყვარს, როგორც ვახერხებთ, როგორც შეგვიძლია. როგორც არ უნდა ეცადო, გულიდან მაინც ვერ ამოიგლეჯ და ვერც მის ხსოვნას ჩაიმარხავ სადღაც სულის სიღრმეში.

- მოდი, მორფი რომ გამოგინელდება, მერე დავილაპარაკოთ.

მიუახლოვდა, ხელები მხრებზე ჩამოაწყო. ფეხის წვერებზე შედგა და ლოყაზე აკოცა.

კარავაჯომ ღონივრად ჩაიხუტა - ისე მაგრად, მისმა ჯაგარმა კანიც კი დაუშაშრა გოგოს სახეზე. ახლა ეს ყველაფერი მოსწონდა კიდეც. ადრე ხომ ეს კაცი მეტისმეტად დიდ ყურადღებას უთმობდა საკუთარ გარეგნობას. პატრიკი ხშირად დასცინოდა მის საგულდაგულოდ, ზუსტად შუაზე გაყოფილ თმას. კოხტაპრუწას ეძახდა. ადრე, ჰანას თანდასწრებით, კარავაჯო ბერძენი ღმერთკაცივით გოროზად დაიარებოდა და თითქოს სრულიად მიუწვდომელი ჩანდა, ახლა კი - გაუპარსავი, ცოტათი მოსუქებული, ჭაღარა და მოკლედ თმაგადაკრეჭილი, ბევრად უფრო მიწიერი და ახლობელი ეჩვენებოდა.

იმ საღამოს ვახშამი ხამსამ მოამზადა. კარავაჯოს ეს ამბავი გულზე არ ეხატებოდა. ერთ ჯერზე საკმაოდ დიდი ხარჯი გამოს-

დიოდათ სამი ადამიანისთვის. ხამსამ სადღაც ბოსტნეული იშოვა და წყალწყალა წვნიანი მოათუხთუხა. ეს ის კერძი არ იყო, რაც კარავაჯოს იმ დღეს ეამებოდა, რაკი თითქმის მთელი დღე პაციენტის გვერდით გაეტარებინა, მისი აღსარება ესმინა. სამზარეულოს ბაკანქვეშ მომცრო კარადის კარი გამოაღო. იქ ნოტიო ნაჭერში გამოხვეული, დამარილებული ხორცის ნაჭერი ეგულებოდა. ცოტა ჩამოაჭრა და ეს ჩამონაჭერი ჯიბეში ჩაიდო.

- რომ იცოდე, შემიძლია მორფის კეთებას გადაგაჩვიო. სხვათა შორის, არცთუ ურიგო მედდა ვარ.

- ირგვლივ სულ გიჟები გახვევია...

- ყველანი გიჟები არ ვართ?!

როცა ხამსამ დაუძახა, სამზარეულოდან ტერასაზე გავიდნენ და ნახეს, რომ ქვის დაბალი, მრგვალი მოაჯირი ანთებული სანთლებით იყო გაწყობილი. კარავაჯოს მაშინვე ეკლესია გაახსენდა და გაიფიქრა - სამლოცველოდან სანთლების დათრევა მაინც დიდი თავხედობაა, ჰანას დაბადების დღის მიუხედავადაცო. სახეზე ხელებაფარებული ჰანა აუჩქარებლად, უხმაუროდ მიაბიჯებდა ქვის იატაკზე. ოდნავი სიოც არ იძროდა. კაბის ქვეშ ისე აუდ-ჩაუდიოდა თეძოები და წვივები, როგორც მარჩხ წყალში მოსიარულეს.

- საცა კი მიწის თხრა დავიწყე, ყველგან გამომშრალ ნიჟარებს ვაწყდებოდი ხოლმე. - თქვა მესანგრემ.

თავიდან ვერ მოუხვდნენ - იფიქრეს კიდეც, ალბათ ისევ ნაღმებზე თუ ლაპარაკობსო, მაგრამ მერე კარავაჯო სინათლეებისკენ რომ წაიხარა, თავისდა გასაკვირად აღმოაჩინა, სანთლები კი არ დაენთო, ლოკოკინას ნიჟარებში ზეთი ჩაესხა და იმისთვის წაეკიდებინა ცეცხლი. ასე, ორმოციოდე ცალი მაინც იქნებოდა.

- ორმოცდახუთია! - დააზუსტა ხამსამ. - ამ საუკუნეში გასული წლების რაოდენობის მიხედვით. ჩემს სამშობლოში წესად

გვაქვს, დაბადების დღეზე არამარტო ადამიანის ასაკი აღვნიშნოთ, არამედ მიმდინარე საუკუნის ხნოვანებაც.

ჰანაც აუყვა სინათლეების რიგს, ხელები ჯიბეებში ეწყო, რაც ხამსას მასში განსაკუთრებით მოსწონდა. ისე მშვიდად დაიარებოდა, ისე მოშვებული და გამსუბუქებული, თითქოს ამ საღამოს ხელები უკვე არც სჭირდებოდა.

კარავაჯომ მზერა მაგიდაზე გადაიტანა და იქ სამი ბოთლი წითელი ღვინის დანახვამ, ცოტა არ იყოს, გააკვირვა. მიუახლოვდა, იარლიყებს დააკვირდა და მოწონების ნიშნად თავი დააკანტურა. მშვენიერი ღვინო შეერჩია ხამსას, თუმცა კარავაჯომ ისიც იცოდა, თავად ბიჭი წვეთსაც რომ არ გაეკარებოდა. საცობები უკვე დაეძრო - ვინ იცის, სიქჰს ბიბლიოთეკაში ეტიკეტის თაობაზე რამე წიგნისთვისაც მიეგნო და გადაეწყვიტა, ზედმიწევნით დაეცვა დასავლური სუფრის წესი და რიგი. მერე კარავაჯომ სიმინდის ტაროები, ხორცი და კარტოფილიც დაინახა. ჰანამ ხამსას ხელი ჩაჰკიდა და მასთან ერთად მიუახლოვდა მაგიდას.

ჭამდნენ და სვამდნენ, ღვინის მოულოდნელი სიბლანტე და ხორცის გემო საამოდ უღიზიანებდათ მადას. მერე უკვე სადღეგრძელოებიც წამოიწყეს - ჯერ „მომარაგების დიდოსტატი“ მესანგრე ადღეგრძელეს, მერე - ინგლისელი პაციენტიც. როცა ერთმანეთის დღეგრძელობაზეც მიდგა საქმე, კარავაჯოს და ჰანას პატივსაცემად ახალგაზრდა სიქჰმაც ასწია წყლიანი ჭიქა. მაშინ იყო სწორედ, თავისი ამბის მოყოლა რომ დაიწყო. გულწრფელობისკენ კარავაჯომ უბიძგა, არადა დროდადრო საერთოდ არც უგდებდა ყურს, ადგილიდანაც ხშირ-ხშირად წამოდგებოდა და ყველაფრით კმაყოფილი მაგიდას გარს უვლიდა. გულით ეწადა, ეს ორნი დაქორწინებულიყვნენ. უნდოდა კიდეც, მათთვის ეს ეთქვა, მაგრამ როგორც ჩანს, ურთიერთობა უკვე ამათთვის მისაღებად ჩამოყალიბებულიყო და კარავაჯო ვეღარაფერში ჩაერეოდა - იმის მიუხედავად, ცოტა უცნაურადაც რომ ეჩვენებოდა მათი ამ-

გვარი სიყვარული. ან რას იზამდა? ვერც ვერაფერს. ისევ მაგიდას მიუჯდა. ახლა ხან ერთ, ხან მეორე ნიჟარაში ქრებოდა შუქი, მეტი და მეტი ზეთის ჩამატება ხდებოდა საჭირო, რაკი საწვავი ძალზე სწრაფად იწვოდა. ამ საქმეს ხამსა ართმევდა თავს, დაუზარლად.

- შუაღამემდე უნდა ენთოს.

უკვე სადღაც ძალიან შორს გადანაცვლებულ ომზეც ჩამოაგდეს სიტყვა.

- როცა იაპონიასთანაც გაასწორებენ ანგარიშს, ბოლოს და ბოლოს ყველა თავ-თავის სახლს დაუბრუნდება. - თქვა ხამსამ.

- შენ თვითონ რას აპირებ? - ჰკითხა კარავაჯომ.

ბიჭმა რაღაც ორაზროვნად გადააქნია თავი და გაიღიმა. მაშინ კარავაჯო ალაპარაკდა, მეტწილად სწორედ მას მიმართავდა.

ძაღლი გაუბედავად მიუახლოვდა მაგიდას და თავი კარავაჯოს ჩაუდო კალთაში. სიქჰი ისე სთხოვდა, კიდევ და კიდევ მომიყევი რამე ტორონტოზეო, თითქოს საოცრებათა ქალაქზე იყო საუბარი. ალბათ მართლა საოცრებად ესახებოდა თოვლში ჩაფლული ქალაქი, ერთიანად გაყინული ყურე - ზაფხულობით ბორანებით რომ ისერებოდა, სადაც ადამიანები გემბანზე მუსიკას ცოცხლად უსმენდნენ. მაგრამ ყველაზე მეტად მთელ ამ მონათხრობში მაინც ის ხიბლავდა, როგორ ახერხებდა ჰანას ჭეშმარიტი სახის დანახვას, მისი იდუმალი ხასიათის ამოცნობას. თავად ჰანაც გაფაციცებული უსმენდა კარავაჯოს და წარამარა აწყვეტინებდა, თუკი ის გოგოს ცხოვრების რაღაც ისეთ შემთხვევებზე ჩამოაგდებდა სიტყვას, რაზე ლაპარაკიც ჰანას ზედმეტად მიაჩნდა. უნდოდა, ხამსას ისეთი სცნობოდა, როგორიც ახლა იყო - ეგებ უფრო გამოცდილი, ან - უფრო გულისხმიერი, ან - მეტად მკაცრი, ან უფრო გიჟმაჟი, ვიდრე ის პატარა გოგო თუ მოწიფული ქალიშვილი, როგორიც ერთ დროს გახლდათ. მისი ცხოვრების ქვაკუთხედებად დედამისი ელისი, მამა პატრიკი, დედინაცვალი კლარა და კარავაჯო რჩებოდნენ. თითოეულ მათგანზე უკვე ელაპარაკა

ხამსასთან, თითქოს ისინი მისი პირადობის დამადასტურებელი საბუთები თუ მისი მზითევი ყოფილიყვნენ. არცერთ მათგანს არ ჰქონდა არანაირი ზადი და არცერთი არ ექვემდებარებოდა განჩხრეკა-განხილვას.

მათ სახელებს ისე იყენებდა, როგორც აღიარებულ ავტორიტეტთა წიგნიდან ამოკითხულ უეჭველ სიბრძნეს.

ახლა კი უკვე ცოტა შემთვრალი კარავაჯო ისევ იმ ამბავს ყვებოდა, რაც ადრე ამ ჭერქვეშ უკვე ეხსენებინა ერთხელ: როგორ მღეროდა ჰანა „მარსელიეზას“.

- ეგ სიმღერა მეც მომისმენია. - თქვა ხამსამ და შეეცადა, რამდენიმე ტაეპი წაეღიღინა.

- არა, ეგრე არა. - თქვა ჰანამ და მაგიდაზე შეხტა. მის ფეხებთან ახლა ოთხი ცალი ნიჟარაღა ბჟუტავდა.

- ეხლა მომისმინე. აი, როგორ უნდა იმღერო. თან პირადად შენ გეძღვნება, რომ იცოდე.

გოგომ ჯიბეებიდან ხელები ამოიღო და ამღერდა. მისი ხმა ნიჟარებში ჩანავლებულ გამონაშუქს გასცდა, ინგლისელი პაციენტის ოთახის ფანჯრიდან გამომავალი შუქის ოთხკუთხედს ჩაუქროლა, კვიპაროსების თავებს მიელამუნა და ღამეული ცის სიბნელეს შეერწყა.

ხამსას ეს სიმღერა სამხედრო ბანაკებში მოესმინა, როცა მას ჯგუფ-ჯგუფად მღეროდნენ ჯარისკაცები საგანგებო შემთხვევებში - მაგალითად, სახელდახელოდ გამართული საფეხბურთო მატჩის დაწყების წინ. სიმღერა ომის წლებში კარავაჯოსაც არაერთხელ გაეგონა, თუმცა დიდად არ მოსწონდა - უფრო სწორად, შესრულება არ მიაჩნდა სათანადოდ. მას ხომ ხსოვნაში სამუდამოდ ჩარჩენოდა ის საღამო, როცა მრავალი წლის წინ „მარსელიეზას“ ჰანა მღეროდა. ახლაც სიამოვნებისაგან გაიბადრა, რაკი იგივე შესრულება ესმოდა. ერთი ეგაა, ჰანა ამჯერად ცოტა სხვანაირად მღეროდა: უკვე აღარ იგრძნობოდა 16 წლის გოგო-

ნას გზნება, თუმცა ის სხივები გამოსჭვიოდა, სუფრის გარშემო შემორტყმულ ბნელს რომ არღვევდა. სიმღერა თითქოს ერთიანად დაიარებულიყო, თითქოს თავადვე დაკარგვოდა იმის იმედი, რაზეც იმთავითვე იმღერებოდა. მასში იმ ხუთი წლის ყველა გამოცდილება შენივთებულიყო, 1945 წლის ამ საღამოს რომ უძღოდა წინ - სწორედ იმ თარიღს, როცა ჰანას 21 წელი შეუსრულდა. ეს უკვე ამ გამოცდილებით დაღლილ-დამძიმებული ეული ყარიბის ხმა იყო. ახალი აღთქმა. აღარსად ჩანდა თავდაჯერება, მაგრამ ეს მარტოსული ხმა მაინც არ ეპუებოდა ძალაუფლების აჩრდილებს. ირგვლივ ყველაფერი გაცამტვერდა, მხოლოდ ეს ხმაღა დარჩა. ლოკოკინების ნიჟარებში მოციმციმე ალის სიმღერა. კარავაჯო მიხვდა, ჰანა ინდოელი ბიჭის გულისნადებს ახმიანებდა.

ღამღამობით კარავში ზოგჯერ კრინტსაც არ ძრავდნენ, ზოგჯერ კი ლაპარაკში დაათენდებოდათ ხოლმე. არასდროს იცოდნენ, რა გამოვიდოდა სამზეოზე, სრული სიშიშვლით ვისი წარსული ამოტივტივდებოდა ხსოვნიდან; ხანაც თითოეული თავ-თავის სიბნელეში შეიყუჟებოდა - მხოლოდ თავისი მოგონებების ამარა. გრძნობდა გოგოს სხეულის სიახლოვეს, მისი ჩურჩული ჩაესმოდა, როცა ასე, გასაბერ ბალიშზე თავმიდებულები იწვნენ. ხამსამ დაიჟინა - მაინცადამაინც ამ დასავლური გამოგონებით ესარგებლათ. ძალიან იყო მოხიბლული და არასოდეს დაზარებია, ყოველ დილით მისი ხელახლა ჩაჩუტვა და სამად დაკეცვა. ლამის ჩვევადაც კი ექცა ეს წესი, სანამ მთელ იტალიას გადაივლიდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

ახლაც კარავში წვანან. ბიჭს გოგოს მკერდზე უდევს თავი. ერთიანად დუნდება, როცა ჰანა ნელ-ნელა დაატარებს თითებს მის კანზე, ან როცა ტუჩებს ტუჩებზე მიაწებებენ და ჰანა მუცელზე უთათუნებს ხელს.

თან უმღერის, ანდა სულაც თავისთვის ღიღინებს რაღაცას. ბნელ კარავში ეს ახალგაზრდა კაცი ნახევრად ფრინველი ჰგონია

- მისი სხეული ასაფრენად გამზადებულის სიმსუბუქეს იძენს, მაჯაზე კი ლითონის სამაჯური გაუელვებს ხოლმე: ნიშანდადებული, მაგრამ მაინც თავისუფალი ფრთოსანია. სიბნელეში ხამსა მთვარეულივით მოძრაობს - არა ისე, როგორც დღისით, როცა მისი მზერა მაშინვე ამჩნევს ირგვლივ ყოველივე შემთხვევითსა და წარმავალს. თითქოს მზის სხივის ათინათი დახტოდეს აქეთ--იქით.

აი ღამით კი მთლად დაშტერდება ხოლმე და როცა მის თვალებს ვერ ხედავს, ჰანაც ალალბედზე მოქმედებს. უნდა, რომ გაუგოს, მიხვდეს - რას ფიქრობს და რას განიცდის, ლამობს, კანქვეშ ჩაუძვრეს და სხეულის ყველა ნაწილიც თვალნათლივ დაუნახოს - მისი გულიცა და ნეკნებიც. მან ხომ ყველა სხვაზე უკეთესად იგრძნო მისი დარდი. ახლა გოგოსთვისაც უკვე ნაცნობია ის უცნაური სიყვარული, რასაც ხამსა მუდამ შარში გახვეული თავისი უფროსი ძმის მიმართ განიცდის. ხეტიალის ჟინი სისხლში აქვსო, - უთხრა ერთხელ, ადრე; ამიტომაც უჭირს ასე საკნის ოთხკედელში და იქიდან თავის დასაღწევად თვითმკვლელობისთვისაც მზადააო.

ღამეული საუბრების დროს ერთად დაეხეტებიან ხუთი მდინარის მისეულ მხარეში - სათლეჯი, ჯელამი, რავი, ჩინაბი, ბიასი... მერე დიდ გურდვარაშიც შეყავს, ფეხსაცმელს ხდის, თვალს არ აშორებს, როგორ იბანს გოგო ტერფებს და თავსაც საბურველით იბურავს. ის შენობა, სადაც ერთად შეაბიჯეს, 1601 წელს აგებული ტაძარია, მერე, 1757-ში შერყვნილი და მაშინვე ხელახლა აშენებული. 1830 წელს კი უკვე ოქროთი და მარმარილოთი გაწყობილი.

- სისხამ დილით თუ მიგიყვან, წყლის ზედაპირზე ჯერაც ნისლი იწვება და ვერაფერს დაინახავ. მერე ჯანღი იფანტება და ტაძარიც სამზეოზე გამოდის. შენი ყურით მოისმენ წმინდანებისთვის აღვლენილ ხოტბა-დიდებას. რამანანდას, ნანაკსა და კაბირს უგა-

ლობენ. მგალობლები ტაძრის შუაგულში დგანან, გესმის მათი ხმა, ათასგვარი ხილის სურნელს ისუნთქავ. ირგვლივ ხომ სულ ბროწეულისა და ფორთოხლის ბაღებია. ტაძარი ყველასთვის ხელმისაწვდომი ერთი თავშესაფარია ცხოვრების ამ ორომტრიალში; ხომალდი, რომელმაც უმეცრების ოკეანე გადმოცურა.

ეზოს გადაივლიან და ვერცხლის კარიბჭით საკურთხეველში შედიან, სადაც სტავრის ქსოვილის ჩარდახქვეშ, სიქჰთა წმინდა წიგნი - „გურუ გრანტჰ საჰიბი“ ინახება. მგალობლები ამ წიგნის ტექსტებს იმღერიან, მუსიკოსები საკრავთა ხმას აყოლებენ, მღერა დილის ოთხიდან საღამოს თერთმეტ საათამდე გრძელდება. წიგნს ალალბედზე შლიან, რომელიმე სტრიქონს ირჩევენ ამოსავალად და მერე სამი საათი - ვიდრე ნისლი გაიფანტება და ოქროს ტაძარი გამოჩნდება - მგალობელთა ხმები ტალღა-ტალღა ირევა განუწყვეტელი კითხვის ხმებში.

ხამსას გოგო ახლა უფრო შორს, ტბორისკენ მიყავს, სადაც უზარმაზარვარჯიანი ხის გვერდით აკლდამა მოჩანს - ბაბა გუჯჰაჯის, ამ ტაძრის პირველი ქურუმის განსასვენებელი. ცრურწმენათა ხე კი 450 წელს მოითვლის უკვე.

- დედაჩემიც მიდიოდა იქ, ტოტზე ჭინჭს შეაბამდა ხოლმე და ხეს ვაჟიშვილს შესთხოვდა. მერე, როცა ჩემი ძმა დაიბადა, კიდევ ერთხელ მიადგა და ახლა მეორე ვაჟზე სთხოვა კურთხევა. მთელი პენჯაბი წმინდა ხეებითაა მოფენილი და სასწაულმოქმედი მდინარეებით დასერილი.

ჰანა ჩუმად უსმენს. ხამსა ხვდება, შვილისა და რწმენის დაკარგვის მერე რა უკუნეთ წყვდიადს დაუსადგურებია მის არსებაში. ყოველთვის ცდილობს, იმ თავისი დარდის საუფლოდან გამოიტყუოს: შვილის დამკარგავი, მამის დამკარგავი.

- მეც დამეღუპა ერთი ახლობელი ადამიანი, ვისაც მამაში არ გამოვარჩევდი. - უთხრა ერთხელ ჰანას.

მაგრამ ჰანამ ისიც იცის, რომ ახლა მის გვერდით მყოფი ეს კაცი ერთ-ერთია იმ მონუსხულთაგან, ვინც სულ სხვა სამყაროში აღიზარდა და ამიტომ, არც რწმენის აღდგენა გაუჭირდება და არც იმ დანაკლისის ანაზღაურება, რაზეც ლაპარაკობს. არსებობს იმ ყაიდის ხალხი, ვისაც უსამართლობა ანადგურებს და არიან ისეთებიც, ვინც ნებისმიერ ვითარებაში ახერხებს შინაგანი სიმტკიცის შენარჩუნებას. თუკი ჰკითხავს, მაინც როგორ ცხოვრობო, ის უთუოდ გიპასუხებს: ყველაფერი კარგადააო, არადა ძმა პატიმრობაში ეტანჯება, მეგობრები დაეღუპნენ, თავად კი ყოველდღე ყოფნა-არყოფნის ბეწვის ხიდზე დაიარება.

არადა, ასეთი ხალხის ბუნებრივი სიკეთე თან საოცარი უსამართლობითაც გახლდათ დაღდასმული: შეიძლებოდა ხამსას მთელი დღე სადმე ორმოში გაეტარებინა - იმ ნაღმის გასაუვნებლად, ყოველ წამს რომ შეიძლებოდა აფეთქებულიყო, შეიძლება მეგობარიც დაესაფლავებინა საკუთარი ხელით, მაგრამ რა გამოცდაც არ უნდა მოეწყო მისთვის ცხოვრებას, სინათლესა და გამოსავალს ყოველთვის ხედავდა. აი, ჰანას კი თითქოს იმედის თვალი დაბრმავებოდა, მომავალში ვერაფერს ჭვრეტდა საიმედოს. ხამსას ბედი ათასგვარ გზას სთავაზობდა - ამრიტსარის ტაძარშიც ყველა რჯულისა და ფენის ხალხს ერთნაირი ხელგაშლილობით ხვდებოდნენ და ყველანი ერთ მაგიდას უსხდნენ გვერდიგვერდ. ჰანასთვისაც მიეცათ ეგებ იატაკზე დაფენილ ფარდაგზე ფულისა თუ ყვავილის დადების ნება და მერე, გაუთავებელი მღერა-გალობისთვის ხმის აყოლებაც არ დაეშალათ.

თვითონ ამაზე მხოლოდ იოცნებებდა. მისი ჭეშმარიტი ბუნება, მისი შინაგანი არსი ხომ დარდთან გახლდათ წილნაყარი. ხამსა, ცხადია, არ დაუშლიდა მისივე ხასიათის ცამეტი ჭიშკრიდან ნებისმიერში შებიჯებას, მაგრამ ჰანამ ისიც იცოდა, რომ საფრთხის გაჩენის შემთხვევაში, დახმარებისთვის მას არასოდეს მიმართავდა - უბრალოდ, ირგვლივ რაღაც აკრძალულ სივრცეს შეიქ-

მნიდა და იქ შეღწევას ყველას, მათ შორის ჰანასაც სასტიკად აუკრძალავდა, ასეთი გაეჩინა ღმერთს. როგორც თავადვე ამბობდა, სიქჰებს ტექნიკაში გარკვევის უჩვეულო ნიჭი გამოარჩევდათ. ერთგვარი იდუმალი სიახლოვე - ეგ კი არა, ერთგვარი სისუსტეც კი გვახასიათებს მანქანა-მექანიზმების მიმართო.

შეიძლებოდა სხვების გვერდით საათები ეტარებინა და თან სადღაც, თვალუწვდენელ შორეთში ჩაკარგულიყო - რიტმული მუსიკისთვის მიყურადებულს იმ თავისი რადიომიმღებიდან, რომელიც თითქოს გაუმტარ ჩაფხუტად მოერგო. ჰანას არ სჯეროდა, თუკი ხამსა ბოლომდე გულის გადაშლის ნებას დართავდა და სიცოცხლის ბოლომდე სიყვარულის უფლებას მისცემდა. ის ხომ იმ სამყაროს სიჩქარით მოძრაობდა, რაც დანაკარგის ანაზღაურების საშუალებას მუდამ მისცემდა. ასეთი იყო მისი ბუნება, მისი ხასიათი, მისი ხვედრი და ვის შეეძლო ამის გამო საყვედური ეთქვა? ხამსა ყოველ დილით კარვიდან მხარზე აბგამოგდებული გამოდიოდა და ვილა სან-ჯირილამოდან სადღაც, თავის საქმეებზე მიეშურებოდა. ჰანაც ყოველ დილით ხედავდა, ხედავდა, როგორ უხაროდა ცხოვრება, როგორ შეჰხაროდა სამყაროს - ვინ იცის, ეგებ უკანასკნელადაც კი. კარვიდან გამოსული ბიჭი, როგორც წესი, ერთს ახედავდა ხოლმე ჭურვებით დაზიანებულ კვიპაროსებს. ალბათ ასევე ჩაუვლიდა ხოლმე მათ პლინიუსიც, ან სტენდალი - რადგან მისი „პარმის სავანის“ მოქმედებაც სწორედ ამ მიდამოში ვითარდება.

ახლაც ხამსა მაღალი, ნაიარევი ხეების თაღს ასცქეროდა. მის წინ შუასაუკუნეებისდროინდელი გზა იკლაკნებოდა, რომელზეც ისტორიკოსი ან მწერალი, ასტროლოგი ან ბერი კი არ მიაბიჯებდა, არამედ ახალგაზრდა კაცი, ვისი საქმიანობაც ალბათ ყველაზე უცნაური გახლდათ, რაც კი ამ საუკუნეში კაცობრიობას გამოეგონა. გამნაღმველი, ანუ - სამხედრო ინჟინერი, რომელსაც ჯერ უნდა ეპოვა ნაღმი და მერე გაეუვნებელეყო კიდეც ნაპოვნი.

ყოველ დილით, ხალისიანი გამოდიოდა კარვიდან, ხელ-პირს იბანდა, ტანსაცმელს იქვე, ბაღში მოიწესრიგებდა და მერე ისე მიდიოდა ვილიდან, შიგ არც შეივლიდა, მხოლოდ შორიდან თუ დაუქნევდა ხელს ჰანას, თუკი თვალს მოჰკრავდა, რადგან სიტყვებს ხომ გეზიდან განზე მიყავხარ, ფიქრს გირევენ, გიშლიან - ერთიანად შეერწყა იმ მექანიზმს, რომლის საიდუმლოც უცილობლად უნდა ამოხსნა. მერე უკვე სადღაც, სახლიდან ორმოციოდე ნაბიჯის იქით საქმიანობდა, რათა ახლა სხვა ბილიკი ექცია სავალად უსაფრთხოდ.

ასეთ დროს არავინ და არაფერი აღარ ახსოვს: ციხესიმაგრეში შემავალი ასაწევი ხიდი ისევ ღრჭიალით იკეცება მას მერე, რაც რაინდი ზედ გადაივლის და ახლა, მთელი გარესამყაროს პირისპირ მარტოდმარტო შთენილი, იმ საქმიანობას ეწევა, რაც არც შეცდომის და არც თუნდაც წამიერი მოდუნების უფლებას არ აძლევს. სიენაში ჰანამ ერთი ფრესკა ნახა, რომელზეც შუასაკუნეების ქალაქი იყო გამოსახული. ქალაქის ზღუდიდან რამდენიმე სანტიმეტრში საღებავი ჩამოცვენილიყო - ასე რომ ხელოვნებასაც კი ვერ მოეხერხებინა მიმდებარე ბაღებისა და მინდვრების უსაფრთხოების დანარჩუნება ქალაქიდან გამოსული ყარიბისათვის. გრძნობს, სწორედ ასე გადის ხამსას ცხოვრების დღეები: ყოველ დილით ის კედელზე დახატული სცენიდან ჩამოინაცვლებს და ქაოსში შეაბიჯებს ხოლმე. რაინდი. იარაღასხმული წმინდანი. ჯერ ისევ ხედავს, როგორ კრთება ხეებშორის მისი ხაკისფერი შარვალ-ხალათი. ინგლისელმა ხამსას fato profugus - ბედისწერისაგან დევნილი შეარქვა. ჰანა ხვდება, რაოდენ გახარებული და ბედნიერია ბიჭი იმით, თითოეული დღე თავაწეულს, ხეთა კენწეროებს მიჩერებულს რომ შეუძლია დაიწყოს.

1943 წლის ოქტომბრის დამდეგს მთელ იტალიაში სამხედრო-საინჟინრო ნაწილებიდან საუკეთესო სპეციალისტები შეარჩიეს და თვითმფრინავით ნეაპოლში გადაიყვანეს. ხამსა

ერთ-ერთი იყო იმ ოცდაათთაგან, ვინც ამ ქალაქ-ხაფანგში მოხვდა.

იტალიური კამპანიის დროს გერმანელთა უკანდახევა ყველაზე ღირსშესანიშნავი და შემზარავი გახლდათ ომების მთელი ისტორიის მანძილზე. მოკავშირეთა შეტევა, რაც ყველა გეგმის თანახმად, ერთ თვეში უნდა მომთავრებულიყო, მთელი წელი გაგრძელდა. მათი გზა აფეთქებების ცეცხლით იყო გადაბუგული. ჯარის ნაწილების წინსვლის დროს გამნაღმველები მანქანების კაპოტებზე ისხდნენ და ყურადღებით დასცქეროდნენ მიწის ზედაპირს - ნებისმიერი უსწორმასწორობის ანდა ნიადაგის გაფხვიერების აღმოსაჩენად, რაც დამალულ ნაღმზე მიანიშნებდა. წინსვლა უჩვეულოდ გაჭიანურდა. თითოეული მეომარი მხარე თითქოს თავს ვალდებულად თვლიდა, ყველგან ყველაფერი დაენაღმა. ჩრდილოეთის მთიანეთში კომუნისტ-- გარიბალდელთა პარტიზანული ნაწილები, რომელთა გამოსარჩევი ნიშანიც წითელი ყელსახვევები იყო, ასევე სადენების აბლაბუდაში ხვევდნენ ყველა გზასა და ბილიკს და ნაღმებიც სწორედ მაშინ ფეთქდებოდა, როცა შორიახლო გერმანული სატვირთო მანქანები ჩაივლიდნენ ხოლმე.

ძნელი წარმოსადგენია, რა გაქანებას მიაღწია ამგვარმა „ნაღმებით ომმა“ იტალიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. ასე მაგალითად, კისმაიოსა და აფმადოუს გზათა შესაყარზე 260 ნაღმი იქნა ნაპოვნი; მდინარე ომოზე გადებული ხიდის შორიახლო - 300. 1941 წლის 30 ივნისს, სამხრეთაფრიკელმა მესანგრეებმა მერსა-მატრუჰის მისადგომებთან 2700 ნაღმი ჩააწყვეს, ხოლო ოთხი თვის შემდეგ, იმავე მიდამოში, ბრიტანელმა მესანგრეებმა 7800 ნაღმისაგან გაწმინდეს იქაურობა და ეს ნაღმები მერე სხვადასხვა ადგილებში გადაანაწილეს - ხელმეორედ გამოსაყენებლად.

ნაღმებს რისგან აღარ ამზადებდნენ. 40 სანტიმეტრიან, მოთუთიებულ მილებში ასაფეთქებელ ნივთიერებას დებდნენ და მერე გზებზე ისეთ ადგილებში ათავსებდნენ, სადაც სამხედრო ტექნიკას შეიძლებოდა გაევლო. სახლებში ნაღმებს ავეჯის უჯრებშიც კი მალავდნენ. ნაღმებს ჯართის ნარჩენებითა და ლურსმნებითაც ტენიდნენ.

კიდევ უარესი ხდებოდა ქალაქებში. სახელდახელოდ გაწვრთნილი ქვედანაყოფები ნაჩქარევად გადაისროლეს გემებით ქაიროდან და ალექსანდრიიდან; XVIII დივიზიამ იმით გაითქვა სახელი, რომ 1941 წლის ოქტომბერში, სამი კვირის მანძილზე დიდი ფეთქებადი ძალის 1403 ყუმბარის გაუვნებელყოფა მოახერხა. იტალიაში ბევრად მძიმედ იყო საქმე, აფრიკასთან შედარებით. საათის მექანიზმზე აწყობილ ამფეთქებლებს თავს და ბოლოს ვერ უგებდნენ, ზამბარიანი მექანიზმებიც ძალზე განსხვავდებოდა იმათგან, რასაც მანამდე გერმანელები აწარმოებდნენ და რაც მოკავშირეების გამნაღმველებს მეტ-ნაკლებ უკვე შეესწავლათ. როცა გამნაღმველთა ნაწილები ქალაქებში შედიოდნენ, ისინი იმ ქუჩებს მიუყვებოდნენ, სადაც ხეებზე თუ აივნებზე გვამები ეკიდა: გერმანელები ხომ საპასუხოდ, ყოველ ერთ მოკლულ გერმანელზე ათ იტალიელს სჯიდნენ სიკვდილით. არადა, ზოგიერთი ეს გვამიც დანაღმული იყო და იმ ადამიანების განადგურებას ითვალისწინებდა, ვინც კი ჩამოსახსნელად ხელს გამოიღებდა.

გერმანელებმა ნეაპოლი 1943 წლის 1 ოქტომბერს დატოვეს. ერთი თვით ადრე, მოკავშირეთა შეტევების დროს, ასობით იქაური მცხოვრები ქალაქგარეთ, გამოქვაბულებში გაიხიზნა. უკან დახევისას, გერმანელებმა გამოქვაბულების შესასვლელები დაბომბეს და ეს ხალხი მიწისქვეშეთში ჩატოვეს. ყურეშიც კი ყველა დარჩენილი ორჩხომელი თუ პაწია ნავი დანაღმეს.

და აი, ამ ქალაქ-ხაფანგში 30 მესანგრე ჩავიდა. საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში კედლები შენელებული მოქმედების ნაღმებით იყო გაძეძგილი. საეჭვო ჩანდა ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებაც. გამნაღმველები ეჭვის თვალით უცქერდნენ ნებისმიერ ნივთსა და საგანს ამა თუ იმ ოთახში. რა უნდა ყოფილიყო გაშლილ-დალაგებული მაგიდაზე, მათ ცდუნებისთვის ვერ გაეძლოთ და შეუმოწმებლად ეხლოთ ხელი! ნეაპოლი კიდევ ექვსი თვე რჩებოდა სამხედრო მოქმედებების ზონად და ხამსამაც მთელი ეს დრო იქ გაატარა. გამოქვაბულებში ჩარჩენილებს ორი კვირის მერეღა მიაგნეს: ადამიანებს ჭუჭყისა და ტიფისაგან სახეებზე ერთიანად შავი ფერი ედოთ. როცა მწკრივში ჩამდგარნი, ლაზარეთისკენ მილასლასებდნენ, მართლა აჩრდილთა მსვლელობას მოაგონებდნენ კაცს.

ოთხი დღის შემდეგ ფოსტის სათაო შენობა აფეთქდა. 72 ადამიანი დაიჭრა და დაიღუპა. ქალაქის არქივში ცეცხლმა გაანადგურა შუასაუკუნეების ქრონიკების ევროპაში უდიდესი კოლექცია.

20 ოქტომბერს, სამი დღით ადრე, ვიდრე აღდგენილ ელექტროსადგურს აამუშავებდნენ, მოკავშირეებს ნებაყოფლობით ჩაბარდა მავანი გერმანელი ოფიცერი, ვინც თქვა - პორტის შორიახლო ათასი ცალი ბომბია გამზადებული, რომლებიც ჯერ კიდევ დენმიუწოდებელ ელექტრონულ სისტემასთანაა მიერთებულიო. ძაბვის ჩართვის შემთხვევაში, მთელი ქალაქი ჰაერში ავიდოდა. ვინ იცის, რამდენჯერ დაკითხეს - ხან ასე და ხან ისე, მაგრამ საპასუხისმგებლო თანამდებობის ხალხს ბოლომდე მაინც არ სჯეროდა გერმანელის ჩვენების უტყუარობა. თუმცა ამასობაში ქალაქიდან მშვიდობიანი მოსახლეობა მაინც გახიზნეს - ნაშიმშილები ბავშვები და მოხუცები, ფეხმძიმე ქალები, შინაური ცხოველები, დაჭრილი ჯარისკაცები, საგიჟეთის პაციენტები, ბე-

რები და მონაზვნები. 1943 წლის 22 ოქტომბერს, შებინდებისას, ქალაქში მხოლოდ 12 მესანგრეღა რჩებოდა.

დენი მომდევნო დღის 3 საათზე უნდა ჩაერთოთ. გამნაღმველთაგან ადრე არცერთს არ ჰქონია შემთხვევა, ასე ერთიანად გამოცარიელებულ ქალაქში დარჩენილიყო და ეს მათ ცხოვრებაში ყველაზე უცნაური და სანერვიულო გამოცდა აღმოჩნდა.

საღამოობით ტოსკანას ელვა-ქუხილი გადაუვლის ხოლმე. მეხი შეიძლება ნებისმიერი შენობის სახურავს დაეცეს ან ნებისმიერ ლითონის საგანს, რაც კი მიწის ზედაპირს ასცილებია. ჩვეულებრივ, ხამსა შვიდი საათისთვის ბრუნდება ვილაზე, იმ ყვითელი გზით, აქეთ-იქიდან კვიპაროსები რომ ჩარიგებია. სწორედ ამ დროს იწყება ხოლმე ჭექა-ქუხილიც (თუკი საერთოდ იწყება). ასეთია შუასაუკუნეებისდროინდელი გამოცდილება.

ეტყობა, მოსწონს ამგვარი, დროით ნაცადი ჩვეულებები, რომელთა მიჩვევაც სულაც არაა ძნელი. ჰანა და კარავაჯო ჯერ კიდევ შორიდან ამჩნევენ, როცა მცირე ხნით ჩერდება, დაბლობს გახედავს იმის შესამოწმებლად, მოუსწრებს თუ არა გზაში თქეში. მერე შინ შედიან. ხამსა სვლას განაგრძობს, ხრეშიან აღმართს მიუყვება, ხრაშა-ხრუშით. ჯერ აუჩქარებლად გაუხვევს მარჯვნივ, მერე ისევ დინჯად - მარცხნივ. ზურგში უკვე ქარი აწვება, კვიპაროსებსაც ეძალება და ღონივრად არხევს, თან ცდილობს, პერანგის სახელოებშიც შეუძვრეს.

მომდევნო ათი წუთი მიალაჯებს და არც იმედი აქვს, მშრალი გადავრჩებიო. წვიმის ხმაურს მანამდე გაიგონებს, ვიდრე სხეულზე სისველეს იგრძნობდეს - ჯერ წვეთების დაცემის ხმა მოესმება გამხმარ ბალახსა და ზეთისხილის ფოთლებზე. იქამდე კი ჯერ მხოლოდ მაცოცხლებელი ქარი უბერავს მთებიდან, ავდრის მაუწყებელი.

თუ იქამდე დაუშვა, ვიდრე ვილამდე მიაღწევდეს, მაინც არ აუჩქარებს ფეხს, უბრალოდ - თავზე იმ თავის განუყრელ აბგას დაიფარებს.

უკვე საკუთარ კარავშია, როცა პირველი გრგვინვა ესმის. თავს ზემოთ რაღაც მჭახედ გაიტკაცუნებს, მერე ფორნის ბორ-ბლების დგანდგარივით ხმა თანდათან მთებისკენ გადაინაცვლებს. უცებ კარვის კედელზე ელვის ათინათი გაკრთება მზის გამონაშუქივით. ეგებ უფრო კაშკაშა და თვალისმომჭრელიც. სველ ჩალმას იხსნის, თავს იმშრალებს და სხვა ჩალმას იხვევს.

გრიგალი პიემონტის მხრიდან უბერავს, სამხრეთისა და აღმოსავლეთისაკენ. ელვა იმ პატარა, მთებში შეყუჟული სამლოცველოების წოწოლა სახურავებთან გაიკლაკნება, რომელთა კედლებზეც გოლგოთას გზაზე შემდგარი ქრისტეს ფრესკები ნათდება ხოლმე ჟამიჟამ. 1600-იან წლებში პაწია ქალაქების - ვარეზესა და ვარალოს კედლებზე გამოკვეთილ ბიბლიურ პერსონაჟთა ფიგურები წამით ცოცხლდებიან. ტანჯული მაცხოვრის სხეულზე მათრახი ეშვება, სადღაც ძაღლი ყეფს. სხვა სამლოცველოში სამ რომაელ ლეგიონერს ჯვარცმა ზემოთ, საავდრო ღრუბლებისკენ აღუმართავს.

არც ვილა სან-ჯიროლამოსთვისაა უცხო ელვის გამონათება. მრუმე დერეფნები, ინგლისელი პაციენტის ოთახი, სამზარეულო, სადაც ჰანა ცეცხლს ანთებს, ყუმბარით ჩანგრეული სამლოცველო - უცებ ეს ყველაფერი კაშკაშა შუქით ნათდება და ჩრდილებსაც არ ტოვებს. ხამსა თავდაჯერებული მიაბიჯებს ბაღში, ხეებქვეშ. მეხის დაცემის საფრთხე სასაცილომდე მცირეა იმასთან შედარებით, რაც ყოველ ცისმარე დღეს ემუქრება. ეკლესიებში მის მიერ ნანახი გულუბრყვილო, მიამიტი კათოლიკური გამოსახულებანი ჯერაც მასთან არიან ამ ბინდბუნდში, როცა გულში ჩუმად ითვლის წამებს - გაელვებასა და დაქუხებას შორის. ვინ იცის, ეგებ ეს ვილაც ელვით განათებულ ნახატს ჰგავს, ოღონდ ეს მარ-

თლაც ცოცხალი სურათია: ოთხი ადამიანი, თავიანთი ცხოვრების გზის სულ სხვადასხვა მონაკვეთზე მყოფი, ბედის ჭირვეულობით ერთ ჭერქვეშ მოხვედრილან და ერთნაირად სისულელედ, სრულ უაზრობად მიაჩნიათ ომის მთელი ეს დავიდარაბა.

ნეაპოლში დარჩენილ 12 მესანგრეს ქალაქის თავიდან ბოლომდე შემოწმება დაევალა. მთელი ღამე ჩარაზულ თუ ღიად დატოვებულ სარდაფებში დაძვრებოდნენ, საკანალიზაციო ორმოებში ჩადიოდნენ - იმ სადენების საპოვნელად, სავარაუდოდ, მთავარ გენერატორებთან რომ შეიძლებოდა ყოფილიყო მიერთებული. თორმეტივეს ორი საათისთვის უნდა მოემთავრებინა თავისი საქმე და იქიდან მანამ წამოსულიყო, ვიდრე ზუსტად 3 საათზე დენს ჩართავდნენ. ჯერჯერობით, მთელი ქალაქი მათ განკარგულებაში რჩებოდა. თითოეულს თავისი უბანი ებარა. ერთი გენერატორთან ამოწმებდა ყველაფერს, მეორე - წყალსაცავთან, ჯებირის მიდამოებში ეძებდა სადენებს. ექსპერტები თითქმის შეთანხმდნენ იმაზე, თუ რა მძიმე შედეგებს მოიტანდა ჯებირის აფეთქებისაგან მოწეული წყალდიდობა. სიჩუმე შემზარავი იყო და, ძალაუნებურად, სიმშვიდესაც გაკარგვინებდა. ცოცხალი სამყარო მხოლოდ უპატრონოდ დარჩენილი ძაღლების ყეფითა და ზოგიერთი ფანჯრიდან გამომავალი ჩიტის ჭიკჭიკით ეხმიანებოდათ. თავის დროზე, ხამსაც აპირებდა ერთ-ერთ ასეთ ოთახში შესულიყო, მთელ ამ გაუხშოებულ სივრცეში რაღაც სულიერისთვის მაინც შეევლო თვალი. ახლა არქეოლოგიურ მუზეუმთან მიაბიჯებდა, სადაც პომპეისა და ჰერკულანუმის მონარჩენები ინახებოდა. ამ მუზეუმში გაქვავებულ, თეთრ, ვულკანურ ფერფლში ჩაკირული ძაღლიც ეხილა.

მარცხენა წინამხარზე სანათი ემაგრა, ჩართული, და იმისი შუქი ერთადერთი იყო მთელ სტრადა კარბონარაზე. ღამეულმა ძიებებმა არაქათი გამოაცალა, თუმცა ბევრიც აღარ დარჩა საკეთებელი. თითოეულ მესანგრეს რადიოფონი აქვს, ოღონდ შე-

თანხმდნენ, მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში ესარგებლათ ამ ხელსაწყოთი. ყველაზე მეტად ხამსას გამოცარიელებული ეზოების მდუმარება თრგუნავს. და კიდევ - დადუმებული, დამშრალი შადრევნები. ნაშუადღევს, პირველ საათზე სან-ჯოვანის ეკლესიისაკენ მიემართება. რამდენიმე დღის წინ, როცა ჩაბნელებულ ქალაქს დროდადრო ელვის ჩახჩახა შუქი ანათებდა, მაშინაც ამ ეკლესიას შეაფარა თავი და იქაური ვეება ფიგურები ლამის ცოცხლად მოეჩვენა.

ეკლესიის კუთხისკენ მიდის, იმ გამომწვარი თიხის ფიგურებისკენ, რომელთაც სახეზე თეთრკანიანი ადამიანის ფერი ადევთ. სცენა ქალისა და ანგელოზის საუბარს ასახავს საძინებელში. ცისფერი თავსაბურავიდან ქალს მუქი კულულები მოუჩანს, მარცხენა ხელის თითები მკერდზე, ლამის ზედ ყელთან მიუდია. უფრო მიახლოებული ხამსა ხვდება, რომ ეს ფიგურები ადამიანის ზომას საგრძნობლად აღემატება. თვითონ თავით მხოლოდ მხრებამდე წვდება საწოლზე ჩამომჯდარ ქალს. ანგელოზის ზეაღმართული ხელი ლამის თხუთმეტი ფუტია სიგრძეში და მაინც, ხამსა თითქოს თავისიანებში, თავისნაირებში მოხვედრილა. ეს ცოცხალი სივრცეა და ისიც თან მიდი-მოდის და თან საუბარს უბამს ამ საოცარ არსებებს, ადამიანურისა და ზეციურის იგავს რომ განასახიერებენ.

აბგას იძრობს და საწოლს მიაჩერდება. სიამოვნებით წამოწვებოდა მხართეძოზე, მაგრამ ეგაა, ანგელოზისა ერიდება. უკვე შემოუარა ირგვლივ ციურ მაცნეს და მის ზურგზე, მუქ ფრთებქვეშ, პაწია დამტვერილი ნათურებიც შეამჩნია. საწოლსქვემოდან სამი წყვილი ფლოსტი იჭყიტება. ამ სცენის ავტორს ესეც არ დავიწყებია ჩანაფიქრის განხორციელებისას. ორს ოცი წუთი აკლია.

ჯარისკაცულ ლაბადა-მოსასხამს ძირს აფენს, აბგას ბალიშივით იდებს თავქვეშ და ქვის იატაკზე წვება. ბავშვობაში, ლაჰორ-

ში ცხოვრებისას, თავის ციცქნა საძინებელ ოთახში მუდამ იატაკ-ზე დაფენილ ნოხზე იძინებდა. სიმართლე ითქვას, აქ, დასავლეთ-შიც ვერ მიეჩვია საწოლში ძილს. ჩალის ლეიბი და გასაბერი ბა-ლიში - აი, მისი საკადრისი ქვეშაგები სან-ჯიროლამოს ვილაზე. ინგლისში კი, ლორდ საფოლკთან სტუმრობისას, ლამის სული ეხუთებოდა რბილ, ფუმფულა ლეიბებში ჩაფლულს და თვალზე რული არ ეკარებოდა მანამ, სანამ ლოგინიდან გამომძვრალი, ისევ იატაკზე, ხალიჩაზე არ მოიკალათებდა.

ვეება საწოლის გასწვრივ იწვართება მთელი ტანით. ფლოს-ტებიც უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე ნებისმიერ ადამიანს შეიძლე-ბა მოერგოს. ასეთებს ალბათ ქალაბიჭა ამორძალები თუ იცვამ-დნენ. მის თავსზემოთ ქალს გაუწვდენია მარჯვენა ხელი, ფეხებ-სზემოთ კი - ანგელოზს. მალე რომელიმე გამნაღმველი ქალაქის ქსელში დენს გაუშვებს და თუ კირპალ სინგჰს აფეთქება უწერია, საიქიოში მარტო კი არ მოხვდება, არამედ ამ ქალთან და ანგე-ლოზთან ერთად. უკვე არაფრის შეცვლა აღარ შეიძლება. მთელი ღამე დაეძებდა დინამიტიან ყუთებსა და ამფეთქებლის საათის მექანიზმებს. ან ამ კედლების ნანგრევები ჩაიყოლებს, ანდა - უკ-ვე შუქით გაჩახჩახებული ქალაქის ქუჩებში ივლის. ასეა თუ ისე, ეს ორი მშვენიერი ფიგურა მაინც ხომ იპოვა - სიყვარულით ნა-ძერწი, მისთვისაც ახლობელი. მათ უტყვ, უხმო საუბარს მიყურა-დებულს, ახლა შეუძლია მცირე ხნით მაინც მოეშვას და დაისვე-ნოს.

თავქვეშ ხელებამოდებულმა, ანგელოზის სახეზე ისეთი სიმ-კაცრე შეამჩნია, რისთვისაც ადრე ყურადღება არ მიუქცევია. ეტ-ყობა, მის ხელში თეთრმა ყვავილმა შეაცდინა. სინამდვილეში, ეს ანგელოზიც მეომარია. ამის გაფიქრებაზე, ხამსამ თვალები და-ხუჭა და ძილს მისცა თავი.

იატაკზე გართხმულს სძინავს, სახეზე ნეტარი ღიმილი დასთა-მაშებს, თითქოს საბოლოოდ ირწმუნა - შემიძლია თავს ამ ფუფუ-

ნების ნება მივცეო. მარცხენა ხელის მტევანი ქვის იატაკზე უდევს, მისი ჩალმის ფერი ღვთისმშობლის თეთრი მაქმანიანი საყელოს ფერს ეხამება.

წმინდა ქალწულის ფერხთით ერთი ტანმორჩილი, ინგლისურ სამხედრო ფორმიანი ინდოელი ბიჭი წევს, ზუსტად სამი წყვილი ფლოსტის შორიახლო. თითქოს აქ დრო გაჩერებულა. ყველას მოსახერხებელი პოზა შეურჩევია საიმისოდ, საერთოდ აღარ იფიქროს დროზე. ასე დაგვიმახსოვრებენ სხვები, მშვიდად მომღიმარებს, როცა გარემომცველი სინამდვილისადმი სრული ნდობით ვართ გამსჭვალულნი. ორი ფიგურა, რომელთა ფერხთითაც ხამსა მოკალათებულა, თითქოს მის ბედზე მსჯელობს. ტერაკოტის ხელი თითქოს სამარადისოდ აკურთხებს და ბავშვივით ტკბილად მძინარე ამ უცხოელს დიდ მომავალს პირდება. სამივე მათგანი ლამის მზადაა, სრულ თანხმობასა და ერთსულოვნებას მიაღწიონ.

მტვრის თხელი ფენის ქვეშ ანგელოზის სახე უკიდეგანო სიხარულს ასხივებს. ზურგზე ექვსი ნათურა აქვს მიმაგრებული, რომელთაგან ორი, კარგა ხანია, აღარ ინთება. ოღონდ, ამის მიუხედავად, სასწაული მაინც ხდება და ახლა, უეცრად მოვარდნილი დენი ფრთებს უნათებს - თან ისე, რომ წითელი, ლურჯი და ოქროსფერი ერთად აკიაფდება ამ ბინდბუნდში.

სადაც არ უნდა იმყოფებოდეს ახლა ჰანა, მაინც განუწყვეტლივ გრძნობს, რომ მომავალში ხამსა უთუოდ წავა მისი ცხოვრებიდან. ერთთავად ამაზე ფიქრობს. გზა, რითაც ის მისგან მიდის, მაშინ დაიწყო, როცა მათ შორის მოხვედრილი ხამსა მდუმარე ლოდად იქცა. ჰანას კარგად ახსოვს აგვისტოს იმ დღის ყველა წვრილმანი. როგორი იყო მაშინ ცა, როგორ გამოიყურებოდა მაგიდაზე დალაგებული საგნები, როგორ იგრაგნებოდა საავდრო ღრუბლები.

ჰანა მინდორში ხედავს ბიჭს: აი, თავზე ხელები შემოუჭდია, თუმცა ტკივილისაგან კი არა, უბრალოდ, უნდა რომ უფრო მაგრად მიიჭიროს ყურებზე ყურსაცვამები. მისგან ასიოდე ნაბიჯის მოშორებითაა, ქვემოთ, და აი, უკვე მისი ხამამაღალი ყვირილიც ესმის. პირველად, ისევე როგორც დანარჩენ იქაურ მობინადრეებსაც. აქამდე ხომ არასოდეს მიუცია თავისთვის ნება, თუნდაც ოდნავ აეწა ხმისთვის ნებისმიერ მათგანთან საუბრისას. მერე ჩაიმუხლებს, თითქოს გახსნილი ზონრის შესაკრავად; ცოტა ხანს ასეა, მერე ნელ-ნელა წამოიმართება და აცაბაცა ნაბიჯით მიემართება თავისი კარვისკენ, შიგნით შედის და კარვის კალთას დაბლა უშვებს. ისმის ქუხილის მშრალი ხმა და ჰანა ამჩნევს, როგორ ედება ჩრდილი მის ხელის მტევნებსა და წინამხარს.

ხამსა კარვიდან ავტომატმომარჯვებული გამოდის. ჯიქურ მიაბიჯებს ვილა სან-ჯიროლამოსაკენ; კიბეზე აირბენს აქოშინებული და ბრაგაბრუგით გაუყვება დერეფანს. ჰანა სამზარეულოში, მაგიდასთან ზის. წინ გადაშლილი წიგნი და ფანქარი უდევს. თითქოს ყველაფერი გაქვავებულა და ჩაშავებულა საავდროდ მოქუფრულ შუქზე.

ხამსა ინგლისელი პაციენტის ოთახში შედის და მის საწოლთან ჩერდება.

- მესანგრეს გაუმარჯოს! - ესალმება მწოლიარე.

ბიჭს ხელში ავტომატი მოუმარჯვია და ღვედი მოხრილ მკლავზე დაუხვევია.

- რა იყო, რა ხდებოდა გარეთ?

ხამსა საყვედურიანი თვალებით შესცქერის, თან თითქოს სამყაროს გამიჯვნიაო; შავტუხა სახეზე ცრემლი სდის. მერე შეტრიალდება და ერთ ჯერს ძველ შადრევანს მიუშვებს. თაბაშირის მტვერი საწოლამდე უწევს. ახლა უკვე ინგლისელისთვის დაუმიზნებია ავტომატი. ცახცახი იტანს. და ეტყობა, ნებისყოფის დაძაბვის ხარჯზე როგორ ცდილობს, ამ ცახცახს მოერიოს.

- დაუშვი იარაღი, ძმაო!

ის კიდე ზურგით კედელს ეხლება და უცებ ცახცახსაც წყვეტს. ირგვლივ, ჰაერში, ზანტად იგრაგნება თაბაშირის თეთრი მტვერი.

- ეს ბოლო დროა, ყოველ საღამოს ფეხებთან გეჯექი და გისმენდი, ძიაკაცო! მთელი რამდენიმე თვე. ბავშვობაშიც ასე მჩვეოდა - მჯეროდა, უფროსების ნაუბარი ოდესმე უთუოდ გამომადგება-მეთქი. ამ ცოდნას არ დავივიწყებ, მერე ჩემსასაც მივუმატებ რამეს და მერე სხვას გავუზიარებ-მეთქი!

იმ ქვეყანაში ვიზრდებოდი, სადაც ძველ ადათ-წესს იცავენ, მაგრამ მერე და მერე უკვე ხშირ-ხშირად მიწევდა თქვენებურ ქცევასთან შეხება და იმასაც მივეჩვიე. თქვენმა მყიფე, თეთრმა კუნძულმა თავისი წესებით, კანონებით, წიგნებით, პრეფექტებითა თუ ლოგიკით, ასე თუ ისე, დანარჩენ სამყაროსაც უცვალა სახე. თქვენ ქცევის წესების ზედმიწევნით დაცვას ითხოვთ. სულ ვიცოდი, ჩაის ფინჯანს ცოტა სხვანაირად რომ მოვკიდო ხელი, უთუოდ აქედან დამითხოვენ-მეთქი. ყელსახვევს თუ არასწორად გავიკვანძავ, უბრალოდ ზედაც არ შემხედავენ, ჩემს არსებობას არც კი შეიმჩნევენ-მეთქი. ვითომ, მარტო გემების წყალობით მოიპოვეთ ეს ამოდენა გავლენა და ძალაუფლება? თუ - როგორც ჩემი ძმა ამბობდა ხოლმე - ყველაფერი იმის შედეგია, ისტორია რომ ქაღალდზე გადაიტანეთ და საბეჭდი დაზგები გამართეთ?

ჯერ თქვენ და მერე ამერიკელებმა, თქვენებური მისიონერული წესებით, თქვენს რჯულზე მოგვაქციეთ. ინდოელი ჯარისკაცებიც გმირულად იღუპებოდნენ და მხოლოდ ასე თუ ეღირსებოდნენ „სრულფასოვან ადამიანად“ მიჩნევას. არადა, თქვენ ისე ომობთ, თითქოს კრიკეტს თამაშობდეთ. მაინც როგორ მოახერხეთ ჩვენი ასე გაბრიყვება და ამ ყველაფერში ჩათრევა? აი... მოისმინე ერთი, რაც მოიმოქმედეთ!

ავტომატს საწოლზე აგდებს და ინგლისელს ჯიქურ უახლოვდება. წელზე რადიომიმღები უკონწიალებს. იხსნის და ყურსაცვამებს ინგლისელ პაციენტს არგებს დამწვარ თავზე. ის კიდე ტკივილისაგან იღრიჯება, თუმცა მესანგრე ამას ახლა ყურადღებასაც არ აქცევს. მერე ისევ იღებს ავტომატს ხელში და ამ დროს, კართან ჰანას ამჩნევს.

ჯერ ერთი ყუმბარა. მერე - მეორე. ჰიროშიმა. ნაგასაკი.

ავტომატის ლულას ფანჯარას უშვერს. დაბლობის თავზე მორიალე ქორი თითქოს შეგნებულად, ნებით ხვდება მისი იარაღის სამიზნეში. თვალებს ხუჭავს და მაშინვე ცეცხლის ალში გახვეული აზიური ქუჩა-შუკები წარმოუდგება: ცეცხლი გავარვარებული გრიგალივით დაქრის მთელ ქალაქში, ყველაფერს წამში წვავს და ბუგავს, ადამიანის სხეულებსაც თვალის დახამხამებაში ფერფლად აქცევს და მათი აჩრდილებიც ჰაერში ქრებიან. ამგვარი დასავლური სიბრძნით გამოწვეული ცახცახი იტანს კვლავ.

თვალს არ აშორებს ინგლისელ პაციენტს, რომელიც ახლა დიდი ყურადღებით ისმენს რადიოთი გადმოცემულ უკანასკნელ ამბებს. ავტომატის სამიზნე მის ყვრიმალს დაუყვება, მერე უფრო ქვევით, ყანყრატოზე ჩერდება. ხამსა სუნთქვას კრავს. ხელი უკვე აღარ უკანკალებს. მიზანიც აქვეა, ცხვირწინ.

ინგლისელი თვალს უსწორებს.

- მესანგრევ...

ამ დროს ოთახში კარავაჯოც შემოდის და მათკენ მიემართება, თუმცა ხამსა გამეტებით უქნევს კონდახს და მკერდში ღონივრად ჩააზელს. მერე მაშინვე ისევ დამწვარი პაციენტის ყელ-კისერს იღებს მიზანში - იმ გაწაფული მოძრაობით, რაც მისთვის ჯერ ინდოეთისა და მერე ინგლისის ყაზარმებში უსწავლებიათ.

- დაიცა, ხამსა! დავილაპარაკოთ...

სახე გახევებია. ზაფრას და ცრემლს ებრძვის და თან მაინც ყველაფერს ამჩნევს ირგვლივ, ყველაფერს ხედავს, ოღონდ - უკ-

ვე სულ სხვა თვალით. ღამეც ჩამოდგება, ჯანღიც ჩამოწვება, მაგრამ ახალგაზრდა მეომრის შავი თვალები მაინც წამითაც არ დაკარგავს მხედველობიდან ახალგამოჩენილ მტერს.

- ჩემი ძმა მეუბნებოდა, ევროპას ზურგი არასოდეს უჩვენო - არასოდეს ენდო ევროპელებს, მაგ ჩარჩებს, მევახშეებს, სულ ახალ-ახალი რუკების მხაზველებსო... არც ხელი ჩამოართვაო, მაგრამ ჩვენ... ჩვენ მოხიბვლას რა ბევრი რამე უნდა - მითუმეტეს, თქვენებური დათაფლული ენით, ჯინჯილებითა და ზეიმ--აღლუმებით! რას ვაკეთებ ამდენი წელიწადია?! სადენებს ვჭრი, ნაღმებს დავეძებ და მერე ეშმაკის ამ მანქანების ჩაკვლას ვცდილობ. და მერე რისთვის? რისი გულისთვის? ბოლოს ეს რომ მოხდეს?!

- რა ეს? რა მოხდა, ბოლო-ბოლო?!

- დაგიტოვებთ რადიოს და ისტორიის ეს გაკვეთილიც დაიზეპირეთ. განძრევა არ გაბედო, კარავაჯო! აღარ მინდა ეს ლაი-ლაი ცივილიზაციაზე! უაზროდ მოლაყბე მეფეები, დედოფლები და პრეზიდენტები... აბა ერთი რადიოსაც მოუსმინეთ, რა ამაყად ლაქლაქებენ!

- შენ ამ კაცის ვინაობაც კი არ იცი...

ჰაერში გაქვავებული ლულა ინგლისელი პაციენტის ყელსაა მიბჯენილი. მერე ოდნავ ზემოთ, მისივე თვალებისკენ ინაცვლებს.

- მიდი... - ამბობს ალმაში.

ამ წუთას, უკვე მთელი სამყაროთი გამოვსებული ოთახის ბინდში, მისი და მესანგრის თვალები ერთმანეთს ეფეთებიან.

მწოლიარე უხმოდ ასწევს თავს.

- მიდი! - იმეორებს მშვიდად.

ხამსა ავტომატიდან მჭიდს აგდებს და ჰაერშივე იჭერს, სანამ იატაკზე დაეცემოდეს. ისეთი სახით მიაგდებს იარაღს, როგორც

ბოლომდე შხამგამოცლილ გველს. თვალის კიდით ჰანას ამ-ჩნევს.

დაწვარი კაცი ფრთხილად იხსნის ყურსაცვამებს და ნელი, გა-მოზომილი მოძრაობით იდებს გვერდით. მერე მარცხენა ხელს სწევს, ყურიდან მოსასმენ აპარატსაც იგლეჯს და იატაკზე აგდებს.

- ნუ აყოვნებ, ხამსა... აღარაფრის გაგონება აღარ მინდა.

თვალებს ხუჭავს და სადღაც შორს, მხოლოდ მისთვის ხილულ სიბნელეში იძირება, ამ ოთახიდან ძალიან, ძალიან შორს.

მესანგრე ზურგით კედელს მიყრდნობია, გულ-ხელი დაუკრე-ფია და თავი ჩაუქინდრავს. კარავაჯოს მისი ჩქარი, დაძაბული ქშენა ესმის. ჰაერის ეს ხმიანობა დგუშის მუშაობას აგონებს.

- ინგლისელი არ არი.

- გინდაც ამერიკელი იყოს, ან ფრანგი - ჩემთვის სულერთია. როცა ყვითელი რასის დაბომბვას იწყებთ, ყველანი ინგლისელე-ბი ხართ. ადრე ბელგიის მეფე ლეოპოლდი გყავდათ, ახლა - ის დამპალი ამერიკელი ჰარი ტრუმენი გყავთ! სისაძაგლე კი ყვე-ლას ინგლისმა გასწავლათ.

- არა, ეს კაცი მაინც არაფერ შუაშია. ცდები. შეიძლება ერთა-დერთი ადამიანიც იყოს, ვინც შენსავით ფიქრობს.

- თავი გაანებე. მაინც გეტყვის, ეგეც ფეხებზე მკიდიაო. - ჰანა ეუბნება კარავაჯოს.

კარავაჯო სკამზე ზის. უცებ ხვდება, ინგლისელი პაციენტის ოთახში ყოველთვის ამ სკამზე ვზივარო. რადიომიმღებიდან სუს-ტი ტკაცატკუცი ისმის. დიქტორი ჯერაც რაღაცას ლაპარაკობს. კარავაჯო ერთიანად გახევებულა - ვერც მესანგრისთვის შეუხე-დავს და ვერც ჰანას კაბის გადღაბნილ ლაქას უსწორებს თვალს. იცის, ახალგაზრდა მესანგრე ცამდე მართალია. მისიანები ხომ არასოდეს ჩამოაგდებდნენ მსგავს ყუმბარას თეთრი ხალხით და-სახლებულ ქალაქში.

მესანგრე ოთახიდან გადის. კარავაჯო და ჰანა კი ისევ საწოლის შორიახლო რჩებიან. ეს სამეული იმ სამყაროში ჩატოვა, რომლის გუშაგობასაც აღარ აპირებს. მერე, როცა ეს პაციენტიც, ბოლოს და ბოლოს, სულს განუტევებს, მის გვამს კარავაჯო და გოგო მიაბარებენ მიწას. მკვდრებს მიანდე თავიანთი მკვდრების დამარხვა. დაბეჯითებით ვერასოდეს იტყოდა, რამდენად ესმოდა ამ სიტყვების აზრი. ბიბლიიდან მოხმობილი ეს მოკლე, მკაცრი ნათქვამი.

ყველაფერს დამარხავდნენ, წიგნის გარდა. გარდაცვლილსაც, ზეწრებსაც, მის ტანსაცმელსაც, ამ ავტომატსაც. და მალე მარტო დარჩება, ჰანასთან. მიზეზი კი რადიოში უსასრულოდ გამეორებული ახალი ამბავია, საზარელი ამბავი, მოკლე ტალღებზე რომ ამცნობენ ყველას. ალბათ ახალი ომიც მალე იქნება და ცივილიზაციასაც წერტილი დაესმება.

წყნარი ღამე დგას. შორიდან ღამის ფრინველების ხმიანობა მოისმის. კვიპაროსები კი უტყვად დასცქერიან ზემოდან კარავს. სიოც არ იძვრის და იმიტომ. ხამსა გულაღმა წევს, კარვის ბნელ კუთხეს მიჩერებული. თვალს თუ დახუჭავს, მაშინვე ცეცხლის ალს ხედავს და ადამიანებს, რომლებიც მდინარეებში თუ ნებისმიერ წყალსაცავებში ხტებიან, რათა ცეცხლსა და სიმხურვალეს გაექცნენ, წამში რომ ბუგავს ყოველივეს - მათ სამოსელსაც, კანსაც, თმასაც და იმ წყალსაც კი, ხსნად რომ ესახებათ. ეს უჩვეულო ყუმბარა ოკეანის გაღმიდან წამოიღეს თვითმფრინავით და აზიის მწვანე არქიპელაგის თავზე ჩამოაგდეს.

ხემსიც არ ჩასვლია პირში. კრიჭა შეჰკვრია - წვეთისა თუ ნამცეცის ჩაყლაპვაც კი არ შეუძლია. სანამ მთლად დაბნელდებოდა, ერთიანად მოუსვა ხელი სამხედრო დანიშნულების ყველა ნივთსა და საგანს, კარვიდან მოაშორა მესანგრის აღჭურვილობა და ფორმასაც აახია ყველა გამოსარჩევი ნიშანი. არადა, ჯერ სხვა ტანსაცმელსაც ვერსად იშოვის. დაწოლამდე ჩალმა მოიხსნა,

თმა ჩამოიფარცხა და კეფაზე ცხენის კუდივით გამოიკრა. მერე დაწვა. უცქერდა, როგორ თანდათან იკრებდა ძალას სიბნელე კარვის ირგვლივ. თვალებს ჯერაც ახსოვთ შუქის ბოლო გამონათება, ყურებს კი - ქარის ბოლო ამოოხვრა ამ უქარო ღამის ჩამოდგომამდე. მერე უკვე მარტო ღამის ფრინველთა ფრთების დაგუდული ტყლაშუნის ხმაღა რჩება და მათი იშვიათი გადაძახილი.

გრძნობს, დღეს ყველა ამქვეყნიური ქარი აზიას შეუწოვია. ცდილობს, ერთბაშად დაივიწყოს ყველა დიდი, მომცრო თუ პატარა ჭურვი, რასთანაც კი საქმე ჰქონია და მხოლოდ ერთადერთზე იფიქროს - ასე ჰგონია, მთელი ქალაქის ოდენა უნდა იყოს, რაკი მისი აფეთქება ერთეულებს, ათეულებს ან ასეულებს კი არ იწირავს, არამედ ათასობით ადამიანს და დღევანდელ დღეს დედამიწაზე მცხოვრებნი, პირველად ხდებიან ამგვარი მასობრივი მკვლელობის შემსწრენი. სიმართლე ითქვას, თითქმის არაფერი გაეგება იარაღის ამ ახალი სახეობისა. ვითომ, ეს ლითონის პირბასრი და თვალშეუვლები ნაწილაკების მთელი ღრუბლის უეცარი გამოფრქვევა იყო თუ - იმ გავარვარებული ჰაერის მყისიერი ნაკადი, რამაც თვალის დახამხამებაში ყოველივე ცოცხალის აალება გამოიწვია? ზუსტად კი ერთი რამ იცის მხოლოდ: გულთან ახლოს აღარაფერს გაიკარებს და ვეღარასოდეს მოახერხებს ტერასის ქვის სკამზე ჩამომჯდარმა, ლუკმა ჩაიდოს პირში ან თიხის ფიალიდან წყალს დაეწაფოს. იმის თავიც არა აქვს, აბგიდან ასანთის კოლოფი ამოიღოს და სანათი აანთოს, რადგან ასე ჰგონია, წამში ყველაფერი აალდება ირგვლივო. სანამ დაბნელდებოდა, აბგიდან თავისი ოჯახის ფოტო ამოიღო და დიდხანს, დაჟინებით დასცქეროდა. მისი სახელი და გვარი კირპალ სინგჰია და ღმერთმა უწყის, რას აკეთებს აქ.

აგვისტოს ხვატში, ახლა უკვე კვიპაროსების ქვეშ დგას. თავშიშველი, უპერანგო, არც ხელში უჭირავს რაიმე. მერე ყვავილნარს მიუყვება. მისი ტიტველი ტერფები ჯერ ბალახზე მიაბიჯებენ

უხმოდ, მერე - ტერასის ქვის იატაკზე და კოცონებიდან მონარჩენ ფერფლზე. მისი ცოცხალი სხეული ძილის ამ საუფლოში გადაადგილდება, ამ გულბოროტი, სასიკვდილოდ სახიფათო ევროპის კიდეზე.

სისხამ დილით ჰანა მას კარვის კართან მდგომს ხედავს. წინა საღამოს ხეებშორის შუქის გაკრთომას ამჩნევდა. გუშინ ყველამ ცალ-ცალკე, მარტომ ივახშმა, ინგლისელმა პაციენტმა კი საერთოდ უარი თქვა ჭამაზე. ხედავს, როგორ აიქნია მესანგრემ ხელი და კარავიც ისე ჩამოიშალა, თითქოს აფრები დაუშვესო. მერე ბიჭი შემოტრიალდება და სახლისკენ მიაბიჯებს, ტერასის კიბეს აივლის და თვალს ეფარება.

სამლოცველოში შესული, დამწვარი სკამების რიგს ჩაათავებს, აფსიდის ნახევარწრეში შეაბიჯებს და იქ, ბრეზენტგადაფარებულ მოტოციკლს მიადგება. საფარს გადააძრობს, დაიხრება და გადამცემი კბილანების დაზეთვას იწყებს.

როცა უსახურავო სამლოცველოში ჰანაც გამოჩნდება, უკვე წინა ბორბალზე თავმიდებული ზის და ცას ასცქერის.

- ხამსა...

ბიჭი ხმას არ იღებს, თითქოს საერთოდ ვერც კი ამჩნევს.

- მე ვარ. ახლა რაღა უნდა ვქნათ?

ბიჭი ერთიანად გაქვავებულა, მართლა ქანდაკებასავით. ჰანა მის წინ ჩაიმუხლებს და სახეს ახლოს მიუტანს. მერე მკერდზე ადებს თავს. ესმის მისი გულისცემა.

ხამსა არც ახლა შეირხევა.

- ერთხელ ინგლისელმა რომელიღაც წიგნიდან ამოკითხული სიტყვები მითხრა: „სიყვარული ისეთი პაწაწინაა, ნემსის ყუნწშიც კი გაატევო“.

ხამსა, მისკენ ზურგშექცეული, იატაკზე წვება. სახე ლამის ნაწვიმარ გუბეში ჩაყოს.

გოგო და ბიჭი.

მესანგრემ რომ მოტოციკლი ბრეზენტის ქვემოდან გამოაგორა, კარავაჯო ამ დროს მოაჯირს დაყრდნობოდა, ხელზე ნიკაპჩამოდებული. ცოტა ხანს დარჩა ასე, ვიდრე საბოლოოდ დარწმუნდებოდა - ამ სახლის დღევანდელივით დამთრგუნველ გარემოში გაჩერება აღარ შემიძლიაო და იქაურობას გაეცლებოდა. უკვე აღარსად ჩანდა, როცა მესანგრემ მოტოციკლი აამუშავა, მერე ზედ მოაჯდა და ადგილს მოწყდა.

ჭიშკრამდე არმისულს, შუაგზაზე ავტომატმომარჯვებული კარავაჯო ელოდებოდა. მოტოციკლს წინ გადაუდგა, მერე მივიდა და ბიჭს გადაეხვია. მესანგრემ მაშინ პირველად იგრძნო ლოყაზე დეივიდის ჯაგარი, უცებ იაზრა - როგორ უნდოდა იქ დარჩენა და მთელი ნებისყოფა მოიკრიბა.

- მომიწევს ხელახლა მივეჩვიო უშენოდ ცხოვრებას. - უთხრა კარავაჯომ.

ბიჭმა ისევ მოწყვეტით დაძრა ადგილიდან მოტოციკლი, კარავაჯო კი უკან მიბრუნდა.

მოტოციკლი ღმუილით მიქროდა მოხრეშილ გზაზე, მტვრის ბუღს აყენებდა. ჯერ ნახირისთვის გადებულ დირეს გადაახტა ჭიშკართან, მერე კი ქვემოთ დაუყვა სოფლიდან მიმავალ გზას, ფერდობებზე შეფენილი ხილის ბაღების გასწვრივ.

სამხრეთისკენ ეჭირა გეზი, სამუდამოდ ზურგსუკან იტოვებდა ფლორენციას. აპირებდა იმ პატარა ქალაქებზე გაევლო, ომს ლამის ხელუხლებლად რომ დაეტოვებინა. მერე, როცა მთაგორების ახალი ჯაჭვი გამოჩნდა, აღმართს შეუყვა კორტონასაკენ.

მოკავშირეთა ცოტა ხნის წინანდელი შეტევის მთავარი მიმართულების საწინააღმდეგოდ მიდიოდა, თითქოს უკან ახვევდა ფირს და იმ მარშრუტს მიუყვებოდა, რომელიც უკვე აქეთობისას გამოევლო, მაგრამ მაშინ ეს გზა ერთიანად იყო გადატვირთულ--ჩახერგილი ათასნაირი სამხედრო ტექნიკით. მხოლოდ ნაცნობ გზებს ირჩევდა და შორიდანვე ცნობდა ერთხელ უკვე ნანახ

ქალაქ-სიმაგრეებს. უძრავად წაწოლილიყო მოტოციკლზე, რომელიც თანდათან ხურდებოდა სოფლურ ოღრო-ჩოღრო გზებზე გიჟური ქროლვით. არც რამე ბარგი ჰქონდა თან, არც არანაირი იარაღი. ყველაფერი ეს ვილაზე დაეტოვებინა, პირველ რიგში კი - ავტომატი და ყველა ის თავისი ხელსაწყო-მოწყობილობა, რასაც მეტ-ნაკლებად ომი და იარაღი შეიძლებოდა გაეხსენებინა მისთვის. მოტოციკლი კი მიქროდა და მიქროდა, ზურგსუკან იტოვებდა სოფლებს და არც ქალაქებში ჩერდებოდა - ომის მოგონებების თავიდან ასარიდებლად.

მთვრალივით ბარბაცებს დედამიწა და ხუხულასავით ირყევა...

ჰანამ ჯარისკაცის აბგას თავი მოხსნა. შიგ გაპოხილ ნაჭერში გამოხვეული, ზეთის სუნით გაჯერებული რევოლვერი, კბილის ფხვნილი და ჯაგრისი, ფანქრით შესრულებული ჩანახატებით სავსე რვეული (ერთ-ერთ მათგანზე ჰანაც გამოესახა - ტერასაზე ზის, თვითონ კი, ალბათ, ინგლისელი პაციენტის ფანჯრიდან უცქერს ამ დროს), ორი ჩალმა, სახამებლიანი პატარა ბოთლი და მესანგრის ტყავის ღვედებიანი სანათური დაუხვდა. ამ სანათურს ხამსა მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში ხმარობდა ხოლმე. ახლა ჰანამაც აანთო და აბგაც მეწამული შუქით განათდა.

გვერდითა ჯიბეებში კი ყუმბარებისა თუ ნაღმების გასაუვნებლად აუცილებელი, მესანგრის მოწყობილობის სხვადასხვა ნაწილები იპოვა, თუმცა მათთვის ხელი არ უხლია. იყო კიდევ ნაჭერში გამოხვეული ლითონის მილაკი, რითაც კანადაში ნეკერჩხლიდან შაქარს იღებენ ხოლმე. გაახსენდა, თავადვე რომ აჩუქა.

ჩამოშლილი კარვის ქვემოდან ჯგუფური ფოტოც გამოაძვრინა - ეტყობა, მისი ოჯახის - და ცოტა ხანი ხელში ატრიალა. ხამსა და მისიანები.

უფროსი ძმა ასე, 10-12 წლისა იქნებოდა. მის გვერდით 8 წლის ხამსა იდგა. ომი რომ დაიწყო, ჩემი ძმა ნებისმიერს უდგებოდა მხარში, ვინც კი ინგლისელების წინააღმდეგ იყო...

იქვე იპოვა ყუმბარების სქემებით აჭრელებული პატარა წიგნაკი და კიდევ - წმინდანის გამოსახულება, რომელსაც გვერდით მუსიკოსი ედგა. ყველაფერი ისევ აბგაში ჩააბრუნა - ფოტოს გარდა; მერე აბგა თან წამოიღო, ეზო გადაჭრა და შინ შეიტანა.

დაახლოებით საათში ერთხელ ჩერდებოდა, დამცავ სათვალეზე აწიტებდა და პერანგის სახელოთი წმენდდა მტვერს. ერთხელ კიდევ დახედა რუკას და საბოლოოდ გადაწყვიტა - ჯერ ადრიატიკისკენ, მერე კი სამხრეთისკენ აეღო გეზი. ახლა მთელი ჯარები უკვე იტალიის ჩრდილოეთ საზღვრებთან იდგნენ. ჯობდა ასევე დარჩენილიყვნენ იქ, მის ზურგსუკან.

მოტოციკლი ღმუილით შეაჯლიგინა კორტონაში. ეკლესიის წინ, ხეებთან მიაგდო, გადმოვიდა და სამლოცველოში შევიდა. ქანდაკება ხარაჩოებში დაუხვდა ჩასმული. უნდოდა უფრო ახლოდან შეეთვალიერებინა მისი სახე, მაგრამ ოპტიკურსამიზნიანი იარაღი თან აღარ ჰქონდა, ხარაჩოზე ასაძრომად კი ძალა არ ეყოფოდა - უფრო სწორად, მოქნილობა. ერთიანად გახევებულად გრძნობდა თავს და ისე ბოდიალობდა ირგვლივ, თითქოს საკუთარ სახლს დაეძებსო. მერე გამოვიდა, საფეხურებზე ჩააგორა მოტოციკლი და ბოლოს, გაჩეხილი ვენახების გავლით, არეცოსაკენ დაეშვა.

სანსეპოლკროსთან მისულმა, ისევ დაკლაკნილი, ზემოთ მიმავალი გზა აირჩია. მთები მრუმე ნისლს დაებურა და ლამის ტაატით მოუწია სვლა. ბოკა-ტრაბარია. სციოდა, ოღონდ ცდილობდა, ამაზე არ ეფიქრა. ბოლოს გზამ, როგორც იქნა, ნისლზემოთ აინაცვლა და ჯანღიც უკან მოიტოვა. გვერდი აუარა ურბინოს, სადაც გერმანელებმა ყველა იქაური ცხენი თავლებშივე გამობუგეს. ბრძოლები ამ მიდამოებში თითქმის მთელი თვე

გრძელდებოდა, ახლა კი იქაურობას რამდენიმე წუთში ჩაუქროლა და მხოლოდ შავი ღვთისმშობლის სალოცავებს სცნობდა. ომმა ერთმანეთს დაამსგავსა ყველა დიდი და პატარა ქალაქი.

ზღვას გაბიჩე-მარეში მიადგა, სადაც 1944 წლის მაისში ზღვიდან ამოსული ქალწული მარიამი იხილა. ღამე გორაკზე გაათია, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა კლდეები და ზღვა იმ კონცხის შორიახლო, სადაც ერთ დროს ამ ქანდაკებამ მზის ამოსვლა იხილა. ასე დასრულდა მისთვის შინისკენ მიმავალი გზის პირველი დღე.

ძვირფასო კლარა - ძვირფასო Maman!

Maman — ფრანგული სიტყვაა, ფართოდ ხმარებული და, სხვათა შორის, ჩახუტებასაც გულისხმობს. მართალია, ძალიან პირადული კია, მაგრამ თან შეგიძლია საჯაროდაც ამოიძახო. კარჭაპივითაა - გამშვიდებს, მუდმივია და უცვლელი. თუმცა შენ, შინაგანად, ჯერაც ალბათ მაინც უფრო კანოე ხარ - შეგიძლია წამში შეიცვალო მიმართულება, ანდა ნებისმიერი მდინარის კალაპოტში თვალის დახამხამებაში შესცურო. შენ ძველებურად ისევ დამოუკიდებელი ხარ, ჯერაც მარტოსული. არ ხარ ის კარჭაპი, რომელიც პასუხისმგებელია იმ ყველაფრის გამო, რაც გარს ახვევია. ამდენი წლის მანძილზე პირველ წერილს გწერ, კლარა, ოღონდ ხომ იცი, წერილების წერა დიდად არ მეხერხება. ბოლო თვეები სამი მამაკაცის გვერდით გავატარე და ჩვენ ძალიან იშვიათად ვსაუბრობდით, მხოლოდ შემთხვევით თუ გავაბამდით მასლაათს ან მხოლოდ აუცილებელზე თუ ვლაპარაკობდით. ამიტომ, ცოტა არ იყოს, ენაბრგვნილი გავხდი - მით უფრო, ქალებთან მიჭირს საუბარი.

უკვე 194... წელია. წარმოგიდგენია? წამით დამავიწყდა, ზუსტად რომელი. არადა, თვე და რიცხვი კარგად მახსოვს. დღეს ზუსტად ის დღეა, როცა იაპონიაში იმ ბომბების ჩამოყრის ამბავი გავიგეთ და ყველას ისეთი განცდა გვაქვს, თითქოს სამყაროს აღ-

სასრული დამდგარიყოს. ახლაღა მივხვდი: პირადი ყოველთვის დაპირისპირებული იქნება საზოგადოსთან და თუ ამის გონივრულ მიზეზს მივაგნებთ, მაშინ უკვე სხვა ყველაფრის ახსნასაც მოვახერხებთ.

პატრიკი საფრანგეთში დაიღუპა, რომელიღაც სამტრედეში. XVII-XVIII საუკუნეებში ამ ქვეყანაში ვეება სამტრედეებს აშენებდნენ - ზოგჯერ სახლებზე დიდებსაც კი. დაახლოებით აი, ამნაირებს.

თარაზული ხაზი მთელი სიმაღლის დაახლოებით ორი მესამედის დონეზე, ვირთხებისაგან დამცავი ლავგარდანია - ვირთხები რომ შიგნით ვერ მოხვდნენ და მტრედებსაც არაფერი დაემუქროს. ამაზეა ნათქვამი - სამტრედესავით უსაფრთხოო. წმინდა ადგილია. რაღაცით ეკლესიის მსგავსი. ადგილი, სადაც შვებას ეზიარებიან. ასეთ ადგილას მოკვდა პატრიკიც.

დილის ხუთ საათზე ისევ დაქოქა მოტოციკლი და, ჯერ კიდევ ბინდბუნდში, გზას დაადგა. აქედან სამხრეთისკენ მიმავალი გზის გასაგნებად რუკა აღარ ჰქონდა, მაგრამ მახსოვრობას ენდობოდა და თან აპირებდა, სანაპიროს გასწვრივ ევლო. მზე რომ ამოვიდა, სიჩქარესაც მოუმატა. მდინარეებამდე ჯერ შორი იყო.

ასე, ორი საათისთვის ორტონას მიაღწია, რომლის გარეუბნებშიც მაშინ მესანგრეები პონტონის ხიდებს დებდნენ და, ლამის იყო, იღრჩობოდნენ ადიდებულ წყალში. გაწვიმდა და მოსასხამის გასაშლელად შეჩერება მოუწია. თან ბარემ მოტოციკლსაც შემოუარა ირგვლივ - ამოდენა მანძილის გამოვლის შემდეგ, ემანდ რამე არ სჭირდესო.

დამცავი სათვალის შუშებში ყველაფერი რუხად ჩანდა. ჰანაზე ფიქრს გაურბოდა. როცა თვალწინ გოგოს სახე დაუდგებოდა ხოლმე, მოტოციკლის საჭეს მაგრად ჩააფრინდებოდა და ცდილობდა მთელი ყურადღება მიხვეულ-მოხვეულ გზაზე გადაეტანა. თუკი საერთოდ სჭირდებოდა რაიმე სიტყვები, ყოველ შემთხვე-

ვაში, არა მისი ნათქვამის გახსენება. სიტყვების საჭიროებას თამამად ეყოფოდა, ვთქვათ, იტალიის სამხრეთ სანაპიროზე გაბნეული პატარ-პატარა ქალაქების სახელწოდებები.

ინგლისელ პაციენტს კი მუდმივად გვერდით გრძნობდა. დამწვარ-დადაგული მისი სხეული საწვავის ავზზე შემომჯდარიყო და მძღოლი მკლავებში მოემწყვდია. პირისპირ სხედან - ინგლისელი მის მხარსზემოთ გასცქერის რაღაცას: ვინ იცის, ეგებ წარსულს, ანდა - სულაც ზურგსუკან დარჩენილ სოფლურ სანახებს. შორს, იტალიის ერთ-ერთ გორაკზე დარჩა ის უცნაური, ნახევრად ჩამონგრეული სასახლე, რომელსაც უკვე აღარავინ აღადგენს და კირპალ სინგჰიც უკვე ვეღარასდროს შეხვდება იქაურობის უცნაურსავე ბინადართ. და ჩემი სიტყვები, რომლებიც ჩავდევი შენს ბაგეებში, არ მოსცილდება შენს ბაგეებს, შენი ნაშიერის ბაგეებს, შენი ნაშიერის ნაშიერის ბაგეებს...

ინგლისელი პაციენტის მიერ წამღერებით ნათქვამი ესაიას სიტყვებიც ისევე ჩაებეჭდა გონებაში, როგორც რომის სამლოცველოს ჭერში გამოსახული ფრესკის შესახებ მონათხრობი. „ცხადია, ესაიას გამოსახულების უამრავი სხვადასხვა ნიმუში არსებობს - თუ, მაგალითად, ხანმოთეული გინდა იხილო, მაშინ მონასტრებს უნდა მიაშურო საფრანგეთის სამხრეთში - სწორედ იქ ნახავ ასაკოვანსა და წვეროსანს, თუმცა მის მზერაში მაინც გამოსჭვივის საოცარი მიზიდულობის ძალა“. ინგლისელი იმ თავის კედლებმოხატულ ოთახში ღიღინებდა: აჰა, დაგამხობს უფალი ძლიერი დამხობით და დაგჭმუჭნის, როგორც გორგალს გორგლად დაგგორგლავს, ბურთივით გაგაგორებს ვრცელ მიწაზე...

გაუჩერებლივ აგრძელებდა გზას იმ თავსხმა წვიმაში. ჭერზე გამოსახული სახეც მოსწონდა და ეს სიტყვებიც. მას დამწვარი კაცისა და ცივილიზაციის იმ მწვანე მდელოების სჯეროდა, რომელთა შენარჩუნებაზეც ეს კაცი ზრუნავდა. ესაიას, იერემიასა და სოლომონის სიტყვები თავის სამაგიდო წიგნშიც გადმოეწერა, თა-

ვის პირად წმინდა წერილში, სადაც ყველაფერს აწებებდა, რაც კი უყვარდა. მერე ეს წიგნი მესანგრე ბიჭსაც გაუწოდა, იმან კი უთხრა: ჩვენც ჩვენი წმინდა წიგნი გვაქვსო.

წვიმა ძლიერდებოდა. სათვალის რეზინის არშია ჯერ კიდევ ამ ერთი თუ ორი თვის წინ მოუბოშდა და წყალი შიგნიდან უსველებდა შუშებს. ამიტომაც ახლა უკვე უსათვალოდ უწევდა გზის გაგრძელება, ყურებში კი გამუდმებით ედგა ზღვის ხმიანობა. მთელი სხეული ერთიანად დაძაბვოდა, მთელი ტანით აცახცახებდა. სითბოს მხოლოდ მოტოციკლი გამოსცემდა და ისიც - ლამის შერწყმოდა და შეზრდოდა ლითონის ამ მანქანას. სიმართლის ეული სხივი სიბნელეში მიიკვლევდა გზას, ალალბედზე, როცა მოწყვეტილი ვარსკვლავივით ჩაუქროლებდა ხოლმე მიძინებულ სოფლებს - იმ ვარსკვლავივით, მხოლოდ ღამით რომ გაიელვებს, თუმცა ესეც კმარა, მავანმა სურვილის ჩაფიქრება მოასწროს. რადგან ცა კვამლივით განქარდება და მიწა სამოსელივით გაცვთება, მისი მცხოვრებნი ქინქლებივით დაიხოცებიან... რადგან სამოსელივით შეჭამს მათ ჩრჩილი და მატყლივით შეჭამს მათ ჭია. ყველა უდაბნოს საიდუმლო - უვეინატიდან ჰიროშიმამდე.

სათვალეს იხსნიდა, როცა გზამ გაივაკა და მდინარე ოფანტოზე გადებულ ხიდს მიადგა. სათვალე მარცხენა ხელში ეჭირა, საჭეს კი მხოლოდ მარჯვენათი მართავდა და მოტოციკლიც ცოტა ცერად მიდიოდა. სათვალე მოისროლა, ძრავაც გამორთო, თუმცა ხიდის ლითონის მოაჯირზე ძლიერი შეჯახება ვეღარ გაითვალისწინა. მოტოციკლი მარჯვნივ დაფერდდა, დაეცა და წვიმის ნიაღვარმა ხიდის შუამდე გაათრია. მძღოლსაც ლითონზე ხახუნისაგან გაცვენილმა მოცისფრო ნაპერწკლებმა გაუნათა სახე და ხელები.

რკინის მძიმე ნაჭერი მოხვდა მხარში. მერე ისიცა და მოტოციკლიც მარცხნივ გადაქანდნენ, სადაც ხიდს მოჯირი არ გასდევდა და წყლის ზედაპირის მიმართ თარაზულად გასრიალდნენ ჰა-

ერში. მხრებიდან ლაბადა მოსძვრა. მანქანა, სიკვდილი და ჯარისკაცი წამით ჰაერში გაირინდნენ და მერე მთელი ძალით ჩაენარცხნენ წყალში. მან და მისმა თანშეზრდილმა ლითონის სხეულმა ქაფიანი მორევი დაატრიალეს, მერე კი წვიმასავით უკვალოდ დაინთქნენ მდინარეში.

გითხრა, როგორ მოკვდა პატრიკი იმ სამტრედეში? თავისიანებმა დატოვეს იქ, დაჭრილი და დამწვარი. ისე დაიბუგა, პერანგის ღილებიც კი დაალღვა ზედ - იმ მკერდის ნაწილად იქცა, ოდესღაც მეც რომ ვკოცნიდი და შენც. მაგრამ ასე რანაირად დაიწვა მამაჩემი? კაცი, რომელსაც გველთევზასავით, თუ გინდა - იმ შენს კანოესავით შეეძლო დასხლტომოდა ყველაფერს, მოჯადოებულივით გაქცეოდა რეალურ სამყაროს. იმ თავისი, არცთუ მთლად მიამიტობის წყალობით, ალბათ ყველაზე სიტყვაძუნწი კაცი იყო და ყოველთვის მიკვირდა, რატომ მოსწონდათ ქალებს. ჩვენ ხომ უფრო ენაწყლიანი კაცები გვიზიდავენ. ჩვენ გონიერები ვართ, სიბრძნეც არ გვაკლია, ის კი ხშირად იბნეოდა, საკუთარი თავის რწმენასაც კარგავდა და მუნჯდებოდა ხოლმე.

ის დაიწვა, მე კი მედდა ვიყავი და შემეძლო, მისთვის მომეევლო. ხვდები, რა სამწუხარო რამაა გეოგრაფია? შემეძლო გადამერჩინა, ან თუნდაც სიკვდილის ჟამს მის გვერდით მაინც ვყოფილიყავი. დამწვრობების თაობაზე ახლა ბევრი რამ ვიცი. ნეტა რამდენ ხანს იტანჯა იქ, მარტო დარჩენილი, მტრედებსა და ვირთხებს შორის? რას გრძნობდა ან ლუღლუღებდა სულის ამოხდომისას, როცა სიცოცხლე წვეთ-წვეთად ტოვებდა მის სხეულს? თავზე ალბათ მტრედები დასტრიალებდნენ, ის კი მათი ფრთების ტყლაშუნზე კრთებოდა ხოლმე. სიბნელეში დაძინება არ შეეძლო, ყოველთვის სძულდა სიბნელე. თან მარტოდმარტო დარჩა - არც საყვარელი ადამიანი ყავდა გვერდით, არც ვინმე ახლობელი.

დამღალა ევროპამ, კლარა. შინ მინდა დაბრუნება. შენს პატარა ქოხში, ვარდისფერ კლდეებთან, ჯორჯიის ყურეში. პარი-- საუნდამდე ავტობუსს გამოვყვები და მატერიკიდან მოკლეტალღურ რადიოშეტყობინებას გავაგზავნი და მერე შენ დაგელოდები, სანამ შენს სილუეტს არ დავინახავ კანოეში. აი, ჩემკენ მოცურავ, გადასარჩენად, აქედან დასახსნელად, სადაც ყველანი გამოგექეცით, მიგატოვეთ და გიღალატეთ. მაინც რა გაძლევდა ძალას? როგორ მოახერხე სიმტკიცის შენარჩუნება? შენ რატომ ვერ გაგაბრიყვეს ჩვენსავით? თავის დროზე მიწიერ სიამოვნებებს ასე დახარბებულმა, ამდენი სიბრძნე როდის დააგროვე? ჩვენს შორის ყველაზე წმინდად დარჩენილო, უმუქესო მარცვალო, უმწვანესო ფოთოლო...

ჰანა თავშიშველი მესანგრე წყლიდან ამოყვინთავს და სავსე მკერდით ისრუტავს ლამის მთელ ჰაერს მდინარის გაყოლებაზე.

კარავაჯომ მეზობელი ვილის სახურავზე თოკი გადაჭიმა. აქეთა ბოლო დემეტრიოსის ქანდაკებას დაახვია წელზე. თოკი ორი ზეთისხილის ხის კენწეროზე ოდნავ მაღლა აღმოჩნდა. ახლა, თუკი წონასწორობას ვერ დაიცავდა, უთუოდ ამ ხეების უხეშ და მტვრიან „მკლავებში“ ამოყოფდა თავს.

თოკზე დგება და წინდებამოცმული ტერფებით ამოწმებს. ისე, რამდენად ძვირფასია ეს ქანდაკებაო, - ვითომ სხვათაშორის ჰკითხა ერთხელ ჰანას და იმანაც უპასუხა - ჩვენს ინგლისელ პაციენტს თუ დაეჯერება, დემეტრიოსის ქანდაკებებს ჩალის ფასი აქვსო.

ჰანა კონვერტს აწებებს, დგება, ოთახს გადაივლის - ფანჯარა რომ დაკეტოს და ამ დროს მთელ დაბლობს ელვის ნათება გადასერავს. გოგო ცასა და მიწას შორის გამოკიდულ კარავაჯოს ხედავს. ერთი ხანობა შეფიქრიანებული გაშეშდება ადგილზე, მერე კი ფანჯრის ნიშაში იკალათებს და დაბლობს უშტერებს თვალს.

ყოველ ახალ გაელვებაზე მოჩანს, როგორ ცრის ფანჯრებსიქით, ქორები კი ზემოთ-ზემოთ, ლამის მთლად ღრუბლებამდე უწევენ. მაინც ისევ კარავაჯოს დაეძებს თვალით, ის კი უკვე შუაგზამდე მისულა, როცა მოახლოებული წვიმის სურნელს გრძნობს. მერე უკვე წვეთებიც ეცემა მოხალისე მუშაითს, ტანსაცმელს ულბობს და დამძიმებული, ისიც სულ უფრო მაგრად ეტმასნება სხეულზე.

ჰანა ორივე ხელის პეშვს ფანჯრიდან გარეთ ყოფს, წვიმის წყალს იგროვებს და მერე თავზე ისვამს.

ვილა ბნელში იძირება. ინგლისელი პაციენტის ოთახის შორიახლო, დერეფანში, საცაა ბოლო სანთელიც ჩაიწვება. როცა კაცი თვალს გაახელს ხოლმე, მის მოციმციმე, ყვითელ ალს ხედავს.

მისთვის ახლა სამყაროში არანაირი ბგერა აღარ დარჩენილა და შუქიც სრულიად ზედმეტად მიაჩნია. დილით უთუოდ ეტყვის გოგოს - ტყუილად ნუღარ ხარჯავ სანთლებს, რადგან ჩემი ღამეული მოგზაურობებისას (მით უფრო, დაძინებაც თუ მოვახერხე), თანამგზავრები არ მჭირდება - თუნდაც ეგ მარად ცოცხალი და მოციმციმე ალიო.

დაახლოებით ღამის სამი საათი იქნება, როცა ოთახში კიდევ ვიღაცის ყოფნას იგრძნობს. წამით ეჩვენება, დაუპატიჟებელი სტუმარი საწოლის ფერხთით, კედლის შორიახლო დგასო, ან შეიძლება - მიხატულიც კია კედელზე და ძნელად გამოსარჩევი - სანთლის სუსტი შუქის გამო კიდევ უფრო ჩამუქებული ამ ფოთოლნარის ფონზე. რაღაცას ბუტბუტებს, რაღაცის ამოთქმას ლამობს, მაგრამ ირგვლივ დუმილი გამეფებულა და ყავისფერი აჩრდილიც არ ირხევა; იქნებ ალვის ხეა, ან - მოცურავე... ფიქრობს, ბედი აღარ გამიღიმებს და იმ ჭაბუკ მესანგრესთანაც ვეღარასდროს ვილაპარაკებო.

ასეა თუ ისე, ამაღამ მაინც არ დაიძინებს. საკუთარი თვალით ნახავს, მიუახლოვდება ეს ფიგურა თუ არა. არც ტკივილგამაყუ-

ჩებელ აბებს ჩაყლაპავს. ბოლომდე იფხიზლებს, გინდაც სანთელი ჩაქრეს და მისი ავლის სურნელმა ჯერ მისი ოთახი გადაიაროს და მერე გოგოსასაც მიადგეს, დერეფნის ბოლოში. თუ ეს აჩრდილი შემობრუნდა, წესით, ზურგზე საღებავი უნდა ეცხოს. სანთელი რომ ჩაიწვება, ოთახის პატრონი უთუოდ მოახერხებს ბეჭებზე ამ ლაქების შემჩნევას.

ნელი-ნელ ხრის იდაყვში ხელს, ჰეროდოტეს წიგნს ეხება თითებით და მერე ისევ გულხელს იკრეფს. სხვა არაფერი მოძრაობს ოთახში.

სად ზის ახლა, როცა ისევ იმ გოგოზე ფიქრობს? ამდენი წლის შემდეგ. ისტორიის ქვა ხტუნვა-ხტუნვით მისრიალებს წყლის ზედაპირზე, მათ კი მანამ მოახერხეს დაბერება, ვიდრე ეს ქვა ბოლოჯერ შეეხებოდეს წყალს, გაირინდებოდეს და ფსკერისკენ წავიდოდეს.

ეგებ საკუთარ ბაღშია და იმაზე ფიქრობს, აჯობებს შინ შევიდე, მაგიდას მივუჯდე და წერილი მივწეროო? ანდა სულაც, ერთ მშვენიერ დღეს სატელეფონო სადგურს მივადგე, იქ საჭირო ფურცელი შევავსო და ვეცადო, როგორმე დავუკავშირდე სხვა ქვეყანაში, ქვეყნიერების დასალიერზე მცხოვრებსო? სწორედ ეს ბაღი - გაკრეჭილი ბალახის ეს ოთხკუთხედი აგონებს იმ თვეებს, ფლორენციის ჩრდილოეთით, ვილა სან-ჯიროლამოში რომ გაატარა ჰანასთან, კარავაჯოსთან და ინგლისელ პაციენტთან ერთად. ის ახლა ექიმია. ორი შვილი და მუდამ პირმცინარი მეუღლე ჰყავს. ამ ქალაქში საქმე არასოდეს ელევა. საღამოს ექვს საათზეღა იხდის თავის თეთრ ხალათს. კლინიკის კარს კეტავს, ოღონდ მანამდე ოთახში ქაღალდების დასტებს რაღაც მძიმეს ადებს ზემოდან, უეცრად მოვარდნილმა ქარმა რომ არ მიფანტ-მოფანტოს - ქვას, სამელნეს, ან თუნდაც შვილის სათამაშო მანქანას, რაზეც ბიჭს უკვე გული აცრუებია. მერე ველოსიპედს მოაჯდება და, ბაზრის გავლით, შინისაკენ გაეშურება, აქედან ოთხი მილის მოშორე-

ბით. ხანდახან, ქუჩის დაჩრდილულ მხარესაც გაუყვება - უკვე იმ ასაკშია, გრძნობს, ინდოეთის მწველი მზე გვარიანად მთანგავსო.

ბაღში ზის და ცდილობს წარმოიდგინოს, როგორი გახდა ჰანა. თავის ქვეყანაში ცხოვრობს, ახლა გრძელი თმა აქვს. და რას საქმიანობს? მუდამ თვალწინ უდგას მისი სხეული და სახე, მაგრამ წარმოდგენა არა აქვს, როგორ ცხოვრობს, რით ირჩენს თავს. არადა, შეუძლია წარმოიდგინოს, როგორ ექცევა გარშემო მყოფთ, როგორ ეფერება ბავშვებს. მის ზურგსუკან მაცივრის თეთრი კარი ილანდება, უფრო იქით კი - ფანჯრის ჩარჩოში - უხმაუროდ ჩაიქროლებენ ხოლმე ტრამვაები. ესაა ის მცირედი საჩუქარი, რაც მისთვის გამოიმეტეს, თითქოს ქალი და სხვა არავინ, ფირზე ცოცხლდება მის დასანახად, ოღონდ - უხმოდ. ვერაფრით იტყვის, რა ხალხში ტრიალებს, რაზე საუბრობს; დანახვით მარტო იმას ხედავს, დროდადრო როგორ ჩამოეშლება ხოლმე შუბლზე ის გრძელი თმა.

ახლაღა აცნობიერებს, რომ ჰანას მაინც მუდამ დაფიქრებული სახე ექნება. ახალგაზრდა ქალი იმ დედოფალს დაემსგავსა, რომელმაც მოახერხა და აისრულა წადილი - სასურველი იერი მოერგო. მისი ეს სიჯიუტეც მოსწონს, მისი ნებისყოფის ძალა. გარეგნობა ჰანას არც მშობლებისაგან, არც ბებია-ბაბუებისაგან და არც უფრო შორეული წინაპრებისაგან მიუღია მემკვიდრეობით. თავად დაისახა მიზნად, ისეთი ყოფილიყო, როგორადაც ისურვებდა ყოფნას და ამ მიზანს მიაღწია კიდეც. ყოველ ერთ-ორ თვეში ერთხელ, თითქოს რაღაც ჯადოსნობის წყალობით, მისი დანახვის შესაძლებლობა ეძლეოდა - თითქოს ეს ყველაფერი იმ წერილების გაგრძელება იყო, გოგო რომ მთელი ერთი წელი უგზავნიდა, მაგრამ რაკი პასუხს ვერ იღებდა, ბოლოს ესეც შეწყვიტა.

ახლა კი ზოგჯერ ძალიან მოუნდება ხოლმე სადილობისას მასთან საუბარი და იმ დროში დაბრუნება, როცა ერთმანეთს ეალერსებოდნენ კარავში, ანდა ინგლისელი პაციენტის ოთახში ისხდნენ და იმ სივრცეს აღიქვამდნენ, მათ შორის რომ გაწოლილიყო. ლოგინზე კი დამწვარი კაცი ეწვათ.

ახლა, ვახშმობისას, ხედავს, როგორ გულმოდგინედ ცდილობს მისი პაწია ქალიშვილი, დიდივით დაიჭიროს ხელში დანა--ჩანგალი; ამ მაგიდის ირგვლივ მსხდომთ, ყველას მუქი ფერის პირისკანი აქვს, არც საკუთარი ადათ-წესების მიდევნა უჭირთ, მისმა ცოლმა კი თავისი მხიარული ხასიათი პატარა ბიჭსაც გადასცა. თავად ბიჭს კი არასოდეს ბეზრდება ძაღლებთან თამაში და თითქოს თვალებით უგებენ ერთმანეთს.

ჰანა, სავარაუდოდ, იმ ხალხში ტრიალებს, რომლებიც თავად არ აურჩევია ურთიერთობისთვის: უკვე 34 წლისას, ჯერ მაინც ვერ უპოვია ვერავინ, ვისაც გვერდით ისურვებდა. ძლიერი ქალია, თავგანწირვით იცის შეყვარება. არც წინასწარაა დაიმედებული, ბედი თუ გაუღიმებს. მაინც მიდის რისკზე, და მის სახეში რაღაც ისეთი გამოსჭვივის, რასაც მხოლოდ თვითონ თუ დაარქმევს სწორ სახელს, სარკეში ცქერისას. არადა, თაყვანისმცემლებიც არ აკლია. ისიც ახსოვს, იმ ლექსის სტრიქონები, ხმამაღლა რომ უკითხავდა ინგლისელი თავისი წიგნიდან. ის ქალია, ვისაც არცთუ ისე კარგად ვიცნობ, ფრთით რომ შევაკავო - თუკი მართლა აქვთ მწერლებს ფრთები - ღუზა ჩავუშვა და მყუდრო ნავსაყუდელი ვიპოვო, სიცოცხლის ბოლომდე.

ჰანა შემოტრიალდება და უსასოოდ ჩაქინდრავს თავს. მხარს სამზარეულოს კარადას გაკრავს და ჭიქაც ადგილზე შექანდება. ამავე დროს, კირპალ სინგჰის ქალიშვილს ჩანგალი უსხლტება ხელიდან, თუმცა მამამისი მას ჰაერშივე იჭერს, შვილს დაუბრუნებს, გაუღიმებს და თვალის უპეებთან, სათვალის ქვეშ, ნაოჭები აჩნდება.

სქიფისა და მერი დიკინსონის ხსოვნას
ქვენტინსა და გრიფინს
ასევე ლუიზ დენისს, მადლიერებით

„დარწმუნებული ვარ, ბევრ თქვენგანს ემახსოვრება, რაოდენ ტრაგიკულ ვითარებაში დაიღუპა ჯეფრი კლიფტონი გილფ-ქებირში, 1939 წელს, რასაც მოგვიანებით მისი ცოლის, ქეთრინ კლიფტონის გაუჩინარებაც მოჰყვა უდაბნოში ზერზურას ოაზისის საძიებო ექსპედიციის დროს.

თავს უფლებას ვერ მივცემ, ჩვენი შეხვედრა ამ სამწუხარო მოვლენებისადმი გულითადი თანალმობის გამოხატვის გარეშე დავიწყო.

რაც შეეხება დღევანდელი მოხსენების თემას...“

ამონარიდი 194... წლის ნოემბერში,
გეოგრაფიული საზოგადოების
ლონდონში გამართული სხდომის ოქმიდან.